19
973/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

4

1973

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე | № 4 | აპრილი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი


კალე ბობოხიძე — ლექსები . . . . . . . 3

ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები. რომანი. გაგრძელება . . . 5

ზაურ ბოლქვაძე — ლექსები . . . . . . . 34

რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. წიგნი პირველი . . . 37

გივი ქნელაძე — ლექსები . . . . . . . 91

ზურაბ რცხილაძე — ძია გიორგა. მოთხრობა . . . . . 94

დილარ ივარდავა — ლექსები . . . . . . . 98

ოლღა დავითაია — ლექსები . . . . . . . 102

ალექსანდრე პუშკინი — ევგენი ონეგინი. გაგრძელება. თარგმნა ოთარ ჭელიძემ . . . . . . . 104

იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი. ტრაგედია. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანელმა . . . . . 112

### ხუთწლედის ადამიანები

ვაჟა სამცხელი — აჭყური და აჭყურელები . . . . . . 123

როდამ ჩაჩანიძე — ნახვამდის, მამულო! ნარკვევი . . . . 129


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გაბრიელ მეგრელიშვილი — საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პოლიტიკა . . . . . . . . 161

ალექსანდრე კალანდაძე — კეთილმან ძლია . . . . . . . . 167

თამარ მაჭავარიანი — იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა . . . . . 184


## წიგნების მიმოხილვა


ანდრო მირიანაშვილი — პოეტის კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება . 188



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური (პ/მგ. მდივანი), ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.



ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 2/II-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-73 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01824, ტირაჟი 13.300, შეკვ. 357.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძე

# ლენინი საქართველოში

თებერვლის დღე —
საქართველოს ოქტომბერი,
რომ გათენდა,
შლიდა სხივთა ბაირაღებს;
ჯანღიანი
ზეცა გახდა ოქროსფერი
და პირველად
მე ლენინი დავინახე.

მისი სახე —
მოყოლოდა მზიურ ალმებს,
მისი სული —
ჯარისკაცთა სუნთქვას ახლდა;
ხალხთან ერთად
მეც მის მოსვლას მივესალმე,
გავიხარე,
რაც ოცნებას სურდა, ახლა...

მზე ათბობდა
მშობელ თბილისს ცხოველმყოფელს,
წითელ ფერებს
დაეჩრდილათ სხვა ფერები;
სულ სხვაგვარი
დღე სწვეოდა ქალაქს, სოფელს,
თეთრ მთებიდან
ეშვებოდენ ლანქერები.

ღამის მწუხრი
შავ ნაპრალში მიმალული
კანკალებდა,
შიშისაგან დაზაფრული;
ალალ გულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეუფლა სიყვარულით
საქართველოს
სანატრელი გაზაფხული...

## უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან

თვალცრემლიანი დგანან დედები,
ზოგიც გამხდარა უკვე ბებია,
ცოცხლობენ შრომით და იმედებით,
ზოგს თმა სრულიად გათეთრებია.

— ჩემი შვილია! ამბობს ქართველი,
ბანს მისძახიან ჭაღარა მთები,
თავს დადგომია დროშის ნათელი
და შეღებია ვარდისფრად თმები.

— აქ მიიბარა მოსკოვის მიწამ!
ჩემი შვილია! იძახის რუსი.
— ჩემი შვილია! მის სახელს ვფიცავ,
მტარვალს გაავლო ბრძოლაში მუსრი!..

მარადიულ ცეცხლს გააქვს გიზგიზი...
— ჩემი შვილია! ლიტველი ამბობს.
— ჩემი ძე არის! ამბობს ყირგიზი,
დედის ძახილი სივრცეებს აპობს.

ჩემი შვილია! ამბობს ყაზახი.
— ჩემი შვილია! ამბობს თათარი;
სევდის მომგვრელი ხმებით გასძახის,
— ასე მდუმარედ ძეგლი რად არის?!

— ჩემია! ამბობს რუსეთი ვრცელი,
ჩემს მიწას ათბობს დედათა ცრემლი.
— ყველა დედათა სამშობლოს მცველი,
— ჩემი შვილია! გუგუნებს კრემლი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიჯავაძე

# თვითმკვლელები

## რომანი

ჯერ მეგონა, რომ სწორად ვერ გავიგე. მერე შეცბუნებულმა გვერდით გავიწიე და ბარაკის კარს მივეყრდენი.

როგორ თუ... წამოვიწყე სიტყვა და ჩემი აშენებული ილუზიის კოშკი ნაცრად იქცა. ძლიერმა ქუხილმა როზეტა შეაკრთო და უნებურად მე მომეკრა.

— ღმერთო ჩემო, როგორ შევშინდი!.. შენ არა?

მე ვდუმდი.

— კარგი, რატომ ხარ ასე... მე შენი წყენა არ მინდოდა!.. რატომ სდუმხარ?.. რომ არ მიყვარდე, განა აქ მოვიდოდი?.. ძვირფასო, ჩემო საყვარელო,მაპატიე!..

მომიბრუნდა, ჩემი სახე ხელის გულებში მოიქცია და თვალებში ჩახედვას ლამობდა. მერე კი რაღაც ბავშვურად ლოყით ლოყაზე მომეკრა... ჩვენი ტუჩების კუთხეები ერთმანეთს შეეხო, და მთელ სხეულში დამიარა რაღაც უსაზღვრო სიმშვენიერემ, რომელიც ჩვენ ორივეს სულ უფრო მეტად და მეტად გვწყუროდა... ჩვენი ტუჩები ერთმანეთს ეეწყმოდნენ ჯერ ნელა და ნაზად, მერე კი ტკივილამდე მისული ვნებით...

რამდენიმე მსხვილი წვიმის წვეთი დაგვეცა, მაგრამ ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება ამ გაფრთხილებას და მხოლოდ მაშინ, როდესაც წვეთები ხის სახურავზე ახმაურდა, წამოვხტით და კარებს ავეკარით.

ორიოდე წუთის შემდეგ დიდმა ნიაღვარმა, რომელსაც თან ახლდა შორეული ჭექა-ქუხილი და ქარბუქი, გვაიძულა სხვა საფარი მოგვეძებნა, მაგრამ არაფერი არ იყო. ბარაკის კარს ვეება კლიტე ედო.

კლიტეს რაზიანად ამოგლეჯა დავუწყე, მაგრამ ვერ შევძელი.

— რამე რკინაა საჭირო. — თქვა როზეტამ.

მე იქითკენ გავიქეცი, სადაც მახსოვდა, რომ რკინის ნამტვრევები ეყარა, მაგრამ სიბნელეში შევცდი. საკმაოდ დიდხანს მომიხდა ფრატუნი და მერე საჭირო რკინის ამორჩევა, თითქოს განგებ, ხელში ყოველთვის დიდი მხვდებოდა.

სულ მთლიანად გალუმპული დავბრუნდი და ორი შეჯაჯგურებით კლიტე რაზიანად ამოვგლიჯე.

შენობის უკუნეთი სიბნელიდან ცხვირში გვეცა დამპალი ჩალის, საპოხი ზეთისა და ვირთაგვების სუნი.

— ასანთი არა გაქვს?

— არა, თამბაქოს არ ვეწევი.

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 3.

— უჰ, როგორ დასველებულხარ! — როზეტა სიბნელეში ზრუნვით მითათუნებდა ხელს მკერდზე და ზურგზე. — შენ გაცივდები, ჩემო საბრალოვ! ჩქარა პერანგი გაიხადე.

მისი ზრუნვით გარინდებულმა, ანგარიშმიუცემლად დავიწყე პერანგის ღილების შეხსნა.

— მოიცა, ჩემი ველოსიპედი!

— რა უჭირს, ველოსიპედი მხოლოდ... ჰო, იბანავებს... არა. გაირეცხება. — ცოტა მწყინდა კიდეც. რომ როზეტას მზრუნველობაში ველოსიპედი მეცილებოდა.

— ველოსიპედზე დინამოა — განათება შეიძლება.

გახარებული, ველოსიპედის შემოსატანად გავვარდი.

— აი, ხედავ, ტყუილად ამბობენ, რომ კაცები ქალებზე ჭკვიანები არიანო. — ხუმრობდა როზეტა, ვიდრე მე ცალი ხელით საჭით აწეული ველოსიპედი მეჭირა, მეორეთი კი მის წინა ბორბალს ვატრიალებდი და ნათურის სხივს აქეთ-იქით ვაბრუნებდი.

ბარაკი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე გარედან ჩანდა.

ელნათურის შუქმა ერთ კუთხეში მაგიდა და სამფეხა ტაბურეტები გაანათა, მეორეში — გვერდი-გვერდში მდგარი მოთელილთივიანი ნარები, მათ შუა კი —თუჯის პატარა ღუმელი, რომლის გვერდით შეშა ეწყო. ჩანდა, რომ აქ მუშაობა ზამთარში შეეწყვიტათ და მის მერე აღარ დაბრუნებულიყვნენ.

— მომეცი, ბორბალს მე დავატრიალებ, შენ კი პერანგი გაიხადე. ჰა, ყურს რატომ არ მიგდებ, გენაცვალე?!

— მოიცა...

ბორბალი უფრო მაღლა ავწიე — მაგიდის თავზე, ჭერიდან ჩამოშვებულ მავთულზე თარო ეკიდა, ზედ გაშავებული პურის ყუა იდო, რომელსაც ალუმინის ჩაჭყლეტილი თეფში ეხურა, ცარიელი ბოთლი იდგა და დაპირქვავებულ ჭიქას კი ფსკერზე სანთლის ნამწვი ჰქონდა მიკრული.

— ვაშა, სანთელი!

— ასანთი? — საქმიანად შემეკითხა როზეტა, ტაბურეტზე შედგა და თაროზე ხელების ფათური დაიწყო. აი... არა, ეს ცარიელი კოლოფია, ესეც უჰ, რამდენი მტვერია!.. აი, შიგ ხუთი ცალია... ოღონდ დაიცა, ნუ გიხარია, ჯერ ვსინჯავ ინთება თუ არა...

პირველივე ასანთის ღერი აინთო და მერე სანთლის ალის თანაბარმა სინათლემ შეცვალა ხან კაშკაშა და ხან მბჟუტავი ელექტრონათურის შუქი.

— ჩქარა, ჩქარა! — როზეტა სხეულზე მიკრული პერანგის გახდაში მეხმარებოდა.

— შენ ნუ მიყურებ, — ვუთხარი, როდესაც პერანგი გავიხადე.

— ოჰ, ოჰ!... თითქოს არა მყავდე ნახული უპერანგო, მაშინ, როცა ჭიდაობდი. გთხოვ, ნუ მიძალიანდები! მომეცი შენი ცხვირსახოცი.

აი, თურმე რისგან შედგება ოჯახური ბედნიერება, — ვფიქრობდი მე, ვიდრე როზეტა მამშრალებდა ჯერ ჩემი ცხვირსახოცით და მერე რაღაც სხვა რამით, რომელიც მისი აბრეშუმის შარფი აღმოჩნდა.

— მოიცა, გაცივდები. შენ ვერც კი ამჩნევ, როგორ კანკალებ!

— ეს სიცივისაგან კი არა...

— უ, რანაირი კუნთები გაქვს!.. ბიარიცში შაპიტოს ცირკი იყო ჩამოსული, იქ ასეთი ცხენები ჰყავდათ...

— მადლობა შედარებისათვის... — კოცნამ აღარ მომცა საშუალება დამემთავრებინა ასეთი წვალებით შედგენილი ფრაზა.

— ძვლები არ დამამტვრიო, მოიცა, გითხრა... ცხენები, ლომები, გაწვრთნილი ძაღლები და იკარიული თამაშები — ძალიან ლამაზი ტანის კაცები... მაგრამ შენ უფრო ლამაზი ტანი გაქვს!

— არა, შენ ამას!... — მორიდებულად დავიწყე მე.

—რატომ... ბუღალტერიის გოგოებმაც იგივე თქვეს. ამის გამო ვიეჭვიანე

კიდეც... მაგრამ მაშინ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით.

— როზეტა! — გულში ჩავიკარი და ამბორში გავხვიე.

— მოიცა, ტანი დაგხორკლია, ახლავე ღუმელს ავანთებ, — როზეტა ხელიდან გამისხლტა, ნართან მიირბინა და დიდი იღლია ჩალა მოიტანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ღუმელში მხიარული ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა მშრალ შეშას, ახლა კი ვიგრძენი, რომ ნამდვილად მციოდა და გასათბობად ღუმელს ხან გვერდებს და ხან ზურგს ვუშვერდი.

როზეტა ამ დროს აშრობდა ჩემს პერანგს, რომელსაც მდუღარე ჩაიდანივით ასდიოდა ორთქლი.

შემდეგ პერანგი ჩავიცვი და ჩვენ ნაზად ჩახუტებულნი ცეცხლთან ვისხედით.

— რა კარგია!... მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცხოვრებდი აქ!.. შენთან ერთად!

— გიყვარვარ? — შევეკითხე და თვითონვე შემეშინდა.

— ჰო, სიცოცხლეზე მეტად!

წვიმა შეუჩერებლივ მოდიოდა. ზოგჯერ ოთახში ქარი შემოიჭრებოდა ხოლმე და სიცივე და სინოტივე შემოჰქონდა.

— წავალ, კარს დავკეტავ, ცივა. — ვუთხარი მე.

როზეტამ არ მიპასუხა. მე წავედი და კარი ჩავკეტე. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ უკვე გვცხელოდა.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა შენთვის მეთქვა. გუშინ დეპეშა მივიღეთ, ჩემი ქმარი ავად ყოფილა და ჩემი დედამთილი ლიონში წავიდა.

— სადა?

— ლიონში. იქ, სადაც ჩემი ქმარი სამხედრო სამსახურს იხდის.

— რაო, რა დაემართა? — გაჭირვებით ამოვღერღე.

— იმას საერთოდ აწუხებს ღვიძლი და კუჭი, და ამის გამო, უსიამოვნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნთქვა... — როზეტა შეიჭმუხნა. — გთხოვ, მაპატიო.

უხმოდ დავცქეროდი ცეცხლმოკიდებულ შეშას, როგორ დნებოდა ხის გადანაჭერზე ადუღებული ფისი, როგორ ებრძოდა იგი სიმხურვალეს, მერე კი ცეცხლი მთლიანად ეკიდებოდა შეშას, საბრალო ტკაცა-ტკუცით შველას თხოულობდა, იწვოდა და თანდათან პატარავდებოდა.

გულზე სევდა შემომაწვა.

როზეტაც ცეცხლს დასცქეროდა, მაგრამ ხანდახან მალულად შემომხედავდა ხოლმე. ბოლოს თავი ველარ შეიკავა:

— მე ეს შენთვის არ უნდა მეთქვა... მაგრამ შენ ხომ ყველაფერი უნდა იცოდე.

— ვიცოდე თქვენი კოცნაობა და...

— ოჰ, არა, მე მას არა ვკოცნი!

— შენ მე სულელი გგონივარ?

— არა, გეფიცები!.. მე... მე მას არასოდეს არა ვკოცნი... მე ის მეზიზღება! — და როზეტა ბავშვურად ატირდა, სახეზე ხელებაფარებული და მხრებათრთოლებული.

უჩვეულო ბრაზი თანდათან მინელდებოდა, მერე შემეცოდა კიდეც იგი... და არა ნაკლებ უჩვეულო სინაზე დამეუფლა.

მე დავუწყე კოცნა მის ხელებს, რომლებსაც სახიდან არ იშორებდა, შემდეგ მის თვალებს და ცეცხლივით გავარვარებულ ტუჩებს.

— მე სულ მხოლოდ შენზე ვფიქრობ... დღისით, მუშაობის დროს, როცა ვიძინებ, ან ვიღვიძებ... წამიყვანე თან! — გამოგყვები სადაც გინდა, თუნდაც გვიანაში!..

იგი იწვა ჩემს მკლავებზე მორჩილი და ულმერთოდ ლამაზი, სახეზე ღუმელის ცეცხლის ათინათი უციმციმებდა

როზეტა კოცნით დავსეტყვე, შემდეგ ციმციმ ხელში ავიყვანე და ტახტისაკენ გავემართე.

— არა, არა!... ეს საშინელებაა!.. შენც

შემძულდები!.. გევედრები, შემიბრალე!..

ეს უკანასკნელი ისეთი მუდარით იყო ნათქვამი, რომ მე უნებურად შევჩერდი, უეცრად მისი მკლავები მძლავრად შემომეჭდო კისერზე, და ჩემს ყურთან მოტანილმა ტუჩებმა წამჩურჩულა:

— მე შენ მიყვარხარ!.. მიყვარხარ!

მასუკან ყველაფერი სიზმარივით იყო. შმაგ გრიგალს სულ მაღლა და მაღლა ავყავდი, ირგვლივ კი ჰაერის ნაცვლად ბედნიერება სუფევდა, უზომო, სულისშემხუთველი ბედნიერება...

ჩვენ ისეთი ძალით გადახვეულები ვიწექით, რომ ერთბაშად მომეჩვენა, თითქოს ვერ გავზომე ჩემი ღონე და დავაღრჩე იგი.

— უფრო ძლიერ მომეხვიე, კიდევ უფრო ძლიერ!.. შენ ჩემი ხარ, ჩემი სამუდამოდ, ჩემო სიცოცხლევ!

— ჩემო როზეტა...

— მე პირველი ვარ შენთვის, ხომ? პირველი?

— ჰო...

— ჩემამდე არავინ გყვარებია!

— მიყვარდა... ისე, ცოტათი... შორიდან, — თვითონვე აღმუშფოთა ჩემმა სიცრუემ, მაგრამ როდესაც როზეტამ თავითი მკერდზე მიმიკრა, დავრწმუნდი, რომ მართალს ვამბობდი.

ღუმელში შეშის დარჩენილი ნაღვერდალი იფერფლებოდა, ყველაფერს თანდათან სიბნელე ეუფლებოდა და მხოლოდ სანთლის სუსტი ალი ანათებდა ოთახს, რომელიც ახლა მშვენიერი იყო. ოთახს, სადაც მე ნამდვილი კაცი გავხდი.

— როზეტა, შეშა უნდა მივუმატო.

— არა, არა! მიყვარხარ...

მერე ხელახლა მომიხდა ცეცხლის ანთება ჩამქრალ ღუმელში.

ჭიქის ძირზე სანთლის გამდნარი ნამწვი აალდა და ჩაქრა, მე კიდევ ბევრჯერ შევუკეთე ღუმელს შეშა და ჩვენ ცეცხლის ვარდისფერი ანარეკლით განათებულებს, ვნებით გვიყვარდა ერთმანეთი.

როდესაც ჩვენს დასახლებას მივუახლოვდით, დაახლოებით ღამის სამი საათი იქნებოდა. როზეტა შეჯდა ველოსიპედზე და მე დიდხანს ვაცილებდი მზერით პატარა ფარნის წითელ შუქს, რომელიც სკების მსგავსი ბარაკების სავსე ბნელი ქუჩით თანდათან მშორდებოდა.

პატარა ფარნის წითელი შუქი ჩაქრა აგურის ორსართულიან სახლთან, რომელზეც თეთრად ქათქათებდა თამბაქოს ღუქნის ფირ-ნიშანი. სიჩუმეში რკინის ჭიშკარი გაჭრიალდა და მე ისევ ვიდექი და ვცდილობდი გავრკვეულიყავი, რა მოხდა ჩემს თავს.

თავისუფლებისა და ძალის უჩვეულო გრძნობა მომიტანა სიყვარულმა... მაგრამ იმავე დროს როგორღაც მაშინებდა და მახარებდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ჩვენი სახლის მეორე სართულზე მარტო გუგულის ფანჯარაში ენთო შუქი, ალბათ ძალიან ცუდად იყო.

კიბეებზე არბენისას გამაოცა ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ. გუგულის ოთახის კარი ნახევრად ღიაბული იყო და მოჩანდა მხოლოდ მაგიდა, რომელსაც მუხლებზე ხელებდაწყობილი და თავჩაღუნული კაკუნა უჯდა და ეძინა.

მე შევედი და ვერ გამებედა გამეხედა მარცხნივ, საწოლის ქვედა სართულისკენ, ამით თითქოს თავიდან ვიშორებდი საშინელი გარდაუვალობის ხილვას.

— კაკუნა... — ჩუმად, თითქოს შიშით, რომ არავინ გამეღვიძებინა, დავუძახე მას.

კაკუნამ მხოლოდ ღრმად ჩაისუნთქა და თავი უფრო დაბლა დახარა.

მე ვიდექი, თვალები ცრემლებით სავსე და გასიებული მკერდი, მომზადებული მქონდა ასაქვითინებლად, მერე იქით გავიხედე... და გამეღიმა. ჯერ ოდნავ შესამჩნევად, რადგან კიდევ ვფლო-

ბდი საკუთარ თავს, მერე კი მოურიდებლად... ეს მკრეხელობა იყო. თავი იძულებული უნდა გამეხადა ტუჩები მომეკუმა და ქვევით დამეშვა, მხიარულებისა და მწუხარების გამოხატვაში ხომ მხოლოდ ეს უმნიშვნელო განსხვავებაა... მაგრამ თავს ვერაფერი მოვუხერხე... ვიღიმებოდი, და სახეზე უხვად მდიოდა ცრემლები.

სარკასტული ღიმილით ტუჩმოღრეცილი, ცალთვალდახუჭული გუგული, მეორე თვალით თითქოს ეშმაკურად მიყურებდა და მეუბნებოდა:

— მე ყველაზე ჭკვიანი ვარ, რომ ამ თამაშიდან პირველი გამოვედი. ხა, ხა, ხა! თქვენ ყველა, რომლებმაც სამშობლო დაკარგეთ, მკვდრები ხართ, როგორც მე!..

— არა!... არა!.. ეს ტყუილია!

— რა, რა მოხდა! — შეკრთა გამოღვიძებული კაკუნა.

— კრეტინებო, პირსაწმენდით ვერ აუკარით ნიკაპი?

— ვისა? აჰ, ჰო... დაგვავიწყდა, — დამნაშავედ თქვა კაკუნამ.

— თვალებზე კი სპილენძის ფული უნდა დაგედოთ.

— ჩვენ კენჭები დავადეთ.

მართლა, მიცვალებულს დახუჭულ თვალზე შავი ბრტყელი კენჭი ედო, მეორედან კი გადმოვარდნილიყო და იქვე, ბალიშზე ეგდო.

— იდიოტებო, შავი ფული დაგენანათ!

— ჰო... — დამეთანხმა კაკუნა. — ახლა ამის დედას როგორ მივწერო? სიკვდილის წინ გუგულმა მე მთხოვა მისწერეო... მაშინ, როცა სიმონა აქვე იყო.

კაკუნა ამას საქმიანად და მშვიდად მეუბნებოდა. მერე, სრულიად მოულოდნელად, ატირდა.

— მისწერ!.. ძალიან კარგადაც მისწერ... მერე კი ვინმე სხვა შენზე მისწერს. ჩვენ ყველა ერთ მდგომარეობაში ვართ... — ისე ბოროტად ვუთხარი, თითქოს ყველაფერში ის ყოფილიყოს დამნაშავე.

— არა, მე რომ რამე დამემართოს, ჩვენებს ნუ აცნობებ—ვერ გადაიტანენ!

— აუცილებელი კი არ არის, რომ შენ იმათზე ადრე მოკვდე, — შევიბრალე კაკუნა.

მერე, ჩემი დახმარებით კაკუნამ მიცვალებულს ნიკაპი აუკრა, თვალი დაუხუჭა და ზედ კენჭი დაადო.

— ნეტავი გუგულმა მე რატომ მთხოვა და არა სიმონას, დედასთან წერილის მიწერა? — მკითხა კაკუნამ.

კაკუნა ჩემს პირდაპირ იდგა, თვალებში შემომცქეროდა. მე კი ვფიქრობდი — ახლა მესმის, რატომ აქანავებს თავს, ეს თვალების გამო, რომელთა ცახცახის შეჩერებას ცდილობს.

— ისინი ხომ ერთი სოფლიდან არიან და ერთადაც გამოიქცნენ. — თავისას აგრძელებდა კაკუნა.

— იქნებ სწორედ მაგიტომ.

— რატომ?

— გუგული არ მოკვდებოდა, სიმონას რომ თან არ წამოეყვანა... ყოველ შემთხვევაში, აქ, სადღაც ჯანდაბაში არ მოკვდებოდა.

— მიცვალებულთან ნუ იგინები!

— აქ მარტო შენ ზიხარ, არავინ არ უნდა შეგცვალოს?

— ალბათ დაავიწყდათ.

— ვინ უნდა შეგცვალოს?

— არ ვიცი.

— კარგი, მე ახლავე გამოგიგზავნი.

ამ არც თუ ისე სასიამოვნო საქმეზე, უნდა ამომერჩია ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო ადამიანი. ასეთი მხოლოდ სტეპკო მეგულებოდა.

ერთ ოთახში ცხოვრების გამო მეურნეობასაც ერთად ვეწეოდით. მატერიალური პირობები ჩვენ ახლა უკვე ერთნაირი გვქონდა და სწორედ აქ მან თავი გამოამჟღავნა როგორც საოცრად წვრილმანმა, და ამასთან, როგორც ქურდბაცაცამ, სულ რაღაცა გროშებით მატყუებდა.

მე ჩემს ოთახში შევედი და მძინარე სტეპკოს ნჯღრევა დავუწყე.

— ადე, სტეპკო, შენი მორიგეობის ჯერია მიცვალებულთან.

— ჩემი? რა, ჩემს გარდა სხვები არ არიან!

— სხვები უკვე იყვნენ.

— აი, როცა ყველა... — სტეპკო ზურგით მომიტრიალდა, ლაპარაკი დამთავრებულად ჩათვალა.

— ადექი-მეთქი, გეუბნები!

— თავი დამანებე!

კარი გაიღო და ცემენტის იატაკზე ლურსმნიანი ფეხსაცმელების ბაკუნით გედეონი შემოვიდა. იგი ტრუსისა და მაისურის ამარა იყო და ხელები მუცელზე რაღაც უშნოდ ჰქონდა მიდებული.

— რა იყო, რა მოხდა? — უბრალოდ თავაზიანობისათვის იკითხა მან.

— შენ რაიმე წამალი ხომ არა გაქვს?

— როგორ თუ რაიმე წამალი?

— წუხელ, როცა ერბო-კვერცხს ვიმზადებდი, ამ ჩემს წყეულ ბედზე, სულ უკანასკნელი კვერცხი გაფუჭებული იყო. აბა, მთელ ერბო-კვერცხს ხომ ვერ გადავაგდებდი... ჰოდა, ახლა მუცელი ისე მგვრემს!

— მაგის წამალი არა მაქვს. წადი, ჩაიდანით წყალი შეათბე და დალიე. თბილი წყალი გულს აგირევს და მოგეშვება.

— სპირტი სულ გამითავდა.

— მე მოგცემ.

— არა გვაქვს ჩვენ სპირტი! — თავის საწოლიდან წამოიყვირა სტეპკომ. — ვინმე სხვას სთხოვე.

მაგრამ გედეონს უკვე ხელში ეჭირა ნახევარი ბოთლი სპირტი.

— აბა, მაშ ეს რა არის? — დაანახვა გედეონმა ბოთლი უკვე ჩვენსკენ მობრუნებულ სტეპკოს.

— მთელი კვირა სადილი გვაქვს გასაკეთებელი! — სრულიად არ დაირცხვინა სტეპკომ.

— გეყოფა, წადი გუგულისთან სამორიგეოდ. — ჩავერიე მე.

— მე ძალიან ცუდადა ვარ, — წამოიკვნესა სტეპკომ.

ეროვნული

— აჰა, აი, თურმე რაზე დავობდით! — გამოცოცხლდა გედეონი. — სტეპკო, წადი სამორიგეოდ!

— რა შენი საქმეა? შენ ხომ თვითონ...

სტეპკოს ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან: — კამათი ადამიანთან, რომელსაც მუცელი სტკივა, ძალზე სახიფათოა და მით უფრო, თუ ეს გედეონია.

გედეონმა სტეპკოს მკლავში ხელი ჩასჭიდა და ისეთი ძალით გადმოსწია, რომ სტეპკომ ზედა საწოლიდან იატაკზე ტყაპანი მოადინა, როცა სტეპკო ხვნეშითა და ოხვრით წამოდგა, გედეონმა მას კისერში ხელი ჩაავლო, შეატრიალა, კარი გააღო, ლურსმნებიანი ფეხსაცმლის ჭიტლაყით კორიდორში ისროლა და კარი მიხურა.

— ეს რა ჰქენი, შე კაი კაცო? — უბრალოდ ფორმალობისათვის ვთქვი მე.

— აბა, რა მაქვს სალოლიავო მაგ ლუმპენპროლეტართან... — მოისვა ხელი გედეონმა ატკივებულ მუცელზე. — ეჰ, როგორ მებრალება საცოდავი გუგული!

დააკაკუნეს, შემდეგ კარი ოდნავ გაიღო და ჭრილში სტეპკოს თავი გამოჩნდა.

— ნება მომეცით, ავიღო შარვალი... და დანარჩენი... — ოფიციალურობამდე თავაზიანად თქვა მან.

— ჩაიცვი, ოღონდ ჩქარა! — დაუღრიალა გედეონმა.

როცა ჩაცმული სტეპკო გავიდა, ჩვენ ერთი პირობა ვიცინეთ, მერე მე შევუთბე გედეონს მთელი ერთი ჩაიდანი წყალი და ვაიძულე ჭიქით ზედიზედ დაელია.

— საოცარი ამბავია, ღვინოს მთელ ხუთ, ექვს ლიტრას ვსვამ და აქ რაღაცა ორი ლიტრა თბილი წყალი...

გედეონი ცუდად გახდა და მე მას ღია ფანჯრისაკენ წავუბიძგე.

ძალიან დიდხანს ფართხალებდა და სითხის შადრევნებს ასხამდა ფანჯარაში გაჩხერილი გედეონი, მე კი უკვე ერთსა და იგივეს მერამდენჯერ ვეუბნებოდი:

— ცოტა უფრო შორს არ შეგიძლია?... შენ პირდაპირ შტაბსკაპიტნისა და პორუჩიკის საფეხურებზე არწყევ...

— არ შემიძლია, — როგორც იქნა, მიპასუხა გედეონმა. —შენ გგონია, მე ცირკის „ადამიანი აკვარიუმი" ვარ?

გედეონი უკეთ გახდა და კიდევ ნახევარი ჩაიდანი წყალი შევუთბე.

როცა გამხნევებული გედეონი შინ დასაძინებლად მიდიოდა, იგი კარებში შეჩერდა და რაღაც დარცხვენილი ღიმილით მითხრა:

— ერთი თვეა ვინახავ დედაჩემის გამოგზავნილ ჩურჩხელას... — და როცა დაინახა, რომ მოვიღუშე, თავის მართლება დაიწყო: — შენ ხომ ამანათებს არ იღებ...

მე იმის მეტი არაფერი დამრჩენოდა, რომ გავხუმრებოდი:

— თქვენ მე ვინა გგონივართ? ყველა ცნობ.:ლი ექიმი ღარიბებს უსასყიდლოდ მკურნალობს.

მეორე დღეს, ორშაბათს, სამუშაოდ არავინ გავიდა. იმ ბარაკში, სადაც ჩვენ კრება გვქონდა, გუგულის წესი აუგო პოლონელმა მოხუცმა შახტიორმა, მერე კი დავასაფლავეთ საკმაოდ ფართო სასაფლაოზე, სადაც განსვენებულთა დიდი ნაწილი არ იყო ფრანგული წარმოშობისა.

დასაფლავების შემდეგ იმავე შენობაში ქელეხი მოვაწყეთ, და ყველა ძალიან დათვრა.

ამ გაუთავებლად გაგრძელებულ სმაში უამრავი სიტყვა ითქვა, მაგრამ არცერთ სიტყვაში არც თავისიანი უხსენებია ვინმეს და არც სამშობლო.

***

გედეონი რამდენიმე დღით პარიზში წავიდა, და საოცარია, მე მოწყენილი ვარ, რომ არ მესმის მისი წრიპინი, ექსცენტრული გამოსვლები და ხუმრობა.

მისი თქმით, იგი იქაური მდგომარეობის დასაზვერავად წავიდა, მე კი მგონია რომ მიზეზი სულ სხვაა—შიში, რომელიც მან განიცადა და რომლის დასაძლევადაც, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღე შახტში არ უნდა ჩავიდეს.

გედეონს უყვარს მის თავს მომხდარი უჩვეულო შემთხვევების მოყოლა და მას ინტერესით უსმენენ ხოლმე, რადგან კარგი მთხრობელია, თუმცა, იმის გამო, რომ მოწმეები არა ჰყავს, ყველაფერ ამას მის მდიდარ ფანტაზიას აწერენ.

აი, ახლაც გედეონს თავს გადამხდარი არაჩვეულებრივი შემთხვევის მოწმეც და თანამონაწილეც კი მე გახლდით.

მუშაობის დამთავრების შემდეგ, როგორც ყოველთვის, ძალიან დაღლილები, შინ ვბრუნდებოდით, უხალისოდ ვატარებდით წინ მეხრეებს, გაშმაგებით რომ აწნავდნენ შოლტს სინიბებს, რომლებიც დატვირთულ ვაგონეტებს გაჭირვებითა და დაძაბულად ეწეოდნენ.

მზის შუქზე რომ გამოვსულიყავით, უნდა გაგვევლო მთელი ჭაური, რომელსაც ზევით ასასვლელი არა ჰქონდა, უნდა ჩავსულიყავით ძირითად ჭაურში და უკანვე წამოვსულიყავით, რაც კილომეტრნახევრით გზას გვიგრძელებდა.

— რა სისულელეა, მთელი საათი დაკარგო წინ და უკან სიარულში!— წაიწრიპინა გედეონმა.

— ერთი საათი კი არა, ნახევარი საათი. — გაუსწორა მას მიხამ.

—თუ გინდაც ნახევარი საათი იყოს... მე ვაგონეტების შახტში ჩავალ.

— ეგ კატეგორიულად აკრძალულია! — კუშტად შეეპასუხა მიხა.

— წადი!.. წადი თუ არ გეშინია!.. — წააქეზა გედეონი აქამდე ჩუმად მყოფმა ნიკამ, რომელსაც ძალიან უყვარდა სხვისი გაბედული საქციელი.

— თქვენ რაღას გაჩუმებულხართ?— გვეცა მე და გოგის გედეონი.

— თავი მოსაკლავი ხომ არა მაქვს! — აღშფოთდა გოგი.

— წავიდეთ!.. — ვთქვი მე, რადგან უფლება არ მქონდა გედეონზე მხდალი ვყოფილიყავი. ეს იქნებოდა მის მიერ აღებული რევანში ყველა იმის გამო, რაც ჩვენს შორის თბილისში მოხდა, თუმცა ჩვენ ორივეს ისე გვეჭირა თავი, თითქოს ყველაფერი დავიწყებული გვქონდა.

ნიკა და მიხა წავიდნენ, გოგი კი ერთ ადგილს ტკეპნიდა.

— ეგ სისულელეა, —თქვა მან, თან შურით გასცქეროდა მიმავალ ნიკას და მიხას.

— შენ შეგიძლია იმათ გაჰყვე, — გულგრილად უთხრა გედეონმა გოგის და ამან მხოლოდ დაადასტურა ჩემი მოსაზრება გედეონის რევანშზე.

— მე წავალ!.. —თქვა გოგიმ და უკვე მიმავალმა დაუმატა. — ნეტავი ვის უწევთ ჯიბრს, არ ვიცი?!

მაგრამ მე და გედეონმა ვიცოდით.

ჩვენ დაველოდეთ ვიდრე ორმა შახტიორმა ჩამოაგორა სათადარიგო ლიანდაგზე მდგარი ერთი დატვირთული ვაგონეტი, მიაგორა დაბრეც ჭასთან. დაუცადა ზარს, რომელმაც ამცნო რომ წინა ვაგონეტი მოსული იყო და ურდული მოხსნა.

მძიმე ვაგონეტი გრუხუნით დაგორდა შეწყვილებულ ლიანდაგზე და სულ უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს.

ჩვენ ვხედავდით თანდათან როგორ პატარავდებოდა ვაგონეტი. მერე როგორ გაქრა მხედველობიდან და სწორეზე გაგორდა, სადაც ბოლოში მას ამუხრუჭებდა ფარით დაცულ ჯიხურში მჯდარი მექანიკოსი.

როდესაც შახტიორები სათადარიგო ლიანდაგზე შემდეგი ვაგონეტისათვის წავიდნენ, ჩვენ ჭაში შევძვერით.

გზადაგზა კლდეების გამონაშვერებს ხელებით ვეკიდებოდით, რადგან ჩასასვლელი ძალიან დაქანებული იყო.

— როგორც კი გაიგებ, რომ ვაგონეტი მოგორავს, კედელს აეკარი, — მითხრა გედეონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ჭკვიანი ხარ, მე კი მეგონა, თავი უნდა მივუშვირო-მეთქი.

— რა, შიშმა ენამახვილობა დაგაწყებინა?

— შენ კიდევ ტვინის ჭყლეტა?

ვაგონეტის უფრო და უფრო გაძლიერებულმა გრუხუნმა გვაიძულა აქეთიქით გადავმხტარიყავით და კედელს ავკროდით. სწრაფი მატარებელივით ჩაგვიქროლა დატვირთულმა ვაგონეტმა და სახეში მოხვედრილმა ჰაერის ტალღამ წაგვიხდინა შემდგომი კინკლაობის სურვილი.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა ახლოს ჩაგვიარა!..

— სხვა ვაგონეტებისათვის უფრო განიერი ადგილი უნდა მოვძებნოთ.

ჩვენ ორივე ცოტა ფერწასულები ვიყავით და ვიცოდით ეს. ახლა, ქვევით დაშვებისას, ჩვენ უკვე ვჩქარობდით, ზოგჯერ ფეხი გვისხლტებოდა და ვიქცეოდით. იმის თავი არავის ჰქონდა, შეემჩნია სხვა რას აკეთებდა.

გზის სამი მეოთხედი უკვე ჩავლილი გვქონდა, როცა გედეონის წყევლაგინება მომესმა, მივიხედე და დავინახე, რომ ის იდგა და მუხლს რაღაც უცნაურად იქნევდა აქეთ-იქით.

— რა დროს გაჩერებაა, გაიარე!

— არ შემიძლია, ფეხი ლიანდაგში გამეჩხირა.

მე მივვარდი მას და, იმის მაგივრად, რომ გამეხსნა შეწყვილებულ ლიანდაგებში გაჩხერილი ფეხსაცმლის ზონარი, ვტაცე ფეხს ხელი და ზევით ამოთრევა დავუწყე.

— ვაიმე, ფეხი არ მომტეხო!..

სხვა რა თქვა, არ გამიგონია, რადგან მისი სიტყვები ვაგონეტის გრუხუნმა დაფარა.

— ამოსწიე, ამოსწიე!.. ვაიმე, დედა!..

— გვერდით გადახტი, სჯობია ფეხი... ვიდრე...

გრუხუნი საოცარი სისწრაფით ძლი-

ერდებოდა. მე სულ ვექაჩებოდი, მგონი ვკარგავდი კიდეც წამებს, როცა გვერდით უნდა გადავმხტარიყავი... და აქ, ჩვენგან ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით ვაგონეტი გადაბრუნდა, იქიდან წამოყრილი მადანი ქვევით წამოვიდა და თანდათან გზაში ჩაიხერგა.

ლოდები ალბათ ბრტყელი იყო და მალე შეჩერდა, ხრეში კი, რომელიც შემოგვეყარა, საშიში არ იყო.

ბოლოს, როცა გედეონს შევხედე, მას ჯერ კიდევ ვერ შეეფასებინა რა საოცრად ზღაპრული იღბალი ხვდა წილად.

მე შევნიშნე მის მკვდრისფერ სახეზე ულვაშებისა და წარბების არაჩვეულებრივი შავი ფერი.

— მე ცოცხალი ვარ? —მკითხა ისე სერიოზულად, თითქოს ჩემი პასუხი განსაზღვრავდა ეს ასე იყო თუ არა.

მე ხარხარი ამიტყდა, ვხარხარებდი დიდხანს, და მგონი ისტერიულადაც.

გონს შემთხვევის ადგილზე მომავალი იმ ორი მეშახტის ხმამ მომიყვანა, რომლებიც ვაგონეტებს ქვევით უშვებდნენ.

გედეონის ფეხსაცმლის ზონარის შეხსნა დავიწყე. ის კი სულერთთავად გაიძახოდა:

— ნუთუ ცოცხალი ვარ!..

გზაში კი, უკვე შინ რომ ვბრუნდებოდით, კოჭლობით მომავალი გედეონი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა ყველაფერზე, რაც კი პირზე მოადგებოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ცოცხლად ეგრძნო.

არა, მე არა ვცდები, გედეონი შახტის შიშმა შეიპყრო და მე ვფიქრობ, რომ შახტისა მარტო მას როდი ეშინია...

მთელი ეს დღეები ჩვენ მხოლოდ იმ მეშახტეზელა ვლაპარაკობდით, რომელსაც შორეულ სანგრევში ლამპა ჩაუქრა და ასანთი გაუთავდა.

საცოდავი, თურმე ოთხით მობობღავდა მთელი ღამე გასასვლელისაკენ და დილით სამუშაოდ მისულ მეშახტეებს იგი შუა გზაზე უპოვიათ მთლად თიხაში ამოგანგლული, დაკაწრული და თითქმის ჭკუაზე შერყეული.

იგი გაიძახოდა, კვალდაკვალ მომდევდა უკან „თეთრი მანდილოსანიო“.

საოცარია, რომ ამ „თეთრი მანდილოსნის“ არსებობა აქ თითქმის ყველას სჯერა.

პორუჩიკმა, შტაბსკაპიტანის სრულიად გარკვეული დასტურით ჩამომითვალა ყველა უბედური შემთხვევა, რომელიც კი მოუხდა მას, ვისაც გამოეცხადა ეს „თეთრი მანდილოსანი“.

თენდებოდა. ჩვენ სამუშაოდ მივდიოდით ამ უსახური სილუეტების მასაში გათქვეფილები... უკეთესი სალაპარაკო თემის გამოძებნა ძნელი იყო.

საერთოდ, როცა ვისმენდი „თეთრი მანდილოსნის“ მორიგ ბოროტებას, ვფიქრობდი, რომ ეს ყველაზე ტიპიური მოჩვენებაა მდედრობითი სქესისა, გაურკვეველი ასაკისა და საქმიანობისა... თუმცა მისი საქმიანობაა — დააშინოს არაადამიანური შრომითა და ლოთობით გამოთაყვანებული მეშახტეები.

— აი, იმ ველური დივიზიის პოლკოვნიკმა, თავი რომ ჩამოიხრჩო, „თეთრ მანდილოსანს“ რევოლვერიც კი ესროლა... და ვითომც არაფერი! — დაასრულა პორუჩიკმა.

— იმ პოლკოვნიკს მოურჩენელი ათაშანგი სჭირდა... — ჩაიბურტყუნა შტაბსკაპიტანმა.

— ეგ რა შუაშია! — შეეპასუხა პორუჩიკი.

თამბაქოს დუქანთან განშტოებული ხალხის პატარა ნაკადი კვლავ მთავარ ნაკადს ერწყმოდა. მეც იმ განშტოებას გავყევი.

დუქანი მეშახტეებით იყო გამოტენილი. წითურა, ღიპიანი, ჯუჯა მედუქნე სწრაფი, თითქმის ავტომატური მოძრაობით მაგიდიდან ფულს ხვეტავდა და მათ ნაცვლად იქვე სიგარეტების პაკეტებს, თუთუნის შეკრულებს, პაპიროსის ქაღალდებს და ასანთებს ჰყრიდა.

ბზრიალასავით ტრიალებდა მედუქნე დახლსა და საქონლით სავსე პატარა

კარადებს შუა, რომლებიც კედელთან იყო მიდგმული.. ხოლო იმ კედელს იქით, ჩემგან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით, თავის საწოლში იწვა და ჯერ კიდევ ეძინა როზეტას.

ასანთის კოლოფმა ჩემს წინ დახლზე ტყაპანი გაადინა.

— შემდეგი... — თქვა მედუქნემ.

მე გამოვედი და თან დაძაბული ვცდილობდი გადამეწყვიტა დილემა— „თეთრ მანდილოსანთან" შეხვედრის შესაძლებლობის ნაცვლად ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ჩემი გულის მანდილოსანს შევხვედროდი...

როზეტასაგან გაგონილი მქონდა, რომ მოხუცები დუქნის თავზე, მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მას და მის ქმარს კი ორი ოთახი პირველ სართულზე, სამზარეულოს გვერდით მიაკუთვნეს და რომ შესასვლელი მათ ეზოდან ჰქონდათ.

მთავარია, გადაწყვეტილების მიღება, ყველაფერი დანარჩენი ბევრად იოლია. ადგილობრივი არისტოკრატიის უბანს უშენი ადგილიდან შემოვუარე და სწრაფად გადავხტი აგურით ამოშენებულ კედელზე, არც თუ ისე დარწმუნებული იმაში, რომ არავის დავუნახივარ მოშორებით გაშლილი ბარაკებიდან.

ბაღი საკმაოდ მოვლილი იყო. ლამპა იქვე, იასამნის ბუჩქში გადავმალე და გარემო დავზვერე. პირველ სართულზე ორი ფანჯარა იყო, შუაში — კარი, მარცხნივ კი — ქუჩაში გასასვლელი ჭიშკარი. მარცხენა ფანჯარაზე მოკლე, კოპლებიანი ფარდები ეკიდა, მარჯვენაზე კი, მთელ სიგრძეზე — ტიულის ფარდა. ეს როზეტას ოთახი უნდა ყოფილიყო. ფეხაკრებით მივუახლოვდი ოთახს. ფანჯრის ერთი დარაბა ოდნავ გაღებული იყო. ნაპრალში მოჩანდა საწოლის ნაწილი და გადაწეული საბნიდან პატარა, მზით გარუჯული მინიატურული ფეხი.

დარაბა უხმოდ გაიღო და მხოლოდ ჩემმა ლურსმნებდაკრულმა ფეხსაცმელმა ოდნავ გაიჭრაჭუნა ახლად შეღებილი ფიცრის იატაკზე, როდესაც ფანჯრის რაფიდან ჩავხტი.

როზეტას ეძინა. ცალი ხელი ლოყის ქვეშ ჰქონდა ამოდებული, მეორეთი კი მუშტი ჰქონდა გაკეთებული, თითქოს ვიღაცასთან ბრძოლას აპირებსო.

ფანჯარა მივხურე, სასთუმალთან სკამი იდგა, ზედ ფაქიზად ეწყო ტანისამოსი. სკამის კიდეზე ჩამოვჯექი და როზეტას ყურებით ვძღებოდი.

ბალიშზე გაშლილი თმა ეკლესიის ხატის ოქროს ვარაყივით ერტყმოდა მისი ანგელოზისებური სახის ოვალს.

მე შემეძლო დაუსრულებლივ მეცქირა მისი თლილი, მთრთოლვარე ნესტოებიანი ცხვირისათვის, ოდნავ შესამჩნევი ჭორფლისთვის, რომელიც მას სქელი წამწამებით დაფარულ თვალებთან ეფინა, შეშუპებული, ჭირვეული ტუჩებისათვის, ხალისათვის წვრილ, ქალწულურ ყელზე რომ აჩნდა... მისთვის, ჩემთვის ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზისა და სასურველისთვის.

— ჩემო სიცოცხლევ... — ძლივს წავიჩურჩულე მე.

როზეტას ქუთუთოები შეუკრთა, შემდეგ აწეული წამწამებიდან შემომანათა მისმა მომწვანო ცისფერმა თვალებმა და წამწამები კვლავ დაუშვა.

როზეტა ძილს განაგრძობდა, მაგრამ სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი აუკიაფდა და თან დამუშტული ხელი გაშალა.

— როზეტა... — ძალიან ჩუმად, რომ არ შეშინებოდა, ისე დავუძახე.

ფართოდ გახელილი თვალებით როზეტა გაოცებული მიყურებდა.

რა თქმა უნდა, მე ზედმეტად გაბედული ვიყავი, მაგრამ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებდი არც კი გავუღიმე.

— ღმერთო ჩემო... მე მეგონა ეს სიზმარი იყო!.. ხომ არ გაგიჟდი?!

მინდოდა მეპასუხა, ჰო, მართლა გავგიჟდი-მეთქი, მაგრამ როზეტა უკვე ლოგინზე წამომჯდარი და კისერზე ჩამოკიდებული მყავდა.

— ეს როგორ მოგივიდა თავში, ჩემო სანატრელო!..

იგი უკვე მთლიანად გადმოსახლდა ჩემს მუხლებზე და თავისი სხეულის სიმხურვალეში გამხვია.

— მე გადავწყვიტე...

მაგრამ უცებ როზეტამ ისეთი ძალით მკრა ხელი, რომ კინაღამ სკამიანად, იატაკზე დავეცი, და ელვისებურად ეცა კარს, რომელიც იღებოდა, მთელი ძალით მიაჯახუნა და გასაღებით ჩაკეტა.

— რა უფლება გაქვთ, რომ დაუკითხავად შემოდიხართ! — სიავით დაიყვირა როზეტამ და ჩემსკენ შემობრუნებულმა ხელით მანიშნა, არ გაინძრეო.

— ბოდიშს ვიხდი, მე მეგონა, რომ ჯერ ისევ გძინავს... — მოისმა კარს იქიდან მისი მამამთილის ყრუ ხმა. — მითხრეს, ლობეზე ვიღაც გადმოძვრაო.

— მერე, მე რა შუაში ვარ?.. — საცვლების ამარა ვარ... და თქვენ...

— შემეშინდა, ქურდი ხომ არ იყო მეთქი.

— იჰ, თავი დამანებეთ, ისედაც მთელი ღამე დავიტანჯე, ახლა კიდევ თქვენ, თქვენი ფანტაზიებით...

— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

— ღმერთო ჩემო!... ადამიანურად ძილსაც კი არ გაცლიან:..

მე აზრადაც კი არ მომივიდოდა, რომ როზეტას შეეძლო ასეთი სიავით ლაპარაკი.

— დაიძინე... დაიძინე...

ახლა ნათლად გავიგონე მიმავალი ნაბიჯები და სადღაც შორს კარის გაჭრიალება.

მე ისევ ვიჯექი შიშისაგან სკამზე მიკრული, როზეტა კი უკვე იწვა ლოგინში კედლისკენ გაწეული და ისეთი აღტყინებით სუნთქავდა, თითქოს ურბენიაო.

— ძალიან შეგეშინდა, საყვარელო? — ბოლოს გონს მოვედი და ვკითხე.

— ჯანდაბას!.. შენ ჩემი ხარ!.. ჩემი, და მე ამქვეყნად სხვა აღარაფერი მინდა... მოდი ჩემთან..

თითქმის შუადღე იყო, როცა როზეტა ადგა და ჩაცმა დაიწყო.

— ჩემი მამამთილი უნდა ვასადილო, თორმეტ საათზე დუქანს კეტავს ხოლმე შესვენებისათვის. არ შეგეშინდეს, კარს გასაღებით დავკეტავ.

— ჰო...მე ჩემი თავი კი არ მაფიქრებს...

როზეტამ მაკოცა და კარისაკენ გაემართა. ცოტა ხანს გაჩერდა. რაღაცა მოიფიქრა, მერე გამობრუნდა.

— კარგი კი იქნებოდა რომ წაესწრო ჩვენთვის ჩემს მამამთილს!

— ხუმრობ, თუ?

— არა. მაშინ ამით ყველაფერი მოთავდებოდა და მე შენი ვიქნებოდი... სამუდამოდ!...

— ჰო, რასაკვირველია...

— მე ძალიან მოსიყვარულე ცოლი ვიქნები... და ჩვენ გვეყოლება ისეთი ლამაზი შვილები!.. შენ ხომ შემირთავ ცოლად?

— სულელო!...

— ჩემო ძვირფასო!..

როზეტამ ოთახში ჩამკეტა და წავიდა.

ახლა მე შემეძლო ოთახი ყურადღებით დამეთვალიერებინა. იგი საკმაოდ მყუდრო გახლდათ, თუმცა ცოტა გადატვირთული იყო ავეჯითა და სხვადასხვა წვრილმანით.

როგორც ყველა კომერსანტი, ესენიც საკმაოდ შეძლებული ხალხი იყო.

ალბათ, ყველაფერ ამას პარიზში ვერ შევუძენ... მაგრამ ბედნიერება ხომ ნივთები არ არის... შვილები კი გვეყოლება ნამდვილად... მოიცა, მოიცა, მაშ როგორღა ვისწავლი?.. უნივერსიტეტის დაუმთავრებლად ხომ ვერ დავბრუნდები შინ? ცოლს რომ შევირთავ...კი, მაგრამ, როზეტას გარეშეც რომ არ შემიძლია!... ღმერთო, რა რთულია ეს ყველაფერი!..

როზეტა რომ დაბრუნდა, მე საკმაოდ უღიმღამო გუნებაზე დავხვდი.

— ცოტაც მოითმინე, ძვირფასო, — მითხრა მან. — მოხუცი ერთ ნახევარ საათს წაიძინებს, და როცა დუქანს გააღებს, ჩვენც ვისაუზმებთ.

— მე არა მშია.

— გენაცვალე, მარტო სიყვარული ვერ გაგაძღობს. მე მამამთილს ვუთხარი, შეუძლოდ ვარ და მთელი დღე ვიწვები-მეთქი. მას თავისი დის მოყვანა უნდოდა, შენ იცნობ იმას, აი, ის სქელი ქალი, ფოსტაში რომ მუშაობს... მაგრამ

მე ვუთხარი, ქალების საქმეში ნუ ერევით-მეთქი.

— ჰო...

— რა დაგემართა, რატომ ხარ ასე მოწყენილი?.. მითხარი, მითხარი, ხომ გიყვარვარ!

— მიყვარხარ!.. მიყვარხარ ყველაზე მეტად ამქვეყნად!

— ჩემო ძვირფასო!..

აწმყოთი მთლიანად შთანთქმულს აღარ შემეძლო მეფიქრა მომავალზე.

მეორე დილით, გათენებისას, პირდაპირ სამუშაოზე წავედი.

საღამოთი, როდესაც ჩვენი ბიჭების კუდში ჩანჩალით ძლივს მივედი სახლამდე, ისინი უკვე გარსშემორტყმოდნენ ვიღაცა პიჟონს, ძალიან ბაცი ფერის კოსტუმში გამოწყობილს, მიხაკისფერ შლაპიანსა და რაღაც ელეგანტურ შავ-თეთრტუფლებიანს.

იგი ჩემსკენ ზურგით იდგა და ერთბაშად ვერ ვიცანი გედეონი.

— ოჰ, ოჰ, ოჰ!.. შენ რა ლონდონელი დენდივითა ხარ ჩაცმული...

— სალამი! — მიპასუხა კმაყოფილებით სავსე გედეონმა.

— აბა, რა ამბებია პარიზში?

— გმადლობ, არაფერი... ჩვენ მისაღებად ემზადებიან. უკვე შეაკეთეს ელისეს სასახლე! — და როცა შეამჩნია, რომ არცერთ ჩვენთაგანს ხუმრობისათვის არ ეცალა, სერიოზულად დაუმატა: — ავტომობილების ყველა ქარხანას სჭირდება მუშა ხელი.

— შავი მუშა — შეუსწორა სტეფანემ:

— იქ ათასი სხვადასხვა ქარხანა და ფაბრიკაა, — ჩაიქნია ხელი გედეონმა.

— აი, აქ, შენი კოსტუმი დაკემსილია, — სტეფანემ თითით მიანიშნა მხარზე დაკემსილი, რომელიც ოდნავ მოჩანდა.

— ეს არაფერია, — შემცბარმა გედეონმა თავისი პიჯაკის საქმაოდ განიერი კალთების ქვევით დაწევა დაიწყო.

ნეტავი როგორ მოახერხა ქვევიდან ამ დაკემსილის შემჩნევა, — გავიფიქრე მე.

როგორც ყველა ძალიან დაბალი ტანის ადამიანს, სტეფანესაც სხვებზე უფრო ხშირად უხდებოდა თავის დამოუკიდებლობის შეხედულებათა მტკიცება.

— ეგ არაფერია... ისე კი, ეტყობა, კაი მკერავის შეკერილი კოსტუმია. — ვთქვი მე, რადგან გედეონი შემეცოდა.

— მაგ კოსტუმის შემკერავს, ალბათ დიდი ხანია სიბერე საიქიოსაკენ გაისტუმრებდა! — ჯიუტად განაგრძო სტეფანემ.

— ამან სულში რომ არ ჩაგაფურთხოს, არ შეუძლია! — აღმოხდა განაწყენებულ გედეონს. — ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება... აი, ეს ფეხსაცმელიც...

— შლაპა? — მიამიტად შეეკითხა კაკუნა.

— ეგ თვითონ მაგის ნაყიდია, ვერა ხედავ, ახალია! — მკაცრად ჩაერია ლაპარაკში სევერიანე. — წამოდი, გედეონ, გვიამბე, როგორ არიან ჩვენები იქ, პარიზში?

გედეონს უნდოდა სტეფანესათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და სევერიანეს გაჰყვა.

ხალხი დაიშალა და მე და სტეფანე მარტო დავრჩით.

— კაბარეს ალფონსისაგან უთხოვია ძველი კოსტუმი და ახლა აქ, ჩვენს წინ თავი მოაქვს! — ბოროტად თქვა სტეფანემ.

— შენ გშურს თუ რა? მერედა, იქ ამ საქმეს ყველა კი არ სჩადის!

— კოსტუმის ყაიდას ეტყობა თავისი პატრონი... და საქმე მარტო ეს კი არ არის, პრინციპია!

— სხვას არ ვიცი და, შენ კი პრინციპზე არაფერი გაქვს სათქმელი.

— რაო!? — აღშფოთებით წამოიყვირა სტეფანემ.

— განა შენა და სევერიანემ არ გააცილეთ ლეგაციის მდივანი იმ იდიოტური კრების შემდეგ... სადაც შენ პირველი აღშფოთდი იმის გამო, რომ მდივანმა არ მოისურვა მომაკვდავი გუგულის ნახვა.

— მე და სევერიანემ... ჩვენ ძალიან

გვინდოდა გამოგვეკითხა მისთვის პარიზის ამბები.

— ყველას რაღაცა უნდა... აი, გედეონსაც ძალიან უნდოდა კოსტუმი... ისე წავედი, რომ პასუხს არ დავუცადე.

* * *

შაბათს, როცა მე და ტოგო თამბაქოს დუქანში შევედით, დახლთან როზეტას ქმარი იჯდა.

ვიდრე ტოგო ძალიან დიდხანს არჩევდა ვარდისფერს, ცისფერსა და ყვავილებიან ქაღალდებს, შიგნითა კარში როზეტა შემოვიდა. მე რომ დამინახა, ძალიან გაფითრდა, მაგრამ როცა ქმარი მას მიუბრუნდა, როზეტა უკვე ჩვენსკენ ზურგით იდგა და რაღაცას ასწორებდა პატარა კარადის ვიტრინაში.

— მე უკვე მოვაწესრიგე მანდაურობა, ძვირფასო, — ალერსით უთხრა მას ქმარმა.

მე მოვტრიალდი და გასასვლელისაკენ გავეშურეთ.

— მოიცა, ოთარ, — დამიძახა ტოგომ. — მე აი, ამას ყვავილებიანს ვიღებ.

— ჰო, ჰო.. უსათუოდ ყვავილებიანი..

ტოგო უკვე ქუჩაში წამომეწია.

— მე მესმის... როცა საქმე წერილებს ეხება, შენ ნერვიული იქნება შენი წერილები არც ჩასულა და თქვენებმა არ იციან შენი მისამართი? გინდა მე მივწერ ჩვენებს, რომ იმათ...

— მე მარტო ის მინდა, რომ თავი დამანებო!..

— მაგას მე მეუბნები, შენს მეგობარს?!

— არავინ არ მინდა მე, არავინ!..

— არც მე?

— არც შენ!

ტოგო მეტისმეტად განაწყენებული წავიდა და მის მერე არ მელაპარაკებოდა. საკმარისი იყო მივსულიყავი მასთან და რამდენიმე სიტყვა მეთქვა, რომ წყენა მთლად გაუქრებოდა, მაგრამ რატომღაც მე ეს არ გავაკეთე.

ამის მერე ტოგოს უფრო მეტად ვაწყენინე: ის ფეხბურთს თამაშობდა მეზობელ ქალაქიდან ჩამოსული კათოლიკური სემინარიის გუნდში, მე საწინააღმდეგო გუნდში ვთამაშობდი.

მათ ერთი მოთამაშე აკლდათ, და წინასწარი ვარჯიშის დროს ტოგო რომ დაინახეს, სთხოვეს ჩვენს გუნდში ითამაშეო.

რაღაც უჩვეულოდ მეჩვენებოდა, როდესაც ბუჩქებში, რომელიც გასახდელის როლს ასრულებდა, შედიოდნენ აწოწილი, კოჭებამდე გრძელ ანაფორაში ჩაცმული ბიჭები, და იქიდან საკმაოდ ათლეტური აღნაგობის, ფეხბურთის ფორმაში გამოწყობილები გამოდიოდნენ.

ისინი თითქმის ყველანი საკმაოდ კარგად თამაშობდნენ, და ჩვენ სამის— ტოგოს, გედეონისა და ჩემს გარდა, ყველა ჩვენს მოთამაშეს სჯობდნენ.

თამაში საკმაოდ თანაბარი იყო, როდესაც დავინახე ჩვენსკენ მომავალი როზეტა და მისი ქმარი. ქმარს ნაზი ხელკავით ეჭირა როზეტა. ამან კი კინაღამ ჰკუიდან შემშალა.

თამაშში მე არასოდეს არ მაკლდა სპორტული ჟინი, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო.

სემინარიელთა მეკარე დიდებულად თამაშობდა, მაგრამ პირველი ტაიმის ნახევარში მაინც უკვე სამი ბურთი ჰქონდა გაშვებული.

ჩემს ზურგს უკან კიოდა და ცოფებს ჰყრიდა გედეონი, რომელიც თავისი შესახედაობით მოწინააღმდეგეთა ფორვარდებს აშინებდა. და, აი, აქ ტოგო თავდასხმიდან დაცვაზე გადავიდა და ჩემი „ყარაული“ გახდა.

იგი საოცრად სწრაფი და ტექნიკური, იყო და მანამდე მიწუხებდა სულს სანამ ბურთიანად კარში არ შევიტანე.

ტოგო თავით ძლიერ მიეხეთქა ძელს და რამდენიმე წუთი უგონოდ იწვა, ვიდრე კვლავ ფეხზე არ წამოაყენეს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სისულელე იყო, მაგრამ ეჭვიანობასაც ხომ ბევრი სთვლის სისულელედ.

პირველი ტაიმი დამთავრდა. ვცდი-

ლობდი არ გამეხედა როზეტასა და მისი ქმრისაკენ, წავედი, ბუჩქებს მოვეფარე და ჩაცმა დავიწყე.

მე ძალიან დავიღალე და მეორე ტაიმისათვის უკვე აღარ ვივარგებდი. როზეტას წინაშე შერცხვენა კი, მით უფრო მისი ქმრის თანდასწრებით არ მინდოდა.

ნეტავი რას მოათრევდა თან თავის ქმარს?

— სად მიდიხარ?

— შენ რა, ჩვენი გაბითურება გინდა?!

— ჩვენ ხომ წავაგებთ ახლა!

ჩვენი მოთამაშეები აღშფოთდნენ, მაგრამ მე მაინც წავედი. მოვიმიზეზე, ძალიან ცუდად ვარ და უნდა წავიდე და დავწვე-მეთქი.

ტოგო გვერდით, ცოტა მოშორებით იჯდა და მოწყენილი შორს იყურებოდა.

სახლის წინ, ოლიმპის სულ ქვედა საფეხურზე იჯდა წვერგაბანჯლული პორუჩიკი და სალესავზე სამართებელს ლესავდა.

— ცხოვრებაში მე ყველაფერი მეცვლება, ქვეყნები, ხალხი, ნივთები... გარდა აი, ამ სამართებლისა და ჩემი წყეული უბედობისა... — თქვა მან.

— რაო, რა მოხდა?

— შტაბსკაპიტანს თეთრი ცხელება სჭირს. ეჩვენება, რომ კედელზე დაძვრებიან ხვლიკები, ბაყაყები და სხვა ამგვარი საძაგლობა.

— მერე, შენ რას უპირებ?

— მოვნახავ სხვა მეწყვილეს... ჩვენ ხომ ბოლო ხანებში გამომუშავებაზე ვიყავით.

— მე შტაბსკაპიტანზე გეკითხები.

— იმას კი, მგონი უკვე მიუზღეს...

— რატომ ამბობ მგონიო?... საავადმყოფოში წაიყვანეს?

— რის საავადმყოფოში!.. გაყიდა იმ გათახსირებულმა ვოლკოვიცკიმ, რომ მორფის ფული ეშოვნა.

— მოიცა, მე არაფერი მესმის.

— რა არი აქ გაუგებარი... უცხო ლეგიონში ჩარიცხა.

— აი, თურმე რა საქმიანობას ეწევა...

იმიტომაა, რომ თითქმის არასოდეს არ მუშაობს.

— რა, განა არ იცოდით? შახტების ადმინისტრაციას მისი გასახლება უნდოდა. მან კი ჟანდარმებს რაღაც ქაღალდი აჩვენა და დატოვეს. ამბობენ, რომ ადმინისტრაციასთან შეთანხმებულია და აგულიანებს მხოლოდ იმათ, ვისაც სამუშაო ხელშეკრულების ვადა უთავდებათ.

— ახლა გასაგებია, უკანასკნელ ხანებში რატომ გვეპატიჟებოდა ხოლმე ყავაზე და სულ ერთთავად უცხო ლეგიონის „რომანტიკაზე“ გველაპარაკებოდა!

— თქვენს „დამუშავებაში“ იყო, ხელშეკრულების ვადა მალე გითავდებათ...

— მოიცა... კი მაგრამ, შტაბსკაპიტანი ხომ ახალგაზრდა არ არის?

— რატომ არ არის ახალგაზრდა?... ოცდამეთორმეტეში სულ ახლახანს გადადგა. სწორედ იმ ასაკშია, რომ მაროკოელების ტყვიას მკერდი მიუშვიროს.

— შესახედაობით კი ორმოცზე მეტისა ჩანს.

— ეს ამ წყეული ცხოვრების ბრალია. მგონი ვოლკოვიცკიმ მარტო ის არ მოაქცია ლეგიონის კაბალაში...

— შენ რა სულ „მგონი“, „მგონის“ გაიძახი! წამოყაჰე, ხომ არა გგონია, რომ ფრაერს ელაპარაკები!

— არა, რა თქმა უნდა... აი, ის ზორბა ბოთე პოლონელი, ყველა ქალს რომ აეტორლიალება ხოლმე... ჰო, და ერთი თქვენიც...

— ჩვენი?!.. რომელი?.. — თითქმის წამოვიყვირე მე.

— ეჰ, ეგ ჩემი საქმე არ არის. აი, დალევა კი ძალიან მინდა. გუშინ შტაბსკაპიტანთან გამოსათხოვრად, რაც ფული მქონდა, ღვინოში დავხარჯე. რა ვიცოდი, რომ დღეს თეთრი ცხელება დაეწყებოდა... — მწუხარედ გაიქნია თავი პორუჩიკმა.

— დალევაზე პასუხს მე ვაგებ.. მითხარი, ჩვენიანებიდან რომელია?

— ოფიცრის სიტყვას მაძლევ?

— მე რომელი ოფიცერი ვარ?!... თქვი, ნუ მაწვალებ... თორემ, მე შენ!..

— ნუ მაშინებ!... ჩვენ უკვე დიდი ხანია დაშინებულები ვართ. თორემ ისე დაგისვამ სამართებელს, რომ!..

— ღვინო იმდენი იქნება, რამდენსაც მოერევი, დედა არ მომიკვდეს!

— ეგ სხვა საქმეა, საერთოდ კი, უნდა იცოდე, როგორ ელაპარაკო ნალვინევ ხალხს...

— თქვი, ვინ არის?

— აი, ის, გარდაცვლილთან რომ ცხოვრობდა.

— სიმონა?

— სწორედ ის! მათ სამივემ გუშინ ყველა ქაღალდს მოაწერეს ხელი... ხვალ კი მათ ჟანდარმები გაგზავნიან სადაც საჭიროა.

მე თვითონაც ერთი მაგრად დათრობის ხასიათზე მოვედი.

ვსვამდით პორუჩიკის ოთახში და თან თეთრ ცხელებაშეყრილი შტაბსკაპიტნის უაზრო ბუტბუტი გვესმოდა, რაც ხანდახან კვნესაში და ღრიალში გადადიოდა.

უკვე კარგად შეზარხოშებულებმა შტაბსკაპიტანსაც დავალევინეთ ღვინო და მგონი უშველა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, მისი ხმა აღარ გვესმოდა.

იქვე შევუთანხმდი პორუჩიკს, რომ სანარდო სამუშაოზე მისი მეწყვილე მე ვიქნებოდი.

როდესაც პორუჩიკს უკვე ისე დაება ენა, რომ მისი აღარაფერი მესმოდა, მე ჩემს ოთახში ავედი.

სტეპკო მაგიდასთან იჯდა და იმ ათიოდე კვერცხიდან, რომელიც გვქონდა დარჩენილი, დიდი გულისყურით არჩევდა ყველაზე მსხვილებს, რომ თავისთვის ერბო-კვერცხი გაეკეთებინა.

— რაო, უკვე ამოირჩიე შენთვის ყველაზე მსხვილები?

— ჯერ ამოვარჩევ და მერე გავანაწილებ.

ორი წვრილი კვერცხი ჩემს ხვედრში ორმა მსხვილმა შეცვალა.

ახლა არამზადა და წვრილმანი მე აღმოვჩნდი, სტეპკო კი წამებული წმინდანის სახით მიღიმოდა ყოვლადმიმტევებლური ირონიით..

ამან საბოლოოდ გამომიყვანა მოთმინებიდან. ხელის ერთი მოსმით ისეთი ძალით გადავხვეტე მაგიდიდან მთელი კვერცხები, რომ ისინი მოპირდაპირე კედელს შეასკდა და ზედ ჩამოიღვარა.

გაოგნებულმა სტეპკომ ერთი პირობა შეხედა, რა ბედი ეწია მის ნავარაუდევ ვახშამს, მერე მომიტრიალდა და ღელვისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიყვირა:

— შენ არა გაქვს უფლება, ეს ჩემი ოფლით არის მონაგარი!

— გაეთრიე, ვიდრე ცხვირ-პირს არ ამოგინაყავ!..

— არა, არ წავალ, არ წავალ!

— გაეთრიე-მეთქი, უკანასკნელად გეუბნები!

— არ წავალ, ეს ოთახი ჩემიც არის!..

კარი გაიღო, შიგ იდგა გედეონი და მის ზურგს უკან სხვადასხვა სიმაღლეზე ამოყრილიყო თითქმის ყველა ჩემი თანამემამულის თავი.

— რა ამბავია, რა მოხდა? — რბილად იკითხა გედეონმა.

— რა შენი საქმეა? — მე ლოგინზე გავიშხლართე. — გთხოვთ, სხვის საქმეში ნუ ერევით!

გედეონი მიბრუნდა, წასვლას აპირებდა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან კორიდორიდან ხალხი აწვებოდა.

— ამან კვერცხები დამიმტვრია, ახლა ჩემი ოთახიდან მაგდებს!..

კორიდორიდან ომარის ღვარძლიანი სიცილი მოისმა.

— ხომ ხედავ, რომ ნასვამია... — დამამშვიდებლად თქვა გედეონმა. — ხვალ ყველაფერი დაგავიწყდება.

— მე შეიძლება დამავიწყდეს... აი, სიმონას კი ხვალინდელი დღე არასოდეს არ დაავიწყდება.

— სიმონა... რა შუაშია სიმონა? —

ერთდროულად იკითხა რამდენიმე კაცმა.

— ხვალ ის მიემგზავრება.

— სად?

— უცხო ლეგიონში. მაროკოში, აბდულ ქერიმთან საბრძოლველად.

— შენ რა სისულელეებს როშავ!— მკაცრად მითხრა სტეფანემ.

— ჰკითხეთ... — კინაღამ პორუჩიკი წამომცდა. — ჰკითხეთ იმას... ვოლკოვიცკის, რომელმაც ყველაფერი ჩააკვარახჭინა.

— რა შუაშია ვოლკოვიცკი, როცა შეგვიძლია თვითონ სიმონას ვკითხოთ! — აწრიპინდა გედეონი. — დედიმისის შვილია და ნუ იტყვის!

— ჩვენს ოთახშია ჩაკეტილი და მთელი დღე არ გამოსულა... მე ვუბრახუნე, არ მიპასუხა, — თქვა ნიკამ.

— პურიც კი კაკუნასთან ვჭამეთ... — წყენით დაუმატა უსიტყვო მიხამ.

სიმონა მათთან გადასახლდა გუგულის ავადმყოფობის დროს და ისევ იქ დარჩა, იმიტომ, რომ გუგულის ოთახში დღემდე არ ჩაუტარებიათ დეზინფექცია.

— სიმონას ჰგონია, რომ გუგული თავის ავადმყოფობაში მას ადანაშაულებდა... — რატომღაც ჩურჩულით თქვა კაკუნამ.

— ჰო!... — ბოხი ხმით დაურთო აჩიკომ.

— მე მას ვაიძულებ გამიღოს კარი. — გედეონმა მისწი-მოსწია თავის უკან მდგარი ხალხი და სიმონას ოთახისკენ გაექანა.

ყველა მას გაჰყვა. მხოლოდ სტეპკო იდგა ეულად შუა ოთახში და სევდიანად გასცქეროდა ყვითლად მოთითხნილ კედელს.

* * *

სამუშაო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მხოლოდ ხუთი დღეღა დარჩა. ბიჭების შფოთვა სულ მატულობს, თითოეული მათგანი მომავლის გეგმებს ისეთი მიამიტი ოპტიმიზმით ადგენს, რომ ერთსა და იმავე დროს სასაცილოც არის და სატირალიც.

განუწყვეტლივ ვფიქრობ როზეტაზე, მერე კი ჟანდარმებზე, რომლებიც თითქმის ყოველდღე გვიწყობენ დაკითხვას და იმ კატორღულ „გამომუშავებაზე“, რომლისთვისაც გამწირა უფულობამ.

ჟანდარმები დაკითხვებს ამაოდ არ გვიწყობენ. ვოლკოვიცკი, რომელმაც სიმონა, შტაბსკაპიტანი და ნახევრად ნორმალური პოლონელი უცხო ლეგიონში გაგზავნა, საავადმყოფოში წევს კბილებჩამტვრეული, ცხვირგატეხილი და ნეკნებჩამტვრეული.

ჟანდარმები ყველა ხერხს ხმარობენ გაიგონ ვინ არის ამის ჩამდენი, იმუქრებიან, გვაშინებენ, გვპირდებიან სხვადასხვა პრივილეგიას და ფულსაც კი, მაგრამ ამაოდ.

ჟანდარმების თარჯიმანი, ის საზიზღარი, ბუდას რომ ჰგავს, გაფუჭებული ბიჭის „მეგობარი“ მოხუცია.

იგი თურმე, მეფის ყოფილი ჟანდარმია, რუსეთის რომელიღაც აღმოსავლეთ რაიონიდან და ყველანაირად ცდილობს აქაურ ჟანდარმებს დაეხმაროს.

— ეს მოხუცი ყველა აქაურ ჟანდარმზე უფრო ეშმაკია და საშიში. ძალიან ფრთხილად იყავით იმასთან! — გაგვაფრთხილა მე და გედეონი პორუჩიკმა.

— მაგისთანები კი გვინახავს...

— ფრაერები არა ვართ!..

ამ, ადამიანებით მოვაჭრე სალახანის დასჯის იდეა ჩვენ სამივეს ერთდროულად დაგვებადა და სისრულეშიც მოვიყვანეთ ფარულად ყველა დანარჩენისაგან, ვისაც კი მისი შურისძიება სწყუროდა.

იქნებ ზოგიერთი ხვდება კიდეც, რომ ამის ჩამდენნი ჩვენა ვართ. მერე რა, თუ კი თანაგვიგრძნობს, კარგია... თუ არა და, ბიჭია და დაგვიმტკიცოს!

ჩვენ სამივე სოფლიდან მოვდიოდით და იმ გარეწარ ნარკომანზე სულ

მეტი და მეტი სიძულვილით ვლაპარაკობდით, როდესაც პორუჩიკმა, სხვათა შორის თქვა, ვოლკოვიცკი ყოველდამე, პირდაპირ თავის ზღურბლზე შარდავს, არც კი კადრულობს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმასო. აი, მაშინ დაგვებადა იდეა, რომელიც მომდევნო დღეებში საბოლოოდ დავაზუსტეთ.

პირველ სართულზე მცხოვრები პორჩუკი ღამის განმავლობაში თავისი ერთადერთი მაღვიძარა ისრიანი საათით აკვირდებოდა ვოლკოვიცკის შარდის ბუშტის მოქმედებას, მერე კი მართლმსაჯულება სისრულეში იქნა მოყვანილი.

კარგა ხანს ვიცდიდით ჩვენი სახლის მახლობელ ტყეში და ვწყევლიდით ახლადამოსულ სავსე მთვარეს, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ, მალე დიდმა ღრუბელმა დაფარა. ამით მოგვეცა საშუალება მივსულიყავით სახლის კუთხესთან, სადაც გზის განაპირა ოთახი ვოლკოვიცკის ეკავა.

იმ საზიზღარმა არც კი ინება თავისი ოთახიდან რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა და პირდაპირ საფეხურიდან აპირებდა თავისი საქმის გაკეთებას, როცა ჩვენ უკანიდან ჯერ ერთი, მერე მეორე და მერე მესამე საბანი გადავაფარეთ.

შიშისაგან გაათკეცებული ღონით გვიძალიანდებოდა, ცდილობდა დაეყვირა მიშველეთო, მაგრამ საბნები ხმას უხშობდა.

როცა ვოლკოვიცკის ტყეში მივათრევდით, ვიღაცის მუშტი უროსავით დაეშვა იმ ადგილზე, სადაც მისი თავი უნდა ყოფილიყო, და დადუმდა... მერე კი მასზე ამოვანთხიეთ მთელი ის ბრაზი, რაც გვქონდა სიმონას, შტაბსკაპიტნისა და პოლონელის გამო.

მივაგდეთ იგი უგონოდ, მის ოთახში დავბრუნდით და სამართებლის პირებით ავკუწეთ მთელი მისი გარდერობი, საგარეო ლურჯი კოსტიუმით, პალტოთი და ლაბადით დაწყებული და პერანგებით, ტუფლებითა და შლიაპით დამთავრებული.

ამის შემდეგ პორუჩიკის ოთახში კარგად გავასუფთავეთ ჩვენი საბნები და მე და გედეონი შინ დავბრუნდით.

დილით კი, სამუშაოდ რომ მივდიოდით, ჩვენ სხვებზე ნაკლებად არ ვაფასებდით ახალ ამბავს, რომ ვოლკოვიცკი სამნეკნჩამტვრეული და წინა კბილებამომტვრეული საავადმყოფოში წაუყვანიათო.

ერთადერთი ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ვოლკოვიცკის ოთახში შევედით. ჟანდარმები, ძირითადად იმ ფულის საკმაოდ დიდ თანხას ეძებდნენ, რომელიც დაზარალებულის განცხადებით მოპარული იყო.

ეს არამზადა, ცოცხალ-მკვდარიც კი ბილწობდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი ჩვენი დასახლება მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდა. მიზეზად ორ ვერსიას ასახელებდნენ. რა თქმა უნდა, დასაწყისში ძირითადი იყო, რომ ვოლკოვიცკის სამაგიერო მიუზღესო, მაგრამ მერე უპირატესობა მისცეს მეორეს, მორფით მოვაჭრეებმა გაუსწორეს ანგარიშიო. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, იმ ღამით ავტომობილის მოტორის ხმა შემოგვესმაო.

* * *

მაიცებს რა გაშმაგებით მუშაობს პორუჩიკი. სულის მოუთქმელად ატრიალებს იგი უზარმაზარ ლოდებს, ამტვრევს უროთი, აგორებს ძირს და ვაგონეტებში ტვირთავს, მერე ეცემა ხოლმე ნიჩბებს და დამსხვრეულ მადანს ტვირთავს, აგორებს სავსე ვაგონეტებს და გარბის, რომ ცარიელი მოაგოროს.

მე ვცდილობ არ ჩამოვრჩე მას, მაგრამ ამას ყოველთვის როდი ვახერხებ, თუმცა მე მასზე ახალგაზრდა და ბევრად ჯანიანი ვარ.

ზოგჯერ, როდესაც რომელიმე ჩვენგანი მოშორებით მდგარ კარბიდის ლამპას უახლოვდება, ჩანს, რომ ოხ-

შივარი აგვდის, დატვირთული ვაგონეტების გამწევი სინიბებივით.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ზვავმა წაგვლეკა და ჩვენ წელებზე ფეხს ვიდგამთ, ოღონდ სიცოცხლე შევინარჩუნოთ.

ჰოდა, სხვათა შორის, აქ უფულოდ დარჩენა, ზვავში მოყოლას ნიშნავს... ისევე გაგძვრება სული შიმშილისაგან.

კარგი ანდაზა აქვთ ფრანგებს: „ყველა თავისთვის, ღმერთი კი ყველასათვის“. ღმერთი აქ ფულია, და უიმისოდ ფონს ვერ გახვალ.

ჩვენი საშუალო გამომუშავება ორნახევარი ნორმაა, გადახდით კი ერთ ნახევარს გვიხდიან.

პირველი ჯამაგირის აღებამ აღმაშფოთა, ასე უსინდისოდ რომ გვყვლეფდნენ, მაგრამ მერე შევურიგდი ამას. 22. 40-ის ნაცვლად 34 ფრანკი საშუალებას მაძლევდა რომ გზის ფული გადამენახა.

ჩვენმა წითურულვაშა ამფეთქებელმა იანეკმა მითხრა: გამომუშავება ერთადერთი ხსნაა ოჯახის მქონე პოლონელებისათვის, და როდესაც მათ ჩემსავით პროტესტი განაცხადეს, ასე უპასუხეს: „თუ არ გინდათ, არავინ გაძალებთო!“

სანარდო მუშაობა ტექნიკის გარეშე შეუძლებელია. ეს ტექნიკა გვაქვს კიდეც. ეს არის რკინის განიერი ფურცელი, რომელზეც დაქანებულ ფერდობიდან დაშლილ მადანს ვუშვებთ, რომ იქიდან პირდაპირ ვაგონეტებში ვტვირთოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რკინის ფურცლის ახალ ადგილზე გადატანა ხშირად გვიხდება, ის ჩვენ მაინც ძალიან გვიადვილებს მუშაობას. იმის გარეშე ნიჩაბი კლდის წვეტიან გამონაშვერებს ედება და ისე ვიძაბებით, რომ წელში ვწყდებით.

დილაობით პორუჩიკი ღელავს ხოლმე, ჩვენი „ტექნიკა“ ხომ არ მოიპარესო და როდესაც თავის ადგილზე დახვდება, შვებით ამოისუნთქავს და უსაფრთხო ადგილას ჰკიდებს თავის ჩანთას, საიდანაც ორი ბოთლის ყელი მოჩანს.

— ორი ლიტრა ღვინო ხომ დაგათრობს... — ვუთხარი მას ერთად მუშაობის პირველსავე დღეს.

— სისულელეა... ღვინო აქ ერთბაშად ორთქლდება. აი, მალე შენ თვითონ დაინახავ!

მართლაც, მუშაობის დროს გახვითქული პორუჩიკი უცებ გადააგდებს ძალაყინს, უროს, ან ნიჩაბს, მივარდება თავის ჩანთას და ხარბად ყლაპავს რამდენიმე ყლუპს. მე დიდი სურვილი მებადება იგივე გავაკეთო, რომ რაღაცა ბიძგი მივცე ჩემს დაღლილ სხეულს, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ და თან დიდი მათარით მხოლოდ წყალი მიმაქვს, რომელსაც ჩემს საკმაოდ ღარიბულ საუზმეს ვაყოლებ ხოლმე.

კიდევ სამი ასეთი სამუშაო დღე, და მერე თავისუფალი ადამიანი ვიქნები.

სამუშაოდან დაქანცული დავბრუნდი. მთელი დღე მარცხენა ხელის გული მაწუხებდა.

დღის სინათლეზე რომ გამოვედი, ხელის გული გავისინჯე, მეგონა, რომ კოჟრი მიჩირქდებოდა, მაგრამ არა, მარცხენა ხელის ოთხივე ვეება კოჟრი ჭუჭყიანი ყვითელი ფერისა იყო და თუმცა რაღაცით მაგონებდა მიცვალებულის ტერფს, რომელთა პრეპარირება ოდესღაც მიხდებოდა, მაგრამ არცერთ მათგანს დაჩირქებით გამოწვეული სითეთრე არ დაჰკრავდა.

ხელის ყრუ და მღრღნელმა ტკივილმა ცოტა მიმავიწყა როზეტა და მისი იდილია ახლახან დაბრუნებულ ქმართან.

მეათიათასედ ვცდილობდი გონივრულად დამეჯერებინა თავი, რომ სისულელეა იეჭვიანო საყვარლის ქმარზე... მაგრამ ეს არ მამშვიდებდა.

არ მამშვიდებდა, თუმცა როზეტა დაჟინებით ცდილობდა ჩემთან შეხვედრას, საღამოობით გაივლიდა ხოლმე ოლიმპის წინ, როცა მე იქ ვიჯექი, ველოსიპედით მოდიოდა სოფელში, როცა მე იქ მივდიოდი სურსათის საყიდლად და ერთხელ შახტის გამოსასვლელთანაც

კი იდგა... მაგრამ ეჭვით შეპყრობილმა ვერ ვაიძულე თავი, რომ ხმა გამეცა.

არც თუ ისე მხიარული ფიქრებით გართული მივდიოდი თავდაღუნული და მესმოდა მხოლოდ ჩემი ფეხების ბებრული ფრატუნი ასფალტზე... როცა უეცრივ ვიღაცის მზერა ვიგრძენი.

როზეტა არღვევდა უღიმღამო შახტიორთა მასას და პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. იგი შეუპოვრად მიყურებდა, და როდესაც ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ოდნავ შესამჩნევად და საცოდავად გამიღიმა.

მე ხალხის ზურგს ამოვეფარე და გვერდით გავუარე... მეშინოდა არ გაეგოთ, რა მაგრად ძგცემდა მკერდში გული.

ღმერთო, რატომ მიყვარს ასე ძალიან?!

როდესაც ჩვენს სახლთან მოვუხვიე, მეორე სართულზე ამავალ კიბესთან ჟანდარმები იდგნენ. მოხუცი, ჩასხმული ბრიგადირი, ღა ორიც უფრო ახალგაზრდა.

მათ უკან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ჯგუფად იდგნენ გედეონი, კაკუნა, აჩიკო და პორუჩიკი.

თუმცა დაქანცული შესახედაობისანი იყვნენ მათ, დაპატიმრებულებს, საკმაოდ ამაყად და მხნედ ეჭირათ თავი.

— რაო, ჟანდარმებს იცავთ? — გავეხუმრე და გავლა დავაპირე.

— თითქოს ასე გამოდის... — ირონიულად გაიქნია თავი ჟანდარმისაკენ გედეონმა.

— ეი! ფსტ!.. შენ, შენ... — დამიძახა საჩვენებელი თითით ბრიგადირმა.

მე შევჩერდი. ჩემს გვერდით კი ბიჭები კიბისკენ მიდიოდნენ და თან ცდილობდნენ ჟანდარმებისკენ არ გაეხედათ.

ერთი ჟანდარმთაგანი მომიახლოვდა და ნიდაყვში ხელის ჩავლებას მიპირებდა, მაგრამ მე დავასწარი, მაჯაში ხელი ვტაცე და ძალით მოვიცილე.

— ფსტ-ს ძაღლებს ეუბნებიან!..

— ვუთხარი გაოგნებულ ჟანდარმს და გედეონს გვერდით ამოვუდექი.

სიბრაზისაგან აფხორილი ჟანდარმი მოგვიახლოვდა და რევოლვერის ბუდეზე მრავალმნიშვნელოვნად დაირტყა ხელი.

პასუხად მე და გედეონმა არანაკლებ მრავალმნიშვნელოვნად ავწიეთ და დავანახვეთ ჩვენი შახტიორის ლამპები.

მერე ჩვენი, „საეჭვოთა“ ჯგუფი უფრო გაიზარდა ნიკას და მიხას ხარჯზე, რომლებიც ღვთის მიერ არ იყვნენ დაჯილდოებულნი მაინცდამაინც სასიამოვნო გარეგნობით.

ამან საბოლოოდ დაგვამშვიდა მე, გედეონი და პორუჩიკი. აი, საეჭვონი მხოლოდ ჩვენ რომ ვყოფილიყავით...

დაკითხვა მოგვიწყეს ამ ბარაკში, სადაც მიცვალებულებს წესს უგებენ და ცეკვებს მართავენ ხოლმე, თარჯიმანი კი ისევ ის საზიზღარი მოხუცი იყო და ჟანდარმები ისევე წავიდნენ, როგორც მოვიდნენ.

* * *

მტკივანი ხელი მკერდზე მქონდა მიდებული და ოთახში ბოლთასა ვცემდი. სტეპკო კი თავისი ერბო-კვერცხის ჭამას ამთავრებდა.

— შენი ხელი ღორის ბარკალს დაემსგავსა... — აღნიშნა სტეპკომ და გალოკილ ტაფას თვალი მოაშორა.

მართლაცდა, ეს უფორმო კუნძი, რომელსაც ისეთი სინაზით ვიხუტებდი მკერდზე, უკვე არაფრით აღარ ჰგავდა იმ საოცრებას, რომლის ასლის აღებას ასე ამაოდ ცდილობენ მსოფლიო მექანიკოსები.

— დასწყევლოს ღმერთმა, რაღა მაინცა და მაინც წასვლის წინ ამტკივდა!

— ექიმმა რაო, რა გითხრა?

— ისევ კომპრესები... იმას, მგონი, არაფერი ესმის. აი, ამ შახტიორებმა, მისაღებში რომ იყვნენ, მირჩიეს სამუშაოზე ანგარიში არ გაასწორო, რამე რომ დაგემართოს, ინვალიდობის გამო დახმარების უფლება რომ არ დაკარგო.

— მაშ, შენ ჯერ რჩები?

— აბა, ამ ხელით სად წავალ?!

— მართალი ხარ... მე კი, როგორც კი, პარიზში ჩავალ, მაშინვე მისამართს გამოგიგზავნი.

ეს ისეთი უხალისობითა და გულგრილობით იყო ნათქვამი, რომ ერთბაშად ვერ მოვისაზრე რა მეპასუხნა.

— ოღონდ, ელისეს მინდვრებზე არ დასახლდე! — ბოლოს, როგორც მომეჩვენა, ვიპოვე პასუხი.

— არა... რომელი მინდვრები, მინდვრები აქაც მომბეზრდა. პარიზში, შიგ ქალაქის გულში უნდა ვიცხოვრო, მილიონერთა შორის.

— რატომ? — სტეპკოს ყბედობა ცოტა მავიწყებდა ხელის ტკივილს.

— ნუთუ არ გესმის?.. სადაც დოვლათი ბევრია, იქ შენც კარგადა ხარ, ოღონდ კარგად უნდა იყო ჩაცმული და ჩინებულ სასტუმროში უნდა ცხოვრობდე.

— თუკი სხვები ცხოვრობენ, შენ რატომ არ უნდა იცხოვრო?! —მე ვშიშობდი, რომ სტეპკო დაწვებოდა, დაიძინებდა და მე და ჩემი ტკივილი მარტო დავრჩებოდით.

ბოლოს ესეც მომბეზრდა და რამდენიმე დამცინავი რეპლიკით შევუწყვიტე მას ნეტარი ოცნება.

განაწყენებულმა სტეპკომ ტანზე გაიხადა და საწოლზე აძვრა.

—- ხვალ მე ძალიან ბევრი საქმე მაქვს გამგზავრების გამო— მითხრა მან, — და ძალიან გთხოვ, დამაძინო.

— იძინე, ბატონო!

— რა დამაძინებს, როცა ასე აბაკუნებ შენს ნალებდაკრულ ფეხსაცმელს ცემენტის იატაკზე. ამ სიცხეში განა არ შეგიძლია ფეხშიშველა სიარული?

— არა.

— ეჰ!

რამდენიმე წუთის შემდეგ სტეპკო არხეინად ხვრინავდა, მე კი სულ აქეთ-იქით დავდიოდი, ხან სიცივისაგან მაჟრჟოლებდა, ხან სიცხისაგან სული მეხუთებოდა.

უკვე გათენდა, როცა სრულიად ღონემიხდილი საწოლზე მივეგდე.

იმ დღით სიცხემ ძალიან ამიწია, სიარულის თავი აღარა მქონდა და ვამჩნევდი რომ, ჩემთვის ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ალბათ, მაბოდებდა.

გასამგზავრებლად მომზადებული ბიჭები მოდიოდნენ ჩემს სანახავად. ყოველი მათგანი მეუბნებოდა, ერთი წუთით შემოვირბინე და არ გემშვიდობები, რადგან წასვლის წინ კიდევ გნახავო.

მე ვიცოდი, რომ არცერთი მათგანი აღარ მოვიდოდა, მაგრამ არა მწყინდა, მესმოდა, რომ ეუხერხულებოდათ ჩემი ასეთ მდგომარეობაში დატოვება.

აი, იმაში კი ტოგომ რომ დაიტოვა. მე თვითონ ვარ დამნაშავე. მან კარი გააღო და შემოსვლას აპირებდა, რომ საწოლიდან დავიყვირე: ყველამ თავი დამანებოს-მეთქი. ტოგოს იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ წასულიყო.

მე სულ უფრო და უფრო ცუდად ვხდებოდი, მაგრამ მაინც მახსოვს მაგიდაზე დადებული სტეპკოს ორი ლაზათიანად შეკრული პაკეტი, გედეონი, მისი ფასდაუდებელი ჩურჩხელა, მისი მობოდიშო ღიმილი წასვლისას და უკანასკნელი ღამის გასათევად მოსული სტეპკო, რომელმაც სულგრძელად ჩამადებინა თავისი წილი ჩაიდანის, ტაფისა და სპირტქურის ხმარებაში.

მერე გველებით სავსე ღრმა ორმომ, ჩამძირა, ისინი უმოწყალოდ მკბენდნენ, მე კი ერთთავად ვიგერიებდი მათ...

ბოლოს, როდესაც ამ ორმოდან ამოვფოფხდი, ალიონი მტრედისფრად ჩამოღვრილიყო ოთახში.

მაგიდაზე სტეპკოს პაკეტები აღარ ელაგა და მისი საწოლიც ცარიელი იყო.

ირგვლივ ჩამოწოლილი უჩვეულო სიჩუმე მაოცებდა.

გაჭირვებით წამოვდექი და ბარბაცით გავედი კორიდორში.

ცარიელი ოთახების კარები ღია იყო, ირგვლივ ეყარა უამრავი ძონძი, დაფლეთილი ფეხსაცმელი, ცარიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთლი, და კიდევ, ეშმაკმა იცის, რამდენი ხარა-ხურა.

— წავიდნენ!.. — აღმომხდა მე და ოთახიდან გამოძახილმა ექოს რამდენჯერმე გაიმეორა: „წავიდნენ... წავიდნენ..."

იქნებ ექო არც იყო.. იმდენად თავბრუ მეხვეოდა, რომ კორიდორის ზოლი აქეთ-იქით ქანაობდა, კედლებიც მას მისდევდნენ.

უფრო გამიჭირდა დაბრუნება და დაწოლა.

ყოველთვის, როგორც კი ამოვფოფხდებოდი ხოლმე იმ წყეულ, გველებით სავსე ორმოდან, ვხედავდი მაგიდის ქვეშ მდგარ წყლით სავსე ჩემს მათარას... ის მთლად ახლოს იყო, მაგრამ ძალა არ შემწევდა ამეღო..

მწყურია... წყალი მწყურია!..

მე არაგვში შევიჭერი, ძლიერი დინება მკერდზე მცემდა და ჩემს წაქცევას ლამობდა, მე კი პირს ვაღებდი და...

— წყალი დამალევინეთ, წყალი...

და ის მათარა მაგიდის ქვეშ იყო, სულ ახლოს...

მივაპობდი მაყვლის ბარდებს, ხეებს ვეჯახებოდი, ვეშვებოდი ქვევით ჩაბარუხის ხევის ჩობოქარ წყალვარდნილისაკენ და მის ქვეშ თავგადაწეული ხარბად ვაღებდი პირს... უშრეტ ნიაღვრად მოედინებოდა წყალი...

— თუ ღმერთი გწამთ, ერთი წვეთი წყალი!.. ერთი წვეთი!..

ორმოში, ვეება ანაკონდა გარს შემომერტყა და თანდათან მკუმშავდა. ჩემს ნეკნებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა... და მქიდრო, შავმა წყვდიადმა მომიცვა...

მახსოვს, რამდენჯერმე გონს მოვედი, წყალს ვთხოულობდი... და მხოლოდ ფანჯრებს იქით ზუზუნებდა ქარი, და ბრახა-ბრუხი გაჰქონდა ცარიელ ოთახის კარებს.

დაუსრულებლად გრძელდებოდა დრო... საშინელი ტკივილი სდევდა თითოეულ წამს და ამას არ ჰქონდა დასასრული... წამები გადადიოდა წუთებში, წუთები — საათებში, მარადიულობაში...

ო, რა კარგი იქნებოდა, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო სამუდამოდ!

— გევედრებით, დამალევინეთ... წყალი!

ვიღაცის ხელმა თავი წამომიწია და, ჰოი, ნეტარებავ ვსვამდი წყალს!

— გეყოფა გენაცვალე!...

ეს როზეტას ხმა იყო... მე ვიცოდი, რომ ეს ზმანება იყო... წყალი კი ნამდვილი იყო, რადგან მიხელებდა მოკიდებულ ცეცხლს.

— კიდევ!... ცოტა კიდევ!

— გეყოფა!

ჰო, ეს როზეტა იყო... მაგრამ თვალები აცრემლებული რატომ ჰქონდა?

— როზეტა, რომ იცოდე, როგორ მტანჯავდა ეჭვი...

— ჰო, ჰო... დამშვიდდი ჩემო სიცოცხლევ...

და კვლავ გაუთავებელი წამები.. .

— წყალი დამალევინეთ!..

მათარის ყელი ტუჩებზე შემეხო და მე ვსვამდი, ვსვამდი... მაგრამ მერე კვლავ ვიღაცამ წამართვა.

— გთხოვ, ნუ წამართმევ მათარით წყალს, როზეტა!

— ეს მე ვარ, თომა. როზეტა სოფელში წავიდა ექიმის მოსაყვანად.

მერე კალეიდოსკოპივით ყველაფერი ტრიალებდა და იცვლებოდა. მე ამაყენეს და მაგიდასთან დამსვეს... თომამ როზეტას სახე მიიღო, როზეტამ კი ვიღაცა შავებში ჩაცმული ადამიანისა, რომელიც ხელს მიქლიბავდა... არა, ეს თურმე სპირტიანი ბამბით მიწმენდდა ხელს... და საიდანღაც მის ზურგს უკან როზეტას ხმა მომესმა:

— ექიმო, ეს ადამიანი ჩემთვის ბევრისმთქმელია!... ეს ადამიანი ჩემთვის ყველაფერია!.. თქვენ მე ბავშობიდანვე მიცნობთ... გევედრებით, არ გამკიცხოთ!

— თქვენ ისე დაიჭირეთ, რომ არ

დაინახოს... თქვენ კი მაჯაში მოჰკიდეთ, ოღონდ რაც შეიძლება, მაგრად!

თომას მუხრუჭივით უჭირავს ჩემი ხელი, როზეტამ კი თავით მკერდზე მიმიკრა და ხელის გული თვალებზე ამაფარა.

ყველაზე მტკივნეული ნემსი იყო, მერე კი სკალპელი წიწკინით შეიჭრა უშნოდ გასიებულ, გაშეშებულ ხელის გულში... და უცებ ტკივილი, ამდენ ხანს რომ მაწამებდა, თანდათან გარეთ გადმოინთხა.

— შეუდგით რაიმე ტაშტი, თუ გინდ ის ტაფა, თორემ მთელ იატაკს მოვსვრით.

მე ბევრად უკეთ ვარ, მაგრამ თავბრუ მეხვევა ძალიან და მეძინება.

— დაჩირქება ძვალსა და ხორცს შორის... ვფიქრობ საერთო სეფსისს ავიცილებთ... აი, ამ წამალს მისცემთ. ხვალ საღამოს მოვალ და ტამპონს გამოვუცვლი.

— გმადლობთ, ექიმო! სამკურნალო ფაქტურას ნუ გამომიგზავნით, მე თვითონ...

გასაგებია. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ველოსიპედი ჩემი მანქანის საბარგულშია.

— თომა წამოიღებს.

დაწოლაში მომეხმარნენ, ექიმმა მაჯა გამისინჯა და მერე თომამ გააცილა იგი.

—ახლა კი დაიძინე, ჩემო კარგო, მე კი აქაურობას მივალაგებ.

— როზეტა... მაშ შენ მე გიყვარვარ, და ის არა, არა?!

— ღმერთო, რა ტუტრუცანა მყავხარ!

— მაშ, მაშინ იმასთან ერთად რატომ...

— ჩუმად, თომა მოდის!.. — და უკვე ჩურჩულით დაუმატა: — მხოლოდ შენ და სხვა არავინ ამქვეყნად!

როზეტა საწოლზე ჩამოჯდა და შუბლზე ხელი დამადო. ახლა შემეძლო მშვიდად დამეძინა.

* * *

ერთმანეთს მისდევენ საოცრად გრძელი და იმავე დროს მოკლე დღეები. როზეტა ჩემთან მხოლოდ დაბინდებისას მოდის ხოლმე. ყოველთვის სხვადასხვა დროს, და არც თუ დიდი ხნით. მისი ქმარი მგონი რაღაცას გრძნობს.

სამუშაოზე წასვლის წინ და დამთავრების მერე თომაც მოდის. ექვსი თვე მეზობლად ვცხოვრობდით და არ ვიცოდი, რომ ისეთი კარგი, გულითადი ადამიანი იყო.

საერთოდ კი, კარგი ადამიანი არც ისე ცოტა ყოფილა... ბოლო დროს კი მე ადამიანებს სტეპკოს საქციელის მიხედვით ვაფასებდი.

სიცხე მაინც მაქვს და საკმაოდ მაღალიც. როცა წოლა მბეზრდება, მაშინ ვდგები, ცოტას დავდივარ, მერე მივუჯდები ხოლმე მაგიდას და ვწერ. აზრები, რატომღაც მეფანტება ათას რამეზე, ხანდახან სრულიად უსარგებლოზე და აბსურდზეც კი...

ახლა ქართველების ადგილზე აქ ინდოჩინელები ცხოვრობენ, რომლებიც მე ძალიან მომწონან. ისინი მინიატურულები, მაგრამ კარგი აგებულებისანი არიან, თავი ღირსეულად უჭირავთ, რაც ხელს არ უშლით ამავე დროს იყვნენ მეტად თავაზიანები. სისუფთავისა და წესრიგიანობის მიხედვით, მათს ბადალს მე ჯერ არ შევხვედრივარ.

ანამიტები, როგორც მათ აქ უწოდებენ, ჩემი ოპერაციის მეორე დილას ჩამოვიდნენ, და როდესაც შემთხვევით ოთახის კარი შემომიღეს და ხელშეხვეული დამინახეს, მწოლიარე და არასახარბიელო მდგომარეობაში, ისე დამიწყეს მოვლა-პატრონობა, როგორც თავისიანს.

ჩემი მხრივ, მე ისინი გავაფრთხილე გუგულის ოთახის დეზინფექცია, ისევე, როგორც მისი ლეიბის, საბნისა და ბალიშისა, არ არის ჩატარებული-მეთქი.

ისე, როგორც თავის თავის პატივისმცემელ ავადმყოფს ეკადრება, საჭმელი უხვად მაქვს. მის მოტანას ახერხებს როზეტა, მოაქვს თომასაც, ანემიტები კი, თითქოს ეს მათი მოვალეობა იყოს, დილა-საღამოს ჩემთან შემოაქვთ თითო ფიალა ბრინჯი, რომელზეც უარის თქმა უხერხულია, იმდენად სულითა და გულით მთავაზობენ... თუმცა ამ ბრინჯის ჭამა, ჩემთვის უჩვეულო სურნელების გამო, თითქმის შეუძლებელია.

არ ვიცი, ეს სიცხის გამოა თუ იძულებით უსაქმურობის გამო, მაგრამ თავში სულ ერთთავად ჩემი და როზეტას დამოკიდებულება მიტრიალებს.

როზეტა მე ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს, და, რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ერთად ვიქნებით, მაგრამ...

აი, ეს წყეული „მაგრამ“ მაიძულებს ვეძებო პრეცედენტები, დავუპირისპირო ისინი ჩემს მდგომარეობას და გამოვიტანო დასკვნები, რომლებიც შეიძლება, როცა სიცხე დამიკლებს, იმასთან ერთად გამომინელდეს.

მე სიგიჟემდე ვეჭვიანობ, მაგრამ ეს ხომ გასაგებია, როცა გიყვარს წმინდად და ამაღლებულად! ამაღლებულად?... აქ, რაღაც ის არ არის... სისულელეა ამაღლებულ სიყვარულზე ლაპარაკი. როცა შენ მუქთა მუშახელი ხარ, და გასამრჯელოს იღებ სწორედ იმდენს, რომ შიმშილმა არ მოგკლას და შეგეძლოს ნიჩბის ხელში აღება. შუასაუკუნეებში მონებსაც ხომ აჭმევდნენ, რომ მუშაობა შესძლებოდათ... განსხვავება ჩვენსა და მათს შორის მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ „თავისუფლები“ ვართ, და შეგვიძლია მუშაობაზე უარი ვთქვათ, მაგრამ მაშინ...

ალბათ კვლავ ამიწია სიცხემ, რადგან აზრები სულ სხვა, სრულიად ზედმეტი სოციალური პრობლემების ირგვლივ მიტრიალებს და აუცილებლად პოლიტიკურ დასკვნამდე მიმიყვანს... მე კი მინდა სრულიად თავისუფალი ადამიანი ვიყო!

მთავარი ის არის, რომ მე მიყვარს!... მიყვარს არანაკლებ იმათზე, ვიდრე უყვარდათ აშუღების მიერ ხოტბაშესხმული... არა, აქაც რაღაც მგონი ის არ არის... ყოველ დროში ხომ უდიდესი მიჯნურები ან მეფისწულები იყვნენ, ან თავადები და სპასლარები... და არა ყველაზე დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ადამიანები!

ეჭვიანი ოტელოს კლასიკური ფერსახეც კი გადატანილი დაბალ სოციალურ პლატფორმაზე, დაკარგავდა მთელ თავის მნიშვნელობას და უდიდესი ტრაგედია ბუფონადად გადაიქცეოდა.

დანა რომ ატაკოს, ან უფრო მეტი მსგავსებისათვის, წაახრჩოს რომელიმე ეჭვიანმა მეჯლანმა თავისი ცოლი... ეს იქნება მორიგი ფაქტი სისხლის სამართლის ქრონიკისა, რომელიც გააფთრებული მკვლელის მიმართ ზიზღის გრძნობას იწვევს.

მაგრამ ამავე დროს რა ღრმა და რთული გრძნობებით უყურებს მაყურებელი სპექტაკლს, სადაც ოტელო აღრჩობს დეზდემონას?!

ზოგიერთს ყველაფრის ნება აქვს — დაარჩოს კიდეც, გაისტუმროს საიქიოს ათეულობით მოწინააღმდეგე, ან და, საყვარელთან ერთად თავი მოიკლას.

თუმცა, თავის მოკვლა, თუ გინდ ამის ნება არ ჰქონდეს, ყველას შეუძლია, ყველას, ვისაც უნდა!

ხა, ხა, ხა!... რა სისულელეები მომდის თავში?! რატომღაც მინდა დავამცირო ყველა და ყველაფერი, რომ ჩემს დონემდე დავიყვანო...

თუმცა, რატომაც არა? ყველაზე დიდი მიჯნური ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი, განა ჩემზე მეტ ვაგონეტს დატვირთავდა?... და შრომა ხომ აკეთილშობილებს ადამიანს!

როზეტას მოტანილი თერმომეტრი

38.9°-ს უჩვენებს, როდესაც 39 გრადუსს გადასცილდება, მაშინ დავწვები.

ეტყობა, ყველაფერი სახელებზეა დამოკიდებული... თუმცა არა, აი, იმ ბებერ დალალსა და ქურდს, თბილისში ჩვენს ქუჩაზე რომ ცხოვრობდა, განა ოფელია არ ერქვა, ან კიდევ ჩვენს მეზობელ ეზოში დედა ნიაღავ არ ეძახდა თავის ლენჩ შვილს ჰამლეტს, ანდა მაიმუნის მსგავსი ბებერი მეკვერცხე ამაყად არ ამბობდა აპოლონი მქვია და სამსონის ძე ვარო.

მივხვდი! სახელები აქ არაფერ შუაშია... მთავარი ფულია!... უ, როგორ მძულს ყველა, ვისაც ბევრი ფული აქვს!... თუმცა, ყველა ერთნაირად მიაბარებს სულს... იმ საცოდავი გუგულივით... იმისი დედა კი იქ, ალბათ სჯვებს უმალავს, მაგრამ ცოტა ამაყობს იმით, რომ შვილი საზღვარგარეთ ჰყავს!.. კაკუნას ჯერ მისთვის არ მიუწერია...

მე რომ მივწერო წერილი?.. და როცა მიპასუხებს, ავუხსნა ყველაფერი ის, რაც... მაგრამ რად მიპასუხებს, როცა ჩემი ღვიძლი დედაც კი არ მაძლევს პასუხს?!

როცა მე ჩემიანებზე ვფიქრობ, ყოველთვის ვღელავ... ვგრძნობ, რომ სიცხემ ძალიან ამიწია, თვალებში ისევ სოსანი და ვარდისფერი წრეები მებლანდება. უნდა დავწვე.

* * *

რკინის მადნის შახტები ჰაობზე, ორნის დეპარტამენტში, — ოფიციალურად ასე უწოდებენ —ახლა უკვე განვლილი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში. მე უკვე ავტობუსით მივემგზავრები იმ პატარა ქალაქ ფლერში, სადაც ამ ექვსი თვის წინათ მატარებლით ჩავედით.

როზეტა მელოდება ფლერში, სადაც წუხელ უნდა ჩასულიყო თავის უშვილო მამიდასთან, რომელსაც იქ საგალანტერიო მაღაზია აქვს.

შახტებთან გამოთხოვება ცოტა წააგავდა საპატიმროსთან გამოთხოვებას, როდესაც შენ თავს აძლევ ფიცს, რომ იმ ადგილებში აღარასოდეს არ დაბრუნდები.

თომამ ხელი მაგრად ჩამომართვა, მერე გადამეხვია და მაკოცა, ცდილობდა არ ეჩვენებინა თვალზე მომდგარი ცრემლი.

— მე მესმის... —საკმაოდ უტაქტოდ ვთქვი მე, —მიდის უკანასკნელი ქართველი.

— არა... —რაღაც უცნაურად გაეღიმა თომას, —შენ რატომღაც სხვებზე მეტად მომწონდი... რაც შეეხება იმას... ჩვენ ყველა უკანასკნელი ქართველები ვართ!

— რასაკვირველია... — დავუდასტურე მე, თუმცა მთლად ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა უნდოდა.

პორუჩიკთან გამოთხოვება არანაკლებ მძიმე იყო. მან ყველა ღონეს მიმართა და მაიძულა მთელი ერთი ბოთლი ღვინო დამელია, თვითონ სამჯერ მეტი გამოწრუპა და როცა წამოვედი, მაგიდასთან მჯდარი დავტოვე, ნიდაყვზე თავი დაედო და ეძინა.

როზეტასთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდი და მაღიზიანებდა ფანჯარაში ერთმანეთის სწრაფად შემცვლელი, ლაჟღაჟა მწვანე მინდვრები და გზის განაპირას ჩამწკრივებული ვაშლის დახუნძლული ხეები, და ბოლოს, ეს პატარა ქალაქი, ქვაფენილით მოკირწყლული, დიდი მოედანი, ეკლესიის გვერდით ავტობუსის გაჩერება და სხვადასხვა ჯურის მეშახტეებისაგან ასე განსხვავებული ერთფეროვანი, ბევრად უკეთ ჩაცმული ხალხი

როზეტა გაჩერებასთან მელოდებოდა და ჩემს აღფრთოვანებულ მისალმებაზე რაღაც მორიდებულად მიპასუხა:

— რა ამბავია? —ვკითხე მე.

— ფრთხილად... მამიდა მახლავს თან.

— რატომ წამოიყვანე?... სად არის?

— აგერ იქ, შავკოსტუმიანი... ავტომობილის გვერდით...

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით...

— მამიდამ ყველაფერი იცის!... ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემეძლო... ასე... არავისთვის რომ არაფერი მეთქვა.. —და უკმაყოფილება რომ შემატყო, დამშვიდება დამიწყო.— მე მას ძალიან ვუყვარვარ... და შენ საგანგებოდ კარგი სადილი მოგვიმზადა.

— მაშ ჩვენ ოტელში არ წავალთ?.. მატარებლის გასვლამდე ათი საათია დარჩენილი.

— არა, ჯერ მამიდასთან.

ჩვენ მივედით მაღალ, ფრთაგაყრილშლიაპიან, შავ კოსტუმში ელეგანტურად ჩაცმულ მანდილოსანთან.

— გამარჯობათ, მადამ როშე!

— გამარჯობათ, მესიო ოთარ! —მან ხელთათმანიანი ხელი გამომიწოდა და იმავე დროს თვალებში ჩამხედა. —მე უკვე ვიცი, თქვენ ვინცა ხართ.

— მაშ... რადგან თქვენ ყველაფერი გცოდნიათ... — გადავაჭარბე და აქცენტი საშინელი გამიხდა, — მაშინ, მე, რაღა თქმა უნდა...

— გთხოვთ, ყველაფერ ამაზე შინ ვილაპარაკოთ. დაბრძანდით მანქანაში.

ძველმა, მაგრამ კარგად მოვლილმა პატარა მანქანამ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მიგვიყვანა ბაღის სიღრმეში მდგარ, სუროშემოვლებულ ქვიტკირის სახლთან.

კარი ჩამკვრივებულმა, ლოყებწითელა მოსამსახურემ გაგვიღო, ღიმილით შემოგვაგება სიდრით ჩაშავებული კბილები და ჩემოდანი გამომართვა.

ჩვენ შევედით ძველებური ავეჯით მოწყობილ სასტუმროში. ბუხრის თავზე შავი ხისა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული დიდი ჯვარცმა ეკიდა.

მადამ როშემ მიაწოდა მოსამსახურეს თავისი შლიაპა და ხელთათმანები, ალბათ, პირველ ხანებში ჩემი და როზეტას მარტო დატოვება არ უნდოდა.

— დაბრძანდით, ბატონო, აი, აქ, აქ უფრო მოსახერხებელია... თქვენ თურმე პარიზში გაქცევა გადაგიწყვეტიათ?

—დიახ, ჩვენ ასე გადავწყვიტეთ! —დამასწრო და ჯიუტად უპასუხა როზეტამ. ამით გამაგებინა, რომ მამიდას რაღაცაში არ ეთანხმებოდა.

მაგრამ, მადამ როშეს ჩემი პასუხი აინტერესებდა.

— დიახ. — ვთქვი მე.

— და, რით აპირებთ ცხოვრებას?

ეს უფრო დაკითხვას წააგავდა, თუმცა მამიდას ამის ყველა უფლება ჰქონდა.

— ჩვენ იქ ვიმუშავებთ და ვისწავლით. მე სამედიცინოს დავამთავრებ, როზეტას კი ხატვა ეხერხება, და ყოველთვის ოცნებობდა...

— ხა, ხა, ხა!... სიცილით მომკალით!... ხა, ხა, ხა!..

მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ასეთი, ახალგაზრდული სიცილი შეეძლო, მაგრამ მაინც მეწყინა.

— მე აქ სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

— ღმერთო ჩემო, რა ბავშვები ხართ!.. ხა, ხა, ხა!..

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს! — მტკიცედ თქვა როზეტამ.

— ეჭვი არ მეპარება! — უცებ ძალიან სერიოზული გახდა მამიდა და რაღაცა მწარე ღიმილით, დიდხანს და დაჟინებით გვიყურებდა ხან როზეტას, ხან მე.

— ჩვენ სიძნელეები არ გვაშინებს!— გამოვძალე ჩემს თავს ტრაფარეტული ფრაზა, და იმავე დროს ვგრძნობდი, რომ პატარა ბიჭივით თავს ვიმართლებდი.

ლაპარაკი სხვა გზით უნდა წარმემართა, მაგრამ ლექსიკონის სიტყვათა სიმცირე ხელს მიშლიდა.

მამიდამ იგრძნო ჩვენი დაძაბულობა და ტონი ცოტა შეარბილა.

— თქვენი სურვილები სავსებით ნორმალურია... და მათში არაფერი არ არის ცუდი. მაგრამ არის კი შესაძლებელი მათი შესრულება?

— ოღონდ კი სურვილი იყოს — ვთქვი მე.

— ძალიან დიდი სურვილი! — დაუმატა როზეტამ.

— სამწუხაროდ, მხოლოდ სურვილები არ არის ყოველთვის საკმარისი...

თუ მხედველობაში მივიღებთ ამდენ გაუთვალისწინებელ ფაქტორს..

მე სიტყვა შევაწყვეტინე საკმაოდ ირონიული რეპლიკით.

— ახლა... თავზე რომ აგური დაგვეცეს, ეს, რასაკვირველია, გაუთვალისწინებელი ფაქტორი იქნება. — და უკვე სრულიად სერიოზულად დავუმატე. — მაგრამ ჩვენ პირველები არ ვიქნებით, რომლებმაც ცხოვრება ცარიელ ადგილზე დაიწყეს. მთავარია, რომ მე და როზეტას ერთმანეთისა გვწამდეს.

— რასაკვირველია! — დამიდასტურა როზეტამ.

მამიდა ახლა მარტო მე მომმართავდა.

— აგური, ეს არაფერია. მე გატყობთ, მაგარი თავი გაქვთ, მაგრამ არსებობს უარესი ამბებიც, მაგალითად, ეკონომიური დაცემა, ახლა რომ იწყება, რომელსაც უმუშევრობა მოჰყვება. თქვენ რა, გაზეთებს არ კითხულობთ?!

— ვკითხულობთ, — ვუპასუხე მე.

— და არ ფიქრობთ, რომ საფრანგეთში, უმუშევრობის დაწყებისას, სამუშაოდან პირველ რიგში უცხოელებს გააძევებენ... რაც სავსებით ნორმალურია.

— რატომ? — მე ცოტა დავიბენი კიდეც.

— იმიტომ, რომ, ჯერ თავო და თავო. მერე ცოლო და შვილოო!.. და თქვენ ერთადერთი უცხოელი ბრძანდებით...

— მამიდა, ეს არალოიალურია!.. შენ მტკივნეულ ადგილზე ურტყამ! —აღშფოთდა როზეტა.

— თქვენ ორივეს არ გინდათ გამიგოთ. მე მხოლოდ თქვენზე ვწუხვარ!— და კვლავ ჩემსკენ მობრუნებულმა დაუმატა. — როზეტა ჩემი საყვარელი ძმისწულია, ჩემი ერთადერთი მემკვიდრე, და მე მაქვს უფლება შევწუხდე მისი ბედით.

— ეს სრულიად ნორმალურია. — ვთქვი მე.

— არ მინდა, მე არავითარი მემკვიდრეობა არ მინდა! იმასაც ვიკმარებ, რაც გვექნება და ბედნიერნი ვიქნებით!

— რაო, განა მეც შენი ბედნიერება არ მინდა?

— ჰო... გინდა... იმიტომ მიმათხოვე იმ... იმ... — მწარედ ატირებულმა როზეტამ თვალებზე ხელები მიიფარა.

— უნდა გამიგო, როზეტა, მე არაფერს არ გიკრძალავ და არც შემიძლია აგიკრძალო! მე მხოლოდ ჩემს აზრს ვამბობ...

—ჩვენ ვერავინ ვერაფერს ვერ აგვიკრძალავს! — ძალიან დარწმუნებით ვთქვი მე.

კარებში მოსამსახურე გამოჩნდა.

— სუფრა გაშლილი გახლავთ. — თქვა მან და ატირებულ როზეტას მიაშტერდა.

— წამობრძანდით, თქვენ ალბათ არ იფიქრებთ, რომ მე თქვენი მოწამვლა მინდა.

სადილობის დროს ჯერ სრული სიჩუმე სუფევდა, თუმცა მადამ როშემ რამდენჯერმე სცადა ეოხუნჯა, ერთხელ როზეტა გააცინა კიდეც.

სუფრასთან მე, არ შევრცხვენილვარ, დანა-ჩანგლით მოხერხებულად ავქენი ნახევარი შემწვარი წიწილა, რითაც მამიდის კმაყოფილი შემოხედვაც კი დავიმსახურე.

თევზთან ერთად მოტანილმა თეთრმა ღვინომ, შემდეგ კი ვარდისფერმა კორსიკულმა, მაღალ საზოგადოებაში მიღებული მანერით მამიდის თავისუფალმა ლაპარაკმა თანდათან მე და როზეტა კარგ ხასიათზე დაგვაყენა.

ბოლოს და ბოლოს მამიდას აფიქრებდა როზეტას მომავალი. ისეთი შთაბეჭდილებაც კი შემექმნა, რომ მამიდა ჩემს მიმართ სიმპათიით განეწყო.

მე მაშინვე მივხვდი, რომ მადამ როშე საკმაოდ ჭკვიანი ქალი იყო, მივხვდი იმასაც, რომ მას უნდოდა ჩემზე მოეხდინა შთაბეჭდილება თავისი არისტოკრატიზმით. რომელიმე უცხოელ მეშახ-

ტესთან მას ეს ძნელად არ უნდა მოსჩვენებოდა, მაგრამ მერე, როდესაც ვსვამდით ყავას ნამდვილი იამაიკური რომით, და მე დაწვრილებით ავუწერე კუნძული იამაიკა, მერე ანტილიის მცირე კუნძულები, კარიბის ზღვა და მექსიკის სრუტე, მამიდა უკვე პატივისცემით მიყურებდა.

მართლაც, მშვენივრად ვიცოდი ის, რასაც ვლაპარაკობდი. ჯერ კიდევ სულ პატარაობისას, მე და ჩემი ძმა შოთა ამ ზღვაში ვმეკობრეობდით... პირამიდე სავსე აბაზანაში მჯდარი ჩვენი მეკობრეთა გემის მოვალეობას გუტაფისის დიდი სასაპნე ასრულებდა, ზარბაზნებად მაკარონს ვიყენებდით, რომელსაც მზარეულ მუნჯს ვპარავდით და ყველაფერ ამას თავს დაჰფრიალებდა შავი დროშა, დედაჩემის შლაპაზე მოჭრილი ბაფთა.

მომდევნო წლებში მე გადავიკითხე ყველაფერი, რაც კი იყო დაწერილი ასეთ რომანტიკულ, ოდესღაც მეკობრეებით სავსე დედამიწის ამ ნაწილში... მამაჩემის გეოგრაფიული ენციკლოპედია კი, სადაც ეს ადგილები იყო აღწერილი, იმდენჯერ იყო ნახმარი, რომ მისი წაკითხვა თითქმის შეუძლებელი იყო.

როზეტა დაუფარავი სიამაყით ისმენდა ჩემს ლაპარაკს და ხანდახან გაკვრით შეხედავდა ხოლმე თავის მამიდას, აქაოდა, ხედავ, რა ჭკვიანი მყავსო.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდა მედიცინაზე და შემდეგ ლიტერატურაზე, ეჭვის შეტანა ჩემს „ინტელიგენტობაში“, პირდაპირ უსინდისობა იქნებოდა.

— აბა, ახლა კი, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ. — თქვა მადამ როშემ.

იგი ოდნავ ფერმკრთალი იყო და ისე ეჭირა თავი, რომ მივხვდი, დიდი ხანია ამისთვის ემზადებოდა.

— კი, ბატონო... — ვთქვი მე, ყოველი მისი შემოტევის მოსაგერიებლად მომზადებულმა.

— უპირველეს ყოვლისა, რამდენი წლისა ხართ?

ეს, ცოტა არ იყოს, დაუშვებელი ილეთი იყო.

— წლებს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი კულტურაა... და... — მე უცებ ვერ მოვნახე სიტყვა.

— და ისიც, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს! — დაამთავრა ჩემს ნაცვლად როზეტამ.

— არა, მაინც რამდენის?... თქვენ ხომ ჩემი ასაკის ქალი არა ხართ, რომ წლები დაფაროთ... — გაეცინა მამიდა როშეს.

— მე ხომ უკვე გითხარი, მამიდა!.. — ხმას აუწია როზეტამ.

— ცხრამეტისა... — მართალია მე ძალიან ვცდილობდი მეთქვა ეს დარბაისლურად, მაგრამ თვით ციფრი ჩემს სასარგებლოს არას ამბობდა.

— და ეს პირველი სიყვარულია?

— მამიდა!

— არაუშავს... — ვუთხარი მე როზეტას. — დიახ, პირველია!

— მერე, თქვენ იცით, რა პასუხისმგებლობა ეკისრება დაოჯახებულ კაცს?

— შენ ეს იმ ჩემს მონა-მორჩილს ჰკითხე! — სიბრაზით თქვა როზეტამ.

— იქ ეს პასუხისმგებლობა მხოლოდ მის მშობლებს აწევთ კისერზე... აი, მუსიო ოთარი კი სრულიად მარტოხელაა.

— თქვენ ბრძანებთ ეკონომიურ შესაძლებლობაზე?.. დღესდღეობით ის ნულს უდრის, მაგრამ მომავალში...

— მერე, რა იმედი გაქვთ, რომ მომავალში გექნებათ?

— ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი მიზნის მიღწევის სურვილი და, ბოლოს, — ჩემი როზეტასადმი სიყვარული!

— სიყვარული! ეს ძალიან კარგი რამეა, მაგრამ მას მატერიალური სტიმული სჭირდება.

— შენ ყოველთვის ყველაფერი ფულზე გადაგაქვს, მამიდა!.. აი, ჩვენ ფული გვქონდა. მაგრამ განა ვიყავი მე

ბედნიერი?! ბოდიში ვიხდი და, არაც შენ!..

ეს, ალბათ ეწყინა მამიდას, რადგან მან ტუჩები მოკუმა და თვალები ოდნავ მოჭუტა.

— ალბათ ყველაფრის ლაპარაკი პირდაპირ ჰოგვიხდება,—ყრუდ თქვა მან — დიახ, ფულია საჭირო!... ფული, რომ გქონდეთ, დასაძინებელი ადგილი და საჭმელ-სასმელი!.. ფული, რომ შენი ქმარი არ გადაიქცეს შენთვის და შენი შვილებისათვის ლუკმა პურის საცოდავ მაძიებლად... ფული, რომ შენ არ იქცე პროსტიტუტკად!

— რაებს ბრძანებთ, მადამ! — თითქმის წამოვიყვირე მე.

— დიახ, დიახ!.. როზეტა ლამაზი ქალია და მას არ მოასვენებენ! — თქვენ კი, სპეციალობის გარეშე, ენის ცუდი მცოდნე, შავ მუშადღა ივარგებთ... და ისიც საკითხავია, იშოვით კი სამუშაოს?!

— ნუ გეშინიათ, ვიშოვი! მე არავითარი სამუშაო არ მაშინებს.

— ეგ არ არის საკმარისი როზეტასათვის.

— ეს მხოლოდ პირველ ხანებში იქნება. მერე მე განათლებას მივიღებ.

— როგორ?.. უფასოდ თქვენ არავინ არ გასწავლით, ან იქნებ როზეტას კმაყოფაზე აპირებთ ყოფნას, ვიდრე ისწავლით?.. მაგრამ ამასაც როზეტა პატიოსანი შრომით ვერ შესძლებს... სხვანაირად კი...

— თქვენ ამის თქმის უფლება არა გაქვთ. მე ალფონსი არ გახლავართ!

— მაქვს, იმიტომ, რომ თქვენ ან სრულიად უვიცი ბავშვი ხართ, ანდა პირწავარდნილი ეგოისტი.

— მე, ეგოისტი!

— დიახ... მე სხვანაირად ვერ ავხსნი თქვენი მომავლის გეგმებს.

— მაშასადამე, ჩვენ არა გვაქვს უფლება გვიყვარდეს ერთმანეთი, ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე? — ვუთხარი მე.

ლამაზი, ნატიფი ხელი შეეხო ჩემს შეხვეულ ხელს.

— ოი, ღმერთო ჩემო, ჯერ კიდევ რა ბავშვები ყოფილხართ. თქვენ არამარტო სიყვარულის უფლება გაქვთ, არამედ ვალდებულები ხართ გიყვარდეთ ერთმანეთი!.. თქვენ არა გაქვთ უფლება მხოლოდ გამოუსწორებელი შეცდომების ჩადენისა, რომლებიც პირველ რიგში აი, სწორედ მაგ თქვენს სიყვარულს დაასამარებს!

— მე არ მესმის. — თქვა როზეტამ.

— მეც ვერ გავიგე, მადამ.

— ჩემო ძვირფასო ბავშვებო... დიდი გრძნობით წარმოთქვა მამიდამ.—თქვენ მთელ ჩემს ნათქვამს ამოღებული ხმალივით შეხვდით. მე კი მხოლოდ როზეტას სიყვარული მალაპარაკებდა.

—გასაგებია. თქვენ მე როზეტას შესაფერისად არ მიგაჩნივართ და ამიტომ ხელს არ გაძლევთ...

— მე მხოლოდ ის მაძლევს ხელს, რაც როზეტას... უფრო სწორად ის, რაც მას ბედნიერებას მოუტანს, გაიგეთ ბოლოსდაბოლოს!.. ოღონდ ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს ჭკუით და არა უაზრო აჩქარებით.

— როგორ? — იკითხა როზეტამ.

— როგორც ყველა ჭკვიანი აკეთებს. მე მესმის, რომ სიყვარული ყოველთვის ცოტა ეგოისტურია, მაგრამ ნამდვილი კაცი...

— თქვენ მე არ მიცნობთ, მე ეგოისტი არა ვარ! — სიტყვა შევაწყვეტინე მას.

— ძალიან კარგია, თუ კი ეს ასეა.. მაგრამ მე რატომღაც არა მჯერა.

— გარწმუნებთ, მე როზეტას გულისათვის ყველაფერზე მზადა ვარ!

— მაშ რატომ არ გინდათ ჯერ თქვენ მარტო წახვიდეთ პარიზში, მოეწყოთ, იშოვოთ ბინა და მერე როზეტა წამოიყვანოთ?!

— მე ჩემს ქმარს ვერ დავუბრუნდები! — კვნესით აღმოხდა როზეტას

— არც არავინ გაძალებს, იცხოვრე

ჯერ აქ, ჩემთან. მადლობა ღმერთს, ადგილი ბლომადა მაქვს.

როზეტა ჩაფიქრდა და სწორედ ამან მაიძულა მიმეღო გადაწყვეტილება.

ჰო, მამიდა ალბათ მართალი იყო და უნდა გამეკეთებინა ის, რასაც იგი ამბობდა.

ყველა დანარჩენს, მას შემდეგ, რაც მადამ როშეს დავეთანხმე, უკვე მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. როზეტა ტიროდა, თვალცრემლიანი მიღიმოდა და მამშვიდებდა, მე კი ერთობ თავგანწირვით ვისმენდი მამიდის გაუთავებელ რჩევებს.

მერე მადამ როშემ გაისტუმრა მოსამსახურე და თავის მაღაზიაში წავიდა.

მარტოდ დარჩენილებმა მე და როზეტამ გულდასმით გადავსინჯეთ ყველა შესაძლებელი ვარიანტი და ჩვენი მომავალი ცხოვრების ოციოდე წლის გეგმა წინასწარ დავსახეთ.

საღამოთი, ვახშმობის შემდეგ როზეტამ და მისმა მამიდამ სადგურზე გამაცილეს.

მიმავალი ვაგონის ფანჯრიდან თავზარდაცემული გავყურებდი თანდათან, როგორ მშორდებოდა მტირალი როზეტას სახე, როგორ პატარავდებოდა მისი სხეული... მერე კი მხოლოდ ელექტრონის სინათლით უქმოფენილი მისი თმა დიდხანს ოქროსფრად ბზინავდა პატარა, პროვინციული სადგურის ბაქანზე.

მე დიდხანს ვიდექი ფანჯარასთან, გავცქეროდი აგვისტოს ნათელ ღამეს, სრულებით არ მეპარებოდა ეჭვი, რომ შევძლებდი ჩემი დანაპირების შესრულებას.. და არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი თვალებში მომდგარ ცრემლებს, რომლებიც მხოლოდ ადასტურებდა ჩემს უდრეკ გადაწყვეტილებას, მებრძოლა ჩემი და როზეტას ბედნიერებისათვის.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

# მამულო, საყვარელო!

არც დატყვევებულ ნესტანში,
არც მიჯაჭვულ ამირანში,
არც სასომიხდილ ლუხუმში
და არცა დაჭრილ არწივში
დღეს აღარ იგულისხმები!..

მაგრამ სინაზე ნესტანის,
მოთმენა ამირანისა,
იმედი ბერი ლუხუმის,
ბრძოლის უნარი არწივის, —
გაქვს და გექნება ყოველთვის!

* * *

ქართველი კაცის გულო, —
სულ სხვა ცეცხლით რომ იწვი, —
ხარ დასაპყრობად რთული
ჭკუით, გონებით, ნიჭით!

ქართველი კაცის სულო, —
სავსევ სხვაგვარი ელვით, —
ხარ გენიით და სიბრძნით
მოსახიბლავად ძნელი!

მაგრამ (ვაი, რომ მაგრამ!)
ჩვენი გული და სული
ადვილად ხდება მსხვერპლი
ურთიერთმტრობის, შურის!..

,,შური არს მწუხარება
სხვისა კეთილსა ზედა“. —

ის მძიმე უღლად გვადგას!
ის მძიმე უღლად გვედგა!

ბევრი ქართული გული,
ბევრი ქართული სული
მოიწამლა და მოკვდა
ურთიერთმტრობით, შურით!..

ბევრი ნათელი თვალი,
ბევრი მაღალი შუბლი
გადაინისლა ქიშპით,
კინკლაობით და შუღლით!..

ეს ტრაგედია უკვე
დროა, რომ დაასრულო, —
ქართველი კაცის გულო!
ქართველი კაცის სულო!

# მამელუქი

იგი ქართულით იშვა გენითა!
მის სახულს ჰქონდა ძალა შელოცვის!
მან გააკეთა ყველაფერი და...
ვერაფერი — საქართველოსთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე ეს ლამაზი სიცოცხლე მომკლავს,
ეს უსაშველოდ კარგი სიცოცხლე!..
და, თუ ლექსად წვას სიკვდილი ბორკავს,
ნინდა, სიკვდილშიც ლექსად ვიწვოდე!

## პარადოქსი

ღიმილი, ცრემლი... — ყველაფერი, რაც
სუფევს ირგვლივ, —
თურმე არ იყო დაწერილი იმის იღბლადა:
არ უცოცხლია, არ მომკვდარა, რადგანაც იგი
ამ ქვეყანაზე არ მოვიდა, არ დაიბადა!

## აღსასრული

.·. და, როგორც იქნა, იგი მოვიდა;
ადრე ველოდით, გვიან მოვიდა;
უკურნებელი სენით შეპყრობილ
საბრალო მოხუც ქალთან მოვიდა
და მოასვენა მოხუცი ქალი...

## ტერენტი გრანელი

სამარადისო მელირსა ბინა, —
დარეკა ზარმა ჩემი შინ წასვლის...
და ნაწამები სხეული მიმაქვს
უფრო ნაწამებ ქართულ მიწაში!

## ანდერძი

შვილო, ჩემზე ნუ იტირებ,
განა, მართლა მიწაში ვარ?!
მზეს შეხედე! — იმ მზეში ვარ,
ცას შეხედე! — იმ ცაში ვარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კაშკაშა ვარსკვლავში ვარ,
გზა რომ უნდა გაგინათოს,
გაქართველოს, გაამაყოს
და იმედი გაგიმართლოს!

## ჩემს კრიტიკოსს

ნამდვილ ტკივილებს იწუნებ,
„ყალბი არისო“! — იგონებ...
ო, რა გულგრილად კითხულობ
ამ სისხლით ნაწერ სტრიქონებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი

## წიგნი პირველი

### აღთქმა

### I

საგაწგაში, ამბავი — მამა ულონოდ არის და ცოცხალს მოუსწარიო — სოლომონ ბატონიშვილს კაცხის სასახლეში მოუტანეს. ბატონიშვილი აქ დადმარხვის პირველ სამშაბათს ამოვიდა ბაბუა ლევანის სანახავად. ბაბუა — არგვეთის დიდი ბატონი ლევან აბაშიძე — და იმერთა გვირგვინოსანი მეფე ალექსანდრე, ძველი თანამდგომნი ქვეყნის გარე და შინაურ მტრებთან ომში, ბოლო დროს უმძრახად ბრძანდებოდნენ. აგერ ორმა თუ ორნახევარმა თვემ გაიარა, რაც სიძესიმამრს ერთმანეთი აღარ ენახათ. რას უნდა გამოეწვია ეს უმძრახობა? ისევ და ისევ აბაშიძის გაუთავებელ მძლავრობას და გულზვიადობას. ლევანი ახლად დაწინაურებულ წერეთლების გვარს ავიწროვებდა და კიდევაც გადაეწყვიტა, მათთვის ჯრუჭულის ხეობის სოფლები წაერთმია. ამ ხეობაზე ჯერ კიდევ შოშიტა რაჭის ერისთავს ეჭირა თვალი. დღე ერთი იყო და ერისთავისა და წერეთლის კაცები ერთმანეთს ათჯერ დაეტაკებოდნენ. ჯერ სათიბების გამო წაიკიდნენ ხიხა-მთაზე, შემდეგ, სათიბები რომ თავისად დაიგულა, მეფის წაყრუებით ძალამოცემული ერისთავი საწალიკეზე გადმოვიდა და წერეთელს მოხვა და ყვიჩორი წაართვა. ალექსანდრეს დიდად გაუჭირდა ამ ორი შეურიგებელი მოქიშპის დაშოშმინება და შერიგება, ხოლო როდესაც ორს ეს მესამე, თვით მეფის სიმამრი ლევან აბაშიძეც მიემატა, აშკარად და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოჰხატა თავისი უკმაყოფილება. სიმამრს პირდაპირ უთხრა: თუ შეიძლებოდეს, იმას დასჯერდით, რაც ღმერთს მოუცია და სხვის ბოსტანში კენჭების სროლას თავი გაანებეთო.

დიდი გიორგი აბაშიძის თავმომწონე შვილი, აბაშიძეთა ჯვარის ახლანდელი მეთაური ბატონი ლევანი, ჩვეული როდი იყო ამგვარ უბოდიშო შემოძახებას იმერთა მეფეთაგან. ალექსანდრეს, თუკი სალი განსჯისა და ანგარიშის უნარი ჯერ კიდევ ჰქონდა, უნდა ხსომებოდა, სამეფო ტახტზე ვისი მეოხებითაც იჯდა. მერე რა ვუყოთ, თუ ლევან აბაშიძის ქალი ესვა დედოფლად! ვგონებ, არც იმის გახსე-

ნება აწყენდა, თუ რა მოიგო აბაშიძეების ურჩობითა და კრიჭაში დგომით მამამისმა გიორგი მეფემ, რომელიც თვით ლევანის მამამ, დიდმა გიორგიმ 1720 წლის თევდორობის შაბათს თავის მსახურებს თხმელისციხეში შუბზე ააგებინა.

სოლომონი დედამ შეაგულიანა და თითქმის ძალისძალად გაასტუმრა ვარციხის სასახლიდან. ქუთაისის ციხე და მეფის სასახლეები აქ მოღალატე სახლთუხუცესის, სეხნია ჩხეიძის მიერ მოყვანილ ოსმალთ ეპყრათ. ალექსანდრე ხან გეგუთის ციხე-დარბაზში ცხოვრობდა დედა-წულითა და მსახურებითურთ და ხანაც თავისი გარჯით აშენებულ ვარციხის სასახლეში ბრძანდებოდა. დადიანისა და ერისთავის მოხტომისას, ათას შვიდას ორმოც თუ ორმოცდაერთ წელს, ვარციხის სასახლე უღმერთოდ დაზიანდა. ალექსანდრემ ის თეიმურაზ ქართლის მეფის მიერ გამოგზავნილ ქვითხუროებს შეაკეთებინა, გალავანიც საგულდაგულოდ გაამაგრა და საყვარელ ადგილზე მთელი სამეფო ჯალაბით დასახლდა.

თამარ დედოფალმა, მეფე ალექსანდრეს თანამეცხედრემ და ლევან აბაშიძის ასულმა, ჩინებულად უწყოდა, რომ თვითმპყრობელ მეფეს არ მართებდა მოძალადე ქვეშევრდომის წინაშე ქედის მოდრეკა და შესარიგებლად ხელის გაწვდა, რადგან უსიამოვნების ჩამოგდების მიზეზი ლევანის გადამეტებული სიხარბე და მეფის ერთგული წერეთლების უხიაგი ამოჩმება იყო, მაგრამ გამჭრიახ ქალსა და დედოფალს ისიც არანაკლებ მოეხსენებოდა, რომ მამის გავლენის დასუსტებას იმერთა მეფის კარზე, შესაძლოა, მისი გავლენის დასუსტებაც მოჰყოლოდა. ამიტომ ქმრის უქეიფობით ისარგებლა და სოლომონი ისე გაგზავნა კაცხს, ლევან აბაშიძის საგვარეულო მამულში, ალექსანდრესათვის არც კი გაუმხელია.

სოლომონმა ლევანს ვერ მიუსწრო. ბაბუა და შვილიშვილი ერთმანეთს გზაში ასცდენოდნენ. აქეთობას სოლომონი ალისუბანში შეჩერდა და ღამე საყვარელიძეებში გაათია. ბატონმა ლევანმა უთუოდ იმ დროს გაიარა. სოლომონს ახალი შერთული ცოლი, ინალიშვილის ასული თინათი და მცირე ამალა ახლდა. მომღერლობით განთქმულმა საყვარელიძეებმა თავი გამოიდეს და სიმღერით ჭერი აწიეს. ამაზე უფრო დიდებული და საპატივცემო სტუმრები ვინღა მოუვიდოდათ! დაღვრემილ ბატონიშვილს გულიდან ზაფრა გადაეყარა. თავადაც მღეროდა. წამიერად განცდილი ბედნიერებისა თუ რაღაც სხვა იდუმალი მიზეზის გამო დროდადრო მდუღარე კურცხალი მოადგებოდა ხოლმე და თანამეინახეებს თვალებს არიდებდა. ჯერ მთლად ნორჩი თინათიც არანაკლებ აღელვებული ჩანდა. ბროწეულის ყვავილისფერი გულმოხდილი კაბა ეცვა, კაბის ხალისიანი ფერი თითქოს ღაწვებსა და ყელ-კისერზეც მოსდებოდა და ქალი კერაზე გაღვივებული მუგუზალივით გიზგიზებდა. ახალგაზრდა ბატონიშვილი, ღვინო რომ მოეკიდა, ოდნავადაც აღარ მალავდა, რომ თავისი მშვენიერი თანამეცხედრით მოხიბლული იყო. ღმერთი მოეხმარა, დედას რომ დაუჯერა და წამოვიდა. ვარციხის პირქუშ სასახლეში გამეფებული ერთფეროვნებისა და მოწყენილობის შემდეგ თინათი თვალს გამოახელდა, ქვეყანას დაინახავდა...

მასპინძლები გულით ნაღვლობდნენ, დიდებულ სტუმრებს რომ სწორედ დიდმარხვა შეერჩიათ აქ მოსაბრძანებლად. შიმშილით სული ამოგხადეთ, მოგიკვდეთ ჩვენი უღირსი თავიო. დილას, ნასაუზმევს, საყვარელიძეებმა ცხენები შეკაზმეს, სოლომონის განუყრელ ძიძიშვილებს, ოკრიბელ ნიკოლოზა და დათუნა ნაფიჩვაძეებს, წუხელ რომ ისე დედის რძესავით შეირგეს შარშანწინდელი ცოლიკაურის ღვინო, გვერდში ამოუდგნენ და ბატონიშვილის ამალას შეერივნენ.

მთელი სკანდა, ჩიხორი და საზანო მათ საცქერლად გამოეფინა.

ბატონმა ფეხად გაგასწროთ, ჰალატყეს გეახლათო, მოაგება სოლომონს აბაშიძის სახლთუხუცესმა ესტატე ფალავანდიშვილმა და წვერ-ულვაშაკოკრებული ახალგაზრდა ბატონიშვილის ცხენს წელში ორად მოდრეკილი გაუძღვა ჰიშკრისაკენ.

მართლა არ იყო ბაბუა შინ თუ ტყუოდა ეს ბებერი ეშმაკი? სოლომონს გაახსენდა: იმხანად აგარიანთაგან შელეწილ კოშკებს და იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე აგებულ ძველ საყდარს აახლებდნენ ჰალატყეში. ლევანს საგანგებოდ მოწვეული ოსტატები ეყენა...

ვიდრე პალატიდან გამოცვენილი ბიჭები კაკლებით დაჩრდილულ ვეება ეზოში აძაგანებულ ქოფაკებსა და მწევარ-მეძებრებს ხულაში დაამწყვდევდნენ და სახლთუხუცესის დაძახებისამებრ დიდებულ სტუმრებს ცხენების ჩამოსართმევად ეახლებოდნენ, სოლომონმა უნებლიეთ თვალი შეასწრო ახლადშელესილ სადარაჯო კოშკებს, ქვითკირის ორსართულიანი სასახლის უკან, შიგ გალავანში რომ იყო დატანებული. მარცხენა კოშკზე ორი სართული დაემატებინათ. სულ ზედა სართულის სათოფურებიდან ახლა, ალბათ, მთელი გაღმა მხარე — არამცთუ მარტო სკანდისა და მაჭუტაურის ციხეები, თვით ჩხარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც კი გამოჩნდებოდა ოქონის გორაზე.

ფიქრი არ უნდა, სვერის, სკანდის, მუხურის და ჩხერის ციხეებსაც შეავლებდნენ ხელს აბაშიძეთა მეციხოვნე კალატოზები. აკი ჰალატყის კოშკებსაც უბრუნდებოდა ადრინდელი პეწი და მიუდგომლობა.

ბაბუა ლევანი, ანგარიშიანი და წინდახედული კაცი, ამოდენა ხარჯს, რაც დროთა განმავლობაში დარღვეული და დაუძლურებული ციხეების შეკეთებასა და განახლებას სჭირდებოდა, ტყუილ-უბრალოდ არ გასწევდა. მაშ რა ამბავი იყო? ვის დასახვედრად ისხამდა აბჯარს საბძანშიო? სოლომონს გულში ეჭვის ნაპერწკალი გაკრთა და შემდეგ ამ ეჭვმა თანდათან დაჰრია ხელი. სურდა თუ არა, თავს უნდა გასტყდომოდა: აქ, ყურისძირში, მეფის ზურგსუკან, არგვეთის დიდი ბატონი საშიშ ხაფანგს აგებდა. მაგრამ ვისი დაჭერა განეზრახა? ნუთუ ღალატს აპირებდა? ნუთუ ბაბუა, ყოველთვის ასე ტკბილი და ჭკვიანი, ვერაგმა ერისთავმა და დადიანმა მიიბირეს?

სოლომონის ფარული ეჭვი სახლთუხუცესის მიკიბულ-მოკიბულმა ლაპარაკმა კიდევ უფრო გააძლიერა. ფალავანდიშვილი თითქოს რაღაცას უმალავდა და წამდაუწუმ საქმეს იმიზეზებდა, რომ ბატონიშვილის წინ არა მდგარიყო და მის დაჟინებულ მზერას როგორმე გაჰქცეოდა.

მხლებლებმა უგუნებობა შენიშნეს ბატონს. წუხანდელი ნასვამია, გამოყოლილი იქნებაო, გადაწყვიტეს და შეუმჩნევლად წავიდ-წამოვიდნენ. სოლომონთან მხოლოდ თინათი დარჩა. მას უკვე გამოეცვალა სამგზავრო ტანსაცმელი და, რაკი მარტის მზე ჯერ ისევ უძალოდ დაჰყურებდა ნაგვიანევი ყინვით დამზრალ დედამიწას, კოჭებამდე ჩამოშვებულ იისფერ კაბაზე სიასამურის მოკლე ქურქი წამოესხა და ამგვარად ჩაცმული კიდევ უფრო ნორჩი და მომხიბვლელი ჩანდა.

## II

დედოფლის გამოგზავნილი შიკრიკი გამთენიის ჟამს მოიჭრა კაცხის სასახლეში. აქ ჯერ ისევ ეძინათ, რადგან უმასპინძლოდ გაშლილი ვახშამი თითქმის დილამდე გაჭიანურდა და შიკრიკმა კარგა ხანს ურტყა თოფის კონდახი ალაყაფის ჰიშკარს, ვიდრე ღამის ყარაული სახლთუხუცესს გააღვიძებდა და აბაშიძის ბიჭები რკინის ურდულებით ათასნაირად ჩაკეტილ-ჩაგმანულ კარს გააღებდნენ. შიკრიკს, ოკრიბელ ბრეგვაძეს, უზარმაზარი ხმის გამო დიდი და პატარა რომ „ურახუნედ“ იცნობ-

და, მთელი ღამე ეჭენებინა ცხენი. წიგნი არაფერი ჰქონდა. დედოფალ თამარს სიტყვიერად დაებარებინა, შვილო სოლომონ, სულთმობრძავი მამა გნატრულობს და, თუ გიყვარდე, ახლავე წამოდი, იქნება ცოცხალს მოუსწროო.

სასახლემ თვალის დახამხამებაში გაიღვიძა. ადამიანები ბინდბუნდში ადი-ჩამოდიოდნენ ოდიდან პალატში, პალატიდან—ოდაში და ამით თითქოს ავსებდნენ უაზრო სიცარიელეს, რომელიც სამწუხარო ამბის შეტყობის შემდეგ თავისთავად წარმოიქმნა. ვილაცამ მოისაზრა და პალატის ბუხრიან დარბაზში, სადაც წუხელ ივახშმეს, ჭერში ოთხი ძეწკვით დაკიდებული ცისფერქუდიანი ლამპა აანთო. მალე ფართო დერეფანი და კიბეებიც ჩირაღდნებით გაანათეს. ქალი და კაცი გარეთ გამოეფინა. ყველა დაბნეულობას მოეცვა, აღარ იცოდნენ, რა მოემოქმედათ.

ამ ამბის შესატყობად სოლომონი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომზადებული იყო. იცოდა, დღეს თუ ხვალ საზარელი ჟამი დაჰკრავდა, მაგრამ ფალავანდიშვილმა რომ გააღვიძა და ენის ბორძიკით აუწყა დედოფლის შემონათვალი, თავისდაუნებურად ერთი ხმამაღლა წამოიძახა, ვაიმე, ჩემო საწყალო მამაო და ბალღივით აზლუქუნდა. ამ დილას, მოთენდებოდა თუ არა, ის ჭალატყეში აპირებდა გამგზავრებას. აქ ჯდომა და ლოდინი დროის უქმად დაკარგვა იყო. ბაბუას უთუოდ ჭალატყეშივე მიუსწრებდა და პირველად თავის სიცოცხლეში, როგორც მამაკაცი მამაკაცს, ქვეყნის საჭირბოროტო საქმეზე სიტყვას შებედავდა. რას უპასუხებდა მუდამ პატივსა და გუნდრუკის კმევას ჩვეული ზვიადი აბაშიძე? ამ წუთში ხომ ისინი მხოლოდ ბაბუა და შვილიშვილი აღარ იქნებოდნენ. სოლომონი დედოფლისა და დარბაზის სახელით მიმართავდა და ლევანსაც, როგორც ქვეშევრდომს, პირზე რძეშეუმშრალი შვილიშვილის სიტყვა მორჩილად უნდა მოესმინა და პასუხიც ასჯერ გაზომილი და ერთხელ გაჭრილი გაეცა. სოლომონი შინაგანად ემზადებოდა და თრთოდა მოსალოდნელი და გადაუდებელი შეხვედრის წინაშე. მან წინასწარვე ამოჩემებულად იცოდა: ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, ვერ დაუთმობდა ბატონ ბაბუას, თუკი ის უკან არ დაიხევდა და ჩვეულ ამპარტავნობას სოლომონის წინაშეც არ დაიშლიდა. მერე რა უნდა მოჰყოლოდა ამას? ახალი განხეთქილება და შეურიგებელი მტრობის ჩამოგდება ბაბუასა და შვილიშვილს შორის?

ვარციხიდან შიკრიკის მოსვლამ ყველა წინასწარი გეგმა ჩაშალა...

სხვებზე ადრე ძმები ნაფიჩვაძეები ეახლნენ ბატონიშვილს, თავისებურად შემოუძახეს, გამხნევდი, ვეჟო, ბატონ მეფე ალექსანდრეს სატირალი და თავში საცემი ღმერთმაც ნურაფერი გაუჭირვოსო და, ვიდრე ჯავრისაგან გამშრალი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სოლომონი თანშეზრდილ ძიძიშვილებს რასმე უპასუხებდა, სამგზავრო ტანსაცმელი და თოფ-იარაღი მოართვეს.

ალისუბნელი საყვარელიძეები, ამალის სხვა წევრები, ლევან აბაშიძის აზნაურები და შინამოსამსახურეები ამ დროს დერეფანში შეჯგუფულიყვნენ და მოუთმენლად ელოდებოდნენ ბატონიშვილისა და მისი კალმით ნახატი თანამეცხედრის გამოჩენას.

ახლა ვინღა ვერ მიხვდებოდა: მეფე ალექსანდრე ცოცხალთა შორის აღარ იყო. ასე რომ არა, ცოცხალს მოუსწარიო, დედოფალი არამც და არამც არ შემოთვლიდა. მაგრამ რაკი მეფეს მაინც სულთმობრძავად, ესე იგი ცოცხლად იხსენიებდნენ, თავი ყველას მხნედ ეჭირა და ამით, ალბათ, ჭირისუფლის მდგომარეობის შემსუბუქებას ესწრაფვოდა.

ამას გარდა, ისიც ყველამ კარგად იცოდა, იცოდა თავისთვის და არა სხვებთან სალაპარაკოდ, რომ ახლად-

დაქორწინებული ყმაწვილი კაცი, გუშინდელი ბატონიშვილი, ვინც ჯერ კიდევ არგვეთის ბატონის სასახლეში ბრძანდებოდა, უკვე ლიხთიმერეთის გვირგვინოსანი მეფე იყო და ისე ეჩქარებოდა მის დანახვას, თითქოს წუხელ მათ წინ არ მჯდარიყოს და აქამდე თვალიც არსად მოეკრათ.

სოლომონი რომ კიბეზე გამოვიდა, უმალვე შეატყო ხალხის საქციელში მომხდარი ცვლილება და ეს ავად ენიშნა: მას ისე შეხვდნენ, როგორც მეფეს. ნუთუ სახლთუხუცესმა ფალავანდიშვილმა რაიმე დაუმალა და ამათ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე ჭირისუფალმა?

ამის გაფიქრებაც იყო და მან თვითონვე იგრძნო რაღაც მოუხელთებელი ცვლილება საკუთარ თავში, იგრძნო და ყოველნაირად შეეცადა ცთუნებას მორეოდა და სულის სიღრმიდან წამოყელყელავებული პატივმოყვარეობა როგორმე ჩაეხშო. მას შემდეგ, რაც წამოიზარდა და კაცობაში შევიდა, სოლომონი ფარული გულისკანკალით ელოდა ამ წუთს, ელოდა დროს, როცა ქვეყნის ყველა სადავე თავს მის ხელში მოიყრიდა, მაგრამ ის კი არასოდეს უფიქრია, რომ იგივე წუთი მამამისის — მეფე ალექსანდრეს აღსასრულის წუთზე იყო გადაბმული. ეს წუთი ახლა ან უკვე იდგა, ან წამის-წამ ახლოვდებოდა და უღირსი შვილი, რომელსაც თურმე სულის სიღრმეში მშობელი მამის ამ ქვეყნიდან წასვლა ეჩქარებოდა, მოზღვავებულ სირცხვილსა და სინდისის ქენჯნას გრძნობდა.

სოლომონს არც კი შეუტყვია, როგორ ჩამოვიდა ნაგვიანევი სუსხით გაყინულ ეზოში, როგორ მიიღო აბაშიძის ჯალაბის უსიტყვო სამძიმარი, რომელიც უფრო მოლოცვას ჰგავდა, როგორ მოახტა ძიძიშვილების მორთმეულ ცხენს და ყურთამდე გაღებული ალაყაფის ჭიშკარი როგორ გამოიარა.

ნაფიჩვაძეები და დედოფლის შიკრიკი ბრეგვაძე დაწინაურდნენ. ნაბრძანები იყო გზა მოეჭრათ და უმოკლესი ბილიკებით ევლოთ. ძმებსაც და ბრეგვაძესაც არაერთხელ გაევლოთ ამ გზებზე. ყოველი მისახვევ-მოსახვევი თავისი ხუთი თითივით იცოდნენ და ამიტომაც თამამად მიიწევდნენ წინ. ჩიხორი, სკანდა და ჩხარი-ბოსელა ისე განვლეს, ქუთაისის მხრიდან აქეთ მომავალი არავინ შეხვედრიათ.

ეს გზა, რომელსაც სოლომონი და მისი მხლებლები კაცხის ორღობეებიდან გამოსვლისთანავე დაადგნენ, შუა ქართლიდან ოდიშისაკენ გაჭიმული დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის ერთი პატარა მონაკვეთი იყო. იგი ჭერათხევზე, გორაძირთან იწყებოდა, გამოივლიდა მთელ საწერეთლოს, შემდეგ ლევან აბაშიძის საბატონო სოფლებს, სიმონეთს, კვახჭირს, კახნიაურს და წყალწითელაზე გადებული ძველისძველი ხიდით იმერთა სატახტო ქალაქ ქუთაისში შედიოდა. გზაზე მგზავრი წლის ყოველ დროს გამოულეველი იყო. დიდ-დიდ ჯგუფებად მოდიოდნენ ერთის მხრივ ფოთიდან, ანაკლიიდან ან ყულევიდან, მეორეს მხრივ კი გორიდან ან ტფილისიდან მომავალი მექარავნენი და ქვეყნიდან ქვეყანაში გასასყიდ საქონელთან ერთად ამბავ-ხამბავი და ტყუილ-მართალი გადაჰქონ-გადმოჰქონდათ. ვაჭრები თითქმის ყოველთვის იარაღში ჩამჯდარი იყვნენ, თან ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი მცველი რაზმებიც ახლდათ. ქვეყნის ყოველ კუთხეში ლეკიანობა მძვინვარებდა და მიწის მუშასაც და მშვიდობიან მგზავრსაც დღენიადაგ ტყვედ გატაცების ან გაძარცვის საფრთხე ემუქრებოდა.

მდინარე ძევრულის პირას, ხიდისყურში, ამალას საყვარელიძეები ჩამოსცილდნენ და უკან დაბრუნდნენ. სოლომონმა თვით აღარ ისურვა მათი ხლება. ხალხი ისედაც საკმაო ჰყავდა. ამალა ძევრის აღმართს შეუდგა. მარჯვნივ გამოჩნდა რაჭა-იმერეთის თოვლიანი მთები და მუხურის ზეგნები, რომლებზედაც აგრეთვე თოვლი იდო. მალე გზა დაღმა დაეშვა და მგზავრე-

ბის წინაშე კორდებზე შეფენილი კარგა დიდი სოფელი სიმონეთი გადაიშალა. წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოზე, ტაფობს ასწლოვანი ცაცხვებით დაბურული თხემიდან რომ გადმოჰყურებდა, ზარებს რეკდნენ. ზარების რეკვა ჩხარისა და ძევრის მიდამოებშიც შემოესმათ. დილის წირვა იყო? მერე ასე გვიან? თუ რაიმე სხვას მოასწავებდა ზარების ეს გაბმული რეკვა?

სოლომონს გული გამალებით აუძგერდა. ოფლში გახვითქულ ულაყს დეზი ჰკრა. უცებ შეამჩნია, რომ მხლებლები ჩამორჩენოდნენ. სადავე მოზიდა და ცხენი მოწყვეტით შეაჩერა თავდაღმართში. უკან არ მიუხედია, ისე იდგა ერთხანს და იცდიდა. მალე სმენას ფლოქვების აჩქარებული და უწესრიგო თქარუნი მოსწვდა და ცხენს ისევ მიუშვა სადავე.

ორღობეში ჩოჩიალა ურმები მოჰქრიალებდნენ. ფლასებში გახვეული ფაფანაკიანი გლეხები, რომელთაც ადრე გამოზაფხულებით ესარგებლათ და ნაზამთრალი პატივი გაჰქონდათ ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებში, დაინახავდნენ თუ არა ზემოდან მომავალ მხედრებს, დაფეთებულები უმალვე ქუდს მოიშვლეპდნენ, იღლიაში ამოიჩრიდნენ და სახრის ტყლაშუნითა და შეძახილებით—აქეთ, ხარო, შე მგლის არჩივოო, ურემს გზის პირზე მიაგდებდნენ, თვითონ კი წინ დაუდგებოდნენ ხარებს, რათა ბატონები გაეტარებინათ.

სოლომონი არავის მისალმებია. გლეხებიც მომდურავებივით არიდებდნენ თვალს და მხოლოდ ქუდის მოხდით გამოხატავდნენ მორჩილებას თავისი გლეხური მოვალეობის წინაშე. მიწყდებოდა ფლოქვების თქარათქური და ისინიც დინჯად მოირგებდნენ თავზე ფაფანაკს, ხარებს დაუწრუპუნებდნენ, კბილებს გამოაჩენდნენ, სახრეს შემართავდნენ და თვალი კი ისევ იქით ეჭირათ, საითაც ეს იყო დიდებულმა ბატონებმა გაიარეს...

ღუოდა გამოზამთრებული ნოყიერი მიწა, ოხშივარი ადგას გაუღვივებელ თესლს ელოდებოდა. სოფელქვეყანას თავისი სატკივარი, თავისი მარადიული გულისწუხილი, თავისი მუდმივი ვალის მოხდის ჯერი მოსვლოდა და არ დაგიდევდა არაფერ წვრილმანს და წარმავალს: ვინ კვდებოდა და ვინ იბადებოდა, ვინაიდან ესეც ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც კვირტის გასკდომა ძარღვების მომთენთავ მზვარეში და ან ჯეჯილის აღმოცენება გლეხკაცის წმინდა ოფლით გაპოხიერებული დედამიწიდან.

გოდოგნის ჭალაზე სოლომონს თინათი და თავისიანები დაეწივნენ. აქ გზა მარცხნივ უხვევდა და მდინარე ყვირილაზე გადებული ფიცრული ხიდისაკენ ეშვებოდა. სოლომონმა ხელი მოიჩრდილა. აქეთა მხრიდან ხიდს კარგა დიდ მანძილზე გაწელილი მხედართა და ქვეითთა ჯგუფი უახლოვდებოდა. ვინ იყვნენ? ცხენოსნები და ქვეითები ვაჭრებს არაფრით ჰგავანდნენ, თუმცა ამ სიშორიდან ვერც სახეს გაარჩევდი და ვერც ვისიმე ჩაცმულობას. ბატონიშვილმა ცხენი ააჩქარა და ამბის გასაგებად დაწინაურებულ ძიძიშვილებს გამოუდგა. ათიოდე ნაბიჯით უკან ჩამორჩენილ თინათის ფერი ეცვალა. უნდოდა ქმრისათვის დაეძახა, მოიცა, სად მიხვალო, მაგრამ ამის მაგიერ პირიდან რაღაც გაურკვეველი ხმა აღმოხდა. ის მხედრები ნამდვილად ლეკები იყვნენ და გზაზე ახლომახლო სოფლებიდან გატაცებულ ტყვეებს მიერეკებოდნენ...

შიშისაგან გულგახეთქილი ქალის ეს უკანასკნელი ეჭვი სიმართლეს ძალიან წააგავდა. ახალციხისა და ჩილდირის ბეგლარბეგ ფაშა ჰაჯი-აჰმადს რაბათის ყაზარმებში ოთხი ათასი მარბიელი ლეკისაგან შემდგარი ჯარი ეყენა. თუ ლაშქრობა არაფერი იყო, ლეკები უსაქმოდ დაეხეტებოდნენ ამ უძველეს ქართულ, აწ კი მტრის მიერ მიტაცებულ ქალაქში და მოწყენილობას იანიჩრებთან კინკლაობასა და

წერილმან ძარცვა-გლეჯაში ჰკლავდნენ. ხანდახან, თუკი ჯიბის გასქელების სურვილი მოუვლიდათ, ორასი-სამასი თავზეხელაღებული ლეკი შეგროვდებოდა და ან ტაშისკრისაკენ გაუტევდა შიდა ქართლის სოფლების მოსარბევად, ანდა ზეკარის უღელტეხილით ლადოს მთებს გადმოივლიდა და ვაკე იმერეთში ან თვით ხანისწყლის ხეობაში ახალციხის ბაზარზე გასაყიდ ქალ-ვაჟებს იტაცებდა. ოსმალთა ხელისუფალნი, ვისაც ლიხთიმერეთი თავის კანონიერ სამკვიდროდ მიაჩნდა, ლეკებს ხელს არ უშლიდნენ, პირიქით, ჩუმად ეხმარებოდნენ კიდეც და, თუ ადგილობრივი მოსახლეობა ხელს არ გამოიღებდა და მიდამოს სისხლით არ მორწყავდა, ისინიც დაუსჯელად პარპაშებდნენ სოფლიდან სოფელში...

ვაჭრების ქარავანი ეს ნამდვილად არ იყო. წინ არც საპალნის სიმძიმისაგან წელში გადრეკილი აქლემები ჩანდა და არც კამეჩებშებმული მაღალი ქართული ურმები, რომელთაც აქ, ამ მთაგორიან ქვეყანაში, მხოლოდ საქარავნო გზებზე თუ შეხვდებოდი.

სოლომონმა მაშინღა შეანელებინა ცხენს ნაბიჯი, როცა უკან გამობრუნებული ძმები ნაფიჩვაძეები დაინახა.

— ვინ არიან, კაცო? —მიეგება ის უფროს ძმას, ნიკოლოზას, და ცხენი შეაყენა.

— რაჭველებია, — უგერგილოდ მიუგო ნაფიჩვაძემ და თანშეზრდილ ბატონს თვალი როგორღაც დარცხვენილად მოარიდა.

სოლომონმა გაიოცა:

— რაჭველები? ვინ რაჭველები? აქ რა უნდათ, ბიჭო?

— ერისთავის ხალხია, ბატონიშვილო, თავათ გიორგი ახლავთ, როსტომის უფროსი ვაჟი. წერეთლის გლეხები დაუჭერიათ. სანერგე ვაზი ჰქონდათ თურმე გადატანილი რაჭას. გასაყიდად მიჰყავთ ბაღდადში...

— წერეთლის გლეხები? გასაყიდად? ჩემი სახელით უბრძანეთ, ერისთვიშვილს, ამ წუთში აქ გაჩნდეს!

— ვუთხარით, ბატონიშვილო, მეჩქარება, არა მცალია, თუ რამე საჩქარო საქმე აქვს, აქ ვარ და თავად მობრძანდესო.

სოლომონი ერთ წამს გაქვავებული იჯდა ცხენზე, ხმას ვეღარ იღებდა, შემდეგ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, უზანგებზე მძიმედ წამოიმართა და ცხენი წინ გააქანა. შეჩერება ვერავინ გაუბედა, არადა გაჯიუტებულ გიორგი ერისთვიშვილთან სამტროდ შეყრა ახლა საშიში იყო. თინათით ისევ დააპირა ქმარი მოეხმო, მაგრამ ღონემ თუ გამბედაობამ ამჯერადაც უღალატა. ამალის წევრები ერთად შეჯგუფებული იდგნენ და ვეღარ გადაეწყვიტათ, ბატონიშვილს გაჰყოლოდნენ თუ აქ დაეცადათ, ვიდრე ის თვით არ მიიხმობდა ყველას. ასე შეცვლილი, გაალმასებული და მრისხანებით აღვსილი სოლომონი ჯერ არავის ენახა. თინათი ცახცახებდა. მის ქალურ ალღოს არ გამოჰპარვია, რომ გუშინაც და გუშინწინაც სოლომონი განზრახ მხიარულობდა, ხალხს, მათ შორის თვით ცოლს, თინათის, განზრახ აჩვენებდა უდარდელ სახეს, რათა ამით გულში ღრმად ჩამარხული ვარამი დაეფარა. თინათი გრძნობდა ამას და ყოველ წამს მზად იყო, სათაყვანებელი ქმრის ტკივილს მალამოდ დასდებოდა, მაგრამ ვაი რომ სოლომონი სავსებით თავშეკავებას იჩენდა და მას არაფერს უმხელდა. ყველა სიავეს ზედ მამამთილის უბედურება და ახლა ეს ამბავი დაერთო... არა, არა, კეთილად არ დაბოლოვდებოდა სოლომონის უცნაური აზავთება და შეუზღუდველი ძალაუფლების წყურვილი. ლიხთიმერეთი — თავნება თავადებისა და გადამთიელ ოსმალთა საჯიჯგნად ქცეული მხარე — ის ქვეყანა არ იყო, სადაც ამას მოითმენდნენ, თავს მორჩილად დახრიდნენ და ერთ უზენაეს ბატონს ყმად გაუხდებოდნენ. თავისი ზრახვების აღსასრულებლად სოლომონს ომი უნდა აეტეხა ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, გუშინდელი

მოყვარე და კეთილის მოსურნე მოსისხლე მტრად გაეხადა, თვითონ კი კიკოსავით მარტო დარჩენილიყო.

„წმინდაო მარიამ, დედაო ღვთისავ. უძლურთა მფარველო და შემწევ, შენ დაგვიფარე... —ჩურჩულებდა თინათი, ღაწვებზე ღვარად წამოსულ ცრემლებს ყლაპავდა და აკანკალებული ხელით წამოსასხამის ქვეშ პირჯვარს იწერდა. — გადააფარე შენი მადლიანი კალთა ჩემს სოლომონს, შეივრდომე მისი დაუდეგარი ყმაწვილკაცობა, ნუ გამოიმეტებ!..“

## III

მეფე ალექსანდრემ სული რიჟრაჟზე განუტევა. გურიიდან წინა დღეს მობრძანებული სიძეები — მთავარი მამია გურიელი და ქობულეთის ბატონი მამუკა თავდგირიძე, მეფის სიმამრი ლევან აბაშიძე, რაჭის ერისთავი როსტომ შოშიტას ძე და ძმები მეფისა გიორგი და მამუკა ბატონიშვილები მეჯლისების დარბაზში ისხდნენ, ბუხართან და ხმაგაკმენდილი ელოდებოდნენ, რა ამბავს გამოიტანდნენ ავადმყოფის ოთახიდან მკურნალად წვეული კაპუჩინელი ბერი პატრი ლეონე და მეფის კარის მკურნალი პაპუჩა აბულაძე.

ლევან აბაშიძეს ჰპალატყეშივე შეეტყო შემომწყრალი სიძის უიმედო ავადმყოფობის ამბავი და შინ წასვლის მაგიერ, თუმცა იქ დედოფალ თამარის მიერ მამის შემოსარიგებლად გაგზავნილი ბატონიშვილი სოლომონი უცდიდა, პირი მაშინვე აქეთ ექნა. ლევანი რომ სასახლეში მოვიდა, როსტომ ერისთავი და მეფის სიძეები უკვე აქ იყვნენ და სახედაძმარებულები წინკარში ბოლთას სცემდნენ. არგვეთის ბატონმა თვალის ერთი შევლებით შეაფასა ვითარება და მალე დარწმუნდა, რომ მისი აქ არყოფნის დროს სასახლეში საგულისხმო არაფერი მომხდარიყო. მეფეთა ძველი მესისხლის მოსვლა, რა თქმა უნდა, არავის გახარებია, თუმცა არც წყენა გამოუხატავს ვისმე, მხოლოდ დედოფალმა თამარმა ამოიოხრა შვებით და მამის ამ წუთისათვის სავსებით შეუფერებელი სიხარულით მიეგება. ამ წუთიდან ქალი მარტო არ იყო მტაცებელ ნადირებს შორის, რადაც რაჭის ერისთავ როსტომს, მის ძმას კათალიკოს ბესარიონს, უფროს ბატონიშვილებს და მულების ქმრებს — გურიელსა და თავდგირიძეს სახავდა, მასაც ჰყავდა პატრონი და მხარში ამომდგომი!..

ალექსანდრე დიდხანს ავადმყოფობდა, მეფის ლოგინად ჩავარდნას კი თითქმის ზღაპრულ, მაგრამ უბირი ხალხისათვის ადვილად დასაჯერებელ ამბავს მიაწერდნენ. ოსმალების ვალის გასასტუმრებლად, რაკი სხვა სახსარი აღარაფერი გააჩნდა, მეფეს თითქოს ხახულის ღვთისმშობლის ხატის გაძარცვა მოეწადინებინოს. ძვირფასი თვლებით შემკული ეს დიდებული ხატი ამჟამად გელათის მონასტერში ესვენა და ხალხი, ვინ იცის, რამდენი სასწაულის მოვლინებას მიაწერდა. მეფეს ვითომდა თავისი ხელით დაეპირებინოს თვლების ამოკრეფა და სწორედ ამ დროს, ზენაარის ნებით, თვით წამოსცვენოდეს თვალები უპეებიდან...

თვალების ტკივილს ალექსანდრე ადრევე უჩიოდა, განსაკუთრებით ღამ-ღამობით, დილას უძინარი და გატანჯული დგებოდა. ბოლო დროს ტკივილმა ნამეტნავად შეაწუხა. ძნელი იყო მტკიცება, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს ხალხში დარხეული ხმები ალექსანდრეს მიერ ხახულის ღვთისმშობლის ხატის გაძარცვის თაობაზე, მაგრამ იმის უარყოფა კი არავის შეეძლო, რომ მეფეს რაღაც უკურნებელი სენი მოერია და ეს სენი სწორედ თვალების ტკივილით დაეწყო...

ხალხს სალაპარაკო მაინც ბევრი გამოუჩნდა. მეფის თავს დატეხილი საღვთო რისხვის ამბავი მთელს იმერეთში და მომიჯნავე ქვეყნებში გავრცელდა. ყველას, ყმასა თუ ბატონს,

ქრისტიანს თუ მუსულმანს. სწვავდა ცნობისმოყვარეობა პირადად ეხილა უსინათლო მეფე, რომელსაც ხახულის ღვთისმშობელმა — იდიდოს მისი სახელი უკუნითი-უკუნისამდე! — ამისთანა საზარელი საქმე დამართა.

ბოროტი ხმები სახელის გატეხითა და შეჩვენებით დაემუქრა არა მარტო თვით ალექსანდრეს, არამედ სამეფო სახლის ყველა წევრს. სასახლე შეძრწუნდა. დედოფალი თამარი და მეფის ძმები გიორგი და მამუკა იძულებული შეიქნენ უწმინდეს კათალიკოს ბესარიონისათვის მიემართათ და მისი ნებართვით ხახულის ღვთისმშობელი გელათის მონასტრის გალავანში გამოესვენებინათ ბრბოსათვის საჩვენებლად. იმ დღეს მთელი ოკრიბა, არგვეთი, ქუთაისი, საჭილაო თუ სალორთქიფანიძო გელათს მიაწყდა. ხელმადლიანი ოსტატის ზეგარდმო შთაგონებით შესრულებული სახე ღვთისმშობლისა ხელუხლებელი იყო. ყველა თვალი და მარგალიტი, ალმასი თუ ზურმუხტი კვლავინდებურად ბრწყინავდა და მნახველს თვალებსა სჭრიდა. იმის შეტყობამ, რომ ხატი უვნებელი იყო, კიდევ მეტი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ღვთისმშობელს აბა რა უნდა მოსვლოდაო, აყაყანდნენ ბოროტი ხმები, რომელთაც დაჟინებულად სწადდათ მეფის მკრეხელობა და წმიდათა-წმიდა ხატის ხელყოფა როგორმე დადასტურებულიყო. მერე, რაკი შორს გამიზნული ჭორი არავინ დაიჯერა, მითქმა-მოთქმა თანდათან მინელდა, მაგრამ ჩავარდა თუ არა ლოგინად მეფე ალექსანდრე, ხალხმა ისევ მოხსნა გუდას პირი...

როსტომ ერისთავმა, რომელიც ავადმყოფი მეფის სანახავად, მიუხედავად ძველი ნაწყენობისა, რაჭიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, ჯერ თავისი უწმიდესი და უნეტარესი ძმა კათალიკოსი ბესარიონი მოინახულა გელათში და შემდეგ თამარ დედოფალს ეწვია ნამდვილი ამბის გასაგებად. ალექსანდრე ბნელ ოთახში იწვა. მნახველებს შიგნით არ უშვებდნენ. დედოფალი თვითონაც შეშინებული იყო, მგონი გულში კიდევაც დაეჯერებინა, რასაც ხალხი ლაპარაკობდა, მაგრამ ხმამაღლა, სხვათა გასაგონად ამას როგორ გაამხელდა! ერისთავი დიდი პატივით მიიღო, „ჩვენი იმედი და ტახტის დედაბოძი“ უწოდა და „საბრალო მეფე ალექსანდრეს“ უსასოო მდგომარეობით გულაჩუყებულმა ორიოდე კურცხალიც გადმოაგდო. როსტომს ერთბაშად ამოუვარდა მეხსიერებიდან, აქ რის გულისთვის იყო მოსული. მწუხარე დედოფლის გულში ჩამწვდომი სიტყვები რომ მოისმინა, თანაც ყველა აქ მყოფი წარჩინებული პირის თანდასწრებით, თავი მორჩილად დაჰხარა და მაღალ ღმერთს მადლი შესწირა, რომ სადღეისოდ აქ ჩამოსვლა და უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებში წილის დადება შთააგონა. როსტომს, ასე გასინჯეთ, დედოფლის სიტყვების გამოთქმის კილოც არ გამოჰპარვია. „ჩვენი იმედი და ტახტის დედაბოძი“ უთუოდ იმას მოასწავებდა, რომ სულძაღლი ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ყველა წინააღმდეგობა, რომელიც კი იმერთა მეფეებსა და რაჭის ერისთავებს, თუნდაც თვით ალექსანდრესა და როსტომს შორის მომხდარა, დავიწყებას მიეცემოდა. ამას კი დედოფალი საჯაროდ ბრძანებდა, ყოველთვის მომდურავ რაჭის ერისთავს მოკავშირეობასა და ჭირსა და ლხინში თანადგომას სთავაზობდა...

თუ ეს ასე იყო, ეს კი ნამდვილად ასე იყო, როსტომს არ უნდა დავიწყებოდა, რომ დედოფლის ზურგსუკან არგვეთის დიდი ბატონი ლევან აბაშიძე იდგა. ლევან აბაშიძესთან ძველი თანხმობის აღდგენა როსტომს ხელებს უხსნიდა, ერთის მხრივ, ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილისა და, მეორეს მხრივ, გამეტიჩრებული წერეთლების წინააღმდეგ. მას შეეძლო, ამ

წუთიდან მთელი ჯრუჭულის ხეობა და საწერეთლოს ბევრი სხვა მოსავლიანი ადგილი, ყმა-გლეხებით, ციხეებითა და მონასტრებითურთ, თავის განუყოფელ სამკვიდროდ დაეგულებინა. ერისთავსვე დარჩებოდა ქედის აქეთა კალთაზე შეფენილი მუხურა და მუხურის ციხე — ასე საიმედო, მიუდგომელი სიმაგრე მეფეთა მომავალი კირთების მოსაგერიებლად. იმერთა ხვალინდელი მეფე, სოლომონი იქნებოდა თუ რომელიმე სხვა ბატონიშვილი, თამარ დედოფლისა და ლევან აბაშიძის გავლენას, თუკი ამათ გვერდში ერთგული და ძლიერი რაჭის ერისთავიც ამოუდგებოდა, ვერსად წაუვიდოდა და ქვეყნის შემდგომი ცხოვრებაც ამ სამი უზენაესი უფლებით აღჭურვილი პირის კარნახის მიხედვით უნდა წარემართა.

მეჯლისების დარბაზში, სადაც გელათიდან ნაგვიანევად მობრძანებული კათალიკოსი ბესარიონი, დიდებულები, სამეფო სახლის წევრები და სხვა გულშემატკივრები ექიმების განაჩენს ელოდნენ, სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. ათასში ერთხელ მეფის ჯანმრთელობის გარშემო თუ ითქმებოდა თითო-ოროლა სიტყვა. თუკი ვინმე ნავსს გატეხდა და მყუდროებას დაარღვევდა, ყველა ერთბაშად გამოცოცხლდებოდა, აქეთ მოაშურებდა და სხვას რომ არ ჩამორჩენოდა, უცაბედად წამოჭრილ საუბარში თავის სიტყვას, თუნდ ძალიან უბრალოს, ახლა კი მისი აზრით ასე ძალიან საჭირო მოსაზრებას, ჩაურთავდა.

ყველაზე დიდი გასაჭირი ის იყო, რომ მომაკვდავი მეფის სულის ამოსვლის მოწმედ ამ დარბაზში შეკრებილი ადამიანები ერთიმეორეს ღვიძლი დედმამიშვილებივით ზედმიწევნით იცნობდნენ და ერთმა მეორეზე უკეთ იცოდა, მავანი და მავანი აქ რა ფიქრმა და ზრახვამ მოიყვანა. ადგილი როდი იყო მთელ ამ შინაგან დაძაბულობას მორეოდი და თავი არ გაგემქღავნებინა. იქნებ ბევრად უკეთესი იქნებოდა შინ წასვლა და იქ ლოდინი, მაგრამ დარბაზიდან ფეხს მაინც ვერავინ იცვლიდა და ერთმანეთის წამხედურობით თავს ყველა იძულებულს ხდიდა უდრტვინველი სიმშვიდე შეენარჩუნებინა და დიდად დამწუხრებული ჭირისუფლის გამომეტყველება მიეღო. ვის შეეძლო ახლა მოეგონებინა, ან ვის სჭირდებოდა გახსენება, რომ მეფე ალექსანდრე სიცოცხლეში არავის უყვარდა. მეფე მერყევი ხასიათის კაცი იყო. ხან ყოვლად წარმოუდგენელი დათმობა იცოდა, ხან კი იმგვარ არაადამიანურ სისასტიკეს გამოიჩენდა, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა. დანამდვილებით ვერასოდეს ვერ შეიტყობდი, გწყალობდა მეფე თუ გირისხდებოდა, გიტევდა თუ უკან იხევდა. ყველა ეს უკუღმართი თვისება მას ცხოვრების უკუღმართობამ შესძინა და ამის გამო, ვინ იცის, სხვებზე უფრო თვითონ იტანჯებოდა. გაძაღლებულმა სიცოცხლემ შინაურ და გარეშე მტრებთან ომში, ორგულთა დასჯასა და რამდენჯერმე დაკარგული ტახტის ხელახლა დაბრუნებაში განვლო. ღმერთს, ალბათ, ესეც მოეწყინა და აი, განსაცდელის დღეც დადგა...

დილის ოთხ საათზე მეფე აზიარეს. კარის მწირველმა მღვდელმა სვიმონ წერეთელმა ორმოც წუთზე მეტ ხანს დაჰყო მეფის საძინებელ ოთახში და იქიდან მგლოვიარესავით გამოვიდა. მომვლელმა მონოზნებმა ოთახიდან ჯერ კიდევ ალექსანდრეს მამის, გიორგი მეფის დროს საიდანღაც მოტანილი ორი რბილი სავარძელი გარეთ გამოდგეს და კარი ისევ მჭიდროდ შეახურეს. კითხვით არავის არაფერი უკითხავს. ყველა ისედაც ცხადლივ გრძნობდა, რომ საკითხავი უკვე აღარაფერი იყო. ჭკუას იზამდნენ, თუ აქედანვე დაკრძალვის თადარიგს შეუდგებოდნენ და დარბაისელთაც მოიხ-

მობდნენ ახალი მეფის ტახტზე ასაყვანად.

დარბაზში მეფის სახლთუხუცესმა ლომკაც ჯაფარიძემ შემოიხედა, ფეხისწვერებზე შემოვიდა, იქაურობა მოათვალიერა, მერე გულდაგულ ლევან აბაშიძისაკენ გაემართა, სხვების წინაშე უსიტყვოდ ბოდიში მოიხადა, დაიხარა და თავადს ყურში რაღაც წასჩურჩულა. მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი შესახედაობის ჭარმაგი ბერიკაცი, ლევან აბაშიძე, რომლის მინავლული, ჭაღარა წარბების ქვეშ ღრმად წასული ჩხია თვალები თითქოს სადღაც შორიდან გიყურებდნენ და გიმორჩილებდნენ, დინჯად წამოდგა, ლურჯი ხავერდის ქულაჯაზე მუქი ფერის ძვირფასი კაბა წამოისხა და სახლთუხუცესს აუჩქარებელი ნაბიჯით გაჰყვა.

აქ მყოფთაგან ყველას ეგონა, რომ ბატონიშვილი სოლომონი დაბრუნდა კაცხიდან, მაგრამ მის შესაგებებლად მარტო ლევან აბაშიძეს ხომ არ გაიწვევდნენ! როსტომ ერისთავს მოუთმენლობა დაეუფლა. თვალი საპატრიარქო კვერთხზე მძიმედ დაყრდნობილ ძმისაკენ გააპარა. კათალიკოსის სახე მშვიდი და შეუვალი იყო. როსტომს აშკარად არ სიამოვნებდა, რომ ამ სასახლეში კვლავ გაჩნდა საიდუმლო, რომელიც მას არ უნდა სცოდნოდა. პატივსა და წარმოჩინებას ჩვეული ერისთავი ამავე დროს იმასაც შეუცდომლად გრძნობდა, რომ აქ მყოფი დიდებულების ყურადღება მისკენ იყო მოპყრობილი და ცდილობდა, გულში ჩაწვეთებული შხამი სხვათა შეუმჩნევლად გადაეყლაპა. ეს არცთუ ისე ძნელი იყო. თავშეკავების უზადო მაგალითს უფროსი ძმა, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი ბესარიონი აძლევდა.

სახლთუხუცესი და ლევან აბაშიძე კი ამ დროს ეზოში ჩავიდნენ. ლევანმა კრამიტით გადახურულ ალაყაფის დიდ ჭიშკართან ოსმალურად შეკაზმული ოთხი გაოფლილი ცხენი დაინახა. ცხენებს წინ და უკან დაატარებდავიღაც თავჩალმიანი ასკერი, თუ იენიჩარი.

„წუთსაც არ კარგავენ, —გაიფიქრა თავადმა. — თავს მოვიჭრი, თუ ეს ურჯულოები თვით ბეგლარბეგისაგან არ იყვნენ გამოგზავნილი. ყვავებს მძორის სუნი ეცათ და ცხრა მთას იქიდან ყრანტალით მოფრინდნენ...“

ორიოდე წუთის შემდეგ მათ დედოფლის მდიდრულად მოწყობილი პალატები განვლეს სასახლის ჩრდილო ნაწილში და ერთ უავეჯო, პაწაწინა ოთახში შევიდნენ.

გამომქრალი ბუხრის წინ, ხალიჩაზე მობნეულ ფარჩის ბალიშებსა და მუთაქებში, დედოფალი თამარი იჯდა და მათ მოსვლას ელოდა.

ასაკთან შედარებით ჩინებულად შენახულმა, თავმომწონე, ცოტათი ხორცსავსე ქალმა, სიყმაწვილის დროინდელი მომხიბვლელობა და მეფური სიდიადე ჯერაც რომ არ აკლდა, მამა დაინახა თუ არა, სახლთუხუცესი თავის მოხდენილი დაქნევით დაითხოვა, კარი შიგნიდან გადარაზა, ერთხანს ყური მიუგდო ნაბიჯების ხმას, რომელიც თანდათან შორდებოდათ, მერე ლევანს მოუტრიალდა და ხშირი ღამისთევით საგრძნობლად მისუსტებულმა ჰკითხა:

— რას შვრება?

ლევანმა მხრები აიჩეჩა, პასუხის გაცემა მაინცდამაინც საჭიროდ და აუცილებლად არ მიიჩნია, გრძელი ხელები გულზე დაიკრიბა და ამის მაგიერ ასულს თვით ჰკითხა:

— ცხენები ვისია?

— შენ სულ სხვაგან გაგირბის ფიქრი, ბატონო მამა, იმას კი არაფრად აგდებ, მე უბედურს რომ ჭერი თავზე მენგრევა.

ლევანმა იცოდა, რომ დედოფალი გულწრფელი არ იყო, რადგან ჩვეულებისამებრ ერთს ფიქრობდა და მეორეს ამბობდა, მაგრამ უბრალო

მამაკაცურმა თავაზიანობამ ამის ხმამაღლა გამჟღავნების ნება არ მისცა, თავს ძალა დაატანა და ქალს ახლა კი ლმობიერად მიმართა:

— ბოდიშს ვიხდი, თამარ, შვილო, მე მეგონა, სასწრაფო საქმე გქონდა რამე. დაწყნარდი, ტირილით აბა რას გავაწყობთ, ყველა სიკვდილის შვილები არა ვართ? ცას არავინ გამოეკერება...

— რომ იცოდე, მამა, რანაირად მეცოდება საწყალი!..

დედოფალს ცრემლები ღვარად წამოუვიდა, მამას ორივე ხელი მოჰხვია და სველი სახე გულზე მიაყრდნო. ამან თვით ლევანზეც იმოქმედა, ისიც აცრემლდა, მაგრამ თავს მალე მოერია, შვილის ხელები ცივ, ჭაღარა ბანჯგვლით დაფარულ ხელებში მოაქცია და დედოფალს კიდევ უფრო ხმადაბლა და ლმობიერად უთხრა:

— აზიარეს... მღვდელი ეს არის გამოვიდა.

— იქნება ჯობდეს, მეც თავზე დავადგე? —ქალმა ცრემლები მოიწმინდა და მამას თვალებში შეხედა.

— არა, საჭირო არ არის. როცა საჭირო იქნება, შეგატყობინებ და გამოხვალ. რა ვქნათ ახლა? — ლევანი კვლავ შეწყვეტილ სიტყვას დაუბრუნდა.

— სწორედ მაგის საკითხავად მოგიწვიე, ბატონო მამა, — დედოფალი თანდათან მშვიდდებოდა, მისი გაცრეცილი, ღამენათევი სახე ახლა შესამჩნევად მობერებული, დუნე და ყველა ამქვეყნიურ ვნებათაღელვას მოკლებული ჩანდა. — შენი რჩევა და ფხიზელი გონება სწორედ დღეს მჭირდება. სალაპარაკოდ ეს ოთახი ამოვირჩიე, — დედოფალმა მოუსვენრად გაჰხედა კარს და მერე ისევ მშობელს მიაპყრო მზერა. — შემთხვევით გამვლელი ყურს ვერავინ დაგვიგდებს, შემოსვლით კი უნებართვოდ აქ ვერავინ შემოვა...

— რის თქმა გინდა?—ეს ისე სათუთად ჰკითხა მოხუცებულმა თავადმა, როგორც თავის მამისერთა ქალიშვილს ამ ოცი-ოცდაორი წლის წინათ შეეკითხებოდა. — ვისია ის ცხენები?

— ჰაჯი-აჰმადმა ქეჰა გამოგზავნა. ნახევარი საათიც არ იქნება, რაც მოვიდნენ. ხვაშაქმა ჯერ ლომკაცი ეძება...

— ქეჰა? —ლევანი შეკრთა და ქალს შეაწყვეტინა. —სად არის მერე?

— კაკასხიდზე.

— რა უნდა, თუ იცი?

— ათაბაგის რაყამი მოგვართვა თავისი კაცის ხელით...

— რას მოითხოვს ბატონი ათაბაგი?

— ბატონიშვილი სოლომონი... — თამარი შეყოყმანდა.

— ჰო, თქვი!

— ბატონიშვილი სოლომონი ავიდეს მამისეულ ტახტზეო...

დედოფალს თვალები უბრწყინავდა, მძიმედ სუნთქავდა. აქამდე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, როდის წარმოთქვამდა ამ სიტყვებს ხმამაღლა. წარმოთქვა და უფრო მეტად მოედო ალი, ღაწვები და ყურის ბიბილოები წამოენთო. ლევანმა მხოლოდ ერთ წამს იყუჩა, გონების თვალით შეაფასა, რაც ეს იყო შეატყობინეს და სულსწრაფობისაგან ნერწყვგამშრალ ასულს თავშეკავებულად მიუგო:

— როდის, ბატონო, რანაირად, ჯერ კაცი არ გაცივებულა...

თამარმა ძლივს შეიმაგრა თავი, კინაღამ რაღაც უღიერი წამოსცდა, რადგან მამის ეს საშიში სიდინჯე ავის მომასწავებლად ენიშნა, მაგრამ ამბოხებული გრძნობა დროზე მოთოკა, ხმა კიდევ უფრო გაინაზა და მშობელს კვლავაც მორჩილად შეესიტყვა:

— გულს მეც ეგ მიკლავს, ბატონო, კაცს სულის ამოსვლას არ აცლიან...

— როდინდელია რაყამი?

— თარიღი არ უზის, მამა, ეტყობა, წინასწარ შეადგინეს.

— მეფის ლოგინად ჩავარდნა შეუტყვიათ, —მცირე ფიქრის შემდეგ დაასკვნა აბაშიძემ, რომელიც თავისი

ქალის ფარულ გაავთრებას გრძნობდა და დასახვედრად ემზადებოდა. — თადარიგს იჭერენ გველისწიწილები, ორეულობის ეშინიათ. ნეტავი კი მართლა შეგვეძლოს რამე...

— უთუოდ აგრეა, მამა, ქეჰას კაცები წინა ოთახში სხედან და ჩვენს პასუხს ელიან. მე მინდოდა, შენთან ერთად მისი უწმინდესობაც მომეწვია, მაგრამ, რა დაგიმალო, შემეშინდა: ბესარიონი მაშინათვე როსტომს ჩაუკაკლავს ყველაფერს...

აბაშიძემ არაფერი უპასუხა, თუმცა თამარი შემოკამათებას ელოდა, მხოლოდ თავი ჩაღუნა და ჩაფიქრებული იატაკს ჩააშტერდა.

— მაგრამ ვაითუ მოუწვევლობა სულ უარესი იყოს? —ისევ მიამიტად იკითხა თავისი მოქმედების სისწორეში ღრმად დარწმუნებულმა დედოფალმა. — ქეჰას ოთხი ათასი მესხი ახლავს. ფაშას დაუბარებია, თუ საჭირო გახდეს, ხმა მომაწვდინეთ და მე თვითონ გავჩნდები მანდ დიდი მხედრობითო.

— მაგას რაღა აჯობებს! — ლევანმა დამცინავად გაიღიმა და უმალვე მიხვდა, რომ საშიშ თამაშში იყო ჩათრეული: ასული არგვეთის ბატონის გადაჭრილ პასუხს ელოდა. სიტყვის წაყრუებით ან ბანზე აგდებით თამართან ფონს ვერ გახვიდოდი. მან ამიტომაც სახეზე ღიმილის ნიღაბი აიფარა და შვილს გულში ჩამწვდომი ხმით ჰკითხა: —ნამდვილად გჯერა ათაბაგის შემონათვალი? ვაითუ სხვა განზრახვა უდევს გულში? სოლომონი ტახტის კანონიერი მემკვიდრეა, თამარ. თუ ფაშას სურვილი და გადაწყვეტილება მართლა ეგ არის, ჩვენ საბრძოლო და საომარი არაფერი გვექნება. მე სხვა რამის მეშინოდა...

დედოფალმა შვებით ამოისუნთქა, მამას მადლიერებით აღვსილი თვალები მიაპყრო.

— რაყამი აგერ არის. პირადადაც ასე შემოუთვლია...

ამ სიტყვებზე თამარი ბუხართან მივიდა და თაროზე, ხატის უკან შემოდებული გრაგნილი გადმოიღო. ლევანი თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმკვირცხლით მიეახლა შვილს, გრაგნილი გამოართვა, გაშალა, ჰაჯი-აჰმადის ხელრთვას დაჰხედა და ხარბად შეუდგა კითხვას. დაეჭვება შეუძლებელი იყო. ჰაჯი-აჰმადი პირდაპირ და გარკვეულად ასახელებდა ბატონიშვილ სოლომონს ლიხთიმერეთის მეფედ და ბედნიერი სულთნის სერასკირად, ხოლო მშვენიერებით ცის მნათობთა სწორ დედოფალ თამარს მოკითხვასა და სულ მალე ნახვის ნატვრას უგზავნიდა.

## IV

ქეჰას, ათაბაგის ნება-სურვილის საგანგებო აღმსრულებელი მოხელის, გამოგზავნილი კაცებიც მესხები აღმოჩნდნენ. ქართულის გარდა მათ არც ერთი სხვა ენა არ ეხერხებოდათ, რასაკვირველია, არც თურქული, მაგრამ ვინაიდან სარწმუნოება ისლამისა მიეღოთ, ხოლო თავს უძლეველი ოსმალეთის ქვეშევრდომებად თვლიდნენ, მოლაპარაკების დროს მაინცდამაინც თურქულს აჯახირებდნენ. ლევან აბაშიძე თურქულს მშობლიურ ენასავით ფლობდა, იგი ცოტად თუ ბევრად თამარსაც ესმოდა და ნებით თუ უნებლიეთ გადაგვარებულ მიწაწყლიშვილებთან სალაპარაკოდ თარჯიმანი არ დასჭირვებიათ.

პირმშო შვილიშვილის გამეფების მოთხოვნას ლევან აბაშიძე თავშეკავებული სიხარულით შეხვდა. ვინც მას ახლო არ იცნობდა, შესაძლოა, გულში გაეფიქრა, რომ თავადი უკმაყოფილოც კი იყო და ამ უკმაყოფილებას მხოლოდ ფაშას რიდითა და შიშით არ ამჟღავნებდა. საგულდაგულოდ დარწმუნდა თუ არა, ფაშას მოთხოვნა მტკიცე და ურყევიაო, ქეჰას გამოგზავნილ მოციქულებს უცებ და სულწას-

ულად მაინც არ დათანხმებია. ჭკვიანი დიპლომატი და ამგვარ დაბურდულ საქმეებში გამოჯეკილი სახელმწიფო მოხელე დაკვირვებასა და სიფრთხილეს იჩენდა, რათა იმის ფარული განზრახვა, ვის დუდუკზედაც ნება-უნებლიეთ უნდა ეცეკვა, ბოლომდე შეუცდომლად განეჭვრიტა.

მეფე ალექსანდრეს აღსასრულის დღეს ვარციხის სასახლეში სხვა ქვეშევრდომებისა და ყმადნაფიცების გვერდით, ლევანი ვერ ხედავდა მათ შორის ერთ-ერთ უძლიერესსა და გავლენიანს — ოდიშის მთავარს ოტია დადიანს. ამ გარემოების უყურადღებოდ დატოვება ახლა დიდი შეცდომა იქნებოდა. დადიანს — ლევან აბაშიძის მოსისხლე და დაუძინებელ მტერს, უფრო კი მას შემდეგ, რაც ლევანის ასული თამარი იმერეთის დედოფალი გახდა, განა შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რა ხდებოდა დღეს ვარციხის სასახლეში? ოტია დადიანი არცთუ იმდენად პირიანი, უანგარო და გულუბრყვილო ადამიანი იყო, ყველა ასეთუ ისე მოხერხებული შემთხვევა თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა. მაშინაც, როცა ალექსანდრემ და თამარმა იქორწინეს, განაწყენებული ოტია — ჩემ თავს მეფემ აბაშიძე როგორ ამჯობინაო — აშკარად განუდგა ახალგაზრდა ბატონს და ალექსანდრეს უმცროს ძმას, ტახტის მოცილე მამუკას, დაუკავშირდა. დადიანი იქნებ ვერც ვერას გამხდარიყო, გვერდში რომ როსტომ რაჭის ერისთავის მამა შოშიტა და თვით ლევანის ბიძაშვილი სულამყრალებული ზურაბ აბაშიძე არა ჰყოლოდა. ვინღა დარჩა განაპირებული ალექსანდრეს მხარეზე? სიმამრი ლევან აბაშიძე, აგიაშვილებთან და წერეთლებთან ერთად, წულუკიძეები. მეფის სიძე გურიის მთავარი მამია, დადიანის მოქიშპე ძმა კაცო და „ბარის ერისთავად“ წოდებული ეპისკოპოსყოფილი გედევანი, შოშიტა ერისთავის ავხორცი ძმისწული...

ვინ იყო თავდები, იქნებ განმდგარი დადიანი დღესაც იმის მოქმედებას აპირებდა, რაც ამას თხუთმეტიოდე წლის წინათ ხარაგაულის ციხესთან მოიმოქმედა? მტრისაგან ძლეული ალექსანდრე მაშინ იძულებული შეიქნა, ქვეყანა ღვთის ანაბარა მიეტოვებინა და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და შემწეობის სათხოვნად ქართლს გადასულიყო.

ვერც იმის თავდებად დადგებოდა დღეს ვინმე, რომ ახალციხისა და ჩილდირის ბეგლარბეგმა ფაშა ჰაჯი-აჰმადმა, ბატონიშვილ სოლომონის გამეფების თაობაზე აქეთ რომ რაყამს აგზავნიდა, მეორე, იგივე შინაარსის შემცველი რაყამი დადიანსაც არ გაუგზავნა და სამასიოდე ქესა თეთრის საფასურად სიძის — მამუკას ან მისი ვაჟიშვილი თეიმურაზის ტახტზე აყვანა არ აღუთქვა. თუ ვინიცობაა ეს ასე იყო, დადიანი თეთრს დაუყოვნებლივ გაგზავნიდა, სადაც ჯერ არს, ოდიშსა და აფხაზეთში ქუდზე კაცს მოაგროვებდა და ცხენისწყალზე გადმოვიდოდა.

ყველა ამის წარმოდგენამ მრავალ ჭირში გამოვლილი ლევან აბაშიძე თითქოს მოადუნა და, ცოტა არ იყოს, კიდევაც შეაშინა, მაგრამ წამიერ შეცბუნებას გამოცდილებამ სძლია და ძნელ მდგომარეობაში გამოსავალიც იპოვნა. ახლა საჭირო იყო, სულ ცოტა, ორი გადაუდებელი საქმის მოგვარება: მას უნდა მოეხმო ვაკე იმერეთის მენაპირე თავადები: ზურაბ მიქელაძე და ბერი ლორთქიფანიძე, ქვემო მხრის სარდალი, და დედოფლის სახელით მათთვის ოდიშის გადმოსასვლელების საიმედოდ შეკვრა ებრძანებინა. თუ ისინი ამას დროით და რიგიანად შესძლებდნენ, ოტია დადიანის მოულოდნელი შემოჭრა თავიდან უკვე აცილებული იქნებოდა. ამას გარდა, აბაშიძის ერთგულ ყმებს—მარგველებს ბატონიშვილ მამუკაზე უნდა სჭეროდათ თვალი. თუ მამუკას

გულში ბოროტი ედო, ის აუცილებლად შეეცდებოდა სასახლიდან გაქცევას და აქეთ ავი განზრახვით წამოსულ ოტია დადიანთან შეერთებას.

მამამ და შვილმა მოციქული მესხები მათთვის მიჩენილ ოთახში დასტოვეს და თავად მეჯლისების დარბაზში დაბრუნდნენ ვითომდა კათალიკოსთან და დიდებულებთან აზრების გასაზიარებლად. აქ უჩვეულო გამოცოცხლება დაუხვდათ. ლევანს ეგონა, გამოცოცხლების მიზეზი სოლომონის მოსვლა უნდა იყოსო, და სანამ, ვისმე რამეს შეეკითხებოდა, თვალებით შვილიშვილი მოძებნა. სოლომონი ჯერ კიდევ არ ჩანდა. იქნებ მოვიდა და პირდაპირ ავადმყოფის ოთახში შეიყვანეს? ლევანმა ყბაჩამოვარდნილ სახლთუხუცესს დაადგა მზერა და დააპირა ეს ეკითხა, როცა მეფის ძმები, გიორგი და მამუკა, დარბაზის შორეული კუთხიდან აქეთ წამოვიდნენ, დედოფალს მოუახლოვდნენ და გულხელდაკრეფილებმა რძალს უსიტყვო სამძიმარი და თანაგრძნობა გამოუცხადეს. ლევანი მიხვდა, რაც მომხდარიყო. მას ახლაღა შემოესმა კარის ეკლესიის ზარის დინჯი და გაგრძელებული რეკვა. გაბზარული ზარის ზრიალი სოფელ-ქვეყანას სამწუხარო ამბავს აუწყებდა...

— უკვე? — მიმქრალი ხმით ჰკითხა მაზლებს დედოფალმა და ორივე ლოყა აკანკალებული თითებით ჩამოიხოკა. — სოლომონი? ვერ მოუსწრო საწყალს?

ვერა, ვერ მოუსწროო. ამის ხმამაღლა განცხადება ახლა არავის სჭირდებოდა, ისედაც ცხადი იყო. ძმები უზომოდ შეწუხებული და ჯავრით გულგასიებული ჩანდნენ. პირველი გრძნობა, რომელიც აბაშიძის ქალს ქმრის გარდაცვალების შეტყობისას გაუჩნდა, მაზლებისადმი აღძრული წრფელი მადლიერება და მწარე სინანული იყო. არა, არ უნდა გაესტუმრებინა შინიდან სოლომონი. ალექსანდრეს საამქვეყნიო პირი აღარ ჰქონდა და, ვინ იცის, როდის მოითხოვდა, მემკვიდრე შემოიყვანეთო. დედოფალს გულში წუთით სრულ დავიწყებას მიეცა ყველა სულმდაბლობა და გაუტანლობა, ქმარსა და მაზლებს შორის მაცთუნებელი ტახტისა და ამქვეყნიური დიდებისადმი დაუოკებელი ლტოლვა რომ ჰბადებდა. ჯიუტი და ამაყი ალექსანდრე, სულის ამოსვლამდე რომ ჯერ ისევ მეფე ერქვა, ერთბაშად ამ ორი პატივმოყვარე მამაკაცის ჩვეულებრივ დედმამიშვილად გადაიქცა. გიორგი და მამუკა ტიროდნენ თავიანთ ღვიძლ დედმამიშვილს და ეს ტირილი ისე ბუნებრივად გამოსდიოდათ, თითქოს მთელი სიცოცხლე ძმასთან სიამტკბილობაში გაეტარებინოთ. დედოფალს გული ამოუჯდა და ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. მას ადრე ვერც კი წარმოედგინა, თუ დღემუდამ თავის მშფოთვარე ჟინით და ყოველი კაცისადმი უნდობლობით შეპყრობილ ქმარს ასე მხურვალედ იტირებდა.

— თავდაჭერა გვმართებს, შვილო, თამარ, — ხმადაბლა, ოღონდ სხვებისათვის გასაგონად უჩურჩულა ქალს ლევან აბაშიძემ. — გამაგრდი! ქვეყანა შენ შემოგცქერის. შევიდეთ, დავხედოთ უბედურს...

ლევანმა ეს ისე თქვა, თითქოს არც კი სჯეროდა, რომ ორი-სამი თვის წინ არცთუ სახუმაროდ შემომწყრალი სიძე-ბატონი, იმერთა მეფე, ნამდვილად მოკვდა და, სინამდვილე იყო ეს თუ არა, მანამ ვერ დარწმუნდებოდა, ვიდრე საკუთარი თვალით არ ნახავდა. კაცებმა წინ დედოფალი გაიძღოლეს და თვით უკან მიჰყვნენ. ყურთამდე გაღებულ ორფა კართან, საიდანაც მეფის ნახევრად ჩაბნელებული საწოლი ოთახი მოჩანდა, შეყოვნება მოუხდათ, რადგან იქიდან თავჩაქინდრული პატრი ლეონე გამოვიდა და, რა დაინახა, თვით დედოფალი და დიდებულები მობრძანდებიანო, უმალ გზა დაუთმო ყველას, კარის ჩარჩოს

აეკრა, პირჯვარი გადაისახა და გაურკვეველ ბუტბუტს მოჰყვა.

ოთახის შუაგულში, ჭილოფგადაფარებულ უბრალო ტახტზე საცვლებისამარა ესვენა ის, ვინც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად და განმგებლად ითვლებოდა. ტახტზე მუთაქა ან ბალიში არ იდო და მიცვალებულის უკან გადავარდნილ თავს უცნაურად მაღალი მკერდი და ზედ დაჭდობილი, ასევე საკვირველად მსხვილი ხელები ჰფარავდა.

დედოფალმა დაიკვნესა, მომუჭული მარჯვენა ხელის მკვეთრი მოძრაობით თმა გაიშალა და ზლუქუნით მიცვალებულის წინ მუხლებზე დაეცა. გაისმა მამაკაცების დაგუბებული გმინვა და გოდება. ოთახი წამსვე გაივსო მეფის სიკვდილის მომლოდინე დიდგვაროვანი დიდებულებით და სასახლის შინამოსამსახურეებით. კარის მცველებს, მოახლეებს, მზარეულებს, მებაღეებს, მეთულუხჩეებს, მწყემსებს თუ სხვებს დანარჩენებზე ნაკლებ როდი სწვავდათ ცნობისმოყვარეობა, საკუთარი თვალით ენახათ ხახულის ღვთისმშობლის მიერ შერისხული მეფე და მერე კარიდან კარად მოეფინათ ეს გაუგონარი ამბავი. მათდა გასაოცრად, მიცვალებულს ბუდეებიდან თვალების ამოცვენისა არაფერი ეტყობოდა. ქუთუთოები, მართალია, დახუჭული ჰქონდა, როგორც განურჩევლივ ყველა მკვდარს, მაგრამ ემჩნეოდა, რომ ქუთუთოების ქვეშ ჩვეულებრივი თვალის კაკლები უსხდნენ.

იქნებ ეს პატრ ლეონეს ჯადოქრობის შედეგი იყო? აქიმობაში ფრიად განსწავლული პატრის სასწაულებზე თითქმის დაუჯერებელი ხმები დადიოდა, თვით პატრი ლეონე კი, ქვეყნის დასალიერიდან გადმოხვეწილი უთვისტომო ბერი, არაფრით არ უშლიდა ხელს ამ ხმების გავრცელებას. ღვთისმოშიში ქართველი კაცი, ავადმყოფის პატრონი, თუკი უკიდურესი გასაჭირი არ ადგა, როგორც [illegible]ცხლსა და წყალს, ისე ერიდებოდა [illegible]თელი ბერის თავის ჭერქვეშ შემოყვანას. პატრი გასამრჯელოს არ იღებდა, არც სხვა რასმე გამოსაღებს ეხარბებოდა და ხალხს ამით მეტ საგონებელში აგდებდა. ადგილობრივი სამღვდელოება, ღვთისმსახურებისა და წირვალოცვის მეტი ამ ქვეყნისა რომ არაფერი გაეგებოდა, აღშფოთებული ადევნებდა თვალს პატრ ლეონესა და რომიდან შორეულ საქართველოში მოსული მისი ძმების შეუზღუდველ მოღვაწეობას. კათალიკოს ბესარიონის პირით მეფე ალექსანდრეს არა ერთჯერ შეატყობინეს, ეგ ულვაშგაპარსული ბერები ხალხში მწვალებლურ აზრებს ავრცელებენო, მაგრამ მეფემ ყურად არ იღო ხმა ერისა და ამ განათლებული სასულიერო პირების სამსახურით არცთუ იშვიათად თვითონაც სიამოვნებით სარგებლობდა. ხან წიგნებს ადგენინებდა უცხო ხელმწიფეებთან და რომის პაპთან გასაგზავნად, ხანაც პროპაგანდა ფიდეს მიერ გამოგზავნილ მემურანდუმებს ათარგმნინებდა და იმგვარი პატივით ეპყრობოდა, როგორც ტახტის ყველაზე უფრო ერთგულ ქვეშევრდომს ეკადრება. მალე თვით კათალიკოსმა ბესარიონმაც შეწყვიტა რომაული მისიონის წევრ ბერთა ფარული დევნა. ხალხში უმალ ხმა დაირხა, კათალიკოსმა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა დააგდო და კაპუჩინების მწვალებლურ სარწმუნოებას ეზიარაო. ზოგნი იმასაც კი ლაპარაკობდნენ, თითქოს კათალიკოს ბესარიონს მეტიც ექნას: პატრები რაჭას გადაეყვანოს და ძმა როსტომისა და მთელი მისი მრავალრიცხოვანი სახლეულისათვის კათოლიკობა მიეღებინებინოს. გარეგნულად, ანუ სხვათა დასანახად, ეს ამბავი არაფრით და არაფერში მჟღავნდებოდა —ბესარიონი კვლავაც ქართული მართლმადიდებლური ეკ-

ლესიის სათავეში იდგა, როგორც მისი მღვდელმთავარი და საჭეთმპყრობელი. იდგა და, რამდენადაც დრო და გარემოება საშუალებას აძლევდა, კიდევაც პატრონობდა მრევლს...

მომვლელ მონოზნებს, ის იყო, მოეთავებინათ მიცვალებული მეფის გაპატიოსნება. ისინი ახლა მკლავისსიმსხოდ დაგრეხილ თაფლის სანთლებს ამაგრებდნენ ვერცხლის შანდლებში და ტახტის თავსა და ბოლოში დგამდნენ. აპარპალებული სანთლების შუქზე ალექსანდრეს სახე არაჩვეულებრივად მშვიდი და დაწყნარებული უჩანდა. ნუთუ მართლა ყოველივე ამაო გამოდგა და უკვალოდ გაქრა? რა წარმავალი და მნიშვნელობას მოკლებული ჩანდა დღეს ყველა დიდი და მცირე შეჯახება, დიდი თუ მცირე დავა, ტანჯვის გზებზე გამოვლილ მეფეს თავის მოცილეებსა და მეშურნეებთან რომ მოსვლოდა! დღეს ყველა ეს დავა და ცილი დამთავრებული იყო. ამქვეყნიურ საზრუნავთან ალექსანდრეს უკვე აღარაფერი აკავშირებდა და მისი სახეც თითქოს ამიტომ ჩანდა ეგზომ უჩვეულოდ წყნარი და უდრტვინველი. ჭაღარაშერეული მოკლე წვერი, ჩაცვენილ ყბებსა და ნიკაპს ხავსივით რომ მოსდებოდა, მიცვალებულის სახის გამომეტყველებას დიდებულებას ჰმატებდა და აქამდე ყოველი შინაურისათვის აგრე ნაცნობ ნაკვთებს და იერს როგორღაც უუცხოებდა. წვერი მომაკვდავს ლოგინად ჩავარდნის შემდეგ წამოზრდოდა და, ვისაც ალექსანდრე მწოლიარე ავადმყოფი არ ენახა, ეგებ ვერც კი ეცნო კაპუჩინელი ძმობის წევრ პატრივით სუფთად გაპარსული და კოხტა ჩაცმადახურვის მოყვარული მეფე-ბატონი.

ტახტის გარშემო, მიცვალებული რომ ესვენა, ვიწრო წრე შეიკრა. წრიდან თითო ან ორ-ორი გამოდიოდნენ ჭირისუფალი მამაკაცები, შუბლზე ხელს იცემდნენ, მიცვალებულის წინ იჩოქებოდნენ და მოთქმით ტიროდნენ, სხვები კი ყრუ დვრინით აძლევდნენ მათ ბანს.

დაქვრივებულ თამარ დედოფლის მარცხნივ და მარჯვნივ უმცროსი ვაჟები — იოსებ და არჩილ ბატონიშვილები ამოსდგომოდნენ. გენათელი მიტროპოლიტი იოსები, ერისკაცობაში იესე, თავშიშველი იყო, გრძელი შავი თმა მხრებზე დაჰფენოდა და მოკლედ დაყენებული ბერული წვერითა და სახის ნაკვთების სინატიფით საკვირველად ჰგავდა სიკვდილის სარეცელზე მწოლარე მამას. ნაბოლარა ძმა, არჩილი, თითქმის ბალღი, გაოგნებული იყო. ის ხან ძმას შეხედავდა, თითქოს ხსნას იმისაგან მოელისო, ხან უცნაური ფერისცვალებით გაუცხოებულ მამას დააკვირდებოდა და ხანაც, რაიმე აზრისა და დანიშნულების გარეშე, ირგვლივ შემოჯარულ მტერმოყვარეზე გადაჰქონდა მზერა.

ისედაც სისხლმოჭარბებული, ახლა კი მთლად ჟინქლილივით წითელი როსტომ ერისთავი, რომელსაც მრავალი აქ მყოფის მსგავსად ხელში ანთებული შამახური სანთელი ეკავა, მოუსვენრად ინაცვლებდა ფეხს დედოფლის მოპირდაპირე მხარეს და თვალი ერთთავად შემოსასვლელ კარზე ეჭირა. მან ახლა უკვე კარგად იცოდა, რომ სახლთუხუცესმა ლომკაცა ჯაფარიძემ, სამეფო სახლის ერთგულმა ქოფაკმა, არგვეთის ბატონი ლევანი დედოფალ თამართან შესახვედრად წაიყვანა. აკი ლევანი და მისი ასული მეჯლისების დარბაზშიაც ერთად შემობრძანდნენ! იქ, რაჭის განმგებლისა და სამეფოს პირველი ბურჯის ზურგსუკან, რა იჩურჩულეს და რა გადაწყვიტეს? იქნებ ვინმეს ჰგონია ან ეჩვენება, რომ ქვეყნის ბედი როსტომის ჩაურევლად გადაწყდება და რაჭის განმგებელს, დიდ კახაბერ კახაბერიძის მემკვიდრეს, პირში ჩალაგამოვლებულს დასტოვებენ? ნურას უკაცრავად! ერისთავის ხელის ერთი აქნევა კმარა, რომ თავით ფეხებამდე შეი-

არაღებული ხუთი ათასი რჩეული მხედრობა პირველი დაძახების უმალვე გამოვიდეს და თავისი ბატონისათვის უყოყმანოდ თავი დასდოს. ნურც ტოლის, ჰყვიშის, ონის, სევას, კვარას, ხიდიკრის და მინდა ციხეებს დაივიწყებს ვინმე! ყველა ამ ციხეში როსტომ ერისთავის ერთგული მეციხოვნე ჯარი დგას. ისე რომ, დედოფალ თამარსაც და მამამის ლევან აბაშიძესაც, სანამ საიდუმლო თათბირს გამართავდნენ, უფრო მეტი წინდახედულება და შორსმჭვრეტელობა მართებდათ. როსტომს არც ჰენებით გახვითქული ოთხი ცხენი დარჩენია შეუმჩნეველი, ეზოში რომ დაატარებდა ვიღაც თავჩალმიანი ოსმალო. ვინ მოვიდა? ვინ უნდა მოსულიყო, თუარ ბეგლარბეგ ჰაჯიაჰმადის ქეჰა! მერე რატომ აქ არ შემოჰყავთ? რას ელოდებიან?

არანაკლები მოუსვენრობა და შფოთი დაუფლებოდა არგვეთის ბატონსაც. ფარული მღელვარებისაგან, ყოველი ახალი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს რომ შეიპყრობდა ხოლმე, ლევან აბაშიძეს ჰაჰების ტკივილმა გაუხსენა და დროდადრო ისე იჰმუხნებოდა, თითქოს ნაიარევზე ფეხი დააბიჯესო. სიძემან მამაკაცური თავშეკავებით მოიტირა. მწუხარება გამოთქვა თავისი ადამიანური სისუსტის გამო. კაცნი ვართ, სულ კვერცხს ვერ ვუგორებთ ერთმანეთს ხელისგულზე და ხანდახან, გვსურს თუ არა გვსურს, გულით საყვარელ ადამიანსაც ვაწყენინებთ ხოლმეო.

ამის გამგონე დედოფალს მხურვალე ცრემლები წამოუვიდა, სახეზე თმის ბღუჯა მიიფარა და ხმამაღლა ატირდა. არჩილიც იცრემლებოდა. მხოლოდ მიტროპოლიტი იდგა შუბლშეკრული და თავჩაქინდრული.

ლევანმა შემდეგ საჯაროდ გამოაცხადა, მუდამ შენი ერთგული და ყველა გასაჭირის მოზიარე შენი სიმამრი, მეფეო, შენგნით გაუბედურებული შენი ცოლ-შვილის შემწედ და ქომაგად აწიც გეგულებოდესო.

მიცვალებულის გარშემო შემოკრებილმა დიდებულებმა, დარბაზის ერმა და შინამოსამსახურეებმა მალულად ერთმანეთს გადახედეს, სული განაბეს და სმენად იქცნენ. არგვეთის ბატონი როდილა ხუმრობდა. მეფე, რომ იტყვიან, ჯერ ისევ თბილი იყო და ის უკვე თავისებური სიხარბით ეუფლებოდა აქაურობას, დედოფლის მამობით სარგებლობდა და სამეფო სახლს მფარველობასა და პატრონობას ჰპირდებოდა.

როსტომ ერისთავს ისე მოეძალა სისხლი, შუბლისა და ყელის ძარღვები ისე ძალუმად დაებერა, მწვავე ტკივილი იგრძნო. ამისთანა დროს, როცა სისხლი შეაწუხებდა და ბოლმა თვალებს დაუბნელებდა, კარის მკურნალ ხოსია გოგიბერიშვილს მოუხმობდა ხოლმე და წურბელებს მოაკიდებინებდა. ყველა ეს სიტყვასიტყვით ეწერა ძველებურ სააქიმო წიგნებსა და იადიგარ დაუდში. წურბელები ხარბად ამოსწოვდნენ წამხდარ სისხლს და როსტომიც სულს მხოლოდ ამის შემდეგ მოითქვამდა. რამდენჯერ შინაურობაში უთქვამს, თავი ნუ მომიკვდება, ამის წერა გავხდებიო, თუ მომკლავს, ეს მომკლავს, სხვა სატკივარი მე ვერ მომერევაო. გული შიშმა შეუტოკა. მკურნალი თან არ ახლდა. როგორ და ვისთვის გაემხილა უღონობა? საჩვენებელა თითზე სანთლის ცხელი ღვენთი დაეცა და ამან გამოარკვია. ნამწვი ფრთხილად ჩააქრო, ხელი ტახტის თავთით დადგმულ შანდალს შეახოცა, კაბის ჩამოგრძელებული სახელო გაოფლილ შუბლზე მოისვა და ხალხით სავსე ოთახს თვალი მოავლო. სად გაქრნენ ვაჟები — ბარძიმ, იოანე და დემეტრე? წელან აგერ არ ტრიალებდნენ?

ლევან აბაშიძის სიტყვებმა, რომლებშიაც ერთის შეხედვით შესაშფოთებელი არა იყო რა, როსტომს გული

აუფრიალა. ახლავე, ამ წუთში უნდა მოეხმო ვაჟიშვილები და დაუყოვნებლივ შინ გაეგზავნა. ეს, მართალია, შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა, მაგრამ მსგავს ამბებში გამოცდილი ერისთავი უთუოდ გამოძებნიდა რაიმე საპატიო მიზეზს და შვილების შინ გასტუმრებას ამ მიზეზით ახსნიდა. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ვიდრე ყველას ყურადღება მეფის ოჯახში დატრიალებულ უბედურებაზე და ამ უბედურებასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო ფუსფუსზე იქნებოდა მიჯაჭვული, როსტომის ვაჟებს უნდა ესარგებლათ, რჩეული რაზმებით საწერეთლოში შეჭრილიყვნენ და სადავოდ ქცეული ჯრუჭულის ხეობა, ჯრუჭის მონასტრითურთ, ხელდახელ დაეკავებინათ. ასეთი მოხერხებული დრო, ვინ იცის, კიდევ როდისღა დადგებოდა. ორ-სამ დღეში, შესაძლოა უფრო ადრე, ბაღდადს ტყვეების გასასყიდად წასული უფროსი ვაჟი გიორგიც უნდა დაბრუნებულიყო და ისიც მსწრაფლ ძმებს ამოუდგებოდა მხარში. თუ ერისთავი დააგვიანებდა და დროს გონივრულად ვერ გამოიყენებდა, ლევან აბაშიძე ფრთების გაშლას მოასწრებდა, ახალგაზრდა მეფეს ტკბილი სიტყვით დაიყოლიებდა და რაჭის მპყრობელს თავის კანონიერ მოთხოვნაზე — თვით დიდი თამარისა და ლაშა გიორგის მეფობისას ჯრუჭულის ხეობა ხომ რაჭის საერისთავოს განუყოფელი ნაწილი იყო! — ხელს აღებინებდა.

სისხლი ისევ მოაწვა შუბლსა და საფეთქლებს. როსტომს წამოახურა. ორივე ყურში თითქოს ძელსა სცემდნენ. „უნდა წამომეთრია ის ღვთისაგან წყეული ხოსიუკა, — გაიფიქრა მან. — რა იცი, კაცს სად რა მოგელის, გუშინდელი კი აღარა ვარ!..“

როსტომი არარაფერს დაეძებდა, ოღონდ აქედან გაესწრო და კიბისთავამდე მაინც გაეღწია. მეჯლისების დარბაზში, რომელიც მეფის საწოლ ოთახში შესვლის მსურველი ხალხით იყო სავსე, სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე შემოეყარა და თავისებური სიდარბაისლით, არასოდეს რომ არ ღალატობდა, ჰკითხა:

— შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებით, ბატონო როსტომ?

ერისთავმა დაირცხვინა, არ უნდოდა გამოტეხილიყო, მხრები აიჩეჩა, სახლთუხუცესის გამჭოლავ თვალებს თვალი აარიდა და ისე წაილუღლუღა:

— შემაცხელა... მართლა მძინარესავით არ წევს ეს სულკურთხეული?

— ლოგინს გავაშლევინებ, თუ...

— არა, ბატონო. — ერისთავმა იგრძნო, ტახტის ერთგული ქოფაკი გამომცდელად აკვირდებოდა და რაღაცის გამოცნობას ლამობდა. — არა, არა! — შესძახა მან ხმამაღლა. — ახლა საჩემოდ ქვე ვის ცალია, ლომკაც ჩემო, ცა ჩამოგვენგრა. აგერ გავალ, ბიჭუნებს ვნახავ. კიდევ არ გამოჩნდა ბატონიშვილი სოლომონი?

— ეს არის მობრძანდა, ბატონო, კიბეზე ამოდის, შენი ბიჭები ახლავან, გზაში გაეგებნენ...

„არაფერი გამოეპარება, ყველა დაზვერილი და შემოწმებული ჰყავს!“ — გაიფიქრა ერისთავმა.

ფრთხილი სახლთუხუცესი თვით მასაც, როსტომ ერისთავსაც, უთვალთვალებდა. მთელი სასახლე ლევან აბაშიძის მარჯვენების ხელთ იყო, ეს ამბავი კი მხოლოდ სამმა ადამიანმა იცოდა: ლევანმა, დედოფალმა თამარმა და სახლთუხუცესმა. სამ-სამი რჩეული ვაჟკაცი ადევნებდა თვალს გიორგი და მამუკა ბატონიშვილებს. ხელის უბრალო განძრევა, ერთი საეჭვო მოძრაობა და აბაშიძის კაცები თავისას იზამდნენ. ნაბრძანები იყო, ჯერ იარაღი არ ეხმარათ, ხოლო თუ ტახტის მოცილე ბატონიშვილების მხრის ამბმელნი ძალის გამოყენებას შეეცდებოდნენ, ძალაზე ძალითვე უნდა ეპასუხათ.

როსტომს ესიამოვნა ვაჟიშვილების მოსაზრებულობა და სიმარჯვე, მაგრამ

მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ განწყობილება უმალვე შეეცვალა: ახლა ერთიორად გაძნელდებოდა ბიჭების წინ გასტუმრება. სოლომონი ან მიტროპოლიტი იოსები უსათუოდ მოისაკლისებდნენ, სად გაქრნენ, რატომ ბოლომდე არ გვცეს პატივიო და ეჭვს აიღებდნენ. ამიტომ მამის უკითხავად ვაჟბატონებს ფეხი არ უნდა გაედგათ. მუდამ უკუღმა მიდის საქმე, როცა ოჯახში უმცროს-უფროსობა მოიშლება და უმცროსი უფროსს არაფერს ეკითხება...

## V

სოლომონი სულ რამდენიმე წუთს იდგა მამის ცხედრის წინაშე, იდგა ძმებს შორის, სადღაც მიცვალებულის იქით მიშტერებოდა სივრცეს და დაჟინებით ცდილობდა მოეგონებინა, როგორი იყო მამა უკანასკნელი ნახვის დროს. ცოცხალი ალექსანდრეს ხატის აღდგენა თითქმის შეუძლებელი გახდა. დღევანდელი დილის შემდეგ, მას შემდეგ, რაც კაცხის სასახლეში დედოფლის გამოგზავნილი შიკრიკი გაჩნდა და ეს თავზარდამცემი ამბავი მოიტანა, თითქმის მთელმა საუკუნემ განვლო. ამ საუკუნის მანძილზე მამა სულ მკვდარი იყო და მისი აღსრულებული სიცოცხლე თანდათან დავიწყების უფსკრულში ინთქმებოდა. სოლომონი ბურანში გაეხვია. ორი-სამი წუთი კიდევ და გულში ჩაგუბებული მთელი მდულარება თვალთაგან ღვარად წამოუვიდოდა. მოძალებულ ქვითინს ძლივს მოერია. არ სურდა, სხვები მისი გულაჩუყებისა და სისუსტის მოწმე გამხდარიყვნენ, ამიტომ ყველასათვის მოულოდნელად შემოტრიალდა და ალალბედზე კარისაკენ წავიდა. ბრბო ორად გაიყო, ბატონიშვილს გზა მოწიწებით დაუთმეს. სოლომონი ერთხანს ბრმასავით მიაბიჯებდა. რამდენჯერმე აღფრთოვანებული ჩურჩულით წარმოთქმული თავისი სახელი შემოესმა. ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანები ჯერ თითქოს ნისლში დაბორიალებდნენ, მერე გარემო ნელნელა დაიწმინდა და მან სათითაოდ გაარჩია და იცნო ყველა, ვინც ახლომახლო ტრიალებდა.

აქ იყვნენ ძმები გიორგი და ბერი წულუკიძეები. უფროსი ძმა, გიორგი წულუკიძე — ხოტევის ციხის პატრონი, მეფე ალექსანდრეს ერთგულ და ყოველგვარ გაჭირვებაში სანდო კაცად მიაჩნდა. მას ბატონიშვილ სოლომონის გამზრდელად თვლიდნენ. სოლომონს მართლაც გიორგის სტუმართმოყვარე და ალერსიან ჭერქვეშ გაეტარებინა სიყმაწვილის ბევრი უდარდელი დღე, უფრო კი ლეკიანობის ან ოსმალთა თარეშის დროს, საღმრთო და საერო წიგნების სიბრძნესაც იქვე ზიარებოდა და ორივე წულუკიძე გამორჩეული სიყვარულით უყვარდა.

გიორგის უმცროსი ძმა—ბერი ქვეითი ჯარის სარდალი იყო და „ზემო მხრის სარდალ“ ქაიხოსრო წერეთელთან ერთად დღემუდამ ამოღებული ხმალივით გვერდში ედგა იმერთა მეფეს. მეფე ალექსანდრე, თავის მხრივ, ბევრს ვერაფერს ეხმარებოდა ერთგულ თავადებს, ერთი წუთი მოცლა არ ჰქონდა, წულუკიძეებს კი, მეფის ოჯახთან სიახლოვის გამო რაჭის ერისთავის ასე საძულველ მეზობლებს, საკუთარ ჭერქვეშ აღარ დაედგომებოდათ. ზემოური ჯაფარიძეებისა და სადმელელი იაშვილების ყმა-მამული რომ მიისაკუთრა და თვით მეპატრონენი დედაბუდიანა ამოჟლიტა, ერისთავი ახლა მათაც მიადგა. აშკარად ხმლის აღმართვას და გამოლაშქრებას, მართალია, ვერ ბედავდა, გულის სიღრმეში, რაც უნდა იყოს, მეფის შურისძიების შიში ჰქონდა, მაგრამ დღე ისე როგორ გაივლიდა, მეზობელი სათავადოს ესა თუ ის ყმა არ აეწიოკებინა და პირადად თუ თავისი კაცების მეშვეობით კეტებისა და მარგილების ტრიალი არ აეტეხა, ვინ არ ძრახავდა ყველა ამ ავკაცობის მოქმედ ერისთავს, ვინ არ ემუქრებოდა, თუმცა პირში კი ვერავინ ვერაფერს უბედავდა. თვით ღვიძლი ძმა კათალიკოსი ბესარიონი შუამავლობას და ამბოხებუ-

ლი მეზობლების დაშოშმინებას უნდებოდა. ვის მობოდიშების წიგნს უგზავნიდა და თავისი კეთილი ზრახვების მოწმედ ზენაარს სახავდა, ვის მოთმინებას უქადაგებდა და ზვიადი ერისთავის გულის მოლბობას აღუთქვამდა. რისტომი არც ყოვლად სამღვდელო სახლიკაცის შეგონებებს თვლიდა დიდ რამედ. წესის მამა-პაპეულ წიგნსაცავში ბლომად დაცულ მატიანეებსა და სიგელ-გუჯრებს გადაუშლიდა შვიდსავე შვილს, შვიდ ლომივით ვაჟკაცს და საერისთავოს ადრინდელ საზღვრებს აჩვენებდა. რაჭა, ზემო თუ ქვემო, ოდითგანვე ერისთავის საბატონო იყო. მეფეს აქ ხელი არა ჰქონდა. ასე დააკანონეს თვით დიდმა თამარმა და ძემ მისმა გიორგი ლაშამ. ყველა რაჭველი თავადი, აზნაური, გლეხი, სამღვდელო, ვაჭარი თუ ხელოსანი ერისთავის ყურმოჭრილი მონა იყო ყოველთვის და აწიც, ღვთის წყალობით, ასე იქნებოდა. ერისთავი წინდახედულად სდუმდა იმის გამო, რომ ნარინ-დავითის დროს ლეჩხუმიც, ახლანდელი თაკვერი, რაჭის ერისთავთა სამფლობელო იყო. ამჟამად იგი თვით ერისთავის სისხლით ნათესავს და ერთგულ თანამდგომს ოტია დადიანს ეჭირა. ალექსანდრემ რომ ჩიხორის ომში გაიმარჯვა და ოტია ტყვედ იგდო, ბევრს ეხვეწა მეფე ტყვე დადიანს, თაკვერი დამითმე და სამაგიეროს, რასაც გსურს, ინებეო, მაგრამ ვერას გახდა. ლეჩხუმის კანონიერ მფლობელზე ხელახლა სიტყვის ჩამოგდება უსათუოდ წყალს ამღვრევდა ერისთავსა და დადიანს შორის, ამით კი ორივეს მტრები მოითბობდნენ ხელს. ამიტომ რისტომი სდუმდა და შვილებსაც უნერგავდა, ჩუმად იყავითო. დროს ვაცალოთო, ამბობდა, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო.

ორივე ძმა წულუკიძე სოლომონსა და მის ამალას კახნიაურის ბოლოზე დაუხვდა. მათ აქ ადრევე შემოერთებოდათ ხონიდან დაბარებული ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, რომელსაც თან უმცროსი ძმა დავითი და მცირე ამალა ახლდა, და დედოფალ თამარის მიერ მამედ-ალი კიკიან ფაშასთან ქუთაისს გაგზავნილი სამცხელი აზნაური თამაზა მესხი. შავშეთიდან გადმოხვეწილი თამაზას მამა-პაპა კარგა ხნის წინათ, ოსმალთაგან ტაო-კლარჯეთის დაკავების შემდგომ, ჩამოსახლებულიყო იმერეთში და ერთგული სამსახურის სანაცვლოდ აქაური მეფეების წყალობაც მოეპოვებინა. თვით თამაზა, მოხერხებული, ბირდაბირივით საქმის გამტან-გამომტანი, მკვირცხლი და გონებაგახსნილი კაცი, სამეფო დარბაზის წევრი გახლდათ და საკუთრივ მეფე ალექსანდრეს სრული ნდობითაც სარგებლობდა. ზოგიერთი დიდგვაროვანი თავადი ახალგაზრდა აზნაურის ამგვარ წარმოუდგენელ აღზევებას შურით უყურებდა და „ეს მატრაკვეცა თამაზა“ თვალით არ დაენახვებოდა. სწორედ ამიტომ ჟღერდა ასე დამამცირებლად „თამაზად“ ქცეული „თამაზ“, რასაც უფრო შეძლებულსა და უფრო პატივდებულს, ვიდრე მესხი იყო, ვერასდიდებით ვერ შეჰბედავდნენ. თამაზა ამას, რასაკვირველია, მშვენივრად გრძნობდა, მაგრამ ყველა სხვა უნართან ერთად იმის უნარიც შესწევდა, ფუჭ თავმომწონეობას არ აჰყოლოდა, ჭკუით მოქცეულიყო და გულში ჩახვეული წყენა ხმამაღლა არ გაემხილა. თამაზას ამ თვისებას სასახლეში ამჩნევდნენ და მის კეთილგონიერებას, რაც ახალგაზრდა კაცს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, კიდევაც აფასებდნენ. ბოლოს უკლებლივ ყველა შეეჩვია უბრალო აზნაურის მეზობლობას დარბაზის ერში და თამაზა ისერიგად თვალში აღარავის ეჩხირებოდა.

წულუკიძეებს ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილთან გამოევლოთ ცუცხვათში. აგიაშვილი თვითონაც შეუძლოდ ყოფილიყო და აქამდე არაფერი სცოდნოდა. ასე გასინჯეთ, გელათის გალავანში ხახულის ღვთისმშობლის ხატის გამოსვენების ამბავიც გვიან შე-

ეტყო. სტუმრები, რაკი საქმე აღარ იცდიდა, წინ აღარ შეუპატიჟნია. იქვე, კაკლის ძირას მიიღეს თითო ყანწი ღვინო. წაიხემსეს და მაშინვე აქეთ გამოსწიეს.

ყველა ესენი: წულუკიძეები, აგიაშვილები, მესხი და აბაშიძეები, წერეთლებთან, მიქელაძეებთან, ლორთქიფანიძეებთან და ორიოდე სხვა დაწინაურებულ საგვარეულოსთან ერთად, საშუალო შეძლების, უფრო კი ხელმოკლე იმერელ თავადთა და აზნაურთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. დადიანის, გურიელის, ერისთავისა და არგვეთის ბატონისაგან თავის დასაცავად თითოეული მათგანი მეფეს ეკედლებოდა და მუდამ მზად იყო, ტახტის ბედ-იღბალი საკუთარი ყმა-მამულისა და ოჯახის ბედ-იღბლად ექცია.

ვარციხის სასახლეში წვრილფეხა თავადაზნაურობისა და სამღვდელოების შეყრამ, რომელთაც გალავანში თვით ბატონიშვილი სოლომონი შემოუძღვა, ერთბაშად შეცვალა ძალთა თანაფარდობა და ლევან აბაშიძე საგონებელში ჩააგდო. თავადის უპირველესი გასაჭირი ის იყო, რომ ჯერაც ვერ მოეხდინა საბოლოო არჩევანი: ვისთვის გაეხსნა გზა იმერთა მეფის ტახტზე ასასვლელად? სანდო იყო თუ არა სოლომონი? შეძლებდა თუ ვერა ლევანი შვილიშვილის მოთოკვას და დამორჩილებას? აბაშიძე თავისი ცხოვრების ამ ძნელ წუთებში გრძნობდა, რომ სოლომონის აღზრდაში, მისი ხასიათისა, რწმენისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში არასაკმაო მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. სწრაფად, თითქმის თვალის ერთ დახამხამებაში იზრდებიან და ვაჟკაცდებიან ეს ახალგაზრდები. მოიხედავ და გუშინდელი ბალღი, სკამქვეშ რომ დაღოღავდა, დღეს უკვე კაცია, ისეთივე კაცი, როგორიც ჯერ კიდევ გუშინ შენ თვითონ იყავი. რა იცი, რას ფიქრობს, საით მიისწრაფვის, გულში რა უდევს? ვის უპყრია მისი გულის გასაღები?

ლევანს დღეს ისიც ვეღარ გადაეწყვიტა, ნდობოდა თუ არა სოლომონს, გაემხილა თუ არა მის წინაშე ყველა ზრახვა და მიზანი? ვაითუ მერე და მერე საქმე ისე შეტრიალებულიყო, მას თვითონვე დასჭირვებოდა თავისი ხელით დაგებული მახეების მოშლა და გაუვნებლება. ერთადერთ იმედს, ისევე როგორც ადრე, თამარზე ამყარებდა. ეს ძალაუფლების მოტრფიალე და პატივმოყვარე ქალი ყოველთვის ერეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში და ბევრი საქმე ხშირად მისი ნებასურვილის მიხედვით წყდებოდა. სწორედ თამარის შემწეობით შესძლო ლევანმა სკანდისა და სვერის ციხეების ხელში ჩაგდება, თამარისავე დაჟინებითა და დაუღალავი მეცადინეობით დაისაკუთრა მეფისეული ჭალატყის კომკები. უბედურ ალექსანდრეს იმხანად სული ამოხადა ოტია დადიანის ხშირმა თავდასხმებმა. ბოლოს ის ისე დაიღალა დადიანთან ომით, ისე ბევრი ხალხი დაეხოცა, ისე დიდი ზარალი მოუვიდა, ერთ დღეს დაუძინებელი მტრის შემორიგებაც კი მოიწადინა. ეს, თუკი განხორციელდებოდა, რაღა თქმა უნდა, ლევან აბაშიძისა და მისი ასულის, დედოფალ თამარის, გავლენის შესუსტების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. დადიანის გულის მოგების მიზნით ალექსანდრეს, შესაძლოა, თამარი კიდევაც განეტევებინა და თანამეცხედრედ ოტიას რომელიმე შინაბერა და ან ახლო ნათესავი დაესვა. ლევანი საგონებელს მიეცა. სწორედ ამ დროს გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე, არაჩვეულებრივი შინაგანი ძალა და მოსაზრებულობა თამარ დედოფალმა: კარზე მომდგარი უბედურების თავიდან ასაცილებლად ის ქმარს შეუჩნდა, ხელიდან მოხერხებულად გამოსტაცა ქვეყნის უმტკიცესი ციხეები, რომელთა გატეხა და დასაკუთრება თავის დროზე მძვინვარე მურვან-ყრუმაც ვერ შესძლო და მამას — არგვეთის ბატონს გადასცა. ლევან აბაშიძის მორჩილებაში

ყოლა ამიერიდან უკვე შეუძლებელი იყო. მან სრული შეუვალობა მოიპოვა, სახასო გამოსაღების გადახდაზე მტკიცე უარი განაცხადა და მიუდგომელ ციხეებში კარგამოკეტილი თავისი სამფლობელოს პატარა მეფე გახდა. ლევან აბაშიძეს არც ბიძაშვილები — ხარაგაულელი აბაშიძეები ჩამორჩნენ. ჩხერისა და ხარაგაულის ციხეები, რომლებიც მათ ხელთ იყო, ზედამხედველობას უწევდნენ შიდა ქართლთან დამაკავშირებელ გზებს. ასე რომ, მეფის კრიჭაში მდგომი აბაშიძეების თანხმობისა და კეთილი განწყობილების გარეშე რიკოთის უღელტეხილის გზაწვრილებზე კაციშვილი ვერ გაიჭაჭანებდა.

აი, რა შეეძლო თამარს და რა შესძლო, როცა ძალა დაადგა! რა შეეძლო მას დღეს? მოიდრეკდა თუ არა ქედს დედის წინაშე ბატონიშვილი სოლომონი, რომელიც ხვალ, თუკი ასეთი იყო ღვთის ნება, ლიხთიმერეთის მეფედ უნდა ეკურთხებინათ?

ლევან აბაშიძემ გაითვალისწინა სიფრთხილის ყველა პირობა, სხვათა ყურადსაღებად რამდენიმე არცთუ სავალდებულო რჩევა-დარიგება დაუგდო სასახლის მსახურთ, რომლებიც სახლთუხუცესის ბრძანებისამებრ უკვე შესდგომოდნენ პალატების სამგლოვიაროდ გაწყობას, და გულხელდაჭდობილი, თითქოს არსადაც არ ეჩქარებაო, უკან გაჰყვა დედოფალსა და ბატონიშვილებს. ლევანს სურდა ერთხელ კიდევ გაენაპირებინა თამარი, შეწყვეტილი საუბარი განეგრძო, თავისი ახალი ეჭვები გაემხილა, ერთხელ კიდევ დაჯერებულად და გულდადინჯებით მოლაპარაკებოდა, ვიდრე ქეჰას მიერ გამოგზავნილ მოციქულებს საბოლოო პასუხს გასცემდნენ, მაგრამ ახლა ისე ჩანდა, რომ ამის მოხერხება უკვე ძალიან გაუჭირდებოდა: ბატონიშვილები და მაზლები, შილები და დიდებულთა თანამეცხედრენი მგლოვიარე დედოფალს მარტო უკვე აღარ დასტოვებდნენ. მაგრამ იქნებ თვით თამარს ეზრა და ამდენი მზრუნველისა და დამხმარისაგან თავი როგორმე დაეღწია? დედოფალი გონიერი ქალი იყო. გონიერთა შორის გონიერიც. შეუძლებელია, თვით არ ეგრძნო მამასთან მოთათბირების აუცილებლობა.

ამით დაიმედებული ლევანი შორიახლო მიჰყვა ასაბიას. მან ახლა, მხოლოდ მეფის საწოლი ოთახიდან გამოსვლისას შენიშნა, რომ თამარს გვერდით პირბადეჩამოფარებული მოხდენილი ყმაწვილი ქალი ახლდა. ნეტა ვინ არისო, გაიფიქრა. ვიღაცას კიდევაც მიამსგავსა. და უმალ გაახსენდა: ეს ხომ სოლომონის თანამეცხედრე, მეფის კარზე სამადლოდ გაზრდილი ინალიშვილის ასული თინათი იყო. ლევანს შვილიშვილის მეუღლე მხოლოდ ორჯერ ენახა. პირველად ჯვარისწერასა და ქორწილში შეხვდა, ხოლო მეორედ — ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, ღამისთევის დროს, სადაც სოლომონს თავისი ლამაზი ცოლი ოქონობის დღესასწაულზე მოეყვანა. თინათი უგვარო ქალი იყო, მაგრამ რაკი მისი შერთვა სოლომონმა თავად დაიჟინა, დედა და ბაბუა არ ახირებიან. ლევანს ეს ნაბიჯიც ხვალინდელ დღეზე ფიქრმა შთააგონა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე სოლომონი ნებაყოფლობით იდებდა ხელ-ფეხზე ბორკილს და მისი მომავალი სასძლოს გამოძებნა ხვალ და ზეგ აბაშიძის საზიანო შფოთისა და შეხლა-შემოხლის საბაბად აღარ იქცეოდა...

„დაკნინდა ქვეყანა, — გაიფიქრა თავისი ზრუნვითა და ეჭვებით შეპყრობილმა ლევან აბაშიძემ. — ხვალ ეს ცხვირმოუხოცელი მდაბიო გოგო იმერეთის დედოფლად დაგიჯდება. მიდი და ეცი თაყვანი! თაყვანისცემას ვინღა წუხს, იქნებ თვალშიაც აღარ მოუვიდე. რა ვუთხარი მე ღმერთის სამართალს — ეს ტახტზე დაბრძანდეს და ჭკუითა და გონებით სავსე თამარი სამოახლოში გაისტუმრონ? არა! — ლევანმა ჩაახველა და, თითქოსდა უსიამოვნო ფიქ-

რები თავიდან უნდა გამოჰყაროსო, ცხელი ხელი მაგრად მოისვა შუბლზე.— ეს არ მოხდება! ეს არ მოხდება, სანამ მე ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას!“.

ასაბია ხმაამოუღებლივ დაეშვა კიბეზე და მოწამეთის თეთრი ქვით მოკირწყლულ დერეფანში ჩავიდა, საიდანაც მოაჯირმოხარატებული მეორე ფართო კიბე დედოფლის პალატებში ადიოდა. სასახლე, ადრე რომ მხოლოდ სამონადირეო სადგომად იყენებდნენ, მოუხერხებლად იყო მოწყობილი: მისი ერთი ფრთიდან მეორეში გადასასვლელად კაცს დერეფანში ჩამოსვლა გჭირდებოდა. სვეტებიანი წინა აივანი, რომელიც ორსავე ფრთას აერთებდა, სასახლის უკანასკნელი აკლების შემდეგ. მეფე ალექსანდრეს მეხვალიობის გამო, ჯერაც არ აღედგინათ. ქართლელმა კალატოზებმა მხოლოდ ქვითკირი და კარიბჭის გოდოლები შეაკეთეს. ლევანს ამიტომაც არ უყვარდა ეს სასახლე. მას სიძის დუნე ხასიათის გამოხატულებად თვლიდა. განა ძნელი იყო აივნის აღდგენა და სასახლისათვის ძველი ბრწყინვალების დაბრუნება?

ლევანს არ უნდოდა ყურში შეეშვა და დაეჯერებინა, რომ ბოლო დროს მეფის ოჯახი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა. ოსმალთა სავალდებულო ხარკი, ყოველწლიურად ასობით ქესა თეთრს რომ შეადგენდა. უკურნებელი სენივით ღრღნიდა უამისოდაც გაღატაკებულ სამეფოს და თვით მეფის ოჯახს. თავ-თავიანთ მამულებში ჩაკეტილი აბაშიძე, ერისთავი და გურიელი, რომლებიც მხოლოდ სიტყვიერად ცნობდნენ თავს იმერთა მეფის ქვეშევრდომებად, საქმით კი მარტოოდენ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, ერთ ქესა თეთრსაც არ ახმარდნენ მეფეს მომხვდური აგარიანის ხარკის დასაფარავად. მეფე იძულებული იყო, სახასო ყმა-გლეხობა და ეკლესია-მონასტრები გაეჩანაგებინა, ციხე-კოშკები, წისქვილები, თითო-ოროლა ძაფსახვევი და საფეიქრო საამქრო გაეყიდა ან იჯარით გაეცა და ყველა ამაში ამოგებული თანხა ახალციხეში გაეგზავნა — ქვეყნის ახალი დარბევისა და მოთარეშების თავიდან ასაშორებლად. ერთადერთი, რითაც დიდი და მცირე ქვეშევდრომი თავადები და აზნაურები მეფეს დახმარებას უწევდნენ, ტყვე გოგო-ბიჭების მოგროვება და ოსმალებამდე მიყვანა იყო. იმერეთს წლითიწლობით ასოცი რჩეული ქალ-ვაჟის გაყიდვა ეკისრებოდა და უკეთუ დათქმულ დროს, ნაალდგომევს, ხარკს ბაღდადის ციხისთავს არ ჩააბარებდნენ. ახალციხის ფაშა დიდძალი ჯარით შემოიჭრებოდა იმერეთში და ასოცის მაგიერ ხუთასსა და ათას ტყვეს გაირეკავდა. მთავრები გულმოდგინებას იჩენდნენ — ტყვე გოგო-ბიჭები თავისი ნებით გაყავდათ გასაყიდად. ამ საქმეში ისინი, რაღა თქმა უნდა, უფრო პირადი გამორჩენის მიზნით გულმოდგინეობდნენ, მაგრამ მეფე ამას აღარ მისდევდა. ოღონდ კი ასეული წლების განმავლობაში დაკანონებული ხარკი გადაეხადა და სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა კიდევ ერთი წლით უწყალო აოხრებისაგან ეხსნა.

ლევანი უკანასკნელი ჩავიდა დერეფანში. აქ მას მოლოდინი გაუმართლდა: თამარმა მხლებლებს მადლობა უთხრა მწუხარებაში მონაწილეობის გამო, მოიბოდიშა, თავი მიბრუის, ფეხზე ველარ ვდგებიო, მხოლოდ ყმაწვილი რძალი იახლა და ციცაბო კიბეს მასთან ერთად შეუდგა. ეს, ალბათ, მეტად ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო. გარეშე პირებს, მით უფრო მამაკაცებს, დედოფლის ამგვარი მოქცევა საწყენად არ უნდა ·მიეღოთ; თამარმა შვილებიც და მაზლისცოლებიც მათთან ერთად დასტოვა დერეფანში.

ორმოციოდე წუთის შემდეგ ლევანი თვითონ მიიხმო დედოფალმა. არგვეთის დიდი ბატონი, ცოტა არ იყოს, განცვიფრდა, თავიდან ფეხებამდე თალხებში გახვეული თამარი რომ დაინახა. დედოფალი ისევ მარტო იყო იმავ პატარა

ოთახში. როდის შეიკერა ამ ქალმა ეს ძაძები? ლევანს ცხადლივ ახსოვდა, რომ თამარს არც ერთი შავი კაბა ან წამოსასხამი არ ჰქონდა. მუდამ ფერად, ოქრომკედილით ამოქარგულ ტანსაცმელს იცვამდა. ნუთუ წინასწარ გასწყია თადარიგი და თალხები მანამდე შეიკერა, სანამ ქმარი ისევ ცოცხალი ჰყავდა? ლევანმა ეჭვიანად მიიხედ-მოიხედა. თინათის ეძებდა, არა, დედოფალი ისევ მარტო იყო.

— აქ ჩვენს მეტი არავინ არის, — თამარი მამას მიუხვდა და მსწრაფლ დაამშვიდა. — თინათი თავის ოთახშია. ხომ არ აჯობებდა, კათალიკოსი და ერისთავიც მოგვეწვია?

— გურიელს რაღას ემართლები, შე ქალო, გინდა, ქვეყანა გადაიკიდო? მე არ ვიცი, ვისი იმედი გაქვს!

ლევანი აშკარად გაღიზიანებული ჩანდა. ის, როგორც მამაკაცი, თავს დამცირებულად გრძნობდა და გადაუდებელი სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე რომ არა ჰქონოდა, ვინ იცის, ახლავე ცხენები შეეკაზმინებინა და ამდენი მტრისა და მოყვრის თვალწინ შინ უსიტყვოდ წასულიყო. ვისაც რა სურდა, ის ეფიქრა! თამარმა თვალი გაუსწორა. მისი მბრძანებელი თვალები მამისადმი უზომო მორჩილებასაც გამოხატავდნენ და ამავე დროს მეფური სიამაყის ცეცხლსაც აფრქვევდნენ.

— ვისი იმედი უნდა მქონდეს, ბატონო, — სიჩუმე ისევ მან დაარღვია და ხმაში თავშეკავებული საყვედური შეეპარა. — შენ თვითონ არ იცი, ვის იმედზედაც ვარ?

— თუ ერთს უძახი, მეორესა და მესამესაც უნდა დაუძახო, — ლევანს ასული შეეცოდა და აშკარა წყრომა დამრიგებლური კილოთი შეცვალა. — მაზლები რას იტყვიან? თუ არა და, არც ერთის დაძახება არ არის საჭირო. ჩვენ ძალიან ნელა ვირჯებით. ოდიშიდან აქ მოსვლას დიდი დრო კი არ უნდა. ორასიოდე-სამასიოდე კაცით ოტია დადიანს ვერ შეაკავებ!..

დედოფალი გაფითრდა. მამას თვალების დაუხამხამებლად მისჩერებოდა.

— პირდაპირ მიპასუხე, — საქმიანად განაგრძო ლევანმა. — დარწმუნებული ხარ, რომ სოლომონი შენი მონა-მორჩილი იქნება?

— როგორ „მონა-მორჩილი“, მამა? — თამარს თავადაც ეს აზრი უკარგავდა მოსვენებას და ლევანს კითხვა იმისათვის შეუბრუნა, რომ დრო მოეგო და საჭირო პასუხი გამოეძებნა.

— ვაითუ გაჯიქდეს და ყველას თავზე დაჯდომა მოინდომოს? — დააზუსტა ლევან აბაშიძემ. ის მიხვდა, შვილი რაღაც ძალზე საგულისხმოს უმალავდა და ქალური ეშმაკობის საშუალება რომ აღარ მიეცა, პირდაპირ თვალებში ჩახედა.

თამარი აილეწა, მამის შიგ სულში ჩამწვდომ თვალებს ვერსად გაექცა და წონასწორობა და ღირსება რომ შეენარჩუნებინა, კვლავ თავისებური მიამიტობით ჰკითხა:

— მე ამას რატომ მეკითხები, ბატონო მამა?

— დედა ხარ და იმიტომ, — მკაცრად განუმარტა ლევან აბაშიძემ. — შენი შვილის ამბავი სხვაზე უკეთ შენ უნდა იცოდე.

— ახლა უარის თქმა გვიანია, — ჰკვიან დედოფალს ალღომ უკარნახა, რომ უკან დახევა მართებდა. — მე და შენ, ბატონო მამა, კარგად იცი, ყასიდად გვეკითხებიან. საქმე უკვე გადაწყვეტილია და ჩვენ შესრულება გვევალება. თუ ყოყმანი და ურჩობა შეგვატყვეს, ორი-სამი საათის შემდეგ ქეჰა აქ გაჩნდება თავისი ჯარით და მშვიდობიანად გასაკეთებელ საქმეს ძალით გაგვაკეთებინებს. თამაზა მესხი მყავდა გაგზავნილი კიკიანთან ქუთაისის ციხეში. იმასაც იგივე ბრძანება მიუღია ჰაჯი-აჰმადისაგან..,

— მე ვშიშობ, თამარ, გამოუსწორებელი შეცდომა არ მოგვივიდეს.

— მოვიხმოთ სოლომონი, ვკითხოთ, თავათ რას ფიქრობს!

— სხვა გზა მაინც არ არის.

— მერე სხვებიც მოვიწვიოთ და ფაშას გადაწყვეტილებაც ვაუწყოთ და ჩვენიც, — ეს თქვა თუ არა, მამის თანხმობისათვის აღარ დაუცდია, დედოფალი ბუხართან მივიდა და კედელზე ჩამოშვებული აბრეშუმის ზონარი ჩამოსწია. სადღაც ზარის ჟღარუნი მოისმა. წუთსაც არ გაუვლია, კარი გაიღო და ოთახში ვაჟკაცივით ძვალმსხვილი, პირქუში შესახედაობის შუახნის ქალი, დედოფლის მოახლე ხვაშაქი შემოვიდა.

— სახლთუხუცესი მოძებნე გეთაყვა, — მიმართა მას თამარმა. — იქნებ ბატონიშვილი სოლომონი ნახოს და ახლავე აქ გამოგზავნოს.

მოახლემ მდუმარედ მოისმინა ბრძანება, თავი დახარა, უკმაყოფილო სახით უკანვე გაბრუნდა და კარი გაიხურა.

„ეს ჯოჯოხეთის მაშხალა კიდევ ცოცხალია?“ — მოქუფრულ სახეზე ლევან აბაშიძეს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

სოლომონი რომ კარის ზღურბლზე გამოჩნდა, მამა და შვილი დაუბრებულებივით იდგნენ ოთახის სხვადასხვა კუთხეში.

— მოდი, შვილო, — დედოფალი თვითონ მიუახლოვდა დავაჟკაცებულ ბატონიშვილს, ხელები გაშალა, მოეხვია, მისი თავი გულზე მიიკრა, ცრემლებით დასველებული ლაწვი წვერწამოზრდილ ლოყაზე მიაყრდნო და შუაგულ ოთახისაკენ წამოიყვანა. — აღარა გყავს შენი უბედური მამა. მორჩა, მოისვენა. გაიხაროს ახლა ყველა მისმა მტერმა და დამაწყევარმა. მოეღო ბოლო მის ულმერთო წამებას..,

დედოფალი ხმადაბალი მოთქმით ამბობდა ყველა ამ სიტყვას და თავისივე წარმოსახვით გულაჩუყებული ცხარედ ტიროდა. ბაბუა და შვილიშვილი, ერთმანეთისათვის ჯერ სიტყვაც რომ არ ეთქვათ, თავჩაღუნული იდგნენ და უხმოდ იცრემლებოდნენ.

— სული ისე ამოუვიდა, გონზე არ მოსულა, — განაგრძობდა ჩუმ მოთქმას თამარი. — ერთი საათით მივატოვე მე უბედურმა. ღამისთევას ვეღარ გავუძელი. თვალს მოვატყუებ-მეთქი, რა დამაძინებდა! ღმერთი მომეხმარა, ბაბუაშენიც აქ დამესწრო ამ დროს. შეგვატყობინეს, უკვე აღარ არისო. ცალკე შენმა ჯავრმა მომითავა ხელი. თინათი მაინც არ წაგეყვანა. გადაგველია გული ლოდინში.

— ერისთავის შვილმა გიორგიმ გამაჩერა, — თქვა სოლომონმა და ბაბუას შეხედა. მას ახლა ჭირის დღესავით სძაგდა ორივე ეს უახლოესი ადამიანი. ამ წუთში პირველად გაიგონა, რომ დედა მომაკვდავთან არ იყო უკანასკნელი გაბრძოლების დროს. მამას სული სხვის ხელში აღმოხდა. ვინ იცის, რის თქმა სწადდა უკანასკნელად, როგორ ეძებდა ვინმე თავისიანს! უმადურობა და გულქვაობა ამაზე შორს ვეღარ წავიდოდა...

ხმაგაკმენდილი დედა და ბაბუა ბატონიშვილს თვალებში შესჩერებოდნენ, მოთმინებით უცდიდნენ, კიდევ რას იტყოდა.

— წერეთლის გლეხები დაეჭირა, — თქვა სოლომონმა. — ვაზის ნერგი ჰქონოდათ გადატანილი წესში. ბაღდადს მიყავდა.

— ვაიმე, ღმერთო კი მომკალი! — თამარმა შეიცხადა, ორივე ხელი ლაწვებზე იტაცა. — ლაპარაკი ხომ არ მოგივიდათ, შვილო, სოლომონ?

ბატონიშვილმა არაფერი უპასუხა, დამნაშავესავით გვერდზე გაიხედა.

— ახლა როსტომის განაწყენება გვინდა? ძლივს მშვიდად არის...

სოლომონმა სახე მოაბრუნა და თვალებში აუწერელი ზიზღი ჩაესახა:

— ტყუილა გგონიათ, დედა-ბატონო, რომ როსტომი მშვიდად არის.

დედოფალმა მსწრაფლ შეაშველა სიტყვა:

— ამ გაჭირვებაში გვეახლა, ჩვენს ჭირსა და ვარამს იზიარებს.

— მე სხვა ცნობები მაქვს, დედა-ბატონო. სამწუხაროდ, სანამ თქვენი უდიდებულესობის რწმუნება არ მექნება, არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— რა ცნობები გაქვს, შვილო, ვინ მოგაწოდა?

— ქაიხოსრო წერეთელმა, ზემო მხრის სარდალმა. ეს არის, მისი ძმა პაპუნა მოვიდა საჩხერიდან.

— რა ამბავიაო?

— მოხვაში და უზუმთაზე გადმოსულან ერისთავის მარბიელები. ზოდისა და მოხორათუბნისაკენ მოიწევენ. ქაიხოსრო ჯარით დახვედრია, მაგრამ ვერ უძალიანდება. რაჭველებს ლეკებისა და ყაბარდოს დაქირავებული რაზმებიც ახლავან. პაპუნამ დახმარება ითხოვა. ან ჯარი მოგვეცით და ან ბატონ როსტომს აბრძანებინეთ, რომ თავისი ავაზაკები უკან გაიწვიოსი. მე თვითონ ვაპირებდი ამ ამბის მოსახსენებლად თქვენს შეწუხებას. როგორ მოვიქცეთ?

— ახლა მაგის დრო არ არის! — ჩაერია დედა-შვილის გაცხარებულ კამათში ლევან აბაშიძე, რომლის აქ ყოფნას სოლომონი თითქოს განზრახ არ ამჩნევდა და მხოლოდ დედოფალს მიმართავდა. — ჯერ უფრო საშური საქმეებია გადასაწყვეტი. როსტომ ერისთავის მძლავრობა და წერეთლების დაბრიყვება ახალი ამბავი არ გახლავთ. მე როცა ორივეს მშვიდობიანი მორიგება დავაპირე, ცხონებულმა მამაშენმა, მეფე ალექსანდრემ, აქეთ დამდო ბრალი...

— ბატონო ბაბუა, — თავშეკავებულად მიუგო მოხუცს ყმაწვილმა კაცმა. — თუ უფრო საშური გვაქვს რამე, ძველი წყენა აქ რა მოსატანია!

ბუდეებში ღრმად ჩამჯდარი უძრავი თვალები ლევანმა ბატონიშვილს მიაპყრო. სოლომონიც მას მისჩერებოდა. ბაბუა და შვილიშვილი თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რაც ბატონიშვილი დედოფლის ოთახში შემოვიდა, ლევანმა იგრძნო, რა უდიდესი საშიშროების წინაშეც იდგა. სოლომონს ჯერ ტახტი არ მიეღო და უკვე მბრძანებლობდა, თავი გამომწვევად და თითქმის დამცინავადაც კი ეჭირა. კაცს ეგონებოდა. ლევან აბაშიძე უკვე ხელთა ჰყავს და ისღა აკლია, მორჩილების თავისებური პირობები უკარნახოსო. როგორ მოქცეულიყო არგვეთის დიდი ბატონი? შესძლებდა, თუკი მოიწადინებდა, გაამპარტავნებული შვილიშვილის ალაგმვას? ვთქვათ, შესძლებდა. სასახლე ხომ მის ხელთ იყო. ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი მარგველებს ეჭირათ. მერე რა თვალით შეხედავდა ყოველივე ამას იმერი? ვის მხარეს დაიჭერდა? პირმშო შვილს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ამოუდგებოდა მხარში თუ მოხუცებულ მამას მიჰკერძავდა?

ასე იქნებოდა თუ ისე, ლევანს წინდახედულად, უდიდესი სიფრთხილით უნდა ემოქმედა და თავისი წრეს გადასული მრისხანება, რითაც გული ავსესებული ჰქონდა, არამც და არამც არ გაეცა. თუკი სალად განსჯიდი და თავს არ მოიტყუებდი, ძალა სოლომონის მხარეზე იყო. ნამდვილად! მას ზურგს უმაგრებდა ყოვლისშემძლე ფაშა, მთელი იმერეთის წვრილფეხა თავად-აზნაურობა და, რაც მთავარზე მთავარია, ცოსახლეობის ყველზე დაბალი და საშიში ფენა — ყმა-გლეხობა. დიდსა და პატარას პირზე სოლომონის სახელი ეკერა. და განა მარტო დღეს და გუშინ? აწ განსვენებულ მეფე ალექსანდრეს თავისი მემკვიდრე ვაჟიშვილი ყველგან თან დაჰყავდა, ჭირსა თუ ლხინში გვერდიდან არ იშორებდა და ხალხს ამთავითვე აჩვევდა მომავალი მეფის მორჩილებას. დროს, თავის მხრივ, არც სოლომონი ჰკარგავდა. სასამართლო საქმისწარმოებაში ერეოდა, საქმეს სიმართლით სჭრიდა, ყმა-გლეხობას ესარჩლებოდა და, თუკი რამ გააჩნდა, არც უხვ საბოძვრებს იშურებდა. ყოველი მომჩივანი გაიძახოდა, ბატონიშვილმა სოლომონმა გაგვასამართლოსო. მებატონეებს სოლომონის სახელით აშინებდნენ. საშიშიც იყო. ყველამ წინასწარ იცოდა, რომ ახალგაზრდა ბატონიშვილი ატეხილ დავაში მდაბიოთა მხარეს დაიჭერდა და დიდგვაროვან მებატონეთ უსათუოდ გაამტყუნებდა. ვაჟკაცი იყავი და დღეს სოლომონის საწინააღმდე-

ვო სიტყვის დაძვრა გაგებედა. ხალხი უმალვე იხუვლებდა, იარაღს აიღებდა ხელში და ტახტის მემკვიდრის კანონიერი უფლების დასაცავად გამოვიდოდა, ხოლო რაც შეეხება ბატონიშვილის მოქიშპეებს, ყველას უკლებლივ სამშობლოს მოღალატედ შერაცხავდა და ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგეო, იგრიალებდა.

ლევან აბაშიძე აშკარად წაგებული რჩებოდა. მას თვით საკუთარი ყმები გადაუბუგავდნენ ამდენი გარჯითა და დღე-ღამის გასწორებით გამართულ სახლ-კარს. როგორც კი ხმა დაირხეოდა, სოლომონიც ხალხის მხარეზეაო, თავიანთ ბატონს, ვისგანაც ბევრი ძველი წყენა ახსოვდათ, მარგველი გლეხები დედულ-მამულიდან ერთხელ და სამუდამოდ გააძევებდნენ და ეშმაკის კერძად გახდიდნენ. ოდიშის მთავარი ოტია დადიანიც ამასობაში, რა თქმა უნდა, ყურს გამოჰყოფდა და სოლომონს მიუდგებოდა. მეფის მხარდაჭერა იქნებ მაშველი ჯარის გამოყვანით არ გამოეხატა, მაგრამ სხვა მხრივ კი ყოველნაირად შეუწყობდა ხელს ალექსანდრეს მიერ აღზევებული აბაშიძეების უმაგალითო დამდაბლებას.

ვიდრე ჩახმახივით შემართულ შვილიშვილს საკადრის პასუხს გასცემდა და თავის მიერ გამოთქმული მოსაზრების ჭონივრულობას დაამტკიცებდა, ლევან აბაშიძეს ამ შემაზრზენმა და ურთიერთ საწინააღმდეგო ფიქრებმა გაურბინა თავში. თამარის, უფრო კი სოლომონის მოლოდინის წინააღმდეგ, ის უცებ საკვირვლად ტკბილმოუბარი და დამყოლი გახდა. ამჟამად სასახლეში მყოფ ერისთავ როსტომთან მოლაპარაკება თვით იდო თავს, თუმცა ფრთხილი ვარაუდი კი გამოთქვა, შესაძლოა, ამ მოლაპარაკებას სასურველი შედეგი არც მოჰყვესო. საქმე ისაა, ერისთავი არამცთუ მარტო იარაღით, ძველი საბუთების ძალითაც მოითხოვს საერისთავოს კუთვნილ ნაწილს, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა გამო დროთა ვითარებაში სხვის ხელთ აღმოჩნდაო. მას, ლევან აბაშიძეს, ამიტომაც მიაჩნდა საუბრის დასაწყისში, რომ ჯრუჭულის ხეობის გამო ატეხილ დავაში ჩარევა დროს მოითხოვდა, ეს დრო კი, ყველას მოეხსენებოდა, ახლა არ იყო: მტრისაც და ავისას, სახლში მიცვალებული ესვენათ...

— თქვენი ნაბრძანები, ბატონო, ჩემი ფიქრით, ისე უნდა გავიგოთ, რომ ერისთავს ნება მიეცეს ის მოიმოქმედოს, რაც მოეპრიანება.

ეს კვლავ დამცინავ კილოზე თქვა სოლომონმა და ამით შეეცადა ბაბუასათვის ეგრძნობინებინა, თავს ზედმეტად ნუ შეიწუხებთ, თქვენს ფარულ ზრახვას კარგა ხანია უკვე მიმხვდარი ვარო. აბაშიძეს აშკარად არ სურდა წინ აღდგომოდა ძლიერი ერისთავის აკვიატებულ სწრაფვას. ის სიძის სიცოცხლეშიაც ზუსტად ასევე იქცეოდა. რა სარგებლობას გამოელოდა ამ ამბიდან? თუ როსტომ ერისთავსა და მის ვაჟებს გარეშე ძალები წინ არ გადაეღობებოდნენ, ისინი ადრე თუ გვიან სძლევდნენ წერეთლებს, ნახევარ საწერეთლოს წაართმევდნენ და, უკეთუ მეფე საჭირო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, პაპუნა და ქაიხოსრო იძულებული გახდებოდნენ დახმარება თვით ლევან აბაშიძისათვის ეთხოვათ. ლევანი მაშინ კი ადგებოდა და ხელს გამოიღებდა. ეს იყო საწერეთლოს შემოერთების, თავისი სამფლობელოს გაფართოების და სამეფო კართან დაახლოებული გუშინდელი წვრილფეხა თავადების დაქვემდებარება-დაყმობის ერთადერთი მშვიდობიანი გზა...

— მე ეგ არ მითქვამს, ბატონიშვილო, — რბილად შენიშნა ბადიშს ლევანმა. — დღეს და ხვალ ჩვენ საჩხერეში ჯარის გასაგზავნად ვერ მოვიცლით, თვალდაც ხედავ: ცალი ხელით ვკიდივართ. აგერ დედათქვენმა ბრძანოს... — აბაშიძემ თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ შეარჩია სიტყვები და როგორ გაჩნდა ქვეშევრდომული მოწიწება მისი ხმის კილოში. — ნება თქვენია. მე რა შემიძლია, შვილო, მე,

როგორც წელან მოგახსენეთ, ერთს ვიზამ: როსტომს გავიხმობ და თქვენი და ჩემი სახელით ვთხოვ. თუკი რამე გამოვიდა...

— დედა-ბატონო, — სოლომონს ბრაზი იპყრობდა და თანდათან ელეოდა მოთმინება. — რატომ არაფერს ბრძანებ? პაპუნა წერეთელი პასუხს ელოდება.

— ბაბუამ მართალი გითხრა, შვილო, — გულითადად და დამარწმუნებლად მიუგო თამარმა. — ახლა ჩვენ ვერ გამოვძებნით დროს ქვეშევრდომი თავადების აწეწილი საქმეების მოსაწესრიგებლად .ასეა ხომ, მამა? — დედოფალი გაბუტულივით განზე გამდგარ ლევანს მიუბრუნდა და პასუხისათვის აღარ დაუცდია, ისევ ბატონიშვილს მიმართა.— რა უფლება მაქვს დაგიმალო, შენ უკვე სრულწლოვანი კაცი ხარ: ახალციხის ფაშას ქეჰა გამოუგზავნია ჯარით. კაკასხიდზე დგას. აქ მისი კაცები მოვიდნენ. წინა ოთახში სხედან. აგერ მეოთხე საათია შენს მოსვლას ველით. უშენოდ რა პასუხი გაგვეცა ან მე ან ბაბუას! აგერ რაყამი, შენი თვალით წაიკითხე, — დედოფალი ბუხართან მივიდა, თაროდან გრაგნილი გადმოიღო და შვილს გაუწოდა. — ბაბუა ამბობს, სანდო არ არისო, ფაშა ვერაგია, არ შეიძლება, რაიმე მახეს არ გვიგებდესო. მეც აგრე ვფიქრობ, შვილო და გული მისკდება.

სოლომონმა გრაგნილი გაშალა, ერთხანს ჰაჯი-აჰმადის ხელრთვასა და ბეჭედს უკირკიტა, ნამდვილია, თუ არაო და შემდეგ კვლავ დედასა და ბაბუას შეხედა.

— თქვენ, ალბათ, ბიძაჩემ მამუკაზე ეჭვობთ.

ლევან აბაშიძე და დედოფალი ერთმანეთს მიაჩერდნენ. ორივე როგორღაც შეცბუნებული იყო. ერთბაშად ვერც კი მოისაზრეს, რა ეპასუხათ, თუმცა თავადაც სწორედ იმას ფიქრობდნენ. რაც ბატონიშვილმა გაიფიქრა.

— მე პირადად არა მგონია, — როცა შეატყო, პასუხის თქმას არ აპირებენო, სოლომონმა გაბედა და თვით გამოთქვა თავისი ვარაუდი. — ბიძაჩემმა კარგა ხანია ხელი ჩაიქნია, ალბათ, მიხვდა, მეფობაში ტანჯვის მეტი არაფერი ყრია. გიჟია-გადარეული?

— თუკი მაინც ფიქრობს? — ლევანმა კენჭივით ჩაუგდო სიტყვა.

— მარტო ოტია დადიანის იმედით ცილობას, მე მგონი, ვერ გაბედავს.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა, შვილო სოლომონ, მე მაინც მივუყენე ჩემი კაცები მამუკასაც და გიორგისაც...

ლევანმა ესა თქვა, მაგრამ ის კი აღარ დაუმატებია, რომ სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულში მარგველები იდგნენ და თავიანთი ბატონის განკარგულებას ელოდებოდნენ. მარგველებს ნაბრძანები ჰქონდათ, ყოველგვარი განკარგულება სიტყვაშეუბრუნებლივ შეესრულებინათ, თუკი იგი არგვეთის ბატონის პირით ან მისივე სახელით წარმოითქმოდა.

— გმადლობთ, ბატონო ბაბუა, — თქვა სოლომონმა და რაყამს დააცქერდა. — თქვენ ზურაბ მიქელაძე და ბერი ლორთქიფანიძეც გაგიფრთხილებიათ,— ამას რომ ამბობდა, ბატონიშვილი თან თურქულ ენაზე შედგენილ რაყამს კითხულობდა და არ შეუნიშნავს, ერთხელ კიდევ როგორ გადახედეს ურთიერთს ჰამა-შვილმა. — იმათაც ფიცის კაცები გაუგზავნიათ და ოდიშის გადმოსასვლელების შეკვრას აპირებენ. ეს, მე თუ მკითხავთ, კარგიც არის და ცუდიც.

ლევანმა შუბლი შეიკრა. უკმაყოფილებას უკვე აღარ მალავდა.

— როგორ თუ კარგი და ცუდი?!

სოლომონმა რაყამი აუჩქარებლივ დაახვია, აბრეშუმის ზონარი გადანასკვა, დედას დაუბრუნა და ბაბუას თვალებში შეხედა:

— ჩემგან არ გესწავლებათ: დადიანს შეუნიშნავი არ დარჩება ეგ ამბავი. თუ ღმერთი გაურისხდა და მართლა რაიმეს აპირებს, ხომ კარგი, მაგრამ იმ კაცს ჩვენი ღალატი ვაითუ ფიქრადაც არ

მოსვლია. ძალად ვაფიქრებინოთ?

ლევანი აიმრიზა:

— ასე რას ერიდები და ელოლიავები, შვილო, დადიანს. რაც ნებავს, ის იფიქროს. მაგაზე მეტი სადარდებელი ნურც შენ მოგცეს ღმერთმა და ნურც მე!

— მე სხვანაირად ვფიქრობ, ბატონო ბაბუა, მტერი ისედაც საკმაოზე მეტი გვყავს...

— არ მესმის, რის თქმა გინდა?

— იმისთანა არაფერია. სხვა დროს ვისაუბროთ.

— არა, არა, თქვი! რაღაც ამნაირს ამბობდი...

— მტერი ისედაც ბევრი გვყავს მეთქი.

— მერე?

— რა მერე!..

აბაშიძემ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ქვასანაყივით მაგარ ნიკაპზე თითქოსდა სპილოს ძვლისაგან გამოთლილ-გამოკოპიტებული გრძელი თითები მოისვა.

— დადიანის შემორიგება გადაგიწყვეტია?

— რატომაც არა, თუკი მოხერხდება...

— ჩემი და თვით მამიშენის მოსისხლე მტერი მეგობრად გინდა გაიხადო? ყოჩაღ, ბატონიშვილო, აი, მესმის!.. თამარ, — გაცეცხლებული ლევანი ელდისაგან დაპატარავებულ დედოფალს მოუტრიალდა. — გესმის, რას ამბობს?

— მესმის, მამა, ნეტამც არ მესმოდეს!..

— რას გეუბნებოდი? ხედავ, რა მოყვა ამ ვაჟბატონის წულუკიძეებში გაბარებას? ახლა ხომ მაინც ხედავ? ხომ დარწმუნდი? ჰა, ხომ დარწმუნდი? გეუბნებოდით? გაფრთხილებდით? არც ახლა დაიჯერებ?

— მამა! სოლომონ! —შეჰკივლა დედოფალმა, მამაკაცებს შუაში ჩაუდგა და ლონემიხდილი ჯერ მამას შეევედრა, მერე შვილს, ერთმანეთისათვის ხელი ხელს მიეცათ, პირი—პირს და, თუ მისი სიკვდილი არ უნდოდათ, ახლავე შერიგებულიყვნენ.

— არა! — გადაჭრით იუარა ფრჩხილით ხორცამდე აღშფოთებულმა ლევან აბაშიძემ. — თუ ახლავე ბოდიშს არ მოიხდის და ხახულის ღვთისმშობლის ხატზე ერთგულებას არ შემომფიცავს, მე თქვენს სახლში ფეხის დამდგმელი აღარა ვარ. ახლავე, ამ წუთში მივდივარ აქედან! — თქვა მან ეს და კიდევაც გაიწია წასასვლელად.

— მამა! — თამარი წინ დაუხვდა, კარს ზურგით აეკრა. — ცოცხალი თავით არ გაგიშვებ, გინდა, მტერი გაცქინო?

— ღმერთო, შენ მიეცი პასუხი, ვინც ჩემი ერთგულება და თავდადება ვერ დაინახოს! — ლევანმა, რაკი სხვა ღონე არა ჰქონდა, ცას შეჰღაღადა და გულზე ხელი მიიბრაგუნა.

— მე ბოდიშის მოსახდელი, ღმერთმა იცის, არაფერი ჩამიდენია, ბატონო, — დედის ხათრით სოლომონი თავს მოერია და ეს სიტყვები, რამდენადაც ამის ძალა შესწევდა, მშვიდად წარმოთქვა: — თუ სადმე სამართალია, ეგ წყევლაც არ უნდა მომივიდეს, რადგან ტახტისადმი თქვენს ერთგულებაში. ბატონო ბაბუა, ეჭვი სრულებითაც არ მეპარება. თუ მაინც შევცდი და ჩემდა უნებლიეთ რაიმე გაწყენინეთ, გთხოვთ მომიტევოთ.

— რა გაეწყობა! — საკუთარ ფიქრებს უპასუხა ლევან აბაშიძემ და წრეს გადასულ გამწარებისაგან ჩალურჯებული ტუჩების კანკალი ძლივს დაიოკა. — აგრე იყოს. ძალა თქვენს ხელშია. ოღონდ, თამარ, შვილო, გახსოვდეს: მიჭირს და მომეხმარეო, კარზე არ მომადგე. მეყო, რაც შენი ქმარ-შვილის გულისათვის ტანჯვა და დამცირება მიმიღია. აწი შენ იცოდე და შენმა ვაჟიშვილმა!

ამის გამგონე სოლომონმა ველარ მოითმინა და ღრმა უფსკრულს, მასა და არგვეთის ბატონს შორის ასე ნაადრევად რომ ითხრებოდა, ერთი ლოდი კიდევ ჩაუმატა:

— სულ მიტოვებას გვიპირებ, ბატონო ბაბუა? რას მივაწერო? გულწრფელად მოგახსენებ: არ მეგონა, თუ ასე ადვილად დაგვთმობდი. თქვენი ბრძანების არ იყოს, რა გაეწყობა. რაც გულით არ გნებავთ, ღმერთმა ნუ მოგცეთ!

რამდენიმე წუთის შემდეგ დედოფალმა სახლთუხუცესი იხმო და დიდ სასადილო ოთახში, სასახლის პირველ სართულზე, დარბაზის ერი შეაყრევინა. ლევან აბაშიძეს დანაქადი არ შეუსრულებია, დედოფლის შორიახლო იჯდა და გვირგვინოსან სიძეზე მგლოვიარე თავის მწარე საფიქრალს მისცემოდა. თამაზა მესხმა ჰაჯი-აჰმადის რაყამი წაიკითხა. დარბაზს მოციქულებად გამოგზავნილი მესხები წარუდგინეს. იმავე საღამოს ოთხი თავჩალმიანი მხედარი გავიდა ვარციხის სასახლის ალაყაფის ჭიშკარში და ცხენები თხმელისციხისაკენ გააჭენა. ჩილდირისა და ახალციხის ბეგლარბეგის ფაშა ჰაჯი-აჰმადის ქეჰა გოლა-ფაშა, ჯარითურთ, ამჟამად იქ უნდა ყოფილიყო.

## VI

მეფის დაკრძალვა კვირას, ნაშუადღევის ოთხ საათზე იყო დანიშნული გელათში, საქართველოს მეფეთა საძვალეში. მიცვალებული შაბათს გადაასვენეს. უზარმაზარი შავი ქსოვილით დაფარულ კუბოს ზღვა ხალხი მისდევდა. ცნობისმოყვარეობასა და სულსწრაფობას აქაც ეჩინა თავი. თვალის სეირისა და გულის გადაყოლების მოყვარული ხალხი საიდან არ მოსულიყო! აქ ვის არ გადაეყრებოდი, ებრაელი მეწვრილმანეებითა თუ სომეხი ხარაზებითა და მედუქნეებით დაწყებული და იტალიელი ბერებით, ვაკე იმერეთში ჩამოთესლებული ოსმალებითა და სოფელ-სოფელ მოხეტიალე ლეკი მექვაბეებით დამთავრებული. ვიდრე მეჩხერი ტყით დაფარულ მაღლობზე თეთრი გედივით გადმომდგარ მონასტერს აალწევდნენ, პროცესიამ ხუთჯერ თუ ექვსჯერ მაინც შეისვენა. მზიანი ამინდი იყო, ნაქერალაზე თოვლი დნებოდა და მუდამ დალეული წყალწითელა ადიდებული მოედინებოდა ფრიალო კლდეებით დახშულ უდაბურ ხეობაში. საურმე გზა სწორედ წყალწითელას მისდევდა. კატაფალკაში შებმულ ცხენებს უჭირდათ ქვა-ღორღზე ფეხის მოკიდება და ამიტომაც პროცესია ძალზე ნელა მიიკლაკნებოდა ვიწროებში. დავითისა და კონსტანტინეს სავანის წინ, მოწამეთაში, კატაფალკი შეაჩერეს. აქ მეფის ნეშტს ხატებითა და საეკლესიო ბაიარაღებით დაუხვდნენ იქაური წმინდა მამები და ხალხს გალობით შემოუერთდნენ.

წინადღეს, პარასკევ საღამოს, ვარციხის სასახლეში იმერელ ბაგრატიონთა მთელი სანათესაო მოგროვდა. მოვიდნენ ლაწვებჩამოპოტნილი მეფისდებიც ოზურგეთიდან და ქობულეთიდან. როგორც უფროს, ისე უმცროს დას, თითქოს ერთმანეთს გასჯიბრებიანო, თვალის მომჭრელ ჩაქურებში გამოწყობილი მოხდენილი ვაჟკაცებისა და ჩიხტიკოპით თავდახურული მწყაზარი ქალების კარგა დიდი ამალა ახლდა. გურიელისა და თავდგირიძის სიბერეში შესული თანამეცხედრენი თავად ვერ დაიტრაბახებდნენ გამოსარჩევ თვალტანადობას. ეს ამბავი იქნებ ნაკლებ შესამჩნევიც ყოფილიყო, გიორგი მეფის ამპარტავან ასულებს მხლებლებად სამთავროს ულამაზესი ქალ-ვაჟები რომ არ შეერჩიათ და ამით თავის მოწონება არ განეზრახათ.

გალავნის ქონგურზე დალამებისას სამჯერ ზედიზედ გავარდა ზარბაზანი. სასახლეს ქართლისა და კახეთის მეფეთა დესპანები მოადგნენ. მათი გამოჩენა ვარციხეში ადრევე შეიტყეს და უმალ დაფაცურდნენ. გაგონილა? ამისთანა დიდი პატივი კარგა ხანი იყო, ლიხთიმერეთის არც ერთ მეფეს არ ღირსებოდა. იასე ქსნის ერისთავი, ქართლის მეფე თეიმურაზის სახელით და ეშიკაღაბაში კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, კახეთის მეფე ერეკლეს სახელით, დედოფალს და ბატონიშვილ

სოლომონს ეახლნენ, მდაბალი სალამი ჰკადრეს, ძმური თანაგრძნობა გამოუცხადეს და ერთსაც და მეორესაც მეფეთა სამძიმრის წიგნები მიართვეს.

ამაზე მეტი მითქმა-მოთქმა კაცო ჩიჩუას და მისი თანმხლები მეგრელი აზნაურების მოსვლამ გამოიწვია. ხალხს ჩოჩქოლი შეუდგა. ზოგს ეგონა, დადიანი მოგვიხტაო და სამალავს დაუწყო ძებნა. ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცებმა“, ოდიშარებს რომ სამეფოს საზღვრიდანვე გამოჰყოლოდნენ, შეშინებულნი ძლივს დააშოშმინეს. მეგრელებმა ოდიშური ადათისამებრ დაიტირეს მათთან ომით არაერთჯერ შეჭირვებული მეფე ალექსანდრე, შემდეგ კი ბატონიშვილ სოლომონს, როგორც ტახტის მემკვიდრეს, შესაფერი თაყვანი სცეს და საჯაროდ ოდიშის მთავრის, ოტია დადიანის, სამძიმრის წიგნი გადასცეს.

ეს ისე მოულოდნელი იყო, ისე განცვიფრდა ყველა, დადიანის გამოგზავნილი ჩიჩუას და მისი აზნაურების მოსვლამ თვით მეფეთა დესპანების მობრძანებით გამოწვეული სიხარულიც კი დაჩრდილა. რა ხდებოდა? ნუთუ ალექსანდრეს მეფობით მუდამ უკმაყოფილო ოტია დადიანმა გულიდან ამოირეცხა ძველი მტრობა და ლიხთიმერეთის ახალ მეფეს მშვიდობასა და თანადგომას სთავაზობდა? ზოგმა დიდებულმა, რა დასამალია, ისიც კი იფიქრა და თქვა, ეს ვერაგი დადიანის ერთი ჩვეულებრივი ფანდია, თავს მოვიჭრი, თუ ხვალ ჯარით აქ არ გაჩნდეს და მთელი აჯამეთის ტყე, რომელშიაც ვარციხის სასახლე დგას, ალყაში არ მოაქციოსო, მაგრამ როცა სალაშქროდ აღჭურვილი დადიანის მხედრობა არ გამოჩნდა, თვით ყველაზე ურწმუნოებმაც კი ირწმუნეს, ბებერ ეშმას, ოტიას, ამჯერად არავითარი ბოროტი განზრახვა არა ჰქონიაო.

სამივე ახალგაზრდა ბატონიშვილმა — სოლომონმაც, იოსებმაც და არჩილმაც, ჯეროვნად დააფასეს განმდგარი ქვეშევრდომის დიდსულოვნება: თავად ჩიჩუას და მის მხლებელ აზნაურებს ჩხეიძეების ნაქონი ძველისძველი სასახლე მიუჩინეს სადგომად ზედა დიმში და, ვიდრე იქ იყვნენ, მათ ქართლ-კახეთის მეფეთა დესპანების თანასწორ პატივს მიაგებდნენ. დადიანის დის ქმარმა, ბატონიშვილმა მამუკამ, სხვებზე უმეტეს გაიხარა. მას არასოდეს ისე გულმხურვალედ არ ჰყვარებია თავისი საამაყო ცოლისძმა, ბატონი ოტია, როგორც დღეს, გვირგვინოსანი ძმის გაჭირვებაში...

გელათს მთელი სამღვდელოება შემოსილი იყო. საკმევლის კვამლით დაბურულ და მირიადი დიდი და მცირე სანთლით გაჩირაღდნებულ ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც მიცვალებული მეფე დაასვენეს, ალექსანდრეს პირველი სულის მოსახსენიებელი წირვა კათალიკოსმა ბესარიონმა გადაიხადა. მის უწმიდესობას შემოქმედელი ნიკოლოოზ, ნიკორწმინდელი გერმანე, ჭყონდიდელი გრიგოლ, ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი და ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე ეხმარებოდნენ. თვით გენათელი მიტროპოლიტი იოსები, მეფის ძე, ჭირისუფალი იყო, საკურთხევლის წინ, მიცვალებულის თავთით, დედას, რძალს, მამიდებს, ბიძებს და ძმებს ახლდა და საეკლესიო სამსახურში მონაწილეობას არ იღებდა.

გასრულდა თუ არა კათალიკოსის ხავერდოვანი ბანით წარმოთქმული „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“, გუნდმა იგალობა „ამინ“ და არქიმანდრიტებმა და მღვდლებმა სძლისპირების კითხვა დაიწყეს. მეექვსე სძლისპირის შემდეგ გუნდის ზეციურმა ხმებმა კვლავ აღავსეს ტაძრის მაღალი ბჭეები: „წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე, სულსა მონისა შენისასა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

წირვა და ლიტანიობა მთელ ღამეს არ შეწყვეტილა. გაჩაღებული ტაძრის შორიდან მაცქერალს ეგონებოდა, აქა-

ურობას ხანძარი გასჩენიაო. სოფლის კენჭით მოჭიქული მაღალი თაღის ქვეშ, საიდანაც ღამისთევით, საკმევლის მათრობელა სუნითა და მხურვალე ლოცვით გაბრუებულ ადამიანებს დედის სათუთ მკერდზე თავმინდობილი ყრმა იესო და ღვთიურ სიმშვიდეს ნაზიარები მარიამი გადმოჰყურებდნენ, ერთიმეორეს ენაცვლებოდა უზენაესის საუვედრებლად აღვლენილი ლოცვა-კურთხევა და წმიდა საგალობლები.

კვირას, შუადღე რომ გადავიდა, ვიდრე მიცვალებულს წესს აუგებდნენ და ყველა სავალდებულო რიტუალის შესრულების შემდეგ მიწას მიაბარებდნენ, კათალიკოსმა ბესარიონმა მრევლს უქადაგა. მისმა უწმიდესობამ მოკლედ აღნუსხა ყველა სიკეთე, რაც კი აწ განსვენებულმა მეფე ალექსანდრემ ღვთისაგან ბოძებულ სამეფოსა და საქრისტიანოს მიაგო და ყველას მაგიერ მეფეს შეჰფიცა, შენი მოთაყვანენი და ყოველთვის შენს მამობრივ ზრუნვას ჩვეულნი აწიც იმ გზით ვივლით, შენ რომ დაგვიგდეო.

ეს თქვა თუ არა, ჭკვიანი კათალიკოსი, ეტყობა, მიხვდა, რომ მისი ეს სიტყვები მრევლს შეიძლება სულ სხვანაირად გაეგო და მაშინვე დაუმატა, მოწამებრივი თავშეკავებით დავიცავთ ქრისტეს მცნებას და ღვთის სახლს — ეკლესიას — ურჯულოთა სადგომად არ გავხდითო.

უკანასკნელ ორ-სამ დღეში უცნაურად გამოცვილილი და თითქოს მთელი მეოთხედი საუკუნით დაბერებული ლევან აბაშიძე ამ დროს სწორედ კათალიკოსის ზურგს უკან იდგა, საკურთხევლის კიბეზე და დიდხანს სკივრში ნადები საკათალიკოსო პორფირისა და ოქრომჭედლით ნაქსოვი ლურჯი კაბის თავისებური სუნიც კი სცემდა . „ღვთის სახლი“. „ეკლესია“ და „ურჯულოთა სადგომი“ რომ გაიგონა, ლევანს ცოტა არ იყოს, შიში შეეპარა, ლოცვით ატკინებულმა კათალიკოსმა უფრო შორს არ შესტოპოს და ამ არეული საზოგადოების წინაშე დიდი სახელმწიფო საიდუმლოება არ დაფქვასო. სამივე ეს სიტყვა: ღვთის სახლი, ეკლესია და ურჯულოთა სადგომი ნახსენები იყო ვედრების წიგნში, რომელიც 1743 წლის 16 ენკენისთვეს მეფე ალექსანდრემ თავისი ხელით დასწერა და ლიხთიმერეთის დაწვრილებით რუკასთან ერთად ერთმორწმუნე რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს ელისაბედ პეტრეს ასულს გაუგზავნა. იმ წიგნის პასუხი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული სანკტ-პეტერბურგიდან, მაგრამ თვით ამბავს, რომ ოსმალთა ხელთ მყოფმა იმერეთის მეფემ დიდ თეთრ მბრძანებელს მომხვდურ აგარიანთა წინააღმდეგ დახმარების მისაღებად ხელი გაუწოდა, სამეფო კარი და დარბაზის ერი დღემდე საიდუმლოდ ინახავდა.

ლევანის შიში უსაფუძვლო გამოდგა. კათალიკოსმა ბესარიონმა მარჯვედ აუარა გვერდი იმ უმთავრესს, რის საჯარო გამხელაც აქ მეტად უადგილო იქნებოდა და პირში შემოჩერებულ მრევლს მაცხოვრისებური სათნოება, მოთმინება და სიკეთის რწმენა უქადაგა.

ვითომ ეს კი არ იყო საშიში? ნუთუ ბრძენ კათალიკოსს არ მოეხსენებოდა, რომ ქრისტიანობის განმამტკიცებელი სიტყვა ქართველობის დაცვას და ოსმალეთის ურჩობას მოასწავებდა? ქვეყნის ბატონ-პატრონი ოსმალები სხვათა სარწმუნოების მიმართ გულგრილობას იჩენდნენ და მის აღიარებას გარეგნულად არც არავის უშლიდნენ, მაგრამ ვინლა არ იცოდა ,რომ ყოველ არამუსულმანს, არასუნიტს, ურჯულოდ, გიაურად, მდაბალი მოდგმის არსებად თვლიდნენ და „ბედნიერი სულთნის“ არასაიმედო ქვეშევრდომებად მიიჩნევდნენ.

„ვაჰირვებას რა ვუთხარი, თუ არა მაგათ იმედზე ყოფნას ეშმაკთან დამეგობრება მიჯობს!“ — ფიქრობდა ლევანი და მალულად ადევნებდა თვალს ცუცხვათიდან, ჩხარიდან, შორაპნიდან, ქუთაისიდან და სამეფოს სხვა ადგილებიდან მოზღვავებულ ბრბოს. სანთლების მოლურჯო კვამლში, საკურთხევლის

მარჯვენა მხარეს, მჭიდრო ჯგუფად იდგნენ უფროსი ბატონიშვილები გიორგი და მამუკა, ქართლ-კახეთის მეფეთა დესპანები და ოტია დადიანის წარმოგზავნილი კაცო ჩიჩუა. თეიმურაზისა და ერეკლეს დესპანებს მოსვლის პირველი წუთებიდანვე გვერდიდან არ შორდებოდნენ როსტომ რაჭის ერისთავი და მამია გურიელი. სოლომონთან უცაბედი წაკინკლავების შემდეგ, რასაც ხვალ და ზეგ, ვინ იცის, უფრო დიდი და შეურიგებელი უკმაყოფილებაც მოჰყოლოდა, ლევანს გადაუდებლივ ესაჭიროებოდა ერისთავთან და გურიელთან შეხვედრა. როსტომიცა და მამიაც, ეს ლევანმა თავისი ხუთი თითივით იცოდა, არგვეთის ბატონის მოშურნე და ფარული მტრები იყვნენ. მარჯვე შემთხვევა თუ მიეცემოდათ, თვალსაც არ დაახამხამებდნენ, ისე გამოუსვამდნენ დანას ყელში, მაგრამ, როგორც ძველ დროს ხდებოდა ხოლმე, კარზე მომდგარ გაჭირვებას, თუკი ჭკუას მოიხმარდნენ, სამივე უნდა გაეერთიანებინა.

ლევანს არც კი უცდია, დაპირება შეესრულებინა და როსტომის წინაშე შუაკაცობა გაეწია პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლების სასარგებლოდ. რად და რისთვის უნდა ექნა ეს? ამგვარი შუაკაცობა ერისთავს სიფრთხილეს ჩაუნერგავდა და ერთხელ კიდევ ჩააფიქრებდა, ნეტავი ბატონი ლევანი რატომ გარჯილაო? „კისერიც მოუტეხიათ და კინჩხიც თან მიუყოლებიათ, — ფიქრობდა არგვეთის ბატონი. — რა ჩემი ჭკუის საკითხავია მაგათი საქმის გარიგება. ასემც უქნიათ, სულაც დაუჭამიათ ერთმანეთი!“

ლევანი მიხვედრილი იყო: რა ძალაც არ უნდა დასდგომოდათ, სოლომონის გამეფების წინააღმდეგ რისამე მოხერხებას ამჯერად უკვე ველარ მოასწრებდნენ. გოლა-ფაშა და მისი ჯარი ძალიან ადრე შემოვიდნენ სამეფოს ფარგლებში. ლევანს მხოლოდ ნიადაგი უნდა მოესინჯა, მომხრეები გაემრავლებინა და ხვალინდელი დღის თადარიგი გაეწია...

რაღა იქნებოდა იმაზე უკეთესი, თუ ლევან აბაშიძის საიდუმლო განზრახვას — ოტია დადიანის მოსალოდნელი პარპაშისაგან დაეფარა იმერეთის სამეფო კარი — ქართლისა და კახეთის მეფეთა დესპანებიც გაიზიარებდნენ და თავიანთი ბატონების სახელით სოლომონს აიძულებდნენ ოდიშის მთავართან დაახლოების სურვილზე ახლავე ხელი აეღო. მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედულ ლევანს ისიც კარგად ესმოდა, რომ დღეს ამაზე ფიქრიც კი საჭოჭმანო და შეუძლებელი იყო. ქართლ-კახეთის მეფეებს თავისი გულისფრიალი ჰქონდათ ატეხილი და დადიანთან საკინკლაოდ არა სცხელოდათ. პირიქით, შესაძლოა, ოტია დადიანის კაცების აქ მოსვლა და მეფე ალექსანდრეს დატირება სწორედ მათი კარნახით მოხდა!..

ლევან აბაშიძემ დანამდვილებით თუ არა, ყურმოკრულად მაინც იცოდა სპარსეთის მძვინვარე შაჰის თამაზის, იგივე ნადირის, ხელისშეწყობით ქართლის ტახტზე დამკვიდრებული თეიმურაზისა და მისი მოუსვენარი ვაჟიშვილის, კახბატონ ერეკლეს, შეხედულებები. ამბობდნენ, ერთიცა და მეორეც, ვიდრე ნადირ-შაჰის მემკვიდრეები ერთმანეთს ტახტს ეცილებიან და სპარსეთში ძაღლი პატრონს ველარა სცნობს, თავიანთი სამეფოების გაერთიანებას, ხოლო შემდეგ და შემდეგ ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნას, დავითისა და თამარის საქართველოს აღორძინებას აპირებენ, თვით კი იმ გაერთიანებული საქართველოს ტახტზე დასაბრძანებლად ილწვიანო.

მართალი იყო თუ არა ეს ხმები, სარწმუნოდ ვერავინ გეტყოდა, ისე კი ძალიან ჰგავდა სიმართლეს, რადგანაც მამაცა და შვილიც საკმაოდ გამომწვევად იქცეოდნენ და ყოველ დღესა და საათს თავისი სამფლობელოების გაფართოებას, ახალი ყმებისა და მოხარკეების შეძენას ანდომებდნენ. თვით დესპანების გამოგზავნა და ალექსანდრე მეფის დატირება მეტად ყურადსაღები და დასაფიქრებელი ამბავი იყო. ალექსანდრეს

ქართლის კანონიერი მეფის — ვახტანგ მეექვსის — სისხლით ნათესავს, მის კარზე აღზრდილს და დავაჟკაცებულს, მუდამ სძულდა თეიმურაზიც და მისი გათამამებული ვაჟიშვილი ერეკლეც. ორივეს ქართლის სამეფო ტახტის მიმტაცებლებად თვლიდა. და განა ეს მართლა ასე არ იყო? თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა: რაკი კახელ ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული ღვაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა, ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში და სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მეფედ ეკურთხა. ქართლის მეფე ვახტანგი, მტრისაგან მორეული და დამხობილი, ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა. ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი, ვახტანგ მეფის ვაჟები, რუსთხელმწიფის სამსახურში იყვნენ და თავიანთ გულხარბ სიძეს, დის ქმარს, თავისი სიმამრის კუთვნილი ტახტი რომ მიიტაცა, ვერც მაშინ და ვერც დღეს, რასაკვირველია, კეთილი სიტყვით ვერ მოიხსენიებდნენ. სპარსეთში კვლავ არეულობა სუფევდა. იქაურ წვრილ-წვრილ მმართველებს აქეთ ეშინოდათ ქართლისა და კახეთის მეფეებისა და თვითონვე ესწრაფვოდნენ მათი მეგობრობისა და კეთილი განწყობილების მოპოებას...

თუ თეიმურაზი და ერეკლე საბოლოო მიზნად მართლაც დავითისა და თამარის საქართველოს აღორძინებას ისახავდნენ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, იმერეთის სამეფოს დაქუცმაცებასა და დასუსტებას უფრო შეუწყობდნენ ხელს, ვიდრე მის გაერთიანება-განმტკიცებას. თუ ეს ასე მოხდებოდა, ორცეცხლშუა ჩავარდნილ ლევან აბაშიძეს თეიმურაზისა და ერეკლეს თანადგომის იმედი უნდა ჰქონოდა, დრომდე, რასაკვირველია, სანამ მამა და შვილი თავიანთ მიზანს საბოლოოდ აღასრულებდნენ, ხოლო თუ მათი განზრახვები სხვა იყო, წინდახედული და ყველა საქმეში ანგარიშიანი არგვეთის ბატონი ქართლისა და კახეთის მეფეებსაც ისევე უნდა მორიდებოდა, როგორც თავის საკუთარ ბატონს...

## VII

სოლომონის მეფედ კურთხევა ალექსანდრეს დაკრძალვის დღესვე მოხდა გელათის აკადემიის დიდ დარბაზში. გოლა-ფაშა ჩქარობდა. კათალიკოსმა ბესარიონმა ყველა დიდებულის მაგიერ ჰკადრა, იქნებ ეს საქმე ორი-სამი დღით გადაგვედოო. უარი რომ მიიღო, მერე ორი სხვაც მიუგზავნა იგივე თხოვნის გასამეორებლად, მაგრამ ფაშამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. აკადემიის დიდ დარბაზში სასწრაფოდ მოუყარეს თავი მეფის ოჯახის წევრებსა და უახლოეს ნათესავებს, უმაღლეს სამღვდელო პირებს და დარბაზის ერს — იგივე სამეფო საბჭოს. მოიწვიეს თავადი კაცო ჩიჩუაც, როგორც „ბედნიერი სულთნის“ ქვეშევრდომ ოდიშის წარმომადგენელი. იასე ქსნის ერისთავი და კონსტანტინე ჩოლოყაშვილი არ ჩანდნენ. ქართლსაც და კახეთსაც ოსმალეთი მოსისხლე შიიტური სპარსეთის ქვეშევრდომებად თვლიდა და, ამდენად, მათი დესპანების აქ ყოფნას თავის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიღებდა. დიდებულები ჩუმად ბუზღუნებდნენ, ხმამაღლა კი ვერავინ ბედავდა უკმაყოფილების გამჟღავნებას. გოლა-ფაშა ქართველი კაცი იყო, დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული მშობლიური ენა უთუოდ ზედმიწევნით იცოდა, ესმოდა, განა არ ესმოდა, „ბაშიაჩუკთა“ დიდებულები რის გულისთვისაც დრტვინავდნენ, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ინჩი-ბინჩიც არ გაეგებოდა ქართულისა და საკუთარ მიწაწყლიშვილებს მხოლოდ თარჯიმნის, ახალციხელი სომხის, პირით თუ მიუგდებდა ორ-სამ სიტყვას.

კათალიკოსმა ბესარიონმა გამბედაობა გამოიჩინა, ერთხელ კიდევ მიმართა თხოვნით ფაშას და თავისი სიტყვის დასტურად ქართველ მეფეთა კურთხევის მამა-პაპური წესები მოიტანა. იმერ-აფხაზთა ეკლესიის წმიდა მამას ხვეწნა-მუდარის სხვა, გაცილებით უფრო ყურადსაღები საფუძველი ჰქონდა: ლევან აბაშიძე, არგვეთის დიდი ბატონი, დაჟინებულად მოითხოვდა კურთხევის შეჩერებას და, თვით რომ საქმეში არ გამოჩენილიყო, მთელ იმედს კათალიკოსზე ამყარებდა. თავადს უკვე მოესწრო ერისთავთან და გურიელთან მოლაპარაკება, მათთან ფარული კავშირიც შეეკრა და კათალიკოსისათვის როსტომ ერისთავის პირით გაემხილა ამ სამი შეთქმულის განზრახვა. ბესარიონი ყოველთვის იქ იყო, სადაც ბედი მის მამაბიძებსა და ძმა როსტომს მოაქცევდა, ვინაიდან რაჭის ერისთავთა მოთხოვნებს სულის სიღრმეში სამართლიან მოთხოვნებად თვლიდა და ამიტომ წუთიც არ უყოყმანია — სამეულის დავალების პირნათლად შესრულება თავს იდო. თუ სოლომონის მეფედ კურთხევა ერთი დღით მაინც გადაიდებოდა, ლევანი და როსტომი ქეჰას თხმელისციხეში ეახლებოდნენ, გულუხვ საჩუქრებს — თეთრს, ოქრო-ვერცხლს, გოგო-ბიჭებს მიართმევდნენ და ბატონიშვილ სოლომონის არაკეთილსაიმედოობას აცნობებდნენ. ამის დამტკიცება ძნელი არ იყო. ურყევ საბუთად თუნდ სოლომონისა და ერისთვიშვილ გიორგის იმდღევანდელი შეტაკება გამოდგებოდა. ბატონიშვილი, მართალია, ვერას გახდა, გიორგიმ თავისი გაიტანა, მაგრამ ხვალ და ზეგ, თუკი იგი სულთნისაგან ბოძებულ მეფის რწმუნებას მიიღებდა, ხალხს აამხედრებდა და მფარველი დიდი ოსმალეთის ურჩობის სახიფათო გზას დაადგებოდა.

კათალიკოსის ამდღევანდელი ქადაგებით თუ მეფე ალექსანდრეს დაკრძალვის გაჭიანურებით მოთმინებიდან გამოსულმა გოლა-ფაშამ, აქაურობის შეუვალმა ბატონ-პატრონმა, ბეგლარბეგ ჰაჯი-აჰმადის ყველა უზენაესი რწმუნებულებით რომ იყო აღჭურვილი, ბესარიონს სიტყვა უდიერად შეაწყვეტინა, წამოისროლა, ქართველ მეფეთა კურთხევის წესები თქვენთვის შეინახეთო და ბრძანა, ბატონიშვილი სოლომონი მოეყვანათ. საქმე ის იყო, რომ ფაშას თხმელისციხეში, საიდანაც აქ მოვიდა, ნიგვზის გაფცქვნილი ლებანივით თეთრი და ქათქათა თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ათქვირებული გოგო ჰყავდა დატოვებული. გოგო ამ დილას წისქვილიდან მოეტაცათ ციხის მოურავის კაცებს და გოლა-ფაშასათვის საჩუქრად მოერთმიათ. კვიცივით მფრთხალსა და ღონიერ გოგოს სამი მოწიფული ვაჟკაცი ძლივს უმკლავდებოდა. გზაში ორჯერ გაექცათ და მაშინვე ტყეს მისცა თავი, მაგრამ დაიჭირეს და ფაშას ხელფეხშეკრული მოჰგვარეს. ქალს ტანზე თითქმის აღარაფერი ეცვა, შემოხეული ტანსაცმლის ნაფლეთები აქა-იქ-ღა ეკიდა და მისი შიშველი ტანი წაბლის ბუძგვიდან გამომძვრალ ბროწი ნაყოფივით ანათებდა. ფაშამ ზედაც არ შეხედა მურდალი ნდომით აცახცახებულ იანიჩრებს, არც იმას მოერიდა, რომ გოგო იქაურობას იკლებდა კივილით და მშველელს უხმობდა, ქამარი შეიხსნა და ზედ დააწვა. ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო და ღრიალი აღმოხდა. გაშმაგებულმა ქალმა მკლავზე უკბინა და, ალბათ, წააკვნეტდა კიდეც, დროზე რომ არ გამოეგლიჯა და ზეზე წამოვარდნა არ მოესწრო. გოლა-ფაშა ჩვეულებისამებრ არ განრისხებულა. მეციხოვნეთ უბრძანა, ეს ველური გოგო მის მოსვლამდე დილეგში ეყოლიებინათ, საღამოს კი უკან მობრუნდებოდა და თვით მოუვლიდა...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბაზილიკის ყაიდაზე აშენებულ თაღებიან მოგრძო დარბაზს იატაკი საგანგებოდ გამომწვარი წითელი აგურისა ჰქონდა და შიგ დარხეული თითოეული ბგერა ერთი ათად გაძლიერებული და გაუცხოებული მოისმოდა. ეს მაშინ უფრო საცნაური გახდა, როცა მაღალ-

ქუსლიანი წაღების აუჩქარებელი კაკუნით ბატონიშვილმა სოლომონმა შუა დარბაზში გაიარა და ქვის მაგიდასთან მდგომ გოლა-ფაშას ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა. ბატონიშვილს ფეხდაფეხ მისდევდა მასავით ტანმორჩილი თამაზა მესხი. თუ საჭირო შეიქნებოდა, მას თარჯიმნობა უნდა გაეწია.

სოლომონი ამ წუთამდეც დარბაზში იყო, ოღონდ მის მეორე ბოლოში იდგა — შემოსასვლელ კართან, თავისი ერთგული თავადების: გიორგი და ბერი წულუკიძეების, პაპუნა წერეთლის, ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილის, საჭილაოს ახლანდელი პატრონის ზურაბ მიქელაძის, სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძის და მეფის დაკრძალვაზე მცირე დაგვიანებით მობრძანებულ ბერი ლორთქიფანიძის შორის. მის თვალსა და ყურს არაფერი გამოჰპარვია, თუმცა სამთა შეთქმულებისა ჯერ არა იცოდა რა. გოლა-ფაშას, ამ გადაგვარებული არამზადის, თავგასულობას საზღვარი უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ როცა მან თვით ქრისტეს ჯვრის მტვირთველი უწმიდესი კათალიკოსი და ძველი ქართული ადათები შეურაცხჰყო, სოლომონმა ცხადლივ გაიგონა, როგორ აუჩუხჩუხდა ცხელი სისხლი დაბერილ საფეთქლებში. გაქვავებულივით უძრავად იდგა და ხელს ხანჯლის მოზარნიშებულ ქარქაშს უჭერდა. ხანჯალი იანიჩრებმა ჩამოართვეს აქ შემოსვლის წინ. დარბაზში შეიარაღებული მხოლოდ გოლა-ფაშა და მისი მხლებელი გადამთიელი ბეგი ასისთავები იყვნენ. სხვისი ნასუფრალით გამაძღარ-ნაპატივები გოლა-ფაშა საქმეში ჩახედული ჭკვიანი კაცი ჩანდა, ყოველი თავისი ნაბიჯი, ეტყობა, წინასწარ გამოზომილი ჰქონდა და თუ რამ საშიშროება მოელოდა, იმასაც წინასწარ ითვალისწინებდა, რათა მსხვერპლი და ზარალი ასწილ აენაზღაურებინა. დარბაზში გამომწყვდეულ ერთ მუჭა ქართველობას, რომლის დიდ ნაწილს ხანშიშესული დიდებულები და ეპისკოპოსები შეადგენდნენ, რაიმე წინააღმდეგობის, თუნდაც სიტყვიერი ურჩობის გაწევაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. გოლა-ფაშას ერთი შეძახება და მონასტრის გალავანში დაბანაკებული ასკერები, იანიჩრები და ლეკი მოლაშქრენი შიგნით შემოცვივდებოდნენ და უიარაღო ადამიანებს, მოხუცებსაც და ახალგაზრდებსაც, სულ ნაკუწ-ნაკუწ აჩეხდნენ.

გოლა-ფაშამ ჩაახველა. ეს, ალბათ, ნიშანი იყო. თარჯიმანი ერთი ნაბიჯით წინ წამოდგა და ბეგლარბეგის უზენაესი ბრძანებულება წაიკითხა. ამ ბრძანებულების თანახმად, ალაჰისა და ბედნიერი სულთნის ნებით, ბატონიშვილი სოლომონი, ძე ალექსანდრე იმერთა მეფისა, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანი, ლიხთიმერეთის მეფედ და ოსმალეთის სერასკირად ცხადდებოდა. თარჯიმანმა რაყამი ბოლომდე ჩაიკითხა, დაახვია, ზედ ემთხვია და გოლა-ფაშას წინ, ქვის მაგიდაზე, მოწიწებით დასდო, თვით კი კვლავ თავისი ადგილი დაიკავა ასისთავთა მწკრივში. ხმას არავინ იღებდა. ყველა სულგანაბული მოელოდა გოლა-ფაშას ახალ ბრძანებას. დაძაბული მყუდროება სწორედ მან დაარღვია. თარჯიმნის პირით სოლომონს უბრძანა, უფრო ახლო მოსულიყო, ხოლო კათალიკოს ბესარიონს — ბაშიაჩუკების ახალგაზრდა მეფე აღმოსავლეთის უძლეველი იმპერიის ერთგულებაზე დაეფიცებინა.

ორმაგად შეცბუნებულ მღვდელთმთავარს სხვა რაღა გზა ჰქონდა, სამღვდელო პირთა ამალაში მდგომ ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს მიუბრუნდა, ეპისკოპოსმა კი თავის მხრივ, შავანაფორიან არქიმანდრიტს ანიშნა, კედლის ნიშიდან ჯვარცმა ჩამოეხსნათ.

ძველი ოქრომჭედლების ნახელავი, კაცის სიმაღლე სასწაულმოქმედი ჯვარი, რომელზედაც ბაჯაღლო ოქროსაგან გამოქანდაკებული ქრისტე იყო გაკრული, სოლომონის წინ კრძალვით დაასვენეს. სოლომონმა მუხლი მოიყარა. ამის დანახვისთანავე დარბაზში უმალ ყველამ დაიჩოქა. ფეხზე მარტოოდენ კათალიკოსი და ოსმალები დარჩნენ.

სიჩუმე კიდევ უფრო მრისხანედ ჩამოწვა სულკურთხეული დავით აღმაშენებლისეული თაღების ქვეშ.

გოლა-ფაშამ დაწყება ბრძანა, მტკივანი ხელი, რომელზედაც ამ დილას იმ წყეულმა ველურმა გოგომ უკბინა, ულვაშებზე გადაისვა და თავისი ძლევამოსილებით კმაყოფილმა ფეხი შეინაცვლა.

კათალიკოსმა კვერთხი ოდნავ აასწია აგურის იატაკს და ფიცის პირველი სიტყვები წარმოთქვა. ეს სიტყვები, დადგენილი წესისამებრ, სოლომონს უნდა გაემეორებინა. ბურთივით მრგვალ, მკვრივი აგებულების გოლა-ფაშას ცალი ყური კათალიკოსისაკენ მიეპყრო, ხოლო მეორე ყურით თარჯიმანს უსმენდა. თარჯიმანი ჩურჩულით უთარგმნიდა ყველაფერს, რასაც კათალიკოსი ბესარიონი ამბობდა და რასაც ბატონიშვილი სოლომონი მისი უწმიდესობის კვალდაკვალ იმეორებდა.

სოლომონი არაჩვეულებრივად აღგზნებული იყო. წვერწამოზრდილ სახეზე თითქოს ზეგარდმო ნათელი დაჰფენოდა და ღამისთევითა და გადატანილი მწუხარებით საკმაოდ დასუსტებული თავის თავს აღარ ჰგავდა. მისი თვალები სადღაც შორს, თითქოს უსასრულობის მიღმა იყურებოდნენ, ენა კი, კეთილი გონიერების მორჩილი ენა სიტყვასიტყვით იმეორებდა კათალიკოსის ნაკარნახევ ფიცს...

ფიცი იმის პირობა იყო, რომ მეფე და სერასკირი, ქვეშევრდომი ერითურთ, უძლეველი ოსმალეთის ყურმოჭრილი ყმა იქნებოდა, ოსმალთა მოყვრებს მოყვრობას გაუწევდა და მტრებს მტრად მოეკიდებოდა, ზედმიწევნითი მუყაითობით შეასრულებდა თავის თუ მამა-პაპის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს...

ამას მოსდევდა საკუთარი თავის წყევლა და შეჩვენება, უკეთუ ვისიმე ჩაგონებით ან თავისი ნებით მეფე ფიცს გადავიდოდა და დიდ, დედამიწაზე მოსახლე მრავალი ჩაგრული ხალხის ქომაგ ოსმალეთს ურჩობას გაუწევდა და გადაუდგებოდა. დარბაზის ერი მოკლე დუდუნით „ამიინ“ ადასტურებდა თავისი ახალგაზრდა ბატონის მიერ წარმოთქმული ფიცის ყოველ ახალ მუხლს...

შემოსასვლელი კარის გამოსწვრივ დაჩოქილი იარაღაყრილი თავადები‘.ა და სხვათა თვალწინ მეფე თითქოს გოლგოთაზე ადიოდა და აქაურობას, ყოველივე მიწიერსა და ამქვეყნიურს, თანდათან შორდებოდა.

„ღმერთო ძლიერო, ცათა და მიწათ მპყრობელო იესო ქრისტევ, — გამდნარ ტყვიასავით ბობოქრობდა სოლომონის გულში ადრეული სიყმაწვილის დროიდანვე ნალოლიავები ვედრება.-- მიიღე ჩემი აღთქმა, ჩემი კაცური კაცობის საწინდარი. შემომიდექი მე, სუსტსა და უღონოს, ოღონდ სულით მტკიცესა და შენს გულმხურვალე ადმსარებელს. აღმაგვევინე შენი მიწა-წყლის პირისაგან შემოსეული ურჯულო, დაიხსენი ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა, მტრისაგან მორეული და უწყალოდ გაპარტახებული. მომეც მე ძალა, შემეწიე, რათა ყველა შენს სახლში ავანთო შენი სადიდებელი სანთელი. ვფიცავ, არ დავიშურო არცა სიცოცხლე, არცა ცოლი, გულით საყვარელი, არცა შვილი, რომელი მომცენ, არცა დედა მშობელი და ყოველივე, რაც გამაჩნია. სისხლითა და ცრემლით განბანილ სამშობლოს შევწირო, ჯვარცმულო მაცხოვარო, ძლევავ და დიდებავ ჩვენო!...“

მეფის დაფიცება რომ აღსრულდა და ახლა ჯავრით გულგასიებულმა როსტომ რაჭის ერისთავმა, მამია გურიელმა და ლევან აბაშიძემ, ქვეყნის უპირველესმა თავადებმა, მოიდრიკეს მუხლი ხონთქრის ერთგულების ფიცის მისაღებად, საკუთარი ძალაუფლებით გაბადრულმა გოლა-ფაშამ სოლომონი ხავერდგადაფარებულ მაგიდასთან მიიხმო და პირობის წიგნი თავისი ხელით გადაუშალა. პირობის წიგნი თვით „ბედნიერი სულთნის“ ბრძანებისამებრ შეედგინათ. შიგ წვრილად, მუხლობრივ იყო აღნუსხული ყველაფერი, რაც იმერთა ანუ

ბაშიაჩუკების მეფეს თავისი უზენაესი ბატონისა და მბრძანებლის წინაშე ეკისრებოდა. სოლომონი არ დაფიქრებულა, არც ის მოუთხოვია, აქ რაცა სწერია, ქართულად მითარგმნეთ და რიგიანად გამაგებინეთო, მელანში ჩასველებულ ბატის ფრთას მისწვდა და ისე დაამოწმა მხოლოდ ერთ — თურქულ ენაზე შედგენილი პირობის წიგნი. განა სულ ერთი არ იყო, შიგ რა ეწერა? ამიერიდან, სწორედ ამ წუთიდან იწყებოდა მისი უთანასწორო ორთაბრძოლა ძლევამოსილ და საძულველ მტერთან, ამ ბრძოლაში კი, მთელი სიცოცხლე რომ გულისფანცქალით ელოდა, წინასწარ პირობებსა და ვალდებულებებს არავინ დაგიდევდა. ანდა რა პირობა და ვალდებულებაა ადამიანური ღირსების დამამცირებელი ის პირობა და ვალდებულება, რომლის უყოყმანო შესრულება მხოლოდ სუსტ მხარეს ეკისრება! თურქეთს და საერთოდ ყველა მომხვდურს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოეკვეთა ფეხი იმერეთიდან — აი, ეს იყო თავი და თავი საზრუნავი. ესეც არ კმაროდა. ურჯულო აგარიანთა მხეცურ პარპაშს ბოლო უნდა მოღებოდა ჯაყელების გაყიდულ სამცხეშიც, უნდა დაცემულიყო ქართული სამეფოების წინააღმდეგ მომართული ყველა ბოროტების ბუნაგი ახალციხის საფაშო და საქართველოს უძველესი მხარე — სამცხე-საათაბაგო — კვლავ დედა-სამშობლოს შემოერთებოდა. ოსმალეთის და მთელი აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრებზე, ბოლოსდაბოლოს, უნდა შემწყდარიყო ქართველ ტყვე ქალ-ვაჟთა გულის მომწყვლელი გმინვა. გახურებულ საკირეში, სწორედ გახურებულ საკირეში უნდა ჩაეგდოთ ყველა ქართველი თავადი და აზნაური, ვინც კი გაბედავდა და თავის ან სხვის ყმებს გასაყიდად გამოიმეტებდა. გავარვარებული საკირე ან საღრჩობელის გასანთლული თოკი! — სხვა წყალობა ვერ უნდა მიეღო ტყვეებით მოვაჭრე ვაიქართველს, თუნდაც ის თვით მეფის ჩამომავალი ყოფილიყოს. გველეშაპის ბრჭყალებიდან დაბეჩავებული ხალხის გამოსახსნელად სამშობლოს სამსხვერპლოზე უნდა მიტანილიყო ყველაფერი — ქონება თუ პატივმოყვარეობა, კეთილდღეობა თუ ფუფუნება, სიცოცხლე თუ სიკვდილი, სიყვარული თუ სიძულვილი...

აი, რა ფიქრსა და ზრახვას შეეპყრო და დაემორჩილებინა სოლომონის მთელი არსება სწორედ იმ დროს, როცა თავის ძლევამოსილებაში ღრმად დარწმუნებული და მართლაც უაღრესად საშიში გოლა-ფაშა იმერეთის თავად-აზნაურობას ხონთქრის ერთგულებაზე აფიცებდა და ყველას სათითაოდ პირობის წიგნზე ხელს აწერინებდა.

წყალწითელას გაღმა, კლდოვან სერებზე შეფენილ სოფელ მოწამეთაში და თვით მონასტრის ახლომახლო მამლებმა იყივლეს. ჯერ გათენება შორს იყო. დარბაზის სათოფურისებურ ვიწრო სარკმელებში ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იჭვრიტებოდა. ზედიზედ რამდენიმე ღამის უძილობას მაინც თავისი გაეტანა: სოლომონს თავი უბრუოდა და დაბუგულ ყურებში რაღაც გაურკვეველი ხმები ესმოდა. ამისდა მიუხედავად, სხეულის ყოველ კუნთში ძალის უჩვეულო მოზღვავებას გრძნობდა. „მე მეფე ვარ, მეფე!“ — რამდენჯერმე გაიმეორა გულში და საკუთარი გულის ხმას ყური მიუგდო. მან იცოდა, რომ ეს ასე იყო, ყველაფერი ცხადლივ მოხდა და არა სიზმარში, მაგრამ ის, რაც ახლა ფრთებს ასხამდა და სიმხნევეს ჰმატებდა, მაინც არაბუნებრივად მიაჩნდა, ვიდრე თავისიანები არ შემოესივნენ და მოლოცვა არ დაუწყეს.

პირველობა აქაც გოლა-ფაშამ დაისაკუთრა. მან ისევ ითაკილა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და იმერთა ახალგაზრდა მეფეს თარჯიმნის — ახალციხელი სომხის პირით მიმართა. სიტყვებში, ქეჰა რომ ყველას გასაგონად ამბობდა, შეურაცხმყოფელი და ვისიმე დამამცირებელი თითქოს არაფერი იყო, პირიქით, გოლა-ფაშა თავისებური ტლანქი სიტყვამჭევრობით ცდილობდა.

სოლომონი და მისი მომავალი მიმზიდველი ფერებით წარმოესახა, მაგრამ როგორც კი სიტყვა მეფის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას შეეხო, ეს კაცი მთლად გამოიცვალა, პირიდან ცეცხლის ფრქვევა დაიწყო. არც ფულად ხარკს, არც ტილოს, ენდროსა და აბრეშუმს, რომელთაც იმერეთი ყოველწლიურად ოსმალეთს უხდიდა, ქეჰა იმდენ ფასს არ ადებდა, რამდენსაც ახალგაზრდა ქალ-ვაჟებით ვაჭრობას. ქართველი ტყვე ახალგაზრდები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ თურქეთისა და უცხოეთის ბაზრებზე. ტყვეებით მოვაჭრენი წლითიწლობით უზღვავ მოგებას ნახულობდნენ. ბაზარი სულ მეტ და მეტ საქონელს მოითხოვდა. სამშობლოს მოწყვეტილ მწყაზარ გოგონებს თავიანთი ბრწყინვალე ჰარამხანების შესავსებად და გასაახლებლად ყიდულობდნენ თურქი ბეგები და შეძლებული მოქალაქენი.

ფაშას გააყრუოლა. ამას რომ ამბობდა, ნაკბენ ხელზე ტკივილი იგრძნო და ეს როგორღაც ესიამოვნა. გურჯი ხათუნები ცისკრის ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრებზე და ჰარამხანებში. ზოგი ბეგი მათ ცოლადაც კი ისვამდა და მთელ სიცოცხლეს საყვარელი მეუღლის ფერხთით ატარებდა.

გოლა-ფაშას ეს უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა. ვაჟებს სამხედრო ხელოვნებას ასწავლიდნენ, თავიანთებურად წვრთნიდნენ და ყველაზე მამაც და დაუნდობელ იანიჩართა რაზმებში რიცხავდნენ, იანიჩრები კი თავიანთი მხედრული შემართებით უჭკნობ სახელს იხვეჭდნენ. ეს სახელი თაობიდან თაობას გადაეცემოდა...

მილოცვის დამთავრებისას გოლა-ფაშამ მეფე გადაკრული სიტყვებით გააფრთხილა, ვაჭრობას ყოველმხრივ შეუწყე ხელი, ეს შენთვის, ჩემო სოლომონ, როგორც ქვეყნის პირველი მებატონისათვის, ორწილ სარფიანი საქმეაო, შემდეგ თავის მხლებელ ასისთავებს რაღაც ანიშნა და მათაც იმწამსვე ვერცხლისქარქაშიანი მოკლე ხმალი მოართვეს. ხმალი თვით ბეგლარბეგ ჰაჯი-აჰმადს გამოეგზავნა. გოლა-ფაშას დიდ პატივად თვლიდა, რომ სწორედ მას ერგო წილად ძვირფასი სამახსოვრო საჩუქრის გადაცემა. ვინძლო მეგობრულ ნობათად მოძღვნილი ხმალი მეფეს და სერასკირს ბედნიერი სულთნის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ ომში შემოსცვეთოდა. უმალვე ახალს გამოუგზავნიდნენ...

„ღმერთმა ისე ნუ მომკლას, თუ ამ შენი ნობათით თავი არ წაგაგდებინე!“ — გაიფიქრა სოლომონმა, გოლა-ფაშას ხმალი ორივე ხელით ჩამოართვა, ბეჭებში ოდნავ მოიხარა და, როგორც მსგავს შემთხვევებში მიღებული იყო, ზედ სამგზის შეეხო ტუჩებით.

## VIII

ვარციხის სასახლის მეჯლისების დარბაზში საალაპო სუფრას მოგვიანებით შემოუსხდნენ. ყველას, შინაურსა და გარეულს, თვალი კარზე ეჭირა. იგვიანებდნენ მეფე და ბატონიშვილები. მაღალი ვახშმობა კარგა ხნის გადასული იქნებოდა. სახლთუხუცესი და თამაზა მესხი რომ მოვიდნენ და აქ მყოფ დიდ დედოფალ თამარს — დედოფლად უკვე სოლომონის თანამეცხედრე თინათი მოიხსენიებოდა — საიდუმლოდ აუწყეს, მეფისათვის აღარ მოეცადათ. ის ან ცუცხვათში, ქაიხოსრო აგიაშვილისას, დარჩებოდა ამაღამ რაღაც საქმის მოსაგვარებლად და ან კათალიკოს ბესარიონთან მოიცდიდა გელათში.

დედოფალს სახე შეეფაკლა. რას მოასწავებდა სოლომონის ეს საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება? ნუთუ ვინმეს ენამ წასძლია და რაიმე შეიტყო? მაგრამ კათალიკოსი? ღამით მის სადგომში მოცდა, სოლომონის მხრივ, დიდი გაუფრთხილებლობა იყო. ვაითუ შეთქმულთა კაცებს ოხრად დასარჩენი იარაღი ეხმარათ და მეფისათვის რაიმე მოეწიათ...

თამარი ორჭოფობდა. ერთის მხრივ

გაქირი ხარივით ჯიუტი შვილის ჯავრი აწვა გულზე, მეორეს მხრივ კი ღმერთის შეთქმულთა ხელის მომართვასაც შესთხოვდა. ამაზე ფიქრს ის უკვე შეჩვეული იყო. რაკი ყველაფერი ასე წარიმართა, სოლომონს უარი უნდა ეთქვა ტახტზე და იგი რომელიმე თავის ბიძისათვის დაეთმო. თუ ამას მიაღწევდა, თამარი ღრმად დარწმუნებული იყო, შვილს გარდაუვალი განსაცდელისაგან იხსნიდა. ქალმა და დედამ ესღა დაიტოვა სანუგეშოდ და თავისი მოქმედების გასამართლებლად. რა გაეწყობა, სოლომონმა თვით ჩაიყენა თავი გამოუვალ მდგომარეობაში! რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თუნდაც ქვეყნისაგან შეჩვენების ფასად, თამარს უნდა ეხსნა შვილი. თუ ასე არ მოიქცეოდა, სოლომონს უეჭველი დაღუპვა ელოდა და ისიც ვისი, ღვიძლი ბაბუას ხელით!..

ნახევარი საათის შემდეგ სასახლეში უფროსი ბატონიშვილები გიორგი და მამუკა მობრძანდნენ. მობრძანდა თვალებად და ყურებად ქცეული ლევან აბაშიძეც და შემოსვლისთანავე ქართლ-კახეთის მეფეთა დესპანებს მიაშურა. დედოფალმა მამის თვალებში ამოიკითხა, რომ ჯერ შესაშფოთებელი არაფერი მომხდარიყო. გულზე მოეშვა. ახლა მხოლოდ სოლომონი და მისი უმცროსი ძმები — გენათელი მიტროპოლიტი იოსები და არჩილი აკლდათ. იასემ, თუ გინდა, ძმა არ დასტოვა და თან გაჰყვა, თუმცა სხვა მისი მდგომარეობის კაცი ამას სავალდებულოდ არ ჩათვლიდა, ბავშვი მაინც რად აღარ გამოგზავნეს? თამარი ისევ აწრიალდა და თავს შეუწყრა, ეს წელანვე რატომ არ ვკითხე თამაზა მესხს და ლომკაც ჯაფარიძესო.

მეფის ახლო ნათესავებისა და ქართლ-კახეთის მეფეთა დესპანების გვერდით ჭირის სუფრაზე არც კაცო ჩიჩუა ჩანდა. ოდიშარების აქ არაყოფნა უმალვე შენიშნა თავისი საზრუნავით სულით ხორცამდე შეპყრობილმა ლევან აბაშიძემ და თვალებით თამარი მოძებნა. მოალაპენი თხლად ისხდნენ. თვით ქეჰა, რაღა თქმა უნდა, აქ არ წამოვიდოდა. მან ადრევე აიკრა გუდა-ნაბადი და ყველაზე უფრო უშიშარ ადგილს — თხმელისციხეს მიაშურა. გელათის გალავანში, ისიც მხოლოდ ხვალ დილამდე, იანიჩრების მცირე რაზმი დარჩა. გოლა-ფაშას, გარდა იანიჩართა და ლექთა სამი ასეულისა, გურიის მთავარი მამია და რაჭის ერისთვი როსტომი ეახლნენ გურულ და რაჭველ მოლაშქრეთა რაზმებითურთ. თვით ლევანს წასვლა არ შეეძლო. ეგ კი არა, როსტომისა და მამიას გაშვებაც არ უნდოდა, ვაითუ ამით საქმეს ვავნოთო, მაგრამ ვითარებამ ასე მოითხოვა. გურიელსა და ერისთავს ყველა ღონე უნდა ეხმარათ, მჭერმეტყველება და დარწმუნების ყველა ხერხი უნდა გამოეყენებინათ გოლა-ფაშას მოსახარშავად. ქრთამსა და მოსაკითხს, რაც და რამდენიც არ უნდა მოეთხოვა, არც ერთი არ გაექცეოდა. ოღონდ ბეგლარბეგის ქეჰას ყურად ეღო ბაშიაჩუკი დიდებულების ქვეშევრდომული ხვეწნა-მუდარა...

იმათგან, ვინც გარდაცვლილი მეფე ალექსანდრეს სულის მოსახსენიებელ სუფრას არ უჯდა, სასახლეში მხოლოდ თინათი იყო, მაგრამ თავის ოთახში გამოკეტილი გარეთ არ გამოდიოდა. თამარმა ორჯერ გაუგზავნა ბატონების სამსახურში დაბერებული მოახლე ხვაშაქი, თხოვა, გამობრძანდი, სოლომონი არ არის, პატივსაცემ უცხო სტუმრებს შენ მაინც დაენახვე და ოჯახის საკადრისი მასპინძლობა გაუწიეო. მესამედ თვითონაც მიაკითხა, რამდენადაც შეეძლო, დედა-შვილურად მოეფერა და თხოვნა გაუმეორა. უზომოდ დანაღვლიანებული და ნამტირალევი თინათი ახლაც უარზე დადგა, ოღონდ თავისი უარის მიზეზს არ ამბობდა. დიდი დედოფლის შემოსვლამდე სანთლები ჩაექრო და ღამურასავით ბნელაში იჯდა. თამარს გული გადმოუტრიალდა, ბნელ ოთახში რომ შეაბიჯა და მხოლოდ სანთურის შემოტანის შემდეგ დაინახა ამოლილი ლოგინის კიდეზე ჩამომჯდარი ყმაწვილი რძალი. მაშინვე ბრძანა, სან-

თლები აენთოთ და რაკი ახალგაზრდა დედოფალი უღონობას იმიზეზებდა და სტუმრებთან გამოსვლაზე უარს ამბობდა, მისთვის აქ მოერთმიათ მცირე რამ ვახშამი. თინათი ათას ურთიერთ საწინააღმდეგო ეჭვს გაეწამებინა, ამას გარდა, გულზე სულ ახლახან გაჩენილი საფიქრალი შემოსწოლოდა და ჭამის თავი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც აუხსნელი ძალაუფლებით აღჭურვილ დედამთილს, რომლის ფარული შიში ყოველთვის სტანჯავდა, ამაზე უარი ველარ გაუბედა და დათანხმდა.

— ფეხმძიმედ არის, — თავისებური მამაკაცური ხმით წასჩურჩულა ხვაშაქმა თამარს, როცა ახალგაზრდა დედოფლის ოთახიდან გამოდიოდნენ. — მაგას ახლა თავისი ქმარი უნდა, სხვა არავინ.

— თინათი! — თამარს სახე წამოენთო, იმ წამსვე ოთახში შებრუნდა.

— რას მიბრძანებ, ბატონო? — თინათი შეკრთა. ის უკვე ბედნიერი იყო, რომ აუხსნელი შიშის მომგვრელი ქალი, სოლომონის მშობელი დედა, როგორღაც მოიშორა და ისევ მარტო რჩებოდა თავის ფიქრებთან.

— მართალია? მუცელი გქძრა? — თამარი საკუთარ თავს ველარა სცნობდა. გულში, მისდა უნებლიეთ, მზრუნველმა ქალმა და დედამ გაიღვიძა. რძალს საწოლზევე ჩამოუჯდა და მხრებზე ხელი მოჰხვია.

თინათიმ თავი ჩაღუნა. ყურებსა და ლაწვებზე სიწითლე მოედო. ეს მისი პასუხი იყო.

— სოლომონმა იცის? — კვლავ მოუთმენლად ჰკითხა დედამთილმა.

თინათიმ თავი გააქნია და უფრო მოიკუნტა. თავს ძლივს იკავებდა, უნდოდა სოლომონის ამბავი ეკითხა, გაეგო, ასე რად იგვიანებდა, მაგრამ დედამთილისა ნოერიდა და ეს ვერა ჰკითხა.

— ბედნიერი ყოფილხარ, შვილო, — უთხრა თამარმა და ახლა მის ხმაში რაღაცნაირი სიცივე გაისმა. — ტახტის მემკვიდრე დაგვებადება.

— ოჰ, — ამოიკვნესა თინათიმ, ცრემლები ისევ წამოუვიდა, თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ შეტრიალდა, როგორ ჩამალა სახე მისთვის უცხო ადამიანის მკერდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუ, რა მოგივიდა!.. — თავადაც გულაჩუყებულმა დიდმა დედოფალმა ყვრიმალზე ხელი მოჰხვია და მისი თავი გულზე მიიკრა. — გეშინია?

თინათი გალახული ბალღივით სლუკუნებდა, თამარმა კი არცთუ უსაფუძვლოდ იფიქრა, ახლა სწორედ შესაფერი დროა გულახდილი საუბრისთვისო და საქმიანი კილოთი განაგრძო:

— მეც აგრე ვიყავი... ყველა აგრეა... აი, ნახავ, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდება. დაწყნარდი. ახლა წავალ...— და წამოდგა, მაგრამ ისევ თავის ადგილზე დარჩა. — მე შენთან დიდი სალაპარაკო მაქვს, შვილო თინათი. ვწუხვარ, რომ ახლა ამის დრო არ არის...

— მითხარით, ბატონო! — თინათი უცებ გამოცოცხლდა. ამ ქალისაგან ის ყოველთვის რაღაც საშინელსა და მოულოდნელს მოელოდა. სახე მის მკერდს მოაშორა და უკან დაიხია.

— არა, სხვა დროს... — როგორღაც ნაღვლიანად თქვა თამარმა და ისევ დააპირა ადგომა.

— როგორც გნებოთ, — მორჩილად დაეთანხმა თინათი.

— შენ როგორა გგონია, შვილო, სოლომონს ძალიან უყვარხარ? — თამარმა რძალს სახე ორივე ხელით დაუჭირა და თვალებში ჩახედა. — მითხარი, როგორც ქალმა ქალს...

თინათის კვლავ მსხვილი ცრემლებით აევსო თვალები. ერთბაში და პირდაპირი პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. თამარი არ მოეშვა, წასვლას უკვე აღარ ფიქრობდა, ორჯერ თუ სამჯერ კიდევ ჰკითხა.

— მე ყოველთვის მეგონა, რომ ვუყვარდი, — ახალგაზრდა დედოფალმა ეს ძლივს გასაგონად წაილაპარაკა და თავისივე ნათქვამით დაფეთებულმა კარს გახედა, დერეფანში დარჩენილი ხვაშა-

ქი ხომ არ გვისმენსო, მერე უცებ სძლია მორცხვობას. აკანკალებული ხელები მუხლებზე დაიწყო და დედამთილს თვალებში შეხედა. — თქვენ მგონი რაღაცა იცით, ბატონო დედა. მამას სულს გაფიცებთ, ნუ დამიმალავთ. გული გამისკდება...

— არაფერიც არ ვიცი, — ცივად მოუჭრა თამარმა. — მე შენგან მინდა გავიგო.

— მე რა უნდა გითხრათ, ბატონო?

— თუ შენ ეტყვი, სოლომონი ყველაფერს დაგიჯერებს.

— მე? ნეტავი კი... — თინათის ხელახლა მოეძალა მსხვილი კურცხლები, რადგან ამ დროს კაცხის სასახლეში გატარებული შფოთიანი ღამე და სოლომონის ნაძალადევი ლხინი გაახსენდა. დღეს სოლომონი მეფე იყო, ქვეყნის მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრა და ვაითუ უკვე შესდგომოდა თავისი საშინელი განზრახვის შესრულებას. — თუ რამე შემიძლია, მიბრძანეთ და ყველაფერს გავაკეთებ სოლომონისათვის და... თქვენთვის.

— უნდა უთხრა, ახლავე გაწყვიტოს კავშირი ოტია დადიანთან! — დიდი დედოფლის ხმას ლითონის ცივი ჟღერა გაერია. — გაიგე, რაც გითხარი? ოტია დადიანი ჩვენი ოჯახის მტერია. დაუძინებელი მტერი. უბედურ ჩემს ქმარს ერთხელ ტყვედაც კი ჰყავდა. ჩიხორთან ჩაუვარდა, დაჭრილი. დიდი ზამთარი იყო. ცხენები თოვლში ეფლობოდნენ. ველარსად გასწრო. რაზე გავუშვით მაშინ ცოცხალი! მისი მინდობა არ იქნება, შვილო თინათი, თავისას შეისრულებს და მერე ყელს გამოგვჭრის...

თინათი თრთოდა, მთელი სხეულით აკანკალებულს მეტყველების უნარიც კი წართმეოდა. ბოლოს თავს როგორღაც მოერია და სვენებ-სვენებით იკითხა:

— ნუთუ სოლომონს რამე კავშირი აქვს იმ საშინელ დადიანთან?

— აბა, როგორ გგონია, — სიტყვა ჩამოართვა ძველი ამბების გახსენებით პირგამეხებულმა დედამთილმა. — ეს გაქექილი მეგრელი კაცო ჩიჩუა აქ რისი გულისათვის მოვიდა, ძალიან უყვარდა საცოდავი ჩემი ქმარი? ისემც აუშენდა სახლ-კარი მაგასაც და მაგის აქ გამომგზავნ ოტია დადიანსაც! ვაჲბატონი შენი ქმარი და ჩიჩუა ახლაც, ჩვენ რომ აგერ ვლაპარაკობთ, ერთად არიან. უტყუარი ცნობები მაქვს, დანამდვილებით ვიცი. ვერ გამიმხელია მე უბედურს... ბატონმა მეფემ მოსარიდებელი უცხო სტუმრები მე შემომატოვა. ან ამათ რა პასუხი გავცე, ან... — დიდი დედოფალი შებორძიკდა, ცრემლები აღრჩობდა, ქუთუთოები წამოსიებოდა და დროდადრო მარჯვენა წარბი უტოკავდა. — ვშიშობ, რომ ის წყეული მეგრელი რაღაც საძაგელს ჩააგონებს. ეგ უნდათ ახლა სულძაღლ ჩემს მაზლებს?

— დაგეძახათ, ბატონო, — მორჩილად თქვა თინათიმ. ის ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, თუ საით უმიზნებდა სამეფო საქმეებში ფრიად გამოცდილი და ჭკვიანი დედამთილი. — სოლომონი თქვენი შვილია. ძალიან პატივს გცემთ. მე ვიცი. რამდენჯერ უთქვამს... არა ჰგონია, დედის სიტყვას გადავიდეს.

— ვინცხა ოხრებმა გადამირიეს, წამართვეს შვილი, — გულში ჩაგუბებული შხამი და ბოღმა თამარმა ამ სამად სამ სიტყვას ამოაყოლა. — ჩემი რომ აღარ ეყურება? სხვა, მშობელ დედაზე უფრო ერთგული მრჩევლები და მხარში ამომდგომები გაიჩინა. დღე და ღამე ამ წულუკიძეებთან, წერეთლებთან, და აგიაშვილებთან ჩურჩულებს. გეკითხები: რა აქვს ამდენი საჩურჩულო და სალაპარაკო? სხვა არც არავინ უნდა ვაი, რატომ არ მოისპო ის დღე და საათი, რა დღესაც ეგ ჩემი ცოდვით სავსე მაგათ გადაეყარა!

— თავადი გიორგი უფროსი კაცია, ბატონო დედა, სოლომონის ერთგულია, — მორიდებულად შენიშნა თინათიმ და თავისი ამ წრფელი სიტყვებით მეფის აღმზრდელს — ხოტევის ციხის პატრონ გიორგი წულუკიძეს გამოე-

სარჩლა. — არა მგონია, სოლომონს რაიმე საძრახისი ჩაიგონოს, ან უღალატოს...

თამარის გამოხედვაში ავაზის თვალების ცეცხლმა იელვა. ახალგაზრდა რძლის თვალწინ დიდი დედოფალი ერთბაშად ათი-თხუთმეტი წლით უფროსი და ხმალშემართული ვაჟკაცივით შეუპოვარი გახდა. ხმა კარგა ხანს ვეღარ ამოიღო, მერე კი ესა თქვა:

— შენც იმას ლაპარაკობ, შვილო, რაც შენი ქმრისაგან გაგიგონია. დღეს სანდო აღარავინ არის. შვილი დედას ვეღარ ენდობა, არამცთუ სხვას ვისმე. ვინ რისთვის დაგინდობს, დედა, შენ თავს ყველას თავისი თავი ურჩევნია. ცხოვრება ასეა მოწყობილი. შენ შეცვლი? ყური დამიგდე. ეგ, რაც ახლა დადიანზე გითხარი, ჩვენი ერთადერთი უბედურება არ გეგონოს. სხვაცა გვჭირს. დღეს უკვე დედოფალი ხარ და უნდა იცოდე. გულახდილად მომიყევი, რა მოხდა იმ დღეს გზაზე?

— სად, ბატონო? — თინათი უცებ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ეს ავაზის თვალებიანი ქალი, რომელსაც ბრჭყალებიც ავაზისა ჰქონდა და დამფრთხალმა, აქვე არ დამფლითოსო, მისდა შეუმჩნევლად ოდნავ უკან დაიხია.

— კაცხიდან რომ ბრუნდებოდით შენ და სოლომონი, — განმარტა თამარმა, თავი უკან გადასწია, რძალს შიგ სახეში შეაჩერდა და სმენად გადაიქცა. — შეგხვდათ ვინმე?

— დიახ, შეგვხვდა... — თინათიმ მეხსიერება დაძაბა, შეეცადა, ყველა წვრილმანი კეთილსინდისიერად გაეხსენებინა. მას დასამალი არაფერი ჰქონდა. დედამთილის, ისევე როგორც მთელი ქვეყნიერების წინაშე, მართალი და უცოდველი იყო. ამას გარდა კაცხიდან ვარციხეში მომავალ სოლომონს ბევრი სხვაც ახლდა იმ დღეს. დიდ დედოფალს სხვებისგანაც შეეძლო გაეგო, რის შეტყობაც ახლა სწადდა. — როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟს, სარდალ გიორგის, გლეხები მიყავდა გასაყიდად. დათუნამ მითხრა, წერეთლის გლეხებიაო...

— მერე? რა უთხრა სოლომონმა?

— გიორგის? ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ მივედით, ბატონო დედა. ადრე, სანამ ჩვენ მივიდოდით, რა ილაპარაკეს, არ ვიცი. სოლომონის და თქვენს სახელს ვიფიცავ. მივუახლოვდით თუ არა, გიორგიმ თავისი ხალხი გააბრუნა და წავიდა.

— ბაღდადისაკენ?

— დიახ. გლეხები ტიროდნენ, ბატონო დედა, სოლომონს ეხვეწებოდნენ, ბატონიშვილო, თუ ქრისტიანი ხარ, გვიშველე რამეო. ღმერთო, — თინათიმ ყვრიმალებზე მიიდო ორივე ხელი და გაშტერებული ერთ წერტილს მიაჩერდა. — ეს რა ვნახე! — ერისთვიშვილის მხლებლები დაერივნენ იმ საცოდავებს, სულ მათრახს და თოფის კონდახს ურტყამდნენ ცხვირ-პირში. ჩვენ ცხენები მოვატრიალეთ და აქეთ წამოვედით.

— როსტომი წვერს იგლეჯს, ეს როგორ გამიბედაო, — კვლავ ბოღმიანად თქვა თამარმა. — გიორგის ყველაფერი შემოუთვლია მამამისისთვის. რა გზას დავადგეთ ახლა? ხომ იცი, რანაირი გულღრძოები არიან. ჰკვიანი და წინდახედული კაცი ერისთავს გადაიკიდებს?

— რა ქნა სოლომონმა ისეთი? — თინათიმ ცრემლის წვრილი წინწკლებით აბრწყინვებული გრძელი წამწამები დაახამხამა და თავის სიცოცხლეში პირველად დედამთილს შეეკამათა.

დიდი დედოფლის გულში მრისხანების ზღვა აზავთდა. ქალმა უკვე ვეღარ შესძლო თავის შემაგრება:

— ყმას გაყიდის თუ იყიდის რაჭის ერისთავი, მეფეს როდის ეკითხებოდა, ქალო, ახლა რომ ეკითხებოდეს! სისულელეს ჩმახავთ და ისიც არ გინდათ დაიჯეროთ, რომ სულელურ საქციელს სიკეთე არა მოჰყვება რა? მეც რომ აგრე გასწორ-გასწორ მევლო ცხოვრებაში, ფიქრობ, ხეირს შევეყრებოდი? თუ რამე გამაჩნია და დღესდღეობით

ისევ ფეხზე ვდგავარ მტრის გულის გასახეთქად, იცი, ვისი წყალობა არის ეს? მამაჩემის, არგვეთის დიდ ბატონ ლევან აბაშიძის წყალობა გახლავს! აბა! ერთი ეგ არ ჰყოლოდა გვერდში იმ შენს მამამთილს, ბატონ ალექსანდრეს, მაშინ ნახავდი, რანაირად გაშლიდა ფრთებს შენი ქმარი სოლომონი იმერეთის სამეფო ტახტზე! დღეს, თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ადვილია. სათვალავიც კი ამერია, რამდენჯერ დაამხეს ვაჟბატონი შენი მამამთილი, ოჯახი რომ შეგვირცხვინა, თავისმა ღვიძლმა ძმებმა და გულის ბიძაშვილებმა. ახლა მამა აბრამის ბატკნებივით დაბრძანდებიან აგერ, ვითომ აქ არაფერი! ჰმ... ყოველთვის სიმამრის მარჯვენით დგეზოდა ფეხზე. ერისთავიც სიმამრის მარჯვენით და სიამტკბილობით შეირიგა. ახლა ვინ რას უმადლის საწყალ მამაჩემს? ვითომ მართლა დაბერდა და არავის აღარაფრად არგია? ანდაზა დაიმახსოვრეთ: აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე ვერ ზიდოსო, — თამარი სულ აიშალა, საკუთარი თავის ზედამხედველობა დაჰკარგა და შვილის უგუნური საქციელის გამო აღშფოთებული თვითონაც აღარ იცოდა, რას ლაპარაკობდა. — მე შენ ამას იმიტომ გეუბნები, თინათი, რომ სანამ კლდეზე არ გადავარდნილა, გულისხმაში ჩააგდო, ჭკუაზე მოიყვანო. ჩვენ, მე და ბაბუას, ხომ ხედავ, სათოფეზეც აღარ გვიკარებს...

— ძნელ მოვალეობას მაკისრებ, ბატონო დედა, — თინათიმ მთელი გამბედაობა და სულის სიმტკიცე მოიკრიბა, რათა განრისხებულ დედამთილს ერთხელ კიდევ შეკამათებოდა. — ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, სოლომონი რა თავისნათქვამა კაცია. თუ ერთხელ თქვა, მერე, რომც მოკლა, იმას ველარ გადაათქმევინებ. მისი სიტყვები რომ მახსენდება, ახლაც ჟრუანტელი მივლის. ღამე ხანდახან გულგახეთქილს მეღვიძება ხოლმე. თავს ვეკითხები, ეს მე ვარ ნამდვილად თუ არ ვარ მე. ვტირი და ვტირი. გარიჟრაჟამდე ხატის წინ ვარ დაჩოქილი. ღვთისმშობელ დედას მარტო იმას ვეხვეწები და ვევედრები, სოლომონის უბედურებას ნუ შემასწრებს, ჯერ მე დამიხუჭოს თვალები და მერე რაც იქნება, იქნება... — თინათიმ ხელახლა მიიდო თვალებზე კიდეებამოქარგული პაწაწინა შავი ცხვირსახოცი და მწარედ, გულსაკლავად ატირდა.

თამარმა რძლის დამშვიდება სცადა, თუმცა თავადაც დასამშვიდებელი იყო და მხრებზე წელანდებურად მოეხვია.

— ჩუ! რა სიტყვები გახსენდება ხოლმე, გენაცვალე, ვისი, რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

— ყველას... ყველას ამოვჟლეტ, ვინც ჩემ ჭკუაზე არ გაივლის და სამეფოს გაერთიანება-განმტკიცებაში ხელს შემიშლისო, — სლუკუნს ამოაყოლა გულამომჯდარმა ახალგაზრდა დედოფალმა. — ისე მოვიქცევი, როგორც საქართველოს დიდი მეფე გიორგი ბრწყინვალე მოიქცაო.

თამარი გაშრა, ერთ წერტილზე მიშტერებული თვალები საცრისოდენა გაუხდა. ეს რა ესმოდა, ეს რა დოლაბი ტრიალებდა თურმე მის თავზე...

— ჯვარი აქაურობას! — წაილაპარაკა მან და რძალს, როგორც მომაკვდინებელი შხამით სავსე არსებას, ხელი შეუშვა. — მე უბედურს კი მეგონა, რომ ბაბუასთან წაკინკლავება ორივეს სიფიცხის ბრალი იყო. მეგონა, წყენა გაივლიდა...

თინათი გამოერკვა, კითხვა დააპირა, რომელ წაკინკლავებაზე ბრძანებთო, მაგრამ სწორედ ამ დროს ფრთხილი კაკუნი მოისმა და რძალმაც და დედამთილმაც კარს შეხედეს. კარი ნელა, ჭიკავ-ჭიკავით გაიღო და ოთახში თავისებურად პირმოქურუშებული ხვაშაქი შემოვიდა. უხეში მამაკაცური ხელებით მან სინი ფეხებგამოღუნულ ნატიფ ტაბაკზე ჩამოდგა და ნაგვიანევი ვახშმის გასაშლელად სუფრის ვერცხლეულის გადმოლაგება დაიწყო. დიდი დედოფალი წამოდგა. იგი ერთხანს კიდევ მდუმარედ იდგა და კოპებშეკრული

რაღაც თავის საფიქრალს ფიქრობდა, შემდეგ კი წელზე ჩამოცურებული გრძელფოჩებიანი შავი შალი ბეჭებზე წამოისხა და ისე გავიდა ოთახიდან, საგონებელში ჩავარდნილი ფეხმძიმე რძლისათვის ღამე მშვიდობისაც არ უსურვებია.

## IX

დიდი დედოფლის ეჭვი თუ საიდანღაც მიღებული ცნობა, რომ მეფე და ოტია დადიანის მიერ წარმოგზავნილი კაცო ჩიჩუა ამ ღამეს ერთად იყვნენ, უსაფუძვლო როდი გამოდგა. გოლაფაშა წავიდა თუ არა და შემდეგ დედოფლები, მეფის მამიდები, ბატონიშვილები და სიძეებიც გაიკრიფნენ გელათიდან, სოლომონმა თავის დაახლოებულ პირთ ისე მოაჩვენა, თითქოს მართლა ცუცხვათს აპირებდა წასვლას საგანგებოდ დაწინაურებულ ქაიხოსრო აგიაშვილთან, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა, ყველა უკვე წასულია და აქ ჩვენს მეტი აღარავინ დარჩაო, ხუთიოდე კაცისაგან შემდგარი მცირე ამალა იახლა და ზემო დიმისაკენ გასწია. იქ, ჩხეიძისეულ ძველ სასახლეში, კაცო ჩიჩუა იდგა. კაცოს ოდიშის ბატონის საიდუმლო წიგნი ჰქონდა გადმოსაცემი მეფისათვის. ეს სოლომონს თამაზა მესხის პირით აუწყა და დაუყოვნებელი შეხვედრის ადგილის დათქმაც სთხოვა. დადიანის მოციქულთან საიდუმლო შეხვედრა რომ არ გახმაურებულიყო და მეფის ფარულ და აშკარა მოქიშპეებს ძაღლის ყბა არ გამოებათ, შეხვედრის მოსაწყობად მყუდრო და უშიშარი ადგილი უნდა შეერჩიათ. ზედმეტი დაეჭვების თავიდან ასაშორებლად ყველა სხვა ადგილს მეფემ ისევ ჩხეიძისეული სასახლე ამჯობინა, სტუმარი წინ გაიძღოლა და ცუცხვათში წასვლის მაგიერ გეზი თვითონაც ზედა დიმისაკენ აიღო. მეფე ვარაუდობდა, რომ ჩიჩუასთან საუბარი დიდხანს არ გასტანდა და აქედან დროით წასული ვარციხის სასახლეშიაც დროით დაბრუნდებოდა. განზრახვის აღსრულებას ბნელმა ღამემაც შეუწყო ხელი. ღამის წყვდიადში ცხენები ალალბედზე მიაბიჯებდნენ...

კაცო ჩიჩუა მეფეს ისე დაუხვდა, როგორც ნამდვილ მასპინძელს შეჰფერის, თავისი მხლებელი აზნაურებითურთ სოლომონს ჭიშკართან მოეგება და პალატში, აღუღუნებული ბუხრის პირას, ჭარხლის მწნილით, ჭყინტი ყველით, ნაკვერცხლებზე შებრაწული მეგრული სულგუნით, მწვანილით და სველი დოქით დამშვენებული სახელდახელო სუფრაც დაახვედრა.

მეფე ალექსანდრეს შესანდობარი ფეხზე შესვეს. სოლომონი არ დამჯდარა, ნამეტანი მეჩქარებაო, და მაშინვე გაჰყვა მასპინძელს, რომელმაც ის პალატის ერთ პატარა ოთახში შეიყვანა. ცეცხლი ამ ოთახშიაც ენთო, მის პირდაპირ კი ორი საკარცხული იდგა. აქ, ეტყობა, თვით ჩიჩუა ათევდა ღამეს. ზღურბლს გადააბიჯეს თუ არა, ოთახიდან სწრაფად გავიდა მეგრული ჩაბალახით თავწაკრული ორი ახალგაზრდა მსახური და სინესტისაგან დამძიმებული კარი ფრთხილად გაიხურა. ჩიჩუა აფუსფუსდა, თითქოს მართლაც თავის საკუთარ ჭერქვეშ ყოფილიყოს, ძირნაყარი შეშის რამდენიმე ნაპობი, რომელთაც ცეცხლი ხეირიანად არ ეკიდებოდა, ცერად ააყუდა ბუხრის უკანა კედელზე, შემდეგ ნაკვერცხლებს მარჯვედ შეუჩიჩხინა და წინ გამოშალა. ცეცხლი ბრიალით და ტკაცუნ-ტკაცუნით მოედო მხრჩოლავ ნაპობებს და გამხიარულებულმა შავმა ბუხარმა გარეთ გამოსული კვამლიც უმალ შეისრუტა.

მეფე საკარცხულში მოეწყო, ორად მოკეცილი მათრახი ნიდაყქვეშ ამოიდო და ოდიშის მთავარი ზრდილობის გულისათვის მოიკითხა. მეორე საკარცხული, ჩიჩუას რომ თავისთვის მოემზადებინა, ჯერ ისევ ცარიელი იყო. კაცო წელში ოდნავ მოხრილი იდგა და ელოდა, ან ახლა დამრთავს მეფე დაჯდომის ნებას, ან ახლაო, მაგრამ როცა შეატყო, სოლომონი ამ წყალობის გალე-

ბას არ აპირებდა, წყენა გულში ჩაიხვია, უბიდან სათუთად შეფუთული წიგნი ამოიღო, ნახევრად ზურგშექცეულ მეფეს კრძალვით მიართვა და შესამჩნევ ოდიშურ კილოზე უთხრა:

— მოხუცდა ჩვენი ბატონი ოტია, დიდებულო მეფევ, ძველებურად ვეღარც მუხლი უჭრის და ვეღარც თვალი.

სოლომონს გულში გაეღიმა. ამით ვითომ რის თქმა სწადდა ამ ქლესას? ოტია დადიანი უკვე მიხრწნილი მოხუცებულია და მეფეს მისი შიში აღარ უნდა ჰქონდეს? რაღაც არა ჰგავს! ოტია, მართალია, მოხუცდა, ბრძოლის ველზე გასვლა და ჯარის გაძღოლა უჭირს, მაგრამ შენ ჯარი მომეცი და წინამძღოლი ყოველთვის გამოჩნდება. მგელივით ვაჟკაცი შვილი, კაცია, გვერდში არ უდგას? დადიანობას რომ მიიღებს და თავზე ხელს მოისვამს, ვინ იცის, გაუმაძღარი მამამისი სანატრელიც კი გაუხადოს ყველას!

ჩიჩუამ ოტიას მიერ გამოტანებული წიგნის შინაარსი კარგად იცოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს მოთმინება არა ჰყოფნიდა, ბატონის მონაწერ ამბავს თვით მეფის პირით როდის გაიგებდა. გაგება კი არც ისე ძნელი იქნებოდა. მეფეს ხომ პასუხი უნდა გაეცა, დადიანთან უპასუხოდ ვერ გაუშვებდა. ოდიშის მთავრის დესპანს ფიქრადაც არ მოსვლია, წიგნის ასე ნაგვიანევად გადმოცემის მიზეზი გაემხილა. ამისა არც დრო იყო და არც სურვილი. არც იმას დაფქვავდა, რასაკვირველია, ახალუხის უბეში სხვა საიდუმლო წიგნებიც მაქვს ჩაკერებულიო. ღმერთი მოეხმარა, მეფე ახალგაზრდა, გამოუცდელი და მიმნდობი იყო. სოლომონს რომ ოდნავი, სულ ოდნავი სიფხიზლე გამოეჩინა და ფიცხელი ბრძანება გაეცა, ეს ვაჟბატონი ჩემ თვალწინ გაჩხრიკეთო, ძმები ნაფიჩვაძეები ირველი დაძახებისთანავე შემოცვივდებოდნენ, კაცო ჩიჩუას თვალის დახამხამებაში გაატიტვლებდნენ და ის სახრჩობელას ვერ ასცდებოდა.

წიგნები, ჩიჩუას რომ უბესა და გულ-მუცელს უწვავდნენ, შინაარსითა და დანიშნულებით ერთმანეთს იმეორებდნენ, ოღონდ თითოეული მათგანი სხვადასხვა პირს უნდა გადასცემოდა. თუ ვინიცობაა, საქმე ისე დატრიალდებოდა, რომ ოსმალები ტახტს სოლომონს კი არა, რომელიმე სხვა ბატონიშვილს მიაკუთვნებდნენ, ჩხეიძისეული სასახლის ამ განმარტოებულ ოთახში დღეს სწორედ ის ბატონიშვილი, აწ უკვე იმერთა მეფე, ამოჰყოფდა თავს და არა მაინცდამაინც ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ჩახლართულ საგარეო ურთიერთობათა მორევში ცურვას დაბადებითვე შეჩვეული ოტია დადიანი ყველა მოსალოდნელ შესაძლებლობას ითვალისწინებდა და შესაფერი პასუხებიც მოემზადებინა...

სოლომონმა წიგნი თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა, დადიანის დაკლაკნილ ხელრთვას და ბეჭდის წარწერას — „მიჭირავს სვანი და ზღვანი შავნი, ოდიშლეჩხუმ მპყრობელ ვარ“ — ანგარიშმიუცემლად დააკვირდა და თავი უცებ აიღო. ის ჯერ გაღვივებულ ცეცხლს უყურებდა ბუხარში, მერე წიგნი ორივე ხელში მოჭმუჭნა და უკან მოიხედა.

ჩიჩუას ფერი ეცვალა. ახალგაზრდა მეფე უსაზღვროდ განრისხებული ჩანდა, განრისხება მერე უნდა გენახა, თუ მართლა გაჩხრეკდნენ და სხვა საიდუმლო წიგნებსაც უპოვნიდნენ.

„რაღა ეშმაკისათვის შევინახე, — შიშისაგან კრიჭაშეკრულ ჩიჩუას ეს სიტყვები კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა და ცოტაღა დააკლდა, პატიების გამოსათხოვნად მეფის წინაშე მუხლი არ მოიყარა. — სანამ დრო იყო, ცეცხლში ვერ შევყარე ყველა?“ კაცო გაჩენის დღესა და საათს იწყევლიდა, რომ ოტია დადიანს ამ ძნელი დავალების პირნათლად შესრულება აღუთქვა. ჭკუათმყოფელი კაცი, ისიც თავისი ნებით, ამ გახურებულ თორნეში ჩავარდებოდა? მაგრამ ოტიას ურჩობაც რომ შეუძლებელი იყო? ხეირს რომ არც

თავისი ბატონის გადაკიდება დააყრიდა?

სოლომონს ენა ჩავარდნოდა, სულს ძლივს იბრუნებდა. ის ყველაფერს მოელოდა ცალი ფეხით სამარეში ჩამდგარი ოტია დადიანისაგან, ოღონდ იმას არა, რაც მისი ხელით შედგენილ წიგნში შავით თეთრზე ეწერა. მეფეს იმგვარი რამ ჰკადრეს, იმგვარი ბილწი რამ გაუბედეს, ხმამაღლა თქმაც კი დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო. მეფის შეუვალ ღირსებას ვინღა ჩიოდა! სოლომონს, როგორც ადამიანს და მამაკაცს, დასცინეს, ულვაში გაპარსეს, კაცობის ქუდი მოხადეს, მასხარად აიგდეს, შეულახეს ახალგაზრდობა, თავმოყვარეობა, შეუგინეს ამ ქვეყნად ყველაზე წმიდა და ხელშეუხებელი...

კაცო ჩიჩუამ მეფის წუთიერი შეცბუნებით ისარგებლა, ხაფანგიდან თავის დაძვრენის გეგმა სასწრაფოდ შეადგინა და სოლომონს შეფარული ნიშნის მოგებით მიმართა, რათა ამით თავისი შიში დაეფარა:

— რას მიბრძანებთ, დიდო ბატონო?

სოლომონმა პასუხი არ გასცა, ადგა, წიგნი საკარცხულზე დააგდო და ტაში შემოჰკრა. ოთახში მეგრული ჩაბალახით თავწაკრული ბიჭები შემოცვივდნენ, ამათ ზურგსუკან კი ტყის კაცივით თავ-პირგაბანჯგვლული დათუნა ნაფიჩვაძე გამოჩნდა. ჩიჩუას მსახურებს მეფემ ხელი აუქნია, თქვენ არ დამიძახნიხართო და კარზე უჩვენა.

— მიბრძანდით, თავადო, გარეთ დამელოდეთ, — შემდეგ შიშისაგან სულგამძვრალ, ყვირილის ასატეხად მომზადებულ ჩიჩუასაც მიმართა და როგორც კი სამივე ოდიშარი ოთახიდან გასული დაიგულა, ძიძიშვილს მიუბრუნდა. — დათუნა, ამ ვაჟბატონებზე თვალი გეჭიროთ.

— ბევრი არიან, სოლომონ, დავაკავებთ?

— ვაი თქვენს ტყავს, თუ სადმე გაგექცნენ! — მეფემ ხმას აუწია და სოხანეს ფეხი დაჰკრა.

— ბატონი ბრძანდები, — მორჩილად შეესიტყვა ტყის კაცი.

— ჩემი ძმები და გიორგი წულუკიძე მანდ არიან?

— ახლავე შემოვიყვან, ბატონო.

დათუნა ნაფიჩვაძე ისევე ერთბაშად გაჰქრა, როგორც გამოჩნდა, ორიოდე წუთის შემდეგ კი მეფის ბრძანებისამებრ ოთახში ახალგაზრდა ბატონიშვილები — გენათელი მიტროპოლიტი იოსები და სოლომონის ნაბოლარა ძმა არჩილი შემოვიდნენ. ბატონიშვილებს მორიდებულად შემოჰყვა თმაშეჭაღარავებული დარბაისელი გიორგი წულუკიძე, მეფის აღმზრდელი, კართანვე შეჩერდა და გულხელი დაიკრო. ერთხანს სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ცეცხლი ტკაცუნებდა ბუხარში. მეფე გათვალულივით იდგა იმავე ადგილზე, სადაც დათუნა ნაფიჩვაძემ დასტოვა და ხმა ვეღარ ამოეღო.

— რა ამბავია, სოლომონ? — მყუდროება იოსებმა დაარღვია. ამ სანდომიანი, საშუალო ტანის თუ საშუალოზე ოდნავ მაღალი შავგვრემანი ახალგაზრდა კაცის სახე მშვიდი და აუმღვრეველი იყო. მისი გონიერი წყნარი თვალები და მაღალი თეთრი შუბლი აზრის გამალებულ მუშაობას მოწმობდნენ და პირველი შეხედვისთანავე ყოველი მნახველის გულში აუხსნელ კრძალვასა და მოწიწებას ჰბადებდნენ. ლიხთიმერეთის ყველაზე ახალგაზრდა მიტროპოლიტი თავის ასაკზე გაცილებით უფროსი და ცხოვრებაგამოვლილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სიცოცხლის უპირველეს მიზნად მეფე ალექსანდრეს შუათანა ვაჟს სიყმაწვილიდანვე ღვთისმსახურება აერჩია, მაგრამ სულითა და ხორცით ეკლესიის მსახურს არც ის ამბავი ავიწყდებოდა, რომ მეფის ჩამომავალი იყო და, როგორც ბატონიშვილს, მდაბიო წარმოშობის მღვდელმთავრებისაგან განსხვავებული ვალდებულებები აწვა კისერზე. კაცობაში ნაადრევად შესული იოსები მუდამ მამობრივი მფარველობითა და ზრუნვით ეპყრობოდა ძმებში ყველაზე

უმცროსს, ჯერ კიდევ ბავშვს, არჩილს, ხოლო უფროს ძმასთან, სოლომონთან, იმ გაუმხელელ სიახლოვესა და ჩუმ თაყვანისცემას ინარჩუნებდა, უფროს დედმამიშვილებს, ოჯახის ხვალინდელ დღეზე პასუხისმგებელ უფროს ძმებს შორის ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომ დამყარდება ხოლმე. იოსები არც დღეს ღალატობდა თავის ჩვეულებას და შეუშფოთებელი ხმის კილოთი და სახის მშვიდი გამომეტყველებით გვირგვინოსან ძმას სულის მხნეობას უნერგავდა.

— ოტია დადიანმა წიგნი გამომიგზავნა. აგერ არის! — არა იოსების პასუხად, არამედ ისე, თავის მხრივ თქვა სოლომონმა და საკარცხულზე დაგდებულ ფურცლებს დახედა. — მოთხოვნას მიყენებს...

იოსებსაც, არჩილსაც და გიორგი წულუკიძესაც თვალი საკარცხულისაკენ გაექცათ, რომელზედაც თეთრად ქათქათებდა დადიანის წიგნის დაჭმუჭნული ფურცლები, მაგრამ ფეხი არც ერთს არ მოუცვლია, სამივე ისევ სოლომონს მისჩერებოდა.

— რას მიყურებთ? დაუჯერებელი ვთქვი რამე? როგორი იქნება თქვენი პასუხი?

— გააჩნია, რას ითხოვს, — თქვა იოსებმა.

სოლომონმა ძმას თვალი გაუსწორა, ახლაღა მიხვდა, რომ მისი კითხვა უაზრო იყო, რადგან დადიანის წიგნის შინაარსზე კრინტიც არ დაუძრავს და, თითქოს ბოდიშს იხდისო, ახლა უფრო რბილად მიმართა:

— შენ როგორ გგონია, იასე, რა ენდომება?

მიტროპოლიტმა მხრები აიწურა, გულზე ოქროს ძეწკვით ჩამოკიდებული ჯვარი შეისწორა, ერთი დაპირება თავისი ვარაუდის გამოთქმაც კი დააპირა, მაგრამ მალე გადაიფიქრა და ძმას, ცოტა არ იყოს, მკვახედ უპასუხა:

— რას გვამარჩიელებ, ბატონო, თუ თქმა გწადია, გვითხარი!..

— თინათის გაეყარეო... — ეს ორად ორი სიტყვა სოლომონმა ძლივს ამოთქვა და თვალები ცრემლებით აევსო.

იოსები შეკრთა. დადიანის ეს თავხედური შემონათვალი მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

— თინათის გაეყარეო? როგორ თუ გაეყარეო, კაცო?

— როგორც რიგიაო. მერე სიძედ მომეკიდეო, ჩემი ასული მარიამი დაისვი თანამეცხედრედო.

ამის გაგონებაც იყო და აქამდე გაყუჩებული ბატონიშვილი არჩილი, რომელსაც თვალწინ ჯერ ისევ თავლია კუბოში მწოლარე მამა ედგა, საცოდავად მოიბუზა, ტუჩები აუკანკალდა და ღვართქაფად გადმომსკდარი ცრემლები რომ როგორმე დაემალა, სახეზე ხელები მიიფარა. უფროსმა ძმებმა და წულუკიძემ ერთმანეთს შეხედეს და ამათაც ცრემლი მოეძალათ. დადიანის უსინდისო მოთხოვნა სოლომონის ტახტზე ასვლის პირველი სავალალო შედეგი იყო. თინათი, თითქმის მათ თვალწინ გაზრდილი და დაქალებული პატარა თინათი, სამივე ძმას და მეფის ოჯახთან დაახლოებულ პირთ განსხვავებული სინაზით უყვარდათ. იგი სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მოიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მეუღლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან სარეცელს გაიყოფდა, დამ-დამობით ბებია, ოდესღაც საარაკო სილამაზით განთქმული კოჭიბროლა იწვენდა ლოგინში...

— ჭკუაზე შერყეულა წყეული ბერიკაცი, — იოსები თავის მაღალ საეკლესიო წოდებას არ მოერიდა და ღრმა გულისწყრომა ხმამაღლა გამოთქვა. — მეგონა, ახლა მაინც ეზიარა ქრისტეს მცნებას და ჭეშმარიტი მორწმუნის გზაზე შედგა. ეტყობა, მაგის უწმინდურ სისხლს არაფერი დააწყნარებს!.. მერე მაგან წაგახდინა ვაჟკაცი? მოგწერა — შენც მიწერე. აგერ დავჯდეთ და ერთად მოვიფიქროთ საკადრისი პასუხი. რა პასუხს აძლევ?

— მაგის პასუხს მოფიქრება უნდა, ძმაო იასე? ყველაზე უკეთესი და საკა-

დრისი პასუხი ცხელი ტყვია იქნება. შენ რას იზამდი, ჩემ ადგილზე რომ ყოფილიყავი? ღმერთმა ყველას აშოროს... ცხენისწყალს გადავალ და, მამის სულს ვფიცავ, ქვას ქვაზე არ დავტოვებ. არა, ეს რამ აფიქრებინა, კაცო, ეს რანაირად გამიბედა! მაგას მე, ეტყობა, საწყალი მამაჩემი ვგონივარ, ჯვარს რომ აცვა და წუთისოფელი ჯოჯოხეთად უქცია. ნაკუწ-ნაკუწ ავკეპავ და მთელი სამეგრელოს ძაღლებს დავაძღებ მაგისი ბინძური ხორცით. ხედავ, კაცო, რას ბედავს? ხედავ, ეს რა მოეპრიანა? ძელზე გავსვამ, სარზე ჩამოვაცმევ მაგასაც და მაგის ლეკვ კაციასაც, ნელ ცეცხლს შევუკეთებ!..

სოლომონი ბორგავდა, ბრდღვინავდა, ცეცხლმოდებულ გალიაში ჩამწყვდეული ლომივით აწყდებოდა აქეთ-იქით. ისე იყო აღშფოთებული, ხან ეღიმებოდა, ხან ცოფსა ჰყრიდა. აღარ იცოდა, კიდევ რა ეთქვა, რა მოემოქმედა, თავისი გამწარება და სამაგიეროს დაუყოვნებლივ გადახდის სურვილი რა სიტყვებით გამოეხატა.

იოსებსა და გიორგი წულუკიძეს ცოტა დროისა და ძალღონის დახარჯვა როდი მოუხდათ, ვიდრე გაგიჟებამდე მისულ სოლომონს რაღაც უცნაური აღტკინებული მდგომარეობიდან გამოიყვანდნენ და დაამშვიდებდნენ. მეფე დამშვიდებული, რასაკვირველია, არც ახლა იყო, მაგრამ იმდენად კი დაწყნარდა, რომ გონივრული განსჯის უნარი ასე თუ ისე დაუბრუნდა.

გიორგი წულუკიძის ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და ძვალ-რბილში გამჯდარმა ბუნებრივმა სიდინჯემ სამივე ძმაზე, განსაკუთრებით კი თვით სოლომონზე, სასწაულებრივად იმოქმედა. ძველი წიგნების დიდმა მცოდნემ და სამეფოს ერთ-ერთმა უგანათლებულესმა პიროვნებამ, თავადმა გიორგიმ, ძმებს უბრალოდ უთხრა და ადვილადაც დაუმტკიცა, რომ ოტია დადიანის შემონათვალი, შესაძლოა, თავხედურ კილოს კი შეიცავდა, მაგრამ შიგ ვისიმე შეურაცხყოფა და აბუჩად აგდების განზრახვა წამლადაც არ იყო. დადიანს, როგორც წიგნიდან ჩანდა, გულით უნდოდა კეთილმეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა იმერთა ახალგაზრდა მეფესთან და დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, რომელიც არც თვით ოტია დადიანს გამოუგონია და არც მის მამა-პაპას, ერთგულებისა და მომავალი თანადგომის თავდებად მეფის სიძობას ითხოვდა. სოლომონი რომ დაოჯახებული არ ყოფილიყო, ოტია დადიანის ეს გონივრული და მართლაც სახარბიელო წინადადება უყოყმანოდ უნდა მიეღო, მაგრამ რაკი დღეს ამაზე ფიქრიც კი მკრეხელობა და დიდი ცოდვა იქნებოდა, მეფეს ისღა დარჩენოდა, დადიანისათვის მეფური ღირსების შესაფერისი მადლობის წიგნი გაეგზავნა. ამ წიგნში სოლომონს, პირადად თავისი და სამეფო კარის სახელით, გულისტკივილი უნდა გამოეთქვა, რომ გარემოება ნებას არ აძლევს ოდიშის დიდი ბატონის სიძე გახდეს, ვინაიდან ღვთისაგან ბოძებული თანამეცხედრე უკვე გვერდითა ჰყავს...

ძმები ბეჯითი შეგირდებივით უსმენდნენ ბრძენი აღმზრდელისა და ერთგული კარისკაცის თათბირს. გიორგი წულუკიძე ისე ღრმად იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, ისე ღრმად სჯეროდა, რასაც ამბობდა, შეუძლებელი იყო მისი რჩევა ყურად არ გეღო და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის წინ ერთხელ კიდევ არ დაფიქრებულიყავი.

— არჩილისათვის რომ გვეთხოვა დადიანის ქალი? — სიტყვა ჩაურთო იოსებმა და ნამტირალევ უმცროს ძმას შეხედა. არჩილი გაწითლდა, უფროსებს თვალი აარიდა და თავი ჩაღუნა.— იქნება არ გაგვეწბილებინა...

— ჩვენი მხრივ, მე მგონია, არ ღირს მაგ ამბის წამოწყება, — თქვა გიორგი წულუკიძემ. — ვაცალოთ. ოტიამ, შეიძლება, თავად შემოგვთავაზოს. ხუმრობა არ არის. თქვენ, ბატონებო, პატარები ბრძანდებოდით და არც ერთს არ გახსოვთ, რა დღე დაგვაწია მამუკა

ბატონიშვილის, ბატონი ბიძათქვენის, და ოტიას დამოყვრებამ. ოტიამ ბიცოლათქვენ დარეჯანის მოყვანის მეორე წელიწადსავე ატეხა შფოთი, სულკურთხეული ალექსანდრე, მამათქვენი, ტახტიდან გადააგდო და თავისი დის ქმარი გაამეფა. ბევრმა შეირცხვინა მაშინ პირი, ბევრი ორგული და ფარული მტერი აღმოგვაჩნდა. ოტიას ახალციხის ფაშის მოსყიდვა ბლომად კი დაუჯდა, მართალია, მაგრამ გულისნადები მაინც შეისრულა. რა იცი, რომ დღესაც ამ ჭკუაზე არ დადგება და ღვიძლ ძმებს შუა, როგორც მაშინ, შუღლსა და მტრობას არ ჩამოაგდებს? ჩემი აზრი, თუ მკითხავთ, ასეთია: ვაცალოთ, ბატონებო, თუ არჩილის სიძეობას თავად ინდომებს, უარს ვერ ვკადრებთ, თუ არა და...

გიორგი წულუკიძის საფუძვლიანმა ნააზრევმა ამბოხებული ჭაბუკური გულების კორიანტელი ნელ-ნელა დააცხრო. საჭოჭმანო და გამოსაძიებელი თითქმის უკვე აღარაფერი რჩებოდა. ახლა ისღა იყო საჭირო, საწერ-კალამი მოეთხოვათ და ყოველივე, რაც ხოტევის ციხის პატრონმა ბრძანა, ქაღალდზე სიტყვასიტყვით გადაეტანათ. სწორედ ამ დროს ოთხივეს ყურადღება წინა ოთახში უეცრივ ატეხილმა ჩოჩქოლმა მიიპყრო.

„ეს ჩიჩუას ოინებია, — გაიფიქრა სოლომონმა და თვალი წამით გოლა-ფაშას ნაბოძებ ვერცხლისქარქაშიან ხმალს დაადგა. — მიმალვას თუ აპირებს და ბიჭებმა სტაცეს ხელი. ნამუსგარეცხილი! ვნახოთ ერთი, რას გახდება. მაგრამ გვარგია კი ახლა დადიანის მოციქულთან ჩხუბი?“

მეფეს ბევრი აღარ უყოყმანია, თვით დააპირა დარბაზში გასვლა და მოჩხუბრების გაშველება, რომ სინესტისაგან დამძიმებული ცალფა კარი ისევ გაიღო და ოთახში დათუნა ნაფიჩვაძემ შემოალაჯა.

— ვარციხიდან ხალხია მოსული, მეფევ, შენი ნახვა უნდათ. ძალიან სასწრაფო საქმე გვაქვსო.

— ვარციხიდან? — სოლომონს გაუკვირდა და შეშფოთებულმა ოთახში მყოფთ გადახედა. — ვინ უნდა იყოს? ვინ შეატყობინათ, რომ აქ ვართ?

— პაპუნა არი, წერეთელი...

— მარტოა?

— თავისი კაცები ახლავს...

— შემოვიდეს!

დათუნა ნაფიჩვაძემ უკან გაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ზემო მხრის სარდლის — ქაიხოსრო წერეთლის უფროსი ძმა, მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი, პაპუნა, უკვე ოთახში შემოვიდა, ყაბალახი მოიხადა და დამხვდურთ მოწიწებით მიესალმა. სოლომონს მოუთმენლობამ სძლია, ორიოდე ნაბიჯი გადასდგა, მოსულის წინ გაჩნდა, მხრებში ორივე ხელი ჩაავლო და საგრძნობლად აღელვებული თვალებში ჩააჩერდა.

პაპუნა წერეთელმა ძლივს ამოილუღლუღა:

— გლახა მახარობელი ვარ, ბატონო მეფევ, ამისთანა მახარობელს...

სოლომონი გაფითრდა.

— თინათის უჭირს რამე? — ერთ ადგილზე გაქვავებულმა მხოლოდ ამის კითხვა მოისაზრა. — ჩქარა მითხარი, არაფერი დამიმალო!..

— თავს უნდა უშველო, ბატონო. ერთ საათში, შეიძლება უფრო ადრეც, შენი მტრები აქ მოვლენ და აქაურობას აიკლებენ. აქეთ რომ მოვდიოდი, ცხენებზე სხდებოდნენ, სხვები უკვე წასული არიან ბაღდადს, გოლა-ფაშას გაყვნენ...

— ვინ არის ჩემი მტერი? — დაუფიქრებლივ იკითხა სოლომონმა.

— არგვეთის ბატონი, მეფევ. სიკვდილი მერჩია ამის მოხსენებას. რა ვქნა, არ გითხრა — უარესია. თუ ღმერთი გწამთ, ცოტა დავუჩქაროთ, დრო აღარ გვრჩება.

მეფემ შუბლზე შემოიკრა ხელი.

— თინათი სად არის?

— სასახლეში ბრძანდება. ჯერ არაფერი იცის. დრო აღარ იყო. გაგებინება რომ გვეცადა, ჩვენც ხელს გვტაცებდნენ.

— ვერ შეხვედით მერე? ვერ უშველეთ? აქ რა მოგარბენინებდათ?!

— დრო აღარ იყო, მეფევ, — თავი იმართლა წერეთელმა. — ან აქეთ უნდა მოგვეშურებინა ამბის შესატყობინებლად და ან დედოფალს უნდა მივშველებოდით. ჩვენ პირველი ვარჩიეთ...

— რავა ატყობ, ბატონო პაპუნა, ბატონმა ლევანმა დანამდვილებით იცის, რომ აქ ვიმყოფებით? — დინჯად ჩაერია საუბარში აქამდე გაჩუმებული გიორგი წულუკიძე. — გოლა-ფაშას დაუკითხავად და მისი დასტურის მიუღებლად, დავიჯერო, მეფის ხელყოფას გაბედავენ?

— მაგის თავდებად მე რაობით დავდგები, ბატონო გიორგი! — დაუფარავი წყენით მიუგო წერეთელმა. — რაღაი ასეა, გოლა-ფაშას დასტურიც ექნებათ. რა შორს ის არის, ბატონო!

— დათუნა! — დაიძახა მეფემ ისე, რომ არც გიორგი წულუკიძის შეკითხვისა და არც პაპუნა წერეთლის პასუხისათვის ყური არ უგდია. ტყის კაცივით თმა-წვერგაბანჯგვლულმა მეფის ძიძიშვილმა წინ მდგომ თავადებსა და ბატონიშვილებს გვერდი მოხერხებულად აუქცია და თვალის დახამხამებაში სოლომონის წინ გაჩნდა. — ახლავე წადით შენ და ნიკოლოზა. თოფ-დამბაჩები და მარქაფა ცხენი იგულეთ, — მერე უცებ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო: — მოიცა, მეც მოვდივარ!..

— სოლომონ! — ყველასათვის მოულოდნელად შესძახა მიტროპოლიტმა იოსებმა. — რას აპირებ?

ამ კითხვაში მეფის საბოლოო გადაწყვეტილების გაგების სურვილიც იყო და ენით გამოუთქმელი საყვედურიც ქვეყნის ბატონის შეუფერებელი ამჩატების გამო.

— თინათი... — სოლომონმა ენას მოუკიდა. — თინათი უნდა გამოვარიდოთ. მომიკლავენ... მიშველეთ, დათუნა!

— ნუ აჩქარდებით, მეფეო, ჯერ სარწმუნოდ გავვეგო, რა ამბავია ჩვენს თავს, — დარბაისელი წერეთლის ხელახალ განაწყენებას აღარ მოერიდა და თავისებური სიდინჯით შენიშნა გიორგი წულუკიძემ. — თქვენ აქ დარჩით, ჩვენ გეახლებით და რაც გასაკეთებელია, გავაკეთებთ. მეფის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება არ ეგების. ბატონი პაპუნა და მისი ხალხიც ჩვენთან ერთად წამოვა. ვეჭვობ, გოლა-ფაშას ბრძანების გარეშე აქ გათენებამდე ვინმე გაჩნდეს.

ჯერ იოსების შემოძახებამ და შემდეგ მეფის აღმზრდელის უკანასკნელმა სიტყვებმა მათრახივით გაიშხუილეს. სოლომონს მთელი ტანი აეწვა, ქრუაშტელმა დაუარა და სიმწრის ოფლი წურწურით წამოუვიდა. მას ძმის შეკითხვამ და აღმზრდელის სიტყვებმა მოაგონა, ვინც იყო, გაახსენდა, რომ მის იმედად მყოფ ქვეშევრდომებს შორის იმყოფებოდა, რომ კარზე დიდზე დიდი გასაჭირი მოსდგომოდა და სხვათა გასამხნევებლად და გულის გასაკეთებლად თავდაჭერა და საზრიანობა მართებდა. თვალები აუჭრელდა, წაბარბაცდა. ბედად, თავი მალე შეიმაგრა და გულში ღმერთს მადლობა შესწირა, რომ მისი ეს წამიერი სისუსტე ოთახში მყოფთათვის შეუმჩნეველი დარჩა. მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, პაპუნა წერეთელსა და გიორგი წულუკიძეს მინდობოდა. არც ერთისა და არც მეორის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, გამოცდილება, სიბრძნე და ათას ომსა და შეტაკებაში გამომუშავებული მხედრული შემართება კი არც ერთს არ აკლდა. ახლა სხვა საშველი არ იყო. თვით მას, სოლომონს, არაფერი შეეძლო...

— კიდევ? კიდევ რა მოხდა იქ? — მეფემ შეატყო, ჯერ პაპუნას ყველაფერი არ ეთქვა და მოუთმენლად ჰკითხა ეს.

—გლახა ამბავი, ბატონო, ენა ვერ იტყვის... ყველა თქვენი მომხრე თავადი და აზნაური ბაბუათქვენმა ბატონმა ლევანმა მანდატურებს დააჭერინა და დილეგში შეყარა.

—დააჭერინა? დილეგში შეყარა? როგორ? რანაირად? ვინ მისცა ამის ნება?

პაპუნა წერეთელმა მხრები აიჩეჩა და თავი გადააქნია, რაც იმას მოასწავებდა,

რომ ლაგამაწყვეტილი არგვეთის ბატონი არავის ნებას და კანონიერ უფლებას არ დაგიდევდა. მას ისევე დაუბრკოლებლივ და წარბშეუხრელად ძალუძდა შეეპყრო მეფეც, როგორც ყველა მისი მომხრე თავადი და აზნაური შეიპყრო.

— როდის მოხდა ეგ ამბავი? ვინ და ვინ არიან დაჭერილები? — სოლომონს ხელახლა დარია ხელი წრეს გადასულმა აღელვებამ, ყელში გუნდა მოაწვა და კანკალი დააწყებინა.

— ორი საათი არც კი იქნება გასული, მეფევ ბატონო, ერთი სიტყვით, როგორც კი ბატონი ელჩები, იასე ქსნის ერისთავი და კონსტანტინე ჩოლოყაშვილი მოსასვენებლად გაიყვანეს...

— ვინ და ვინ არიან?

— ბატონი ბერი ლორთქიფანიძე, ზურაბ მიქელაძე, სახლთუხუცესი, თქვენი სახლიკაცი ბერი, ბატონო გიორგი...

— სად ყავთ შეპყრობილები, ემუქრებათ რამე?

— სასახლის პალატში, ბატონო მეფევ, სადაც შარშანდელი ჩალა და ფუჩეჩი ყრია, დამუქრებისა კი რა მოგახსენო, სხვის ხელში ჩავარდნილი კაცის ბედი...

— ვინ ქნა ეგ საქმე?

— განკარგულებებს ბაბუათქვენი ლევან აბაშიძე იძლეოდა, მეთოფეებიც მარგველები იყვნენ, ერთ-ორ რაჭველსაც მოვკარი თვალი...

— ერისთავი და გურიელი არ ჩანან? აწ დედაჩემი და ბიძაჩემები რას აკეთებდნენ?

— ცოდვას ვერ ვიტყვი, დიდი დედოფალი და ბატონიშვილები საქმეში არ გარეულან. ერისთავი და გურიელი თხმელისციხეში ბრძანდებიან გოლა-ფაშასთან. გურიელმა თანამეცხედრე ადრევე გაისტუმრა, ცოლისდას და ქვისლს, მერაბ თავდგირიძეს, გაატანა. ლევანმა სასახლე დაიჭირა. წუთ-წუთზე კიკიან-ფაშას ჯარს ელის ქუთაისის ციხიდან. იქაც კაცები ყავთ გაგზავნილი. ეს ყველა თამაზა მესხმა შემატყობინა და უშიშრად გარეთ გამოყვანაც მომიხერხა.

— რატომ ისიც არ შეუპყრიათ?

— ვერ გეტყვი, მეფევ, შეთქმულებს, ალბათ, მომხრედ აჩვენებს თავს, ისე კი თქვენი ერთგულია.

— რა გზას დავადგეთ ახლა? — მეფემ მეტი გამოკითხვა საჭიროდ აღარ ჩასთვალა და ხმაგაკმენდილ ძმებსა და გიორგი წულუკიძეს მოუბრუნდა.

— ბატონი გიორგი, ეტყობა, სხვა აზრის ბრძანდება, მაგრამ, თუ მე მკითხავთ, აქ ერთი წუთი გაჩერებაც აღარ შეიძლება, — არ დაელოდა, ვიდრე მეფეს პასუხს გასცემდნენ და თქვა ისევ პაპუნა წერეთელმა. — ვაითუ კიდევაც დავაგვიანეთ და ალყა უკვე შემოგვარტყეს. შეთქმულებმა, ჩემი ფიქრით, შენი აქ ყოფნა, ბატონო მეფევ, დანამდვილებით არ იციან, უფრო ცუცხვათში ჰგონიხარ, ქაიხოსრო აგიაშვილისას. აქ დადიანის ხალხი ეგულებათ და უნდათ მძევლებად დაიტოვონ.

გიორგი წულუკიძემ ხელები მოიფშვნიტა.

— ვახსენოთ ღმერთი! სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დროებით მაინც გავეცალოთ აქაურობას, შემდეგ, თუ გაჭირდა, რაჭას გადავალთ...

— თინათი? — წამოცდა არჩილ ბატონიშვილს და ისევ გაწითლდა.

საყვარელი რძლის განსაცდელში ყოფნით შეწუხებულ ჭაბუკს გიორგიმ ხელი ჩამოსდო მხარზე და სოლომონსა და იოსებს მიმართა:

— თინათის წამოსაყვანად ბიჭები გავგზავნოთ. იქნებ შენც წაჰყვე, იასე. ეცადე, საქმე მშვიდობიანად გაარიგო. თუ ვერა გავაწყვეთ რა, მერე ძალას ვიხმართ. თანახმა ბრძანდებით? — გიორგი მეფეს მიუბრუნდა და მოწიწებით ჰკითხა. — აბა, ნუღარ ვაგვიანებთ ახლა, ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

— წადი, იასე, დათუნა და ნიკოლოზა წამოგყვებიან, — უთხრა ძმას სოლომონმა და მკლავში ხელი ისე სათუთად გამოსდო, თითქოს ეშინია, არ მოსტეხოსო. — ათიოდე მარჯვე ბიჭი სხვაც გაიყოლე. შენ მრჩები ჩემდა იმედად, ძმაო, თუ გამიტან, გამიტან, თუ არა და შენ

ბიბლიოთეკა

იცოდე და შენმა სვინდისმა. არჩილი დარჩეს. ჰა, დარჩები, აჩიკო?

უმცროსმა ბატონიშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის იყო საჭირო მისი აქ დარჩენა. ვერ გაბედა თქმა, დედასთან წავალო, მეფეს თავი დაუქნია, გულაჩუყებული, თან მამაკაცებს სახეს არიდებდა.

— თქვენც თქვენი გზით წაბრძანდით, ბატონო პაპუნა, — მეფემ ახლა წერეთელს მიმართა. — როგორც კი დამჭირდებით, ორივე ძმას, ქაიხოსროს და თქვენ, ჩემი კაცების პირით შეგატყობინებთ, ახლა კი რაც უფრო ცოტა ხალხს ვიყოლიებ ამალაში, საქმისათვის, მე მგონი, უმჯობესი იქნება. საწერეთლოს თვალის ჩინივით მოუფრთხილდით. თავს ნუ დაიზოგავთ: რაჭის ერისთავი არც ისე ძლიერია. ჩვენს ერთგულებას ყოვლის მხილველი ღმერთი დაგიფასებთ და ჩვენც, ვიდრე სული გვიდგია, მუდამ თქვენი მწყალობელი და მფარველი ვიქნებით. დედაჩემს, ძმაო იასე, — სოლომონს ხმა აუკანკალდა, წამწამზე ცრემლი დაეკიდა. — ჩვენს მშობელ დედას, დიდი მადლობა მოახსენე, დედა-შვილობის მადლმა და მაღალმა ღმერთმა მოგკითხოს-თქვა...

მეფის უკანასკნელ სიტყვებს ველარავინ გაუძლო. სოლომონს თვითონაც სუნთქვა შეუგუბდა და უხმოდ ატირდა. პაპუნასაც, გიორგი წულუკიძესაც, ტყისკაც დათუნა ნაფიჩვაძესა და ბატონიშვილებსაც ცრემლები უბრწყინავდათ თვალებში.

— ბაბუასთან და საყვარელ ბიძებთან რაღა დაგაბარო, ძმაო, იმათ თავათ მოველაპარაკები, როცა ვნახავ... ახლა კი აღარ გვეგვიანება! — უფრო საკუთარი თავის, ვიდრე სხვების გასამხნევებლად შესძახა მეფემ და ქუთუთოდან გადმოგორებული მსხვილი კურცხალი იმ ხელის ზურგით შეიხოცა, რომელშიაც ორად მოკეცილი მათრახი ეკავა.— დათუნა!

— აგერ ვარ, ბატონო!

— შენი ტირილი გვაკლია სწორედ! რა გატირებს, ბიჭო?

— არა, ბატონო...

— მე, არჩილი და ბატონი გიორგი საჭიროეში მოგიცდით, თქვენსა. ძიძას სახარჯო ღვინო ხომ არ გამოლევია?

— სახარჯო კი არა... — ნაფიჩვაძე გაიღრიჭა, თან წითელი ჩვრით სველ თვალებს იმშრალებდა. — თქვენისთანა სტუმრებს სახარჯო ღვინოზე რავა დააჯენებს!

— თუ ძალა არ დაგადგეთ, ბიჭო, იარაღს ნუ იხმართ. თინათის წამოიყვანთ და, რა დროც არ უნდა იქნეს, დაგვეწევით.

— ბატონი ბრძანდები.

— აბა, დაგვლოცე, მეუფეო! — მეფემ მკლავები გაშალა და ელდისაგან ჯაგარაშლილ შუათანა ძმას გადაეხვია. ბოლოს პაპუნა წერეთელიც გადაჰკოცნა. წამსვლელ-დამრჩენები რომ ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, მიტროპოლიტმა სამჯერ გადასახა ჯვარი თითოეულს, გზა დაულოცა, იესო მაცხოვარს მხურვალედ შეევედრა, ისევ კეთილად და სალსალამათად შეგვახვედრეო, და კარი ყველაზე უკანასკნელმა გაიარა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*გივი ძნელაძე*

## ქვეყანა მაინც მშვენიერია!

მე რომ არ გითხრათ, —
თქვენც კარგად იცით:
ხანდახან,
ზოგჯერ
ძმა ძმის მტერია;
მაგრამ ქვეყანა მშვენიერია,
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

ზოგისთვის
ზოგჯერ
თეთრია ღამეც,
ზოგისთვის მზეც კი ყორნისფერია,
სულს ზოგჯერ ცხელი შანთით დაღავენ, —
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

ზოგჯერ ღრუბლები მოწმენდილ ცაზე
ჯოჯოებივით შეირევიან...
დაგლეწავს,
დაგშლის ბოღმა და ბრაზი, —
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

ერთი მითხარით: ბედი ბოლომდე
დაუგმობელი ვის დარჩენია!..
ბოლო არ ჰქონდეს თუნდაც მოლოდინს, —
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

დაუთმობელი ცა გვხურავს თავზე, —
ლაჟვარდს სუნთქვის და ფეთქვის ფერი აქვს!..
ვიღაც ხელს გვიქნევს,
ცუდ ნიშანს გვაძლევს, —
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ იცოხნება შავი სიკვდილი,
მუდრეგი — მაინც სულ მშიერია,
სიცოცხლე მაინც თეთრად გვიცინის, —
ქვეყანა მაინც მშვენიერია!..

ბევრი მოცელა ბედის ტრიალმა, —
წამიც და... იქნებ შენი ჯერია!..
რაც გინდა თქვი და...
ეს სატიალე
სიცოცხლე მაინც მშვენიერია!..

## მადლიერება

სხვა დროს სხვაგვარად ვიტყოდი, —
ასე უნდა ვთქვა ამჯერად:
ვისაც არ სჯერა სიკვდილი —
მას დაბადება არ სჯერა!..

სულის ცეცხლზე დუღს
ხანდახან,
ცრემლი — მომდგარი თვალებზე...
ქვეყნად კაცი კაცს ისე ცვლის, —
როგორც მზეს — მთვარე, მთვარეს — მზე.

რა გვეთქმის:
უნდა ვადიდოთ
გამჩენი ღმერთი მაღალი,
რადგან
დღე თუ არ დაღამდა —
მზე ვერ ამოვა ახალი!

* * *

დიდი-დიდი, — რომ გავიდა
იმდენი დრო კიდევ გავა, —
და... ავიკრავ გუდა-ნაბადს,
მეც შორეულ გზაზე წავალ...
წინ — იარე სანამ გნებავს,
მაგრამ უკან — უკაცრავად!..

სულ სხვა ზეცა!
სულ სხვა მიწა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა წყალი!
სულ სხვა ჰავა!..

ეჰ... არ ვიცი,
როგორ გავძლებ
აქაობის
უნახავად!..

. . . . . . . .

წინ — იარე,
სანამ გნებავს...
უკან? —
უკან — უკაცრავად!..

* * *

ძინავს,
ისვენებს
დაღლილი
მთვარე და ვარსკვლავთ კრებული...

დილას
ცის მკერდზე
ბალღივით
მზეი ჰყავს ატატებული.

დაუთმობელი
ცა გვხურავს,
ვისგან და სად არ ქებული, —
წინაპრის სულის ნათელით
ანთებულ-ალამპრებული;
გაქვს ერთხელ ხილვით
ერთი წლის
სიცოცხლე განაღდებული:
მორჩები,
სასიკვდილოდაც
რომ იყო გადადებული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ რჩხილაძე

# ძია გიორგა

მგზავრებით სავსე წყნეთის ავტობუსი თოვლზე მოცურდა და ხრამში გადაიჩეხა. სამი კაცი იქვე დაიღუპა, ერთიც ამოყვანის დროს გარდაიცვალა.

ეს ამბავი ჩემთან სამსახურში ჭორმართლად მოიტანეს, მაგრამ მე კი ელდა მეცა. წყნეთის ავტობუსში წყნეთელების გარდა აბა სხვა ვინ იქნებოდა-მეთქი და უმალ ძია გიორგა გამახსენდა. ძია გიორგა არც პაპაა ჩემი და არც ნათელ-მირონი; ორმოცი წელია მაწონს მიზიდავს — ეგ არი და ეგ. ღერეფანში უხმოდ შემოდის, თუ გავეგებე ხო კარგი, არა და ორ ქილა მაწონს, ლიტრა რძეს დატოვებს და წავა. ისეც ყოფილა — რამდენიმე თვის ვალი ერთად აუღია. ერთხელ იუარა კიდეც — რა მოხდა, ოჯახში ხან არი და ხან არა, ეგ ფული არც დამანგრევს და არც ამაშენებს, თქვენ კარგა იყავითო.

ძია გიორგაზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ორი ვაჟი ჰყავს, ორივე ცალ-ცალკე დაბინავებული, რომ ისინი მემაწვნეობას თაკილობენ და სხვა რაღაც საქმეში დგანან. რა გვარისაა ძია გიორგა არც ეს ვიცი. შენ მაწონი თქვი თორემ მემაწვნეს რასა კითხულობ, თუმცა ახლა, წყნეთის გზაზე ხალხის დაღუპვის ამბავმა ცოტა არ იყოს შემაფიქრიანა. შინ დავრეკე და იქიდანაც ცეცხლი შემინთეს, ძია გიორგა მესამე დღეა არ გამოჩენილაო.

წერა ყოფილა. აკი თავისი დღე და მოსწრება ამ გზას სთელავდა და მგონი ამანვე გადაიყოლა. ეგ არი, რა უკვე მოვკალი კიდეც, ძია გიორგა კი, ალბათ, ახლა ბუხართან ზის და წითელ ღვინოს შეექცევა, სიმართლესთან ეგ უფრო ახლოა.

საქმეს გული მაინც ვერ დავუდე, ეჭვის ჭია შემიცოცდა და ღრღნა დამიწყო. მერე შინ, მოგვიანებით, თავს გავუბრაზდი: მთელი ეს ქვეყანა ძია გიორგას მაწონზე ჰკიდია თუ რა? ვითომ ვინც იმის მაწონს არა სჭამს, ერთბაშად ჰლექს ეჭმევინება რაღა!

დილით სამსახურში შევატყობინე შემაგვიანდება-მეთქი და ბაგებისკენ გზას გავუდექი. აქ ზამთარი უფრო ზამთრობდა. მუხლამდე თოვლის შემყურეს ერთთავად მობუზული ფირუზა ხარაზის წუწუნი გამახსენდა: წელს ციმბირი გვესტუმრა და ჩვენი სტუმართმოყვარეობა ისე მოეწონა აქედან ფეხს ალარ მოიცვლისო.

გაჭიანურებული ზამთარი გუდანაბადის აკვრას მართლა არ აპირებდა.

ვაკის სასაფლაოსთან, მოფარებულში ვიღაცეებს ცეცხლი დაენთოთ და თბებოდნენ. ერთ-ერთი, სათვალეებიანი დისპეტჩერი გამოდგა: დღეს წყნეთ-

ში ავტობუსი არ იქნება, მსხვერპლისა ეშინიათ, აგვიკრძალესო. მერე შეწუხება შემატყო და მირჩია, კანტიკუნტად ფეხითაც დადიან, თუ შეგიძლია გაუყევი, ერთ საათში მაღლა ხარ, არაფერი მოგივაო.

ამას კი აღარ მოველოდი. თანაც გული იმაზე მწყდება შემაგვიანდება მეთქი სამსახურში რომ შევატყობინე და თხოვნა უკვე თხოვნად შემრჩა. მოკლედ აუტკივარი თავი ავიტკივე... მართალია ეს გზა ბიჭობისას ერთხელ და ორჯერ არ დამიზომავს, მაგრამ ის სხვა დრო იყო და მარტო არ ვიყავი ხოლმე და დარსაც და გუნებასაც ხალისიანს ვირჩევდი.

ხელი ჩავიქნიე, რაც არი არი მეთქი და გზას დავადექი.

ზაგებში ერთი პირობა სიცივემ ამიტანა. ყინვამ ომი გამახსენა, ომმა კი ტყვეები.

კარგა მახსოვს ისინი ჩვენში პირველად რომ გამოჩნდნენ ომი ახალი ჩაგრიალებული იყო. ჯერ ვუბღვერდით და მერე შევიცოდეთ. ისინიც ეზო-ეზო თავაღებულნი დაეხეტებოდნენ. იმ გადამთიელების გამოჩენაზე დეიდა ელო, შვილი ჯარში რომ დაეღუპა, აივანზე გადმოდგებოდა, გაწიწმატდებოდა და ენას გაილესავდა: აი, თქვე სასიკვდილეებო, ცოლშვილში არგასახარებლებო, ადრე და მალე დასამიწებლებო, თქვენ გაგწყვიტათ შავმა ჭირმა, თქვენ დაგემხოთ თავზე ბანი, თქვენ ამოგიღამდათ ეგ უმადური თვალები, თქვენ არ მიგიღოთ ქვესკნელ-ზესკნელმა, არ დაგიტირათ ახლობელ-ნათესავებმა, თქვენ არ გაგრიათ ღმერთმა ტოლებში. წყევლით იკლებდა, ემუქრებოდა, ლანძღავდა, ქოქოლას აყრიდა და თან ჭადსა და ნიორს ქაღალდში საგულდაგულოდ უხვევდა.

ომმა ისიც გამახსენა მეზობლად ჩამოსულმა კახელმა ბიჭმა ბოდბისხევში რომ დამპატიჟა, მთელ თვეს მიმასპინძლა, მასვა, მაჭამა, არდადეგები გამატარებინა და დატვირთული გამომისტუმრა. ის დღე თვალწინ მიდგას წნორიდან ბოდბისხევში რომ ავედით. გურამის მამას — ძია გიგოს თალარქვეშ სუფრა გაეშალა და ქეიფობდა. ჩვენს დანახვაზე შექინქლილებული კახელები წამოიშალნენ და ერთი ამბით შეგვეგებნენ. ოთხნი ვიყავით, ნამგზავრნი: გურამი — ჩემი მასპინძელი, დედა მისი — დეიდა ნუნუ, გურამის უმცროსი ძმა — გია და მე. ქალაქელ ბიჭს სოფელი კიდეც მიკვირდა და კიდეც მომწონდა.

იქვე სუფრას მივუსხედით და სიმღერაში რომ შევეშველე — გამიშინაურეს. თითონ ისე მღეროდნენ სუნთქვა შეგვეკვრებოდა. თუ კი ჩემი ბიჭობიდან მადლი რამე მოგონება დამრჩა ძია გიგოს ოჯახიდან დამრჩა. მე შენ გეტყვი და ბაღში არ შეხვიდეთ ან ხილს არ გაეკაროთო. რასაც გუნება გვეტყოდა იმას ვისრულებდით, გვინდოდა გვეძინა გვინდოდა ყირაზე გადავდიოდით.

მერე რამდენიმე წელიწადში ძია გიგოს ოჯახი სოფლიდან აიყარა და თბილისში დაიდო ბინა. სიხარულით ცას ვეწიე. ეხლა დღენიადაგ ერთად ვიქნებით მეთქი, მაგრამ ჯერ პირველი მისვლა დამიგვიანდა, ამას ის დაემატა, რომ ახალი წელი ვერ მივულოცე, ერთხელ შევფერხდი, ორჯერ შევფერხდი, მერე ჩემივე დაგვიანებისა თუ უმადურობისა შემრცხვა და ოცდახუთი წელიც ისე გავიდა იმათთან არა ვყოფილვარ.

ძია გიგო იმის მერე პაპა გახდა, დეიდა ნუნუ — ბებია. სათითაოდ თუნდაც სულში ჩავისვამ მაგრამ მისვლა-მოსვლა კი მაინც არა გვაქვს.

ეხლა ეს რაღა ამჩატებაა — წყნეთის ამ გოლგოთა აღმართს ფეხით ვტკეპნი ვიღაც მემაწვნის გულისათვის და ამ ჩემს წილ ნაამაგარ ხალხთან, აქვე თბილისში, ორი ფეხის ნაბიჯზე ამდენი ხანია, ერთხელაც არ შემივლია. ვინ იცის ჩემზე რასა ფიქრობენ, მაგრამ ერთი მოდგნენ და გულშიც ჩამომხედონ. ისე კი გული-გულით წამდაუწუმ რომ

გაეიძახით ხოლმე, სხვისი გულით ვინ რა ძვლებს გაითბობს, გული კაცს სიამით უნდა აჩვენო, ხელის გულზე უნდა მიართვა, თორემ დამალული გული და უგულობა ამქვეყნად ტყუპი ძმები არიან.

მივდივარ... თოვლზე ფეხი მისსლტება და წამდაუწუმ ვეცემი. კარგია არავინ მხედავს, მეტადრე კი ჩემიანები, თორემ თოვლში ჩემს ამ კოტრიალს ისევ ჩემს საპამპულაოდ ბარე ათ წელს გამოიზოგავდნენ.

ეს ოხერი ქვემოთ თითქოს ნიავი არ იძროდაო და აქ კი ქარი ძვალ-რბილში ატანს. ვიღლები, მაგრამ რა გინდა რა, თუ სულის მოსათქმელად ერთი წამით თუ დავდექი უმალ სიცივე მეტაკება და კვლავ აღმა მიმერეკება. რამდენჯერ გამიგონია თოვლი ლამაზია, კარგია, ეს არი, ის არიო, ერთი მეცა მკითხონ...

ქვემო წყნეთის განაპირა სამოსახლოს რომ მივადექი კარგა მოღლილი ვიყავი. ზედ სოფლის თავში ვეებერთელა მანქანა თხრილში ჩაწოლილიყო და ვიღაცის ღობეც უბეში ამოედო. გარს ხალხი ეხვია, ნიჩბებით, ბარებით, წერაქვებით მუშაობდნენ, თავსა და ბოლოს თოვლისაგან უწმენდნენ, იყო ერთი ჩოჩქოლი და ერთმანეთის ჭკუის სწავლება, ერთად მბრძანებლობდნენ და ერთადვე ხელქვეითობდნენ. ამასობაში ზემოდან სამხედროებით სავსე ყველგანმავალი გამოჩნდა და ეგ არი მხსნელი მოგვევლინაო, ხალხმა მუშაობას თავი ანება. გააჩერეს, დახმარება სთხოვეს და ჯარისკაცებსაც ბევრი თავპატიჟი არ გაუდიათ — გადმოცვივდნენ და დატრიალდნენ.

ვიდრე იმათ აქ საქმე გაახურეს, მე ერთი შუახნის გლეხი გვერდზე გავიხმე და ვკითხე, ძია გიორგა სადა ცხოვრობს-მეთქი.

— აბა ძია გიორგა?

— მოხუცი კაცია, მემაწვნე...

— შე კაი კაცო, ათ წყნეთელ ბერიკაცში რვა ძია გიორგაა და ცხრა მემაწვნე და აბა რა გითხრა...

ეგ კი არ გამითვალისწინებია. სხვა რაღა ვუთხრა, როგორ ავუხსნა: გიორგას ორი ვაჟი ჰყავს და [illegible], ეხლა ისღა დამრჩენია დავაყოლო წყვილად ხელფეხი და თვალები აქვს და კენტად ცხვირპირი, რადგან ძია გიორგაზე სხვა არაფერი ვიცოდი. გლეხმა მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და ისევ იქით, სასეიროსკენ გასწია.

ჯარისკაცებს ტროსი უკვე გამოებათ და ხალხს გაცლას ურჩევდნენ.

ძია გიორგას პოვნის ამ ახალმა დარდმა ღონე წამართვა.

ღობეს მივეყუდე...

მანქანის ირგვლივ ჩოჩქოლი მინელდა, ჯარისკაცებიც განზე გადგნენ.

ღობის მიღმა, ცალკალთად გადახურული სახლიდან საქეიფო სიმღერა ისმოდა. ამბობენ, საქართველოში ყველა მეორე კაცი მღერისო, თუ კი ასეა, აქ მხოლოდ პირველები შეყრილან მეთქი, სახლს გავხედე და სახტად დავრჩი. წნული ღობით ორად გაყოფილ ეზოს სიღრმეში ძია გიორგა შეშას ალაგებდა. თვალებს არ დავუჯერე, დავაკვირდი და უტყუარად რომ შევიცანი, სიხარულისაგან ლამის ჩავბუქნე. ძია გიორგაა, გავძახე, მაგრამ ჯარისკაცებმა ყველგანმავალი სწორედ მაშინ აამუშავეს და ჩემი ხმაც იმან ჩაყლაპა. ცოტას დავიცდი მეთქი, მაგრამ მანქანის ღრიალს საშველი აღარ დაადგა. ჭიშკარს ვეცი, ჩარაზული დამიხვდა. ყველგანმავალი კვლავ ღმუოდა.

რა მექნა. ხმას ვერ მივაწვდენდი და იმის იმედითღა ვიყავი ძია გიორგა აქეთ გამოიხედავს და შემამჩნევს მეთქი, მაგრამ არც ეს მოხდა. ამასობაში კი ბერიკაცმა შეშის რამდენიმე ნაფოტი გულდაგულ დაიღლიავა და შინ შეიმალა.

მოცდა ვარჩიე.

ყველგანმავალი აყირავებულ მანქანას ტროსით მოეჭიდა, ჯერ თვლებზე შეაყენა, მერე აძაგძაგდა, ახრიალდა, ერთი მძლავრად დაიქნია და ხალხის ყიჟინში გზაზე ამოათრია.

მანქანის შოფერი წინ და უკან დარბოდა და სათითაოდ ყველას მადლობას უხდიდა. სალდათები ტროსს ინახავდნენ და სამგზავროდ ემზადებოდნენ.

მე ეხლაღა გამახსენდა, რომ აქეთობა დასვენებულზე თუ ასე გამიძნელდა, დაღლილზე იქითობა სიქას მთლად გამაცლიდა... მაგრამ ძია გიორგა?

თუმცა რა, ეხლა რომ გამოვეცხადო და ვუთხრა, დაღუპული მეგონე და ამიტომ ამოვედი, მადლობა ღმერთს ცოცხალს გხედავო, იქნება გიჟიც ვეგონო. ორმოცი წელია რიგიანად ხმა არ გამიცია და არ იფიქრებს ეხლა რა ალალმა დაუქროლა, რა ფეხით სიარული აუტყდაო. ხალხი ჯარისკაცებს ალყად ერტყა, ხელს ართმევდნენ, ეხუმრებოდნენ, არაყზე ეპატიჟებოდნენ.

ძია გიორგა ეზოში აღარა ჩანდა. ეხლა, როცა ბერიკაცი ცოცხალი ვნახე— დავწყნარდი, ჩემი გულისყური სხვა ამბებმა წაიღო და მემაწვნეც ძველებურად გადამავიწყდა.

მცირე ყოყმანის შემდეგ ჯარისკაცებს მივუახლოვდი და იმათ კაპიტანს თბილისამდე ჩაყვანა ვთხოვე.

ყველგანმავალის ძარაში თბილოდა და გული მხოლოდ იმაზე დამწყდა, თვალის დახამხამებაში ბაგებამდე რომ ჩავაღწიე. მოხუცი მემაწვნე არც მეორე დღეს გამოგვეცხადა და არც კვირის თავზე. ზამთარი მოგვეშვება და ისიც მოგვაკითხავს მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ჯერ გამდნარმა თოვლმა ნიაღვრებად ჩაიგრიალა, მერე ზაფხულმა ნუშიააფეთქა და ზამთრის ხსენება წაშალა, მოკლე ხანში ცხელი ტერფებით ქალაქზე ზაფხულმაც გადაიარა და ძია გიორგა კი მაინც არ ჩანდა. ეტყობა ძველ ხელობას თავი დაანება. ჩვენ კი ცოტა ხანში სხვა მემაწვნე, მარტყოფელი დედაკაცი შემოგვეჩვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დილარ ივარდავა*

# სამშობლო შვილებს არ დაივიწყებს

' შინმოუსვლელებს

არა!
ეს წუთი ვით ჰგავს სხვა წუთებს,
შინმოუსვლელებს შევუნდობთ ყველას, —
შევუნდობთ ყველას სიმღერას უთქმელს
და დარდს—რომელიც გულს მწარედ
თელავს.
...არა იმიტომ გიხსენებთ ისევ,
რომ გახსენება შეგვიცვლის რამეს,

არამედ ახლა, ვით ცოცხლებს, გისმენთ
და ვეწაფებით იმ ნანატრ წამებს.
არა იმიტომ გიხსენებთ ისევ,
რომ გახსენება შეგვიცვლის რამეს, —
დღეს თქვენ გვაშორებთ ომის გზა-ნისლებს,
დღეს თქვენ გვაშორებთ კვლავ
წარღვნის ღამეს.

* * *

ბრუნავს და ბრუნავს,
ბრუნავს და ბრუნავს,
ბრუნავს და ბრუნავს,
ბედის ბორბალი, —
ჩარჩენილი ვართ
დედამიწის ფსკერის ქვიჯაში
და არვინ იცის იხუვლებს როდის
მეხის ბორზალი
და არვინ იცის,
ვინ ვის იღებს სამკვდროდ მიზანში.
ეს ადრეც იყო,

ახლაც არის!
ნუთუ იქნება?
განმეორდება?
ვის რად უნდა
მძლავრობდეს მკვდრის მზე!
როცა ღრუბლებად,
ბალახებად,
წვიმად,
ფიფქებად
შინმოუსვლელნო,
თვალებში გვიმზერთ!

* * *

ბედშავო დედავ,
ზრუნვა უნდა ეზოს და ხვასტაგს,
ვინ იცის, იქნებ დაგიბრუნდეს...

ვინ იცის იქნებ...
ომში წასულის წინ გიწყვია წერილთა
დასტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედშავო დედავ,
ცოცხალ ჭკავხარ
კვლავ შვილზე ფიქრებს.
კრულ იყოს, კრული!
იავარქმნილი!
ომი და... თავად მომგონი ომის, —
კრულ იყოს, კრული!
იავარქმნილი!
ვინც ჩააჩუმა ამდენი ლომი.
უთვლელი ლომი!
უთვლელი ვეფხვი,
ვეფხვი და ლომი —
ხვედრი ურდუმის.
მათ თავს დაატყდათ წარღვნა და მეხი, —
დაეფშვნა ციხეს ყველა ურდული.
რა ექნათ მათაც:
გულში როცა ტრფობა ძალედვათ, —
ნათელი რწმენა,
უკვდავი რწმენა!
მერე სამშობლო
ასე ბრძანებდა:
დაეცვათ მიწა,
ადათი,
ენა..
დაეცვათ ლომგულთ საფლავები
წინაპრისანი,
რომ განეგმირათ მომხვდურთათვის
გულის ფიცარი.
სამარადისოდ,
სამარადისოდ,
სამარადისოდ გიგონებთ ყველას!
ხართ კურთხეულნი!
ხართ კურთხეულნი! —
მზესთან ელავთ და ღელავთ.

* * *

სხვისი ტყვიებით,
სხვისი სიკვდილით
სამშობლოსათვის მოგკლეს.
თქვენი სიცოცხლე წმინდა,
მზისწილი;
შალვა,
დავით თუ ცოტნე,
თქვენი სისხლი და თქვენი სიმღერა,
ნაღდი, დიდების ფასი,
ჩვენ ხომ ჯიშში გვაქვს,
ძარღვში გვიდუღს, —
გამხდარა ერთი — ასი!
სამარადისოდ!..
სამარადისოდ!..
„სამარადისოს“ ვამბობთ,
თორემ ამ ქვეყნად ხომ მარადიულს
თუ ვარქმევთ — მხოლოდ მნათობს.
მაშ დაერქმევა? —
თქვენაც ანათებთ,
თქვენც ციურ სხეულს ჰგავხართ, —
ლიბოს და ბუნაგს ურბევთ ჯალათებს,
მშვიდობის შუქში დგახართ!

* * *

თქვენი მიზანი,
ბრძოლა თუ რწმენა,
კარგია, მაგრამ მტანჯველიც არის! —
ვერ შეაჩერეთ ის ბედისწერა,
ვერც ტყვიის ღვარით,
ვერც მტკიცე ფარით.
ის ბედისწერა, როგორც გრიგალი
მოვარდა უცებ — მთესველი ცრემლის,
თქვენ — მონობასთან შეურიგალნი,
თქვენ — ჯარისკაცნი ყანის და გრდემლის
დაეცით!..
დღეს თქვენს სურათებს ვუმზერთ!
(ვაგლახ, არ ვიცით ბევრის საფლავიც!..)
თქვენს სამარეზე,
თქვენს გაზაფხულზე
მწარე სიმღერას კვნესის ზამთარი.
დაგზამთრებიათ შუა მაისში,
დაღამებულა თქვენი ცისკარი,
დედათა მოთქმა ისევ გაისმის,
თალხს ვერ იცილებს მამის ჭიშკარი.
ვამბობთ: — შორს ახლა! სევდა, ან თალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა ასწიეთ გმირთა ფიალა!
შეერთდა მათში მიწაც და ხალხიც, —
რწმენად და წინსვლად იქცნენ მთლიანად.
სამარადისოდ,
სამარადისოდ!

სამარადისოდ!
სამშობლო იყოს —
გმირების კერა! —
მისი სისხლი ხართ ისევ და ისევ
და უკვდავება უკვდავთა გვჯერა.

* * *

რად ელანდება დედას:
ლითამიანი შავი მხედარი,
რად ესიზმრება დედას:
ვითომდა პირმშო მხნედ არის.
რა უხარია დედას,
დედას ლომთა და ვეფხვების, —
გზა უმოკლდება ხედავს,
გზა — შვილთან შეყრის შეხვედრის...
... ვინ დაუბედა დედებს, მითხარით,

ჭირთა ამგვარი თმენა, —
დედა ამ ქვეყნად მართლაც ის არი,
რაიც მზეა და რწმენა.
სამარადისოდ,
სამარადისოდ
დიდება ქვეყნად დედას,
მათ ცრემლებში და ღიმილში
ქვეყნის ჭირ-ვარამს ვხედავთ.

* * *

ვითარც მითვლემილ შუაცეცხლს, უცებ
შემოეცლება რუხი ნაცარი,
ისე ტკივილებს,
თქვენზე იარებს
დაეწურება სევდის ისრიმი,
თქვენ ხართ წარსული,
მაგრამ იმედი,
თქვენ ხართ ნაყოფი,

ასე — მარცვალიც,
ეს თქვენ გვაფრთხილებთ აწ და მარადის:
არ განმეორდეს;
ტყვიის სისინი,
კაცთ კვლა,
ცრემლები,
დარდი,
ღალატი!

* * *

ჩვენთან მარადჟამს იქნებით
თქვენი სიმართლის დროშებით,
სამშობლოს ტრფობით ავად ხართ
და არასოდეს მორჩებით.
უკურნებელი ეს სენი,
იმედად ჩვენც შეგვეყარა, —
თქვენი ჯილაგის მოვდივართ,
უნდა ჰყვაოდეს ქვეყანა.
ვიცით, რომ კაცის სიცოცხლე,
რაა სახელის გარეშე,
მტერი ჩვენს მიწას, იცოდეთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერასდროს მოითარეშებს.
ეს ფიცი რვალზე მტკიცეა,
ვფიცავთ თქვენს წმინდა საფლავებს;
და ასე ტრფობა უწყვეტი
უწყვეტად დაითავთავებს.
სამარადისოდ,
სამარადისოდ
გიგონებთ ახლა ყველას, —
ხართ კურთხეულნი,
ხართ კურთხეულნი, —
მზესთან საქვეყნოდ ელავთ!

## მინაწერი

საფლავებს თქვენსას
არ სჭირდება ეპიტაფია,
რადგანაც ცოცხლობთ:
იბრძვით,
იღწვით! და...
მეორდებით.
თქვენ შეგიძლიათ
დღეს თამამად
ამცნოთ მსოფლიოს:
— არცა დავმშვიდდი,
არც დავდუმდი,
არც განვისვენე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლღა დავითაია

# რევოლუცია

რევოლუცია — უცოდველი ცნობა
უცრემლო,
რევოლუცია — სისხლისფერი დროშის
კაშკაში!
ჩამოახია მაღალ ზეცას შავი ფურცელი,
დაიმქუხარა და მოცილდა მახვილს
ქარქაში.
რევოლუცია — მოვარდნილი ლავა
ვულკანის,
რევოლუცია — გავსებული ბრაზის
ღვართქაფი.
სივრცით აღავსო დედამიწის სუნთქვა
უკმარი,
და მზეს მიაგო აღტაცება მკვდრეთით
აღმდგარი.
რევოლუციურ
გადაცისფრებას,
რევოლუციურ
ხმათა ერთობას,
რევოლუციით
რაც რამ იქნება
ყველა სიკეთე
ხალხს დაეთმობა.
რევოლუციის მონაპოვარი,
დღეს მეორმოცე ზარზეიმის ზალპით
გრიალებს,
მომავლისაკენ მარად ძლტოვაოი,
სხივით ასხივებს ადამიანებს.
ორი ათას წელს, ვინმე ბრძენკაცს,
ძველთაგან უთქვამს,
ორი ათას წელს ცეცხლისფერი დასი
გედების
მზისკენ გაფრენით აანთებენ პლანეტის
სულთქმას,
მქუხარებს ჰიმნი, კეთილ ფიქრის და
იმედების.
იმ საბოლოო გამარჯვებას მარად
დიდება,
დედამიწაზე მზისფერად რომ
დაგვირგვინდება—
რევოლუცია!
რევოლუცია!
რევოლუცია!
რევოლუცია!

1958 წ.

# შენი სიცოცხლით

შენი სიცოცხლით დამარცხდა მტერი,
შენი ბილიკის და ფეხის მტვერი.
მიწის სიმღერას მღერის ებანი,
ზღვაში ჩაეშვა ზამთრის ვნებანი.
აჰა მოვიდა, ჩუმად მოვიდა,
მაისის ვარდი თეთრი თოვლიდან,
წარსულ სევდასთან რა გაქვს საერთო,
როცა ვარდები ცაზე აენთო.

. . . . . . . . . . . .

მოსულხარ შვილო, დამდაბლდა მტერი,
შენი ბილიკის და ფეხის მტვერი.

1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვემალები სანთლის ყვავილებს

მე ჯერ არ წავალ, კეთილშობილი
ხე არ გახმება;
და ეხლა როგორ გადაიქცევა
შავ თალხებად
ჩემი ღიმილი,
ჟივილხივილი
ჩიტბატონების გაზაფხულს უხმობს.

მე ჯერ არ წავალ. სულ ათ გაზაფხულს
ვით ვერ შევხვდები?
და ეხლა როგორ ვერ გადურჩება
ჩემი ხელები
გულზე დაკრეფას?
როგორც ფათერაკს,
ვემალები სანთლის ყვავილებს.

თურმე სიკვდილის წინ გაიგებ,
რომ ავადმყოფის სიცოცხლეც კი
ძვირფასი არი,
რამეთუ დილით მზე სულს დაგილევს.

## ჭიაკოკონა

(სურათი მეგრელთა ცხოვრებიდან)

ოი, ძაბრა ძაბრალე,
შენ ბაძავ თუ გბაძავენ,
ცეცხლისფრად ალანძული,
ჩაგუნა დგას ძალუმი,
ჩაგუ წრეში ჩამდგარა,
ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუნა,
დაიჯავროს ჩაფარმა,
გაიხარე ჩაგრულმა.
ჯარი ჯარიანობა,
ბიჭი ცეცხლს დაედარა,
ცირამ მთვარით აჯობა,
მთვარე, ცით აშენდა რა.
მასთან სხვებიც მღერიან,
თმა არა აქვს დაწნული.
ყელი მოუღერია,
შველია თუ ქალწული.
ცეცხლისფრად ალანძული,
ჩაგუ თვალებს აცეცებს,
ჩაგუნაა ძალუმი,
დასდევს ლანდის ნამცეცებს,
ცირას ლანდის ნამცეცებს.
ოი ძაბრა,ძაბრალე,
შენ ბაძავ თუ გბაძავენ.
სამი სულის ლანდია,
ცეცხლის შუქით ჩამქრალი,
სამნი სამად დადიან
სამი არის ჩაფარი.
ოთხი ტყვია გავარდა,
ოთხი ჩიტი აფრინდა,
ცირას ვინც იპარავდა,
მოკვდა სამი ჩაფრითა.
ოი, ძაბრა, ძაბრალე,
შენ ბაძავ თუ გბაძავენ,
ცეცხლისფრად ალანძული,
ჩაგუნა დგას ძალუმი,
ძ ა ბ რ ა!

## ობლის სურათი

მთებსა და კლდეებს
არ ეკიდება,
და არც ვარსკვლავებს ითვლის.
ერთი ობოლი,
მწვანე ბილიკზე,
მიდის, თავისთვის მიდის.
სხვისი სიცოცხლე ძვირფასად უღირს,
თუმც ის არავის ახსოვს,
რა ჩარად აგდებს ცრუსა და უღირსს,
მას სურს სიკეთე ნახოს.
ერთი ობოლი მწვანე ბილიკით,
მიდის, თავისთვის მიდის,
პირზე ღიმილი ნურც მოკლებია,
და სიამაყე ვარდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ალექსანდრე პუშკინი**

# ევგენი ონეგინი

## თავი მეოთხე

I, II, III, IV, V, VI.

VII

ქალს რაც ნაკლებად ვეტრფიალებით,
უფრო ძლიერ და ნაზად ვუყვარვართ
და ვაბამთ უფრო მეტი გაბედვით
მაცთურ მახეში დასაღუპავად.
დრო იყო, სიძვამ, ბიწიერებამ,
ვით სიყვარულის მეცნიერებამ
ბაქით, ტრაბახით ყველას აცნობა,
რომ უტრფიალო ნებავს განცხრომა.
მაგრამ გართობა ასე, ამგვარად
ბებერ მაიმუნთ უფრო შეფერით,
ცნობილთ გარდასულ დროთა შექებით;
ლოველასობა წარსულს ჩაბარდა,
როგორც ტარდება წითელ ქუსლების
და პარიკები დიდებულების.

VIII

ფარისევლობა ვის არ მობეზრდა,
თქვა ათასგვარად ერთხელ ნათქვამი,
რიხით ამტკიცო აზრი, რომელსაც
ადრევე იცნობს ყველა მათგანი.
უსმენდე ისევ ნაცნობ პასუხებს,
სპობდე ცრუ რწმენას, რაც არ აწუხებს,
რაც არასოდეს არა ჰქონია,
არც აქვს ცამეტი წლის გოგონიას.
ვის არ მოქანცავს ხვეწნა, მუქარა,
ფიცი, ცრუშიში, ცრემლის ციალი,
წერილი ვრცელი, ექვსფურცლიანი,
როტვა, ბეჭდები, ჭორი, მუდარა,
დეიდების და დედის თვალთვალი
და ქმრების ძმობა ძნელასატანი

IX

ასე ფიქრობდა ჩემი ევგენი,
ვინც სიყმაწვილის შმაგ შეცდომათა
და ბობოქარი, მწველი ვნებების
ძალას პირველად დაემონათა.
გალაღებული კეთილ ცხოვრებით
იხიბლებოდა ერთით დროებით,
როს განხიბლული იყო მეორით,
სურვილი ღლიდა ნაირფერობით,
წარმატებებიც ღლიდა თავნებას,
როცა ხმაურში თუ სიჩუმისას
უსმენდა მუდამ დრტვინვას სულისას,
იგი სიცილით სძლევდა მთქნარებას:
სიცოცხლის ყველა ჟამზე ანკარა
რვა წელიწადი ასე ატარა.

X

ლამაზებს იგი აღარ ეტრფოდა,
მაინც დასდევდა ძალის-ძალათი,
უარს ეტყოდნენ — მალე ცხრებოდა
და სულს უთქვამდა მათი ღალატი.
მათი ძებნისას არ უთრთოლია,
მათი დაკარგვა არ უგლოვია,
მათი ტრფიალი და სიძულვილი

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3

ძლივსღა ახსოვდა. ასე გულგრილი
სტუმარი მიდის ვისტზე საღამოს,
ჯდება, თამაში ჩქარა მთავრდება,
მერე ეზოდან გაემგზავრება,
დაეძინება სახლში საამოდ,
და დილით ადრე ვერცკი გაუწყებს,
გული საღამოს საით გაუწევს.

XI

მაგრამ ტანიას ბარათს ევგენი
გულჩვილად ხვდება, გამოცოცხლდება,
ქალწულის ენით მღაღადებელი,
ფიქრებს აუშლის წრფელი ოცნება.
მას ახსენდება ტანჯვით აღსავსე
ფერმკრთალი სახე ტატიანასი
და უმანკოეს, ტკბილი ღრმა ძილით
დაიბანგება, როგორც ყმაწვილი.
ალბათ წარსული გრძნობა ცხოველი
მასში წამიერ მაინც ენთება,
მაგრამ საცდენლად არ ემეტება .
სული მიმნდობი და უცოდველი.
ახლა კი ბაღში გადავფრინდებით,
სადაც ორთავე დგას დაფიქრებით.

XII

ორ წუთს ორთავე იდგა მდუმარედ,
მერე მივიდა მასთან ევგენი ,
უთხრა: „თქვენ მწერდით, არ იუარებთ,
წერილს გულღია აღსარებებით.
მე წავიკითხე წმინდა, უმანკო
ტრფობის ღაღადი, როგორ უარვყო,
ვარ მოხიბლული თქვენი სიწრფელით,
მისი სითბოთი ღელვა ვიგრძენი
დიდიხნის წინათ მიმქრალ გრძნობების,
მაგრამ არ მინდა თქვენი შექება;
სამაგიეროდ შევძლო ეგება,
მსგავსად მაგ თქვენი უბრალოების,
აღსარებითვე ვპოვო საშველი
და თქვენის ხელით დამდოთ სასჯელი.

XIII

თუ მოვისურვე ჩემი ცხოვრების
მყუდრო, შინაურ წრეში მოქცევა,
ხვედრს თუ მამობის, მეუღლეობის
უნდა სიამედ ჩემთვის მოცემა,
თუ დამატყვევებს მხოლოდ სულ ერთი
წამით ოჯახურ ყოფის სურათი,
მაშინ თქვენს გარდა, ცხადზე ცხადია,
საცოლედ არვინ არა მწადია...
არ გეუბნებით წარმტაც მადრიგალს:
თუ დავუბრუნდი ,ჩემს ძველ იდეალს,
ჩემთა მწუხარე დღეთა იმედად
თქვენს მეგობრობას ვარჩევ ნამდვილად,
საწინდრად ყოველ მშვენიერების
და რაც კი ძალმიძს... ბედნიერების!

XIV

მაგრამ შობილი სულ სხვა ქმნილებად
განცხრომისათვის უცხო სული ვარ;
უქმად ვცან თქვენი სრულყოფილება:
არა ვარ მისი ღირსი სრულიად
გწამდეთ (სინდისი მიდგას თავმდებად).
ჩვენი ცოლქმრობა მიჩანს ავბედად.
გულში რაც უნდა მაგრად გიკრავდეთ,
რომ შეგეჩვევით, გადაგიყვარებთ.
ტირილს დაიწყებთ: ცრემლის ღვარები
არ შემითრთოლებს გულს არასოდეს,
პირიქით, უფრო თუ გააცოფებს.
თვითვე განსაჯეთ, რომელ ვარდებით
სურს ჰიმენეის ჩვენში შემკობა
და თან დიდიხნით, როგორც ეტყობა.

XV

რა უნდა იყოს ქვეყნად ოჯახზე
ბედითი, სადაც ცოლი საბრალო
ტირის მეუღლის უმსგავსობაზე
და სულ მარტოა დილას, საღამოს;
სადაც მოსაწყენ ქმარს არ ეშლება
მისი ფასი და არც ბედს ეშვება —
წყევლის მუდამჟამს გაავებული,
გულცივი, იჭვით. დანაღვლებული!
ასეთი მე ვარ. ეგეთს ეძებდით,
როცა მაგნაირ უბრალოებით
მგზნებარე სულით, ეგეთ გონებით
მე მწერდით თქვენი მთელი შეგრძნებით?
ნუთუ ასეთი ბედის ღირსი ხართ?
ნუთუ ხვედრს ასე შეურისხიხართ?

XVI

წლებს და ოცნებებს თავს ვერ დავუვლით,
ვერ განახლდება სული ანაზდად...
მე თქვენ მიყვარხართ ძმის სიყვარულით

და, შესაძლოა, უფრო ნაზადაც.
მისმინეთ, ოღონდ ნუ გამიწყრებით,
ყმაწვილი ქალი თავდავიწყებით
ცვლის სხვა ოცნებით მსუბუქ ოცნებას,
როგორც მარადჟამს ხე იმოსება
და ფოთლებს იცვლის ყოველ გაზაფხულს.
როგორც ჩანს, ასე ხდება ღვთისძალით.
თქვენც შეიყვარებთ, მაგრამ... ისწავლეთ:
ნუ გაამჟღავნებთ უცბად განზრახულს.
სხვა ვერ გაგიგებთ ჩემებრ გულწრფელად;
მარცხი ხვედრია გამოუცდელთა.

## XVII

უქადაგებდა ამას ევგენი;
სულის ძლივსმოთქმით, ხმისგაუცემლად
და ცრემლთა შორის არასმხედველი
მას ტატიანა დიდხანს უსმენდა.
ხელი აშველა მაშინ და უბრად
(როგორც ამბობენ მაშინალურად)
მკლავზე დაეყრდნო მას ტატიანა,
მძიმედ დახარა თავი მტირალმა.
შინ გაეშურნენ ბოსტნის შემოვლით,
ერთად მივიდნენ იქ სად ფიქრადაც
მათი დაძრახვა არვინ იკადრა.
სოფელშიც შვებად მონიჭებული
თავის უფლებით არის თამამი,
როგორც მოსკოვი ამპარტავანი.

## XVIII

ჩემო მკითხველო, დამეთანხმებით,
რომ იგი ძლიერ თბილად მოექცა
ტანიას დაღლილს დარდით, ნაღველით:
მისგან პირველად კი არ მოგვესმა
კეთილშობილურ სულის ღაღადი,
თუმცაღა კაცთა შურით, ღალატით
ულვთოდ გამწარდა მისი ცხოვრება;
მოქიშპეებმა და მეგობრებმა
(ვერ გამოარჩევ ერთს მეორისგან)
ზურგსუკან ბევრჯერ ლანძღეს, აძაგეს.
მტრები ყველას გვყავს ამ ქვეყანაზე,
ღმერთო, გვიხსენი მეგობრებისგან.
ეჰ, მეგობრები, ეს მეგობრები!
არ მყვანან უქმად მოსაგონრები.

## XIX

რას ვფიქრობ? რას და... მსურს მივაძინო
ფუჭი ოცნება, ფიქრი უთავსი,
მხოლოდ ფრჩხილებში მინდა დავძინო,
რომ არ არსებობს ცილი უხამსი
სჭვენზე მეჭორის მოგონებული,
მაღალწრის ბრბოში მოწონებული,
რომ არ არსებობს არც უაზრობა,
არც ეპიგრამა რამე ბაზრული,
რაც შენს მეგობარს ღვარძლის გარეშე,
წესიერ ხალხში ღიმილმორევით
შეცდომის ასგზის განმეორებით
არ ეთქვას არამტრულ ანგარიშით:
ისე კი, შენდა ფარად ის არი:
უყვარხარ... როგორც ძმა საფიცარი

## XX

ჰე, ჰე, მკითხველო კეთილშობილო,
ნათესავები ხომ გყავთ ჯანმრთელად?
ნება მიბოძეთ შეგატყობინოთ,
რაც ეგებ მმართებს ახლა სათქმელად.
რაა სახელდობრ ნათესაობა,
რა არის მაინც მათი რაობა:
ჩვენ გვევალება მათ ვუალერსოთ,
გვიყვარდეს, სრული ხათრით ავივსოთ,
და ისე, როგორც ხალხში დაწესდა,
ყოველ შობადღეს უნდა ვეწვიოთ;
ანდა მილოცვა ფოსტით შევწიროთ,
რომ წლის დანარჩენ დროში არცერთმა
აღარ გვიკითხოს, თუნდაც ვკვდებოდეთ...
მათ დღეგრძელობა ნუ მოკლებოდეთ.

## XXI

მაგრამ ტრფიალი ნაზი ქალისა
მეგობრობაზე და მოყვრობაზე
სანდოა და თვით ქარიშხალისას
შენი უფლება გრჩება ტრფობაზე.
ასეა, ოღონდ მოდურ არმურთან
და ბუნებასთან ზნეუცნაურთან
და ხალხის აზრთა ღვარის გუგუნთან
ჩანს ტურფა სქესი მსუბუქ ბუმბულად.
ამასთანავე აზრი მეუღლის
კეთილგონიერ, სათნო ცოლისთვის
კანონი უნდა იყოს ყოველთვის.
ისე კი, წუთით თქვენს უერთგულესს
ქალსაც მხიბლავი გრძნობა აიტანს;
ტრფობით ხუმრობა უყვარს შაითანს.

### XXII

ვინღა გიყვარდეს? ვისღა მივენდოთ?
ვინ არ გაგვყიდის ჩვენი არჩივით?
საქმეს და სიტყვას ჩვენს სასიკეთოდ
ვინ ზომავს მხოლოდ ჩვენი არშინით?
ვინ არ გვითესავს ცილისწამებებს?
ვინ არის –– ზრუნვით რომ გვაწყნარებდეს?
ვინ არის ჩვენსავ ნაკლზე დარდობდეს?
ვინ არ მოგვაწყენს თავს არასოდეს?
მოჩვენებათა მდევრად ქცეულო,
ამაოდ გარჯას ნუღარ იკადრებთ,
თქვენ მარტო თქვენი თავი გიყვარდეთ,
ჩემო მკითხველო პატივცემულო.
უფრო ღირსი და მზრუნველთაგანი
მართლაც სად არის ტრფობის საგანი.

### XXIII

რაა შედეგი მათი პაემნის?
ძნელი არ გახლავთ გამოსაცნობად.
ცეცხლი უგონო ტანჯვა-წამების
არ უნელდება წამით საცოდავს
ყმაწვილურ სულში ნაღვლად გაშლილი;
არა, არსაით არ ჩანს საშველი!
წუხს ტატიანა, იწვის საწყალი;
ძილს არ იკარებს მისი საწოლი;
ჯანი, სიცოცხლის ფერი, გართობა,
ქალწულებრივი შვება, ღიმილი
გაუქრა უცებ, შორ ძახილივით
და ქრება მისი ახალგაზრდობა.
ქარბუქიც ასე ბინდით დაჩრდილავს
ქვეყნად ახალი დილის გაჩენას.

### XXIV

ეჰ, ტატიანა ჭკნება, იცვლება,
ფერმილეული სდუმს და მწუხარებს,
აღარაფერი ეხალისება,
გულს არაფერი აღარ უხარებს
მისი შემყურე ხალხი მეზობლად,
რომ აქიცინებს თავს მნიშვნელოვნად,
ჩასჩურჩულებენ ერთურთს: დრო არი,
დროა გათხოვდეს გასათხოვარი!
მაგრამ, კარგებო, დროა ნამდვილად
გავახალისო წარმოსახვანი,
სვიანი ტრფობა ვნახოთ ახალი.
ღრმა სინანული მბორკავს დარდიანს;
თქვენ მომიტევეთ, მეც უნებურად
ტანიას ტრფობით გავბრუებულვარ.

### XXV

დღითიდღე უფრო იხიბლებოდა
ოლგას მშვენებით ყმაწვილქალურით
და ვლადიმირმა ტკბილი ტყვეობა
შეიგრძნო სულით, ზღვასიყვარულით.
ყოველთვის ერთად ქალის სენაკში
ისხდნენ კუნაპეტ ღამის თნევაში,
დასეირნობდნენ ბაღში ერთგულნი
დილით ხელიხელჩაჭიდებულნი.
მერე რა? კდემით როცა ღელავდა
სიყვარულისგან გახელებული,
ოლგას ღიმილით გამხნევებული
იგი ხანდახან თუ გაბედავდა,
რომ შეხებოდა დალალს ჩამოშლილს
ან დაეკოცნა კალთა სამოსის.

### XXVI

ზოგჯერ ის ოლგას წიგნსაც უკითხავს,
დამრიგებლური ართობთ რომანთ,
რომლის ავტორი გრძნობს უკეთესად
ბუნებას, ვიდრე შატობრიანი.
ამასობაში ორ, სამ ფურცელსაც
(მტკნარბოდვებიანს, აზრებუმეცარს,
ქალიშვილს რაც არ წაეკითხება)
სტოვებს და იგი წამით წითლდება.
ხან შორს სხდებიან განმარტოებით
ჭადრაკის ძალით შეპყრობილები
და მაგიდაზე დაყრდნობილები
ღრმად ფიქრდებიან თანატოლები.
ბოლოს დაბნეულ ლენსკის მცდარი სვლით
აჰყავს პაიკით ეტლი თავისი.

### XXVII

შინ როცა წავა, იგი სახლშიაც
ფიქრებით, ზრუნვით დაფრენს ასულთან,
ალბომის მთრთოლვარ ფურცლებს არშიად
სურათებს მისთვის ავლებს სათუთად.
ხან ლამაზ ხედებს ხატავს სოფლისას,
კიპრიდას ტაძარს, ქვას საფლავისას,
ხან — მტრედს ლირაზე ობლად შეფრენილს —
კალმით და ფუნჯით ოდნავ შეფერილს.
ზოგ ფურცელს ხსოვნის შვენის დაისი,
ქვემოთ კი რიგი ხელმოწერათა;
მან იქ დასტოვა წრფელ ოცნებათა
მდუმარე ძეგლად ლექსი ფაქიზი,

წუთიერ ფიქრის გრძელ ნაკვალევად,
ისევ მრავალი წლისწინ გავლილად.

XXVIII

თქვენ, რა თქმა უნდა, ბევრჯერ ნახავდით
ალბომებს მაზრელ ასულებთანაც,
დასვრილს მეგობარქალთა ნაჩხაპნით
თავით ბოლომდის და სულერთთავად...
მართლწერის ჯიბრზე, როგორც წესია,
მათში უზომო, ძველი ლექსით
მეგობრულ გრძნობით აძგერებული,
შემცირებული, გაგრძელებული
თან პირველივე გვერდზე დაგხვდებათ.

და ხელმოწერა:
ბოლოში ასეთ ბწკარებს დახედავთ:
„ვინც ჩემზე მეტს გითანაგრძნობს,
წერას შემდეგ ის განაგრძობა“,

XXIX

აუცილებლად იქვე შეხვდებით
ნახატს ლამპრისას, წყვილსაც გულისას,
ყვავილთა ახლოს ფიცს შეეყრებით
კუბოს ფიცრამდე სიყვარულობას.
ვიღაც არმიელ პიიტს გაუკრავს
ლექსისთვის ხელი ავაზაკურად.
ასეთ ალბომში, ჩემო ღირსსწორნო,
მეც მინდა თავი რომ მოვიწონო.
და გულით მჯერა, გამოგიტყდებით,
ჩემს გამოგონილ ყველა სიცრუეს
მოწყალე თვალი ხელად ირწმუნებს,
და ღიმილნარევ გაბოროტებით
არ დაიწყებენ მერე განხილვას,
ვცრუობ თუ არა ენამახვილად

XXX

მაგრამ თქვენ გეტყვით, ცალკე ტომებო,
დაცულნო ქაჯთა წიგნთსაცავებით.
და ალბომებო უბადლოებო,
მოდურ რითმოსნებს ვინც აწამებდით.
თქვენ, ვინც ტოლსტოის მარჯვედ წასმული
ჯადოსნურ ფუნჯით ხართ მოკაზმული
ან ბარატინსკის კალმის წვერის ხართ,
ყველა ღვთის ცეცხლით დამიწყევლიხართ!
როცა ღიმილით ქალი ბრწყინვალე
მომაწვდის in quarto-ს თავისას,
უცებ ბრაზი და ჟრჟოლა ამიტანს,
კვლავ ეპიგრამა ამაწრიალებს
სულის სიღრმეში ნატრიალები,
და მოდი წერე მადრიგალები.

XXXI

განა ვლადიმირს სურს მადრიგალით
ოლგას ალბომის გალამაზება,
მისი კალამი სუნთქავს ტრფიალით,
ცივი ციმციმით არ ალმასდება.
რასაც მოუსმენს მას და შეამჩნევს
იგი საწერად მასვე შეარჩევს.
და სინამდვილით არის მდიდარი
ელეგიების სავსე მდინარე.
შენც გული თრთოლვით ეგრე გიმღერის
იაზიკოვო, შთაგონებულო,
ვინ უწყის ვისგან გაოგნებულო;
და მაგ ძვირფასი ელეგიებით
ერთად თავმოყრით აღარ გვეღირსა
სრული ამბავი შენი ხვედრისა.

XXXII

მაგრამ ჩუ! გესმით ხმა უმკაცრესი
კრიტიკოსისა? „ჩამოეხსენით
ელეგიათა გვირგვინს გაცრეცილს!“
და ჩვენი ძმანი — სხვა მოლექსენიც
მის ზავთს უსმენენ: „ტირილს შეეშვით
და ერთფეროვან ყიყინს ლექსებში.
გარდასულ დროზე გლოვა, ვარამი
კმარა, იმღერეთ ახლა სხვა რამე!“..
„სწორი ხარ. მართლაც გვირჩევ—განახოთ
ძველი ნიღაბი, ბუკი, ხანჯალი,
აზრთ კაპიტალი დაუხარჯავი
ბრძანებ, ყოველმხრივ რომ განვაახლოთ.
ასე ხომ?“ არა. ვით შეგაგონო!
ოდების წერას გირჩევთ, ბატონო.

XXXIII

როგორც მაქებართ ძალუმ დროების
სჩვეოდათ ძველად ხოტბა ეთნიათ...“
„სულ საზეიმო ვწეროთ ოდები!
გვეყოფა, ძმაო, ხომ სულერთია?
გახსოვს, რაც უთქვამს ერთ სატირიკოსს!
„უცხო ყაიდის“ ეშმაკ ლირიკოსს
უფრო აიტან ვიდრე ჩვენსავე
მლექსავებს — მუდამ სევდით
მკვნესარებს?“

„მაგრამ უმწეოდ ჩანს ელეგია
მიზანუსახო, მიზანსაწყალი,
როცა ოდაა მიზანმაღალი,
კეთილშობილი...“ აქ შემიძლია
კამათი, მაგრამ რაღაც მაჩუმებს;
ორ საუკუნეს არ წავაჩხუბებ.

### XXXIV

დიდებისა და თავისუფლების,
თაყვანისცემით ოდებს შეთხზავდა
ლენსკი, ამყოლი შმაგი ფიქრების,
მაგრამ ისინი ოლგას შეზარდა.
სატრფოს წინაშე მგოსნებს ცრემლებანს
ლექსის წაკითხვა თუ გღირსებიათ?
ამბობენ, ქვეყნად სხვარამ საჩუქარს
ვერსად ჰპოვებთო მასზე სანუკვარს.
მართლაც ნეტარარს კდემადქცეული,
თავის ოცნებას ვინც მას უკითხავს
საგანს ლექსისას, სიყვარულისას,
რომ ბნდება ამოდ მინაზებული!
ნეტარარს... თუმცა ლამაზს იქნება
იმდროს სრულიად სხვა ეფიქრება.

### XXXV

მე კი ოცნების ნაყოფს მადლიანს
და კეთილხმოვან სიტყვათქმედობას
ვუკითხავ მხოლოდ მოხუც გადიას,
ჩემი ბავშვობის ძვირფას მეგობარს,
ან რომ მოვრჩებით სადილს შესაწყენს,
მეზობელს ჩვენთან თვალს თუ შევასწრებ,
ჩავეჭიდები იმწამს კალთაზე
და ტრაგედიით მივაფალასებ.
ანდა (ხუმრობით კი არ გაცინებთ),
ჩემს ტბას მარტოკა როცა გარს ვუვლი,
სევდით და რითმით ჩამოქანცული,
გარეულ იხვებს შიში აციებთ:
ისინი ტკბილი ჰანგით ფრთხებიან
და ფრინდებიან ნაპირებიდან.

### XXXVI. XXXVII

ევგენი რას იქმს? ძმებო, დროული
იყო შეკითხვა. გთხოვთ მოთმინებას,
მისი საქმენი ყოველდღიური
ახლავ წვრილ-წვრილად გეცოდინებათ.
ცხოვრობდა მსგავსად ანახორეტის
და შვიდ საათზე იგი ყოველთვის
ზაფხულში, დილის ხალათჩაცმული,
მთისძირ ჩქრიალა წყალთან ჩასული,
ჰგავდა გულნარას გულად ტრუბადურს;
ისიც ჰელესპონტს გადასცურავდა;
მერე შინ თავის ყავას წრუპავდა,
თან თვალს ავლებდა ჟურნალს უბადრუკს
და ტანთ იცვამდა...

### XXXVIII. XXXIX

გავლა-გამოვლა, კითხვა, ღრმა ძილი,
ჩრდილი ტყისა და მღერა ჭავლისა,
კოცნა ცოცხალი, ჯერ არდაცდილი
თვალებგიშერა ქერა ქალისა.
ცხენი — ფიცხელი, აღვირსნაჩვევი,
სადილი — მუდამ გამოსარჩევი,
ზედ თეთრი ღვინო დასაყოლებლად,
განმარტოება და საყდროვნება:
აი ევგენის წმინდა ცხოვრება;
იგი უგრძნობლად რომ დაბალითდა,
ზაფხულის ნათელ დღეებს არ თვლიდა,
ისე განაცხრო სიამოვნებამ;
არ იხსენებდა ქალაქს, მეგობრებს
და არც მოსაწყენ ზეიმ-ღრეობებს.

### XL

ჰგავს ჩრდილოეთის ჩვენი ზაფხული
სამხრეთულ ზამთრის კარიკატურას,
ვიცით, წამს ქრება წამს ჩასახული,
წამით არ ვუმხელთ მაინც სამდურავს.
ცა შემოდგომის უკვე ქშინავდა,
უკვე ბრწყინავდა მზე იშვიათად,
უკვე იკლებდა დღე სასურველი,
იდუმალური ტყის საბურველი
ხმანაღვლიანად იძარცვებოდა.
ველებს ეფინა ნისლის ბანდები
და ქარავანი მკივან ბატების
სამხრეთისაკენ იძაგრებოდა.
მალე მოწყენის ჟამი დარეკდა,
იდგა ნოემბრის დარი კარებთან.

### XLI

ცივ კუნაპეტში დგება რიჟრაჟი,
მინდვრად შრომის ხმა აღარ გაისმის,
გზაზე გამოდის მგელი წყვდიადში,
მოსდევს მშიერი ძუკნა თავისი.
მათ სუნს დაგეშავს ცხენი სამგზავრო,

დაიფრუტუნებს, მგზავრიც სასწრაფოდ
რაც ძალა შესწევს, გორას აჰყვება.
მწყემსს უთენია არ ენაღვლება
ზროხის გარეკვა, ვით დღე წასული;
ვერც შუადღისას მისი საყვირით
თავს ვერ მოიყრის სოფლის ნახირი.
ქოხში სიმღერით ართავს ქალწული,
და, მეგობარი ზამთრის ღამეთა,
იწვის, ტკაცუნობს კვარი სარკმელთან.

XLII

და აი, ყინვის ტკაცანს ჰბარდებით,
ველებო, ვერცხლი რომ დაგმჩნევიათ!..
(მკითხველი ელის რითმას ვარდებით,
აჰა, წაიღე ჩქარა... შენია!
ახალ პარკეტზე უფრო მოდურად
ბრწყინავს მდინარე, თოშით მორთულა.
მცირეწლოვანი და მხიარული
დაციგურაობს ხალხი ხმაურით.
ბატი მსუქანი, წითელლასტება,
ცურვის სურვილით წყალთან მისულა,
აბიჯებს ფრთხილად, დარბაისლურად,
მაგრამ სხლტება და ყინულს ასკდება.
პირველი თოვლის დაკრთის ნათელი,
ძირს ვარსკვლავებად ცვივა ფანტელი.

XLIII

ამ დროს ყრუსოფლად ხარ უსაქმური,
გაისეირნებ? არც ეს გიშველის.
და უნებლიედ თვალს უსახური
ერთფეროვნება ქანცავს შიშველი.
ტიალ ტრამალზე გინდა ჭენება,
მაგრამ შენს ტაიჭს რა ეშველება —
ყინულს რომ წაკრავს ნალებს გაცვეთილს,
დაუცდი — როდის დაენარცხებით?
გინდა უკაცურ ჭერქვეშ იკითხო
წიგნები პრადტის ან ვალტერ სკოტის?
არ გსურს? დალიე ან გაბოროტდი,
ხარჯის დავთარი არ დაივიწყო.
ხვალაც ასეთი გრძელი საღამო
გავა და მალევ ზამთარს საამოდ.

XLIV

ონეგინს თანგავს ფიქრი, სიზანტე,
სულ ჩაილდ ჰაროლდს ბაძავს ამაში:
გამოიღვიძებს და გაფიცვრამდე
ზის ყინულოვან აბაზანაში.
მერე შინ ფიქრებმოჯარებული,
ხელში ბლაგვკიამომარჯვებული
აღარ შორდება იგი დილიდან-
ორბურთულიან ძვირფას ბილიარდს.
როცა სოფელში მწუხრი მოდგება,
თმობს ის ბილიარდს, კიას, მაშინვე,
ბუხართან ხვდება სუფრა გაშლილი,
ევგენი სტუმარს დაელოდება.
ლენსკიც მოაფრენს ეტლს სამცხენიანს;
ჩქარა, სადილი სანამ ცხელია!

XLV

კლიკოს ქვრივის თუ მოეტისაა,
სუფრაზე იმწამს, ზედაშესავით,
გათოშილ ბოთლით პოეტისათვის
შემოაქვთ ღვინო შესანიშნავი.
ჰგავს იგი წყაროს ჰიპოკრენისას,
თამაშობს ქაფის მიმოფენისას;
ერთდროს მხიბლავდა, თავს მაწონებდა,
ლაციცით რაღას არ მაგონებდა.
მისთვის რამდენჯერ (გახსოვთ მეგობართ?)
წვლილი გავიღე უკანასკნელი.
ზღაპრული ჭავლით უკვდავთ სასმელი
ბადებდა ჩვენში რამდენ შტერობას,
რამდენ ხუმრობას, ლექსებს, სიხარულს,
კამათს და რამდენ სიზმარს მხიარულს!

XLVI

კარგია, ოღონდ არას მარგია,
შუშხუნა ქაფით კუჭს მუხანათობს,
ბორდოს შევეწყე მე მის მაგიერ
კეთილგონიერს და უღალატოს.
აის ალარსმა არ მავალალებს,
აი მახსენებს ლამაზ საყვარელს,
ბრწყინვალეს, ცინცხალს,
ამბორდალოცვილს,
მაგრამ თავნებას და გონგამოცვლილს.
ძმებო, ბორდოა ჩვენი ძმობილი,
ჭირში საშველად და სამსახურად
ყველგან, ყოველთვის ამხანაგურად
იდგა, ახლაც დგას გულსდანდობილი,
წყნარ მოცალების დროსაც იდგება.
მაშ ჩვენს მეგობარ ბორდოს, დიდება!

## XLVII

ცეცხლი ჩამქრალა; ძლივს ეფარება
ოქროს ნაკვერჩხალს ნავლი-ნაცარი,
ძლივსშესამჩნევად იწევს რკალებად,
ტრიალებს ბუღი და ალდამცხრალი
ბუხარი სითბოს ძლივსღა გამოსცემს;
ჩიბუხების კვამლს თვისკენ აცოცებს.
სუფრაზე ბროლის თასი შიშინებს,
მწუხრი იერთებს ჩრდილთა სიხშირეს.
(მიტაცებს ძმურად აყბედებული
სუფრა, ღვინის სმა ტოლ-მეგობრებთან,
მაშინ როდესაც ჟამი მოდგება
მგელს და ძაღლსშუად სახელდებული,
რატომ? არ ვიცი, მეც ვიმეორებ!)
დროა დავუგდოთ ყური მეგობრებს.

## XLVIII

,,სხვა? მეზობლები და ტატიანა
როგორ არიან? მითხარ, მაღირსე;
როგორ გყავს შენი ოლგა ცქრიალა?“
,,ჭიქა ნახევრად კიდევ ამივსე.
კმარა, გეთაყვა, გაგიხარიან
სალამს გითვლიან, კარგად არიან.
აჰ, ოლგას მხრები, მკერდი რა ნაზად,
რარიგ აევსო!.. რა გალამაზდა!..
რა სულგრძელია! ერთად ოდესმე
მივალთ, მოგხიბლავს დების მშვენება;
თორემ რასა ჰგავს, მათ მოჩვენებად
ორჯერ ეჩვენე და ჩამოეხსენ.
ოჰ, შტერს მღალატობს თავი წყეული:
იმ კვირას მათთან ხარ მიწვეული“.

## XLIX

,,მე?“ — დიახ, სწორედ ტატიანასი
შაბათ საღამოს არის დღეობა;
გთხოვენ ოლენკა და დედამისი:
ვერაფრით ახსნი მოუსვლელობას“,
,,ხალხი დაგვხვდება იქ უამრავი.
ბრბო მოსაწყენი და გულამრევი“, —
,,მჯერა, მომსვლელი მათთან არ არის,
შინაურების გარდა, არავინ!..
წამო, თუ გინდა ხათრის გაწევა!“ —
,,მოვალ“ — ,,კარგი ხარ“ — თქვა და
მგოსანმა
ჭიქა ასწია, მთლად გამოსცალა
მეზობლის ქალის პატივსაცემად;
და კვლავ ოლგაზე მოჰყვა საუბარს:
ასე სჩვევია ტრფობას სანუკვარს.

## LX

ხარობდა... ვადამ გაახალისა,
რაც ორი კვირის შემდეგ დგებოდა;
მას ხვაშიადი პირველ ღამისა
ტრფობის გვირგვინით ეგებებოდა,
ელოდა სიტკბოდ და აღტაცებად:
ჰიმენეს ზრუნვას, ნაღვლით ავსებას,
გულგაციებულ რიგს მთქნარებათა
იგი სიზმარშიც კი არ ხედავდა.
ჰიმენეს მტრისთვის ერთფეროვანი
ცოლქმრული ყოფა მუდამ შეიცავს
წყებას შესაწყენ სურათებისას,
ვით ლაფონტენის თარგის რომანი...
საბრალო ლენსკი, გულსმინდობილი
ამ ცხოვრებისთვის იყო შობილი.

## LI

უყვარდათ იგი, ასე ეგონა,
სწამდა და თვლიდა თავს ბედნიერად;
ასგზის ნეტარარს, ვინც დაემონა
რწმენას, და სიტკბოს ნთქავს ნებიერად,
ცივი გონებით, ეჭვის გარეშე,
ვით მთვრალი მგზავრი ღამის სათევში,
ვით გაზაფხულზე ნაზი პეპელა
სწოვს მათრობელა ყვავილს ნელნელა.
მაგრამ ცოდოა, ვინც წინასწარვე
განჭვრეტს ყველაფერს, თავბრუ არ ესხმის,
და რაც მოძრაობს, სიტყვად რაც ესმის —
გააზრებული სძაგს და ამწარებს.
მის გულს ცხოვრების სუსხი მისწვდება
და ეკრძალება თავდავიწყება.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე*

# ფაუსტი

## ტრაგედია

### *მიძღვნა*

კვლავ ჩემსკენ მოხვალთ, ხატებანო დაუდგრომელნო,
უწინაც ხშირად რომ მწვევიხართ ბუნდოვან სახით.
იქნებ დღეს მაინც მოვახერხო ასახვა თქვენი,
თუკი ძალმიძს, რომ კვლავ აღვინთო ამგვარი ზრახვით.
ვეღარ გიოკებთ! ჰა, ცოცხლდება ოცნება ძველი,
ჩემს გარეშემო მორიალე აჩრდილთა ნახვით...
და, აყოლილი თქვენგნით მოგვრილ ჯადოსნურ ნისლებს,
ეს ჩემი გული ჭაბუკურად აძგერდა ისევ.

აწ სიხარულის ზმანებანი მოგაქვთ თქვენ ჩემთან, —
საყვარელ ჩრდილებს თითქოს ჩემსკენ მოუწევთ გული
და მახსენდება, ვით ზღაპარი გარდასულ დღეთა,
პირველი ტრფობა, მეგობრობა და სიყვარული.
ცოცხლდება გულის იარები და ძველი ელდა,
ცხოვრების გზა რომ იყო რთული და დახლართული..
მახსენდებიან, ვინც ამ გზებზე ჩემთან იარა
და წუთისოფელს გამოსწირა ბედის ტრიალმა.

შემდგომდროინდელ ჩემს სიმღერას ვეღარ მოისმენს,
ვინც მომსწრე იყო პირვანდელი სიმღერებისა.
დაირღვა დასი მეგობართა რვალივით მტკიცე,
ვაგლახ, ექოც კი შეწყვეტილა ძველი ქებისა!
დღეს ეს გოდება განსაკითხად ბრბოს უნდა მივცე
და გულს მიზეზი გასჩენია შეშფოთებისა.
და იგიც, ვისაც ვუყუჩებდი გულის იარებს,
თუ ცოცხლობს კიდევ, ქვეყნად მარტო დახეტიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც შმაგი, თუმც დღეს უკვე დამცხრალი ლტოლვა,
სულების მყუდრო სავანეში მიმექანება.
ეოლოსის ქნარს ჰგავს სიმღერა და მისი თრთოლვა
სულს უცნაურად იტყვევებს და ენანავება.
გრძნობამ დამძლია და თვალთაგან ცრემლმა გზა ჰპოვა,
ეს გული ისევ თვინიერი და სათნო ხდება.
აწმყო წარსულში იხევს უკან, ედება რული
და რაც გამქრალა, სინამდვილე მგონია სრული.

---

### კროლოგი თეატრში

დირექტორი. პოეტი. კომიკოსი.

დირექტორი

თქვენ ორივენი მუდამ მშველოდით,
თუკი ვყოფილვარ საფრთხის წინაშე.
დღეს კი, რას იტყვით, გერმანიაში
რა წარმატებას უნდა ველოდეთ?
სიამოვნებით მსურს ავავსო ჭრელი ბრბოს გული,
რადგან ჩვენც მისით მოგვეძევა ცხოვრების წყარო.
სცენა მზად არის საგანგებოდ შეაღმართული
და ხალხი უკვე წინასწარვე ზეიმობს, ხარობს.
მაყურებელნი სხედან ირგვლივ სმენადქცეულნი
და მზად არიან ტაშს გვიკრავდნენ გადარეულნი.
ვიცი ბრბოც, მისი ხასიათის მიმართულებაც,
მაგრამ დღეს მაინც შიშის გრძნობას ვეღარა ვდევნი;
მას ჩვენი თითქმის არაფერი დაეწუნება,
თუმცა ნაკითხი უნდა იყოს მათ შორის ბევრი.
და როგორ უნდა მივაღწიოთ, ბოლოს და ბოლოს,
დღეს ჩვენი დადგმა მაყურებელს რომ მოეწონოს?!
გამოგიტყდებით, დიდად მიყვარს იმისი მზერა,
როცა ბრბო ბორგავს და ცალაროს კარს აზანზარებს,
როცა აწყდება ვიწრო სარკმელს და ისე ღელავს,
თითქოს ელტვოდეს სასუფევლის დაგმანულ კარებს.
რამდენჯერ მახსოვს, ჯერ კიდევ მთლად შუადღის გულზე,
სალაროს კართან წეწვა-გლეჯა, გინება მქისე;
როგორც გვალვიან წელიწადში ერთ ლუკმა პურზე,
ისე უგრეხდნენ ბილეთისთვის ერთმანეთს კისერს.
ეს ჯადოქრობა პოეტკაცის უნარი გახლავთ,
ო, მეგობარო, სასწაული გვიჩვენე ახლაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პოეტი

დამეხსენ, ბრბოზე აღარა მსურს მე შენთან დავა,
რომლის მარტოდენ დანახვაც კი შხამს გვიღვრის სულში
და, ჩვენი მტკიცე ნებისყოფის მიუხედავად,
გვაბამს ამაო მისწრაფების მღვრიე ფერხულში.
მე მსურს მარგუნო სამყოფელი ციური მარად,
წმინდა სიხარულს სადაც პოეტს არავინ უშლის,
სადაც ტრფობა და მეგობრობა კურთხევით სავსე
ღმერთების ხელით სანეტაროდ გვეფრქვევა თავზე.

რაც აღმოსკდარა ჩვენი გულის სიღრმიდან ზევით,
რაც კი რამ ორთოლვით წარმოუთქვამთ ბაგეებს ჯერეთ,
რაც შეგვიქმნია ან რის შექმნაც ვერ შევიძელით,
მსახვრალი წუთი შემუსრავს და გააცამტვერებს.
ისეც მომხდარა, გარდასულა მრავალი წელი,
კვლავ აღდგენილა ის უწინდელ სრულყოფით მერე.
გარეგნულ ბრწყინვას წამიერი აქვს აღმაღლობა,
ჭეშმარიტი კი გადასწვდება შთამომავლობას.

### კომიკოსი

ნეტავ ეს სიტყვა მე საერთოდ არც კი მსმენოდა!
წარმოიდგინეთ, მეც დამეწყო მასზე მსჯელობა,
დღეს ჩვენს თაობას ოხუნჯობით ვინ გაართობდა!
იგი კი ამას მოითხოვს და ღირსია კიდეც,
რომ მის ამ თხოვნას კანონიერ თხოვნადა ვთვლიდეთ,
ამას კი ხალხი ჩემს გარეშე სხვას ვის ანდობდა!
ვისაც ძალუძს, რომ მოაწონოს თავი დღეს ყველას,
ის ბრბოს მოლოდინს არასოდეს არ გაამტყუნებს;
რაც უფრო მეტი ბრბოა მის წინ, მეტ აღმაფრენას
გამოიჩენს და ადვილადაც მოხიბლავს გულებს.
მაშ უფრო მეტი მოხერხება და ძალა გმართებთ,
ფანტაზიასაც არ მიუძღვის აქ წვლილი მცირე:
ჭკუით, გონებით და ვნებებით როს მოგფენთ ნათელს,
სისულელესაც მცირეოდენს ნუ ითაკილებთ!

### დირექტორი

განსაკუთრებით იმას უნდა ეცადოთ ახლა,
რომ ძალზე ბევრი მოქმედება იყოს და ხალხმა
ჯერარნახული გატაცებით უმზიროს სცენას
და დავიწყებას მისცეს ქვეყნად სხვა ყველაფერი.
და თუკი თქვენ ეს შეიძელით, მოგეცათ ლხენა,
კიდით კიდემდე გავრცელდება სახელი თქვენი.
მრავლის დაპყრობას ისევ მრავლით თუ შესძლებს კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც სუყველას ხვდება ალბათ თავისი წილი.
ვინც ბევრს იძლევა, იგი ყველას არგუნებს ნაწილს,
და თეატრიდან წავა ხალხი შინ კმაყოფილი.
თუკი მოხერხდა ნაწილ-ნაწილ გაცემა მთელის,
ამგვარ შეჭამადს წარმატება უთუოდ ელის.
სწორედ ასეთი შეჭამადი მოხარშოთ იქნებ!..
ან რისთვის უნდა გასცეთ მთელი, როდესაც იქვე
ნაწილ-ნაწილად დაჰგლეჯს იმას მაყურებელი?

პოეტი

ნუთუ ვერა გრძნობთ, თუ რაოდენ ამცირებთ ამით,
დანიშნულებას ჭეშმარიტი ხელოვნებისას?
სჩანს, რომ უნიჭო მჯღაბნელების ნაჯღაბნი არის
თქვენთვის ნიმუში პოეტური მწვერვალებისა.

დირექტორი

უადგილოა დღეს ამგვარი საყვედურები.
ლამის ვიფიქრო, მეგობარო, რომ თქვენ სრულებით
არ უწყით ის, თუ ვისი გული გაქვთ დასაპყრობი!
მაშ იცოდეთ, რომ ფუტურო ხე გაქვთ გასაპობი
და ვისთვის რას წერთ, აბა, კარგად დაფიქრდით ერთი
თორემ, სად თქმულა, ხელოსანი საქმეს იწყებდეს
და იარაღის ამორჩევას კი ივიწყებდეს!
მოწყენილობის გამო მოდის აქ ზოგიერთი,
ზოგიც სუფრაზე დროსტარებით გაბეზრებული.
ყველაზე მეტად კი ის არის გულდასაწყვეტი,
რომ გაზეთების კითხვისაგან გაოგნებულნიც
მოდიან ხოლმე აქ ენების ასაქავებლად.
მოკლედ, მთელი ამ ფრთაშესხმული, ჭრელი ბრბოსათვის
სულ ერთი არის, თეატრია თუ მასკარადი!
განა ქალებსაც კაბების და სამკაულების
გამოსაფენად არ მოუწევთ აქეთ გულები,
მთლად უფასოდ რომ თამაშობენ ჩვენს საამებლად?
მაშ რაღას აქნევთ პოეზიის მწვერვალებს მაღალს
და ან დარბაზი რით გიზიდავთ დღეს ხალხმრავალი?
შეხედეთ ამ ტლანქ და გულცივ ხალხს და დაინახავთ,
რომ წუთიერი გართობაა მათთვის მთავარი.
ერთი კვლავ ბანქოს სათამაშოდ წავა აქედან
და მეორე კი ქუჩის ქალის კარს მიაშურებს.
და აი ამგვარ მიზნებისთვის ღირს კია, ნეტავ,
რომ აწუხებდეთ კეთილშობილ და მაღალ მუზებს?
დღეს მოქმედების სიუხვით თუ შეიძლებთ მხოლოდ,
ჭრელი ბრბოს გულის მოგებას და ახვევას თვალის.
მაშ შეამზადეთ შეჭამადი გულმისავალი
და უსარგებლო ჩხუბს და დავას მოვუღოთ ბოლო!
მაგრამ რა მოგდით, რად ხართ ასე აღელვებული?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი

გასწი, გამშორდი და მოძებნე სულ სხვა მონები!
ნუთუ პოეტმა უნდა დასთმოს ზეშთაგონების
უზენაესი უფლებანი, ბუნების მიერ
ზეგარდმო ნიჭით მისთვის უხვად მომადლებული?!
რით იპყრობს გულებს შემოქმედის სიტყვა გრძნეული?
და ან ბობოქარ სტიქიონებს რით იმორჩილებს?
განა არა იმ ჰარმონიით, ჩვენ აწ და მარად
რომ გვევლინება პოეზიის შნოდა და ძალად?!
როცა ბუნება თითისტარზე ართავს და ართავს
ძაფს ცხოვრებისას მთლად გულგრილი მქსოველის დარად,
ვინ ამოიცნობს, აბა მითხარ, პოეტის გარდა
ბრბოს ღრიანცელში კაცთა მოდგმის ჭირსა და ვარამს?
ვის შეუძლია, ამ საშინელ ორომტრიალში
მიაგნოს წესრიგს და იგი ჩვენც გვაუწყოს მერე?
მოვლენებს შორის ვინ ამყარებს ღვთაებრივ კავშირს,
ან მწყობრ აკორდად ვინ აერთებს ცალკეულ ბგერებს?
ვნებათა გრიგალს ვინ გვატეხს ან ვინ გვავსებს ლხენით?
დაისის ბრწყინვას ვინ უგალობს ტკბილად და ამოდ?
ვინა რთავს ხოლმე გაზაფხულის ვარდ-ყვავილებით
გზას, რომელზედაც სატრფომ უნდა გამოიაროს?
ვინ წნავს უბრალო ფოთლებისგან დაფნის გვირგვინებს,
ჯილდოდ რომ იღებს მუდამ გმირი გამარჯვებული?
ვინ პყრობს ოლიმპოს? ვინ ამკვიდრებს იქ უკვდავ ღმერთებს?
ადამიანი, პოეტკაცად მოვლინებული!

კომიკოსი

მაშ მოიხმარეთ მშვენიერი ძალა პოეტის
და ზუსტად ისე დაგვიწერეთ ნაწარმოები,
როგორც ამქვეყნად სამიჯნურო ამბები ხდება:
შემთხვევით ვინმე მამაკაცი ქალს გადეყრება,
იწყება ტრფობა, შეხვედრები, ეჭვები, ცრემლი,
გულაცრუება, უსიამო ამბები ბევრი...
ასე რომ, ვერც კი მოასწრებენ მოხედვას უკან
და, ჰა, ხედავენ, რომ რომანი მზად არის უკვე!
სწორედ ასევე უნდა სწეროთ პიესა თქვენი
და, რაც კი ძალგიძთ, ისარგებლოთ ცხოვრების ენით,
რადგან ცხოვრებით ბევრი ცხოვრობს ამ ქვეყანაზე,
მაგრამ ცოტამ თუ იცის რამე ნამდვილად მასზე.
და თუ შესძლებთ, რომ თუნდაც რამე აიღოთ მისგან,
მაყურებელი ჭკუას დაჰკარგავს ინტერესისგან.
ჭრელ და ბუნდოვან მასალიდან თქვენ ძალზე მალე
მოხარშავთ სასმელს, რომელიც ბრბოს ასწავლის რამეს:
ახალგაზრდებსაც — საქმიანი სიტყვის მსურველთაც,
გულჩათხრობილთაც, ჩერჩეტებსაც და უზრუნველთაც.
მელანქოლიურ საზრდოთითაც ალბათ რამდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხიბლება მაშინ თქვენი გამოცხადებით.
თქვენს ხელთ იქნება მათი სულის ყოველი სიმი
და ალბათ ყველა კმაყოფილი დარჩება იმით,
რომ თავის თვალწინ, ჩვენს სცენაზე, ვით სასწაულში,
იხილავს იმას, რასაც თავად ატარებს გულში.
მაღალ სწრაფვათა მიღწევაზე ვინ იტყვის უარს!
მაგრამ გარეგნულ ბრწყინვალებას ელტვიან უმალ.
გამოცდილ კაცს ვერ განაცვიფრებ თუმც ამგვარ რამით,
ყრმა კი უთუოდ მადლობელიც დაგვრჩება ამით!

პ ო ე ტ ი

მაშ დამიბრუნე მეც საოცნებო
დღენი წარსული ჩემი ყრმობისა,
როს ჩემს სიცოცხლეს უსიმღერებოდ
აზრიც არ ჰქონდა არსებობისა.
ოდეს წალკოტში მეგონა თავი
და ყოველ კვირტში სასაწულს ვჭრეტდი,
ოდეს უამრავ ყვავილსა ვკრეფდი
წარმტაც ველებზე ოცნებით მთვრალი...
არაფრის მქონეს ბედნიერების
ოდეს გამაჩნდა შეგრძნება სრული,
და მეოცნებეს ჭეშმარიტების
დასამყარებლად მერჩოდა გული.
ო, დამიბრუნე ჭაბუკურ გრძნობით
გამთბარი სიტყვა, ტკივილი, სევდა,
ზიზღის სიმძაფრე, უნარი ტრფობის
და სიხალისე გარდასულ დღეთა!

კ ო მ ი კ ო ს ი

ეხ, სიყრმის წლები, მეგობარო, საჭირო არის,
თუ ბრძოლის ველზე მოგეძალა ბოროტი მტერი,
ან თუ ლამაზმა ასულებმა დაგადგეს თვალი
და მათ ხელიდან ველარაფრით ვერ დაუძვერი.
ან ტოლებს შორის სირბილში თუ დაფნის გვირგვინის
მოსაპოვებლად გამარჯვება გჭირდება სრული,
ან ლხინით დაღლილს თუ მოგელის შენ ისევ ლხინი
და ღამეული დროსტარება წრეგადასული.
მაგრამ ნაცნობ სიმთ აჟღერება და საგანგებოდ
ამორჩეული მიზნისაკენ ჯიუტი სწრაფვა
თქვენი ვალია საპატიო, ხანდაზმულებო,
ჰოდა, საქმენი სანაქებო გვიჩვენეთ, აბა!
სწორედ თქვენ ძალგიძთ ასე ტკბილად და ასე ამოდ
გამოიწვიოთ აღტაცება ჩვეული გზნებით!
ვინ სთქვა, სიბერე ბავშვობაში უკუსვლააო?!
პირიქით, სულის ამოხდამდე ბავშვებად ვრჩებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დირექტორი

როგორცა ვხედავ, ურთიერთდავას
და კომპლიმენტებს არ უჩანს ბოლო.
როგორ გგონიათ, არ სჯობდა განა,
ჩვენ ჩვენს საქმეზე გვეზრუნა მხოლოდ!
რას აიჩემეთ ეგ აღმაფრენა!
მერყევს ის მუდამ გაურბის განზე.
თუ პოეტი ხართ, გვიჩვენეთ ჩვენაც,
როგორ მბრძანებლობთ პოეზიაზე.
მშვენივრად იცით, რაზედაც ვწუხვართ,
ჩვენ გვსურს მაგარი სასმელის წრუპვა!
მაშ შეამზადეთ თქვენ იგი მალე,
რადგან დღევანდელ საქმეებს ხვალე
ვეღარ უშველის ვეღარაფერი.
ამიტომ, საქმეს იწყებთ თუ არა,
მას ისე უნდა მოჰკიდოთ ხელი,
რომ წარმატება უცილობელი
თქვენს ნამოქმედარს თან ახლდეს მარად.
კარგად იცით, რომ გერმანულ სცენას
ზოგი რით ამკობს და ზოგიც რითი.
ნურც თქვენ გექნებათ ნურაფრის რიდი
და ნუ დაზოგავთ ქვესკნელს და ზენას;
ნურც მანქანებს და დეკორაციებს,
ნურც დიდ ციურ შუქს და ნურცა მცირეს,
ნურც წყალს, ცეცხლს, კლდეებს, ცხოველებს, ფრინველთ
და ნურც ვარსკვლავთა კაშკაშა მწკრივებს.
ამ კედლებს შორის მზრუნველი ხელით
ისე ჩასტიეთ სამყარო მთელი,
ციდან პირდაპირ მიწაზე გავლით
ქვესკნელშიაც რომ ამოვყოთ თავი.

---

## პროლოგი ზეცაში

უფალი. ციური ძალნი. შემდეგ მეფისტოფელი.
წინ გამოდის სამი მთავარანგელოზი.

### რაფაელი

დიდი ხნის წინათ დადგენილ წესით,
მზე თანამოძმე სფეროთა წყებას,
ქუხილისებრი გუგუნით ამცნობს
წინასწარდათქმულ გზის დამთავრებას.
ჩვენ ამის ხილვა ძალასა გვმატებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც კი მის სიღრმეს, ვინ უნდა სწვდესა!
შენი მსახურნი, უფალო, ნათელს
ისე შევხარით, ვით პირველ დღესა.

გ ა ბ რ ი ე ლ ი

და დედამიწაც მზის ირგვლივ ისე
ბრუნავს სისწრაფით მიუწვდომელით,
რომ სამოთხისებრ დღის ნათელს მყისვე
სცვლის შემზარავი უკუნი ბნელი.
ზღვამ ლამის კლდენი გადაანგრია,
თუმც ზღვაც და კლდენიც ყოველთვის ასე
დედამიწასთან ერთად დაჰქრიან,
მისი სფერული არსობის გზაზე.

მ ი ქ ე ლ ი

და გრიგალებიც ზღვასა და ხმელზე,
ერთიმეორეს შეჯიბრებულნი,
აღარ ფიქრობენ სხვა არაფერზე,
ოღონდაც ნგრევით იჯერონ გული.
მეხის დაცემას წინ ელვა უძღვის,
მაგრამ, უფალო, ანგელოზთ კრება,
ისე შეჰხარის, ვითარცა უწინ,
მაგ შენი მშვიდი დღის მდინარებას.

ს ა მ ი ვ ე ნ ი

ჩვენ შენი ხილვა ძალასა გვმატებს,
თუმც კი შენს სიღრმეს ვინ უნდა სწვდესა!
მაღალ ქმნილებებს და ღვთიურ ნათელს
ისე შევხარით, ვით პირველ დღესა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რადგან, უფალო, ჩვენი შეყრა კვლავაც ინებე,
ჩვენთა საქმეთა მოსასმენად და განსასჯელად,
ვიცოდი, რომ დღეს არც ჩემს ნახვას ითაკილებდი,
მიტომ გავბედე ამათ შორის მეც გამოჩენა.
მაღალფარდოვან სიტყვების თქმა, რა ვქნა, არ ვიცი
და ნუ გამკილავს ამისათვის დასი რჩეული;
თანაც პათოსი შენ ამგვარი მოგგვრიდა სიცილს,
უფალო, სიცილს რომ არ იყო გადაჩვეული.
პლანეტებისა თითქმის არა გამეგება რა,
რადგან მე უფრო მიწიერი საქმე მებარა:
დედამიწის ის უცნაური პატარა ღმერთი
უკმაყოფილო არის კვლავაც თავისი ხვედრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ თავს უფრო არხეინად იგრძნობდი შენცა,
მისთვის ციური ნაპერწკალი რომ არ მიგეცა.
იგი გონებას უწოდებს მას და მისი ძალით,
პირუტყვობაში ქვეყანაზე არა ჰყავს ცალი.
შენის ნებართვით ერთი რამეც გაგანდო მინდა:
ის გრძელფეხება კალიასაც წააგავს დიდად,
გაუთავებლად ბალახში რომ დახტის და წვალობს
და თავის დღენი სულ ერთსა და იმავეს გალობს.
ნეტავ იმდენი მოსაზრება მაინცა ჰქონდეს,
იჯდეს ბალახში და წუმპეში ცხვირს არა ჰყოფდეს.

უ ფ ა ლ ი

კიდევ სხვა რამის თქმაც ხომ არ გსურდა?
სულ საჩივლელად მოხვიდე უნდა?!
ნუთუ იქ შენი მოსაწონი არაფერია?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, უფალო! კაცთა ყოფა ამაზრზენია.
ზოგჯერ იმდენად მებრალება ადამის ძენი,
რომ არც კი მინდა გავუმწარო სიცოცხლის დღენი.

უ ფ ა ლ ი

იცნობ შენ, ფაუსტს?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დოქტორს?

უ ფ ა ლ ი

ჩემს მონას!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ოღონდ ის მეტად უცნაურად გემსახურებათ,
მიწიერ საზრდოს არ იკარებს და სხვა ცდუნებას
აჰყოლია და შორეთისკენ უჭირავს თვალი,
თუმც საკუთარ ნაკლს, სანახევროდ თვითონვე ხვდება;
ზეცას უნდა რომ გამოსტყუოს ვარსკვლავთა ალი,
დედამიწას კი — ყველა სიტკბო-სიამოვნება.
მაგრამ მაინც ის თვალხარბი და მოუსვენარი
ვერც ერთითა და ვერც მეორით ვეღარა ძღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი

თუ ახლა გზაკვალაბნეული მემსახურება,
მას სწორ გზაზედაც გავიყვან მტკიცედ.
მებაღემ იცის, ხე თუ გამწვანდა,
მალე სასურველ ნაყოფსაც მისცემს.

მეფისტოფელი

სანაძლეოს ვდებ, რომ მაგასაც დაჰკარგავთ მალე,
თუ ნებას მომცემთ, რომ ჩემი გზით გავიყოლიო
და გამუდმებით ვსდიო კუდში შინა და გარეთ.

უფალი

დედამიწაზე ვიდრე ცხოვრობს, შენ ამგვარ რამეს
არ აგიკრძალავ, შეგიძლია კუდშიაც სდიო...
ვინც წინ ისწრაფვის, ბევრჯერ ელის შეცდომა მწარე.

მეფისტოფელი

მადლობელი ვარ; მკვდარს ახლოსაც არ გავეკარები!
მკვდრებისგან მუდამ ვცდილობ ხოლმე თავის დაძვრენას;
ვარდისფერ სახის მქონენი კი მმატებენ ლხენას.
მიცვალებულთ თუ გავურბივარ მე აგრე რიგად,
კოცხლებთან კატა-თაგვობანას თამაშიც მიყვარს.

უფალი

კარგი, მაშ გაძლევ შენ იმის ნებას,
რომ სული იგი მშობლიურ წყაროს
ჩამოაცილო და როგორც გნებავს,
სცადო, შენი გზით რომ გაატარო.
მაგრამ შეგრცხვეს, თუ მიხვდები მაინც,
რომ გულმართალი ადამიანი,
გინდაც გაებას ეშმაკის ქსელში,
მაინც ნათელ გზას გაიგნებს ბნელში.

მეფისტოფელი

მშვენიერია! თუმც ვიცი, რომ სულ მოკლე ხანში
ეს დავა ჩემდა სასარგებლოდ გადაიჭრება.
ხოლო ჩემს მიზანს რომ მივაღწევ, მომეცით მაშინ
ამ გამარჯვების საკადრისი ტრიუმფის ნება.
დაინახავთ, რომ მალე ისე გატყვრება მტვერით,
როგორც ცნობილი გველი იგი — დეიდაჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი

მაშ კვლავაც მოდი, თუკი კარგად წაგივა საქმე.
მე მოდგმას შენსას სრულებითაც არ ვემტერები.
უარმყოფელი სულებიდან ყველაზე ნაკლებ
მაფიქრებენ მე შენისთანა გაიძვერები.
ადამიანებს ძალზე ხშირად ედებათ რული,
მაინცდამაინც საქმისათვის არ ერჩით გული.
ამიტომ ხშირად ეშმაკებსაც კი ვაძლევ ნებას,
რომ შეუჩნდნენ მათ და შეჰმატონ ცეცხლი და გზნება. —
თქვენ კი, მოსილნო ჭეშმარიტი შარავანდედით,
დასტკბით ღვთის შვილთა საკადრისი სიტურფის ჭვრეტით!
დაე გფარვიდეთ სიყვარულის ნარნარი ფრთებით,
მარადიული მოქმედების ძალნი რჩეულნი
და თქვენს ფიქრებში შეკრულიყოს უტეხი ნებით,
თუკი რამ არის ბუნდოვანი და იჭვნეული.

ზეცა იხურება. მთავარანგელოზები ჰქრებიან.

მეფისტოფელი

(მარტო)

ჟამიდან ჟამზე ვსიამოვნებ მოხუცთან ბჭობით,
თუმც კი ყოველთვის გავურბივარ მე მასთან დავას.
საამო არის, რომ ასეთი დიდი ბატონი
კაცთმოყვარულად ლაპარაკობს თვით ეშმაკთანაც.

გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ჯორჯანელმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა სამცხელი

# აწყური და აწყურელები

ბორჯომიდან ახალციხის მიმართულებით ოცდაათიოდე კილომეტრს რომ გაივლით, სამცხის ერთ-ერთ დიდ, კეთილმოწყობილ, ბაღვენახებში ჩაძირულ სოფელში აღმოჩნდებით, ეს აწყური გახლავთ.

ვიდრე ახალი აწყურის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, რამდენიმე სიტყვით მისი გმირული წარსული გავიხსენოთ.

აწყური საქართველოს ერთი უძველესი ციხე-ქალაქთაგანი ყოფილა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით კი აქ ჯერ კიდევ VIII — IX საუკუნეებში საეპისკოპოსო ტაძარიც არსებულა. ისტორიულ წყაროებში იგი მოხსენიებულია როგორც „მესხთა დიდებული საყდარი აწყუერი.“

აწყურსა და მის მიდამოებს დღესაც კარგად ატყვია გარდასულ დღეთა სიდიადის ნაკვალევი. შეჰყურებ ზედ მტკვრის პირას, უზარმაზარ კლდეზე აღმართული დიდი ციხის ნანგრევებს და გაოცებს მისი სიმტკიცე და მიუვალობა. აქ ბუნებისა და კაცის ნახელავი ისე შერწყმია ერთმანეთს, რომ გაგიჭირდებათ კიდეც იმის გამოცნობა, თუ სად მთავრდება კლდის ფენა და სად იწყება ციხის კედელი. ამ კლდე-ციხის კედლებზე ბევრი სისხლი დაღვრილა, ბევრჯერ გაუნადგურებიათ აქ მომხვდურთა ლაშქარი.

ციხე-სიმაგრიდან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული სამცხის მეორე საოცრება — აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები. ტაძრის ვებერთელა ეზო-შემოგარენი სავსეა ქვითა სიავისაგან უწყალოდ დაქცეულ — დალეწილი თლილი, ჩუქურთმიანი ლოდებით. ზღვა სინანულის გრძნობას აღვიძრავთ მათი ნახვა! რა საბრალოდ გაბნეულან ქართული ჩუქურთმიანი ლოდები! ნეტავი ოდესმე თუ აღსდგება აწყურის ღვთისმშობელი!... დიახ, ჩვენ გვიკვირს მისი ნანგრევები. მაგრამ რა სანახავი იქნებოდა ტაძარი, თავისი პირვანდელი სახით ჩვენამდე რომ მოეღწია, „თავისი ფართობით აწყურის კათედრალი (საეპისკოპოსო ტაძარი) ყველაზე დიდი იყო მთელ საქართველოში. ფართობით იგი სვეტიცხოველსაც კი სჭარბობსო,“ წერს „სამცხის ხუროთმოძღვრების“ ავტორი პროფესორი ვახტანგ ბერიძე.

მესხთა დიდებული ტაძრის აღზევება XVI საუკუნის პირველ წლებიდანვე იწყება. მას შემდეგ, როცა ბედუკუღმართი ათაბაგების უხეირო პოლიტიკის გამო, მესხეთი ჩამოშორდა საქართველოს ეკლესიურადაც. მესხეთის ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს განუდგა. აწყურში დაჯდა განდიდების მოყვარე, ამაყი კათალიკოსი მაწყვერელი, რომელსაც სამწყსოდ ვრცელი ტერიტორია, მდიდარი მამულები ჰქონდა.

აწყური ბევრჯერ ქცეულა უცხოელ დამპყრობთა შემოსევებისა და თარეშის ასპარეზად. მე-13 საუკუნის 60-იან წლებში მას მონღოლები შემოესივნენ და აოხრეს. მაგრამ ყველაზე დამანგრეველი მაინც 1283 წლის ძლიერი მიწისძვრა იყო. იმ დროის მემატიანე „ჟამთააღმწერელი“ ასე აგვიწერს ამ სტიქიურ მოვლენას: „საფუძვლითურთ შეიძრა ქვეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი. ეკლესიანი, ციხენი სახლნი, ნაშენებნი მოოხრდეს... საყდარი აწყურისა დაიქცა, რამეთუ ყოვლად-წმინდა აწყუერისა ღმრთისმშობელი, ლიტანიობით შესუენებული, საშუალ საყდრისა ესუენა, გუმბათი ჩამოიჭრა და ვითარცა ქუდი კაცისა, ესრეთ თავსა დაერქჳა და დარჩა უვნებლად, ძლიერებითავე მისითა... სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა და

ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“.

აღდგენილი აწყური შემდეგ საუკუნეეებშიც განიცდის თავდასხმებსა და აოხრებას, ამჯერად სპარსელებისაგან: ჯერ შაჰი უზუნ-ჰასანი იკლებს მას, შემდეგ — იაყუბ-ყაენი, მე-16 საუკუნის მიწურულს კი აწყურსა და მთელ სამცხე-საათაბაგოს თურქები იპყრობენ დიდი ხნით. ოსმალომ თითქოს სამუდამოდ მოსწყვიტა დედა-საქართველოს მისი ძვირფასი ნაწილი, ცეცხლითა და მახვილით, მუქარით თუ მოსყიდვა-მოტყუებით იწყო ქართველთა გათურქება — გადაგვარება. მაგრამ მესხი კვლავ ქართველობს, მასში მძლავრად არის ფესვგადგმული ეროვნული ტრადიციები, ენა, რწმენა, ქართველობა!

გადის წლები, საუკუნე ნახევარზე მეტიც და აღმოსავლეთიდან კვლავ იწყებს კიაფს იმედის სხივი უმამაცესი და ბრძენი მეფე-სარდლის ერეკლე მეორის სახით. იგი ხმალამოწვდილი მოისწრაფის ძველი საქრისტიანოს დასახსნელად. პირველი ზღუდე—აწყურის ციხეა გადასალახავი. მაგრამ აწყურის ციხე შვიდი დღე-ღამის განმავლობაში წარბშეუხრელად დგას, მისი კედლები არ იკარებს იმდროინდელი რუსული ზარბაზნების ყუმბარებს. შემდეგ ჰირვეული ტოტლებენის შემაძრწუნებელი ღალატი და ჯარის უკან წასვლა, გამძაფრებული ერეკლეს მიერ თურქი მეციხოვნეების უკუქცევა ციხეში, მერე, ელაზის გადასასვლელი და... ბრწყინვალე გამარჯვება ასპინძასთან!

მაგრამ ამ გამარჯვებას არ შეეძლო და არც მოჰყოლია მესხეთის განთავისუფლება. მესხეთსა და მასთან ერთად აწყურის საბოლოო განთავისუფლება მხოლოდ 1828 წელს გახდა შესაძლებელი. ამ წლის 15 აგვისტოს რუსქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა, პასკევიჩის სარდლობით, იერიშით აიღო თურქთა მთავარი დასაყრდენი — ახალციხის ციხე. მეორე დღეს აწყურის ციხემაც დაყარა ფარხმალი უბრძოლველად.

დიახ, ბევრი მტერ-მოყვარე უნახავს აწყურს თავისი არსებობის მანძილზე. მის გზაზე ბევრ ავისა თუ კეთილისმსურველს გაუვლია ბევრჯერ დაქცეულა და ბევრჯერაც აღუდგენიათ.

აწყურის ციხე და ტაძარი ვახუშტი ბაგრატიონის დროსაც დიდებული სანახავი ყოფილა: „მტკვრის კიდეზედ სამხრით არს აწყვერი. ქალაქი და ციხე დიდშენი... აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენივრად ქმნული, გუნბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა... აქა არს ხიდი მტკვარსა ზედა“, წერს დიდი ისტორიკოს-გეოგრაფოსი.

დღეს, აქა-იქ მკერდშენგრეული და ქონგურებმორღვეული ციხე კვლავ მყარად დგას და ვალმოხდილი სარდალივით მაღლიდან დაჰყურებს სოფელს, ტაძარი საშინლად დაზიანებულია. ეს ტაძარი თურქთა ბატონობის ბოლო წლებში დაინგრა. ნაწილი მისი ჩუქურთმიანი და გათლილი ქვებისა მაჰმადიანებს თავიანთი სახლების კედლებისათვის ჩაუყოლებიათ.

მენშევიკთა მმართველობის პერიოდში შემოსეული თურქების მიერ მესხეთ-ჯავახეთის სოფლების აკლება-აწიოკებამ აწყურელებიც დააფიქრა: ხომ არ ეწევა მათ ისტორია უკან? ხომ არ განმეორდება ძველი შავბნელი ხანა? მაგრამ — არა. ეს იყო ხანმოკლე და უკანასკნელი ავარდნა დენთისა მესხეთის ცაში!

1921 წლის თებერვალში მშვიდობის დილა გაუთენდა აწყურელებს, მთელ მესხეთს. ამ დღეს შეეგებნენ ისინი განმანთავისუფლებელი მეთერთმეტე არმიის ნაწილებს. ამ დღიდან იწყება ახალი აწყურის მატიანეც.

30-იან წლებში, როგორც მთელ ჩვენ სამშობლოში, აწყურშიც, ძველ, კარჩაკეტილ, კერძომესაკუთრულ გლეხურ მეურნეობას ცვლის გაერთიანებული კოლექტიური მეურნეობა. ახალ შინაარს იძენს აწყურელთა ყოფაცხოვრებაც. პირველი გეგმები, პირველი წარმატებები. შემდეგ... ომი! დიდმა სამამულო ომმა აწყურელებსაც შეუცვალა მშვიდობიანი შრომა-შენების განწყობილება, შურისძიების ცეცხლით აღანთო მათი გულები და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლისაკენ მოუხმო. ასობით აწყურელი წავიდა ფრონტზე, წინაპართა მსგავსად მამაცურად იბრძოლა და გამარჯვებული დაბრუნდა. ბევრმაც თავი შესწირა ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფლებას. ბრძოლის ფრონტი კვლავ შრომის ფრონტმა შეცვალა. გამარჯვების სიხარულით აღვსილი აწყურელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ახალი ენერგიით შეუდგნენ ნაომარი ქვეყნის აღდგენა — აღორძინებას.

დღეს ამ დიდებულ ნამაწყვერალზე დიდი საბჭოთა მეურნეობაა გაშლილი.

აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა 1961 წლის აპრილში აწყურის, თისლის, ტყემლანის ეკონომიურად სუსტი, არარენტაბელური კოლმეურნეობებისა და წრიოხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე. ხსენებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებში იყვნენ. ისინი ყოველ სამეურნეო წელს ზარალით ამთავრებდნენ, სათანადო სიმაღლეზე არ იდგა შრომის დისციპლინა.

მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა 1961 წლიდან, როცა ახლადჩამოყალიბებულ მეურნეობას სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის ნიჭიერი სპეციალისტი და ორგანიზატორი ნიკიფორე სარჯველაძე. ნიკიფორე სარჯველაძემ 1941 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობას იწყებს ჯერ კაჰრეთის, შემდეგ თიანეთისა და ადიგენის რაიონების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მთავარ ინჟინრად, შემდეგ დირექტორად სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად. ოცი წლის მუშაობის შედეგად მიღებული მდიდარი გამოცდილება დიდად დაეხმარა მას ახლად დაარსებული მეურნეობის ორგანიზაციულად განმტკიცებისა და მისი ეკონომიური დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ახალმა დირექტორმა იმ თავითვე იგრძნო დიდი პასუხისმგებლობა ახალ პოსტზე და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია აქეთ წარმართა. მან, მეურნეობის პარტიულ კომიტეტთან ერთად, დიდი მაორგანიზებელი სამუშაოები ჩაატარა. პირველ რიგში ბოლო მოეღო ახალგაზრდობის მასობრივ წასვლას სოფლიდან. ახალგაზრდობა ისეთი სოფლისა, როგორიც აწყურია, დიდი ძალაა. ამიტომ მეურნეობის ხელმძღვანელობამ შესანიშნავი ასპარეზი გადაუშალა აწყურელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შრომის, სწავლისა და კულტურული დასვენებისათვის. და რადგანაც ახალგაზრდობა სოფელში დარჩა, იმატა მშრომელთა ენთუზიაზმმა. აღმავლობის გზით წავიდა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები: მიწათმოქმედება, მებაღეობა-მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა. ერთი ხუთად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. 1968 წელს აწყურის საბჭოთა მეურნეობა კიდევ უფრო გამსხვილდა, მას შემოუერთდა საყუნეთის, ზიკილიის, ფერსის, ავარის, გიორგიწმინდის, მუგარეთისა და წინუბნის კოლმეურნეობები. გამსხვილებული მეურნეობის ფართობმა 15600 ჰექტარი შეადგინა. გაყვანილიქნა, არხები, დაიდგა მძლავრი წყალსაქაჩები. დღეისათვის აწყურელები რწყავენ 1300 ჰექტარამდე მიწას. ახლო მომავალში ეს ფართობი 2000 ჰექტარს მიაღწევს.

აწყურის საბჭოთა მეურნეობას დიდი მიღწევები აქვს მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის დარგებშიც. სანიმუშოდ არის მოწყობილი სარძეო-სასაქონლო, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის, მეკურდღლეობის ფერმები. მეურნეობის მეცხოველეები ყოველ წელს ბეჯითად შრომობენ პირუტყვისათვის საიმედო საკვები ბაზის შესაქმნელად, ასობით ჰექტარზე თესენ სასილოსე სიმინდს, საკვებ ჭარხალს, ბარდას. გარდა ამ ნათესი — კულტურებისა, აწყურელებს ვრცელი სათიბები აქვთ ურავლის მთებში, საიდანაც დიდი რაოდენობით ჩამოაქვთ ბუნებრივი თივა-ბალახი. ურავლის მთებშივეა მათი მრავალრიცხოვანი პირუტყვის (30000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი, 10000-მდე ცხვარი) საზაფხულო საძოვრები. მწყემსები იქ 6 თვეს რჩებიან, ოქტომბერში კი გალაღებულ-გავსილი პირუტყვით ბარში ბრუნდებიან.

წინათ საბჭოთა მეურნეობას არ ჰქონდა მეღორეობისა და მეფრინველეობის დარგები. დღეს მათ ფერმებში ასობით ღორი და ათასობით ფრინველია.

მეურნეობის ახალი, მაღალშემოსავლიანი და რენტაბელური დარგია მეკურდღლეობა. ხორცისა და ტყავის წარმოების მიზნით 1970 წელს კუმისის საბჭოთა მეურნეობიდან, ხოლო შემდეგ უკრაინიდან შემოყვანილი იქნა ასობით კურდღელი, რომლის რიცხვმა დღეისათვის 3000 გადააჭარბა.

აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ხილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულისა და კარტოფილის, რძის, ხორცისა, და მატყლის, ყურძნისა და თაფლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებს, დიდი მოგებით ამთავრებს ყოველ სამეურნეო წელს.

1966 წელს აწყურის საბჭოთა მეურნეობა მეშვიდე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

უფრო მეტს მიაღწია საბჭოთა მეურნეობამ მერვე ხუთწლედში. სახელმწიფოს მიჰყიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ტონებში: კარტოფილი — 6202, ბოსტნეული — 4620, ხილი — 1806, რძე — 4292, ხორცი — 1054, მატყლი — 71.4. აწყურელმა მშრომელებმა მერვე ხუთწლედი ოთხწლედში შეასრულეს და 7 მილიონ 831 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებული წარმატებისათვის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ნიკიფორე სარჯველაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი.

აწყურის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ახალი ენერგიით იბრძვიან მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. ხუთწლედი — სამწელიწადნახევარში! —ასეთია მათი გადაწყვეტილება.

აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ მრეწველობაშიც შედგა ფეხი. 1967 წელს აქ გაიხსნა საკონსერვო ქარხანა, რომელიც საკუთარი ნედლეულის ბაზაზე აწარმოებს უმაღლესი ხარისხის კონსერვებს, სხვადასხვა ხილის წვენებს, მარინადებს, მსხლის კომპოტებს. ქარხანა ყოველწლიურად უშვებს 200000 — 250000 მანეთის პროდუქციას, იძლევა 6000 მანეთ მოგებას. აწყურული კონსერ-

ვები ხმარდება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონებს.

შრომის წითელი დროშის ორდენი, საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები, ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომები — აი, ის, რომელიც მეურნეობამ დაიმსახურა თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე.

ახლა უფრო ახლოს გავიცნოთ ის ადამიანები, ვინც აწყურის აწმყოსა და მომავალს ასეთი რუდუნებით აშენებს: აწყურის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 200-ზე მეტი კომუნისტია გაერთიანებული, მათ სათავეში უდგას პარტორგანიზაციის მდივანი ლიანა მარტინენკო. ლიანამ 1960 წელს დაამთავრა აწყურის საშუალო სკოლა და ახლადჩამოყალიბებულ საბჭოთა მეურნეობაში მწველავად დაიწყო მუშაობა. წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. სწავლასა და შრომას კარგად უთავსებდა ერთმანეთს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მეურნეობაში აგრონომად. შემდეგ მას ირჩევენ მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნად. უზომო იყო ლიანას სიხარული, როდესაც ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. იგი დაესწრო რჩეული კომუნისტების დიდ ფორუმს მოსკოვში და შინ დაბრუნებულმა გულწრფელად მოუთხრო მეურნეობისა და რაიონის მშრომელებს იქ ნანახი და განცდილი. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამარჯვებული ლიანას ცხოვრებას უფრო შინაარსიანს ხდის მისი პირადი ბედნიერება. მან შექმნა მშვენიერი ქართული ოჯახი, ჰყავს სამი შვილი. 30 წლის ქალი თავის ლამაზი ცხოვრებით სამაგალითოა მთელ აწყურში.

აწყურის საბჭოთა მეურნეობაში კარგი მუშაობისათვის ბევრმა დაიმსახურა მთავრობის ჯილდო. მათ შორის აღსანიშნავია ლენინის ორდენოსნები: მწველავი ტატიანა მუმლაძე და მეკარტოფილე ევგენია გელაშვილი, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი, მეურნეობის მთავარი აგრონომი, ნაზი მუმლაძე. შრომის წითელი დროშის ორდენები აქვთ მიღებული აგრეთვე ზიკილიის აგროუბნის მმართველს გიორგი გაჩეჩილაძესა და მუგარეთის უბნის ფერმის მწველავს, ცისანა გოგოლაძეს. თავიანთი მაღალი საწარმოო მაჩვენებლით გამოირჩევიან ვასილ ჯინჭველაძის, ტარიელ გასიტაშვილის, გიორგი კაპანაძის, ვენადი ჩინჩალაძის, ანზორ გაჩეჩილაძისა და სხვათა ბრიგადები, სამაგალითო მშრომელია ტრაქტორისტი დიმიტრი პაპიძე. პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მეცხოველეებიც: ფერმის გამგეები მამია ჭანკოტაძე, შაქრო ბლიაძე,.. მწყემსები მიხეილ პლაჭიაშვილი, სოლომონ იაძე, გივი ქებაძე, როსაფი მახათაძე.. მწველავები ჟუჟუნა მუმლაძე, მარუსია მარტინენკო, ნაირა შელაძე, დადული გორგაძე, ციხანა — [illegible]შვილი, ნაირა ლომიძე, დარიკო გოგოლაური, ვენერა გოგოლაური, ბაბალე კახიშვილი, რუსუდან ჩერნიევა, მეკურდღლეობის დარგის მუშაკები გულო ნათენაძე, ნათელა ჯვარიძე, ციცინო ბერიძე. ისინი ძირითადად აწყურის საშუალო სკოლის აღზრდილებია. ბევრმა მათგანმა შრომასთან ერთად უმაღლესი განათლებაც მიიღო ან ღებულობს. რაიონული გაზეთის თითქმის ნომერი არ გამოდის ისე, რომ მასში არ იყოს ლაპარაკი აწყურელთა სასახელო საქმეებზე, მათი მრავალდარგოვანი მეურნეობის შესახებ. ალორძინებულ აწყურზე ბევრჯერ თქმულა სიტყვა ჩვენს პერიოდულ პრესასა და რადიოშიც.

ზემოთ ვილაპარაკეთ აწყურელთა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაზე, მიღწევებზე, გამარჯვებებზე. ყოველივე ეს იქნებოდა ცალმხრივი, უხალისო, უშინაარსო და, თუ გნებავთ, შეუძლებელიც, რომ მეურნეობის დირექცია, პარტიული კომიტეტი დიდად არ იყვნენ დაინტერესებული ცხოვრების მეორე მხარით — კულტურით, განათლებით, სპორტით,. მათი ინციატივით 1962 წელს აწყურის საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყალიბდა მოსამზადებელი კურსები. იმავე წელს 11 ახალგაზრდა მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში. დღეისათვის აქ ასზე მეტ კაცს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება. ისინი უნარიანად განაგებენ მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, აგროუბნებს, ბრიგადებს, ფერმებს. აწყურში არის შესანიშნავი საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკები, საავადმყოფო, კლუბი, უნივერმაღი, ფოსტა-ტელეგრაფი, 90 პატარა აწყურელისათვის შენდება ახალი ბაგა-ბაღი და სხვა.

აწყურის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს მეურნეობაში შემავალი სხვა სოფლების მიმართაც. სოფლებში გაყვანილია გზები, ყველგან დადის ავტობუსი. მთიდან ზიკილიაში, საყუნეთში, წინაუბანში გამოყავთ სასმელი წყალი, ფერსაში შენდება 200-ადგილიანი სასოფლო კლუბი. გასულ წელს დიდად გაიხარეს საყუნეთელებმა; მეურნეობის ხელმძღვანელობამ მათ მტკვარზე ახალი დიდი ხიდი აუგო.

აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებისათვის დაუვიწყარია 1970 წლის 3 ოქტომბერი. ამ დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი სპორტული ნაგებობა, რომელსაც მშვენიერი საფეხბურთო მინდორი, სარბენი ბილიკები, საწვრთნელი და სხვა სპორტული თამაშების ჩასატარებელი მოედნები გააჩნია. ასეთი სპორტული ნაგებობა

 

ალბათ არა აქვს ზოგიერთ საკმაოდ მოზრდილ ქალაქსაც კი.

სტადიონის გახსნა პოეზიის დღეს — შოთაობას დაემთხვა. წრიოხის მთის უბეში მოხერხებულ ადგილას, კოხტად, გემოვნებით ნაგები ვრცელი სპორტული მოედანი ქართული პოეტური სიტყვის ოსტატებს შეეგება. აქ იყვნენ, აგრეთვე, სტუმრები ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. საამოდ შეერწყა „ვეფხვების შემოგარეებს“ საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს ჰიმნები. ბევრი კარგი სიტყვა წარმოითქვა მაშინ. ქართველი მწერლობის სახელით გამოჩენილმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა მხურვალედ მიულოცა აწყურელებს შესანიშნავი სპორტული ნაგებობის გახსნა და ვრცლად ილაპარაკა პოეზიაზე, რუსთაველსა და მესხეთზე... ლექსები წარმოთქვეს კარლო კალაძემ, იოსებ ნონეშვილმა, ელენე დიდიმამიშვილმა, ალექსანდრე გომიაშვილმა, ბონდო კეშელავამ, მწერალმა გიორგი ციციშვილმა, ადგილობრივმა პოეტებმა. შემდეგ ამ უკანასკნელ ხანს კარგი საქმე ითავეს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ, პარტორგანიზაციის ბიურომ და ადგილკომმა. მათ გადაწყვიტეს, რომ შეფობა გაუწიონ ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საბჭოთა მეურნეობას. ამ მიზნით შემუშავებული იქნა ღონისძიებანი, რომელიც საფუძვლად დაედო საშეფო ხელშეკრულებას. მწერალთა კავშირის, პარტორგანიზაციისა და ადგილკომის ხელშეკრულებაში ნათქვამია: შეძლებისდაგვარად მოამარაგოს მხატვრული ლიტერატურით სოფლის ბიბლიოთეკა, მოეწყოს მეურნეობის მშრომელთა შეხვედრები მწერლებთან, ესაუბრონ მათ ლიტერატურის საკითხებზე, გადაეცეს საბჭოთა მეურნეობას ქართველ მწერალთა ახალი წიგნები ავტოგრაფებით, ითანამშრომლონ რაიონულ გაზეთში, ორგანიზაცია გაუკეთონ კრებულის შექმნას, რომელშიც აისახება სოფლის წარსული და დღევანდელობა, შეისწავლიან ადგილობრივ ისტორიულ ძეგლებს და ხელს შეუწყობენ მათ მოვლას. ახალციხეში ჩატარდება დიდი ლიტერატურული საღამო, შეისწავლიან და ჩაიწერენ ადგილობრივ ფოლკლორს. გამოავლენენ და ხელს შეუწყობენ ნიჭიერ მოსწავლე ახალგაზრდობას, დაეხმარებიან სოფლის სახალხო თეატრსა და თვითმოქმედ წრეებს.

ამ ვალდებულების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო მეურნეობის საერთო კრება, სადაც მწერალთა და მეურნეობის მუშაკთა ურთიერთხელშეკრულების დიდ მნიშვნელობაზე ილაპარაკა ახალციხის პარტიის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ სერგო მიკუტიშვილმა. შეკრებილთ ქართველ მწერალთა სახელით მიესალმა და საშეფო ვალდებულება გააცნო მწერალთა კავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ ლადო სულაბერიძემ, რომელმაც საერთო კრებაზე, საჯაროდ, მეურნეობის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 180 დასახელების მხატვრული ლიტერატურა.

დასასრულ, მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკიფორე სარჯველაძემ მადლობა გადაუხადა მწერალთა კავშირს, ამ თაოსნობისათვის და მეურნეობის მუშაკთა სახელით უსურვა მათ წარმატებები შემოქმედებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

აწყურელთა სტუმრები იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები იოსებ ნონეშვილი და თამაზ ჭილაძე, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე, მწერლები: ედიშერ ყიფიანი, ოთარ ჭილაძე, ლადო სულაბერიძე, საქართველოში სტუმრად მყოფი რუმინელი მწერლები დუმიტრუ მ. იონი და მარჩელ პეტრიშორი.

ხალხით სავსე აწყურის მშვენიერ კულტურის სახლში მწერლებთან შეხვედრა გახსნა მეურნეობის დირექტორმა, ნიკიფორე სარჯველაძემ. ის მხურვალედ მიესალმა ძვირფას სტუმრებს, ილაპარაკა მეურნეობის წარმატებებსა და ჯერ კიდევ მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ მეურნეობის შრომითი წარმატებების საკადრისად ჯერ კიდევ შესაფერ სიმაღლეზე არ დგას კულტურული საქმიანობა, და გამოთქვა დიდი სიხარული, ამ საქმეში საქართველოს მწერალთა კავშირმა რომ იკისრა საშეფო დახმარება.

სტუმრებს სიტყვებით მიმართეს და სოფლის ავ-კარგიანობაზე ილაპარაკეს მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ნაზი მუმლაძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ბონდო ლაბაძემ, რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ბექან ხაჩიძემ, ბრიგადირმა ვასილ ჯინჭარაძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსა და გამგეობის სახელით დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა იოსებ ნონეშვილმა. მან აღუთქვა აწყურის მეურნეობის მშრომელებს, რომ მწერალთა კავშირი ღირსეულად შეასრულებს მის მიერ ნაკისრ საშეფო ვალდებულებებს. შემდეგ ი. ნონეშვილმა წაიკითხა ლექსები. სიტყვით გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე. მან აღნიშნა, რომ რედაქცია ყოველთვის სიამოვნებით დაუთმობს ჟურნალის ფურცლებს მხატვრულ ნარკვევებს, რომლებშიც ასახული იქნება აწყურის მშრომელების შრომითი საქმიანობა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა რუმინელმა მწერალმა მარჩელ პეტრიშორმა. ლექსები წაიკითხა პოეტმა ლადო სულაბერიძემ.

შეხვედრას დაესწრო პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი აძირან ძნელაძე-შვილი.

იმავე საღამოს მწერლები ესტუმრნენ ახალციხის სახელმწიფო თეატრს. სტუმრებს ხალხით გაჭედილი დარბაზი მხურვალედ მიესალმა.

თეატრმა წარმოადგინა თამაზ ჭილაძის პიესა „დავიწყებული ამბავი“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნანა დემეტრაშვილმა.

მეორე დღეს ქართველი მწერლები ესტუმრნენ ახალციხის რაიონის სოფელ წნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას. მწერლებმა დაათვალიერეს სანერგე ნაკვეთები.

ადგილობრივი გაზეთის რედაქციის თანამშრომლის თხოვნით მწერლებმა აქვე, მინდორში დაწერეს თავიანთი შთაბეჭდილებანი, სურვილები და რაიონული გაზეთის უახლოესი ნომერი მთლიანად მიეძღვნა ქართველი მწერლების საშეფო ურთიერთობას ახალციხის რაიონის მშრომელებთან.

1970 წელსვე აწყურის საბჭოთა მეურნეობამ მოგების ფონდიდან აიშენა 400-ადგილიანი კულტურის სახლი, რომელთანაც ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ანსამბლი ბევრჯერ წარმატებით გამოსულა რაიონულ და საზონათაშორისო კონცერტებზე.

აწყურის საბჭოთა მეურნეობა კიდევ ერთი მხრივ არის შესანიშნავი: მის ტერიტორიაზე, კერძოდ, აწყურსა და თისელში ქართველების გვერდით ცხოვრობენ დიდი ხნის წინათ გადმოსახლებული უკრაინელები. აწყურში მცხოვრები 500 კომლიდან 60-მდე ოჯახი უკრაინელია. ისინი ყველა ერთ გვარს — მარტინენკოს — ატარებს. თისელში კი — 114 ოჯახიდან ნახევარი უკრაინელია. მათი გვარებია: შევჩენკო, პაშჩენკო, ჩუბკო, რიბაკონი, დუგაროვი, შევკუნი, უსტიმენკო, კოჩეტოვი. საინტერესოა, საიდან, როდის და როგორ გაჩნდნენ ისინი მესხეთში?

სოფელ თისელში მცხოვრები უხუცესი უკრაინელის, 102 წლის პავლე იაგორისძე შევჩენკოს გადმოცემით ეს ხალხი წამოსულა პოლტავიდან, მირგოროდის მაზრიდან, მონაწილეობა მიუღიათ ახალქალაქის, ახალციხის, არტაანის აღებაში. შემდეგ დასახლებულან ბორჯომში. ბორჯომიდან მოქცევსა და წაღვერში წასულან მარტინენკოები, თორში — შევჩენკოები, პაშჩენკოები, ჩუბკოები, და სხვები. 1946 წელს მოქცეველი მარტინენკოები აწყურში დამკვიდრდნენ, თორელები კი — ჯერ საყუნეთში, ხოლო 1948 წლიდან თისელში.

მაინც, როდის უნდა მომხდარიყო უკრაინელების მოსვლა საქართველოში? იგივე პავლე შევჩენკო ამბობს, მამაჩემიც საქართველოშია დაბადებულიო. 1870 წელს, პავლე შევჩენკოს, დაბადების წელს მამამისი 20-25 წლის მაინც იქნებოდა. გამოდის რომ ამ ხალხის წინაპრები 1845-1850 წლებში უნდა გაჩენილიყვნენ საქართველოში. მაგრამ, რადგანაც მათ ახალქალაქის, ახალციხისა და არტაანის აღებაში მიუღიათ მონაწილეობა და ბრძოლების შემდეგ პირდაპირ ბორჯომში დასახლებულან, საქართველოში მათი მოსვლის თარიღი ბუნებრივად გადაიწევს ცოტა შორს, 1827-1828 წლებში მაინც, სწორედ ამ წლებში იქნა აღებული ხსენებული ქალაქები პასკევიჩის მიერ.

ამჟამად აწყურელი და თისლელი უკრაინელები ანუ, როგორც მათ სიყვარულით ვეძახით, ქართველი უკრაინელები, ბედნიერად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველების მხარდამხარ. ისინი, ქართველები და უკრაინელები, დიდი ხანია ღვიძლი ძმებივით ჩაეზიარნენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინში, მათ შორის დამოყვრება-დანათესავებაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

როცა ამბობენ, სოფელსა და ქალაქს შორის განმასხვავებელი ზღვარი იშლებაო, ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი აწყურიცაა. მართლაც აწყური ძალიან წააგავს ქალაქს. ეჭვი არ არის განახლებული აწყური, მისი ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა კვლავაც გამარჯვების გზით ივლის, კვლავაც ახარებს და ამრავლებს თავისი ეკონომიური და კულტურული ძლიერების ნერგს სამცხის კარიბჭესთან!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდამ ჩაჩანიძე

# ნახვამდის, მამულო!

## ნარკვევი

### უკვე მეზღვაური ვარ

1

მესამე დღეა სევასტოპოლში ვარ. თევზსაჭერ ტრაულერ „შოთა რუსთაველზე“ კაპიტნის პირველ თანაშემწედ უნდა დამამტკიცონ. უკვე ვიყავი აზოვ-შავი ზღვის საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილებაში. ჯერ კადრების ინსპექტორმა მიმიღო. თითქმის ერთ საათს მაჯახირა, ხან რას მეკითხებოდა, და ხან კიდევ რას. ბოლოს დარწმუნდა, რომ ზღვაზე შემთხვევითი კაცი არ ვიყავი და კადრების უფროს ჩუხრისთან წარმადგინა.

ჩუხრი უფრო იმით დაინტერესდა, წარმოდგენა მქონდა თუ არა „ტროპიკის“ ტიპის სათევზაო გემებზე. ბოლოს გამიღიმა და გულლიად მითხრა:

— ხდება ხოლმე, მოდიან, საქმე არც იციან და არც აინტერესებთ. ერთს გაისეირნებენ, მერე ქუდს მოგიხდიან და, ნახვამდის. ასეთები ფლოტში არ გვჭირდება. თქვენ ასეთი „ნახვამდის“ არ ჩანხართ.

შემდეგ მე და ჩუხრიმ, რომელთანაც უკვე ვიპოვე ბევრი საერთო, თავი მესამე სართულზე ამოვყავით, მთავარსამმართველოს უფროსის დენისენკოს მისაღებში. ცოტა ლოდინი დაგვჭირდა. ლამაზმა ქალიშვილმა კაბინეტის კარი გაგვიღო.

დენისენკო გულღია, და საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. ამიტომ უხერხულობისა და მორიდების გრძნობა, რომელიც მოსაცდელში მბოჭავდა, კაბინეტში უცბად გაქრა.

— მითხრეს, რომ წიგნი დაგიწერიათ თქვენს პირველ მოგზაურობაზე ტრაულერ „შოთა რუსთაველით“?

— დიახ, დავწერე.

— ვწუხვარ, რომ რუსულად არაა თარგმნილი, მებადურებზე საერთოდ ცოტას წერენ. თქვენ ალბათ კვლავ დაწერთ?

— რასაკვირველია.

— დიდხანს გსურთ ინაოსნოთ?

— ყოველ შემთხვევაში, ხუთ წელს მაინც.

დენისენკო მისადგმელ მაგიდასთან გადმოჯდა; ახლა მე და ის ერთმანეთს სახეში ვუყურებდით.

— თუ ნაოსნობაში ხუთ წელს დაჰყოფთ, გათავდა, მერე ველარასოდეს დათმობთ ზღვას.

— მით უკეთესი.

კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მერე ერთბაშად განმიცხადა, რომ აუდენცია დამთავრებული იყო.

კაბინეტიდან მე და ჩუხრი ერთად გამოვედით.

— ახლა კიდევ კოლეგია, არა? — ვკითხე ჩუხრის.

— არა, თავისუფალი ხარ. კოლეგიაზე უშენოდ დაგამტკიცებთ. შენ კი იჩქარე. რაც შეიძლება, ჩქარა ჩადი ფოთში. გემი გელის, მალე ზღვაში უნდა გახვიდეთ.

პირველ სართულზე ჩუხრის დავემშვიდობე და ქუჩაში გავედი.

დეკემბერი იყო, ბარდნიდა. მაგრად ბარდნიდა.

ასრულდა ბავშვობისდროინდელი ოცნება. უკვე მეზღვაური მერქვა, თანაც კაპიტნის პირ-

ველი თანაშემწე. ეს დღე სათანადოდ რომ აღმენიშნა, ამისათვის სევასტოპოლში ჩამოსვლისთანავე ვიზრუნე. ქალაქში კარგად ცნობილ თერძს წინასწარ შევუკვეთე მეზღვაურის კოსტუმი და ქუდი. ამ მოხდენილ მოხუცთან, რომელიც კარგა მოზრდილ სამკერვალოში ფუსფუსებდა, სარეკომენდაციო წერილი ფოთიდან გამომატანეს.

ტანსაცმელი ექვს საათზე უნდა ყოფილიყო მზად. ახლა ექვსს სულ რამდენიმე წუთი აკლდა, როგორც კი მთავარსამმართველოს შენობიდან გამოვედი, მაშინვე თერძს მივაშურე.

— როგორაა საქმე? — მკითხა მოხუცმა და ეშმაკურად ამომხედა, — მოგილოცოთ თუ...

მე გავიცინე. თერძმა პატარა ფუნჩულა ხელი გამომიწოდა.

— მომილოცავს. აბა, ჩაიცვი

ნელა ვიცვამდი მეზღვაურის შავ კოსტუმს. უზადოდ შეკერილი იყო, ცუდს ვერაფერს იტყოდით. მერე მექუდემ დიდი, შავი ქუდიც მომართვა და...

— აი, მესმის. ახლა სულ სხვა ბიჭი ხარ. შენს ადგილზე ფორმას არასოდეს გავიხდიდი, — თქვა ჭორფლიანმა მექუდემ.

სარკეში ვხედავდი, რომ ჩემს უკან ლამაზი ქალიშვილი იდგა. შემოვბრუნდი.

— თქვენ რას იტყვით, ქალიშვილო?

ქალიშვილმა ცერად გამომხედა.

— მეც იგივეს.

სამოქალაქო ტანსაცმელი, რომლითაც ამ ფრიად პატივსაცემ დაწესებულებაში გამოვცხადდი, იმ ლამაზმა ქალიშვილმა გაზეთში შემიხვია. ვიწრო კარში მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი გამოვედი. სევასტოპოლში კაციშვილი არ მიცნობდა. სწორედ ამ მიზეზით ჩემი ასეთი ჩქარი მეტამორფოზა, სამწუხაროდ, აქ არავის შეუმჩნევია.

თბილისში შუადღისას ჩამოვფრინდი. აეროპორტში ტაქსი დავიქირავე და შინისაკენ გავიქროლე.

მეუღლემ ღიმილით ამათვალ-ჩამათვალიერა.

— მეზღვაური დაგვიბრუნდა, — თქვა და დერეფნის კედელს მიეყრდნო.

— მხოლოდ რამდენიმე საათით.

მეუღლემ კოპები შეკრა. ახლა ის უკვე ჩემ ქალ-ვაჟს შორის იდგა.

— რატომ რამდენიმე საათით? — შიშით მკითხა.

— ფოთში დღესვე უნდა გავემგზავრო. გემი გადის, მეტი გზა არაა.

— რვა თვე ისევ ზღვაში უნდა იყო?

— რას იზამ, ასეთია მეზღვაურის ცხოვრება.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მთელი ცხოვრება ზღვაში გაგეტარებინოს. თემურს რას უპირებ? წელს ამთავრებს საშუალოს, უმაღლესში მისაღები გამოცდები ხომ უნდა ჩააბაროს, პატრონი არ სჭირდება?

ამ პროტესტს უკვე მეასედ ვისმენდი და მეც სტანდარტული პასუხი მქონდა მოფიქრებული.

— აგვისტომდე ზღვაში რა მინდა, ივლისის შუა რიცხვებში აქ ვიქნები.

უსინდისოდ ვცრუობდი, რადგანაც კარგად ვიცოდი, რომ ოქტომბრის ბოლომდე მშობლიურ ნაპირზე ფეხსაც ვერ გადმოვდგამდი. ისე კი, ბიჭის იმედი მქონდა. მისაღებ გამოცდებს რომ ჩააბარებდა, ამაში ოდნავაც არ მეპარებოდა ეჭვი.

* * *

არ მიყვარს წვიმა და ქარი. წვიმა და ქარი ყოველთვის მოწყენილობას ქმნის.

ფოთში ორივე ერთად შემომეგება, აღმოსავლეთის ქარიცა და კოკისპირული წვიმაც. სანამ მანქანას დავიჭერდი, თავსხმამ თავისი საქმე გააკეთა, სულ მთლად გავილუმპე, მერე, როგორც იყო, მანქანა დავიჭირე და ნავსადგურისაკენ გავიქროლე.

„შოთა რუსთაველი“ ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ გამოვიყვანეთ ქარხნის ტერიტორიიდან, სადაც მას თითქმის რვა თვეს არემონტებდნენ.

მაცივართან ჩავუხვიეთ თუ არა, ქუჩის ბოლოში, მე-7 ნავმისაბმელთან ჩვენი გემი დავინახე. ქარი ძალუმად აწვებოდა და გემიც ზანტად ქანაობდა. ხუთიოდე მეზღვაური მისადგომ ბაქანთან ფუსფუსებდა, დამატებითი საბმელებით ამაგრებდნენ გემს. ეს ღონისძიება სწორედ რომ დროული იყო, რადგან ძლიერ ქარს საბმელების დაწყვეტა შეეძლო.

წინა ერდოზე, მოაჯირთან, კაპიტანი იდგა. ნაელონის პალტოს საყელო ბოლომდე აეწია. მხოლოდ თვალები მოუჩანდა. მე იგი ქუდით ვიცანი. პეტრე აბრამია მეზღვაურის მეტად ორიგინალურ ქუდს იხურავდა. ასეთი ქუდი არც ერთ მეზღვაურს არ ეხურა.

— კუკა, გამარჯობა! (პეტრე აბრამიას შინაურობაში „კუკას“ ვეძახდით).

ერთ წუთს საყელოდან თავი გამოყო, გამიღიმა და ხელი დამიქნია.

ტრაპს ავყევი. ქარი ისევ და ისევ უბერავდა. ტრაპი მაგრად ირყეოდა. ბაქანზე გადავედი თუ არა, მაშინვე ჩემს კაიუტას მივაშურე. ნაელონის სველი პალტო სკამზე გადავკიდე, ჩემოდანი კარადაში შევაგდე და, ის იყო დერეფანში უნდა გამოვსულიყავი,, რომ კარზე დააკაკუნეს. კაიუტაში კაპიტანი შემოვიდა.

— გამარჯობა, რაულ!

— გამარჯობა, ჩემო კუკა!

— ხომ ყველაფერი კარგად დამთავრდა?

— რასაკვირველია, დამამტკიცეს.

— მომილოცავს.

კუკამ გადამკოცნა.

— დიდი მადლობა.

— კარგია, რომ დღეს ჩამოხვედი. საღამოთი ზღვაში გავდივართ, შემოწმებაზე. თუ რაიმე დეფექტი არ აღმოაჩნდა გემს, მაშინ ხვალ დილით ბათუმში წავალთ, იქ ავიღებთ საწვავს და ზეგ უკვე გავალთ რეისში.

მე და კაპიტანი ახლა მოაჯირთან ვიდექით და მოწყენილი გავყურებდით წვიმაში ჩამუქებულ ქალაქს.

— ეტყობა არ გადაიღებს, მე წავალ. ჯერ სამმართველოში შევირბენ, მერე შინაც შევიხედავ. ექვს საათზე აქ ვიქნები. ალბათ რვაზე გავალთ.

კაპიტანი გავაცილე, როცა სატრალო გემბანისაკენ ვეშვებოდით, სატრალო ხიდურის ქვეშ, ბაწრებით დამაგრებული პურის ფქვილით სავსე ტომრები შევნიშნეთ. იქვე მომარაგების უფროსი შალვა ბიბილეიშვილი იდგა.

— შალვა, არ დასველდება? — იკითხა კაპიტანმა.

— არა, ბრეზენტებით მაგრად შევფუთე.

— ისე, რომ იცოდე, ფქვილის ასე წაღება სახიფათოა. ღმერთმა ნუ ქნას, გრიგალში რომ მოვხვდეთ, მაშინვე გადაგვაბრუნებს. ხომ იცი, რას ნიშნავს მცირედი სიმძიმეც კი ასეთ ადგილზე, გრიგალში.

— აბა, რა ვქნა, ამხანაგო კაპიტანო, ადგილი აღარაა. ყველგან პროდუქტი მიწყვია. აქ იყოს, გზაზე ადგილი განთავისუფლდება და სადმე გადავიტან.

კაპიტანმა უკმაყოფილოდ შეხედა.

— შენ გგონია, რომ გზაზე გრიგალი არ შეგვხვდება? გრიგალს კი არა, შკვალსაც შეუძლია უსიამოვნება მოგვაყენოს ასეთი ტვირთის გამო.

კაპიტანი წავიდა. ისევ ჩემს კაიუტაში დავბრუნდი და რადისტს სამაცივრო დანადგარების ტექნიკოსი როლანდ ჩარგეიშვილი გამოვაძახებინე.

ჩარგეიშვილი თბილისიდან იყო. ადრე საავიაციო ქარხანაში უმუშავნია კომკავშირის კომიტეტის მდივანი ყოფილა, პარტიული მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდა და მინდოდა მისთვის რეკომენდაცია გამეწია გემის პარტიული ბიუროს მდივნის პოსტზე. იგი მაღალი, მოსული ახალგაზრდა გახლდათ. ადრე სპორტშიც ვარჯიშობდა. ეს ნათლად ეტყობოდა მის აღნაგობას.

— თქვენ მეძახით, ამხანაგო რაულ? — მკითხა მან შემოსვლისთანავე.

— დიახ, ერთ საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ.

— გისმენთ.

— დაბრძანდით.

როლანდი დივანზე დაჯდა.

— ცოტა უნდა მომეხმაროთ, მინდა რეკომენდაცია გაგიწიოთ, რომ პარტბიუროს მდივნად აგირჩიონ.

როლანდი დაფიქრდა.

— შეძლებთ?

— მგონი, შევძლო. რასაც მეტს გავაკეთებ ჩემი გემისათვის, მით უკეთესი. პარტიულ მუშაობას ვიცნობ.

— დიახ, ეს თქვენმა ანკეტამ უკვე მიამბო. ჰოდა, თუ თქვენს გამოცდილებას მონდომებასაც დავუმატებთ, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება.

— ჩემი იმედი გქონდეთ, ამხანაგო რაულ. თუმცა პირველად მოვდივარ რეისში, მაგრამ, ვფიქრობ, არ დავიკარგები. ამტანი კაცი ვარ, ჯანიც მომდევს.

შემდეგ მეორეხარისხოვან საქმეებზე ვისაუბრეთ.

მალე ტრაპს კაპიტანი ამოჰყვა. მასთან ერთად გემზე მოვიდა ჩვენი სამმართველოს ფლოტის ექსპლოატაციის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი ლუარსაბ ჯინჭველაძე.

— გავდივართ, — მითხრა კაპიტანმა.

ეს გასვლა ვიცი, რასაც ნიშნავდა. გემის შესამოწმებლად გავდიოდით. კარგად უნდა გაგვესინჯა ყველაფერი, გაგვეგო ხანგრძლივი რემონტის შედეგები.

ღამით ღუზიდან მოვიხსენით. ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა და გემი მაგრად ირწეოდა. ნავსადგურის ვიწრო გასასვლელში ხომ მძლავრად აწვება ტალღები და ჩვენ ოდნავ დაძაბული ვადევნებდით თვალყურს ტალღებთან ჭიდილს.

გეზი სოჭისაკენ ავიღეთ. ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა. მანქანები, ორი მთავარი და დამხმარეებიც მშვენივრად უძლებდნენ პირველ დატვირთვებს.

გვიან ღამემდე კაპიტნის კაიუტაში ვისხედით. ლუარსაბ ჯინჭველაძე სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. არც მე და რონ იოსავა ჩამოვრჩებოდით... კაპიტანი დივანზე ზურგით ორ ბალიშს მიყრდნობოდა, თვლემდა...

კაიუტაში მთლად გამურული უფროსი მექანიკოსი კოლია ხუბუა შემოვიდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მოუთმენლად ლუარსაბმა.

— ყველაფერი რიგზეა.

— დაჯექი, რა ფეხზე დგახარ, — უთხრა კაპიტანმა.

— ხომ ხედავ, რას ვგავარ, რომ დავჯდე, ყველაფერს დავსვრი. ახლა კიდევ დავხედავ მანქანებს და მერე ცოტას წავიძინებ.

ხუბუა გავიდა. ჩვენც გაგვახსენდა რომ წაძინება იყო საჭირო და კაიუტებს მივაშურეთ. ვარდისფრად მოჩითულ საბანში გავეხვიე და ჩავთვლიმე. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. ძლიერმა ბიძგმა გამაღვიძა. თვალები გავახილე და მაშინვე ჩამრთველი მოვძებნე. შუქი არ აინთო. ახლა მეორე ჩამრთველს შევახე თითი. არც ის აინთო. ჩემი საწოლი ზედ კართან იყო და კარი ისე გავაღე,რომ არც კი ავმდგარვარ. დერეფანშიც სიბნელე და სამარისებური სიჩუმე სუფევდა. აღარ ისმოდა მანქანების დანდგარი, რასაც გემზე ადვილად ეჩვევა ადამიანის სმენა. სამაგიეროდ ჩემამდე აღწევდა გემზე მიმსხვრეული ტალღების შრიალი,

რაც ზღვის ლოგიკით მანქანების გნიასში უნდა ჩაკარგულიყო და არ უნდა მომესმინა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ციოდა და ობილი ლოგინის დატოვება ადვილი არ იყო, ფეხები შარვლის ტოტებში მაინც გავუყარე. დერეფანში გამოვედი და ასანთი ავანთე

იმავ დროს კაპიტნის კაიუტიდან ლუარსაბ ჯინჭველაძე დაფეთებული გამოვარდა და სამანქანოსკენ გაიქცა. მეც მას მივყევი. სამანქანომდე ჩასვლა აღარ დაგვჭირდა, წინ კოლია ხუბუა შემოგვხვდა.

— რედუქტორი გადაიწვა, — თქვა მან ნაღვლიანად.

— რადისტი გავაღვიძოთ, — თქვა ლუარსაბმა.

რადისტი და კაპიტანი ერთად მოვიდნენ.

რაციის უფროსს მიშა დიბლენკოს ჩვეულებრივად არყისა და ნივრის სუნი ასდიოდა. უზარმაზარი კაცი იყო, ქონით და მაგარ-მაგარი სასმელებით ყელამდე სავსე.

— გამოიძახე ხმელეთი, დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ბუქსირი, — ბრძანა ჯინჭველაძემ.

ვიღაცამ სანთლით გაგვანათა. დიბლენკო ბარბაცით წავიდა. ვიწრო დერეფანში ჩვენი რაციის უფროსი აჩაბაჩად რომ მიაბიჯებდა, ამაში ბრალი არაყსაც მიუძღოდა და შავი ზღვის ტალღებსაც.

გარეთ უკუნი იწვა. კვლავ უბერავდა აღმოსავლეთის ქარი და წყალიც უხვად ილვრებოდა მოკუპრული ციდან.

ბუქსირი რიჟრაჟზე მოგვადგა.

ეს იყო პატარა, დაბალი, ზანგივით შავი შხუნა. მოტოციკლეტისა არ იყოს, იმდენს ხმაურობდა, თითქოსდა სამყარო ამ შავი ხოჭოს ირგვლივ ბრუნავდა. მარდად დახტოდა ტალღებზე, ხან ერთი ბორტიდან მოგვადგებოდა, ხან მეორედან.

გვარლის მობმა ძნელი საქმეა. ბევრი ვეწვალეთ, თოკის ტყორცნით რომ მიგვეწვდინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს, საშველ რგოლზე თოკი გამოვაბით და ზღვაში ვტყორცნეთ. ახლა რგოლი ბუქსირზე უნდა აეტანათ. აიტანდნენ რა რგოლს, მას ჩვენი თოკიც მიჰყვებოდა, თოკს კიდევ მაჯის სიმსხო ფოლადის გვარლი.

კარგი მაგარი ბედოვლათები იყვნენ იმ ბუქსირზე, ვერა და ვერ იქნა, რგოლი ვერ აიტანეს. ეს გაწამაწია თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, კავი რგოლს მოდეს და ბუქსირზე აათრიეს. შემდეგ გვარლი მივაწოდეთ. დაახლოებით ათი საათი იქნებოდა, ფოთისაკენ რომ შემოვბრუნდით. მთელ ოთხ საათს მიგვათრევდა ეს პატარა შავი ხოჭო. ბოლოს, როგორც იყო, ნავსადგურიც გამოჩნდა, მაგრამ ახლა მთელი სირთულე ნავსადგურის ვიწრო ყელში შესვლა იყო. ღელვის დროს ბუქსირით კი არა, უბუქსიროდ, საკუთარი სვლით შესვლა ჭირს ამ ყელში. ახლა კი ჩვენი მანქანები დუმდნენ...

ბუქსირი ფრთხილად გაძვრა ვიწრო გასასვლელში. აქ ტალღები პირდაპირ გიჟობდნენ. გნიასით აწყდებოდნენ ბეტონის უზარმაზარ ლოდებს და ქაფად ილვრებოდნენ.

ბუქსირი წინ წავიდა და ახლა მთელი ყურადღება ჩვენკენ ჰქონდათ.

მე და ჯინჭველაძე ხიდურის მოაჯირზე ვადექით და იქიდან ვადევნებდით თვალყურს გემის მანევრს. უეცრად, ერთი წუთით, გვარლი მოფანფალდა. ეს ერთი წუთი საკმარისი გამოდგა, რომ ტალღებს გემი აეწიათ და კინაღამ... ღმერთო, დაგვიფარე... თვალი მოვკარი, თუ როგორ დაწყდა ის მძლავრი ღვედები, რომლებითაც სატრალო ხიდურის ქვეშ პურის ფქვილი იყო დამაგრებული. დიდრონი, დაბერილი ტომრები თვალისდახამხამებაში ჭიანჭველებივით აფუსფუსდნენ და ზღვისკენ მოკურცხლეს. მომარაგების უფროსიც იქვე იყო და სცადა ზღვაში საცურაოდ გამზადებული ტომრები შეეჩერებინა. გაბედულება კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მალე ზღვაზე მოცურავე დამსვენებლებივით გამოეფინენ ჩვენი ტომრები.

ჯინჭველაძემ შეიგინა და ხიდურს მიაშურა.

— რამდენჯერ ვუთხარი ამ ბიბილეიშვილს, აქ ფქვილის დალაგება არ შეიძლება-მეთქი. ახლა წავიდეს და ზღვაში აგროვოს.

— გადაცვივდა? — იკითხა კაპიტანმა.

კაპიტანი მთელი ამ დროის განმავლობაში ხიდურზე იდგა და წარმართავდა გემის მანევრებს.

— გადაცვივდა და კინაღამ ის ბერიკაციც ზღვაში გაიყოლა.

როგორც იყო, ნავსაბმელს მივადექით და ღუზა ჩავუშვით. ნავსადგურში ბლომად იყო ხალხი. თვალი რომ მოჰკრეს, ზღვაში რაღაცეები ცვიოდა, მეზღვაურები ჰგონებიათ და მზად იყვნენ ნავებით მოგვშველებოდნენ.

რედუქტორის გამო კიდევ სამი დღით გადაიდო ბათუმში გამგზავრება. ვიღაცამ ხმა დააგდო, „შოთა რუსთაველი“ ცუდადაა გარემონტებული და, როგორც კი ოკეანეში გავა, მაშინვე ჩაიძირებაო. ეს ბოროტი ხმა ზოგიერთმა სულმოკლემ მართლაც იწამა და ორი მეზღვაური ბათუმიდან გაგვეპარა. ფოთში რომ დავბრუნდით, იმ ორის ნაცვლად სხვა კარგი ყმაწვილები ავიყვანეთ, ეკიპაჟის სულ უკანასკნელი წევრი სწორედ ღუზის ამოღების წინ ამოვიდა გემზე.

მაშ ასე, დამთავრდა ყოველგვარი დარიგებები, რომელთაც ახლობლებისაგან უხვად ვისმენდით. თვალებზე შეშრა ცრემლები. ჩვენ ზანტად გავძვერით ფოთის ნავსადგურის ვიწრო ჭიშკარში.

მამულთან დამშვიდობება ყოველთვის მელანქოლიას ბადებს. ეს დღეც არ იყო გამონაკლი-

სი. მოწყენილი გავყურებდით თუ როგორ იკარგებოდა ფოთის კონტურები ზღვის ლილისფერ ფონზე. ტალღები უხეში იმპრესიონისტივით ტლანქად ღლაბნიდნენ სანაპიროს მაღალ შენობებს, სწრაფად ქრებოდნენ თეთრი მონახაზები. მათ ადგილზე ჩნდებოდა მხოლოდ ერთი ფერი — ლურჯი.

— დაიწყო, — მითხრა კუკა აბრამიამ და მისი კაიუტისაკენ წავედით.

კაიუტაში მალე უფროსი მექანიკოსი კოლია ხუბუაც შემოვიდა. მას ჩვეულებრივად სალიარის მძაფრი სუნი ასდიოდა. ხელებში საკმაოდ გაშავებული ჩვარი ეკავა.

სკამზე ჩამოჯდა და დაღლილი სახე მოგვაპყრო.

— მარცხენა მთავარი მანქანა კარგად მუშაობს. მეორეს რემონტს, ალბათ სამ დღეში მოვრჩებით. მერე დამხმარე მანქანებს მივხედავთ.

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენს სამანქანო განყოფილებაში რემონტი დამთავრებული არ იყო. სანამ რეწვის რაიონში მივიდოდით, მთელი ერთი თვე წინ გვედო. ამ ერთ თვეში უნდა დაგვემთავრებინა რემონტი სამანქანოში, თევზის საამქროში და აგრეთვე უნდა მოგვესწრო ბუნკერების გადაკეთება.

ჩვენი გემი „ტროპიკის“ ტიპის გემებში ერთ-ერთი ყველაზე ძველი იყო. მისი ბუნკერები თევზს ავტომატურად ვერ რეცხავდა. ამიტომ თევზის გარეცხვა საამქროში ხდებოდა. ეს კი საქმეს ძლიერ აბრკოლებდა. გადაწყვეტილი გვქონდა, ბუნკერები გადაგვეყვანა ავტომატური რეცხვის პრინციპზე. ამ საქმეს საფუძველი ფოთში ჩავუყარეთ და ახლა გზაზე უნდა დაგვემთავრებინა.

კოლია ძალიან დაღლილი ჩანდა. გასაგებიც იყო. ეს საოცრად შრომისმოყვარე კაცი არასოდეს ისვენებდა. შესანიშნავად იცნობდა გემს, იცოდა მისი ყოველი კუნჭული, მექანიზმი, იყო დიდებული ორგანიზატორი და საქმესაც კარგად წარმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ სანახევროდ დაშლილი გემით გავედით რეისში, ჩვენი უფროსი მექანიკოსი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი ფიქრობდა, რომ რემონტს გზაში დავამთავრებდით.

— კარგია, თუ სამ დღეში მეორე მთავარი მანქანაც ამუშავდება, სიჩქარე გაიზრდება.

მერე კაპიტანმა და მე კაიუტები შემოვიარეთ, დავათვალიერეთ, თუ როგორ მოეწყვნენ ეკიპაჟის წევრები. როცა ხიდურზე დავბრუნდით, უკვე ღამის თერთმეტი საათი იყო, ვახტზე მეორე შტურმანი ასლან ქათამაძე იდგა. ასლანი რამდენიმე წელიწადს ცურავდა ბალტიის ზღვაში, ახლა საქართველოში გადმოვიდა და პირველ რეისზე მოდიოდა ქართულ ფლოტში.

— ასლან, როგორაა საქმე? — ვკითხე ასლანს და ბეჭზე ხელი მოვხვიე.

— ექვსი კვანძით მივდივართ და... — მოუქცია აჭარულად მეორე შტურმანმა.

— არა უშავს, სამ დღეში მეორე მთავარი მანქანაც ამუშავდება, მერე დამხმარე მანქანებიც და თერთმეტი კვანძით ვივლით.

— ო, მაშინ კი გვეშველება.

სიგარეტი გავაბოლეთ. არ მეძინებოდა და შტურმანის გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. წინ აქაფებული ზღვა ჩანდა. ქარი ზურგიდან გვიბერავდა და სიჩქარეში ცოტა თავის მადლიან ხელს გვახმარდა.

— რა ისმის რეწვის რაიონიდან? — იკითხა ასლანმა.

— ჯერჯერობით თევზი კარგად მოდის, მაგრამ სანამ იქნება კარგი მოსავალი, ღმერთმა უწყის. თევზის ამბავი ხომ იცი, ერთს მოიქნევს კუდს და, დღეს რომ კეიპტაუნის წინაა, ხვალ ოლფიშბეისთან აღმოჩნდება, ზეგ ანგოლასთან, მაროკოსთან და სადაც გნებავთ. ამჟამად სამხრეთ ამერიკასთან იჭერენ ძალიან ბევრ თევზს. იქ, საერთოდ, ძვირფასი თევზი — ბესუგოა ბლომად. აი, იქით რომ მივდიოდეთ, ეგ იქნებოდა კარგი, — თქვა კაპიტანმა.

— მოვითხოვოთ იქით წასვლა, ნუთუ ანგარიშს არ გაუწევენ იმას, რომ „რუსთაველი“ საკმაოდ ძველი გემია და ხელი უნდა შეგვიწყონ, გეგმა რომ შევასრულოთ, — თქვა ასლან ქათამაძემ.

ასლანის ნათქვამი მენიშნა.

— კუკა, მართლაც ცუდი არ იქნება, მოვითხოვოთ, კატეგორიულად მოვითხოვოთ სამხრეთ ამერიკა, — ვთქვი მე.

კუკამ გაიცინა.

— კარგით, ასე გავაკეთოთ, ვნახოთ რა გამოვა.

და, დილით, სისხამ დილით მე და კაპიტანი მთელი მონდომებით ვწერდით ნაპირზე გასაგზავნ რადიოგრამას. დაბეჯითებით მოვითხოვდით, ნება დაერთოთ, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ნაცვლად სამხრეთ-ამერიკაში წავსულიყავით.

## დიდება, შენ, მზეო!

ეროვნული

მეორე დღეს, დილით გამეღვიძა თუ არა, მაშინვე ილუმინატორის მინასთან ალიცლიცებული მზის სხივები ვიგრძენი. სუფთა, კრიალა ცამ, ოქროსფერმა სხივებმა, წამსვე გაფანტა მოწყენილობა. ილუმინატორი გავაღე და შემდეგ ზედა ერდოს მივაშურე. ქარი სუსტად უბერავდა. გემი ზანტად კვეთდა ლილისფერ ზღვას. ანატოლიის ქედი ახლა ნათლად, გამოკვეთით ჩანდა. მისი კონუსები თოვლით იყო დაფარული. შორს, სადღაც ქედკეცილში მოვიტოვეთ სამსუნი, დაბალი სახლებითა და პატარა მინარეთებით. ახლა კურსი სტამბოლისაკენ გვეკავა. ჩვენივარაუდით მეორე დღეს თერთმეტი საათისათვის სტამბოლში უნდა ვყოფილიყავით. ეს უკვე მესამედ მივდიოდი სტამბოლში.

ზედა ერდო თავისებურ ფიზკულტურულ კომპლექსს წარმოადგენდა. აქ გვქონდა ძელი, ელაგა გრძელი მილები, რომლებიც ორძელის მაგივრობას წევდნენ. გროტანძის ქვეშ, სწორედ „ყვავის ბუდის" პირდაპირ იდო ორი ორფუთიანი გირა და კიდევ მრავალი ისეთი ნივთი, რომლებიც ფიზიკური დატვირთვისათვის გამოდგებოდნენ.

სატრალო ხიდურზე ავედი. მზე უკვე ზემოდან დაგვყურებდა. მისი თბილი, ოქროსფერი სხივების ქვეშ ფუსფუსებდა და საქმიანობდა ჩვენი ეკიპაჟი. მისი თბილი, ოქროსფერი სხივების ქვეშ იყო დიდი სიცოცხლე და ხალისი. ადამიანები, რომლებიც წინა დღეს ნაღვლიანად გაჰყურებდნენ შავად მოკუპრულ ცას, ახლა გარდაქმნილიყვნენ გულგახსნილ, ხალისიან და ნათელ კაცებად.

დიდება შენ, მზეო!

მეორე დღეს უკვე ბოსფორში მივცურავდით. ბოსფორი მდინარესა ჰგავს. მდინარეს, რომელიც სათავეს შავ ზღვაში ღებულობს. ჩვენ ახლა ამ ორიგინალურ მდინარეზე მივცურავდით. მარჯვნივ ჩანდა მწვანეში ჩაკარგული თურქეთის ევროპული ნაწილი. ყოველ ნაბიჯზე ციხესიმაგრე და მეჩეთი. მარცხნივ აზია იყო. ისიც ციხესიმაგრეებითა და მეჩეთებით დაფარული.

გემზე თურქი ლოცმანი ამოვიდა. დაბალი, შავგვრემანი კაცი, ავადმყოფური, ნაღვლიანი თვალებით და მოზრდილი, კეხიანი ცხვირით. იგი ხიდურზე ამოვიყვანეთ. ხიდურზე ჩვენი ექიმი მერაბ ხახიშვილიც მივიწვიეთ, როგორც ფრანგული ენის კარგი მცოდნე. სტუმარი შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად.

საჭესთან ჩვენი პირველი კლასის მატროსი რევაზ ჯინჭველაძე იდგა.

ლოცმანმა დაიწყო ბრძანების გაცემა.

საუბარში გაირკვა, რომ სტუმარი თურქი კი არა, ჩერქეზი ყოფილა, შაფსუს ტომიდან. ადრე გემზე მუშაობდა, ყოფილა ოდესაში, კავკასიაში კი — არა.. თუმცა ძალიან აინტერესებდა წინაპართა სამშობლოს ხილვა.

სტუმარი ქართულ კონიაკზე მივიპატიჟეთ. გადაჰკრა ჩვენებური კონიაკი და ნასიამოვნებიც დარჩა.

აი, მარცხნივ, იმ პატარა სერს ხედავთ? — მკითხა მან.

— როგორ არა. კარგია, რომ ადამიანს ორი თვალი აქვს. ახლა ერთი თვალით აზიაში ვიყურები, მეორეთი კი ევროპაში.

— ჰოდა, აზიური თვალით ალბათ იმ სერზე პატარა სახლსაც ამჩნევთ, ის ჩემი სახლია. ცოლად ერთი ბერძენი ქალი მყავს. მე და ჩემი ცოლი კარგად შევეწყეთ ერთმანეთს, პარასკეობით სალოცავად მეჩეთში დავდივართ, კვირაობით კი ეკლესიაში. ასე, რომ არც ქრისტეა ჩვენზე გამწყრალი და არც ალაჰი.

— ეს ალბათ ლოცვის ჩერქეზულ-ბერძნული ვარიანტია? — ვუთხარი მე.

— არა, ცდებით, ეს პროგრესული მეთოდია. უფრო სწორად რომ ვთქვათ — მოდერნი.

ახლა უკვე სტამბოლის გასწვრივ მივცურავდით. მარჯვნივ ჩანდა ოქროს რქა. ქალაქის სიღრმისაკენ მიმავალი ფართო ქუჩა. შემდეგ— პატარა გორაკზე წამომართული აია სოფიასა და აჰმედიეს მეჩეთი.

მარცხნივ შუა სრუტეში აშენებული ციხე, იმის იქით კიდევ — უსკიუდარი.

სრუტეში უამრავი გემი დაცურავდა. გაფრთხილების ცოცხალ ძეგლად იდგა აგრეთვე იუგოსლავიის დიდი ტანკერი, რომელიც სულ რამდენიმე თვის უკან ბერძნების გემს დაეჯახა და ჩაიძირა. კორპუსი ჩაიძირა, გემბანი კი ზევით დარჩა.

სანამ მარმარილოს ზღვაში შევცურდებოდით, ჩერქეზი ლოცმანი მის იახტაში გადავსვით. ჩვენ ახლა მარმარილოს ნახევარ კუნძულის გასწვრივ მივცურავდით. აქ გაშენებულია სტამბოლის ახალი რაიონი. მაღალ, ლამაზ შენობებს დაუფარავთ მთელი ნახევარკუნძული. საერთოდ, სტამბოლი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია.

მარმარილოს ზღვა ჩვეული სიდინჯით შეგვხვდა. ამბობენ, მასაც უყვარს აბობოქრებაო. მე ამის არაფერი საბუთი არა მაქვს, იგი ოდნავ მღელვარეც კი არ მინახავს. მთელი დღე ვსერავდით მას და საღამოთი, როგორც იყო, დარდანელის ჰიშკარს მივადექით.

დარდანელი განიერ არხს ჰგავს, თითქოს-და ადამიანებმა ორი კონტინენტის ეს შესაყარი ხელოვნურად გათიშესო.

დარდანელიც გავიარეთ, დაიწყო ეგეოსის ზღვა. ეგეოსის ზღვაში გემბანს ვერ მოშორდები. ყოველ ნაბიჯზე კუნძულია. აქ ისეთი კუნძულებია, რომელთაც ჯერ კიდევ შემოუნახავთ ძველი ბერძნული დიდების ნაშთი. პატარა

ბორცვებზე ჩანან მრავალჭირნახული დიდებული ტაძრები, ელინთა ნასახლარები. ანდროსზე ერთი სოფელი მთლად თეთრი მარმალილოთია ნაგები, იქვე თეთრი ეკლესიაც ჩანს.

ზღვა მშვიდი და ლივლივა იყო. ამინდიც მზიანი იდგა. ასევე მშვიდად შეგვხვდა იონისებური ზღვაც. ჩვენ ჩინებულად ვიყენებდით ბუნებასთან დადებულ დროებით ზავს. სატრალო გემბანი ერთგვარ საამქროს ჰგავდა. აქ გამუდმებით ფუსფუსებდნენ მეზღვაურები. ზოგი ბუნკერებში თეფშებს ამაგრებდა, ზოგი წისქვილის შეკეთებაზე მუშაობდა. მეტრალეებს დიდრონი კაპრონის ბადეები გაეშალათ და კემსავდნენ. რადგანაც მეტრალეები ვახსენე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ტრალის შესანიშნავი უფროსი ოსტატი გვყავდა. მიშა დუდინს თევზჭერის სკოლა მურმანსკში გაევლო. იგი იყო არა მარტო თავისი საქმის კარგი მცოდნე, არამედ ნამდვილი მეზღვაურიც. არ უყვარდა წუწუნი და ბევრი ლაპარაკი, უყვარდა საქმე და გადაკვრა.

იმ დილით ჩვეულებრივ ადრე გამეღვიძა. ილუმინატორში მზის პირველი ულონო სხივები ილვრებოდა. წამოვდექი და ზედა ერდოს მივაშურე. ჩვენი გემი ლაღად მიცურავდა პატარა ნავებით სავსე ზღვაში.

ერთბაშად ქარმა ზუზუნი დაიწყო. ველოდით კიდეც, ამ ადგილებში — ეგრეთწოდებულ მალტის მილში, (სიცილიასა და მალტის კუნძულს შორის მოქცეულ გასასვლელს მეზღვაურები „მალტის მილს“ ეძახიან), ჩრდილო-დასავლეთის ქარი თითქმის ყოველთვის უბერავს. უბერავს საკმაოდ მძლავრად. ახლაც ასე იყო, რაც უფრო ღრმად შევდიოდით მალტის მილში, ქარიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეორე დღეს კი უკვე საკმაოდ ხმაურიანი შტორმი გვირტყამდა. თითქმის ყველა ახალბედა მიწვა, გულისრევა და საერთო სისუსტე დაეწყოთ. ყველა გემბანი დაცარიელდა.

ღელვის გამო, რასაკვირველია, გემზე სარემონტო სამუშაოები შეწყდა. გამონაკლისს წარმოადგენდა სამანქანო განყოფილება. სადაც კოლია ხუბუას გამოცდილი მეზღვაურები, მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, მაინც გულდაგულ არემონტებდნენ მანქანებს.

ტუნისის ნაპირებთან ქარი ჩადგა და ციდან ისევ მზის სხივებმა გაგვიღიმეს. გემი კვლავ გამოცოცხლდა. კოლია ხუბუამ ალჟირთან გვახარა, რომ საღამოთი მეორე მთავარი მანქანაც ამუშავდებოდა. როგორც იყო, დაადგა საშველი.

ჩვენ მივცურავდით წყნარ ტალღებზე. ხელმარცხნივ ლურჯი მთები ჩანდა — განიერ ხეობებში გაშლილი თეთრი ალჟირი.

საღამოს მართლაც ჩართეს მეორე მთავარი მანქანა. სიჩქარემ სწრაფად იმატა. ახლა დინებაც გვეხმარებოდა და სწრაფად ვუახლოვდებოდით ჰიბრალტარს.

დილით უკვე ამ ვიწრო და მომხიბვლელ სრუტეში მივცურავდით. მარცხნივ აფრიკა ჩანდა — ჰერკულესის სვეტი, მთების კალთებში შეყუჟული ქალაქი — სეუტა. მარჯვნივ ევროპა, ესპანეთი, მისი ულამაზესი პროვინცია — ანდალუზია. ერთხელ ანდალუზია მესტიას შევადარე. თითქოს და პარადოქსი უნდა იყოს, სად მთებში ჩამჯდარი მესტია და სად ზღვისპირა ანდალუზია. დიახ, ანდალუზია მოგაგონებთ მესტიას. დგახართ ენგურის ხიდზე, გაჰყურებთ შენობებს უკან გაფანტულ სათიბებს, იმის იქით ლურჯ მთებს და უფრო იქით — თოვლიან მწვერვალებს. ფერთა სიუხვე მოქცეულია თვალსაწიერში.

ასეთია ანდალუზიაც: ახლოს ბაღ-ვენახები, მერე სათიბები, ცაში ატყორცნილი ლურჯი მთები და, ბოლოს, თოვლისა და ნისლიანი მთების სითეთრე.

ანდალუზია ძლიერ ჰგავს ჩვენს დიდებულ მამულს.

ჩავუარეთ ლენტეხიაზის მთებს და შემდეგ სოფელ ლენტეხს. გამოჩნდა კარნეროს კონცხი და ერთბაშად კურსი მარჯვნივ ავიღეთ. ჰიბრალტარის ბუხტასაკენ გავცურეთ.

ჰიბრალტარის ბუხტა უზარმაზარი თეფშივით დევს მთებსა და კონცხებს შორის. მას გარს შემორტყმია ქალაქები ჰიბრალტარი, ლა ლინეა და ულამაზესი ალხესირასი. ბუხტას აღმოსავლეთი მხარე დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საიმედო სადგომია. დასავლეთი მხარე კი სამოქალაქო ნავსადგურს უკავია.

ჰიბრალტარში უკანასკნელად რამდენიმე თვის უკან ვიყავი. მოკლე დროში ბევრი რამ შეცვლილა. აეროდრომსა და ლა ლინეას შორის თოთხმეტსართულიანი სახლების მთელი კომპლექსი აუშენებიათ ინგლისელებს. ამ ლამაზი სახლების ეფექტი ჯერ კიდევ შორიდან ჩანს.

ბუხტას დასავლეთ მხარეს რეიდზე ვდგებით. ის იყო, ღუზა ჩავუშვით, რომ თავისი პატარა ნავით მოგვადგა ძველი ნაცნობი შიპშანდლერი ვილი.

ვილი ერთი გამხდარი შავგვრემანი კაცია. ჩქარა ლაპარაკობს, მუდამ სადღაც მიეჩქარება, სადღაც გარბის, აგვიანდება. შეგვატყობინა, რომ ჩვენი შეკვეთები მიიღო, საღამოსათვის ზეთიცა და პროდუქტიც მოტანილი იქნებოდა გემზე. შემდეგ დაგვემშვიდობა და წასვლა დააპირა, კაპიტანი გადაუდგა.

— არ შეიძლება. ჩვენ ქართველები ვართ, პურის გაუტეხლად სტუმარს ვერ გავუშვებთ.

ვილიმ ისევ იუარა, მაგრამ ხელი ბეჭებზე მოვხვიე და მაგიდასთან დავსვი.

ვილი დაჯდა და მაშინვე საათს დახედა.

„ვარციხე“ გავხსენით, ვილიმ გადაჰკრა და გაიღიმა. მივხვდი, რომ ჩვენმა „ვარციხემ“ ნამდვილი სპეციალისტის ყელი ჩაასველა.

— დიდებულია, — თქვა ვილიმ, — თქვენი კონიაკი და მინერალური წყლები განუმეორებელია.

— ღვინო, კიდევ უფრო უკეთესი, — ვთქვი მე.

— ღვინოს საერთოდ არ ვსვამ.

— ღვინო ჯობია.

— შეიძლება, მაგრამ კონიაკს უფრო ვეწყობი.

უეცრად კაპიტანს ერთი იდეა გაუჩნდა. ხომ შეიძლება, სამხრეთ ამერიკისაკენ წავიდეთ, ჩვენ კი მხოლოდ და მხოლოდ აფრიკის სალოციო რუკებით ვიყავით მომარაგებული. ამაზე უკეთეს შემთხვევას კაცი ვერც კი ინატრებდა. ჰიბრალტარში ყოველგვარი სალოციო რუკის შეძენა შეიძლებოდა, რასაკვირველია, სამხრეთ ამერიკისაც.

იდეა მაშინვე ვილის გავაცანით.

— სიამოვნებით. მე დავრეკავ საადმირალოში. ჩემთან მობრძანდით და ყველაფერს შევატყობინებთ.

ჰიბრალტარის სამოქალაქო პორტში ძალზე უბრალო და მოუწყობელი ძველის-ძველი პატარა შენობები დგას. ერთ-ერთ ასეთი შენობას მომცრო ოთახში, დედოფალ ელისაბედის დიდი სურათის ქვეშ, ჩასუქებული პოლიციელი ზის და უცხოელთა პასპორტებს ამოწმებს. ამ ოთახში მხოლოდ ეს ორი ტიპია: მსუქანი, მოუქნელი პოლიციელი და ინგლისის ვამხდარი დედოფალი.

ამ პატარა ხუხულას, რომ გაშორდებით, ერთი ძველთაძველი თაღიც უნდა გაიაროთ და პატარა მოედანზე გახვალთ. მოედნის ხელმარცხნივ გზა ლა ლინეასკენ მიდის, პირდაპირ კი იწყება ჰიბრალტარის ცენტრალური ქუჩა მაინ სტრიტი. მაინ სტრიტი ქალაქს მთელ სიგრძეზე გასდევს. მაინ სტრიტი კომერციული ჰიბრალტარის გული და ფილტვებია.

ჩვენ მაინ სტრიტს გავყევით, მერე გარსიების დიდ საფირმო მაღაზიასთან ხელმარჯვნივ გავუხვიეთ, ვიწრო ჩიხში შევედით და შიპშანდლერ'ს მივადექით, სადაც ვილი და მისი ხუთიოდე პარტნიორი პატარა მაგიდებთან ოფლს ღვრიან.

— მოხვედით? — გამოგვხედა ვილიმ, — უკვე ველაპარაკე რუკების შესახებ, მერე კი ცხვირი ქაღალდებში ჩარგო, ვილის საკმაოდ გრძელი ცხვირი მანამ არ აუწევია, სანამ ის თანამშრომელი არ დაბრუნდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა პატარა შავტუხა ბიჭი სინზე დაწყობილი ცივი ლუდით, რაც დიდი სიამოვნებით შევსვით.

შემდეგ ვილიმ თავის მანქანაში ჩაგვსვა. მაინ სტრიტის ქუჩით მთელი ძველი ჰიბრალტარი განვვლეთ. გუბერნატორის სასახლესთან მარჯვნივ შევუხვიეთ და საადმირალოს მივადექით. აქ სამხრეთ ამერიკის სალოციო რუკები შევიძინეთ და ისევ მაინ სტრიტზე გამოვედით.

— ჰიბრალტარის კარსტრული მღვიმე თუ ვინახავთ? — იკითხა ვილიმ.

სამთავემ უარი განვაცხადეთ.

— აბა, ახლა ვნახოთ, — საქმიანად თქვა ვილიმ.

ტრაფალგარის სკვერთან ხელმარცხნივ შევუხვიეთ და საბაგირო გზის სადგურს მივადექით.

შესვენება იყო...

ვილიმ თქვა, მანქანით ავიდეთო. მანქანა მსუბუქად დაიძრა. ჩავუარეთ „ჰოტელ როკს" — კაზინოს ახალ, ლამაზ შენობას. ზამბარასავით დაკლაკნილ გზას ავყევით.

მეოთხე ნაკეცის მუხლთან სინიორ ვილიმ, ესპანური და ინგლისური სისხლის შერევის შედეგად შექმნილმა არსებამ, მანქანა შეაჩერა.

— ხომ არ ინებებთ, ჰოგრიტით დაათვალიეროთ ჰიბრალტარის ბუხტა, შეგიძლიათ აფრიკისკენაც გაიხედოთ.

მაშინვე დავეთანხმეთ.

მანქანიდან გამოვედით. გარეთ თბილოდა, მზე აფრიკის მხრიდან გვადგა თავს. იქვე გზის პირად უზარმაზარი დაბეტონებული ჰოგრიტი იდგა. მისი ორლინზიანი ტუჩი ალხესირასისკენ იყო მიპყრობილი. ალხესირასი—ეს უკვე ესპანური მიწაა—ნამდვილი ანდალუზია. ჰიბრალტარი კი... ჩვენს საუკუნეს ჯერ ვერ გადაუჭრია მისი კუთვნილება. ღამით ქალაქის ყველა უბანში ინთება წარწერები ინგლისურ ენაზე: „ჰიბრალტარი იყო, არის და იქნება ინგლისის". ეს მაგარი წარწერა ალამაზებს ძველთაძველ ციხეს, ტრაფალგარის სკვერს, სამხედრო პორტს და მშვიდობიან სავაჭრო სახლებს.

ჰოგრიტის ყულაბაში ექვსპენსიანს ვაგდებ. ვათვალიერებ ალხესირას. მერე აფრიკას გავყურებ. იქ, ჰერკულესის სვეტის უკან, აფრიკის მიწაზე ლამაზი ქალაქი სეუტაა გაშენებული. აქედან მოდიოდნენ იბერიის მიწაზე სამოქალაქო ომის დროს ინტერნაციონალური ბრიგადის წევრები.

ჰოგრიტით მივყვები მაინ სტრიტს. გუბერნატორის სასახლის წინ ჯარისკაცი დგას. ფეხები მხრების სიგანეზე გაუშლია. თოფი გარდიგარდმო უჭირავს. ფეხსაცმელებს, მოკლე შარვალსა და ხალათს მეოცე საუკუნის სუნი ასდის. ქუდი კი მეცხრამეტე საუკუნის სამეფო გვარდიელისაა.

ორი საუკუნის მიჯნაზე გამოჭყლეტილი ეს ჯარისკაცი ცოტა სასაცილოცაა და ლამაზიც. ზოგჯერ ეს ორი ცნება ეგუება ერთმანეთს.

ისევ გზატკეცილს მივყვებით. მანქანას მერვე კეცილის მუხლთან ვტოვებთ. ფეხით მივყვებით ზამბარის უკანასკნელ მონაკვეთს. მარჯვნივ ბარია, უფრო სწორად, ბარის შენობა დგას, შიგა სამუშაოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

შევდივართ.

ორ ყალთაბანდ დურგალს იატაკზე სძინავს.

კუთხეში დიდი კასტილიური ღუმელია. მარცხნივ — დახლი. დახლი გამურული ხისგანაა გაკეთებული. ზემოდანაც შავი ხითაა გადახურული.

სახურავსა და დახლს შორის კოჟრებიანი მორები აღმართული და ზედ ჩირაღდნები.

ამ ლამაზ არქაიზმს მეჩვიდმეტე საუკუნის ესპანურ სამიკიტნოში გადაჰყავხართ. თითქოს ეს დახლი და სახურავიც ცეცხლოვანმა ჩირაღდნებმა შემურეს. ელით, საცაა შემოვარდება ლამაზი კარმენსიტა და შუა დარბაზში სიყვარულის კოცონს დაანთებს.

ბარის გვერდით პატარა ჯიხურში რვა შილინგად ოთხ ბილეთს ვყიდულობთ და კარსტრულ გამოქვაბულში შევდივართ.

ჯერ ვიწრო ყელს მივყვებით.

შორიდან, სადღაც შორიდან, მუსიკის ჯადოსნური ჰანგები ისმის. თითქმის საღამოს ბინდბუნდში ზღვისკენ მიდიხარ და ნიავისგან აცელქებული ტალღები შენს ფეხებთან ონავრობენ.

ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიაა.

სიმფონია ახლა ჩვენი განუყოფელი ნაწილი ხდება. ჩვენ კი გამოქვაბულთან ერთად რაღაც ერთ მთლიანს ვქმნით.

ერთბაშად დიდ დარბაზში გავდივართ, უზარმაზარი სტალაგმიტები და სტალაქტიტები აღმართულან, ზევიდან დაშვებულან დიდებულ სვეტებად. ზედ ფერიასავით დაცოცავს ნაირფერი შუქი. და სწორედ ეს დიდებული შუქი, ლურჯი და ალისფერი, ყვითელი და თეთრი, ყავისფერი და მწვანე პრიალა სვეტებზე ჯადოსნურ სურათს ხატავს. ეს არის სილამაზის დიდებული ტრიუმფი. ფერთა თვალწარმტაცი მონაცვლეობა. უყურებ და არ გინდა თვალი მოაშორო, გსურს ხარბად აღიქვა ეს განუმეორებელი სანახაობა.

კარსტრული დარბაზის ერთი ნაწილი სცენას უკავია. დიახ, ნამდვილ თეატრალურ სცენას. წინ კი ამფითეატრია. ალუმინის უხეირო სკამები მჭიდრო რიგებად ეშვებიან სცენისაკენ. ასეთი სკამები სწორედ რომ არ უხდება ამ დიდებულ სანახაობას. პირიქით, თანამედროვე, უგემოვნებოდ შეჭედილ სკამებს დისონანსიც კი შეაქვს გამოქვაბულის იდუმალ სილამაზეში.

დარბაზს ნამდვილად ხელოვნური სტალაგმიტების სკამები დაამშვენებდა.

პირველ რიგში მონუსხულებივით ვსხდებით. დარბაზი დიდია, უზარმაზარი. ხმას არ ვიღებთ. აქ ლაპარაკი მკრეხელობაა. აქ მხოლოდ უნდა ისმინო.

რადიოდან კვლავ ისმის ბეთჰოვენი. ჭეშმარიტად, აქ მხოლოდ სიმფონიაა საჭირო. ამ დარბაზში მარადის მოუბეზრებელი, ტემპერამენტიანი ესპანური სიმღერებიც კი შემოიტანდა დისონანსს. აქ სიმფონიის სამეფოა.

და ჩვენ მოჯადოებულივით ვისმენდით სიმფონიას.

მერე ვიწყეთ მოგზაურობა. ნაირფერად აბდღვრიალებული სტალაგმიტების დერეფნებს მთვარეულივით მივყვებოდით. გადავიარეთ უფსკრულზე გადებულ ალუმინის ულამაზო ხიდზე. ამ ხიდის შეხედვა გზარავს, ერთბაშად გაფხიზლებს და ზღაპრულ სამყაროდან ალუმინის ეპოქაში გადმოყავხარ.

ესეც გაუთვალისწინებელი დისონანსი.

დასანანია.

თითქმის ოთხი საათი დავეხეტებოდით.

მერე დავტოვეთ ჯადოსნური გამოქვებული.

მანქანაში ჩავსხედით და გეზი როკ არეპსისაკენ — მაიმუნთა სამეფოსაკენ ავიღეთ.

მაიმუნთა სამეფოს შესასვლელის მასიურ კვარცხლბეკზე გარინდული იჯდა ღონიერი სინიორ გორილა. ეს ყაჩაღი ცხოველი ისე შერწყმოდა მაგარ კვარცხლბეკს, რომ იგი ყველას ქანდაკება გვეგონა. როცა სულ ახლოს მივედით, მაშინ წამოდგა და ისე მოხდენილად დაგვიკრა თავი, როგორც ეს მაიმუნთა მოდგმის ჯენტლმენს შეეფერება.

მანქანამ სვლა შეანელა.

სად იყო და სად არა, პატარა, სულ ერთი ციცქნა გორილა გამოტყვრა და ერთი ნახტომით ჩვენი მანქანის ცხვირზე შესკუპდა.

ვილიმ მანქანა გააჩერა.

— ხელით არ შეეხოთ, — გაგვაფრთხილა ვილიმ, — დედებს არ უყვართ, როცა მათ შვილებს ეხებიან. მტრისას, გაბრაზებული გორილა!

ჩვენ ერთ მათგანს სულ ორიოდე ფუტის დაშორებით ვხედავდით. ოდნავ მოხრილი, გრძელ, მაგარ ხელებზე დაყრდნობილი გორილა ეჭვით გვიყურებდა.

მალე მას მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე, მეხუთე.

გიგანტური გორილები გარს შემოგვერტყნენ და ცნობისმოყვარედ გვათვალიერებდნენ.

როცა გავიფიქრებდი, თუ რა საშინელი ძალის პატრონიც იყო თვითეული მათგანი, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვგრძნობდი თავს ამ მრისხანე ალყაში.

ვილიმ ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო და გორილებს მიაწოდა.

გორილები თამამად მოვიდნენ, ბანჯგვლიანი ხელი გამოიშვირეს.

ვილიმ შოკოლადი დაარიგა. გორილებმა სწრაფად შთანთქეს თავიანთი ულუფა. ვილიმ ისევ ამოიღო შოკოლადი და ბუჩქნარში მოისროლა.

გორილებმა ერთი მაგრად შეჰყვირეს და ბუჩქნარისაკენ მოჰკურცხლეს.

— ჩაჯექით! — დაიძახა ვილიმ.

ვფიქრობ ეს დაძახება საჭირო არც იყო, რადგან, მაიმუნებმა, როგორც კი ალყა მოგვხსნეს, მაშინვე ყველანი მანქანაში შევვარდით. სანამ გორილები შოკოლადს ეძებდნენ, ჩვენ უკვე დიდი მანძილით დავშორდით საშიშ მასპინძლებს და გეზი ციხისკენ ავიღეთ.

ჰიბრალტარის ციხე ძველისძველია. ინგლისელთა კონსერვატორობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, ციხესაც უძველესი რელიქვიები ამკობენ. დადუმებული დგანან პატარა ზარბაზნები, რომლებიც ჩვენს საუკუნეში პიგმეებსაც კი

აღარ მოუხდებოდათ. ტუჩები კვლავ ბუხტას შემოსასვლელისაკენ მიუპყრიათ. ეს ცოტა მელანქოლიურიცაა და სასაცილოც.

მაგრამ მარტო ამ გასართობი ზარბაზნების ამარა არაა ინგლისელთა ეს ციტადელი. საკმარისია დაკვირვებული თვალი მოავლო მაღალ სიპ კლდეს და მაშინვე შეამჩნევთ რკინა-ბეტონის დოტებს, სადაც ზემძლავრი ქვემეხები თვლემენ.

დიახ, ინგლისი გულდაგულ იცავს ჰიბრალტარს. სწორედ ამიტომაა ასე პოპულარული ჰიბრალტარში ლოზუნგი: „ჰიბრალტარი იყო, არის და იქნება ინგლისის“.

ძველი ციხის ნანგრევებიდან ისევ მაინ სტრიტზე ჩამოვედით. ვილის წინადადებით ტრაფალგარ სკვერში ერთ პატარა რესტორანში შევედით. რესტორნის ფართო ღია კარს იქით ჩანდა პატარა სკვერი. აქ ყვავილის კვერებივით თეთრი ქვების ქვეშ განისვენებენ ადმირალ ნელსონის ყოჩაღი ბიჭები.—ისინი, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოსა და ფლოტის სახელით.

ვეწეოდი უფილტრო „ქამელს“. კვამლს მაგრად ვისუნთქავდი და ვფიქრობდი ცხოვრების ლამაზსა და გრძელ, უსაშველოდ გაჭიმულ გზებზე. გუშინ იქ ვიყავ, დღეს აქ, სულ რამდენიმე საათის შემდეგ კი... ატლანტის ოკეანეში შევცურდებოდით...

ჰიბრალტარში მოგზაურობა ექვსი საათისათვის დავამთავრეთ და ნავსადგურში დავბრუნდით. ეკიპაჟის წევრთა ერთი ჯგუფი ნავსაბმელთან იდგა.

— ნავს ველოდებით, საცაა მოვა, — გვითხრა ზაურ ჩერნიშოვმა.

— პატარა ქალაქი ყოფილა ჰიბრალტარი, — ჩემს წინ როლანდ ჩარგეიშვილი იდგა. — მეგონა დიდი, უზარმაზარი ქალაქი იქნებოდა, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვნახე.

— არც ისე პატარაა, — უთხრა კაპიტანმა, — ეს ძველი ჰიბრალტარია, მაგრამ თუ მაინსტრიტს ბოლომდე გაჰყვები, მაშინ ახალ ჰიბრალტარში გადახვალ ახალი ჰიბრალტარი კი, საკმაოდ დიდ მანძილზე გასდევს ზღვის სანაპიროს.

ნავმისადგომს პორტის მოტორიანი ნავი მოადგა. ჩვენ ნავში ჩავსხედით და კურსი გემისაკენ ავიღეთ.

მენავემ, ერთმა მხიარულმა ესპანელმა ბიჭმა, ღიმილით გადმოგვხედა — შინ მიდიხართ?

არა, ბატონო, სამხრეთ ამერიკაში — ვუპასუხე დაუფიქრებლად თითქოს და ენამ მიყივლაო.

გემი ზღვაში გავიდა თუ არა, კაიუტაში რაციის უფროსი დიბლენკო შემოვიდა. ხელში ნაპირიდან მიღებული რადიოგრამების დასტა ეკავა.

— ნახეთ, ამხანაგო რაულ, ჩვენ ამერიკაში წასვლის ნება დაგვრთეს.

გახარებულმა რადიოგრამა ჩამოვართვი.

„ნება გეძლევათ, კურსი აიღოთ პატაგონიის შელფისაკენ. ოლფიშბეისთან ცუდი ჰერაა, ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ, მეგობრებო“.

რადიოგრამას ხელს აწერდა საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს უფროსი მიხეილ ცქიტიშვილი.

მაგიდას მივუჯექი. მაშინვე შევქმენი „სამხრეთ ამერიკის მოკლე ისტორია“ და რადიოგრამასთან ერთად რადისტს გადავეცი. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მთელი ეკიპაჟი გულისყურით ისმენდა სასიხარულო ცნობას. ჩვენ კი კაპიტნის კაიუტაში ვისხედით. წინ გვქონდა გაშლილი ცენტრალური ატლანტის რუკა და ახალ მარშრუტს ვაზუსტებდით.

ატლანტი ტრადიციული სამბალიანი ტალღებით შეგვხვდა. ტრადიციულს ვამბობ, იმიტომ, რომ ატლანტთან ყოველი შეხვედრის მოწმე მხოლოდ და მხოლოდ ეს მომცრო ტალღები და ცაზე გაკრული ალბატროსები და ბაკლანებია. მათ უზარმაზარი ფრთებით, გრძელი, ბასრი ნისკარტით და რაღაც მელანქოლიური ჩხავილით დინოზავრთა იმ ეპოქაში გადავყავართ, როცა ალბატროსთა წინაპრები ჩემს წინაპრებს მიწის სამყაროდან ჰაერში იტაცებდნენ და შემდეგ გემრიელად შეექცეოდნენ.

აქედან გამომდინარე, მე უფლება მქონდა ალბატროსი შემეძულებინა, მაგრამ, თავისი სილამაზით, დიდებული ნავარდით და ელვისებური პიკირებით, იგი ჩემში ყოველთვის სიმპათიებს იწვევს.

ახლაც მათთან შეხვედრა მაგარი შეძახილებით აღვნიშნეთ. ისინი კი, ისინი — ოკეანის ცის მეფენი, ზანტად დაფრინავდნენ ჩვენს ირგვლივ და ძალიან ნაღვლობდნენ, რომ ჩვენს გემს ჯერ კიდევ არ აღიოდა თევზის სუნი.

ალბატროსი ხომ ქვეყანაზე ვერაფერს ხედავს, სრულიად ვერაფერს, გარდა თევზისა.

თევზს კი, დიდი სიმაღლიდან ამჩნევს. სწრაფად მოწყდება ცას, მახვილწვერიანი შავი ბომბის ფორმას ღებულობს და ასევე ვარდება წყალში. ამბობენ, წყალში ის 30 მეტრამდე სიღრმეზე ეშვებაო. რამდენად სწორია ეს, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, რომ წყალში ჩავარდნის შემდეგ თითქმის 5-8 წუთი არ ჩნდება ზედაპირზე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ — ეს დრო სრულიად საკმარისია წყალში 30 მეტრზე ჩაშვებისათვის.

სპარტელის კონცხიდან ატლასის მთები ქვეყნის სიღრმისაკენ იხევს. იგი ანტიატლასთან ერთად პატარა ნალს ქმნის მკვდარ საჰარაში. ნალის გამოზნექილი მხარე ატლანტის ოკეანისკენაა მიმართული. ატლასის ქედის კალთებზე მუხნარი შეფენილა. კარგად ხარობს კორპი. მისი დიდი ექსპორტიორია ატლასის მფლობელი ორი სახელმწიფო — ალჟირიცა და მაროკოც.

მაროკოს ატლანტური სანაპირო შედარებით ნაკლებდასახლებულია. დროდადრო გაიელვებს ხოლმე სადღაც უდაბნოს ყვითელ ზოლში ჩა-

კარგული ქალაქები: ლარაში, კენიტრა, რაბათ-სალე, დიდებული კასაბლანკა — აფრიკის მარგალიტი. უკანასკნელ წლებში კასაბლანკა ძლიერ გაიზარდა. იგი სწორი, განიერი ქუჩებით, სკვერებით, ულამაზესი ქალაქია. თუ ყველა ამ სიკეთეს იმასაც დავუმატებთ, რომ კასაბლანკაში მომხიბვლელი შავგვრემანი ქალიშვილები ცხოვრობენ, კასაბლანკა ერთ მთლიან მომჯადოებელ ქალაქად წარმოგიდგებათ.

კასაბლანკას შემდეგ უდაბნოში ელ ჯადიდა, საფი, ელ საუდირა ჩნდება. რაც უფრო ეშვები ეკვატორისაკენ, უდაბნოც მით უფრო ძალობს. ახლა მხოლოდ და მხოლოდ უედების შესართავებთან ჩნდებიან დასახლებული პუნქტები. აი, უედ დრა, შემდეგ მკვდარ უდაბნოში აღმართული ტარფაია.

ეს უკვე საჰარაა, ნამდვილი საჰარა. ცხელი, ვერაგი პასატითა და ქვიშის მკვდარი, ყვითელი დიუნებით. დიუნები გაქვავებულებივით უძრავად დგანან. დგანან, როგორც სიკვდილის სანიშნოდ აღმართული ობელისკები. ზოგან დიუნებს ალფა — უდაბნოს მცოცავი ბალახი მოდებია. ქვიშისა და მცენარის ამ დუმილში არის რაღაც ძალიან ძველი, ნაღვლიანი და მელანქოლიური.

შუადღისას პასატი მოძალდა და ჩვენკენ უდაბნოდან წამოიღო ხმელი ბალახის სუნი და შავი, დიდრონი პეპლები. ეს დიდრონი პეპლები ახლა გემის ირგვლივ დაფარფატებენ, ილუმინატორებს ასკდებიან. მლაშე კედლებზე სხდებიან.

მერე ცა შავდება, მხურვალე მზე, ტროპიკის ლონიერი მზე ღრუბლებმა დაფარა. ეს არაა ჩვეულებრივი ღრუბელი. ღრუბელი, რომელიც ოქვენცა და მეც ბევრჯერ შემოგვწყრომია სოფლის ბოლოში. არა, ეს ცოცხალ არსებათა უზარმაზარი, ჩქარა მოძრავი ღრუბელია. ღრუბელი, რომელსაც თავისი ბგერების სამყარო აქვს. ხმებს აღვიქვამთ ერთ გრძელ უსასრულო შრიალში. წიგნის ფურცლებივით შრიალებენ უდაბნოს რუხი კალიების ფრთები. შრიალებენ ასანთის ღერებივით გაფშეკილი ფეხები. ერთ წუთში ჩვენ კალიების თავსხმაში ვუჩინარდებით. ვასწრებთ ილუმინატორების დახურვას, მაგრამ კალიები რაღაც საიდუმლო ხვრელებიდან მაინც მოძვრებიან. მოძვრებიან და თხოულობენ სულ მცირეს — საზრდოს. როცა ვერაფერს პოულობენ, საკუთარ მუცელს მიირთმევენ.

ჩვენ მივცურავთ კალიების ხმაურიან ღრუბლებში. მერე ეს ნაღვლიანი ღრუბელი ქრება და კვლავ ჩნდება საჰარას მოწყენილი, ყვითელი სანაპირო. იქ სიკვდილია, გარბის ყველა... გარბის დიდრონი, შავი პეპელაც და უმწეო კალიაც...

სიცოცხლე აღარ ჩანს. სიცოცხლე დარჩა უფრო ზევით ქალაქ ტარფაიასთან, საიდანაც იწყება ნამდვილი საჰარა.

ხანდახან ობოლ ოაზისთან თუ გამოჩნდება ხოლმე ფინიკის ხეები. დგანან მოწყენილი ფინიკები და ელიან, როდის გაშრება მათი ოაზისი, რომ სამუდამოდ დაემშვიდობონ სიცოცხლეს. ფინიკების პატარა ტყეში ყოველთვის შეამჩნევთ ალიზის ყვითელ ქოხებს. ამ ქოხებში მამაცი ბერბერები ცხოვრობენ — უძველესი ხალხი. უკვე ცამეტი საუკუნეა, არაბების გავლენას განიცდიან, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი ენა და ცხოვრების წესი.

მივცურავთ საჰარის გასწვრივ. მნიშვნელობა აღარა აქვს — ვის ეკუთვნის ყვითელ კუბოში გამხვართული ეს უზარმაზარი სხეული. მაროკოს თუ მავრიტანიას, ძველთაძველ მსუნაგ კოლონიზატორ ესპანეთს თუ დასავლეთი საჰარის სახელს ატარებს.

საჰარა საჰარაა და მეტი არაფერი.

საჰარა ხელუხლებელი ქალწულია და ელის ადამიანის მძლავრ ხელს.

მარჯვენა ბორტიდან უსასრულო ოკეანეში ნელსონის ესკადრელიასავით ჩნდება წყალში უთავბოლოოდ ჩაყრილი კანარის კუნძულები. ფლაგმანობს ავიომზიდივით უსაშველოდ გაგრძელებული ლანსაროტე. მის უკან ტენერიფე დგას. ტენერიფე კი სულ პატარა სრუტეთი მოშორებია გრან კანარიას, რომელიც ძალიან ჰგავს უცაცებოდ დარჩენილ რვაფეხას.

მდინარე სენეგალთან აფრიკა სულ სხვანაირი ხდება.

თვალს ხიბლავს ჯუნგლების გრძელი ზოლი, რომელიც წყალუხვ მდინარეს აჰკიდებია ორთავ მხარეს — მარჯვნივ და მარცხნივ. იქ, იმ ჯუნგლებს იქით ცხოვრობენ გაბონები და ზამბინები, მამაცი აფრიკელი მონადირენი. აქ კი, ჩვენს წინ, მდინარე სენეგალის წყალუხვ ბასეინში ღრიალებენ ლომები. დაცოცავენ მახრჩობელა და შხამიანი გველები.

აქ ნამდვილი ცოცხალი აფრიკაა. ტამტამებითა და გრძელი, ბასრი შუბებით, ზებუს ტყავის ფარებითა და შხამიანი ისრებით. აქ ნადირი ნადირს ჰკლავს, ნადირს კი ადამიანი უღებს ბოლოს.

დაკარიდან კურსი მკვეთრად ავიღეთ დასავლეთისაკენ. ისე რომ, ვარაუდით რიო დე ჟანეიროსთან უნდა გავსულიყავით. ატლანტის ოკეანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადასერილი მქონდა. ახლა კი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადავჭრიდი. დაიწყო ხანგრძლივი ტრანსატლანტიკური მარშრუტი. დღეები თითქოსდა ტყუპი დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. წყნარი, თბილი ამინდი იდგა. იგრძნობოდა, რომ უკვე ვუახლოვდებოდით ეკვატორს.

სამხრეთნახევარსფეროც თბილი, მშვიდი ამინდით შეგვხვდა. ჩვენ ზამთრიდან ერთბაშად თავი ამოვყავით ზაფხულში. რადიომიმღებებში უკვე გარკვევით გვესმოდა პორტუგალური ლაპარაკი და სიმღერები, რაც აშკარად გვაგრძნობინებდა, რომ ახლოს ვიყავით სამხრეთ ამერი-

კის გოლიათ სახელმწიფოსთან — ბრაზილიასთან.

ბოლოს...

ისიც,

რიო დე ჟანეირო...

უზარმაზარი მოდერნიზებული ქალაქი.

ცათამბჯენებით,

დაკიდებული საავტომობილო გზებით.

ფართო განიერი ქუჩებით.

ტემპით...

ჩვენ რიოსთან მკვეთრად ვუხვევთ სამხრეთისაკენ და ვეშვებით ბრაზილიის გაყოლებით. მოგვაცილებს ულრუბლო ცა და მწვანე სანაპირო. აქა-იქ ჯუნგლებით გარშემორტყმული პატარა ქალაქი, სანაპიროსთან მოდრეიფე ლამაზი იახტები.

ღამით, განიერი თბილი საბანივით გვხურავს ტროპიკული ცა. ვარსკვლავებს შორის ვეძებთ სამხრეთის ჯვარს და ხარბად გავყურებთ.

დილით კი, დილით, როცა მზე ოკეანეზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთივით ჯდება, გავყურებ ჯუნგლების გაუთავებელ მწვანე ფონს და თვალწინ წარმოგვიდგება მაკაოს ფრთებით მოხატული ჩუნჩოსა და ეჩოკას, პაკაგუარესა და ჩარუას ტომის ინდიელები, ომის ბილიკებს რომ გაკვრიან და საბრძოლო ჩიბუხებს აბოლებენ.

ყოველ ახალ კონტინენტთან შეხვედრა გარკვეულ ინტერესსა და მღელვარებას იწვევს. აზიაში დაბადებული კაცი ათეული წლების წინათ ასეთი განცდით შევხვდი ევროპას. შემდეგ მუხლის კანკალით დავეშვი ტრაპზე, რომლის ბოლოც ცხელი აფრიკის მიწას ებჯინებოდა. მაშინაც, იმ წუთში, როცა გავყურებდი ჩემს წინ ხარის უზარმაზარი ბარკალივით დაგდებულ ლათინურ ამერიკას, თავი ათასნაირი ჰალუცინაციებით მქონდა გამოტენილი.

სალამი შენ, ახალო კონტინენტო!

სალამი შენ, ამერიკავ!

და ვეშვებოდით სამხრეთისაკენ. შკალაზე განედების გრადუსები ისე სწრაფად იზრდებოდა, თითქოს-და დიდი გეოგრაფიული სიცხის საზომი გახურებული გემის მუცელში ყოფილიყოს ჩადგმული.

ერთხელ, დილით ადრე რადიომიმღები ჩავრთე და ვილაც სინიორიტამ ქღურტულა ესპანურით დილამშვიდობისა მისურვა. ახლა რიო აღარ ლაპარაკობდა, რიო დე ჟანეირო ზევით დარჩა, ეკვატორთან ახლოს. ჩვენ მონტევიდეოსა და ბუენოს-აირესის ახლოს მივცურავდით. წინ რიო დე ლა პლატა იყო.

ჩემს კაიუტაში მე, კაპიტანი და უფროსი შტურმანი როინ იოსავა ვიჯექით.

— მოდი, ჩავაგდოთ, ტრალი ჰა, რას იტყვით? — იკითხა კაპიტანმა.

— ჩავაგდოთ, რეწვის რაიონი ცხვირწინაა, შეიძლება აქაც იყოს თევზი, მაშინ ორ დღეღამეს მოვიგებთ, ადრე შევუდგებით თევზჭერას, — ვთქვი მე.

როინმა ღიმილით გადმოგვხედა.

— თევზის ამბავი მოგეხსენებათ, მოიქნევს ბოლოს და გაუჩინარდება. ვინ იცის, იქნებ წუხელ იქ გაუჩინარდა და დღეს აქ იმყოფება.

— ჩავაგდოთ, რაც არის არის, — თქვა კუკამ.

კაიუტაში ახლა უფროსი მექანიკოსიც შემოვიდა.

— შენ რას იტყვი, კოლია, ჩავაგდოთ ტრალი?

— ჩავაგდოთ რას წავაგებთ.

გადაწყდა.

კოლია ხუპუა სამანქანო განყოფილებაში წავიდა მანქანების მოსამზადებლად. ჩვენ კი ეკიპაჟი მოვამზადეთ. მეორე შტურმანის — ასლან ქათამაძის ვახტი იყო და ტრალის ჩაშვებასაც ის ხელმძღვანელობდა.

ნელ-ნელა გაუჩინარდა ოკეანის ტალღებში ჩვენი კაპრონის ტრალი. არ დავარღვიეთ მებადურთა ტრადიცია და ბადეს ხურდა ფულიც გავაყოლეთ.

ჩანაწერები ჩინებული იყო. ასე რომ თევზი უნდა ამოგველო. ერთი საათი მაინც ვატარეთ ტრალი და შემდეგ გაიცა ბრძანება ამოღების შესახებ.

მეზღვაურებმა აავსეს უკანა ერდო და სატრალო ხიდური.

აი, დოლურამ იწყო გვარლის დახვევა. ახვევს და ახვევს, ტრალი კი არ ჩანს. ცნობისმოყვარეობა თანდათან იძაბება, ყველას უწყდება მოთმინების ძაფი და... ერთბაშად ზღვის ზედაპირზე ამოვარდება თევზით გატენილი ტრალი.

გატენილი, პირველად მოგვეჩვენა ასე, მაგრამ, როცა გვარლმა ახლოს მოათრია, სულ ოთხიოდე ტონაღა აღმოჩნდა. ესეც ხეირი იყო.

ტრალი სწრაფად ამოვათრიეთ ერდოზე და დავცალეთ. კაპრონის ბადედან ვერცხლისფრად მოელვარე ბესუგო გადმოცვივდა. მას მოჰყვა ბლომად სილა და სილაში გარეული მარგალიტის ნიჟარები.

ბიჭებმა თევზი მეორე ბუნკერში ჩაყარეს და ახლა მარგალიტის ნიჟარების დარჩევას შეუდგნენ. მე ღიმილით შევყურებდი და ვუამბობდი, თუ მარგალიტის რა ძვირფასი საბადოებია არგენტინის ნაპირებთან, სადაც ჩვენ მაშინ ვიმყოფებოდით.

მებადურები დიდის გულისყურით ხსნიდნენ ნიჟარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ოკეანეს ამ შემთხვევაში არ გამოუჩენია გულუხვობა და მარგალიტით არ დაუჯილდოებივართ.

რას იზამთ, ასეც ხდება ხოლმე.

კიდევ მეორედ ჩავაგდეთ ტრალი. შვიდ ტონამდე ბესუგო ამოვიღეთ. ბესუგო ძალიან

ძვირფასი თევზია, ამიტომ მატროსები მთელი ენერგიით შრომობდნენ.

იმ დღეს ჩვენ პირველად გავედით საბჭოთა გემების თათბირზე. აქ ცოტა განმარტებაცაა საჭირო.

რეწვის ყველა რაიონში საბჭოთა გემები ქმნიან საკმაოდ მოზრდილ ფლოტს. ფლოტმა რომ უთავბოლოდ არ იმუშაოს, ამისათვის მას ჰყავს თავისი უფროსი, მეზღვაურების ენაზე რომ ვთქვათ — ფლაგმანი. ფლაგმანი დღეღამეში რამდენჯერმე ატარებს თათბირს. ეს თათბირი ეთერში მიმდინარეობს რადიოს საშუალებით. თვითოეული გემის კაპიტანი ფლაგმანს მორიგეობით ახსენებს, რომელ კვადრატში მუშაობს, წინა თათბირის შემდეგ რამდენჯერ ჩააგდო ტრალი, რა სიღრმეზე, რა ამოიღო. შემდეგ კი, თუ რაიმე დახმარება ესაჭიროება, იმის შესახებ საუბრობს. ასე რომ, ფლოტის უფროსი საქმის კურსშია, თუ რომელ კვადრატში რომელი გემი მუშაობს და რას იჭერს.

იმ დღეს ჩვენც მოვახსენეთ მოპრძანების შესახებ. გემების კაპიტნები მოგვესალმნენ და მოგვილოცეს მშვიდობიანი ნაოსნობა, გვისურვეს კარგი თევზჭერა. ჩვენც მადლობა გადავუხადეთ კეთილი სურვილებისათვის და ქართულ გემებს გადავეცით, რომ მათთვის თან მიგვქონდა ყველაზე ძვირფასი, ოკეანეში მომუშავე მებადურეებისათვის — ფოსტა. როგორც კი თათბირი დამთავრდა, ტრაულერი „კოლხიდა“ მაშინვე გამოგვეხმაურა. აპარატთან იყვნენ კაპიტანი შაბური გუნია, პირველი თანაშემწე თენგიზ ქოიავა და უფროსი თანაშემწე გენადი კაჭარავა.

— კუკა, ბიჭო, ჩემი წერილი თუა? მითხარი, გამახარე ერთი, — ყვიროდა რაციაში შაბური.

— არის, არის, შენიცაა და გენადისაც.

— ბიჭო, თენგიზის არაა, აქაა და მახრჩობს.

— თენგიზის წერილიცაა. ამის გარდა, ამანათიც მოგვაქვს.

საქმე კარგად მიდიოდა. თევზი თავზე საყრელი გვქონდა. ეკიპაჟი დაკომპლექტებული იყო მგელივით ბიჭებისაგან და ყოველდღე ათ ტონაზე ნაკლებ თევზს არ ვყინავდით. ეს მაშინ, როცა „ტროპიკის“ ტიპის გემებზე გეგმით ცხრამეტი ტონა იყო გათვალისწინებული.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „შოთა რუსთაველი“ „ტროპიკის“ ტიპის გემებში ყველაზე ბებერი გახლდათ. ასე რომ, ტექნიკური აღჭურვილობით ყველა გემი გვჯობდა. იმას, რასაც ჩვენ ხელით ვაკეთებდით, სხვა გემებზე ტექნიკა ასრულებდა. მიუხედავად ამისა, იყო დღეები, როცა 50 ტონამდე თევზს ვყინავდით. მხოლოდ თევზის ფქვილის დამზადება გვიჭირდა. ჩვენი ბებერი წისქვილი დღე-ღამეში ძლივს ფქვავდა ტონა და ორას კილოგრამ ფქვილს. მაშინ როცა, სულ ცოტა, ორ ტონაზე ნაკლები არ უნდა დაგვეფქვა.

სწორედ ამიტომ ფქვილის დამზადებაში ჩამოვრჩით. რამდენს წვალობდა მერემონტე მექანიკოსი ომარ ნაჭყებია. დღე და ღამე წისქვილს დასტრიალებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. აშკარად ვხედავდით, რომ გეგმის შესრულებაში ხელს შეგვიშლიდა წისქვილი. ჩვენ ხომ თევზის ფქვილის დამზადების გეგმაც გვქონდა. ყოველი დღე თანდათან გვაშორებდა თევზის ფქვილის დამზადების გეგმას. ყოველი დღე ჩვენსა და გეგმას შორის აუვსებელ ხრამს ქმნიდა.

ეს ძლიერ ანერვიულებდა ჩვენს კაპიტანს — კუკა აბრამიას. მან ორჯერ უკვე იცურა ამ გემით და ორივეჯერ უგეგმოდ დაბრუნდა. თუმცა ამაში კაპიტნის ბრალი მცირედი იყო.

ამასობაში ჩვენ სულ უფრო და უფრო ვეშვებოდით სამხრეთისაკენ. მივყვებოდით არგენტინის სანაპიროს.

ორი დღის შემდეგ ბაზა „ვეტერს“ მივადექით. ჩინებული ამინდი იდგა და აბიორდაჟი კარგად ჩატარდა.

„ვეტერს“ მთელი ტვირთი ორდღენახევარში ჩავაბარეთ.

დავემშვიდობეთ გულითად მეგობრებს და დავეშვით სამხრეთისაკენ. მივემართებოდით ცეცხლოვანი მიწისაკენ, რომლის იქით იწყება ცივი ანტარქტიკა. ჩვენ უკვე ვგრძნობდით ანტარქტიკის მეზობლობას, როცა ზუიდი (სამხრეთის ქარი) უბერავდა, იძულებული ვხდებოდით, თბილი ქურქი ჩაგვეცვა. ქურქები მართლაც და დიდებული გვქონდა, ჩავიცვამდით და არავითარ სიცივეს აღარ ვგრძნობდით.

იმ დღეს კოლია ხუბუამ ნაღვლიანად მითხრა:

— ცუდადაა საქმე, ზეთი თავდება. თუ რაიმე არ ვიღონეთ, უქმად დგომა მოგვიწევს.

— რას ამბობ, ეგ შეუძლებელია!

— ასეა და რას იზამ.

— კაპიტანს ელაპარაკე?

— კი, ახლა ვუთხარი, ფლაგმანს უკავშირდება.

— ო, ფლაგმანი მოგვეხმარება.

— თუ რაიმე საშუალება ექნა, კი მოგვეხმარება, მაგრამ თუ ზეთი არაა, საიდან გააჩენს!

— კაიუტაში ახლა კაპიტანიც შემოვიდა.

— დაუკავშირდით? — ჰკითხა კოლიამ.

— ველაპარაკე. ჭეშმარიტად დიდებული კაცია ეს ილგოვი. საქმიანი, ენერგიული, ვეშაპმხოცებს დაუკავშირდა და მათთან გვიშოვნა ზეთი. ვეშაპმხოცი ფლოტილია „სოვეტსკაია უკრაინა“ დრეიკთან მუშაობს. ცოტა კიდევ უნდა დავიწიოთ დრეიკისაკენ და მათ შევხვდებით. გზაზე ტრალით ვივლით. ასე რომ, ერთი წუთითაც არ გავცდებით.

— დიდებულია, — ვთქვი მე.

— დიახ, უკეთესი ვარიანტი არც კი შეიძლება. თანაც შენ ანტარქტიკას ნახავ.

— მართლაც, დავიტრაბახებ ანტარქტიკაში ვიყავი-მეთქი.

ჩვენ ვეშვებოდით სამხრეთისაკენ. გზადაგზა თევზსაც ვიჭერდით და ისევ ვავსებდით ჩვენს ცარიელ ტრიუმებს.

ერთ ჩვეულებრივ ცივ დღეს, ქურქში გამოკრული მოაჯირთან ვიდექი და ჰოგრიტით გავყურებდი ოკეანეს. სუსტი ზუიდი უბერავდა და მომცრო ტალღები სამხრეთის მხრიდან ასკდებოდნენ ჩვენს გემს. დიდხანს, დაკვირვებით ვათვალიერებდი ოკეანეს. ერთბაშად ტალღებში მოფარფატე ორი ვეშაპი შევნიშნე. ვეშაპები ზანტად იქნევდნენ ბოლოებს და თავისთვის ნებივრობდნენ. რადისტის ილუმინატორთან მივედი და ვუთხარი დაკავშირებოდა „სოვეტსკაია უკრაინას“, ეცნობებინა კოორდინატები და გადაეცა, რომ ჩვენ ვხედავთ ორ გიგანტურ ვეშაპს.

რაციის უფროსი დიბლენკო ჩვეულებრივად ზანტად, უხალისოდ შეუდგა დავალების შესრულებას. მისგან ისიც იყო მოსალოდნელი, რომ სრულებითაც არ შეეწუხებინა თავი, ამიტომ ილუმინატორს არ მოვშორებივარ. ის კი არა, როცა ჰაერში მორზეს წივილი გაისმა, მეორე რადისტს ვანო ნუნიევს ქართულად ვკითხე, ზუსტად გადაცემდა თუ არა ჩემს ბრძანებას. ვანომ თვალი ჩამიკრა და დავმშვიდდი. ვეშაპები მხედველობის არედან არ გამიშვია. ისინი მშვიდად მიცურავდნენ და წარმოდგენა არც კი ჰქონდათ, თუ რა გამცემლობა ჩავიდინე მათ წინაშე. სულ მალე ჩვენი ვეშაპმხოცები აღმოაჩენდნენ და გულცივად მოუღებდნენ ბოლოს.

მზემ ნელა გამოიჭყიტა სამხრეთის ღრუბლიან ცაზე. გამოიჭყიტა და მაშინვე მიდამოს სითბო და ხალისი მოჰფინა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ციოდა, მზემ მაინც შეძლო თავისი ძალა ეგრძნობინებინა.

საერთოდ, მზის ცხოველმყოფელობას ყველაზე უფრო ოკეანეში გრძნობ. როცა მზე არაა, მიდამო მოწყენილია, ყველაფერს და ყველას სახე უტირის. მაგრამ გამოჩნდება მზე და მოწყენილობა სადღაც შორს გარბის, ირგვლივ უთვალავი სიცოცხლე და ხალისია.

— ხედავ? — მომესმა კაპიტნის ხმა. იგი ჩემს გვერდით იდგა, — აისბერგი.

— სად ხედავ? — შევყვირე მე.

— აი, მარცხნივ გაიხედე.

კაპიტნის მზერას ავედევნე და ძალიან გამიკვირდა, ღვისით, მზისით, ამ ნათელ ამინდში როგორ ქურდულად წამოგვეპარა ეს უზარმაზარი აისბერგი.

იგი ნელა ირწეოდა, ბრჭყვიალებდა და ძალზე გავდა ბროლის იმ სასახლეს, რომლის შესახებაც ბევრჯერ მოგვისმენია ზღაპარში.

— ლამაზია, არა?

— დიდებულია. პირველად ვხედავ აისბერგს, ვერც კი წარმომედგინა, თუ ასეთი გრანდიოზული, ლამაზი სანახაობა იყო.

მზის სხივებს კოხტად ირეკლავდნენ აისბერგის ბასრი თხემები. არეკლილი სხივები ოქროსფერის გარდა, რაღაც მოიისფროსაც გამოცემდნენ. თვალი ვერ მომეშორებინა.

მაშ ასე, ჩვენ უკვე ანტარქტიკის ცივ წყლებში ვიყავით, აისბერგებისა და ვეშაპების სამეფოში.

და...

უეცრად გაბმული ზუზუნი გაისმა. სულ ახლოს გამოჩნდა ვეშაპმხოცი გემი. მეგონა, ვეშაპმხოცი დიდი, უშველებელი გემი იქნებოდა, ჩემ წინ კი სულ პატარა გემი ჩანდა. იგი ყოჩაღი ყრმასავით დახტოდა სამბალიან ტალღებზე და გაბმული საყვირით გვესალმებოდა.

სალაპარაკო გამოვატანინე და ეკიპაჟს ვაცნობეთ ორი ვეშაპის „საიდუმლო“. იქიდან ხელი დაგვიქნიეს, არხეინად იყავითო და სწრაფად გაუჩინარდნენ. ზღვის შეუპოვარი მგლების ამბავი რომ ვიცოდი, დარწმუნებული გახლდით რომ ვეშაპები დღეს უკანასკნელად ხედავდნენ ანტარქტიკის გაყვითლებულ მზეს.

ჩვენ ისევ დავუკავშირდით „სოვეტსკაია უკრაინას“. კოორდინატები გავცვალეთ. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ კი ოკეანეში დავინახე ერთი უშველებელი ვეშაპი. ძალიან გამიკვირდა, როცა შევამჩნიე, რომ ის შადრევანს არ აფრქვევდა.

— რა ხდება? — ვკითხე კუკას.

— მკვდარია.

— რაო?!

— აქ უკვე ყოფილან ვეშაპმხოცები. იმათი საქმეა. მოკლავენ, გაბერავენ, ნომერს დაუსვამენ და შემდეგ გზას აგრძელებენ. მათ კვალზე „სოვეტსკაია უკრაინა“ მოდის და ნადავლს აგროვებს. ამ „ნაბიჭვარი“ გემების საქმე მხოლოდ ვეშაპების ხოცვაა. დანარჩენს კი ბაზა აკეთებს.

— აგაშენოს ღმერთმა!

უკვე იგრძნობოდა, რომ ბაზა სადაა უნდა გამოჩენილიყო. ჩვენ უკანასკნელად ჩავაგდეთ ტრალი და ჩავუთქვით, ბევრი თევზი ამოსულიყო. ეს საშუალებას მოგვცემდა, იმ დროის მონაკვეთში, რაც ზეთის მიღებას დასჭირდებოდა, ჩვენი თევზის საამქრო უქმად არ მდგარიყო.

ტრალი მართლაც კარგი ამოვიდა. მხოლოდ და მხოლოდ პესუგო იყო, თანაც ისეთი სუფთა, თითქოს თევზის საამქროში გაგვერეცხოს. ახლა უფრო ენერგიულად გავუტიეთ „სოვეტსკაია უკრაინასაკენ“, მთელი სვლით მივდიოდით. ორმოცი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ვხედავდით ამ გიგანტურ გემს. მისი კვამლი ცას შედგომოდა მრუდე სვეტად.

ერთხელ ჰიბრალტარში ვნახე ინგლისელთა გიგანტური სამგზავრო ხომალდი „კუინ ელიზა-

ბეტ“ „სოვეტსკაია უკრაინა“ არ ჩამორჩებოდა სიდიდით ამ გემს. ჩვენ სათამაშოსავით ვჩანდით მის გვერდით. წარმოიდგინეთ ყველაზე მაღალი პატაგონიელი[1] და მის გვერდით აფრიკელი ჯუჯა პიგმეი დააყენეთ. სწორედ ასე გამოვიყურებოდით ახლა ჩვენ უზარმაზარი „სოვეტსკაია უკრაინას“ გვერდით.

რასაკვირველია, ამსიმაღლე ხომალდის ერდოზე საბმელებს, ვერ ვტყორცნიდით. საბმელები იმათ გადმოგვიგდეს და როგორც თევზი ბადეში, ისე გავეხვიეთ თოკების ლიანებში .

„სოვეტსკაია უკრაინასთან“ სულ ცოტა 6 საათი მაინც უნდა ვმდგარიყავით. ეს საკმაოდ დიდი დრო იყო. კაპიტანმა ფრიად სერიოზული დავალება მომცა, ჩვენს გემზე გადმომეყვანა ფლოტილიის მთავარი კაპიტანი, საქვეყნოდ ცნობილი მეზღვაური მორგუნი. გვსურდა მორგუნი დაინტერესებულიყო ჩვენი წისქვილის უბედობით, გამოეგზავნა მისი შესანიშნავი სპეციალისტები და ჩვენი კერკეტა წისქვილის დოლაბი წალმა დაეტრიალებინა. მაგრამ მორგუნს არ უყვარდა სხვა გემზე გადასვლა. მას ცივი და პრაქტიკული კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მე ვიცოდი მორგუნის აქილევსის ქუსლი. მას ძლიერ უყვარდა კარგად შემწვარი კალმარი. ჩვენ გემზე ათ ტონამდე კალმარი გვქონდა. არგენტინის ნაპირებთან ბლომად ბინადრობს რვაფეხას ოჯახის ეს წარმომადგენელი. ზოგჯერ კალმარით სავსე ტრალი ამოგვქონდა და ვყინავდით. ჩვენც სიამოვნებით გეახლებოდით კარგად მომზადებულ კალმარს.

ჩავჯექი „სოვეტსკაია უკრაინიდან“ მოწოდებულ გოდორში და „საჰაერო“ გზით ვეშაპმხოცების ბაზისაკენ გავემგზავრე. ისე მივექანებოდი სულ ზევით და ზევით, როგორც ქის ფსკერიდან ატაცებული ვედრო. „შოთა რუსთაველი“ ქვევით დარჩა. ქვევით დარჩა მისი საპელენგო ხიდურაცა და გროტ-ანძაც, როგორც იყო, ვეშაპმხოცების გემის წინაერდოს მივაღწიე და ხის იატაკზე დავეშვი.

ყოველივე ის, რაც ვნახე, ძალიან ჰგავდა შუა საუკუნეების ესპანურ ქალაქს. წინაერდოს გრძელ-ვიწრო რკალად უვლიდა დაბალ შენობათა რიგი. ამ შენობებს წარსულში გადავყავდით. შორს ჩანდა მაღალი თალი. თალს იქით უკანა ერდო და იქ მოთავსებული ვერტმფრენთა ასაფრენი მოედანი. ეს უკვე მეოცე საუკუნე გახლდათ. მოედანზე ორი ვერტმფრენი თვლემდა. როცა ახლოს მივედი შენობებთან, იქიდან საანგარიშოთა კაკუნი შემომესმა. აქ ბუღალტერია ყოფილა მოთავსებული: ფინანსისტები თავიანთ საქმეში იყვნენ გართულნი.

წინ ვილაც ყმაწვილი შემომეყარა. (ისე, როგორც უცხო ქალაქში, უცხო ქუჩაზე შემოგვხვდება ვინმე).

— სად ვნახავ მთავარ კაპიტანს?

— თქვენ ამხანაგი მორგუნი გნებავთ?

— დიახ, დიახ.

— წამობრძანდით, იგი ხიდურის აივანზეა.

ჩვენ გავყევით ვიწრო „ქუჩას“, გავუარეთ დაბალ შენობებს და მერე საფეხურებს ზევით ავყევით. ხუთ წუთში თავი ხიდურის აივანზე ამოვყავი. ჩემს წინ სამი მრისხანე კაცი იდგა.

დავიბენი.

— მე ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კაპიტნის — პირველი თანაშემწე გახლავართ

— პირველი თანაშემწე? — როგორც იყო შუბლი გახსნა იმ კაცმა მარჯვნივ რომ იდგა, — მწერალი, არა?

— დიახ. ასე ვთქვათ.

— ჰო, თქვენი ფლოტილიის უფროსი იაშა ფაცია მელაპარაკა თქვენზე. რისთვის გარჯილხართ?

— მინდა ჩვენს გემს ესტუმროთ, მაპატიეთ, თქვენ მორგუნი ბრძანდებით?

— დიახ, არ ცდებით, მაგრამ სტუმრობა არ მიყვარს. უფრო სწორად ზღვაში სტუმრობა არ მიყვარს. ზღვაში ყველაფერს სჯობია შინ იჯდე, საკუთარ ხატაში.

— მე ვიცი თქვენი ეს დიდებული ჩვეულება, მაგრამ იმისათვის მოვედი, რომ ამჯერად დაგარღვევინოთ ეს გადაწყვეტილება.

— არა, ამას არ ვაპირებ. უფრო აჯობებს, თუ თბილისში გესტუმრებით.

— ეს თავისთავად. მაგრამ უნდა გითხრათ, თბილისში სრულებითაც არ მექნება კალმარის შესანიშნავი მწვადები, რომელსაც ჩვენი დიდებული შეფ-მზარეული კარლო ხარბედია ამზადებს.

მორგუნმა ქვეშიდან ეშმაკურად ამომხედა.

— შეხედეთ, საიდან მიტევს. მართალი გითხრათ, თითქმის თხუთმეტი წუთია შემწვარი კალმარის სუნი მცემს.

მორგუნი არ ცდებოდა. სწორედ ჩვენი კაიუტ-კომპანიის პირდაპირ ვიდექით და მიუხედავად იმისა, „შოთა რუსთაველი“ ბაზას შუამდეც ვერ წვდებოდა, სუნი, დალოცვილი მძაფრი სუნი ხახვში შემწვარი კალმარისა, ჩვენამდე აღწევდა.

— თქვენ დიდებული ყნოსვა გქონიათ, ამხანაგო მორგუნ.

— არ ვემდური, ვეშაპის სუნსაც კი ვგრძნობ. ნახეთ გემბანზე?

— არა.

— აპა წამოდით.

ჩვენ ვიწრო, კასტილიური „ქუჩით“ დავეშვით. გადავჭერით ცენტრალური მოედანი და თალს უკან გემბანზე გაშხლართული უზარმაზარი გოლიათი ვიხილე.

ასე ახლოს არასოდეს მენახა ვეშაპი. ხორცი-

---

1 პატაგონიელები — სამხრეთ ამერიკული ინდური ტომია. გამოირჩევა განსაკუთრებულად დიდი სიმაღლით.

სა და ქონის ეს უზარმაზარი ზვინი უსულოდ ეგდო გემბანზე. შემაზრზენი იყო მისი ყურება. რამდენადაც სასიამოვნოა დიდებული, მოცურავე ვეშაპი, იმდენად გულისამრევი იყო ახლა ეს ლეში.

— მორგუნმა ჩემს შუბლზე ყველაფერი ამოიკითხა.

— ასეა, სიდიადე სიკვდილის წუთშივე გტოვებს.

ვისარგებლე საუბრის ინტიმური შემობრუნებით.

— ამიტომ ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა მოასწროს ყველაფერი.

— რას გულისხმობთ მოსწრებაში?

— თუნდაც ვთქვათ, თვეობით ხარ გაშლილ ოკეანეში. უნდა მოასწრო გემიდან გემზე გადასვლა, შენი ულუფა კალმარის შესანსვლა და ასე შემდეგ...

მორგუნმა ჯერ მკაცრად შემომხედა, მერე, როცა ჩემს სახეზე ღიმილი ამოიკითხა, გაიცინა.

— უკვე მზად არის თქვენი კალმარი?

— შემიძლია ჩვენი მზარეულის ხელის სისწრაფით ვივარაუდო, რომ იგი მზად იქნებოდა ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ.

— მაშ წავიდეთ, ნუღარ გავაცივებთ.

— დიდებული გადაწყვეტილებაა.

ჩავსხედით გოდორში. მორგუნი ნამდვილად ჩაჯდა. მე კი გოდორიდან ისე გამოვყავი თავი, როგორც კუ ჰყოფს ხოლმე თავისი ბაკნიდან თავს და მიდამოს დათვალიერება ვიწყე, ცუდი პეიზაჟი როდი იყო...

მაგრამ...

მორგუნმა მკაცრად შემომხედა.

— ახალგაზრდავ, მე არ მიყვარს ტექნიკის უშიშროების ნორმების დარღვევა. შეიძლება გროტანძას, ან რაიმე ოხრობას გამოვედოთ და მაშინ გემბანზე უთავოდ დაბრუნდებით. გესმით!

— მესმის. დარწმუნებული ვარ გემზე მეორე ასეთ თავს ვერ ვიპოვი, სჯობს ამას გავუფრთხილდე.

მორგუნს არ გაუღიმია.

ასე მომეჩვენა, იგი ნანობდა, რომ ამ მოგზაურობაზე დასთანხმდა, მაგრამ როგორც კი გემბანზე დავეშვით, მას სახეზე ღიმილი გადაეკრა.

— გეგმას ასრულებთ?

— ვასრულებთ, — მაშინვე გამკრა გულში. დრო იყო საუბარი წისქვილზე ჩამომეგდო — ვასრულებთ, მაგრამ ფქვილის გეგმამ გაგვიჭირა საქმე. წისქვილს რაღაც ეშმაკი შეუჩნდა და ხშირად ფუჭდება.

— მერე, მერემონტე მექანიკოსი რას გიკეთებთ?

— ამ თანამდებობაზე გვყავს ერთი კარგი ბიჭი, გვარად ზაიკა.

— ჩემი მიწისა ყოფილა.

— ჰო, უკრაინელია. მან ვერაფერი გაუგო.

მორგუნმა გოდორს ხელი ჩასჭიდა, შეანჯღრია და როცა, იქ ზემოთ მდგომთა ყურადღება მიიპყრო, ასძახა:

— გესმით, მექანიკოსები გამომიგზავნეთ.

მექანიკოსები ალბათ ბლომად ჰყავდა მორგუნს და ზემოდან მაშინვე ჰკითხეს.

— რამდენი? ამხანაგო მორგუნ?!

— რამდენი და ერთი დუჟინი.

ზემოთ ძალიან გაიკვირვეს.

— სამი კაცი გამოგზავნეთ, ყველაზე კარგები.

— არის.

კაპიტანი აბრამია სრულებითაც არ ელოდა, რომ გემზე მორგუნთან ერთად დავბრუნდებოდი. გემბანზე არ შეგვხვედრია. იგი ძლივს იპოვეს სამანქანო განყოფილებაში. თვალით მანიშნა, ნამდვილად ის არისო? მეც დავუდასტურე. სახე გაებადრა. მორგუნმა კი ხელის ჩამორთმევისთანავე უთხრა.

— განკარგულება გავეცი, მექანიკოსები გადმოვლენ და თქვენს წისქვილს შეაკეთებენ.

კაპიტანი მე მომიბრუნდა.

— უკვე უთხარი, ბიჭო, გაკოცებდი, ეს უცხო კაცი, რომ არ იყოს. წავიდეთ.

წავედით.

კარლო ხარპედიამ დიდებული მაგიდა გაგვიწყო. მორგუნი პირდაპირ ჰკუიდან შეშალა მის მიერ მომზადებულმა კალმარმა. მადიანად ჭამდა. შემდეგ კაპიტანმა უთხრა, რომ რამდენიმე ყუთ კალმარს საჩუქრად აძლევდა. დიდი მადლობა გადაგვიხადა და სანაცვლოდ ვეშაპის თირკმელი შემოგვთავაზა. უარი არ გვითქვამს. შემდეგ თავის გემზე ვიღაც გამოიძახა და განკარგულება გასცა, ჩვენთვის საჩუქრად ვეშაპის კბილები გამოეგზავნათ. კაპიტანმა, უფროსმა მექანიკოსმა და მე სულ ოც წუთში მივიღეთ ლამაზად გაფორმებული ვეშაპის კბილები. უზარმაზარ კბილზე ერთ მხარეს ახატია აისბერგებში მოცურავე „სოვეტსკაია უკრაინა“. მეორე მხარეს კი წარწერა აქვს: „ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კაპიტნის პირველ თანაშემწეს რ. ი. ჩაჩანიძეს ვეშაპმხოც „სოვეტსკაია უკრაინას“ ეკიპაჟისაგან. ანტარქტიკა 1967 წელი“.

ამ კბილს ახლაც სათუთად ვინახავ.

ამასობაში „სოვეტსკაია უკრაინას“ ყველაზე კარგი სპეციალისტები ჩვენს წისქვილში საქმიანობდნენ. მათ, ზაიკასთან ერთად მთლად დაშალეს წისქვილი, მეტად ენერგიულად მუშაობდნენ. როცა ჩვენ უკანა ერდოზე გავედით, უკვე აწყობდნენ.

— კარგად იმუშავებს? — ჰკითხა მორგუნმა.

— გარანტიას ვიძლევი, დღეღამეში ხუთ ტონას დაფქვავს.

— რაო? — შესძახა ჩვენმა კაპიტანმა.

— ხუთი ტონა, ხუთი ტონა! — გაიმეორა იმ მექანიკოსმა.

— არ მინდა ხუთი, სამი იყოს, და ყოველდღე თქვენს ლოცვაში ვიქნები.

— ხუთ ტონას ერთი გრამიც რომ დააკლდეს, პასუხს ვაგებ, — დაჯერებით თქვა იმ ტექნიკოსმა.

მორგუნმა გაიღიმა.

— ნიკოლაი ილიჩმა იცის თავისი საქმე. რადგანაც ასე ამბობს, უნდა დავუჯეროთ. მე პირადად მას ყოველთვის ვუჯერებ. ასე არაა, ნიკოლაი ილიჩ?

— დიახ, ნამდვილად ასეა, ამხანაგო მორგუნ!

ჩვენი კაპიტანი სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

იმ ნიკოლაი ილიჩმა ნამდვილად სწორი თქვა, მეორე დღეს, როცა წისქვილის ჩართვიდან 24 საათი გავიდა, მე, კაპიტანი და ზაიკა წისქვილისაკენ გავემართეთ. მეწისქვილე უკანა ერდოზე შემოგვეგება. მარჯვენა ხელი აღემართა და თითებით ხუთს გვაჩვენებდა.

— რას ამბობ?!

— ნამდვილად ასეა, ამხანაგო კაპიტანო, არც მე მჯეროდა და ტომრები შვიდჯერ დავითვალე. რას იზამ, ხუთი ტონაა.

კაპიტანმა მეწისქვილე და ზაიკა გადაკოცნა.

შუადღისას კაპიტანმა მითხრა:

— ჩვენი ფლოტილიის უფროსი იაშა ფაცია მელაპარაკა. ჩვენს გემზე უნდა გადმოვიდეს. ტრაულერი „რუსთავი", რომელზეც ფაციას აქვს რეზიდენცია, ახლა ჩვენკენ მოდის. ალბათ ორ-სამ საათში მოგვადგება.

— ძალიან მიხარია, ბოლოს და ბოლოს გვიკადრა იაკობ ფაციამ. წესით მისი სამყოფელი ჩვენს გემზე უნდა იყოს, „შოთა რუსთაველი" ჩვენი საოკეანო ფლოტის პირველი გემია. ამდენად იგი ფლაგმანი გახლავთ და ფლოტილიის უფროსიც ჩვენთან უნდა იყოს.

— ეს, ფაცია რომ გადმოვა, იმას უთხარი.

— ვეტყვი კიდეც.

—აბა, შენ იცი, არ დაივიწყო.

— ნახავ.

სამი საათის შემდეგ „რუსთავი" მართლაც გამოჩნდა. მოგვიახლოვდა და საყვირის გაბმული ზუზუნით მოგვესალმა. ჩვენც ვუპასუხეთ. მერე მოტორიანი ნავი ჩაუშვეს და ჩვენსკენ გამოემართა ქართული ფლოტილიის უფროსი.

ნავი ნელა მოიწევდა. ყოჩაღად ხტოდა პატარა ტალღებზე. მე და კაპიტანი უკანა ერდოზე ჩავედით. ბოცმანმა ტრაპი მოაგება სტუმრებს და უკანა ერდოზე გადმოხტა საშუალო სიმაღლის ქერა კაცი. ღიმილით ჩაგვათვალიერა.

— ზღვის მგლებს ვახლავარ.

— გამარჯობათ, ამხანაგო იაშა!

— როგორაა საქმე, გიჟირთ?

— რას იზამთ, ძველი გემია, ხან რა ტყდება და ხან კიდევ რა.

— რკინა იმიტომაა, ან უნდა გაილღოს, ან უნდა დაიჟანგოს, ანდა კიდევ გატყდეს. თქვენ რა, უკვდავების თეორიას აყენებთ. მარილიანი წყალი რკინას კი არა, კაცს შეჭამს.

ფაცია ლაპარაკობდა მხიარულად, ხალისიანად, სწრაფად და თანაც თვალებით ყველაფერს გულდასმით ათვალიერებდა.

ჩვენ ავყევით კიბეებს, მერე დერეფანი განვვლეთ და კაპიტნის კაიუტაში შევედით.

— იცით რა, ყმაწვილებო, გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. თუმცა ხანდახან ბევრს წუწუნებთ, მაგრამ რას იზამთ, „შოთა რუსთაველი" ძველი გემია, მას ისე ყოჩაღად არ შეუძლია იმუშაოს, როგორც „რუსთავია", ან „მცხეთა". საქმე მაინც კარგად მიდის, ყველა გემზე უკეთესად. თან სასიამოვნო ისიცაა, რომ შესანიშნავი დისციპლინა გაქვთ. ამას წინათ მორზეთი ველაპარაკე მიხეილ ცქიტიშვილს (მ. ცქიტიშვილი საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსია), აღფრთოვანებულია თქვენი შრომით. ბარაქალა თქვენ!

— და რომ იცოდეთ, ამხანაგო იაშა, ჩვენს გემზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბუნკერი მუშაობს. სახელდობრ, მთელი საქმიანობა პირველი ბუნკერიდან წარმოებს, — თქვა კაპიტანმა.

— დანარჩენ სამ ბუნკერს რად არ იყენებთ?

— არ ვარგა.

— მერე და თევზი არ გიფუჭდებათ?

— არა, გემბანზე გვიყრია და წყლით ვრწყავთ ხშირ-ხშირად. პირდაპირ არაადამიანური შრომაა, მაგრამ რას იზამ...

— მესმის, ყოჩაღ, ყმაწვილებო, ბარაქალა თქვენ!

იაკობ ფაციამ შეამოწმა ჩვენი გემი. გასინჯა თევზის საამქრო, სამანქანო განყოფილება. ჩამოუარა ბუნკერებს, სათითაოდ შეამოწმა ყველა ლუკი. მერე კაპიტნის კაიუტაში შევიკრიბენით.

— იცით რა, ბიჭებო, გემით კმაყოფილი არა ვარ. „შოთა რუსთაველი" ძველი გემია, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს თვალი დავხუჭოთ ზოგიერთ რამეზე.

ჩვენ ყურები ვცქვიტეთ.

— რაშია საქმე? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

— არა, მე თქვენ არ გადანაშაულებთ. საქმე შემდეგშია: გემის ტექნიკური მდგომარეობა არ მომწონს. განსაკუთრებით, ბუნკერების ლუკები. ბუნკერები არ იხურება ჰერმეტულად. იცით რა, ყმაწვილებო! ეს პატაგონიაა, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა არ გეგონოთ. აქ მაისის ბოლოს იწყება მძლავრი გრიგალის — პამპეროს სეზონი. თუ პამპერომ მოგვისწრო, უკანა ერდო ტალღების საჯირითო გახდება. თქვენი ბუნკერები სულ, დღედაღამ წყალში იქნება. იცით, ამას რა მოჰყვება? — წყალი ბუნკერებში შეიჭრება, ძმებო, მერე კი, ნახვამდის...

## ზვიგენებზე ნადირობა

იმ საღამოს იაკობ ფაცია უნდა გადაგვესვა ტრაულერ „რუსთაველზე". თევზი ბლომად დავიჭირეთ და „რუსთაველისაკენ" გავემართეთ. შევხვდით თუ არა, მაშინვე მოტორიანი ნავი ჩავუშვით. იაშა ფაციასთან ერთად, ნავში მეც ჩავჯექი.

„რუსთავი" ახალი დაბრუნებული იყო მონტევიდეოდან, სადაც გემის კაპიტანი ბიჭიკო ასკილეისკირი მიიყვანეს სამკურნალოდ.

ბიჭიკო გემზე უეცრად ცუდად გახდა. დღეები გადიოდა მისი ჯანმრთელობა კი არ უმჯობესდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს იგი მონტევიდეოს საზღვაო ჰოსპიტალში მოეთავსებინათ. უფრო ადრე, სხვადასხვა მიზეზით გემი დატოვა კაპიტნის პირველმა თანაშემწემ. ამგვარად, მოკლე დროში გემიდან ორი ხელმძღვანელი მუშაკი წავიდა. გარდა ამისა, აკლდათ რამდენიმე მატროსი. საჭირო იყო ეკიპაჟის გამხნევება, დარაზმვა. იაკობ ფაციამ გადაწყვიტა თვითონ ეკისრა კაპიტნის ფუნქციები.

ამინდი წყნარი იყო. „რუსთავს" მარჯვენა ბორტიდან მივადექით და ტრაპს უკანა ერდოსაკენ ავყევით.

— როგორაა საქმე, ხომ არ შეგეშინდათ? — ჰკითხა იაშამ უფროს თანაშემწეს.

— არა, შიში რას მიქვია, ხალხი გვაკლია და ეს გვიშლის ხელს.

— ხალხი იქნება, აგე დღეს თუ ხვალ „თბილისი" მოვა და ხალხსაც მოიყვანს თქვენთვის.

— როდის გამოვიდა „თბილისი" ფოთიდან?

— უკვე ათი დღეა, სამ კვირაში აქ იქნება.

— სამი კვირა დიდი დროა, ამხანაგო იაკობ.

— რას იზამ, მეტი გზა არაა.

— იქნებ „კოლხიდიდან" გადმოვიდეს ვინმე?

— „კოლხიდა", რვა თვეა, ზღვაშია. ყველას შინ მიეჩქარება. აბა, ვინ დარჩება კიდევ ორ თვეს! მაინც ველაპარაკე კაპიტანს. შემპირდა, აგიტაციას გავწევო. ვნახოთ, რა იქნება.

— ორი კაციც რომ დასთანხმდეს, მაინც დიდი საქმე გაკეთდება, ამხანაგო იაშა.

ჩვენ საუპრით მივდიოდით კაპიტნის კაიუტისაკენ.

კაიუტაში შესვლისთანავე იაშამ ნაელონის ქურქი გაიძრო და დივანზე მიაგდო.

— აბა, დამიძახეთ შტურმანებს, პარტბიუროს მდივანს, უფროს მექანიკოსს. შემდეგ მთელი ეკიპაჟი სასადილოში შევკრიბოთ.

„რუსთაველზე" თითქმის მთელი ორი საათი დავრჩი. ჩვენი გემი ახლოს ტრიალებდა. ერთხელ ტრალიც კი ჩააგდეს. კარგა ბლომად ამოიღეს თევზი, ჰოგრიტით ვაკვირდებოდით.

ის იყო, საერთო კრებაც დავამთავრეთ, რომ შებინდება დაიწყო. ბინდში გემიდან გემზე გადასვლა, მოგეხსენებათ, რისკთანაა დაკავშირებული. შეიძლება გემმა ნავი დაკარგოს, სულ სხვა მიმართულებით წავიდეს და, მაშინ მორჩა ყველაფერი.

ოკეანეში ყოველგვარი რისკი სისულელეა. სანამ კიდევ ნათელი იდგა, ვჩქარობდი შინ დაბრუნებას.

გემზე ავედი თუ არა, კაპიტანი შემომეგება.

— ხომ მშვიდობაა?

— კი, ყველაფერი რიგზეა.

— ერთი ამბავი უნდა გახარო.

— რა მოხდა?

— ფლაგმანი მელაპარაკა.

— რაო?

— ტანკერი „ლასპი" დადგა, 50 ტონა სასმელ წყალს გვაძლევენ.

— ავშენებულვართ და ესაა.

— ჰო, ჩვენი წყლის მანქანა, მოგეხსენება, ხშირად ფუჭდება. ტანკერიდან თითქმის წყლის მთელი მარაგი ამოვწურეთ. სულ ახლახანს გავასინჯე ბოცმანს და გემზე მხოლოდ 25 ტონა წყალი აღმოჩნდა. ეს მარაგი მარტო წისქვილს არაფერს უზამს, დანარჩენი?

ჰოდა, შენ წახვედი თუ არა, ფლაგმანმა გამომიძახა. 50 ტონა მოგვცა, მაგრამ შეიძლება „ლასპის" კაპიტანმა კიდევ ცოტაც დაგვიმატოს.

— თუ ასეთ ინიციატივას გამოიჩენს, ხელს ნუ შეუუშლით.

— რას ამბობ! პირიქით, წავახალისოთ კიდეც...

დილით „ლასპისაკენ" გავცურეთ.

კაპიტანი მიდგმის ნამდვილი ხელოვანი იყო, „შოთა რუსთაველი" მშვენივრად მიადგა „ლასპს". მივადექით და ჩვენებმა მაშივე მიაწოდეს ლასპელებს რეზინის გრძელი მილი. საიდანაც ჩვენსკენ უნდა ედინა ხმელეთის ახალ წყალს.

მე მარჯვენა გემბანზე გამოვედი. მოაჯირს დავეყრდენი, აქედან თვალყურს ვადევნებდი ტანკერის მანევრებს.

„ლასპი" მცირე ტანკერთა ჯგუფს ეკუთვნის. ღელვა სულ სამი ბალი თუ იქნებოდა, მაგრამ ტანკერს კარგა ბარაქიანად აცეკვებდა. უეცრად ჩემს გვერდით უფროსი შტურმანი როინ იოსავა გაჩნდა.

— ჩაიხედეთ ქვევით, რამოდენა ზვიგენია.

ჩავიხედე.

უზარმაზარი ზვიგენი ზანტად დაცურავდა. წყალი კრიალა მომწვანო იყო და ყველაფერი, როგორც აკვარიუმში ისე ჩანდა. ჩანდა ზვიგენის ცისფერი ზურგი. ზურგზე გროტ-ანძასავით აღმართული დიდი ეკალი. ეს ეკალი მისი პირველი დიდი იარაღია. სწრაფად გაურბენს მსხვერპლს, ეკალს აღმართავს და მით გაფატ-

რავს. მერე შემობრუნდება და სისხლისაგან გაგიჟებული ფლეთს საცოდავ მსხვერპლს.

მე არამც თუ ზვიგენს, ორ მოზრდილ ლოცმანსაც ვხედავდი. ლოცმანები სწრაფად დაცურავდნენ ზვიგენის ცხვირთან, ხანდახან კი მის მუცელს ქვემოთ უჩინარდებოდნენ.

— ლამაზი ცხოველია, — ვთქვი მე.

— დიდებული, ნახე ტანი როგორი ელასტური აქვს, მათრახივით არ იხვევა!

ჩვენ მოხიბლული დავყურებდით ზვიგენის ლამაზ ნავარდს.

ერთბაშად ამ დიდი ცხოველის გვერდით მეორეც შევნიშნე, მერე მესამე, მეოთხე, მეათე, მეასე, ოკეანე სულ ზვიგენებით იყო სავსე. მინახავს, როგორ არ მინახავს ზვიგენების ჯოგი, მაგრამ ასე მრავალი, არა...

— ბიჭოს, რამდენია!

მოგვესმა კაპიტნის ხმა.

— მთელი ატლანტის ზვიგენებს აქ მოუყრიათ თავი. რა საოცრებაა! სად იყო და სად არა, გემბანზე ვალერი ბასილაიაც გაჩნდა.

— ერთი უყურეთ, დედას ვუტირებ მე მაგ ვიგინდარებს, დამაცალეთ! — ჩაილაპარაკა ვალერიმ. კაპრონის მაგარ თოკზე გამობმული მოკაუჭებული ლურსმანი ამოსწია. ზედ მოზრდილი ხეკი მოაბა და ოკეანეს სტყორცნა. ხეკი ტყაპანით დაეცა წყალზე და მაშინვე ჩაიძირა, მაგრამ, როგორც კი ერთი მეტრის სიღრმემდე ჩააღწია, სწრაფად ჩაუქროლა მსუნაგმა ზვიგენმა, ზედ თევზის წინ ცოტათი შებრუნდა და მაშინვე თავის ანკესიანად გადაყლაპა.

— დედას გიტირებ, დედასა, — გაისმა ვალერის ხმა. სწრაფად მოქაჩა კაპრონის თოკს, წყლის ზევით ზვიგენის თავი გამოჩნდა.

მე, კაპიტანი და როინ იოსავა მაშინვე ვალერისთან გავჩნდით. თოკს ხელი ჩავავლეთ და ნელა ვიწყეთ ზვიგენის ამოთრევა. ზვიგენი დიდი იყო, კიდევ უფრო დიდი იყო მისი სურვილი — არამც და არამც ჩვენს გემბანს არ გაჰკარებოდა. ამიტომ ძლიერ გვიჭირდა მისი მოთოკვა.

კიდევ სამი მეზღვაური მოგვეშველა. მათ შორის ანდრო გაბოშვილიც, რომელიც ბარე სამ კაცს მაინც უდრიდა. გააფთრებული ზვიგენი უკანასკნელ ენერგიას ხარჯავდა. ლამაზ კუდს მძლავრად სცემდა გემის ბორტს და ზედ შავ ლაქებს ტოვებდა. გაბრაზებული ზვიგენი ყოველთვის გამოყოფს შავ სითხეს, რომელიც ყველაფერს ღებავს.

რის ვაი-ვაგლახით მოაჯირამდე მოვათრიეთ. ახლა პრობლემა გემბანზე მისი გადმოგდება იყო.

— ჯერ ნუ გადმოაგდებთ, დავარეტიანოთ, — თქვა ანდრო გაბოშვილმა და უროს მოსატანად წავიდა.

ანდროს გამოთიშვა აშკარად ვიგრძენით. ძლივს ვაკავებდით მძლავრ მხეცს. არც ერთს არ გვსუროდა გემბანამდე ასე გაჭირვებით მოთრეული მხეცის გაშვება. ის კი, სულწაწყმედილი იბრძოდა და იბრძოდა, თითქოს იგრძნო, რომ დიდი ძალა მოგვაკლდა.

სწორედ რომ ბედზე მოგვისწრო გაბოშვილმა. მოაჯირს გადაეყრდნო და ერთი ისეთი შემოჰკრა თავში ზვიგენს, რომ გემის ბორტმაც კარგი მაგარი ხმაური გამოსცა.

ზვიგენი გასტა და კუდი მძლავრად დაიქნია.

— ასე არ გამოვა, — ვთქვი მე, — ჯერ როგორმე გადმოვაგდოთ და შემდეგ დავცხოთ ურო.

— მაშინ ბარჯს მოვიტან, — თქვა ანდრომ.

— ჰო, ბარჯი ჯობია.

ანდრო გაიქცა და ახლა ბარჯით დაბრუნდა.

ბარჯი საკმაოდ გრძელი, წვერწამახული რკინის შუბი გახლდათ, ანდრომ ბარჯი ყელში გაუყარა ზვიგენს და დიდი წვალებით, როგორც იყო, გემბანზე გადმოვაგდეთ. იქ კი უროთი მოვუღეთ ბოლო.

ჩვენ ზვიგენის დამზადების გეგმაც გვქონდა. გაჩნდა იდეა, მოგვეწყო ნადირობა ზვიგენებზე. ამაზე უკეთეს სანადიროს რას ვინატრებდით, წყალი სავსე იყო ამ ავაზაკი ცხოველებით.

ორივე გემბანზე რამდენიმე სანადირო წერტი მოვაწყვეთ. ჩავაგდებდით თუ არა კაუჭა ლურსმანზე ასხმულ ხეკს, ზვიგენიც მაშინვე იქ იყო. ერთს გაუქროლებდა სასუსნავს და მაშინვე ყლაპავდა. ჩვენც ეს გვინდოდა, მტაცებელი ისე ეგებოდა ანკესზე, როგორც საჩურჩხელე თხილი ძაფზე. კაპრონის მაგარ თოკს ვქაჩავდით და ზვიგენს ჩვენკენ მოვათრევდით. ძალიან გვიჭირდა გემბანზე გადმოგდება. ეს ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული. მცირედი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ზღვის ამ ძლიერ ყაჩაღს შეეძლო დავეფლითეთ, მაგრამ ანდრო გაბოშვილი მარჯვედ იყო, როგორც კი გოლიათი ზვიგენი გემბანზე ბრაგანს მოადენდა, მის თავზე მაშინვე ეშვებოდა მძიმე ურო. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ზვიგენიც წყვეტდა წინააღმდეგობას.

ერთბაშად უზარმაზარი ზვიგენი შევნიშნე. ეს იყო, სულ ცოტა, 7 მეტრი სიგრძის გოლიათი. სწრაფად გაიქროლა ბორტთან, მერე კუდი მოიქნია და გაუჩინარდა. გამოცდილებით ვიცოდი, შორს არსად წავიდოდა.

— ანდრო, ერთი კარგი თევზი მომაწოდე. უფლისწული ატლანტიელი მობრძანდა გემრიელი საუზმისათვის.

— აი, უფლისწულს ნალიმი მივართვათ (ნალიმი მოწითალო თევზია, ცოტათი გველს ჩამოჰგავს).

ანდროს თევზი ჩამოვართვი, კაცი ვალერიმ მომაწოდა. თევზი კავზე დავამაგრე და ოკეანეში მოვისროლე. ველოდი, რომ ზვიგენები მაშინვე მიცვივდებოდნენ თევზთან, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ეს ასე არ მოხდა. არც ერთი ზვიგენი

სიახლოვესაც კი არ გაჰკარებია ნალიმს. ეს მაშინ, როცა ნალიმის გვერდით ხეკიან კავებზე პანტაპუნტით ეგებოდნენ.

— ეგ ზვიგენები მე მგვანან, ამხანაგო რაულ, — განმიმარტა ანდრო გაბოშვილმა, — ჩემი არ იყოს, არც მათ მოსწონთ ეს ქლალი თევზი. იმ სულწაწყმედილ უხსენებელს ჰგავს, აბა, რა შეაჭმევთ!

თქვა გაბოშვილმა და წყალში გადააფურთხა.

— აბა, ერთი მოზრდილი ხეკი შეარჩიე.

— ჰო, ხეკი სხვა საქმეა. ისეთი შევარჩიო, რომ პავლიაანთ გიოსაც კი მოეწონოს.

— ეგ გიო ვინღაა?

— იგოეთში გვყავს მეთევზე.

— აბა, მომაწოდე გიოს მოწონებული.

მოზრდილი ხეკი ჯერ კიდევ სანამ ოკეანის ზედაპირს შეეხებოდა, მშიერი ზვიგენები წყალში მის ლანდზე ნადირობდნენ. სატყუარი ღრმად არ ჩამიშვია, ნელა ვათამაშებდი, როცა ზვიგენი გამოქანდებოდა, ზევით ამომქონდა და ხახამშრალს ვტოვებდი. მე ის გოლიათი მაინტერესებდა, სხვები მის გვერდით ლიფსიტებად ჩანდნენ.

არც მას დაუყოვნებია.

ჯერ მისი დიდი აჩრდილი შევნიშნე, მერე — თვითონ. ზანტად, დიდბატონურად მოდიოდა. ახლა შევამჩნიე ზედ კუდის დასაწყისთან ხორცის დიდი ნაჭერი ჰქონდა ამოგლეჯილი. ეჭვი არ შემპარვია, იგი რომელიმე ორფეხის საჩუქარი იყო.

„მაშ ასე, ძმობილო, შენ უკვე იცნობ ადამიანს. მოდი, ჩვენც გაგვიცანი, ნახე როგორი ბიჭებიც ვართ!

ზვიგენი გამოჩნდა. მოვემზადე, რომ თევზს გადაყლაპავდა თუ არა, ზევით ამომეთრია.

მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი.

თვალისდახამხამებაში ზვიგენმა ამართვა კავიცა და თევზიც, ოკეანეში ახლა მხოლოდ კაპრონის თოკი ფარფატებდა.

— რა მოხდა? — ვიკითხე ხმამაღლა.

— გამოცდილი ზვიგენია, უკვე იცნობს ჩვენს ოინებს. ნახე, თოკი გადაჭრა. ზვიგენის კბილები ხომ იცი, მაკრატელივითაა. ჰოდა, ერთი ტკაპ და, მორჩა. — მითხრა უფროსმა შტურმანმა.

— არა, ეგ თავხედი უნდა შევიპყროთ, — თქვა ვალერიმ, — ახლავე მოვალ, ჯაჭვს მოვიტან.

ვალერი გაიქცა. მალე იგი ჯაჭვით დაბრუნდა. ახლა მოკაკული ლურსმანი ჯერ ჯაჭვზე დავამაგრეთ, მერე ჯაჭვს მაგარი კაპრონის თოკი მოვაბით და ისე ვისროლეთ ოკეანეში. მე ისევ დაველოდე გოლიათის მობრძანებას და წვრილფეხობას მსუქანი ხეკი არ დავანებე. ისიც მალე გამოჩნდა. ჯერ დინჯად ჩაუარა სატყუარს ორი ლოცმანის თანხლებით, მერე მობრუნდა და სწრაფად გამოქანდა. ვიგრძენი, თოკი ერთბაშად როგორ დამძიმდა და ზევით ამოქაჩვა ჭირდა.

— მომეშველეთ!

ყველამ შეწყვიტა ნადირობა და გაერთიანებული ძალით გოლიათს გავუმართეთ ბრძოლა.

გოლიათი არ გვნებდებოდა. ჭინჭყლობდა, ვაჟკაცურად იბრძოდა. სურდა, როგორმე გაგვქცეოდა, მაგრამ ეს, მგონი, უიმედო საქმე იყო. მანძილი გემბანის მოაჯირსა და ზვიგენს შორის თანდათან მცირდებოდა. გემბანზე კი ტევა არ იყო, იმ გიგანტური ბოლოკისა არ იყოს, დიდი და პატარა, ყველა გამოვიდა თოკის მოსაქაჩავად, ბოლოს, როგორც იყო, გემბანზე გადმოვაგდეთ გოლიათი. აქ ჩვენს ანდროს ბარე შვიდჯერ მაინც დასჭირდა უროს მოქნევა.

— ესეც ასე... — ვთქვი მე.

ამასობაში მთელი გემბანი ზვიგენებით გაივსო. ორი მატროსი გამოვყავით მათ გადასათრევად უკანა ერდოზე. აქ ამქნელები მუშაობდნენ. ისინი შიგნავდნენ ზვიგენებს, თავსა და ფარფლებს აჭრიდნენ და გასაყინავად აგზავნიდნენ.

მთელი ეს ოპერაცია უკანა ერდოს ცენტრში ხდებოდა. ბოლოში კი ზვიგენმჭერთა ორი ცენტრი იყო მოთავსებული. იქაც ბლომად ირეოდნენ ზვიგენები. ზვიგენის შიგნეული ბლომად რომ დაგროვდა, ამქნელებმა შეაგროვეს და ოკეანეში გადაყარეს. დინებამ ეს ნარჩენები უკან წაიღო, სწორედ იქით, სადაც უკანაერდოელები ზვიგენებს იჭერდნენ. მალე უკანა ერდოზე მონადირეებმა გვაცნობს, ზვიგენები გაიქცნენო.

გავოცდით, ჩვენთან ისევ ძველებურად ირეოდნენ, იქ კი ერთიც აღარ იყო.

— იცით, რატომ მოხდა? — აგვიხსნა ხახიშვილმა, — ზვიგენი, ალბათ, თავისი შიგნეულის სუნს ვერ იტანს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— შევამოწმოთ, — ვთქვი მე.

— შევამოწმოთ, მაგაზე ადვილი რა არის.

შიგნეული ახლა ჩვენი სანადირო წერტიდან გადავყარეთ.

მოგეცათ ლხენა, ზვიგენები მაშინვე გაიქცნენ!

ხახიშვილი სწორი იყო. ზვიგენი თავისი შიგნეულის სუნს ვერ იტანს. სანამ ნაწლავები და თირკმელები დინებამ შორს არ წაიღო, ჩვენს სიახლოვეს ერთი ზვიგენიც კი არ გაჭაჭანებულა.

ზვიგენებზე ნადირობა მთელი ექვსი საათი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში გემი ნამდვილ სასაკლაოდ ვაქციეთ. ყველგან ეყარა თავმოკვეთილი ზვიგენები. ბიჭები თავს ნემსურა კბილებით გამოტენილ ყბებს აძრობდნენ და გასახმობად მილში შექონდათ. ერთ მოზრდილ ზვიგენს მეც ავართვი „სკალპი“ და დღემდე ვინახავ.

წყლის მიღება დამთავრდა. დავემშვიდობეთ „ლასპს“, ისევ რეწვის რაიონისაკენ გავსწიეთ.

ის იყო, „კოლხიდამ“ გაგვიარა. „კოლხიდამ“ რეწვა დაამთავრა და ახლა შინისაკენ მიეშურებოდა. მთელი ეკიპაჟი გემბანზე იყო გამოფენილი. ხელს გვიქნევდნენ, გვეშვიდობებოდნენ.

ასეთი შეხვედრა ყოველთვის მელანქოლიას ბადებს. გშურს კიდეც მათი, ვინც უკვე ბრუნდება სამშობლოში. შენ კი, შენ, ჯერ კიდევ ბევრი უნდა იოცნებო დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი ცის ხილვაზე. მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაში უნდა წარმოიდგინო მშობლიური ლურჯი მთები, ჩახატულ-ჩაგვირისტებული იმერეთი და ქართლი, კახეთი და სვანეთი.

უნებლიეთ ფიქრობ იმ ბედნიერ დღეზე, როცა შენს გემსაც ამოათრევენ უკანასკნელ ტრალს, დაიხურება ხლიპი და... გზა მშვიდობისა, სამშობლოსაკენ მიმავალო გემო, ზურგის ქარი მიგაცილებდეს!

ნაღვლიანი გაჰყურებდით „კოლხიდას“. ხელს ვუქნევდით ბედნიერ მეზღვაურებს და ათას მოკითხვას ვაბარებდით შინთან, ესოდენ ტკბილო მამულო.

„კოლხიდა“ გვტოვებდა. „კოლხიდა“ ახლა თბილი მირაჟივით ჩანდა, ბედნიერების მსუბუქი მირაჟივით...

— წავიდნენ, — თქვა ჩემს გვერდით მდგომმა ელექტრიკოსმა ბიჭიკო შენგელიამ და ამ ერთ სიტყვას მთელი გული ვარამი ამოაყოლა.

დავეშორდა თუ არა „კოლხიდა“, ტრალიც მაშინვე ჩავაგდეთ.

* * *

დაიწყო შრომა ახალი ტვირთის ასაღებად. დღეები კალენდრიდან თოვლის ფიფქებივით ცვიოდნენ.

ის ტვირთი სარეკორდო ვადაში ავიღეთ და ჩასაბარებლად „მალახოვ ყორღანისაკენ“ გავემართეთ.

„მალახოვ ყორღანს“ ლამაზად მივადექით, საბმელები ეტყორცნეთ და „შოთა რუსთაველი“ საიმედოდ დამაგრდა მის მარჯვენა ბორტთან. ბიჭებმა მაშინვე გახსნეს ტვინდეკი—ზედა, ყველაზე მეტი ტევადობის ტრიუმი. ტვინდეკში, თუ კარგად აწყვია თევზი — 210 ტონა ეტევა. თუ ცუდად 180-190 ტონა.

ბიჭები უკვე მზად იყვნენ ტრიუმში სამუშაოდ. დაბამბული შარვლები და კურტკები ეცვათ, ფეხზე — თექის ჩექმები. რომ იტყვიან, მარშიდან პირდაპირ ბრძოლაში ჩავიდნენ. ტრიუმს ახადეს თუ არა ლუკი, მაშინვე შიგ ჩაძვრნენ და პარაშუტზე ყუთების დაწყობას შეუდგნენ. მალე თევზით დატვირთული პირველი პარაშუტები გააქანა ამწემ „მალახოვ ყორღანისაკენ“.

როცა საქმე გახურდა, მე წინა ერდოდან ჩემი კაიუტისაკენ წავედი. ის იყო, ხელები გადავიბანე, კაპიტანიც შემოვიდა.

— იცი „მალახოვზე“ ვინაა?

— არ ვიცი.

— სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან მომუშავე ფლოტის უფროსი გიორგი მიხეილის ძე ილგოვი და საზღვაო ინსპექციის უფროსი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ლისიცინი, ისინი, ალბათ, ერთ საათში ჩვენს გემზე გადმოვლენ. ფლაგმანის გემი „ბალაკლავა“ იქითა მხრიდან ადგას ბაზას.

შემდეგ მე ტრიუმში ჩავედი. ტრიუმიდან ამოვედი თუ არა, ნელა ავყევი რკინის კიბეებს. სატრალო ხიდურზე ორი უცნობი კაცი იდგა. ერთი შავი, შავთვალება და ძალზე სიმპათიური, მეორე კი — ქერა.

— ეს ჩვენი პირველი თანაშემწეა, — თქვა კაპიტანმა.

შავგვრემანმა ხელი გამომიწოდა. მაშინვე მივხვდი, რომ ის ილგოვი იყო. ილგოვს უხეში, მაგრამ ეფექტური ხელი ჰქონდა. მერე ლისიცინსაც ჩამოვართვი ხელი.

— არ ვიცი ასე, გემზე სტუმრები მოვიდნენ, პირველი თანაშემწე კი ტრიუმში გარბის,—იხუმრა ილგოვმა.

— ახლა ყველაზე მთავარი ტრიუმია.

— ვიცი და ძალიან სასიამოვნოცაა, რომ ფიზიკურ შრომას არ თაკილობთ. მით უმეტეს, მითხრეს—მწერალი ყოფილხართ, მწერლები კი, უფრო კალამს ეწყობიან.

— თევზის საამქროში მინდა ჩაგიყვანო. ვანახე—რა დღეში ვართ. ზოგს არც კი ჯერა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბუნკერით ემუშაობთ,—მითხრა კაპიტანმა.

— ჩაიყვანე. მეც გამოვიცვლი და ახლავე ჩამოვალ.

ისინი წავიდნენ. მე კი ჩემს კაიუტას მივაშურე. სწრაფად გამოვიცვალე და სტუმრებს უკანა ერდოზე მივუსწარი. თევზის საამქრო უკვე დაეთვალიერებინათ.

მართლაც მძიმე პირობებში მუშაობთ.—მითხრა ილგოვმა,—„რუსთაველი“ ძალიან დაბერებულა, მას დიდი კაპიტალური რემონტი ესაჭიროება.

ლისიცინი მეოთხე ბუნკერს ათვალიერებდა. ეს ბუნკერი ერთადერთი იყო, რომელიც ასე თუ ისე ნორმალურად მუშაობდა. დანარჩენები ნამდვილად არაფრის მაქნისი გახლდათ.

— თეფშები ბლომად დამტვრევია კონვეიერს.

— დიახ, ბევრი დაიმტვრა, მაგრამ გამოსაცვლელად ვერ ვაჩერებთ. ახლა კი, სანამ ბაზასთან ვიდგომებით, იქნებ რამდენიმე გამოვცვალოთ კიდეც. რასაკვირველია, თუ მოვასწრებით, — თქვა კაპიტანმა და კიბეებზე გაგვიძღვა.

ჩვენ მის კაიუტას მივაშურეთ, ილგოვი გაერკვა, თუ რა რთულ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, შეგვპირდა—შემდეგ ტვირთს ბაზა „ვეტერზე“ ჩაგვაბარებინებდა. „ვეტერი“ ათ დღეში უნდა მოსულიყო. თუ „ვეტერს“ ტვირთს ჩავაბარებდით, შემდეგ მხოლოდ ერთი ტვირთის აღება მოგვიწევდა. გვემას კარგად შევასრუ-

ლებდით და შევეძლო ამ ტვირთით სამშობლოში დაბრუნება.

— მონტევიდეოში თუ ყოფილხართ? — მომიბრუნდა ილგოვი.

— არა, არ ვყოფილვარ.

— არ გსურთ მონტეს ნახვა?

— რას ამბობთ, ეს ჩემი ოცნებაა!

— კაპიტანი რას იტყვის, შეგიძლიათ გამოუშვათ მონტევიდეოში პირველი თანაშემწე?

— თუ თვითონ სურს, რასაკვირველია!

ილგოვმა ჯიბის ბლოკნოტი ამოიღო. დიდხანს ფურცლა. ბლოკნოტი სულ ჩანაწერებით იყო აჭრელებული. ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა.

— აი, რა მეგობრებო, „ბალაკლავას“ ახლა მხოლოდ და მხოლოდ 190 ტონა ტვირთი აქვს. ე. ი. ჩვენ პირველ ტვირთს მთლიანად არ ვაბარებთ. ასე იმიტომ გავაკეთე, რომ „ვეტერზე“, „ბალაკლავა“ ვერ გადაცლის ტვირთს. „ვეტერს“, ის გემები მიადგებიან, რომლებსაც უფრო უჭირს. „ვეტერის“ შემდეგ ბაზა ოც დღეს მაინც დაიგვიანებს. აი, აქ მიწერია, იგი ხვალ გამოვა სევასტოპოლიდან.

— რომელი ბაზა მოდის? — იკითხა კაპიტანმა.

— „სევასტოპოლი“. მისი სიჩქარე 24 კვანძია. ასე რომ, ოც დღეს მაინც დააგვიანდება. „ბალაკლავა“, ალბათ, 14 დღეში აიღებს პირველ მთლიან ტვირთს.

— თავისუფლად. თევზი კარგად მოდის, ხელს არაფერი შეუშლის, — თქვა კაპიტანმა.

— გამოდის, რომ ექვსი დღე ტყუილად უნდა იყოს ეკიპაჟი. მონტეში შევალთ, სურსათს ავიღებთ, ხალხიც დაისვენებს. მოემზადეთ, მონტეში წაგიყვანთ.

კოლია ხუბუამ ნიდაყვი გამკრა.

— მეც წამოვალ.

კაპიტანმა შეგვამჩნია.

— უფროს მექანიკოსსაც სურს.

— სიამოვნებით.

— მაშინ, იცით რა? — თქვა კუკა აბრამიამ, — მოდით, ასე გავაკეთოთ: თუ საშუალება გექნებათ, წაიყვანეთ ჩვენი მომარაგების უფროსიც. გამოვიყენებთ თქვენს ამ კეთილ სამსახურს და გემის ეკიპაჟისათვის პროდუქტსაც მოვიმარაგებთ, მეშვიდე თვეა აქა ვართ და ახალი პროდუქტი არ გვაწყენს.

— კეთილი, თანახმა ვარ. შეგეხმიანებით, მზად იყავით.

— გასაგებია.

„მალახოვ კურგანს“ ოცდათორმეტ საათში ჩავაბარეთ მთელი ტვირთი. ეს იყო ეკიპაჟის კარგი შრომის კიდევ ერთი გამოვლინება.

გამთენიისას მოვშორდით ბაზას. ოკეანე იყო საოცრად მშვიდი და კრიალა ლილისფერი. გემი კვეთდა რა ამ ლამაზ სილურჯეს, ზედ გრძელ სწორ თეთრ ხაზს ავლებდა. აქა-იქ დიდი ჩაქუჩა ზვიგენი ამოვარდებოდა. გვერდზე გაქცეულ გადმოკარკლულ თვალებს. შევავლებდა და ისევ წყლის უსასრულობაში გაუჩინარდებოდა. ჩვენ მივდიოდით სრული სვლით, [illegible], რაც შეიძლება, ჩქარა მიგვეღწია [illegible] [illegible] და ეს ტვირთი „ვეტერის“ მოსვლამდე აგვეღო.

თევზი ბლომად მოდიოდა. ბიჭები მგლებივით შრომობდნენ და ტრიუმებიც სწრაფად ივსებოდა.. მერე „ვეტერიც“ მოვიდა და კიდევ დავცალეთ ტრიუმები, როცა „ვეტერს“ დავემშვიდობეთ, კუკა აბრამიამ თავის კაიუტაში შემიყვანა.

— ას-ასი გრამი მოგვიხდება, გადაჰკარი. ესეც ასე, ახლა ერთი ტვირთი და მშობლიური ნაპირებისაკენ კურსის აღება. ბიჭო, მართლა, ის ილგოვი რას გპირებს, ხომ შეგპირდა მონტეში წაყვანას?

— აბა რა ვიცი, აღარ გვეძახის ალბათ დაივიწყა.

— ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ გიორგი მიხეილის ძე ასეთი კაცი არ უნდა ჩანდეს.

— ფაქტი-ფაქტია.

იმ ღამით, დავწექი თუ არა, ილგოვზე ფიქრი ამეკვიატა. „ნუთუ მართლა მომატყუა“ და...

კარზე დააკაკუნეს. რადისტი ვანო ნუნიევი შემოვიდა.

— თქვენ გთხოვენ, რაციასთან ფლოტის უფროსია.

გახარებული წამოვვარდი. გულმა რაღაც კარგი მიგრძნო.

— გისმენთ, გიორგი მიხეილის ძევ, პირველი თანაშემწე ვარ.

— სალამი, ამხანაგო რაულ!

— სალამი.

— „ბალაკლავამ“ უკვე აიღო ტვირთი. მითხარით თქვენი კოორდინატები, თქვენკენ წამოვალთ. ხომ გსურთ მონტეში წამოსვლა?

— რას ბრძანებთ? სიზმრად გადამექცა. აბა, ჩაიწერეთ კოორდინატები.

ილგოვმა ჩაიწერა. მე კაპიტანთან შევედი.

— ილგოვს ველაპარაკე.

— რაო, მიყავხარ?

— მაშ, ჩვენკენ მოდის.

— დიდებულია.

— კოლიასა და ბიბილეიშვილს გავაფრთხილებ.

— არა, აქ გამოვიძახოთ. კარგად მოვიფიქროთ რის ყიდვას ვაპირებთ.

კაიუტაში უფროსი შტურმანი როინ იოსავა, უფროსი მექანიკოსი კოლია ხუბუა და მომარაგების უფროსი შალვა ბიბილეიშვილი გამოვიძახეთ. ისინიც მალე მოვიდნენ. მერე მთელ ერთ საათს ვმსჯელობდით, თუ რა გვეყიდა მონტევიდეოში. შალვამ საყიდლები თავის ბლოკნოტში ჩაინიშნა და დავიშალეთ.

ადრე დილით კი, როცა „ბალაკლავას“ შესახვედრად გავემართეთ, ლია მიქელოვა ჩემს ტანსაცმელს გულდაგულ აუთოვებდა. „ბალაკლავა“ დილის თორმეტ საათზე გამოჩნდა. პირველ საათ-

ზე კი უკვე მოტორიან ნავში ვისხედით და ფლაგმანის გემისაკენ მივცურავდით. ოკეანე მშვიდი იყო, ზეწარივით გადაჭიმული. თავს გვადგა გვიანი შემოდგომის ულონო მზე და ცოტას გვათბობდა კიდეც.

„ბალაკლავას" მარჯვე ბოცმანმა, რომელიც პატარა ღიპით, გალიფესავით გაშლილი ლოყებით და მჟღერი ხმით ძალიან ჰგავდა მე-19 საუკუნის ტრადიციულ ბოცმანს, ჰაერში დაიჭირა ჩვენ მიერ ნატყორცნი საბმელი, წამსვე გამოაბა რკინის მაგარ ძელაყს და კეთილი ღიმილით მოგვესალმა.

ტრაპს მივეჭიდე და პირველი ავედი.

უკანა ერდოზე ილგოვი, ლისიცინი, „კოლხეთის" კაპიტანი შაბური გუნია და კიდევ შვიდიოდე კაცი იდგა. ერდოზე გადავხტი თუ არა, ილგოვის გაშლილ ხელებში აღმოვჩნდი. ფლოტის უფროსმა გადამკოცნა და მერე შინაურულად მკითხა:

— როგორ ხარ, რაულ?

— კარგად, გიორგი მიხეილის ძევ.

მერე ხელი ლისიცინს ჩამოვართვი..

— იცნობდე, ეს გემის კაპიტანი ვალენტინ ვასილის ძე დროჟინია, ეს—შენი კოლეგა, ეს—უფროსი მექანიკოსი...

ილგოვმა ყველა გაგვაცნო, უკანა ერდოზე უკვე ჩვენებიც ამოვიდნენ.

ნავში დარჩენილებს ხელის დაქნევით დავემშვიდობე.

— ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ, ამხანაგო, რაულ! ერთი თხოვნა მაქვს, იქნებ მონტევიდეოში ჩემი შესაფერისი სენიორიტა მიშოვნოთ, უეჭველად დავქორწინდები,—მომესმა ვალერის ხმა.

ამ დროს, უკანა ერდოს რკინის კიბეებზე, თოვლივით თეთრი, მომხიბვლელი ქალიშვილი ჩამოდიოდა. შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, ვალერის თვალს არ აკლდა და შესანიშნავად დაინახა ეს ზღვისფერთვალება მომხიბვლელი ფერია. ბოცმანს თავში წაარტყა.

— მიაბრუნე ნავი. არ მინდა მონტე, ეს ქალიშვილი გამატანეთ, თანახმა ვარ.

ბოცმანი საკმაოდ ჯიუტი კაცი აღმოჩნდა და ვალერის თხოვნა დარჩა ღაღადისად უდაბნოსა შინა.

ქალიშვილი ჩემთან მოვიდა, ძველი ნაცნობივით გამიღიმა.

— სალამი, რაულ, მე ლუდა ვარ.

ამ სახელს არავითარი ეფექტი არ მოუხდენია. მას შეეძლო ასევე თბილად ეთქვა სხვა სახელი, მაგალითად ჟანეტა. ტანია და ასე შემდეგ... ფაქტი ისაა, რომ ქალიშვილი ლამაზი იყო.

მე არ დავბნეულვარ და ლუდა მაშინვე შალვასა და კოლიას წარვუდგინე.

— იცნობდეთ, ეს ლუდაა, ჩვენ ერთმანეთს ჯერ კიდევ სევასტოპოლიდან ვიცნობთ.

ლისიცინმა პირი დააღო.

— მართლა?

— ჰო, ადრე, მამაჩემი რაულს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა.

— უკრავთ ვიოლინოზე?—ახლა მე მომიბრუნდა ლისიცინი.

დარწმუნებულმა, რომ გემზე ვიოლინო არ იქნებოდა, ლისიცინს თამამად მივუგე.

— რას ამბობთ! ნუთუ ჩემს კონცერტებს არ დასწრებიხართ?

დილით, კაპიტნის პირველი თანაშემწის კაიუტაში გამეღვიძა. დივანზე ვიწექი, ღია ილუმინატორის ქვეშ. ილუმინატორიდან მზის ულონო სხივები და ოზონით სავსე ჰაერი იღვრებოდა. თავი ჭრილში გავყავი. ირგვლივ სულ, უკიდეგანო, ლურჯი ფონი იყო, ხმელეთის ნასახიც კი არ ჩანდა.

პირველ თანაშემწეს თავისი ლოგინი აელაგებინა, კაიუტაში სულ მარტო ვიყავი.

მეორე დილით, უკვე, ლა-პლატას თხელ ყურეში მივცურავდით. ლა-პლატას უხვად კვებავს მდინარე პარანა და სწორედ ამიტომ მდინარის ფერიც აქვს.

ბოლოს გამოჩნდა ნანატრი სამხრეთ ამერიკა; სათვალავით მეოთხე კონტინენტი, რომელიც მე ვიხილე.

დილის ბურუსში ჩაკარგულიყო მონტევიდეო, ურუგვაის დედაქალაქი. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ხმელეთს, შენობებიც, ასანთის კოლოფებიდან უკვე რეალური გიგანტები ხდებოდნენ. ზღვიდან დანახულმა მონტევიდეომ მაშინვე სტამბოლი მომაგონა. ზუსტად ისეთივე ხაზები, თითქოს და ბურუსში მისი მეჩეთებიც კი გამოკვეთილა.

გაძვირით სპარსული ხალიჩასავით აჭრელებული დროშებით მოქარგულ პატარა სამხედრო გემებს შორის და ნავსაბმელთან ძლივს ვიპოვეთ თავისუფალი ადგილი.

გემი მაგრად დავაბით.

ტრაპს ვიღაც ლურჯპიჯაკიანი კაცი ამოყვა. იგი ეროვნებით რუსი აღმოჩნდა—ემიგრანტი, აქ—შიპშანდლერში მუშაობს. მას, ჩვენი უფროსი მექანიკოსისა არ იყოს, — ნიკოლოზ ვასილის ძეს ეძახიან.

შიპშანდლერის წარმომადგენელთან მაშინვე გავმართეთ მოლაპარაკება პროდუქტის თაობაზე. ეს მოლაპარაკება თითქმის ორ საათს გაგრძელდა.

კაპიტნის კაიუტაში გაჩაღებული დიდი სავაჭრო მოლაპარაკება დამთავრდა. ურუგვაელი ნიკოლოზ ვასილის ძე და მისი კოლეგები წავიდნენ. სამაგიეროდ მოვიდნენ ბანკის წარმომადგენლები, მოგვიტანეს ურუგვაული ფული. მე 30 გირვანქა სტერლინგი ავიღე. დაახლოებით ამდენივე აიღო კოლია ხუბუამ, უფრო ცოტა—მომარაგების უფროსმა.

ჩემმა კოლეგამ საექსკურსიო ჯგუფები გაანაწილა და ქალაქში გაისტუმრა. ახლა მის კაი-

ეტაში ვისხედით მე, დროჟინი, ხუბუა, ილგოვი, ლისიცინი და ლუდა. ველოდით ფირმის მანქანას, რომ ჩვენც გავსულიყავით ქალაქში. მანქანაც მალე მოვიდა. ყველანი მასში მოვთავსდით და ქალაქისაკენ გავიქროლეთ.

გადავწყვიტეთ, პირველ რიგში, ვიზიტი ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაში გაგვეკეთებინა. იქ მიგვიღო სავაჭრო წარმომადგენელმა ანატოლ მანენიკმა. ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ დახვეწილმა და ენერგიულმა კაცმა. გულთბილი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, როცა მანენიკმა გაიგო, რომ მე ვწერდი, ჭკვიანური თვალები მომაპყრო.

— ინდიელებს თუ შეხვედრიხართ?

— არა, აბა საიდან, პირველად დავადგი ფეხი ამერიკის კონტინენტზე.

— გაქვთ სურვილი, შეხვდეთ? დასაწერი მასალა გექნებათ.

— ჩემი ოცნებაა, შეგიძლიათ დამეხმაროთ?

ანატოლ მანენიკმა ახლა ილგოვს შეხედა.

—თქვენ, სულ ცოტა, ერთ კვირას მაინც დარჩებით მონტეში. აბა, რაულმა რა უნდა აკეთოს ერთი კვირა მონტევიდეოში. უმჯობესია ჩარუას ტომთან გავისტუმროთ, გაეცნოს მათ

— რას ამბობთ? რომ შეჭამონ? — ღიმილით თქვა ილგოვმა.

— არა, ჩარუას ტომი კაციჭამია არაა, იგი „ცივილიზადოა". ასე, რომ, რაულის სიცოცხლე, ინდიელთა მხრივ, დაზღვეულია, სხვა საქმეა— მტაცებლები. მტაცებლებს რომ სათანადო პასუხი გასცეს, მე მას ვათხოვებ ჩემს ვინჩესტერს.

— მარტო უნდა წავიდეს?—საუბარში ჩაერია ლუდა. — მეც გავყვები.

— თქვენი გაყოლა უკვე ზედმეტი ფუფუნება იქნება. მას გაჰყვება ჩვენი წარმომადგენლობის მძღოლი—ფერნანდო. დღესვე დავიჭერთ თქვენი გამგზავრების თარიღს, შევათანხმებ ხელისუფლების ორგანოებთან.

შემდეგ მძღოლი ფერნანდო გამოიძახა ანატოლმა.

ეს იყო ორმოცამდე წელს მიღწეული, კარგად შენახული კაცი, ესპანელის და ინდიელის ნაშიერი, სპორტული აღნაგობითა და ეშმაკური გამოხედვით.

ჩვენმა გაცნობამ ფერნანდოსათვის სრულიად უინტერესოდ ჩაიარა. გამხდარი ხელი გამომიწოდა და რუსულად მითხრა: „მე ფერნანდო გახლავართ, ბატონო".

— დიდად სასიამოვნოა. ჩვენ მოგვიწევს ერთად მგზავრობა ურუგვაის სიღრმეში.

— ფერნანდო, მოემზადეთ, ამ სენიორს გაჰყვებით, როგორც მან გითხრათ, ჩარუასთან.

— აჰა, მე ვიცნობ მათ.

— ვიცი.

— მანქანა მოამზადეთ, შეიძლება ხვალ დილითვე წახვიდეთ.

— მზად ვარ, სენიორ.

მერე ფერნანდო წავიდა. ყავა შემოიტანეს და საუბარმაც სათავე იცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ კი, ლიფტით, პირველ სართულზე დავეშვით. წარმომადგენლობის წინ, პატარა სკვერი გადავჭერით და ისევ ჩვენს მანქანაში ჩავსხედით.

აქედან, პირდაპირ, განთავისუფლების მოედანზე გავედით.

მონტევიდეოში მაინცდამაინც არ არიან გატაცებული მაღლივი სახლებით. ჯერ კიდევ ასი წლის უკან ააშენეს პარლამენტის შენობა, რომლის სიმაღლე, ალბათ, ასამდე მეტრი იქნება და შემდეგ ტაბუ დაადეს—ამაზე უფრო მაღალი სახლი აღარ უნდა აშენებულიყო. ეს აღთქმა დღესაც ძალაშია. პარლამენტის წინ აღმართეს სულ ახალი ცათამბჯენი, მისი სიმაღლე, ალბათ ორი-სამი მეტრით ჩამორჩება პარლამენტისას.

ქალაქში მრავალი კინოთეატრია. არის პორნოგრაფიული კინოთეატრებიც. მაღაზიები სავსეა ამერიკული საქონლით, ყველგან ნახავთ ურუგვაული შესანიშნავი ქურქებით მოვაჭრეებს.

განთავისუფლების მოედნიდან ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩები პორტისაკენ ეშვება. ჭუჭყიანს რომ ვამბობ, სრულებითაც არ ვაჭარბებ, ასეთი ბინძური ქუჩები აფრიკაშიც არ მინახავს. გლეხები ხილ-ბოსტნეულსა და პროდუქტს პირდაპირ ქუჩაში ჰყიდიან. სიგარეტის მწეველები ასევე ქუჩაში ისვრიან ცარიელ კოლოფებს.

ქუჩებში სიცოცხლე ადრე კვდება და ინაცვლებს ბარ-რესტორნებში. ურუგვაულ ბარში შეგიძლიათ პირდაპირ დახლთან შემოჯდეთ მაღალ სკამზე და ტელევიზორში უყუროთ, მამაცი ტორერო თუ როგორ ჰკლავს ურუგვაულ, ველურ, გიგანტურ ხარს. რასაკვირველია, ხდება ხოლმე პირიქითაც — ხარი ჰკლავს ტორეროს. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მომხიბვლელი სენიორიტასათვის, რომელიც ტელევიზორის პირდაპირ ზის და სიგარეტს აბოლებს.

ბევრი ვიხეტიალეთ. გემზე დაღლილები დავბრუნდით.

უკვე ბინდი იყო.

ნავსადგურის ჭიშკართან ფერნანდო დაგვხვდა.

— მანენიკმა გამომგზავნა, სენიორ. დილით ადრე გავდივართ. სასტუმროში უნდა გაათიოთ ეს ღამე. ადრე პორტიდან გამოსვლა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. თქვენთვის ნომერი უკვე მზადაა სასტუმრო „კოლუმბიაში". აქ დაგელოდებით, ნუ დაიგვიანებთ.

— ახლავე გეახლებით.

მართლაც არ დამიგვიანებია.

ნახევარი საათის შემდეგ კი, მე და ფერნანდო, სასტუმრო „კოლუმბიას" მე-16 სართულის კომფორტაბელურ ნომერში ვისხედით, ვისკის ვწრუპავდით და ზედ სოდიან წყალს ვაყოლებ-

დით. ვისკისთვის, სხვადასხვა წვენებისა და პროდუქტისათვის ჩვენს წარმომადგენელს ეზრუნა, წინასწარ გამოეგზავნა ნომერში. აქვე იდო ვეფხის ტყავის ლამაზ ბუდეში მოთავსებული „ვინჩესტერი" და კიდევ ზოგიერთი წვრილმანი ტვირთი.

შევთანხმდით: ფერნანდო დილით ადრე მოვიდოდა.

ფერნანდო მართლაც უთენია მოვიდა. კარზე ისეთი ბრახუნი ატეხა, რომ გვეგონებოდათ ქვეყნის დაქცევა იწყებაო.

კარი გავუღე.

ოთახში თამბაქოს სუნი შემოიტანა. საშინლად ეწეოდა ფერნანდო. სულ თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი.

— გძინავთ სენიორ?

— როგორც მხედავთ, ორ მაგარ ფეხზე ვდგავარ.

— ყავა შეუკვეთეთ?

— არა, ჯერ პირიც არ დამიბანია.

— ჩავალ, ყავას შევუკვეთავ.

ფერნანდო წავიდა.

სასტუმრო „კოლუმბია" სანაპიროზე დგას. ჩემი აივანი პირდაპირ გადაჰყურებდა ზღვის სანაპიროს. მარჯვნივ სტადიონი იყო, მარცხნივ დალუპული მეზღვაურის ძეგლი.

აივანზე ვიდექი და სანაპიროს გავყურებდი. ატლანტის ოკეანეს თხელი, რძისფერი დილის ნისლი გადაჰკვროდა. პატარა ტალღები, ქვიშაზე, მონადირე ინდიელებივით მოიპარებოდნენ. სანაპირო მკრთალ ლამპიონებში იყო ჩაკარგული.

ფერნანდო შემოვიდა. სავარძელში ჩაჯდა და ფეხები გაშალა.

— მაპატიეთ, სენიორ, უკვე მოვასწარი შვიდა მილის გავლა, მთელი მონტე შემოვიარე.

მე სააბაზანოში შევედი. პირი დავიბანე. გრილი წყალი ტანზეც გადავივლე. მერე, ჯუნგლებისათვის სპეციალურად შეძენილი, ხაკის შარვალხალათი ჩავიცვი. შარვალს დიდი, უძირო ჯიბეები ჰქონდა, ამ საკარტოფილე პარკში ერთბაშად გაუჩინარდა ჩემი სქელი უბის წიგნაკი, ინდიელთა შუბებითა და ისრებით მოხატული ცხვირსახოცი, „ქამელის" ოთხი კოლოფი და სანთებელა.

კელნერმა ყავა შემოიტანა. ყავა ბრაზილიურად იყო დაყენებული და კოკას არომატული სუნი ასდიოდა.

სწრაფად შევსვით მე და ფერნანდომ.

— მოგაქვთ რაიმე? მე თუ მკითხავთ, ჯუნგლებში, „ვინჩესტერის" გარდა, ყველაფერი ზედმეტია, — მითხრა ფერნანდომ და სიგარეტს მოუკიდა.

მე დივანზე მიგდებული „ვინჩესტერი" ავიღე. ის იყო, ჩემოდნისაკენ წავიწიე, ფერნანდომ დამასწრო.

— ვაზნებიც აქაა?

თავის დაქნევით ვუპასუხე. ნომრიდან გამოვედით და ლიფტს მივაშურეთ.

ქვევით, ქუჩის პირად „მერსედესი" გველოდა. მანქანაში კონსერვის ქილები, ხილი, ორიოდე ყუთი კოკა-კოლა და ვისკი ელაგა. აქვე იდო ორი სამგზავრო ჰამაკი და ფერნანდოს თოფი. თუმცა, როგორც ვიცოდი, იგი ცუდი მსროლელი გახლდათ.

ფერნანდო საჭესთან დაჯდა, მეც გვერდით მივუჯექი და სანაპიროზე გავიქროლეთ.

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. მონტევიდეო ღრმა, ტკბილ ზმანებაში იყო გახვეული. ჩვენ მივდიოდით დაცარიელებული, მკვდარი ქუჩებით, მივდიოდით არგენტინის საზღვრისაკენ, მდინარე პარანას მიმართულებით. გზა სწორი, ფართო და კარგად მოვლილი იყო. მარცხენა მხრიდან რიო დე ლა პლატა მოგვაცილებდა, მარჯვენა მხრიდან — ურუგვაის გაშლილი პამპასები. პამპასებში მსუყე, ხასხასა ბალახი ბიბინებდა. ხანდახან რომელიმე გაუჩოს წავაწყდებოდით. საქონლის უზარმაზარ ნახირს შორის შავრა ცხენზე ამხედრებული გაუჩო ლამაზად აგვირგვინებდა პამპასების მომხიბვლელ სურათს. თითქოსდა სხვანაირად წარმოუდგენელიცაა პატაგონია.

ესპანელები ამ მდიდარ ქვეყანას ოთხნახევარი საუკუნის წინათ მიადგნენ. მათმა იალქნიანმა გემებმა ღუზა ჩაუშვეს რიო დე ლა პლატაში და შემდეგ ნაპირზე გადავიდნენ პატარა, ფარღალალა ნავებით. პირველი, რაც მათ შენიშნეს, იყო საოცრად მაღალ, ველურ ინდიელთა ჯგუფი. წითელკანიანები იდგნენ და ცივად შეჰყურებდნენ თეთრკანიანთა მობრძანებას მათ ქვეყანაში.

— ჩვენ გვინდა ოქრო და საჭმელი, — უთხრეს ესპანელებმა და უფრო გარკვევით რომ გამოეხატათ თავიანთი სურვილი, კინეტიკური ენაც მოიშველიეს.

ინდიელებმა მათ მოუტანეს მანიოკის ლავაშები და შესთავაზეს ინდური არაყი—ჩიჩი.

ესპანელები ყურადღებით აკვირდებოდნენ გულუხვ მასპინძლებს და მათ პატაგონიელები„ უწოდეს, რაც ესპანურად მაღალ ადამიანს ნიშნავს. ქვეყანას კი ამ დღიდან პატაგონია დაერქვა.

მე და ფერნანდო ახლა საკმაოდ ძველი მერსედესით მივყვებოდით კონკისტადორთა ნაკვალევს, ხარბად ვისუნთქავდით პატაგონიის სუფთა ჰაერს და ფიქრით სწორედ იქ ვიყავით, საიდანაც ამ ქვეყნის ისტორია იწყება.

ფერნანდოს კიდევ ერთი ახირება ჰქონდა, როცა საჭესთან იჯდა, ლაპარაკი არ უყვარდა. ამ წუთში ვლოცავდი ღმერთს, რომ ფერნანდო სწორედ ასეთი გააჩინა. ახლა, ამ წუთში, ბუნებისა და ადამიანთა მდუმარების ლამაზ წამებში, ყოველგვარი ხმა ნამდვილად დისონანსი იქნებოდა. ხომ არის ხოლმე, სიჩუმე შემოდის შენს ორგანიზმში, იგი შენი სულის, სხეულის

ნაწილი ხდება. ასე იყო ახლაც. მე ვფიქრობდი იმ ავანტიურისტ კორტესზე, ვფიქრობდი ატატულპაზე, რომელიც ოქრომ და ინდურმა ჩამომავლობამ კოცონზე აიყვანა. ხანდახან, როცა მარჯვენა ფანჯრის იქით, ცხენზე ამხედრებული გაუჩო გამოჩნდებოდა, ფიქრს ვწყვეტდი და ხელს ვუქნევდი პატაგონელთა და კონკისტადორთა ნაშიერს.

ვალში არც გაუჩო რჩებოდა, მათრახიან ხელს აღმართავდა და ისიც მიქნევდა.

ფერნანდო კი დუმდა.

ფერნანდო ახლა დედამიწის ზურგზე ყველაზე სიმპათიურ კაცად მეჩვენებოდა, რადგანაც დუმდა.

და...

გზაზე სენიორიტა გამოჩნდა. მას პეჭზე დიდი კალათი შეედგა. კალათი მძიმე იყო და სენიორიტა ნელა, მოღლილი მოდიოდა ჩვენსკენ.

ფერნანდოს არ შეეძლო ცივად გაევლო ქალისათვის.

ფერნანდოს ვისკი, მუსიკა და კარმენსიტები უყვარდა.

მანქანა დაამუხრუჭა.

— სენიორიტა, სწორად მივდივართ, პარანასაკენ?

სენიორიტამ მძიმე კალათი ძირს ჩამოდგა. კალათი მსხვილი, ხორციანი პამიდორით იყო სავსე.

— დიახ, სენიორ, მაგრამ ყველა ქალთან თუ შეაჩერეთ მანქანა, ძალზე გვიან მიხვალთ პარანასთან.

ეშმაკური ღიმილით თქვა იმ სენიორიტამ.

— ხომ არ შეგვესვა ჩვენი გაცნობისა? — შესთავაზა ფერნანდომ.

—ადრეა, ეს როცა უკან მობრუნდებით, მაშინ. აი, აქ დაგელოდებით.

— ერთი კვირა მოგიწევთ მოცდა.

— არა უშავს, ერთი თვე იყოს. თქვენისთანებს უფრო მეტსაც უცდიან.

ფერნანდომ კომპლიმენტი შეიშნო და ამაყი ღიმილით გადმომხედა. სენიორიტამ კი კალათი ისევ ბეჭზე შეიგდო და წავიდა.

— კარგი გოგოა, არა? — მკითხა ფერნანდომ.

— პირდაპირ გასაგიჟებელი.

— სიამოვნებით მოვბრუნდებოდი მონტეში. ნეტავი თქვენ, ეს ჯუნგლები რად აგიხირებიათ.

მანქანა დაიძრა. ჩვენ ისევ საკუთარ ფიქრებს დავუბრუნდით.

თორმეტ საათზე გზისპირა პატარა სასადილოში ვისაუზმეთ. ფერნანდო ჩქარობდა. დაღამებამდე კემპინგამდე უნდა მიგვეღწია, იქ მანქანას დავტოვებდით და შემდეგ ცხენებით გავაგრძელებდით გზას. როცა ცხენს ახსენებდა, ფერნანდო ირონიით მიყურებდა. აქაო და ეს მეზღვაური ცხენს ვერას მოუხერხებსო. მე უბელო ცხენებზეც ბევრჯერ ვიყავი ნაჯირითევი, ფერნანდოს ირონიას ღიმილით ვპასუხობდი.

გზა ორად გაიყო. ჩვენ ლა პლატას სანაპიროს აღარ გავყოლილვართ. მეორე გზაზე გადავედით, კურსი გვეკავა ქვეყნის სიღრმისაკენ. მივქროდით შუა პამპასებში, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ნახირი და ცხვრის ფარა, ხანდახან კი რომელიმე პატარა სოფელიც გამოჩნდებოდა. სახლები ძალიან შორიშორს იდგა, ეზო-კარმიდამო მავთულით იყო შემოღობილი. ურუგვაელი გლეხის მთელ ამ ავლადიდებას უეჭველად აგვირგვინებდა ქარის ენერგიით მომუშავე წყლის ტუმბო, პირველად ეს უცნაური ტუმბო ქარის წისქვილი მეგონა მაგრამ შემდეგ ფერნანდომ განმიმარტა, რომ იგი ქარის ტუმბოა და მეტი არაფერი.

— სენიორ, აქ მაგარი ქარი იცის. ქარი ამუშავებს ტუმბოს და ტუმბოც თავის მხრივ სახნავ-სათესში წყალს ანაწილებს. ხომ დიდებულია სენიორ. ეს დაწყევლილი ქარიც კი ადამიანის სამსახურშია.

შუადღე გადასული იყო, როცა პატარა ქალაქს ჩავუარეთ.

— ფლორიდაა, — მითხრა ფერნანდომ.

ურუგვაიში მოსახლეობის ოთხი მეხუთედი მონტევიდეოშია თავმოყრილი. დანარჩენ ქალაქებში მოსახლეობის მცირე ნაწილი ცხოვრობს. ისინი, ძირითადად წვრილი ხელოსნები არიან. განსაკუთრებით პოპულარულია აქ მედაბაღეობა. აქაურ დაბაღებს გამოჰყავთ ქალის შესანიშნავი ურუგვაული ქურქი. ურუგვაული ქურქი ყველა კონტინენტის ქალიშვილთა ოცნებაა.

ფერნანდომ მიამბო, თუ როგორ ამზადებენ საკმაოდ პოპულარულ ქურქს — ალოკილს.

მაკე ცხენს, სანამ კვიცს მოიგებდეს ცხრა დღით ადრე კლავენ. მუცლიდან ამოჰყავთ კვიცი და მის ტყავს ამუშავებენ. ადამიანის ნებით, რამდენიმე ნორჩი კვიცი, რომელსაც ჯერ სუფთა ჰაერიც კი არ შეხებია, ეწირება ერთი ლამაზი ქურქის დამზადებას. აღარას ვამბობთ დედა ცხენზე. გასაგებია თუ რაოდენ ძვირი იქნება ასეთი ქურქი.

მე და ფერნანდომ აქვე, მანქანაში, ბუტერბროდით სახელდახელოდ ვისაუზმეთ. ისე ვისაუზმეთ, რომ მანქანა არც კი შეგვიჩერებია. მანქანა მხოლოდ მაშინ შევაჩერეთ, როცა გზა გაველურებულმა ნახირმა გადაგვიღობა. ჩვენგან ოცდაათიოდე ფუტის დაშორებით, იდგა ორი გიგანტური ხარი. მათ უკან მთელი ნახირი საგულდაგულოდ კეტავდა გზას. ფერნანდომ მანქანა უკან დასწია.

— თოფი მზად გქონდეთ, სენიორ! ამ საშიშ ურჩხულებს ხუმრობა არ უყვართ.

ეს მაშინვე ვიგრძენი, როცა ჩვენკენ მომავალმა იმ ორმა გიგანტმა თავი საბრძოლველად დახარა.

ფერნანდომ მანქანა ისევ დასწია. მერე კარი გამოაღო.

— ხომ არ ინებებდი შებმას. ამ გზაზე შესა-

ნიშნავი კორიდა გამოვა. დაშნას ახლავე მოვართმევთ.

— იქნებ ერთი თქვენ აგერჩიათ, ჰა, რას იტყვით, სენიორ ფერნანდო.

— ათასჯერ მირჩევნია თოფი ვესროლო. თანაც მანქანიდან. ნაღდი საქმეა, ყოველგვარი უსიამოვნებისაგან დაზღვეული ხარ.

ველური ნახირი გზაზე ბდღვინვით გადადიოდა. გაავებული ხარები ჩვენსკენ ბოროტად იყურებოდნენ. ჰაერში მტვრის კორიანტელი ადიოდა.

მე და ფერნანდო მანქანასთან ვიდექით. ნახირის შავი ტალღა ჩვენგან ორმოცდაათიოდე ფუტის დაშორებით მიიკლაკნებოდა.

— ხედავთ? როგორ გვიყურებენ. — თქვა ფერნანდომ, — მე ვაკვირდები, ადამიანს ყველა ცხოველი ეჭვით უყურებს, არ გვენდობიან.

— იციან, რომ ერთი გასროლა და...

— ჰო, ასეა... — თავი დამიქნია ფერნანდომ.

მერე, როცა გზაზე სულ ბოლო ხარმაც გადაიარა, ისევ საჭეს მიუჯდა.

—ვაიხედეთ, წინ კუჩილია გრანდე დელ დურსანოა.

შორს, ძალიან შორს მართლაც ჩანდა გრძელი ქედი. ქედი, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფს ურუგვაის. ვიცოდი, რომ გრანდე კუჩილიას იქით იწყებოდა რიო გრანდესა (დიდი მდინარის) და რიო ნეგროს (შავი მდინარის) უდაბური ტყით დაფარული ველი. იქ კი, ჩარუას ტომის ინდიელთა ნაშიერთათვის უნდა მიმეკვლია.

აღტაცებული გავყურებდი ლურჯ კუჩილია გრანდეს. ვისუნთქავდი იქიდან მონაბერ გრილ სუფთა ჰაერს და ჩარუაზე ვფიქრობდი... არ გამიკვირდებოდა ახლა, რომ კუჩილია გრანდეს გრანიტის ციცაბოებიდან უბელო ცხენებზე ამხედრებული ჩარუას ტომის ინდიელთა მთელი პოლკი დაშვებულიყო. ახლა, ამ წუთში, ურუგვაის თითქმის შუაგულში, კამკამა ლურჯი ცისა და პამპასების მწვანე ფონს ძლიერ დაამშვენებდნენ ტუკანისა და მაკაოს ფრთებით მოხატული ინდიელები.

და ჩვენ მივქროდით, მივქროდით შავი მერსედესით ლურჯი მთებისაკენ. მივქროდით, რომ გვენახა ის ნამუსრევი. რაც თავად ადამიანმა თავისი მკაცრი გონებითა და ხელით არარაობად აქცია.

ვნახავდით კი?

შევხვდებოდით?

გაგვიგებდნენ?

ფერნანდოს ეს არ აღელვებდა. ფერნანდოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი დიდი სურვილი ჰქონდა, როგორმე კემპინგამდე მიგვეღწია და ეს ღამე საწოლში გაეთია. მანქანაში ძილი მას არ უყვარდა.

ბოლოს ის კემპინგიც გამოჩნდა. ფერნანდომ ღიმილით გადმომხედა.

ხდება ხოლმე. სიტყვა ზედმეტია, ადამიანები ისე უგებენ ერთმანეთს.

ფერნანდოს გავუგე.

მანქანა ყვითლად შეღებილ ჭიშკარში შესრიალდა. ეზოში მკრთალი შუქი ენთო. ფანარები დიდი, ყვითელი მსხლებივით ეკიდნენ უხილავ მავთულებზე. ეს ფერი თითქოს და გაგრძელება იყო იმ სიყვითლისა, რომელიც ჯერ კიდევ ჭიშკართან შემოგვეგება.

ფერნანდომ მანქანა ერთ პატარა ტიპისთან (ხის ქერქით აგებული ინდური სახლი) დააყენა. გადმოვედით თუ არა, წინ ჩია მოხუცი კაცი მოგვეგება.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მანქანა აქ შეგიძლიათ დააყენოთ. რესტორანი აი, პირდაპირ. ღამეს სად გაათევთ, ტიპიში თუ ჰოტელში?

— ჰოტელში, — უთხრა ჩემს მაგივრად ფერნანდომ.

მე კი, იმ წუთში ერთი აზრი ამეკვიატა და ფერნანდოს მივუბრუნდი.

— მგონი ცუდი არ იქნება ჩვენი ჰამაკების გამძლეობა გამოგვეცადა. ჰა, რას იტყვით, ორ ხეს შორის რომ გავაბათ და იქ დავიძინოთ? მე ეს იდეა მომწონს.

მოხუცი გამოცოცხლდა.

— თქვენ რუსი ხართ? რომ არ გავხართ? — თქვა სუფთა რუსულით.

— რუსი არა ვარ, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან გახლავართ.

— მე პოლონეთიდან ვარ, რუსეთშიაც მიცხოვრია, კიევშიც, ლენინგრადში, ახლა ეს ოცდაათი წელია აქა ვარ. სხვათაშორის ჩემს ვაჟს სასწავლებლად მოსკოვში ვაგზავნი.

— ჩინებული აზრი მოგსვლიათ, მოსკოვში კარგ განათლებას მიიღებს.

— მეც ასე ვფიქრობ. თუ თქვენ გსურთ, ღამე ჰამაკში გაათიოთ, შესანიშნავ ადგილს შეგირჩევთ. ახალგაზრდობაში მეც მიყვარდა ეგზოტიკა. მობრძანდით, ბატონებო, აბაზანა მიიღეთ, ივახშმეთ. ხუანიტო, აქეთ!

თორმეტიოდე წლის ბიჭი გამოქანდა.

— ეს სენიორები ჰოტელში აიყვანე, ლუქსში მოათავსე. მიბრძანდით, ბატონებო.

მე და ფერნანდო პატარა, გამხდარ ხუანიტოს გავყევით. ბიჭი მკვირცხლად, ცეკვითა და სტვენით მიგვიძღოდა წინ. ჰოტელის პატარა შენობაში შეგვიყვანა. მერე გრანიტის კიბეებს მეორე სართულზე ავყევით და კომფორტაბელურ ლუქსში აღმოვჩნდით.

— რესტორანი ქვევითაა, ბატონებო, შეგიძლიათ ყველაფერი მოითხოვოთ. სხვათაშორის შესანიშნავი მზარეული გვყავს, — გვითხრა სერიოზულად ხუანიტომ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს სერიოზულობა სრულებითაც არ ამშვენებდა ამ ცეროდენა ყმაწვილს.

აბაზანა მორიგეობით მივიღეთ. შილიფად ჩავიცვით და პირველ სართულს მივაშურეთ, სადაც გემრიელი ვახშამი გველოდა.

მაგიდას სამნი ვუჯექით. მე, ფერნანდო და ის

მოხუცი პოლონელი სენიორ კაზი (კაზიმირი). ფერნანდო მადიანად შეექცეოდა ასადოს. მეც გემრიელი მეჩვენა სულ ახალი ხბოს ხორცი და სიამოვნებით ვეახლებოდით. სენიორ კაზი მხოლოდ ვისკის წრუპავდა. ჩვენს პირდაპირ სამი ქალიშვილი იჯდა. ისინიც ვისკის შეექცეოდნენ და სიგარეტს აბოლებდნენ. ფერნანდოს საქმე მიეცა, მისთვის ახლა მე და ის მოხუცი პოლონელი აღარ ვარსებობდით, სულ იმ გოგონებს მიჩერებოდა.

სამ გოგონას იქით კიდევ სამი ჭაბუკი იჯდა. 25-27 წლის ყმაწვილები. ორს ალისფერი ხალათი ეცვა, მესამეს კვერცხისგულისფერი, ატლასივით ბრჭყვიალა. ჩუმად ლოთობდნენ, გოგონებს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ეტყობოდა, არც სასტუმრო და არც რესტორანი სტუმრებისაგან განებივრებული არ იყო. რესტორანში მეტი სულიერი არ ჩანდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამ ყოჩაღ ოფიციანტს და ორ ღიპიან მზარეულს, რომელთაც ესტრადასთან პატარა „საწარმოო თათბირი“ ჰქონდათ.

— ჯუნგლების ჰიანჭველები არიან, — მიჩურჩულა სენიორ კაზიმ და თვალით იმ სამ ყმაწვილზე მანიშნა.

ბევრი ვერაფერი გავიგე მოხუცი პოლონელის ქარაგმისა.

— უფრო გარკვევით, თუ შეიძლება, სენიორ კაზ. მართალი გითხრათ, მიჭირს გაგიგოთ.

სენიორ კაზი მაგიდაზე გადმოემხო.

— ჯუნგლების ჰიანჭველები არიან. დაეხეტებიან, ცხოველებს იჭერენ. თანაც ისე, ურუგვაის პროკურორისაგან არავითარი სანქცია არა აქვთ.

მოხუცმა პოლონელმა ჩაიხითხითა. ოქროს კბილებმა გაიელვა.

— იცით, რა, სენიორ, ისინი იჭერენ თახვებს, ჯავშნოსნებს, გველებს, გესმით, სენიორ, ისეთ საშინელ გველებსაც კი იჭერენ, როგორიც ბატონი ბუშმეისტერი და ჟარაკაკა გახლავთ. იჭერენ ანაკონდასაც. ისე, უბრალოდ, ხელით იჭერენ და შემდეგ მის უდიდებულესობას მისტერ ანაკონდას ჯუტის ტომარაში ამწყვდევენ. ეს უბრალო ოპერაცია არ გეგონოთ, დიდი საქმეა. იჭერენ აგრეთვე სამხრეთ ამერიკის რისხვას — შავ იაგუარს. შავ იაგუარს ნუ ეხუმრებით, იგი ვეფხვზე უფრო მქინვარე კატაა. ეს სამი თავზეხელაღებული მუშკეტერი თავისი პროდუქციით მსოფლიოს უზარმაზარ ზოოპარკებს ამარაგებს.

— კარგი საქმეა.

— დიდებული.

ის სამი ყმაწვილი კი ისევ ლოთობდა.

მერე მუსიკოსები გამოჩნდნენ.

გაისმა ჯადოსნური ესპანური სიმღერები...

როცა ეზოში გამოვედით, ცოტა ზარხოშად გახლდით. სამყარო ძალიან ლამაზ, მომხიბვლელ ბაღნარად მეჩვენებოდა.

ცა ვარსკვლავებს დიდებულად მოექარგათ.

კუჩილია გრანდედან რბილი, კეკლუცი ნიავი უბერავდა და თავის ლამაზ ენაზე ეჩურჩულებოდა ტაკუარასა და წითელი ხის ფოთლებს. ირგვლივ სულ ყვავილების სურნელი იდგა. სიჩუმე, სიჩუმე, იდუმალი სიჩუმე.

ფერნანდომ თავის ოთახს მიაშურა.

სინიორ კაზი მე მიმაცილებდა.

— ჰამაკი დიდებულ ადგილზე გაგიბით. რომ უფრო ნათლად იგრძნოთ ეგზოტიკა, ცხვრის ტყავი დაგიგეთ. თქვენს მძღოლს წამოუღია, დიდებული ტყავია, კარგად, სუფთად დამუშავებული. ზემოდანაც ცხვრის ტყავის საბანს გადაიფარებთ, ღამით ცივა. კიდევ კარგი, ტომრად არ შეუკრავს თორემ ცხვრის ტყავის ტომარაში ძილი გაგიჭირდებოდათ. საშინელი სიცხე იცის, თავი ეკვატორზე გეგონებათ. ახლა კი, თუ დაგცხათ, საბანს გადაიხდით.

ჩვენ ხეხილის ბაღში მივდიოდით. მიგვაცილებდა კრუალების მთელი სასულე ორკესტრი. ვერაფრით ვერ შევეგუებოდი იმ აზრს, რომ სადღაც ქვეყნის კიდეზე ვიყავი, შუაგულ ურუგვაიში და არა რომელიმე ქართულ სოფელში. ყველა ქვეყნის, ყველა კუთხის, ყველა კონტინენტის ღამეს აქვს რაღაც დიდი და ძლიერი საერთო. ეს საერთო შეუბრალებლად შლის ყველა განმასხვავებელ ნიშანს და რჩება ერთი — ღამე თავისი ცოტა მელანქოლიური ფიქრებით. სამყარო შენს თვალწინ იმ ჯადოქრული შაგრენის ტყავივით იკუმშება, კლებულობს თვალსაწიერი, ყველაფერი მინიატურული, საეჭვოდ გარინდებული და იდუმალი ხდება. თანაც ისეთი იდუმალი, რაც თავისებურ შიშსა და ცნობისმოყვარეობას იწვევს.

მე ვიწექი ახლა ორ მაგარ წითელ ხეს შორის გაბმულ ჰამაკში. ვიწექი ცხვრის რბილ და ფაფუკ ტყავში გახვეული. გავყურებდი თუ როგორ ზედიზედ ქრებოდა შუქი ორსართულიან პატარა ჰოტელში. პირველად რესტორანში ჩაქრა. მერე იმ ლუქსში, სადაც ახლა ჩემი ანგარიშით ფერნანდო ეულად არ უნდა ყოფილიყო. მერე მეორე სართულის ერთ დიდ ფანჯარაში ორი მომხიბლავი სენიორიტა გამოჩნდა. ზედ თვალისმომჭრელ შუქში გაიხადეს თხელი კაბები და სანამ ღამის პერანგები არ გადაიცვეს, შუქიც არ ჩაუქრიათ. „ჯუნგლის ჰიანჭველებმაც“ ჩააქრეს. ყველგან ჩაქრა შუქი, მხოლოდ ერთადერთი ჯიუტი არსება ცა ალმოჩნდა, რომელიც არ ფიქრობდა შუქის გამორთვას და ახლა, ამ წუთში, პირდაპირ ჩემს თავზე დაეკიდა სამხრეთის ჯვარი.

როცა ეზო ჩაბნელდა და ნათლად ვიგრძენი, თუ როგორ უბრალოდ მოშორდა ბუნებას ადამიანის ხელწერა, მაშინვე რაღაც იდუმალი შიში დამეუფლა. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ახლა არ მეძინა ჩემს მშობლიურ სვანეთში, იმერეთში, ქართლში, კახეთში თუ მესხეთში. მარტოობამ მაშინვე მომაგონა, რომ ახლა ჩემი

მსუბუქი ჰამაკი ქვეყნის კიდეზე ეკიდა. სწორედ ახლა, ეჭვით გავიხსენე სენიორ კაზის სიტყვები: „თუ ღამით სადმე ახლოს შავი იაგუარის ღრიალი მოგესმათ, ნერვებს ნუ მოიშლით, შეგიძლიათ საწოლში გვერდი იცვალოთ."

მაგრამ იაგუარის ღრიალი არ მესმოდა, ახლა მხოლოდ კრუალების სასულე ორკესტრი უკრავდა და უფლება მქონდა, იმ ათასგვარ სისულელეზე არ მეფიქრა, რაც შავ იაგუართან არის დაკავშირებული.

ჩავთვლიმე, მერე მაგრად ჩავიძინე და...

როცა თვალი შიშით გავახილე, ყველაფერი ისევ წინანდებურად იყო. შორს კუჩილია გრანდე, ზედ თავზე სამხრეთის ჯვარი და ცხვირწინ ჩაბნელებული, პატარა ჰოტელი.

„არა, იაგუარის ხმა ალბათ ძილისეული ზმანების, ნერვიული დაძაბულობის შედეგი იყო."

და...

უცებ სულ ახლოს, რამდენიმე ნაბიჯზე საზარელი ბრდღვინვა მომესმა.

თქვენც და მეც, ყველას მოგვისმენია ვეფხვის ბრდღვინვა. ამისათვის არაა საჭირო ესტუმრო კენიის სავანებს. უბრალოდ, ოთხკაპიკიანი ბილეთით ტროლეიბუსი მიგიყვანთ ზოოპარკთან.

ახლა სწორედ ასეთი ხმა იყო. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სულ ახლოს ადამიანის სუნისაგან გაღიზიანებული შავი იაგუარი კბილებს ილესდა. გამახსენდა მონტეში ჭკვიანი კაცის ნათქვამი: „ჯუნგლში თავის მოფხანაც კი რომ დაგპირო, ჩახმახზე შემდგარ თოფს ხელი არ უშვათო."

ვინანე, რომ ხელთ არ მქონდა ჩემი ვინჩესტერი. კიდევ გაისმა ბრდღვინვა... მერე ლაწანი მომესმა.

ახლა მივხვდი, რაღაც დიდი ამბის მოლოდინში ირგვლივ ყველაფერი გასუდრულიყო. აღარ ისმოდა კრუალების ორკესტრის ხმა, გასუდრულიყო ჰოტელის პატარა შენობა. ის ორი მაგარი წითელი ხე, რომლებზეც ახლა ჩემი საცოდავი ჰამაკი ეკიდა.

დუმილი. . .

დუმილი. . .

დუმილი. . .

საეჭვო დუმილი...

ლაწანი ახლა შორიდან გაისმა. მერე მას ძაღლის განწირული წკავწკავი მოჰყვა და შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ის ძაღლიც დადუმდა, რომელმაც ალბათ თავის ცხოვრებაში უკანასკნელად გაიბრძოლა.

ცოტა ხნის შემდეგ იდუმალმა დაძაბულობამ ჰოტელის ეზო ფეხაკრეფით დატოვა. კვლავ ახმიანდა კრუალების სასულე ორკესტრი. ახლა ეს პატარა, საცოდავი კრუალები უფრო მეტი რიხით უკრავდნენ. თითქოსდა ბუნებამ, გაილორა თავისი მსხვერპლი, ეს მსხვერპლი იყო არა ნამცეცა კრუალა, არა ის ორი ხე ახლა რომ ჩემს ჰამაკს აკავებდნენ, არამედ ძაღლი, ყველა დანარჩენმა — გადარჩენილებმა სული მოითქვეს და თავისუფლად ალაპარაკდნენ.

მიდამო მთლიანად განმაგნიტდა დაძაბულობისაგან.

ახლა ყველაფერი ისევ ლამაზი, მომხიბვლელი და უცოდველი გახდა. დიახ, არავის არ დაუნახავს მკვლელობა, არავის არ გაუგონია მომაკვდავი ძაღლის წკავწკავი. ეს მაშინ მოხდა, როცა ყველა ბრმა იყო და თავის ფიქრებში გართულს არაფერი ესმოდა.

მე დავიძინე.

დილით ფერნანდომ ძლივს გამაღვიძა.

— მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხართ, სენიორ?

მე გამოლენჩებულივით მივჩერებოდი.

— აი, იმათ იმ ჭაბუკებს, გველებს რომ იჭერენ, წუხელ ერთი იაგუარი გაქცევიათ ვოლიერიდან, როცა ეს ამბავი შევიტყვე, მაშინვე თქვენ გამახსენდით. მართალი გითხრათ, ვიფიქრე მონტეში, თქვენი ძვლების წაღება მომიწევდა. ცუდი საქმეა, არა, სენიორ? აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამხელა გზაზე, ლამაზი სენიორიტას ნაცვლად ერთი ტომარა კაცის ძვლები ათრიო.

ასეთი რამ არ მიყვარს.

ფერნანდომ გააბოლა.

— ადექით, ყავა შევსვათ და გზა გავაგრძელოთ.

მადიანად ვისაუზმეთ.

საუზმის შემდეგ ერთმა დაბალმა, ხუჭუჭთმიანმა ყმაწვილმა ორი ცხენი მოგვართვა. მე ჩემს შავრას შაქარს ვაჭმევდი და ისე ვიჩვევდი. ფერნანდო კი ზურგზე მოევლო და მაშინვე გააჭენა. მთელი ოცი წუთი დაათოხარიკებდა. მერე მოვიდა და ცხენების დასაპანებას შევუდექით. მასპინძელი ფიცულობდა, რომ საღამომდე კუჩილია გრანდეს ფერდობებზე უეჭველად ვიპოვიდით ჩარუას.

— ვფიქრობ, რომ ისინი ჯერ საზამთრო სადგომებისაკენ არ დაშვებულან, ჯუნგლებთან იპოვით.

ჩვენც ნათქვამი ვირწმუნეთ და გრძელ გზას ცხენებით დავადექით. მანქანა ფერნანდომ საზაფხულო გარაჟში შეაგორა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს მოყვითალო პლასტიკატით გადახურულ ჰილოფისოდენა ადგილს ჰოტელის უკან რომ იყო.)

— წავედით?

— წავედით.

მასპინძელი და ის დაბალი ხუჭუჭთმიანი კაცი დიდხანს გვიქნევდნენ ხელს.

ჩვენ ნელა მივდიოდით, სულ ზევით და ზევით მივყვებოდით სირაქლემას კვერცხივით მოტვლეპილ მიდამოს. ფერნანდომ წამოიწყო: რიო ნეგროს იქით იაგუარმა ორი ტურისტი დაფლითაო, მერე ისიც გაიხსენა, ნიანგებმა როგორ შეახრამუნეს ვინმე ტაფტი, ჯუნგლებში პეპლების კოლექციას, რომ აგროვებდა. სა-

ნამ სამიოდე მილს გავივლიდით, ოთხი ასეთი პატიოსანი კაცი შეაჭამა ფერნანდომ ნიანგებსა და ლეოპარდს. ორი კიდევ ანაკონდას მოაგუდვინა.

მე საუბარი ვულკანებზე და მიწის ძვრაზე ჩამოვუგდე. ისიც გავიხსენე, როგორ ჩაიმარხა გავარვარებულ ლავაში პომპეი.

— თქვენ ხუმრობთ, სენიორ. საერთოდ ხუმრობა კარგად გეხერხებათ, მაგრამ იცოდეთ, წუხელ მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო გადარჩით. მე თქვენს ადგილზე, თუ კი საღ-სალამათი ჩავაღწევდი მონტეში, იმ ძაღლის სახელზე, თქვენს მაგივრად რომ შეჭამა იაგუარმა, სანთელს ავანთებდი.

— მერე და ღმერთმა რომ მიწყინოს, აბა საიდან უნდა ვიცოდე, ის ძაღლი რომელ სარწმუნოებას მისდევდა.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია სანთელი...

ფერნანდოს წყენინება არ მსურდა, მითუმეტეს, როცა საქმე ორასიოდე პესეტს ეხებოდა.

— უეჭველად გავითვალისწინებ თქვენს რჩევას, ფერნანდო.

მან ღირსეულად დამიქნია თავი.

შორს მიდამოს თხელი ნისლი გადაჰკვროდა. ამ თხელ ნისლში ჩაკარგულიყო გრანდე კუჩილია. ფერნანდო ნერვიულობდა, გზას არ ავცდეთო.

შუადღე რომ გადავიდა, შევისვენეთ და ვისადილეთ. სადილის შემდეგ კი კვლავ გავაგრძელეთ გზა. ფერნანდო ახლა დუმდა. ხანდახან, როცა ცხენები რაიმეზე შეკრთებოდნენ, ფერნანდო ტუჩებზე საჩვენებელ თითს მიიტანდა.

— სსსუ, აქ სიკვდილი არ იყოს ჩასაფრებული.

როგორც ჩანს, სიკვდილს ჩვენთვის არ ეცალა და ცხენთა ყოველი შეკრთომა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე მთავრდებოდა.

დაბინდდა, გზა კი არ თავდებოდა. არ ჩანდნენ ჩარუას ტომის ინდიელები.

უეცრად ცხენები დადგნენ...

— ხედავ? — მითხრა ფერნანდომ.

— ვხედავ.

— იქ ჩარუაა, მადლობა ღმერთს ჯერ არ დაძრულან. მოვუსწარით.

წინ, სულ ნახევარი მილის დაშორებით სამი დიდი კოცონი ჩანდა. კოცონის ალი კარგა შორს ადიოდა.

ცხენები ავაჩქარეთ.

წინ, ფერნანდო მიდიოდა.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე გვესმოდა ჩარუას ტომის ინდიელთა შეძახილები, ხოლო უფრო გვიან, ზეთ კოცონებთან ტვირთს ვხსნიდით ცხენებს. ინდიელები მოშორებით იდგნენ და ცნობისმოყვარედ მოგვჩერებოდნენ. მათ ფერნანდო ამხნევებდა. ტომის კასიყმა კოცონთან მიგვიწვია. ეს ყველაზე პრაქტიკული სვლა იყო ამ სიტუაციაში.

თვითეულ კოცონთან 8-10 კაცი ფუსფუსებდა. მოშორებით ორი გრძელი კარავი იდგა. უფრო იქით კი ვერცხლის[illegible] რიო გრანდეს ერთი ტოტი. [illegible] ტყის გრძელი და უსასრულო ზოლი, რომელიც იკრებოდა არგენტინისა და პარაგვაის სიღრმეში.

ქალებსა და ბავშვებს ტკბილეული დავურიგეთ.

ამასობაში, ორმა მარჯვე ბიჭმა შამფურზე წამოაგო ოთხიოდე მუჭის სიმსხო რაღაც ფრინველი. თუ კოცონთან დაყრილი ფერადი ბუმბულით ვიმსჯელებთ, რომლის გაყოფაზეც მუცელდაბერილ ბიჭებს ერთი გაწამაწია ჰქონდათ, ეს პატარა ფრინველი თუთიყუში უნდა ყოფილიყო.

— ეს უცხო კაცი თქვენ სანახავად მოვიდა. ძალიან შორიდან მოვიდა, — ჩაჩიჩინებდა კასიყს ფერნანდო.

კასიყი თავს მორჩილად იქნევდა და თანკეთილ ღიმილს გვაფრქვევდა.

ჩვენ მადიანად შევექცეოდით შემწვარ მაკაოს, ზედ ვაყოლებდით ჩიჩის და თანდათან მოვდიოდით ხასიათზე. ჩვენს ირგვლივ აჩრდილებივით ირეოდნენ ჩარუას ტომის ინდიელები. ესენი იყვნენ გამხდარი, ჩუმი და მოწყენილი ადამიანები. მოხუცები ჩამქრალი ბებრული თვალებით იყურებოდნენ.

ახალგაზრდა მეომრებს თვალებში ჯერ კიდევ ენთოთ ცხოვრების ჟინიანი ცეცხლი. ლაპარაკობდნენ ხმამაღლა და გამოკვეთით.

ფერნანდომ მანიშნა და მე ჩიჩის ერთი ლიტრა ვისკი მოვაყოლე. ვისკიმ ჩვენს კოცონს მხიარულების კოცონიც მიუმატა. კასიყმა მადიანად დაახვია მანიოკის ლავაში. პირში ჩაიდო და იმ წამსვე ვისკიც მიაყოლა. მერე მე გადავკარი, შემდეგ ფერნანდომ და ალავეროს ვილაც მეომართან გადავიდა.

და აი, ვიჯექი სადღაც დასაკარგავში, უღრან ტყეში. შორიდან ისმოდა თუ როგორ ბუტბუტებდა რაღაცაზე გაჯავრებული რიო გრანდე და ხარბად მივჩერებოდი გამხდარ ჩია კაცს, რომელიც ნაღვლიანად საუბრობდა.

ჩარუას ადრე ეკავა კუჩილა გრანდეს ტერასები. ჩარუას სანადიროები უფრო იქით პარანას შორდებოდა და არგენტინის ტერიტორიაზე იკრებოდა. ჩარუას ტომის მონადირეები ომის ბილიკებით პერუმდე აღწევდნენ.

ეს მაშინ, როცა ჯუნგლების ბატონ-პატრონნი ინდიელები იყვნენ.

მერე ჩარუა გაზაფხულის თოვლივით დადნა. მან დიდი ხნის უკან გაახალა მშვიდობის ჩიბუხი თეთრ კაცთან და მის ყველა კაპრიზს მოთმინებით იტანს. ჩარუა ნადირობს ჯუნგლებში. ჯუნგლებში ბევრი სანადიროა. აი, ჩემს უკან უზარმაზარი ანაკონდის ტყავი რომ ჰკიდია გასაშრობად, ეს ანაკონდა სწორედ ჩარუას ტომის ინდიელებმა მოჰკლეს გუშინ დილით, ანა-

კონდა მდინარისაკენ მიიკლაკნებოდა, პატარებმა ერთი წიოკობა ასტეხეს. მეომრებმა კი შუბებს ხელი დაავლეს და ანაკონდა მოჰკლეს.

გველის ტყავს კარგი ფასი აქვს მონტევიდეოში. ამიტომ აშრობენ. ხორცი კი შეჭამეს. ანაკონდას კარგი, გემრიელი ხორცი აქვს.

კასიყს არც ერთი ნაჭერი არ შემორჩა, თორემ უეჭველად იმით გვაგახშმებდა.

ზეგ დილით ჩარუა აიყრება და ტაფობში დაეშვება. იქ, შედარებით მყუდრო ტაფობში გამოიზამთრებენ. შემდეგ კი, გაზაფხულზე, ისევ ჯუნგლებს დაუბრუნდებიან.

ჩარუა გარდა ნანადირევისა, მანიოკსაც აგროვებს. ჩარუას დედაკაცები მანიოკისაგან შესანიშნავ ლავაშს აცხობენ.

სტუმარო, ხომ გასინჯე ჩიჩი, ისიც ჩარუას ტომის ქალების მომზადებულია.

და ვზივარ აქ, დასაკარგავში. მივჩერებივარ ამ ჩია კაცს და უნებლიეთ ვფიქრობ, როგორ დააბეჩავეს ომის ბილიკებმა წითელკანიანები. ახლა იგი მოთელილი, მორჩილი და მონაა. მოგჩერებია თვალებში და ცდილობს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს — გასიამოვნოს.

მერე ორ ხეს შორის ჰამაკს ვშლი. ჩემს გვერდით კი ფერნანდო. ჰამაკში ისე ვწევები, რომ მბჟუტავ კოცონს ვუყურო. კოცონი ჯერ კიდევ ცოცხლობს. მისი შუქი ტყის პირამდე აღწევს, საიდანაც სათავეს ღებულობს სამხრეთ ამერიკის ჯუნგლები. კოცონი ტკრციალებს, ხან მთლად ჩაიფერფლება, ხან კიდევ ცოტათი გამოცოცხლდება ხოლმე.

მებადება სურვილი. რომ სულ ენთოს ჩარუას ტომის კოცონი. იგი არასოდეს, არასოდეს არ ჩაქრეს.

მერე ნელა მოდის ძილი.

ძილს სადღაც დასაკარგავში, კიდევ უფრო შორს მივყავარ.

დილით კარგ გუნებაზე ვიღვიძებ.

ფერნანდო უკვე წამომდგარა. ჰამაკის წინ ფეხი მოურთხავს და წინდებს იცვამს. მერე ფეხსაცმელს იღებს, ეჭვით დაჰყურებს და ყოველ შემთხვევისათვის მაინც ფერთხავს.

ფეხსაცმლიდან დიდი, რუხი მორიელი გამორბის და ბალახში უჩინარდება.

ფერნანდო მორიელს გულიანად აგინებს დედას.

მე ვიცინი და იგი ბრაზმორეული მომჩერებია.

— მას შეეძლო ეკბინა და იმ ქვეყნად გაეესტუმრებინე, საიდანაც არავინ აღარ ბრუნდება.

ისევ ვიცინი...

ფერნანდო ახლა მეორე ტუფლს ფერთხავს. იქ მორიელს ვერ მოესწრო დაბუდება.

მეც ვდგები. მეც ვფერთხავ ფეხსაცმელს და მერე ვიცვამ. ფეხსაცმელს უკვე შეპარვია ნესტი. ჯუნგლები რომ გაჟღენთილია ნესტით.

ინდიელები მდინარის ტოტთან გამოფენილან. ქალები საუზმეს ამზადებენ. კაცები სანადიროდ ემზადებიან, მუცელდაბერილი ბავშვები იქვე დარბიან.

ჩვენ კასიყთან ერთად ვსაუზმობთ. ჩემ უკან ისევ ირხევა დიდი ანაკონდას სანახევროდ გამომშრალი ტყავი. ფერნანდო უსინდისოდ ევაჭრება ინდიელებს და მერე ტყავს ჩალის ფასად დაითრევს. რათა მონტევიდეოში ოთურბიზად გაჰყიდოს.

ჩვენ — მე, ტომის კასიყი, სამი ახალგაზრდა მეომარი — ტუნგასუკი, პატაშო და მარჩინო სანადიროდ მივდივართ. ფერნანდო არ მოდის. ფერნანდო თვლის, რომ ტომის ნახევრადშიშველ ქალიშვილებთან ღლაბუცი ჯობია ჯუნგლებში ხეტიალს.

წინ კასიყი მიდის.

ჯერ საუბრით მივდივართ. მე უკვე ჩავიწერე სამოცამდე სიტყვა ჩარუას 400-500 სიტყვოვანი ენიდან.

ამ სიტყვებს გონებაში ვიზეპირებ. ვცდილობ, ინდიელთა საუბრიდან ცოტა რამ მაინც გავიგო. როცა ნაცნობი სიტყვები მესმის, მიხარია.

კასიყი ამბობს: სურუკუკუ!

ტანში ჟრუანტელი მივლის. ყველანი ვდგავართ... იქ კი ბუჩქნარში მისრიალებს სამხრეთამერიკული საშინელი შხამიანი გველი ბუშმეისტერი.

კასიყი ამბობს: კაა ხე ეჰ ი.

ჩვენ ვწყვეტთ არომატული ხის არომატულ ფოთლებს და ვღეჭავთ. წვენს ვყლაპავთ, ფოთოლი თითქოს და წყურვილსაც გვიკლავს. უეცრად ისრის ზუზუნი გაისმის. ისარმა სწორედ ჩემს თავზე გადაიქროლა. შემკრთალი თავს ვხრი. ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვარ თუ რა მოხდა, მტერმა ისროლა თუ მოყვარემ. მერე ჩემს წინ ისრით მოკლული მაკაო ვარდება და ვმშვიდდები.

— ეს შენ, შენ, ისროლე, პატაშო?

პატაშო ძალზე სერიოზულად მიქნევს პატარა, შავგვრემან თავს. ესპანური სიტყვების თავისი მარაგიდან რამდენიმეს არჩევს.

— Si senore.

გზას ვაგრძელებთ.

მერე კასიყი ჩერდება. ხელით მანიშნებს ახლოს მივიდე. მეც მივდივარ. ის ხელს უსიტყვოდ იშვერს წინ და ასევე მუნჯურად მაგებინებს, რომ საჭიროა მზერა მის ხელს გავადევნო .

ვერაფერს ვხედავ და თავს ვაქნევ.

კასიყი დაჟინებით მაიძულებს კარგად გავიხედო.

ვხედავ, იქ, მიწიდან სამიოდე მეტრის სიმაღლეზე ხის ტოტზე ორი გარეული ინდაური ზის. ახლა ყველაფერი ჩემს ვინჩესტერზეა დამოკიდებული. მეც ვიღებ ვინჩესტერს და ერთს, უფრო დიდს ვუმიზნებ.

— ტუკანი, ტუკანი! — ჩურჩულებს ჩემს ყურთან კასიყი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ვუქნევ და თოფის ლულა ნელ-ნელა შორდება წვრილ ლიანებს.

ცუდი მსროლელი როდი ვარ, მაგრამ მაინც ვნერვიულობ.

სროლის მჭახე ხმამ ჯუნგლი შეაზანზარა. დიდი ტუკანი ძირს ვარდება და პატაშო მის მოსატანად გარბის

კასიყი სიამოვნებისაგან გულზე ხელს მირტყამს. რაღაცას ბუტბუტებს, მაგრამ მე ვერაფერს ვგებულობ და ვდუმვარ, მხოლოდ უხერხულად ვიღიმები...

პატაშოს მძიმე ტუკანი მოაქვს. შემდეგ ტუნგასუკი ჰკლავს კიდევ ერთ ტუკანს. ბოლოს მარჩინოსაც უმართლებს ბედი და ზედიზედ ორ თუთიყუშს ჰკლავს. თუთიყუშები ძალზე დიდია, ვერა და ვერ გავიგე მათი ჯიში.

შუადღისას უკან ვბრუნდებით.

ახლა ხმაურით მოვდივართ.

მუცელდაბერილი ბავშვები წინ გვეგებებიან. ნანადირევს გვართმევენ და წინ კვიცებივით მიკუნტრუშებენ.

ჰილოფისოლენა მინდორზე ფერნანდო გოგონებს შორის ზის. ჩარუას ლამაზი გოგონები ჰყავს და ფერნანდოც არ იბნევა, ყველაზე ლამაზებთან ზის და ყბედობს.

მე ცინიკურად მიყურებს.

ჩვენი ნანადირევი ახლა ქალების ხელშია სწრაფად პუტავენ. გავყურებ გაპუტულ მსუქან ტუკანს, ნერწყვი მადგება. მაგრამ უფრო წყურვილი მაწუხებს. თოფს ტაკუარას ხმელ ტოტზე ვკიდებ და შენაკადისაკენ მივდივარ.

შენაკადი საკმაოდ განიერია. ის ამ გორაკების კალთებიდან პირდაპირ ტაფობში ეშვება. იქ კი რიო გრანდეს უერთდება.

წყალი სუფთაა, კრიალა. დასალევად რომ დავიხარე, დიდი, ყავისფერი ეკლიანი სკაროსები შევნიშნე. ეს შემაზრზენი, ბრაზიანი არსებანი მორიელებივით დაცოცავდნენ ფსკერზე. ხანდახან შხამიან კუდს აღმართავდნენ და მუქარით იქნევდნენ.

მცინარისაკენ ვიხრები და წყალს სწრაფად ვსვამ. მდინარიდან მთლად ოფლადგაღვრილი ვბრუნდები და წითელი ჭიანჭველების მიერ აღმართულ ბორცვზე ვჯდები. ამ ბორცვის მშენებლებმა ალბათ კარგახანია დასტოვეს თავიანთი სასახლე, თორემ ახლა დიდებულ დროს გაგვატარებინებდნენ. ჩემს ახლოს ფერნანდო ზის. ფერნანდო ახლაც ცინიკურად მიყურებს. საჭიროა რაღაც ვთქვა, მდუმარების ყინული ბოლოს და ბოლოს უნდა გალღვეს. მით უმეტეს, კარგ ხასიათზე ვარ.

ფერნანდოსაკენ ვიხრები.

—ერთი ეს მითხარით, რატომ აღებენ პირს ინდიელები, როცა ნადავლს ეპარებიან?

ფერნანდო ძალზე სერიოზულად მიყურებს.

— იმიტომ, რომ მყუდროება არ დაარღვიონ. ცხვირით როცა სუნთქავ, ასე თუ ისე, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს ოდნავ ხმაურს მაინც გამოსცემს. სულ სხვაა პირი, თანაც თუ ფართოდ დააღე. მაშინ ყოველგვარ ხმაურსაც კარგად ისმენ.

— ჰო, არ ვიცოდი.

— აბა საიდან გეცოდინებოდათ, ასფალტზე ჯობს საერთოდ არ დააღო პირი.

მერე იწყება სადილი. ჩვენ დიდებული სადილი გვაქვს. მივირთმევთ თუთიყუშისა და ტუკანის ხორცს, ზედ ვისკის ვაყოლებთ. ყველანი მხიარულად ვართ.

სადილის შემდეგ მე კასიყთან ვრჩები. ფერნანდო თარჯიმნობს.

დღე სწრაფად იწურება. ინდიელები დღეს ადრე იძინებენ, ხვალ გარიჟრაჟზე ისინი დაუყვებიან კუჩილია გრანდეს მშვიდობის ბილიკებს, დაუყვებიან და რიო გრანდეს რომელიმე ტოტთან დაიდებენ საზამთრო ბინას.

ჩვენც ვთავსდებით ჰამაკში. ისევ მარჯვენა გვერდზე ვწევები და ისევ ჩარუას ტომის მბჟუტავ კოცონს მივჩერებივარ. წყნარი, მშვიდი ღამეა. უკრავს კრუალების დიდი ორკესტრი და ჩვენს სიმშვიდეს არ არღვევს შავი იაგუარის მრისხანე ბრდღვინვა.

რიჟრაჟზე ფერნანდო მაღვიძებს. ფერნანდო ჰამაკიდან არც კი გადმოსულა, გრძელი ხელი გადმოსწია და ისე მაღვიძებს.

— ხედავ, ჩარუა მიდის.

წამოვვარდი. ჰამაკიდან გადმოვდივარ. სულ დამავიწყდა ფეხსაცმლის დაფერთხვა, ისე ვიცვამ. ბედზე იქ მორიელი არ აღმოჩნდა.

ბექობთან მივრბივარ. ჩარუა ეშვება ტაფობში, ჩარუა მიჰყვება მშვიდობის ბილიკებს. მე ვხედავ ბილიკზე გაწყობილ დაღლილ, დაქანცულ ადამიანებს, ზურგზე ტყავის მძიმე ბოხჩები რომ შემოუდგამთ და ოდნავ მოხრილი მიაბიჯებენ.

ხელს ვუქნევ, ვუყვირივარ.

— ნახვამდის, კეთილო ჩარუა, მშვიდობიან გზასა და კარგ გამოზამთრებას გისურვებთ!

მერე ჩვენც ვჯდებით ცხენებზე.

მივაჭენებთ.

უკან რჩება რიო გრანდეცა და კუჩილია გრანდეც. უკან რჩება ჯუნგლები, ჰილოფისოლენა მინდორი, სადაც ჩარუას ორი საცოდავი ქოხი დგას.

სინიორ კაზი ყვითელ ჰოტელთან გვხვდება. სინიორ კაზი კეთილად გვიცინის და ამბობს, რომ ძალზე უხარია საღ-სალამათს რომ გვხედავს.

ჩვენც ვეუბნებით ორიოდე ქათინაურს. მერე მანქანაში ვჯდებით და მონტევიდეოსაკენ მოვქრივართ.

ფერნანდო ჩქარობს, მეც ვჩქარობ.

ფერნანდო დუმს და არც მე ვარღვევ მყუდროებას

შორს კი მელის ჩემი გემი, ჩემი, ვაჟკაცი მეგობრები — ზღვის შვილები... თქვენსკენ მოვქრი ჩემო ძმებო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ მეგრელიშვილი

# საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალისტური რესპუბლიკების უმჭიდროეს კავშირად ჩამოყალიბება გარდუვალი აუცილებლობა იყო. ისტორიამ ცხადჰყო, რომ იმ დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომლებიც მიზნად დაისახეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალისტური განვითარების გზაზე გამოსულმა ერებმა, შესაძლებელი იყო სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირად ჩამოყალიბებით. მსოფლიო იმპერიალიზმი ცდილობდა სამხედრო ძალით დაემარცხებინა სოციალიზმი. საბჭოთა კავშირის წარმოქმნა ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანი იყო ამ ცდების ჩასაფუშავად. სწორედ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის ჩამოყალიბების საფუძველზე იყო შესაძლებელი განხორციელება იმისა, რაზეც ოცნებობდა კაცობრიობა საუკუნეთა მანძილზე. ეს არის: ადამიანის განთავისუფლება ექსპლუატაციისაგან, მისი კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და რეალური პირობების შექმნა იმისათვის, რომ კაცობრიობამ თავი დააღწიოს ომებს.

საბჭოთა კავშირის არსებობისა და განვითარების ფაქტმა დაადასტურა, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობა, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის საშუალებით არის შესაძლებელი ექსპლოატაციის, სოციალური უთანასწორობისა და სიღატაკის ლიკვიდაცია. საბჭოთა კავშირის არსებობის 50 წელი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სოციალიზმის უმაღლესი მიზანია ხალხის ეკონომიური, მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორია ცხადჰყოფს იმას, რომ მუშათა კლასს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის პირობებში, ინდუსტრიალური წარმოების გარეშე არ შეუძლია მშრომელი მასების სიღატაკიდან გამოყვანა. ჯერ კიდევ მარქსი შენიშნავდა, რომ პროლეტარიატი ვერ შეასრულებს სოციალური უთანასწორობისა და სიღატაკის მოსპობის ამოცანებს მხოლოდ კერძო საკუთრების გაუქმებით, რომ საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი ადამიანის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა. როგორც ფაქტები გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირში, მსოფლიო ისტორიაში პირველად, შეიცვალა წარმოების მიზანი, იგი ჩაყენებულ იქნა ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის სამსახურში და ყველა ღონისძიება განხორციელდა საზოგადოებრივი წარმოების აჩქარებული განვითარებისათვის. სწორად იქნა გაგებული, რომ სოციალიზმი თუ განახორციელებს საზოგადოებრივი წარმოების მოწინავე ტექნიკით აღჭურვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდით შესძლებს მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებდა და ახორციელებს ლენინის სახელმძღვანელო მითითებებს, რომ სოციალიზმის უმაღლესი მიზანია შექმნას პირობები საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის და თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარებისათვის. მაგ-

რამ სოციალიზმი აჩქარებული ტექნიკური პროგრესის გარეშე ამ მიზნის მიღწევას ვერ შესძლებს, რადგან ტექნიკური პროგრესი საფუძველია სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისა. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკისათვის, უპირველესად დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების უპირატესი განვითარება და სრულყოფა. პარტიამ კარგად იცოდა და იცის, რომ წარმოების საშუალებათა განვითარებაზე არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის აჩქარებული ტემპებით განვითარება, პირველ რიგში კი იმ დარგებისა, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს აწარმოებენ.

მსოფლიო ისტორიაში პირველად ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი წარმოება, ბუნების ძალები, ყველა მატერიალურ-კულტურული საშუალება, მეცნიერება და ტექნიკა, ჩადგა ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების სამსახურში. მაშასადამე, საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა პირველად კაცობრიობა ჭეშმარიტი ჰუმანიზმის განხორციელების გზაზე შეაყენა.

ბურჟუაზიამ საკუთარი გამდიდრების სამსახურში ჩააყენა მეცნიერება და ტექნიკა, რათა გაფართოებული წარმოების პროცესში მუშათა კლასის მზარდი ექსპლოატაციის გზით განუსაზღვრელად იზრდებოდეს კაპიტალისტთა უშრომო შემოსავალი. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად ფუნქციად იქცა ის, რომ ემსახუროს კაპიტალისტთა უზომო გამდიდრების ამოცანას და ამავე დროს დაიცვას კაპიტალიზმი მუშათა და მშრომელთა ხელყოფისაგან. თუ თანამედროვე კაპიტალიზმს დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ თანამედროვე იმპერიალიზმის დამცველთ არავითარი საფუძველი არა აქვთ ამტკიცონ თითქოს ექსპლოატაციის გაქრობა დამახასიათებელი იყოს თანამედროვე იმპერიალისტური კაპიტალიზმისათვის, რომ თითქოს იგი იქცა სახალხო წყობად, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფო— საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის ორგანოდ, რომ თითქოს თანამედროვე ბურჟუაზიული იმპერიალისტური სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ის კი არ არის, დაიცვას და განამტკიცოს კაპიტალისტური ექსპლოატატორული ურთიერთობანი, არამედ კაპიტალისტური წარმოება წარმართოს ხალხის საკეთილდღეოდ. იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგებში ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებიც ამტკიცებენ, წავიდა ის დრო, როცა კაპიტალისტური წარმოება ბურჟუაზიის მოგების ინტერესებს ემსახურებოდაო. ახლა თურმე, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის არა ერთი და ორი წარმომადგენელი „ამტკიცებს", მათს მფლობელობაში მყოფ წარმოებას იმპერიალისტური ბურჟუაზიის სიმდიდრეთა კოლოსალური ზრდა და მაქსიმალური მოგების მიღება კი არა აქვს მიზნად, არამედ მომხმარებელთა ინტერესების სამსახური, საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს ზღაპარი თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგებს მასების შეგნების დასაბნელებლად უნდათ. ბურჟუაზიის იდეოლოგების ამოცანაა შეალამაზონ კაპიტალიზმი, გვიჩვენონ ის, როგორც ხალხური წყობა, რათა შემდეგ ასაბუთონ, თუ რაოდენ უაზროა რევოლუციური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ რა აპოლოგეტური თეორიებითაც არ უნდა გამოვიდნენ ბურჟუაზიული ეკონომისტები სამუელსონი, ჰაროდი, გელბრაიტი, და თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტი თეორეტიკოსები, ერთი რამ ცხადია: კაპიტალისტური წარმოება ისევ ბურჟუაზიის აჩქარებული გამდიდრების ინტერესებს ემსახურება. თუ რამე შეიცვალა თანამედროვე კაპიტალიზმში, შეიცვალა ის, რომ საშუალო მოგების ნაცვლად კაპიტალისტებისათვის, იმპერიალისტებისათვის, ახლა იწარმოება მონოპოლიური, მაქსიმალურად დიდი მოგება, და კაპიტალისტური წარმოების განვითარების შედეგად, შეიქმნა შესაძლებლობა აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ფედ. გერმანიის, იტალიის და სხვა ქვეყნების მონოპოლისტებმა მაქსიმალური მოგება ჩაიჯიბონ. ბურჟუაზიული სტატისტიკის მონაცემებიც კი ამტკიცებს, თუ რაოდენ მართალი იყო ლენინი, როდესაც აღნიშნავდა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დამახასიათებელია აჩქარებული ტემპებით, კოლოსალური მასშტაბით გამდიდრება თანამედროვე ბურჟუაზიის ზედაფენებისა, მაშინ როცა მილიონები სიღატაკესა და გაჭირვებაში იმყოფებიან. თანამედროვე კაპიტალიზმის დანაშაული მშრომელთა წინაშე ის არის, რომ თუმცა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოო ძალებს უკვე დიდი ხანია შესწევს უნარი უზრუნველყონ მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა, იგი მაინც მილიარდობით ადამიანებს სიღატაკეში აგდებს.

ბურჟუაზიული წრეებიც კი აღიარებენ, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ მოქმედებს ისეთი ფაქტორები, რომლებსაც შეეძლოს სიღატაკის მოსპობა.

ბურჟუაზიული საზოგადოების შედარებით მემარცხენე წრეებში საფუძვლიანად მიჩნეულია მოსაზრება, რომ კაპიტალისტური წარმოების პროგრესი ამრავლებს სიღატაკეს და რაც უფრო ძლიერია ეკონომიკის ზრდის ტემპი, მით უფრო დიდია რიცხვი „ნაპირს იქით" დარჩენილებისა. არამარქსისტულ მეცნიერულ წრეებშიც კი აღიარებენ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება სიმდიდრესთან

ერთად სიღატაკეს აწარმოებს, ზრდის უბედურ ადამიანთა რიცხვს, რომ კაპიტალიზმში არ მოქმედებს საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც შეუძლიათ ღატაკები ღატაკური მდგომარეობიდან გამოიყვანონ. ისინი მოსახლეობის ღარიბ ნაწილს მეოთხე წოდებას — ან მეოთხე მსოფლიოს უწოდებენ და მიუთითებენ იმაზე, რომ ვინც ერთხელ მოხვდება ამ წრეში, ამ მსოფლიოში იგი მუდამ მასში იტრიალებს, რომ ბავშვი, რომელიც ღარიბის ოჯახში იბადება, ღარიბად დარჩება მთელ თავის სიცოცხლეში.

კაპიტალიზმის პირობებში ღარიბ ახალგაზრდას ხელმოკლეობის საზღვრები არ შეუძლია გადალახოს. მას არ შეუძლია, მშობლების სიღარიბის გამო განათლება მიიღოს, იგი იძულებულია, ადრე დატოვოს სკოლა, რათა თავის შრომით მშობლებს დაეხმაროს. ფიზიკურ შრომაში ჩართულს მას არა აქვს ნორმალური საცხოვრებელი პირობები, არა აქვს მატერიალური შესაძლებლობა აიმაღლოს კულტურული დონე და მისი გარემოც არ არის კულტურული. ბურჟუაზიული აპოლოგეტებიც კი აცხადებენ, ღარიბი ახალგაზრდა რომ თვალსაჩინო მოვლენად იქცეს, და „ცივილიზაციის" მაღალ საფეხურზე ავიდეს, უჩვეულოდ ნიჭიერი და მრავალმხრივი უნარით უნდა იყოს დაჯილდოებული. არამარქსისტული დემოკრატიული ინტელიგენციისათვისაც ნათელია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღარიბი მასებისათვის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია. ცხადია, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ჯგუფები და მოსახლეობის დიდი ნაწილი გრძნობს: თანამედროვე კაპიტალიზმი, რაც უნდა სრულყო, დარჩება ისეთ წყობილებად, რომელიც დაპირისპირებულია მშრომელი მასების ინტერესებთან და, სიმდიდრესთან ერთად, სიღატაკეს აწარმოებს.

მარქსმა, რომელიც 40 წლის მანძილზე უდიდესი კეთილსინდისიერებით იკვლევდა კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებებს, ცხადყო, რომ მუშათა კლასი, კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება არ დარჩეს მუდამ ღარიბი, რადგან, „კაპიტალისტურ საზოგადოებას ის ტენდენცია აქვს, რომ ისინი როგორც თავიანთი საქონლის — სამუშაო ძალის გამყიდველნი, შეზღუდოს ფასის მინიმუმით"[1] ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების იმანენტური, შინაგანი კანონია ციკლური განვითარება და ვიდრე კაპიტალისტური წარმოება ასეთად რჩება, მის განვითარებას არ შეუძლია არ ახასიათებდეს ზიგზაგობრიობა, წარმოების დაცემა, დაცემის შეჩერება და გარკვეულ პერიოდში ერთი წერტილის ირგვლივ რყევა. შემდეგ გამოცოცხლება, გაფართოება და მთელი ამ ისტორიის გარდუვალად სისტემატური განმეორება. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების ციკლურ განვითარებას არ შეიძლება არ ახასიათებდეს მოსახლეობის ისეთი სოციალური ფენების არსებობა, რომლებიც მილიონობით გამორთულნი არიან წარმოების პროცესიდან, უმუშევრები არიან და არსებობისათვის არ გააჩნიათ სისტემატური შემოსავალი. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების განვითარებას არ შეიძლება ნამდვილი უბედურება არ მოჰქონდეს მუშათა კლასისათვის. რაც შეეხება გლეხობას, წვრილ ბურჟუაზიას, მოსახლეობის ამ ფენებსაც არ შეიძლება რაიმე ნათელი პერსპექტივები ჰქონდეთ კაპიტალიზმის პირობებში. კონკურენცია მსხვილ კაპიტალთან მათ მეურნეობებს აჩანაგებს და პროლეტარიატის რიგებში ისვრის, მათს მნიშვნელოვან ნაწილს ულუკმაპუროდ ტოვებს. თანამედროვე კაპიტალიზმში ფერმერთა და წვრილი ბურჟუაზიის დიფერენციაციისა და გაჩანაგების პროცესი გაძლიერებულია აგრეთვე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ანტიფერმერული ეკონომიური პოლიტიკით. თანამედროვე იმპერიალიზმის აპოლოგეტთა თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ დღევანდელ კაპიტალიზმში ექსპლუატაცია არ არის, რომ თითქოს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება ჰქმნის პირობებს მოსახლეობის ყველა ფენის სრული კეთილდღეობისათვის, ბურჟუაზიული მონაჭორია და კაპიტალისტური სინამდვილის ფაქტებთან არაფერი საერთო არა აქვს. ნამდვილად კი მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობისას შეიქმნა პირობები მოსახლეობის ყველა მშრომელი ფენის ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის. ჩვენ შეიძლება ბურჟუაზიის თეორეტიკოსებს დავეთანხმოთ იმაში, რომ მე-19 საუკუნის კაპიტალიზმსა და თანამედროვე კაპიტალიზმს შორის მართლაც არის განსხვავება, მაგრამ არა ისეთი, რაზედაც ბურჟუაზიის იდეოლოგები მიუთითებენ. თანამედროვე კაპიტალიზმი იქცა განსაკუთრებული ხასიათის წარმოების წესად. რაც იმით გამოიხატება, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია ხელს უშლის ისტორიის პროგრესულ განვითარებას, პირველ რიგში საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ თანამედროვე კაპიტალიზმის რეაქციულობა განსაკუთრებული ხასიათისაა იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ის წინ ეღობება დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობებს, სოციალიზმს, რომელიც ისტორიული განვითარების გარდუვალი შედეგია, და ცდილობს

1. მარქსი. კაპიტალი. 2. გვ. 395

მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც სამხედრო ძალით შეაჩეროს მისი განვითარება ან დაამარცხოს ის. თანამედროვე კაპიტალიზმის რეაქციულობა სპეციფიკური, განსაკუთრებული ხასიათისაა, იმიტომ, რომ იგი ომების, სამხედრო ძალის საშუალებით ცდილობს განამტკიცოს კაპიტალიზმი. თანამედროვე კაპიტალიზმის მილიტარისტული ძალები ახალი ომის მომზადების პოლიტიკას განაგრძობენ. ხოლო ცნობილია, რომ თანამედროვე მაღალგანვითარებული საწარმოო ძალების პირობებში, სამხედრო ტექნიკის კატასტროფული ხასიათის გამო, ახალი ომის გაჩაღება უდიდესი უბედურებაა კაცობრიობისათვის. მართალია, იგი კაპიტალიზმის დამარცხებით დამთავრდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს ომი გაანადგურებს კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრებს, მასობრივად აღგვის დედამიწის პირისაგან ქალაქებს, საწარმოო ცენტრებს, კულტურის ძეგლებს და, რა თქმა უნდა, ასეულ მილიონ ადამიანთა სიცოცხლეს შეიწირავს. ამიტომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლა, რასაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს მოწინავე კაცობრიობასთან ერთად, კატეგორიულად აუცილებელია, გონივრული, სახალხო, ჰუმანური პოლიტიკაა. ამავე დროს თანამედროვე კაპიტალიზმის უდიდესი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანტისაზოგადოებრივ, ანტიხალხურ მიმართულებას აძლევს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. მართალია, მონოპოლისტური კაპიტალიზმი ახორციელებს უდიდეს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, მაგრამ ისიც მართალია, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, პირველ რიგში, იგი სამხედრო მიმართულებას აძლევს და ამავე დროს სამოქალაქო წარმოებაში მას ექსპლოატაციის გაძლიერების მიზანს უსახავს და სამოქალაქო ტექნიკას იყენებს მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველსაყოფად, უდიდესი დანაშაული კაპიტალიზმისა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მილიტარიზაციით, წარმოებას საზოგადოებრივ ხასიათს აცლის და აქცევს მას ბუნების გამანადგურებელ და ადამიანთა მასობრივი ჟლეტის საშუალებების მწარმოებლად. თანამედროვე კაპიტალიზმს უდიდესი ტექნიკური შესაძლებლობები მოეპოვება მშრომელთა ექსპლოატაციის ზრდისათვის. შრომის ნაყოფიერების უდიდესი ზრდა, რასაც კაპიტალისტურ წარმოებაში ადგილი აქვს ტექნიკური პროგრესის შედეგად, ნიშნავს მონოპოლურ მოგებათა ზრდას და არავითარ შემთხვევაში მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომი განვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასს უმუშევრობის გადიდებით ემუქრება, ამავე დროს არის შრომის ინტენსიობის დაუბრკოლებელი ზრდის საშუალება, რამაც ხელფასის მატების პირობებშიც კი არ შეიძლება მუშათა კლასის მდგომარეობა არ გააუარესოს, არ გამოიწვიოს მასობრივი ტრავმატიზმი, არ გაახშიროს უბედური შემთხვევები. რა მეცნიერულ საფუძველზეც არ უნდა დააყრდნოს თანამედროვე კაპიტალიზმმა მუშათა ექსპლოატაციის ფორმები, მუშათა კლასი თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში ისეთ კლასად რჩება, რომლისთვისაც გამორიცხულია გონივრული შრომისა და არსებობის ადამიანური პირობები, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების საყოველთაო გამოყენება და მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ეს იმიტომ, რომ თანამედროვე მონოპოლისტური ბურჟუაზიის გამდიდრების უზრუნველყოფა ხდება მოსახლეობის უმრავლესობის გაძლიერებული ექსპლუატაციის, გაჩანაგებისა და გალატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური ძარცვის გზით, ბოლოს — ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაანგრია ექსპლოატატორული ურთიერთობანი და საზოგადოებრივი წარმოება მუშათა კლასისა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის სამსახურში ჩააყენა. რევოლუციის გამარჯვების შედეგად, წარმოების ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებით და მათი საზოგადოების ხელში მოქცევით, საფუძველი ეცლებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას და ამიერიდან აღარ შეუძლია საზოგადოების რომელიმე კლასსა და სოციალურ ჯგუფს მშრომელ ადამიანთა ექსპლოატაციით იცხოვროს. ამ დიადმა ისტორიულმა ფაქტმა, მშრომელ კაცობრიობას, მუშათა კლასს და გლეხობას გზა გაუხსნა თავისუფალი შრომისაკენ. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ წარმოებას, ტექნიკასა და მეცნიერებას, კულტურის ყველა დარგს აღუდგინა საზოგადოებრივი ხასიათი და ჩააყენა ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. ბუნებრივია, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციით ყველა პრივილეგიურ კლასს წაერთვა საშუალება გამოეყენებინა საზოგადოებრივი წარმოება თავისი ვიწრო ეგოისტური მიზნებისათვის. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების გაბატონება სცვლის წარმოების მიზანს. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მოსახლეობის რომელიმე ფენამ კერძო მიზნებისათვის გამოიყენოს წარმოება, მიითვისოს სხვისი შრომა მუქთად, ხოლო თვითონ გამოითიშოს საზოგადოებრივი შრომის პროცესიდან. მაშასადამე, წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საზო-

გადოებრივი საკუთრების ჩამოყალიბება იმის საფუძველია, რომ საზოგადოების წევრთა განკარგულებაში მოექცეს საზოგადოებრივი წარმოება და ჩადგეს საზოგადოების წევრთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ზრდისა და უზრუნველყოფის სამსახურში. სავსებით ყალბია ბურჟუაზიულ ეკონომისტთა მტკიცება, რომ შესაძლებელია კაპიტალისტური წარმოება, დაყრდნობილი მსხვილ კერძო საკუთრებაზე, ემსახურებოდეს ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესებს, მშრომელთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების საქმეს პიროვნების ყოველმხრივ განვითარების უზრუნველყოფის ინტერესებს. მსხვილი კაპიტალისტური კერძო საკუთრება ობიექტურად აუცილებელს ხდის ექსპლოატაციას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეიცვლება საზოგადოებრივი საკუთრებით, შესაძლებელია ადამიანთა განთავისუფლება ექსპლოატაციის ყოველგვარი სახისაგან და წარმოების, ტექნიკისა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ახალი მიზნის წარმოქმნა, მატერიალურ და კულტურულ სიკეთეთა წარმოება ხალხისათვის.

ამრიგად, ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საწარმოო ძალთა განუხრელი განვითარებით შინაგანად დამახასიათებელი თვისებაა სოციალიზმისა და მისი ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია.

მართლაც, რადგან სოციალიზმი საზოგადოებრივ საკუთრებას ეყრდნობა, მას შეუძლია ჩააყენოს საზოგადოებრივი წარმოება და მასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის სამსახურში. სოციალისტური რევოლუცია რაკი წარმოების საშუალებებს საზოგადოების განკარგულებაში მოაქცევს, წარმოების უმაღლეს მიზნად არ შეიძლება სხვა რამე ჰქონდეს, თუ არა სოციალისტური საზოგადოების წევრთა კეთილდღეობისა და მათი თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. ლენინი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია აამოქმედოს საწარმოო ძალები მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ლენინამდე მარქსი და ენგელსი ნათლად მიუთითებდნენ, რომ სოციალიზმი არის ის წყობა, რომელიც ადამიანებს სიღატაკისა და ექსპლოატაციისაგან ათავისუფლებს და უზრუნველყოფს მათი ფიზიკური, ინტელექტუალური ძალების ყოველმხრივ განვითარებას, მათი გონივრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ენგელსი წერდა: „როდესაც თანამედროვე მწარმოებელ ძალებს ბოლოს მათი შეცნობილი ბუნების მიხედვით მოვეპყრობით, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ადგილს დაიჭერს წარმოების საზოგადოებრივად გეგმაშეწონილი მოწესრიგება როგორც მთელი საზოგადოების, ისე, ცალკე პირის მოთხოვნილების მიხედვით, მაშინ კაპიტალისტური მითვისების წესი, რომელშიც პროდუქტი ჯერ მწარმოებელს იმონებს, ხოლო შემდეგ მიმთვისებელსაც, ადგილს დაუთმობს პროდუქტების მითვისების ახალ წესს, რომელიც თვით თანამედროვე წარმოების საშუალებათა ბუნებაზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, პირდაპირ საზოგადოებრივ მითვისებას, როგორც საშუალებას წარმოების შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირდაპირ ინდივიდუალურ მითვისებას, როგორც არსებობისა და სიამოვნების საშუალებებს“.[1]

ფ. ენგელსს თავის „ანტიდიურინგში“ გატარებული აქვს აზრი, რომ თავისთავად წარმოების საშუალება, საზოგადოებრივი მითვისება, სპობს დაბრკოლებებს საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის გზებზე და ისეთ გასაქანს აძლევს მას, რომ მოკლე ხანში შესაძლებელი ხდება წარმოების მხრივ დაკმაყოფილდეს საზოგადოების ყველა წევრის გონივრული მოთხოვნილებანი, პიროვნების თავისუფალი განვითარება, მისი უნარის სრული გამოყენება. მაშასადამე, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავდა, მხოლოდ სოციალისტური წარმოების წესის დამკვიდრებისა და განვითარების შედეგად პიროვნება „პირუტყვული არსებობის პირობებიდან ნამდვილ ადამიანურ პირობებში გადადა“.[2]

საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სოციალიზმის დამკვიდრებამ მოსპო მშრომელთა მოხმარების კაპიტალისტური შეზღუდვანი, მოსპო მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების კანონი, იმ ფაქტორების მოქმედება, რომლებიც მშრომელ მასებს პირუტყვულ მდგომარეობაში აყენებს. მან წარმოქმნა და საზოგადოებრივი განვითარების შინაგან თვისებად გახადა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის განუხრელი აღმავლობის კანონი. სოციალიზმის განვითარებამ მოსპო სიღატაკის წარმოება, რაც კაპიტალიზმის შინაგან კანონზომიერებას, დამახასიათებელ, ორგანულ თვისებას წარმოადგენს მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ცნობილია, რომ ეკონომიკის და კულტურის განვითარება საბჭოთა კავშირს მეტად არახელსაყრელ პირობებში მოუხდა. საბჭოთა კავშირმა მემკვიდრეობად მიიღო პირველი მსოფლიო ომით, იმპერიალისტური ინტერვენციითა და სამოქალაქო ომით განადგურებული ეკონომიკა და წერა-კითხვის უცოდინარი ღატაკი მოსახლეობა. ამავე დროს ფაშიზმთან ომმა, მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირს მიაყენა აურაცხელი მატერიალური ზარალი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა

1. ფრიდრიხ ენგელსი. სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. გვ. 83.

2 ფ. ენგელსი. დასახ, შრომა, 88.

კავშირი უდიდეს ინდუსტრიალურ სახელმწიფოდ იქცა. რა რიგ კოლოსალურად, ვიდრე დღეს არის, წინწაწეული იქნებოდა ეკონომიკა და კულტურა თუ არა ფაშისტ იმპერიალისტების მიერ თავს მოხვეული ომი. საბჭოთა კავშირს უკვე შეეძლებოდა მატერიალურ და კულტურულ სიკეთეთა უხვი წარმოება და მნიშვნელოვან წილად მოთხოვნილების მიხედვით მათი განაწილება.

იმპერიალიზმი დღესაც გვაიძულებს, დიდი სამხედრო ხარჯები გავწიოთ. მაგრამ დღევანდელი ჩვენი განვითარებადი ეკონომიკის გრანდიოზულ საწარმოო აპარატსა და გიგანტურ კომპლექსებს, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებასთან ერთად, შეგვიძლია ამოცანად დაუსახოთ — მნიშვნელოვანი ამაღლება ხალხის მატერიალურ-კულტურული დონისა. უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური წარმოების განვითარებამ წინა ხუთწლედში მოამზადა პირობები, რათა მე-9 ხუთწლედში უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე."[1] მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია და არა მარტო მე-9 ხუთწლედში, არამედ საზოგადოდ იგი რჩება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების მთავარ ორიენტაციად, როგორც ამაზე მიუთითებდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ 24 ყრილობაზე.

მეცხრე ხუთწლედის გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარების შედეგად უნდა მოჰყვეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აჩქარებული ზრდა, მშრომელთა სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების ცხოვრების დონის გათანაბრება, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შრომელთა ცხოვრების დონეთა დაახლოება. ელფასის მნიშვნელოვანი ზრდის, საპენსიო ფონდის გადიდებით, ფასების შემცირების, უფასო ბინებით უზრუნველყოფისა და მეტად მცირე საბინაო ქირის, დაბალი გადასახადებისა, იაფი ტრანსპორტის, უფასო სწავლებისა, უფასო საექიმო მომსახურეობისა და სხვ. პირობებში მართლაც, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის სერიოზული ამაღლება ფაქტი იქნება მეცხრე ხუთწლედში.

საბჭოთა კავშირის 50 წლის არსებობამ ცხადჰყო, რომ სოციალიზმი, მისი საზოგადოებრივი წყობაა, რომელიც იწვევს მშრომელი მასების კულტურულ აღმავლობას, ფართოდ უხსნის გზას მას განათლებისა და მეცნიერებისაკენ. საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია დაწინაურდა და წინ გაუსწრო კაპიტალისტურ ქვეყნებს თავისი მოსახლეობის განათლებისა, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დონით. ჩამორჩენილ ყოფილ რუსეთის იმპერიაში მან ააყვავა განათლება და მეცნიერება, ხელოვნება და კულტურა, დაიკავა ამ მხრივ პირველი ადგილი მსოფლიოში. ყველაფერი ეს იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ საბჭოთა სახელმწიფოში მთავარია ადამიანი, სოციალიზმის უმაღლესი მიზანია ადამიანის სიკეთე, მისი ყოველმხრივი განვითარება.

მიმდინარე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კულტურული კეთილდღეობის აჩქარებული ზრდის ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, რომელიც საშუალებას მისცემს საბჭოთა კავშირის თითოეულ მოქალაქეს აირჩიოს პროფესია თავისი მოწოდების მიხედვით. ამავე დროს მიმდინარე ხუთწლედში მაღალ განვითარებას მიიღებს პროფესიულ-ტექნიკური განათლება. დიდათ გაფართოვდება თეატრების, კინოთეატრების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების ქსელი, დიდად გაიზრდება საგამომცემლო საქმე, წიგნების გამოშვება, გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟები, გაუმჯობესდება რადიოგადაცემათა და ტელეგადაცემათა ხარისხი, შეიქმნება პირობები მოსახლეობის დიდი მასების სპორტით, ტურიზმით სარგებლობისა, დიდად განვითარდება გზები და კავშირგაბმულობა. მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობისათვის ხანგრძლივი მოხმარების საგნების მიწოდება, როგორიცაა ავტომანქანები, ტელევიზორები, რადიომიმღები, მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის 50 წლის ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მხოლოდ სოციალიზმს გააჩნია უნარი წინ წასწიოს და ააყვავოს ქვეყნის ეკონომიკა და ჩააყენოს საზოგადოებრივი წარმოება მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის სამსახურში: კაპიტალისტური და განვითარებული ქვეყნების მშრომელებს იგი ნათლად უჩვენებს, რომ სილატაკიდან, მატერიალურ-კულტურული სიდუხჭირიდან ხსნისა და ექსპლოატაციიდან თავის დაღწევის გზა საზოგადოებრივი წარმოების სოციალისტური ორგანიზაციაა, კაპიტალიზმის დანგრევა და სოციალიზმის მშენებლობაა.

1. სკკპ 24-ე ყრილობის მასალები გვ. 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

# კეთილმან სძლია

ლადო მრელაშვილის „ყაბახმა“ ქართული სოფლის მწვავე ამბებით, პიროვნების მორალური პასუხისმგებლობის პრობლემით, მოქალაქეობრივ-ლიტერატურული გამბედაობითა და ეროვნული გულმტკივნეულობით დამაინტერესა. აღნიშნული პრობლემა ბევრ თანამედროვე მწერალს აღელვებს, მაგრამ, მრავლისაგან განსხვავებით, ამ რომანში იგი წარმოსახულია მრავალფეროვანი საჭირბოროტო საკითხების ერთობლიობაში, ჩვენი სინამდვილის რთულ მრავალფეროვნებაში, ცხოვრების მდუღარე ორომტრიალში, სისხლხორცით სავსე ყოველდღიურობის დაუსრულებელ კავშირ-ურთიერთობებში. ავტორისათვის უცხოა ლიტერატურული რევერანსები და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პოზა. ლიტერატურული პროდუქციის ქვიშის ზვინებში ხელოვნება მისხლობით არის საძიებელი. ამიტომ, აქტუალური ნაწარმოებების შეფასებისას, ამ საზომით ვერ დავკმაყოფილდებით. რაც იბეჭდება, ყველაფრის წაკითხვა ფიზიკურად შეუძლებელია, და როცა ქაშნიკს ვსინჯავ, მე, ჩვეულებრივი მკითხველი, ვცდილობ წინასწარ გამოვიცნო: ახალია თუ არა, საინტერესო და სასარგებლოა თუ არა თხზულების საგანი, ნდობის ღირსია თუ არა ავტორი ამ სფეროში; იგრძნობა თუ არა უეჭველად თქმის ენერგია. აღარაფერს ვამბობ წერის კულტურის სავალდებულო დონეზე. მეზიზღება გაპრანჭული სტილი, პრეტენციოზული მანერა, ყოველგვარი პოზიორობა და „მწერლად გახდომის სურვილით“ დაწერილი ყველა ნაწარმოები. რა წამაკითხებს ისეთ წიგნს, რომლის ავტორსაც არაფერი აღელვებს, არაფერი აწუხებს, არაფერი უხარია, არაფერი სტკივა. გრაფომანად ვთვლი ყველას, ვისაც გულისგამგლეჯი მოთხოვნილება წერისა არ უგრძვნია და მაინც რაღაც, თუნდაც, ერთი-ორი მოთხრობა შეუკოწიწებია. სამაგიეროდ, შემიძლია ბევრი ნაკლი ვაპატიო (ან სრულებით ვერ შევამჩნიო) ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სულისშემძვრელი მღელვარებით არის დაწერილი, ავტორს არ შეეძლო გაჩუმებულიყო, ვალდებული იყო დაეწერა. მომხიბვლელია ციცერონის ძველისძველი სიბრძნე:

უსაქმურობას ვერ ვიწამებ პოეტის საქმედ,
თავისი დროის მოქალაქედ მსურს ვხედავდე
მას —
ადამიანთა ყველა მანკის სასტიკ მსაჯულად.

ჩვენს საზოგადოებას მღელვარედ აინტერესებს ქართული სოფლის აწმყო და მომავალი; თვით ფაქტი. რომ „ყაბახი“ დღევანდელი სოფლის ვრცელი ტილოა, თავისთავად საყურადღებოა. მაგრამ მხატვრული ქმნილების ავკარგზე მსჯელობისას, თემატიკური ცხოველმყოფლობა მაინც გარეგნულ ნიშანთვისებათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო ლ. მრელაშვილის რომანი ისეთი თხზულებაა, რომელიც დღევანდელ თუ მომავალ მკითხველს ნათლად წარმოუსახავს, რა სიხარული, ტკივილი და საზრუნავი ჰქონდა 50-60-იან წლების ქართულ საკოლმეურნეო სოფელს, ქართველ გლეხკაცს, რაც, უწინარეს ყოვლისა, სინამდვილის საფუძვლიანი ცოდნის ნაყოფია. საზოგადოებრივ-ეკონომიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ყოფითი აქსესუარების სისწორითა და მრავალფეროვნებით მწერალი აღწევს სიტუაციების, ეპიზოდების, დეტალების დამაჯერებლობას, მოიპოვებს მკითხველის ნდობას, ქმნის გათანაზიარების ატმოსფეროს. მხატვრულად დამაჯერებელია შესაბამისი კონფლიქტები, დიალოგები, პოლემიკა. მხატვრულ ქსოვილში გამოყენებული „ოფიციალური“ დოკუმენტები, ამონაწერები თუ სხვა „ფაქტიური მასალაც“ დამაჯერებლობას მატებს ამბებს. რათა გვიჩვენოს, როგორ ანიავებენ ინტრიგა-

ნები საკოლმეურნეო ქონებას, ავტორს შთამბეჭდავი ამონაწერები მოჰყავს „აქტებიდან“. „მექათმეობის ფერმაში ოცდარვა ვარია დახოციათ ფილტვების ანთებით, ჩამოგვაწერეთო“; „ეს აქტიც მექათმეობის ფერმისაა. ხუთმეტი ვარია მომკვდარა საკვერცხეების ჩირქოვანი ანთებით“. აქ შეიძლება ეს გროტესკულად გვეჩვენოს, მაგრამ მთლიანობაში ასეთი „დოკუმენტური ნაკადი“ მკითხველს დამატებით არწმუნებს, რა მდგომარეობაა ჭალისპირის კოლმეურნეობაში. ვეტექიმი აქ მხოლოდ იმიტომ არის, რომ ასეთ აქტებს მოაწეროს ხელი.

ლიტერატორებს, რომელთაც არ სურთ ირწმუნონ, რომ ცხოვრების უცოდინრობას ვერავითარი ნიჭი და შრომა ვერ აანაზღაურებს, რომ გამონაგონს, ფანტაზიის ნაყოფს, უსათუოდ, რეალობაში უნდა ედგას ფესვი, ამგვარი „დოკუმენტურობა“ ემპირიზმსა და ნატურალიზმში ერევათ, ავიწყდებათ, რომ ის ერთ-ერთი ეფექტური მხატვრული ხერხია.

ძალიან საგულისხმოა თანამედროვე ფრანგი რეალისტის ერვე ბაზენის გულახდილი საუბარი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის საიდუმლოებებზე. ფრიად ორგანიზებული მწერალი ვარო — ღიმილით ამბობს ის — „სანამ წარმოსახვის სამყაროში შევიჭრებოდე, ვცდილობ ფაქტების ნიადაგზე მტკიცედ მოვიკიდო ფეხი. თვით წერის პროცესი, ცხადია, მუდამ იყო და იქნება „შემთხვევითი ხასიათისა“ (ქვეშეცნეული. ა. კ.), მაგრამ, სხვა მხრივ კი, არაფერს ვიშურებ, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა თავიდან ავიცილო... მე ვადგენ ჩემი ნაწარმოებების ათასნაირ გეგმებს. გარდა საბეჭდი მანქანებისა, შინ მაქვს მაგნიტოფონი (ზოგიერთი პასაჟის დასაჭაშნიკებლად, მაგალითად, იმის შესამოწმებლად — ბუნებრივად ჟღერს თუ არა დიალოგები), მაქვს მაგნიტოფონზე ჩანაწერი ათასგვარი რამე-რუმე, დოქტოფონი, კინოკამერა, რომლითაც ვიღებ იმ ადგილებს, სადაც რომანის მოქმედება მიმდინარეობს. მოქმედების ადგილზე რამდენჯერმე მივდივარ და გულდასმით ვათვალიერებ... ცალკეულ სცენებს რომ მეტი დამაჯერებლობა მივანიჭო, წინასწარ ვადგენ საvarჯიშო (გამოგონილი) რეპორტაჟების მთელ სერიებს, თუმცა. ხშირად არც კი ვიცი, სად და რისთვის გამომადგება ისინი; ისევე, როგორც კინორეჟისორი იღებს ეპიზოდებს, რომლებიც. შეიძლება, ფილმის მონტაჟისას მთლიანად ამოჭრას. პარალელურად ვადგენ დოსიეს, რომელსაც მასალის შემომატების კვალობაზე ახალ-ახალ ცნობებს ვურთავ. აქ შედის გეოგრაფიული რუკები, ადგილობრივი გაზეთები, ადმინისტრაციულ ორგანოთა ანგარიშები, ინტერვიუები. უკანასკნელ რომანს რომ ვამზადებდი, რამდენჯერმე საგანგებოდ მოვიარე ინგლისი და ბევრჯერ გადავსერე სამხრეთ ატლანტიკა გემითა თუ თვითმფრინავით... ყველაფერ ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ ჩემს მკითხველს პირწმინდა გამოგონილიც კი სრულ ჭეშმარიტებად, ნამდვილ ამბად მოეჩვენოს. ამასთან, მე თვითონაც უნდა მჯეროდეს, რასაც ვწერ, და დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ არ ვცდები“.

თვით „ოთახის ყვავილი“ მარსელ პრუსტიც კი, ნატურიდან საჭირო დეტალის გადმოსაღებად, რომელიმე ნაცნობი მცენარის აღსაწერად ბუნებაში მიდიოდა, რადგან ყველა შემომქმედს მოეხსენება, რა ტრაგედიაა, მწერალს რომ შეცდომას შეამჩნევენ. რა საცოდაობაა, თუ ნაწარმოებში ახალს ვერაფერს იპოვნიან, რა მკრეხელობაა, როცა ავტორი მარტო საკუთარ „მედან“ გამოწრეტილ სიბრძნეს სთავაზობს მკითხველს.

„ყაბახში“ ომისშემდგომი ქართული სინამდვილეა განსახიერებული, რეტროსპექტულად, ომის სინამდვილეც, ხოლო დიდი სამამულო ომის შედეგები გავლენას ახდენს აწმყოსა და მომავალზე, რომანის პერსონაჟებსა და მოვლენებზე. რომანის მთავარი გმირები: რევაზი, შავლეგო, ძია სანდრო ომგადახდილნი არიან. ომში დაუკარგავს მამა რუსუდანს. ომის შედეგები უძევს საფუძვლად ბევრ მოვლენას და თითქმის ყველა პერსონაჟის ხასიათს, მსოფლგანცდასა და ფსიქოლოგიასაც. ომის ქარიშხალს შორეულ კახეთში გადმოუსროლია უკრაინელი ბიჭი მაქსიმე. რომელსაც მშობლიური სითბო უპოვნია რუსუდანის ოჯახში. ომის მსხვერპლად მარტო ისინი კი არ მოჩანან, ვინც ფრონტზე დაიღუპა, არამედ ბევრი მათგანის ცოლ-შვილიც. საქმე მარტო ის არ არის, რომ ომს უდიდესი მატერიალური ნგრევა და შეფერხება მოჰყოლია, ნაკლებ არც მორალურ-ფსიქოლოგიური ბალასტია შესამჩნევი. ყურადღებას მარტო ომში გამოწრთობილი, პრინციპული, შრომისმოყვარე, საზოგადოებისთვის თავდადებული ადამიანები — რევაზი, შავლეგო. სანდრო და მისთანანი კი არ იქცევენ, არამედ ისეთებიც, როგორიცაა ინტრიგანი, კარიერისტი, ეგოისტი თედო — კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც „სამამულო ომში იმიტომ არ წასულა, რომ სწორედ ომის დაწყების დღეს ჟანგიანი ლურსმანი შეერჭო ფეხში და სანამ ომი არ დამთავრდა, ვერ გამოულეს“. სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტს ქმნის ამ განსხვავებულ ადამიანთა ზნეობრივ-პოლიტიკური კონტრასტი. ბრძოლის ქარცეცხლში გაკაჟებულან და განსპეტაკებულან კომუნისტები — რევაზი, შავლეგო, სანდრო, თეიმურაზი, — გაღორებულან საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეული, ღორმუცლობასა და ავხორცობას გადაყოლილი თედო, ნიკო, ვარდენი და მისთანანი.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების მორალურ თვისებებს; საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტური პრინციპების დამკვიდრება ადამიანის სულ უფრო და უფრო მეტ ზნეობრივ სისპეტაკეს მოითხოვს. ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე პატიოსანი თვალსაზრისი ჩვენი დროის გარდუვალი მოთხოვნილებაა, ხოლო წმინდა სინდისი — განუზომელი საუნჯე და ძალა, ჭეშმარიტი ბედნიერების აუცილებელი პირობა.

„ყაბახში" მორალურ მანკიერებათა უმთავრეს მიზეზად წარმოსახულია ეგოიზმი, — „საპირადოსაკენ მიდრეკილება", — კლასობრივი საზოგადოების ეს ყველაზე მყარი და საშიში გადმონაშთი. მთელი რომანის მანძილზე გარკვევით ჩანს, რა დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და მთავრობა კოლმეურნეობების, სოფლის მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ჭალისპირისა და მისი მეზობელი კოლმეურნეობების საქმე მაინც საგანგაშოა. რადგან სახსრებს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საწყობის გამგე, ბუღალტერი და კიდევ რამდენიმე სხვა კომბინატორი, თაღლითი, ქურდი სპეკულანტი, მექრთამე, ითვისებენ, ანიავებენ. თვით რაიკომის პირველი მდივანიც კი გაოცებულია: „რით დაიმსახურეს ამ გაბღენძილმა კომბინატორებმა, პატენტიანმა სპეკულანტებმა, ყასბებმა და გამყიდველებმა, მეხაშეებმა, მეპურეებმა, მენავთეებმა ეს საკუთარი მანქანები, რა აქვთ ხელფასი, რით ცხოვრობენ როგორ არჩენენ ცოლშვილს, რით ყიდულობენ მანქანებს, რით ინახავენ?" ჭალისპირის სასადილოს გამგეს, გაქნილ კომბინატორს კუპრაჭას, — თავმჯდომარის ნათლულს — სპეკულანტსა და რეციდივისტს ვახტანგს სამ-სამი სახლი და აგარაკი აუშენებიათ; კუპრაჭას თავისი მერვეკლასელი შვილისთვის „მოსკვიჩი" უყიდნია — „ბალღი გაერთობაო". ეს გონებრივი ინფუზორია, რომელიც „ხუთი წელი ერთი კლასში იჯდა", თაღლითობისა და წამგლეჯობის გასაოცარ უნარს იჩენს; ყველა სოფელში ღორი და ძროხა ჰყავს მიბარებული, ნახირში საკუთარ მოზვერ-დეკეულებს უზრდიან, ფულს ვახშით ასესხებს და თავისი სამიკიტნოსათვის კოლმეურნეებს მუქთად სტაცებს სურსათ-სანოვაგეს, ღვინოს, რომელსაც ათმაგად ჰყიდის. მისი ღმერთი ფულია, მისი საქმიანობა — ფულის შოვნაა და ეს უვიცი, თითქმის იდიოტი, ამ საქმეში არაჩვეულებრივ წარმატებას აღწევს.

ავტორს კარგად აქვს გამჟღავნებული, რომ კუპრაჭას და ვახტანგის მსგავსი მუქთახორები მხოლოდ თავიანთ გარშემო არსებული არევდარევით სარგებლობენ, ზოგიერთი ხელმძღვანელის ლოცვა-კურთხევითა და მხარდაჭერით (და მონაწილეობით) ახერხებენ ხალხის ხარჯზე გამდიდრებას. რატომ [illegible] უნდა ეშინოდეთ მათ, [illegible] სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ნასყიდას — ლოთს, უქნარას, გადაგვარებულს — მოხუცი კოლმეურნისთვის დეკეული წაურთმევია, „მოსკვიჩი" მიუთვისებია, ორი სახლი და მამული გაუშენებია, კოლმეურნეებს ბეგარით თავის ეზოში ამუშავებს, სამაგიეროდ, ვითომ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს უმცირებს, კუპრაჭას ხარჯზე ქეიფობს, ხელოსნებისგან ქრთამს იღებს და მათ უკანონო საქმიანობის ნებას აძლევს. სოფელში წყლის გასაყვანად გამოგზავნილი ორი კილომეტრი სიგრძის მილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ბალიაშვილისათვის უჩუქებია. კლუბის საჭიროებისათვის დახერხილი ხე-ტყე და მუხის კოჭებიც მისთვის უბოძებია, კრამიტი თვითონ მიუთვისებია და ა. შ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ენერგიულად მფარველობს კუპრაჭასა და ვახტანგს, კიდეც არიგებს მათ, როგორ უნდა წაგლიჯონ ხალხს ფული; სოფელში მას ნამდვილი სასახლე გაუმართავს, ხელოსნებს (ეფრემსა და სხვებს) შრომისაგან ათავისუფლებს, ქრთამით ნებას აძლევს კერძოდ რეწონ და ივაჭრონ; თავისი მანქანის საბურავებს კოლმეურნეობის ფულით ყიდულობს და ყალბ საბუთებს აფორმებს, ვითომ თათრებისაგან ჩალა ეყიდოთ ფარეხების გადასახურავად.

კუპრაჭასთანებს ასეთ ვაიხელმძღვანელებთან დამოკიდებულების საგანგებო ცნებებიც შეუქმნიათ: ენაში ახალი ნიუანსები გაჩენილა: „მიშვებს" და „არ მიშვებს". „ძმასავით შეზრდილი მდივანი, რომელიც მიშვებდა, რაიკომიდან მოხსნეს... ქრთამების აღებაზე", ახალმა „არ გამიშვა", და იმ რაიონიდან აქეთ იმიტომ გადმოვბარგდით. გაზეთის რედაქტორი ავი კაცია, „არ მიშვებსო". დიახ, კუპრაჭები იქ იდგამენ ფესვებს სადაც მათ „უშვებენ" ე. ი. მძარცველობისა და თაღლითობის ნებას აძლევენ. ასეთ „პასუხისმგებელ მუშაკებს", რომლებთან შესვლა მშრომელ, პატიოსან კოლმეურნეებს არ შეუძლიათ, კუპრაჭა ძმაბიჭურად ელაბუცება და ჭკუასაც ასწავლის. რაიკომის პირველი მდივანი ლუარსაბი ნიკოსა და ნასყიდას არაფერი ჩამოუვარდება, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თავისი ჭკუით, უფრო რაფინირებულად — სინამდვილეში ათასჯერ ამაზრზენად სჩადის ყოველგვარ უსამართლობას. კუპრაჭამ გაიგო, რომ მესამე მდივანი — თეიმურაზი მეცხვარეებთან მიდიოდა; ქრთამად და „გულის მოსაგებად" ტიკით ღვინო გაუგზავნა მას. თეიმურაზმა საფასური აუნაზღაურა. ეს

არ მოეწონა პირველ მდივანს. საყვედურსაც ეუბნება თეიმურაზს და თავის „ზნეობრივ“ თვალსაზრისს ასე აყალიბებს: „ტყუილად გარჯილხარ... ის ღვინო სხვისი ნაოფლარია. რა ძალა გადგა, ფულს რომ უხდი? დაე, ქარის მოტანილი ქარმა წაიღოს!“ ასეთი ხელმძღვანელი თავს იმტვრევს იმაზე ფიქრით, თუ რა გზით გამდიდრდა მის რაიონში ერთი წლის წინ ჩამოსული რევიზორ-ბუღალტერი. კუპრაჭამ მდივანზე უფრო კარგად იცის, რა ხდება მის რაიონში, ვინ მიდის, ვინ მოდის, ვინ „უშვებს“, ვინ „არ უშვებს“, ვის რა ძალა და მარიფათი აქვს. რაიონში ჩამოსული რევიზორები, კორესპონდენტები და „მეცნიერები“ რაიონის ცხოვრებასა და ადამიანებს კუპრაჭას თვალით ეცნობიან და აფასებენ („როგორც ჩამოჰკრავ ჩანგურსა, მეც ისე დაგიროკდები“). კუპრაჭა „საქმეში გადის“. შესამოწმებლად ჩამოსულ პირებს ის არჩევს, მას დაჰყავს საკუთარი მანქანით სოფლებში, მის მეფურ სახლში სძინავთ. ერთი სიტყვით, რაიკომის მიერ კუპრაჭას „რევიზორების“, ჩამოსული კომისიების „პატივისცემა“ აქვს დაკისრებული. რაღა გასაკვირია, იქ, სადაც კუპრაჭას „უშვებენ“, უკანონობას კანონიერების ტახტი მიუთვისებია, ხოლო კანონიერება და სინდის-ნამუსი ინტრიგანობად გამოუცხადებიათ; ძალმომრეობა, პროტექცია, „საქმის ჩაწყობა“ უდიდეს ღირსებად ულიარებიათ და „გულწრფელადაც“ ურწმუნებიათ. თედოს აზროვნების „ბუნებრივი“ წყობა ასეთია: „ჩემ ბიჭს სწავლა უნდოდა უმაღლესში, ყველაფერი მზად მქონდა. ხალხი ნანახი მყავდა, დირექტორმა იცოდა“.

გადაგვარებული ადამიანები „სინდისის ქენჯნას არ განიცდიან“; მათ ყოფაქცევის, „ზნეობისა“ და აზროვნების საკუთარი კოდექსი გამოუმუშავებიათ. კუპრაჭამ იცის ვინ მოატყუოს და ვინ აქეიფოს; კიდეც ფილოსოფოსობს: „ზოგი მონადირედ იბადება და ზოგი ნადირად!“ კუპრაჭას „პურმარილიანს“, „ვაჟკაცს“, „კაიმამულიშვილს“, „პატიოსან კაცს“ ეძახიან. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, კუპრაჭები მატერიალურად, თავიანთი წამგლეჯაობით ისეთ ზიანს ვერ მოგვაყენებენ, როგორსაც ამ უკულმართი „ზნეობის“ დამკვიდრებით.

„ყაბახში“ ისიც ჩანს, რომ „ქვემძრომი და მომხვეჭი ხალხი გულდედალია“ და, როგორც კი სიმართლე ხმასა და მახვილს აიმაღლებს, ისინი ფერხთა მტვრად იქცევიან.

ჭალისპირის კოლმეურნეობას, რაიონს კარიერიზმის ჭია და ინტრიგანობა ღრღნის; ხელმძღვანელები ერთმანეთს ჭამენ. თავმჯდომარე ნიკო ბალიაშვილი, ხალხის თქმით, „მიმპარავ ძაღლზე უარესია“, „ჩაწყობით კაცის დალუპვის“ ვამიაცდილი ოსტატია. ამ მხრივ, არც მას ადგია კაი დღე, მასაც თავისი წურბელა ჰყავს — ნათავმჯდომარალი თედო ნარიმანიშვილი, რომელიც შეთქმულებას უწყობს. არ იფიქროთ, რომ თედო კაი კაცი იყოს და იმიტომ ებრძოდეს ნიკოს. არა! ის უფრო გათახსირებულია, ნიკოს სავარძლის დაპატრონების სურვილი ამოძრავებს და ამის გამო მთელი სოფელი წაუკიდებია ერთმანეთისთვის, ყველგან და ყველაფერში წქალს ამღვრევს. ნიკოსთან ერთად, რევაზსა და შავლეგოსაც საქმეს უფუჭებს, ათასგვარ ცილს სწამებს, რათა ყველა შესაძლო კონკურენტი ერთმანეთს შეამსხვრიოს და გზიდან ჩამოიშოროს. თავის გაფუჭებულ საქმეს მათ აბრალებს და გვიან ღამით რაიკომში პირველი გარბის მდივნისათვის მოსახსენებლად. თავის დამქაშებს ამხნევებს: „წელს კი უეჭველად ჩამოვხსნი ეპოლეტებს ნიკალაის“. ეუბნებიან: არაფერი გამოგივა... მაგას რაიონში იგრე აქვს დაყენებული საქმე, რაიკომის მდივანი მხარს არ დაგვიჭერსო; თედოს ეცინება: „რაიკომში ეს მოსაგლეჯი კბილივით ფამფალებს“. დამქაშებს ჰპირდება, რომ, როცა თავმჯდომარე გახდება, კიდევ უფრო მეტი უკანონობის ნებას მისცემს მათ („ქურის დასაწველ შეშასაც კოლექტივის ხარკამეჩით გაგატანინებ“ და ა. შ.). მისი მთავარი დამქაში მარკოზა საბჭოს თავმჯდომარეობას უმიზნებს. ერთი სიტყვით, ჭალისპირში არსებობს ორისამი „სამარქაფო ხელისუფლება“ და მათ შორის დაუნდობელი, ფარული და აშკარა ბრძოლა მიმდინარეობს, წარმოუდგენლად ვერაგული საშუალებებით: თვითეული მათგანი ემზადება ხელისუფლების გადმოსაბარებლად. „მოუკლავი დათვის ტყავს იყოფენ“. მარკოზა საჯაროდ ამხელს ნასყიდას (ახლანდელ თავმჯდომარეს), აკურაშიც აქვს კარმიდამოო, გულში კი იმაზე ოცნებობს, როცა თავმჯდომარე გავხდები, მეც რამდენიმე მამული მექნებაო. თედოც თავის მომხრეებს ასეთი დაპირებით ხიბლავს: „ჩემი თავმჯდომარეობის დროს გუგულებივით შეგინახავთო“. ერთი სიტყვით, ყველაფერი „პატივისცემაზეა“.

ბუნებრივია, კარიერისტ-ინტრიგანებსაც თავიანთი ჭუჭყიანი გულის შესაფერი „ფილოსოფია“ შეუქმნიათ: „ან უნდა არწივი იყო, მაღლა კლდეზე რომ აფრინდე, და ან გველი, რომ ახოხდე!“

ამ ასპექტში ყველაზე საზარელი მაინც ის არის რომ ერთმანეთის მტრობა-ქიშპობით, კარიერისტები დიდ ზიანს აყენებენ კოლმეურნეობას, ხალხს, სახელმწიფოს, ანიავებენ ქონებას, ზოგჯერ კიდეც წვავენ, არღვევენ აგროწესებს და ა. შ., რათა დანაშაული მოწინააღმდეგეს გადააბრალონ და „საქმე გაუფუჭონ“. ნიკო თავმჯდომარეა, მაგრამ თავისივე კოლმეურნეობის იმ ბრიგადების ჩამორჩენაზე, საქმის წახდენაზე ოცნებობს, რომელთა ხელმძ-

ღვაწლეები თავის მეტოქეებად მიაჩნია. ახალ წამოჩიტულ ბიჭებშიც ნიკო უკვე თავის მომავალ მტრებს, მომავალ კონკურენტებს ხედავს. ინტრიგამ, კარიერისტთა ბინძურმა მაქინაციებმა შეიწირა მოწინავე კოლმეურნეები, სამამულო ომის გმირები — რევაზი, რომელიც საძაგელი ცილისწამებით ჯერ პარტიიდან გარიცხეს (ქურდობა, სპეკულანტობა დასწამეს) და ბოლოს დაღუპვამდე მიიყვანეს; შავლეგო ხულიგნად, სოფლის მტრად გამოაცხადეს და დაპატიმრებისას ოჯახი დაურბიეს. ეზიზღებათ ამ გარეწრებს პატიოსანი, სუფთა ადამიანები. რაიკომის მდივანი სიამოვნებით უსმენს ინტრიგან-კარიერისტებს და პირადი ანგარიშის მაზანდაზე, ხან ერთს უჭერს მხარს, ხან მეორეს. კარიერისტული ვერაგობის მაგალითსაც პირადად იძლევა. მესამე მდივანი თეიმურაზი, რომელიც კომუნისტური პრინციპებით უდგება ყველა საკითხს, ვითომ, „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“, პარტიულ სკოლაში გააგზავნინა, ხოლო როცა მაინც მის რაიონში დაბრუნეს, მოსვენებას არ აძლევს, რათა, როგორმე კვლავ მოიშოროს თავიდან. მილიციის უფროსის მოადგილე, პატიოსანი მუშაკი მოხსნა და მხარი დაუჭირა გაიძვერა კარიერისტ ლალანაშვილს, რადგან „დიდმა კაცმა“ გამოუგზავნა რაიონში.

ზნეობრივ საფუძვლებს არყევს, ხალხს აღიზიანებს, ურთიერთობებს ამწვავებს აღვირახსნილი ლოთობა და გარყვნილება. ზიზღის მომგვრელია ეს პომპეზური ქორწილები, იუბილეები, დაბადების დღეები, ძმაბიჭური „პურმარილები“, „პატრიოტული“, „ვაჟკაცური“ სადღეგრძელოები, ღვინით გალეშილთა „მეგობრობის“ ფიცი, უსაქმური ამფსონების (სერგო, ლეო, ვარლამი, ვალერიანი, შალიკო და მისთ.) პირუტყვული საქციელი. რა ზიანს არ აყენებენ ისინი სოფელს — იქნება ეს ბრაკონიერობა (მდინარის მოწამვლა), ჩხუბი, დაჭრა თუ მკვლელობა. სოფლის სასადილოები ლოთების ბუდედ გადაქცეულა, სადაც პატიოსან ადამიანს არ შეესვლება, რადგან აფერისტების საპატივცემლოდ ჭაში ჩაციებულ ღვინოს ინახავენ, პატიოსან მშრომელებს კი ნაყალბევით უმასპინძლდებიან. ღვინო თუ შემოაკლდათ, რას არ იკადრებენ ეს ლოთები. რა ეშველებათ კუპრაშებსა და ვახტანგებს, ეს ლორმუცლები რომ არ არსებობდნენ? აკი თვითონვე ამბობს რედაქტორზე, რომელიც „არ უშვებს“; „რა უნდა გააწყო ისეთ კაცთან, რომელიც ღვინოს არ სვამს?“ ამიტომაც არ ენანება ღვინო სოფლსაბჭოს ლოთი თავმჯდომარისთვის.

დანაშაული, ბოროტება, სულდამრეტილობა გარყვნილების წუმპეში ერეკება მათ. „საყვარელი“, გაუპატიურება, ცოლის წართმევა, ფეოდალური ფუფუნების მოტრფიალეთა ოცნებად ქცეულა. ნიკომ ჯერ შეაცდინა, საყვარლად გაიხადა მართა (რომელიც შვილად შეეფერება), მერმე გაათხოვა, ქმარი ფრონტზე გააგზავნინა და თვითონ სამუდამოდ საყვარლის უფლება დაიმკვიდრა. რაიკომის ინსტრუქტორმა, უსაქმურმა და უვიცმა ვარდენმა ტყეში გაიტყუა სოფლის საამაყო რუსუდანი და დრო რომ იხელთა, მხეცივით ეძგერა გასაუპატიურებლად. ვალერიანი ლოთ ამფსონებში დააწანწალებდა ალალმართალ ქეთოს, საცოლედ აცნობდა ყველას, და, როცა ქალი შეაცდინა, სახალხოდ ჰკრა ხელი.

ახლო წარსულის უსიამოვნო ამბებს ასახავს „ყაბახი“. რა თქმა უნდა, ჭალისპირში ასე მძიმე მდგომარეობა არ იქნებოდა, კანონს რომ ძალა ჰქონდეს, თვითნებობა რომ არ მეფობდეს. საქმეზე მისულ კომუნისტს რაიკომის განყოფილების გამგე ვარდენი მიახლის: „წადი, სადაც გინდა, მიჩივლე, მე შენ არ გღებულობ!“

რატომ? რა უფლებით? ვის და რას გაუთავხედებია ასე?! ჭალისპირს კანონი კი არ მართავს, არამედ ნიკო ბალიაშვილი, რაიონს კი — ლუარსაბ სოლომონიჩი. ნიკო სოფლის ბატონპატრონია, ასეც ეძახიან, — რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს. სიტყვის შებრუნებასაც ვერ იტანს; საკმარისია, ვინმემ სრულიად უმანკო აზრი გამოთქვას, რომ ნიკომ არა თუ თავის პირად, ქვეყნისა და ხალხის მტრად გამოაცხადოს და მოსპოს ის. „ჯანდაბაში წადი, შვილო რევაზ, და დოზანაში! წადი! ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი — ძაღლს. აგრემც ყოფილა, სულ წასულხარ და აღარც მოსულხარ!“

კითხულობთ „ყაბახს“ და კიდევ ერთხელ რწმუნდებით, რა ზიანს გვაყენებს ეს ყოყოჩობა, პატივმოყვარეობა, თვითნებობა. ნიჭიერი აგრონომი რუსუდანი საგულისხმო წინადადებებს იძლევა თათბირზე (მეურნეობის თანამედროვე მეცნიერული მართვა, აგრონომიული წესები), მაგრამ ნიკოს არც გაეგება და არც მოსმენის უნარი შესწევს. მისი შეხედულებისგან განსხვავებულ ყოველგვარ აზრს, საერთოდ, ყოველ ახალ აზრს იგი უმალ პირად მტრობად და ქვეყნის დაქცევად აცხადებს; კრებაზე კრიტიკული სიტყვით გამოსულ ელიკოს მიახლის: „ეცადე, გრძელმა ენამ მოკლე ჯოხი არ მოგახვედროს!“

პირდაპირ გასაკვირია, საიდან გაჩნდა, ისიც ყოფილი მოჯამაგირის ფსიქიკაში ეს ბატონკაცური უკადრისობა და შეუწყნარებლობა! უბრალო შელაპარაკებისთვის, ერთი ბეწო კრიტიკული გამოსვლისთვის, ან სულაც იმიტომ, რომ თვალში არ მოუვიდათ, ნიკო და მისთანები სამარეს უთხრიან, ღევნიან, დასაღუპავად იმეტებენ ხალხის ერთგულ, პატიოსან, უდანაშაულო ადამიანებს, ყველას, ვისაც კი რამე სიახლე, თაოსნობა, გაუმჯობესება სწყურია. მათ, თითქოს, პირადი ხელისუფლება შეუქმნიათ ადგილზე და ეჭვიც არ ეპარებათ, ვი-

საც მოისურვებენ, უგზოუკვლოდ გააქრობენ, „მოუსავლეთში“ გადაკარგავენ. მხოლოდ იმის გამო, რომ მართამ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა ოჯახს მოჰკიდებოდა, კაკოს შეუძულდა და აღარ სურს სარეცელი გაუზიაროს თავის მოძალადე საყვარელს, ნიკო ემუქრება: „დედას გიტირებთ შენცა და იმასაც!“ „თუ ეს ტყუილი გამოდგა, შენი ბიჭი ამ შემოდგომაზე ჯარში წავა!“ — ემუქრება ნასყიდას. სოფელმა იცის, რომ ეს ცარიელი ბაქიობა არ არის, ნიკოს არა ერთი და ორი პატიოსანი კაცისთვის გაუმწარებია სიცოცხლე და, თუ მოიწადინებს, ვინც არ უნდა იყოს, „მოუსავლეთში“ უკრავს თავს. განა ასე არ დაღუპა მან ქვრივი საბედას ერთადერთი შვილი სოლიკო? ცილისწამებით, ყალბი აქტებით, დასმენით ძირფესვიანად არ ამოუგდო ოჯახი, არ დაალპო და დაასნეულა!? კაცისმკვლელი შოფერი კი სასჯელისგან გამოიხსნა, კანონი და სამართალი, რომელსაც ნიკო მუდამ ფეხქვეშ თელავდა, მაშინღა გაახსენდა, როცა მას მიადგა კარზე განსაკითხავად.

ნიკოს ბოროტების გზა ხსნილი აქვს, რადგან ასეთივე თვითნებობა და უკანონობა დამკვიდრებულა ლუარსაბ სოლომონიჩის გარშემოც ერთგან ხალხს აშინებს: „მდივანი იგრე მყავს დაბმული, როგორც ჯორი ქერით სავსე ბაგაზე“. რაიკომის მდივანი ჭეშმარიტების დადგენისათვის თავს არ იწუხებს; ყველაფერს თავისი პირადი კეთილდღეობის თვალით უყურებს. მისი მხარდაჭერით შესძლო ნიკომ და თედომ უდანაშაულო, ომგადახდილი კომუნისტის, მოწინავე ბრიგადირის რევაზის დაღუპვა; მან გასცა პარტიის პოლიტიკის სიწმინდისათვის მებრძოლი შავლეგოს დაპატიმრების განკარგულება; მან მოხსნა მართლისმოყვარე მილიციის უფროსის მოადგილე მაიორი ჯაშიაშვილი, სამაგიეროდ, თბილი კალთა გადაუფარებია კანონის დამრღვევთა, მექრთამეთა, კომბინატორებისა და ინტრიგანებისათვის (ნიკო, თედო, კუპრაჭა, ვარდენი). ეჭვი არ ეპარება, რომ უფლება აქვს მიწასთან გაასწოროს ყველა, ვინც არ მოეწონება. შავლეგო საქვეყნო საქმეზე მისულა მასთან, ის კი შეჰყურებს და ფიქრობს: ამას „ციხეში უნდა ვუკრა თავი!“ ან „თეიმურაზს მოვთოკავ! სერგოს გავანეიტრალებ! განყოფილების გამგეებს შემოვიმტკიცებ!“ რაიკომში საქმიანი, პრინციპული საუბრის დროს, გაბრაზებული ლუარსაბი მოულოდნელად იფეთქებს: „ამ წუთიდანვე გაპატიმრებ, როგორც საკოლმეურნეო ქონების დამტაცებელს, ქურდსა და ხულიგანს. მე შენ მოგივლი, როგორც საჭიროა!“

აი, სანამდე მიდის „ხელისუფლებით სიმთვრალე“. რა დააშავეს რევაზმა, შავლეგომ და მისთანებმა?! პარტიისა და მთავრობის მითითებათა სწორად შესრულება მოითხოვეს; საკოლმეურნეო წესდების დამრღვევები ამხილეს; ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოაყალიბეს; სპორტული მუშაობის გამოცოცხლებას შეეცადნენ. ჭალისპირში უნამუსო პირები არხეინად პარპაშობენ, ხოლო სასარგებლო ადამიანებს აწიოკებენ, ცილს სწამებენ, აპატიმრებენ, სიცოცხლეს უმწარებენ, რითაც სახალხო მეურნეობას ზიანს აყენებენ და ხელისუფლებას სახელს უტეხენ. ბოროტების წუმპეში ჩაფლულ მუშაკებს (ნიკო, ლუარსაბი და სხვ.) თავიანთ სამფლობელოში პატიოსანი, მართალი, პრინციპული, გაბედული პირების გამოჩენა თავისთავადაც უკვე, წარმოუდგენელ უბედურებად ეჩვენებათ, მათ სიტყვასა და საქმეში თავიანთი ბოროტების მომაკვდინებელ მხილებას ხედავენ, ორგანულად ვერ იტანენ კეთილშობილებას, პატიოსნებას, თავდადებას; „მარტო ეს რევაზი გადარევს კაცსო!“ — ფიქრობს ნიკო; „მხოლოდ ეგ საზიზღარი რედაქტორი ვერ ვავიკარეო“, — წუწუნებს კუპრაჭა.

მაგრამ, გადაგვარებულმა ხელმძღვანელებმა მშვენივრად იციან, რომ მათი საქმიანობა, მორალი კარდინალურად ეწინააღმდეგება საბჭოთა სახელმწიფოს კანონებს, სოციალისტური საზოგადოების პრინციპებს, პარტიის იდეალებს, ამიტომ, ისინი წინანდებურად განაგრძობენ იმის ლაპარაკს, რაც საჭიროა, რაც სწორია, რაც აუცილებელია, რასაც პარტია და ხალხი მოითხოვს; რადგან იციან, რომ რასაც აკეთებენ ის (ან მის შესაფერად) რომ ილაპარაკონ, ერთ დღეში ალიგვებიან. კარიერის, თანამდებობის შესანარჩუნებლად ისინი ინიღბებიან, თავს იკატუნებენ, ერთი სიტყვით, *ყველაფერს სწორად ლაპარაკობენ*, ისე, როგორც საჭიროა სავარძლის შესანარჩუნებლად, ე. ი. ძარცვა-გლეჯაში წარმატების მოსაპოვებლად, საქმით კი სრულიად საწინააღმდეგოს სჩადიან. *პირადი მაგალითით* ძირს უთხრიან ყოველივე იმას, რის შესახებაც დიდი რიხით, ბატონკაცური ტონით გაჰყვირიან და სხვებს ცხვირწინ მუშტს უტრიალებენ. „ყაბახში“ მკვეთრადაა გამოვლინებული სიტყვისა და საქმის ასეთი დაპირისპირებით წარმოქმნილი ცინიზმი, რომელიც აქა-იქ სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ზნეობრივ საფუძვლებს. სიტყვისა და საქმის, ფორმისა და შინაარსის, ქადაგებისა და პირადი მაგალითის ასეთი ცინიკური დაპირისპირების განსახიერებაა ნიკო ბალიაშვილი. ჭალისპირელმა თავმჯდომარემ, რომელსაც დიდი ცოდნა არ გააჩნია, დიდებულად იცის. სად, რა, როგორ უნდა თქვას, როგორი და რამდენწუთიანი სიტყვით უნდა გამოვიდეს, რაა საჭირო, რას მოითხოვს ხალხი, პარტია და ხელისუფლება, რა როგორ უნდა გაკეთდეს; მაგრამ კიდევ უფრო დიდებულად იცის, რას როგორ უნდა შემოუაროს თავის სასარგებლოდ.

ეს გარეგნულად დიუჯი, დარბაისელი კაცი, რომელსაც ვითომ გული უდუღს სახალხო საქმისთვის და ყველაფერზე ობიექტურად, მიუკერძოებლად მსჯელობს, სინამდვილეში, არავითარ სისაძაგლეს არ თაკილობს. ეს კოლმეურნეობის გამჩანაგებელი, სახალხო დოვლათის მძარცველი, კეთილსინდისიერ რევაზს ეუბნება: „თუ არ იცი, რა მოელის კოლმეურნეობის ქონების მიმთვისებელს, გასწავლიან!“ განა შეიძლება ასეთი არსებისათვის ამქვეყნად რაიმე წმინდა არსებობდეს!? გადაწყვიტა, მის მიერ გაჩანაგებულ საბედას ვენახს სამი მწკრივი უკანონოდ ჩამოაჭრას, ხოლო, როცა ავადმყოფ ქალს რევაზი გამოექომაგა, ქურდი და თაღლითი თავმჯდომარე ამბობს: „ვაპატიოთ? დათმობაზე წავიდეთ? მერე რა გამოვა აქედან? „უნდა დავშალოთ კოლმეურნეობა და უკან, კერძო მეურნეობისაკენ დავბრუნდეთ? ამას ვინ გვაპატიებს? ხალხი, პარტია, მთავრობა?.. ეს საკოლმეურნეო წესდების დარღვევაა!“

სიყალბეს გაუჟღენთავს ამ არაკაცთა სული. რა თვალთმაქცობას არ მიმართავენ თავიანთი ავკაცობის დასაფარავად. ნიკო „რაიონში ყველაზე ადრე იღებს მოსავალს, ყველაზე ადრე აბარებს სახელმწიფო გადასახადს და ყველაზე მეტს აჭარბებს... თელავში ხელისგულზე დაატარებენ“. მისი ერთადერთი ქალიშვილი თამარიც დარწმუნებულია: „რაიონში მოწინავეა, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, მადლობას ეუბნებიანო“. ჭალისპირი სოფ. შრომას ეჯიბრება, ნიკოსთვის მთავარია უკეთესი მაჩვენებლები ყალბი იყოს. კოლმეურნეობები წერტებს ხსნიან საკუთარი ზედმეტი ნაწარმის გასასაღებლად, ნიკო და კუპრაჭა კი საკოლმეურნეო წერტის აბრით სპეკულაციას ეწევიან; ვახტანგს ასწავლიან, როგორ შეაპაროს წერტში და გაყიდოს აკრძალული სასმელი. ვახტანგის რეპლიკაზე „ნეტა, რა ყრია ამ წერტში, ჭალისპირს რა ვენახება აქვსო“, — კუპრაჭა ხითხითებს: „ვენახი? ღვინო პანკისის და წინანდლისა იყოს, რა!“ სიტყვისა და საქმის ეს ცინიკური დაპირისპირება ზოგჯერ თავს იჩენს პრესაში, რაც ხალხის თვალში ჩრდილს აყენებს მის ავტორიტეტს; ჩამოსული კორესპონდენტები ნიკოს ოჯახში ნებივრობენ, სამაგიეროდ, თავმჯდომარის ფოტოსურათებსა და მიკერძოებულ ნარკვევებს აქვეყნებენ გაზეთებსა და რადიოში. ეს კორესპონდენტებიც კარგად არიან გაწაფულნი, რა როგორ უნდა ითქვას და დაიწეროს— ეს არის და ეს! ენაწაგდებულ კუპრაჭას კორესპონდენტი ღიმილით ეკითხება, ჩემი მაინც არ გეშინია, ასეთებს რომ ლაპარაკობო? — „შენი რაზე უნდა მეშინოდეს?.. მგელმა თქვა, ჩემ დამჭერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო- შენ რომ კ ა ი კ ა ც ი არა ყოფილიყავ, ძია ნიკო ჩემთან არ გამოგგზავნიდა!“

ჭალისპირელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი უსაქმური, პარაზიტული ცხოვრების გზას დასდგომია. მასობრივ-კულტურული და კომკავშირული მუშაობა ჩაშლილია, მიზეზი თავმჯდომარეა. სოფელს მისი მაგალითი ხრწნის. არაფერი ისეთ გამაღიზიანებელ, ისეთ ცუდ ზეგავლენას არ ახდენს კოლმეურნეობაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაზე, როგორც თავმჯდომარის თვალთმაქცობა, მისი კბიერი, ცინიკური ქადაგებები: „ახალგაზრდობა სულ მოდუნდით, გაფუჭდით და გათახსირდით!.. განა ჩვენ თქვენოდენები არ ვიყავით?... თქვენამდე პირნათლად მოგვიტანია... ეს დროშა, აიღეთ ახლა და თქვენ უპატრონეთ!.. როგორ შეიძლება, შვილო, კაცი პატიოსანი იყოს და ახალგაზრდობა ეჯავრებოდეს? ჩვენ მიმავლები ვართ და თქვენ მომავლები. ეს სოფელი თქვენ უნდა გაფურჩქნოთ და ააყვავოთ!“ „გავაძლიეროთ კომკავშირული მუშაობა, აღვზარდოთ ახალგაზრდობა!“ სოფელმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა კი კარგად იციან მქადაგებლის ყველა ბოროტება. მისი სისაძაგლე და გაიძვერობა. თვით იმ კრებაზე, სადაც ახალგაზრდებს, ვითომ, ჭკუას არიგებს, კანტორის დარაჯს გადაულაპარაკებს: „კუპრაჭას გაუარე და შინ გამომიგზავნეო“.

ამ ადამიანთა მეტყველებაში, მათი ამოყირავებული მორალის შესაბამისად, სიტყვებს, ზნეობრივ ცნებებსაც სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა მიუღიათ. გაფუჭებულ ვახტანგ ჭარხალაშვილს გაფუჭებული თავმჯდომარე ნიკო, უკანონოდ რომ კოლმეურნეობაში იღებს და წერტის უფროსად ნიშნავს, სერიოზულად ეუბნება: „შენ „ჭალისპირს არ იცნობ, ხალხი იგრეა **გაფუჭებული,** ჯამში გივარდება!“ „კაცის დანახვა დამნატრულდაი“, ჩივის კუპრაჭა. ნიკო წამდაუწუმ თავისთავს „პატიოსან მშრომელს“ უწოდებს.

კადრების შერჩევა-დაწინაურებას ჭალისპირსა და საერთოდ რაიონში, წარმოუდგენლად მახინჯი, ცინიკური ფორმა მიუღია; რევაზი მევენახეობის მოწინავე ბრიგადირია, იცის და უყვარს ეს საქმე, ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს, პრემიებსაც აძლევენ, მაგრამ ნიკოს ეჯავრება ის, როგორც პოტენციური მეტოქე, და, რათა როგორმე გაამწაროს, ჩაწიხლოს, რაიკომს სთხოვს, რევაზი გამოცდილი ბრიგადირია და ნება მომეცით, ჩამორჩენილი მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელად გადავიყვანო, საქმეს გამოასწორებსო. რევაზს, მთელ სოფელს ბოლომდით ახრჩობს ამ „ჩაწყობილი საქმის“ ცინიზმი, ნებადართული საშუალების გადამახინჯებით შურისძიება. თვალთმაქცი ცინიკოსები სოფელსა და თვით რევაზსაც არწმუნებენ, რომ ეს არის „პარტიის დავალება“, „დაფასება“; ხოლო გულში ხითხითებენ, და ყველამ იცის, რაც არის ეს, იციან, რომ, რაკი დღეს ნიჩაბზე

შეაგდეს. ხვალ-ზეგ საერთოდ პანღურს ამოჰკრავენ. „რევაზს ყველა იცნობთ! — ენამზეობს ნიკო. — იცით, რა კაციც არი. დაუღალავი მუშაა, მუყაითი, კოლექტივისთვის თავდადებული... ღირსია დაწინაურებისა. რაიკომთან შეთანხმებულია“.

ამგვარ ცინიკურ ბიუროკრატიზმზე ამბობდა ვ. ი. ლენინი:

«По форме правильно, а по существу — издевательство».

სპეტაკი კომუნისტის რევაზის საქმეზე შეთითხნილი ბრალდებების შესამოწმებლად რაიკომი გზავნის უსაქმურ, გარყვნილ ინსტრუქტორს ვარდენს. მილიციის უფროსის მოადგილეს, პატიოსან კაცს, რაიკომის პირველი მდივანი სასტიკ საყვედურს უცხადებს „უფროსის ცილისწამებისათვის“, თუმცა, მთელმა რაიონმა იცის, რომ სწორედ ეს უფროსია მოსაშორებელი. ლუარსაბ სოლომონიჩის პარტიული მუშაობის მეთოდები, ადამიანთადმი მიმართვისა და ურთიერთობის ფორმები თავისებურად გაუშარქებია. თვით რევოლუციურ ბრძოლებში წმიდათაწმიდად ქცეული სიტყვა „ამხანაგი“ თითქმის სალანძღავ, საგინებელ, ბოროტი მუქარით აღსავსე გამოთქმად გაუხდია. მჟივანი ცდილობს ყოყოჩი, ადმინისტრაციული ტონით ჩააწყვეტინოს შავლეგოს ხმა: „შენ, ა მ ხ ა ნ ა გ ო, მაინცდამაინც გინდა, კრება ჩაგვიშალო? რატომ გვიშლი ხელს! ამის გულისთვის, ხომ იცი...“ „რომელია მანდ რომ **ხულიგნობს?**“ და ა. შ. რაიკომის სააღრიცხვო განყოფილების გამგემ, მექრთამე ვარდენმა ძალიან კარგად იცის, ვინც არის და რისთვის მოსულა მასთან კომუნისტი შავლეგო, მაგრამ მის დასამცირებლად და შესაშინებლად მაინც ასე მიმართავს: „შენ ვინ გინდა, ამხანაგო?“

შავლეგო კომუნისტური შეუპოვრობით ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას; ზნედაცემული რაიკომის მდივანი კი, თავისი მლიქვნელების შეგონებით, სრულიად უმიზეზოდ მივარდება მას: „თქვენ, ამხანაგო, არა მარტო გამბედაობა დაკარგეთ, არამედ კომუნისტური მორალიც! რაც თქვენ ჭალისპირში გამოჩნდით, მას შემდეგ ხუთი თითივით ვიცი თქვენი ასავალ-დასავალი“...

მთელმა სოფელმა იცის, რომ ნიკოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ყალბად, ტენდენციურად აზომა საბედას ვენახი, თვითონ ნიკომაც იცის ეს, მაგრამ რევაზი რომ შეეკამათება, ასეთ „საბუთს“ იშველიებს: „ერთი თვე მუშაობდა კომისია და ვისაც რა ეკუთვნოდა, მიუზომა. ხუთი კაცი იყო და შენ ერთი ვერ ასწავლი იმათ ჭკუას!“ დიახ, არსებითი სიმართლე კი არაა, არამედ ის, რომ „ხუთმა კაცმა აზომა და აქტი შეადგინა!“ რევაზმა მოითხოვა, კომისია გამოვყოთ, ხელახლა ავზომოთო. „შენ რა, კოლმეურნეობას წინააღმდეგი ხარ?!“ — მიაყვირებს ნიკო. ძალიან დამაფიქრებელი, ძალიან უსიამოვნო ხანის გამახსენებელი რეპლიკაა! ხედავთ, რა პროვოკაციებით, რა ვერაგობით ფარავენ ეს გაიძვერები თავიანთ ბნელ სულსა და გათახსირებულ საქმეებს?! აქ დიდი მორალურ-პოლიტიკური პრობლემა დგება: თავაშვებული, სამართალგარეშე მოქმედებით ხანგრძლივი დროის მანძილზე გაფუჭებული, გათამამებული „მუშაკების“ თვითნებობა აბრკოლებს წინსვლას, არყევს ზნეობას. „პასუხისმგებელი მუქთახორები“ დარწმუნებული არიან, რომ პროვოკაციებით, ცილისწამებით, მუქარით შესაძლებელია, ვისიც გინდა, თავიდან მოშორება და ავი საქმის კეთება. საიდან მოდის ეს საოცარი რწმენა? რა უდევს საფუძვლად, რა ასაზრდოებს ასეთ თვითდაჯერებულობას? ხელშეუხებლობას? რატომ ჰგონიათ ნიკოს, ლუარსაბსა და მისთანებს, რომ უფლება აქვთ და ძალა შესწევთ დაამხონ ყველა, ვინც არ მოეწონებათ, ხოლო მართლებს სიტყვის შებრუნების ნებაც არ გააჩნიათ?!.

საბედას ვენახზე, საკოლმეურნეო საკუთრების სიწმინდეზე ეს დავა სწორედ იმ კრებაზე მიმდინარეობს, სადაც ნიკო, კუპრაჭას დარიგებისამებრ, სპეკულანტ ვახტანგ ჭარხალაშვილს სავაჭრო წერტის გამგედ ნიშნავს და ცოტა მოგვიანებით მისგან ფულის დასტებს იღებს. მთავარია, მოსწრებული სიტყვით გააპამპულო და მიაფუჩეჩო ხალხის სამართლიანი უკმაყოფილება. ბუღალტერმა და საწყობის გამგემ კოლმეურნეობის შაბიამანი გაყიდეს, ხალხის დაეინებულ მოთხოვნაზე კი, პამპულობენ: „სახლში ხომ არ წავიღებდით და, აგე, ნახეთ, რაც არი. მწვადად ის არ აიგება და გამოცხობით არ გამოიცხობა!“

ფეხი მოუკიდნია გადაკრული სიტყვით, „ხუმრობით“ დასმენას, მოწინააღმდეგისათვის მოღიმარე სახით სამარის გათხრას. თედო საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ნიკოს საქმიანობის ისეთ „მიღწევებს“ ჩამოთვლის, რომ რაიკომის მდივნის გასაგონად ხალხის აღშფოთება და უარყოფითი რეპლიკები გამოიწვიოს. კოლმეურნეობის მძღოლი სერიოზულად ამტკიცებს, რომ თავმჯდომარის გამოცვლა საზიანოა სოფლისათვის: „დაჯდება ერთი, აიშენებს ერთ წელიწადში მშვენიერ სახლს; გაბრაზდება ხალხი, წლის ბოლოს მოხსნიან, აირჩევენ სხვას, აიშენებს სახლს“... და ა. შ. „ბარემ უმჯობესი არაა, სულ ერთი და იგივე კაცი იყოს!“ ფაქტიურად, ყველგან ყველაფერს ერთი უფროსი თანამდებობის პირი განაგებს. სხვები ტყვილა ესწრებიან, ტიკინებივით ლაპარაკობენ, ქაქანებენ, უფროსს კი ყველა საქმე „ადრევე აქვს გადაწყვეტილი“. მაშ, ეს ლაპარაკი და „კამათი“ რის მაქნისია? თავმჯდო-

მარეობა თედოს წინასწარ „ჩაწყობილი“ აქვს, საერთო კრებაზე კი დიდი კამათი და დასახელებებია.

ეს მავნე გადმონაშთები პოხიერ ნიადაგს პოულობს სულიერ და ყოფაცხოვრებითს მეშჩანობაში, რომლის ძალა ლეგალურ დაფარულობაშია. ერთი მხრივ, ესაა ნივთებით გაცოფება (ახალ-ახალი ავეჯი, სახლები, აგარაკები, მანქანები, ყველა გამოშვების ტელევიზორი); მეორე მხრივ, დაფარული ფუქსავატური სულიერი ნაჰუჰი; მესამე — საზოგადოებრივ-ზნეობრივ მოვალეობაზე ხელის ჩაქნევა. ამას წინათ „იზვესტიაში“ წერდნენ: „ცხოვრების გაუმჯობესების ყველაზე დიდი მუხრუჭია. თავის თავის სიყვარული, უფრო ზუსტად, „საკუთარი თავის ხსოვნა“. იგი აცამტვერებს პიროვნების ძალას. მეშჩანს ტკბილი პაემანი აქვს მხოლოდ იმ მოქალაქესთან, რომელსაც სარკეში ხვდება. „ობელისკი“ წაგიკითხავთ? — შევეკითხე ერთ მათგანს. — კი, დავიწყე კითხვა, კარგი დაწერილია, მაგრამ თავი გავანებე. რა საჭიროა სხვების გაჭირვების მოსმენა, როცა ჩემი საზრუნავიც მყოფნის!“ „სხვისი საზრუნავი“, საზოგადოებრივი ტკივილები არ არსებობს ასეთი ადამიანებისათვის. ისინი ახერხებენ ყველა რიგში, ყველა ზეიმზე პირველი ადგილი დაიკავონ; მათ ეზიზღებათ საქმის გულშემატკივრები, ხოლო ბოროტმოქმედებს ძალიან მოსწონთ ასეთი მეშჩანები, რადგან მეშჩანობა მათი არსებობის წყაროა. სოფლად ჩამოსულ შავლეგოს ნიკო ურჩევს, დაისვენე, დრო გაატარე, იქეიფე, სოფლის საქმეებში ნუ ჩაერევი, შენს გზაზე მშვიდობით წადიო. ნიკოსა და მისთანებისათვის სრულიად გაუგებარია შავლეგოს მსგავსი პირების ეროვნულ-ზნეობრივი მისწრაფებები („თევზს უფრთხილდება? ამას ვიღა ჰკითხავს? გამოვიდა, რაღა, კანონიერების დამცველი!“). ნიკოს ქალიშვილი თამარი, სახალხო საქმ ს გულშემატკივარ თავის საქმროს, რევაზს, დარიგებას აძლევს: „არც არი საჭირო, რევაზ, სოფელში ყველა ბრაზიანს გეძახის. ნუ ბრაზობ ხოლმე, გეხვეწები, ნუ ბრაზობ!“

ყველას, ვისაც საქმეზე გული შესტკივა, გულწრფელი და გულმართალია, სიმართლეს ესარჩლება, მეშჩანები „მეტიჩრის“, „ნერვიულის“, „გიჟის“, „ბრაზიანისა“ და „ინტრიგანის“ სახელით ნათლავენ.

პატიოსან ადამიანებს ეშინიათ მეშჩანთა ყბაში ჩავარდნისა; ინსტრუქტორ ვარდენის მიერ შეურაცხყოფილი რუსუდანი ხმის ამოღებას ვერ ბედავს; „ვერსად იტყვი, ვერსად გაამხელ, რადგან... შეუბღალავ და უმწიკვლო სახელს შეგიბღალავენ, ლაფში ამოსვრიან“.

მეშჩანობას ღრმად გაუდგამს ფესვი რაიკომის მდივნის ოჯახსა და სულში.

„ოჯახის გახსენებაზე მდივანს უსიამოვნოდ დაებრიცა ტუჩები!“ ვერა და ვერ აუდგა გამძლარ ცოლ-შვილს. ერთადერთი ასული, მის დაუკითხავად, ვიღაც იდიოტს გაჰყვა. მდივანს იმედი ჰქონდა, ჩემი სიძე „დაწინაურდება“ და მეც მომეხმარებაო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ჯოტო ერთი უსაქმური, უვიცი, მფლანგველი, მშიშარა და უნამუსო ლაწირაკია; სიდედრს ენას უჩლექს, შინ გალეშილი ბრუნდება და მდივანს ასეთი ტონით ელაპარაკება: „ვაჰ გძინავს, მამიკო?!. ჩუმად, თორემ მე ისეთი რამე ვიცი!.. ჰო, ჯერ შენ მოეშვი შენს კახპას!“

რა ხელმძღვანელობა შეუძლია ასეთი მეშჩანური ოჯახის პატრონს? რა მორალური უფლებით უნდა განიხილოს მან სხვისი საქმე, როცა თავისი ცოლ-შვილისთვის ვერ მოუვლია?!

უბადრუკია ამ ვაიხელმძღვანელთა სულიერი სამყარო. ორი-სამი გაზეპირებული ფრაზით აპირებენ ფონს გასვლას: „ხელს გვიშლით, ამხანაგო!“, „თქვენ იცით, სად იმყოფებით?“ წიგნს არ კითხულობენ, ხალხის საზრუნავზე, ქვეყნის მომავალზე თავს არ იტკივებენ, სასარგებლოს არაფერს ქმნიან. მათი ოცნება მცვრიან მწვადს, „ვოლგას“, ძაღლებით ნადირობას არ სცილდება. ამიტომ წამოიძახებს შავლეგო: „მირჩევნია კარგი მუშა ან კოლმეურნე ვიყო, ვიდრე უხეირო ინტელიგენტი!“ ამ ფონზე კუპრაჭაც არხეინად გრძნობს თავს და ამაყად აცხადებს: მეექვსე კლასიდან გამომრიცხეს, „მაგრამ ახლა, რომელიც უმაღლესდამთავრებულია და ნასწავლია, მოვიდეს და მომეტოლოს, თუ ბიჭია. მაგათ მე რომ არ ვყავდე, ვერც ერთი ვერ იცხოვრებდა“.

ულიმღამო, უშინაარსოა ამათი წუთისოფელი: იყიდეს მანქანა, ავეჯის ახალი გარნიტური, ტელევიზორი, აჩვენეს ყველა ნაცნობ-ნათესავს („აი, რა გვაქვს!“), თავი მოიწონეს, იქეიფეს, მერე?!. აღარ იციან, სად წავიდნენ, რა ქნან, რაში მოკლან დრო. თუმცა სულიერი სილატაკის გამო, ისინი ვერც გრძნობენ (არ განიცდიან) ამ ტრაგედიას. სიხარბეს, ღორმუცლობას ისინი სწირავენ არა მარტო საზოგადოებრივ, ეროვნულ, სახალხო ინტერესებს, არამედ პირად სინდისსაც, „თავიანთ „მეს“; საკუთარ თავს უსპობენ ჭეშმარიტ სიხარულსა და ბედნიერებას, რომელიც მხოლოდ მართალი, მშრომელი, პატიოსანი ადამიანის ჯილდოა. ლუარსაბ სოლომონიჩი სულიერად და ზნეობრივად გაკოტრებული ადამიანია, მას არავითარი მისწრაფება აღარ გააჩნია, არავინ უყვარს და ისიც არავის უყვარს, არავინ პატივს არ სცემს.

იყო ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიაში ისეთი მწვავე კლასობრივი ბრძოლის პერიოდი, როცა პოლიტიკურ აღმსრულებლობითს ერთგულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კადრების შერჩევაში. მაგრამ ცხოვრება სწრაფი ტემპით წავიდა წინ. სამამულო ომში გამარჯვებამ დიდი გადახალისება, პროგ-

რესი, სულიერ-კულტურული აღმავლობა გამოიწვია, — წამოიზარდა არა მარტო სისხლხორცეულად ერთგული, არამედ განათლებული, კარგად აღზრდილი, ფართო ინტელექტის, ზნეობრივ-მორალური წრთობის ახალგაზრდობა. ზოგიერთმა ვერ გაიგო ეს, ალღო ვერ აართვა სიახლეებს, ორიენტაცია დაჰკარგა, დაძველდა, გადაგვარდა; აღარ ეყო არც ინტელექტი, არც განათლება, არც კეთილშობილება. ლუარსაბი თითქოს გრძნობს ამას: „ხომ არ დავბერდი? ან იქნებ თავად საზოგადოებამ იცვალა ნირი და ისე ჩამიარა გვერდზე რომ ვერა გავიგე რა?!“ ამგვარი ძველი ყაიდის ხელმძღვანელებს „ყაბახში“ რაღაც ავი ცოდვა ამძიმებთ, სულში რაღაც ჭუჭყი უტრიალებთ და, რაკი ზნეობრივი ტანჯვის უნარი, სინდისის ქენჯნა არ გააჩნიათ, გაბოროტებით ცდილობენ სიახლისათვის გზის გადაკეტვას, ფავიანთი დამყაყებული წარმოდგენების შენარჩუნებას და ამ სიჯიუტის გამო კიდევ უფრო ღრმად ეფლობიან ჭაობში. ნიკოს, კუპრაჭას, ბაღდამას რაღაც სეეჭვო „დამსახურებები“ გააჩნიათ, რომელთათვის ისინი არათუ უსაზღვრო პრივილეგიებს, არამედ ახალი თვითნებობის უფლებას მოითხოვენ. ნიკოსა და ლუარსაბ სოლომონიჩს ისეთი „ღამის კლიენტები“ ჰყავთ, რომლებსაც პატიოსანი ადამიანის თანდასწრებით ვერ ელაპარაკებიან. ერთი ეპიზოდის გაცნობაც საკმარისია ნიკოს ზნეობრივი წარსულის გასაგებად. მართა ასე ამხილებს მას: „როგორ მიყვარდი, შენ კი სხვას მიმეცი... შემდეგ ეგეც შეგშურდა ჩემთვის, ჯერ ერთ თვესაც არ გაევლო, რომ ნასყიდას (ქმარი) ჯარში აკვრევინე თავი და იმ ცოდვიშვილმა საღღაც პოლონეთში დალია სული... მამად მერგებოდი, ძია ნიკოს გეიახდი“.

ვინ არიან „ყაბახის“ უარყოფითი პერსონაჟები? საბჭოთა კანონების, კომუნისტური ზნეობისა და იდეალების, კოლექტიური შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმათა დამრღვევნი, დამმახინჯებელნი, უარმყოფელნი. ამ მანკიერებათადმი პრინციპულ შეურიგებლობაში მკაფიოდ ვლინდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მისწრაფებებისადმი ერთგულება, მტრების მიმართ შეურიგებლობა. მწერლის მღელვარე, მრისხანე პათოსი კუპრაჭების, ნიკო ბალიაშვილებისა თუ ვახტანგ ჭარხალაშვილების წინააღმდეგ ნათლად გვაგრძნობინებს, რა ზიანს აყენებენ მესაკუთრე-ეგოისტები საზოგადოებას, მოგვიწოდებს მათდამი შეურიგებლობისაკენ. ამ საერთო განწყობილებას ისიც ანმტკიცებს, რომ ხალხი, სოფელი პრინციპული არსით, ჯანსაღი, კეთილი, საქმიანი, ბეჯითი, სიცოცხლის, განვითარების უნარიანია, ნაწარმოები გამსჭვალულია ახლის შენების პათოსით, პროგრესის, კულტურული აღმავლობის სულისკვეთებით. კომუნისტური პარტია ხალხის ფართო მასების წმინდა, უკეთილშობილესი იდეალების გამომხატველი და ცხოვრებაში გამტარებელია; „სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ კომუნისტური პარტიის წევრი ვარ!“ —აცხადებს „ყაბახის“ მთავარი გმირი შავლეგო, რომელსაც რჩება საბოლოო გამარჯვება. თვით ზნეობრივად დაცემულ პირებსაც კი ესმით, რომ კომუნისტური პარტია მაღალზნეობრივ პრინციპებს ამკვიდრებს და მათი საქციელი შეუთავსებელია ამ პრინციპებთან. „მე იმდენი კაცობა კიდევ შემრჩენია, რომ პარტიაში არ შევიდე, — ამბობს კუპრაჭა, — ...პარტიის წევრს ნამუსი წმინდა უნდა ჰქონდეს, მე კი ყელამდე ვარ დასვრილი. განა ვინც პარტიის წევრია, ყველა კომუნისტია?!“

„ყაბახში“ იმარჯვებს სიკეთე, კომუნისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ერთგულება, სიმართლე, — თავმჯდომარედ ირჩევენ შავლეგოს, სოფლსაბჭოში — ერმანას. ემხობიან ბოროტი პირები — ნიკო, თედო, კუპრაჭა, ეს „ძველი გადმონაშთის“ ახალი ტიპი, — ვახტანგი და მისთანები. „დაჩლუნგდა ჩემი ხმალი და უნდა ჩავაგო!“ — წამოიძახებს ნიკო, რომელსაც მართაც კი ხელს ჰკრავს: „ახლა ქმარი მყავს და ოჯახი მაქვს!...“ „მილასლასებდა... ნათავმჯდომარალი, ნამამარი და ნასაყვარლარი... ბობოქარი მდინარის ძალუმ ტალღებზე დამსხვრეული დიდი, ძლიერი ტივისაგან დარჩენილი მცირე ნამუსრევი“. ეს ფინალი გვიჩვენებს, რომ ასე ცხოვრება, ასე ხელმძღვანელობა, ასე მოქცევა აღარ შეიძლება. ისე არ გავიგოთ, თითქოს, ავტორის ჩანაფიქრით, ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით გამოსწორდა, გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა, რომანში ასახული მანკიერებანი აღმოიფხვრა. არა! მწერლის ეს პუბლიცისტური რეზიუმე ნაწარმოების იდეალს, საზოგადოების ჯანსაღ მისწრაფებებს გამოხატავს. გვიჩვენებს, რომ ცხოვრება მუდამ თავისი გზით წავა, „ცხოვრებას ვერ მოატყუებ!“ არც „გულის მოტყუება შეიძლება!“

საბჭოთა ლიტერატურის მაღალ იდეურობასთან, ცხოველმყოფლობასთან, ისტორიულ კონკრეტულობასთან, საერთო არაფერი აქვს სოციალისტურ რეალიზმზე სურრეალისტებისა და აბსტრაქციონისტების მონაჭორს, თითქოს „სოციალისტური რეალიზმი კმაყოფილდება ადამიანთა და ნივთთა ასლის გადაღებით... წარმოადგენს არსებული პირობების განდიდებისა და აპოლოგეტიკის იარაღს“. ცხოვრებაში მუდამ არსებობდა და არსებობს ერთმანეთის გვერდით ავი და კეთილი, დადებითი და უარყოფითი. სიკეთე ამაღლებული გრძნობაა, გარკვეულ მსხვერპლს, თავდადებას მოითხოვს. არც ერთი დიდი, კარგი საქმე ნათელი ოცნების გარეშე არ გაკეთებულა, არაფერი მშვენიერი უოცნებოდ არ შექმნილა. ყოველივე ძვირფასი, რაც კაცობრიობას შეუქმნია, ნათელ მეოც-

ნებეთა ფიქრის, შრომისა და ბრძოლის ნაყოფია. ისეთ საქმეს, იდეალს, რომლის განხორციელებასაც წლები, ათეული წლები სჭირდება, მხოლოდ ნათელი მეოცნებე ჰკიდებს ხელს. მას ძალუძს საქმის დამთავრებამდე განუწყვეტლად ისულდგმულოს თავისი იდეით, ყოველ წამს რეალურივით წარმოისახოს მომავალი წარმატებები.

„ყაბახის" ღადებითი პერსონაჟები თავდადებული, ნათელი მეოცნებენი არიან, — პატიოსნად შრომობენ, ხალხის ინტერესებს პირადზე მაღლა აყენებენ, თავგანწირულად ებრძვიან თვითნებობას, უკანონობას, ესარჩლებიან უბედურ ადამიანებს, — ისე, რომ ერთ წუთსაც არ ჩაფიქრდებიან, რა მოელით მათ ამისთვის, ბრიგადირი რევაზი — ომგადახდილი ვაჟკაცი, რომელიც „კავკასიიდან ბერლინში ფეხით ჩასულა", ორგანულად ვერ ეგუება კოლმეურნეობაში გამეფებულ უწესრიგობას, ნაკლოვანებებს, რომლებიც ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დახვდა. ამ შემართების გარეშე მისთვის სიცოცხლეც წარმოუდგენელია. ვერავითარ დარღვევას, უწესრიგობას, უსამართლობას ვერ ითმენს, არავის ეპუება, ამხელს მომხვეჭელებს, მლიქვნელებს და სიცოცხლეს სწირავს თავის მორალურ-პოლიტიკურ პრინციპებს.

რომანის იდეალია ახალგაზრდა, ომგადახდილი მეცნიერი შავლეგო — მართალი, ენერგიული, შეუპოვარი პატრიოტი, რომელიც ვერც ერთ თავსატეხ საქმეს უყურადღებოდ ვერ ტოვებს; ეკითხება თუ არა, ყველაფერში ერევა, მეცნიერებაზეც ხელს იღებს, რათა მშობლიურ სოფელს სარგებლობა მოუტანოს. მას ესმის, რომ „რწმენა ყველაფრის დედაა ამ ქვეყანაზე". შავლეგო ცოტათი „ოთარაანთ ქვრივის" გიორგის გვაგონებს („დაუდეგარი იყო მოდგმა შამრელაანთი"); საცა რამ უსამართლობას დაინახავს, შავლეგო უყოყმანოდ ესარჩლება დაჩაგრულს; არც უფიქრდება, რა მოელის ამისთვის; მოსკოვში ცხვირპირი ჩაუმტვრია ქართველების შემარცხვენელ „დაფნის სპეკულანტებს"; ალაზანზე ბრაკონერთა მთელი რაზმი გალახა, ვარდენი დაიფრინა და რუსუდანი შეურაცხყოფას გადაარჩინა; ხორცის რიგში წესრიგი დაამყარა, საწყობის გამგე აიძულა სწორად გაენაწილებია ხორცი, თავისი წილიც სხვას დაუთმო (ომშიც მოხალისედ წასულა სრულიად ახალგაზრდა, აქ გული როგორ დამიდგებოდა იმ დროსო!); „არ უყვარს მლიქვნელი ხალხი, გული ერევა მათ დანახვაზე." „თუ საქმე სოფლის კეთილდღეობას შეეხება, არავის მოვეფერები და უნარიცა მაქვს სათქმელი პირში ვუთხრა". რა არ გადახდა ამ სიმართლის მოყვარეობისთვის: მძიმედ დაჭრეს, პარტიიდან გარიცხვა და დაპატიმრება მოუნდომეს, ცილი დასწამეს, მაგრამ არასოდეს არ შემკრთალა, არასოდეს უკან არ დაუხევია. ხალხის მადლიერება ასულდგმულებს შავლეგოს („შენ გაიხარე, შვილო... მამაშენიც სამართლიანი კაცი იყო!"). შავლეგოსთანა ადამიანებისთვის ეს სახალხო მადლიერება, სამართლიანობა უზენაესი ბედნიერებაა, კაცურკაცობის შეგრძნება ყველაზე დიდი ჯილდო და სიხარულია. შავლეგოს ზიზღს ჰგვრის ლუარსაბ სოლომონიჩის არა მარტო ბოროტმოქმედებანი, არამედ ინერტულობაც. „განა ისეთი მჩვარი, წუხელ რომ მე კრებაზე ვნახე, შეიძლება ჩვენ გვხელმძღვანელობდეს?" „დამდგარ წყალში ბაყაყები მრავლდებიან".

შავლეგოსთანა ადამიანის მოსვენება შეუძლებელია. მათ მუდამ გულით დააქვთ თავისთავით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, მეტი და მეტი კეთილი საქმის გაკეთების მოთხოვნილება; ის ქმნის ახალგაზრდულ ბრიგადას, უშვებს მამხილებელ კედლის გაზეთს, აშრობს ჭაობს, აწყობს სპორტულ მოედანს, აშენებს კლუბს, ბოლოს ხელს ჰკიდებს (ახალგაზრდობის მხარდაჭერით: ერმანა, ჩასაბერი, სოსო და სხვ.) კოლმეურნეობის გარდაქმნას, რათა სოფელი ინტრიგან თედოს არ ჩაუვარდეს ხელში. ამაღელვებელია შავლეგოს ვაჟკაცური გამოსარჩლება ნიკოსაგან უსამართლოდ დაჩაგრული სოლიკოსა და მისი ოჯახის მიმართ.

შავლეგოს მზრუნველობით აღორძინებული სოლიკო კოლმეურნეობაში შედის; კუპრაჭას ასი ათას მანეთს შეაწერენ კლუბის ასაშენებლად; ვახტანგ ქარხალაშვილს სახლ-კარს ჩამოართმევენ საბჭოთა ბაღისთვის, სავაჭრო „წერტს" გააუქმებენ და ა. შ.

შავლეგოსთანა ხელმძღვანელების ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი პირად მაგალითს აძლევენ ხალხს. როცა შავლეგო ნიკოს უსაყვედურებდა, რატომ უშვებ ხალხს კოლმეურნეობიდან, რატომ გარბიან სოფლიდანო, ნიკომ უდარდელად უპასუხა;

„რა ვქნა, შვილო, დავაბა?"

„ჰო, უნდა დააბა, მაგრამ თოკით კი არა!" — მიუგო შავლეგომ.

შავლეგოს სახეს თავისებურად ავსებს და ამთლიანებს რაიკომის მესამე მდივანი თეიმურაზი, რომლის შესახებ ლუარსაბი ამბობს: „ეს კაცი დაბადებით პოეტად დაბადებულა, გზა კი რაღაც შემთხვევამ გაუმრუდა; რას მოძვრებოდა რაიკომში?" სამაგალითოა მისი ჟანგარობა, პირდაპირობა, პარტიის საქმისათვის თავდადება.

საუკეთესო გაგებით მეოცნებე, რომანტიკული სახეებია, არა მარტო რაიკომის მდივანი, „პოეტად დაბადებული" თეიმურაზი, არამედ კოლმეურნეობის აგრონომი რუსუდანი — ბავშვობის მძაფრი შთაბეჭდილებებით, სიმართლის მოყვარეობით, ზნეობრივი სიფაქიზით, ვაჟკაცური შემართებითა და ქალური ჰაეროვ-

ნებით; ფანტასტიკური ბიოგრაფიის მქონე ექიმი სანდრო — ესპანეთის სამოქალაქო ომისა და საფრანგეთის გამათავისუფლებელი ბრძოლის გმირი, თავმდაბალი, ყველა გაჭირვებულის გულშემატკივარი და მშველელი კაცი, რომელსაც სოფლად, თავის საკუთარ ბინაში, საკუთარი ხარჯით ექსპერიმენტული ლაბორატორია მოუწყვია.

და ხალხი, ამ ცოდო-მადლის, კეთილისა და ბოროტის უზენაესი მსაჯული, ყველასათვის საკადრისის მიმზღველი, მოუსყიდველი, გადაუბირებელი, დაუჩლუნგებელი, ბოროტებისადმი გავარვარებული სიძულვილითა და კეთილისადმი მუდამ თბილი გულით. „ყაბახი“ უმღერის შრომისმოყვარე, გულმართალი, უდრეკი, დაუმარცხებელი ხალხის სიდიადეს — ადამიანებს, რომელთათვის შრომა ბედნიერებაა, ხალხისა, რომელსაც არაფერი ემლება, ყველას ავ-კარგი იცის.

„ყაბახი“ გვიჩვენებს, რომ ჭალისპირში (საერთოდ რაიონში) გამეფებულ უმსგავსოებათა მთავარი მიზეზი ხალხის უფლებათა შებღალვაა, მისი როლის იგნორირებაა. ნიკო და მისთანები ხალხის გაყუჩებას გაუფუჭებია. საოცარია მაინც, რამ შეაკრთო სოფელი ასე!? ნიკოს ტერორმა? თავმჯდომარის უკბილო ხუმრობაზე ხარხარებენ, ყველაფერზე თავს უქნევენ. ამიტომ შესძახებს გოდერძი ახალგაზრდებს: „სისხლის მაგიერ დუბელა გიდგათ ძარღვებში“. ამიტომ მოუწოდებს შავლეგო ხალხს: „რა ეშმაკმა დაგცათ ეგრე!? უფლება არა გვაქვს, ვისიმე „ავტორიტეტს“ ვანაცვალოთ საქმე!“

და, როცა ხალხი გათამამდება, ხმას აღიმაღლებს, ლუარსაბს, ნიკოს, კუპრაჭას ძრწოლა იპყრობს; ახალგაზრდები სოფლად წესრიგს ამყარებენ; ნიკოს, თუ აქამდე „ხალხი ცხვარი ეგონა“, კანონი ახლაღა გაახსენდება. ეს ხალხის რისხვაა. რაიონის ხელმძღვანელობაც იცვლება. ლუარსაბს ვერც კი გაუგია, „რით ინადირებენ ამ ხალხის გულს“ თეიმურაზისა და შავლეგოსთანა ადამიანები; ვერ გაუგია, რომ ხალხის გულის მონადირება მხოლოდ სამართლიანობითა და პატიოსნებით შეიძლება. გადაგვარებულთა თვალში თვით ხალხის ცნება, თვით ხალხზე წარმოდგენაც გადაგვარებულა, ცინიკური შინაარსი მიუღია; მექრთამე, გაიძვერა კორესპონდენტი, რომელიც ნიკოზე ნარკვევის დასაწერადაა მოვლინებული და კუპრაჭას ხარჯზე ცხოვრობს, — ფოტოსურათის გადაღებისას ღელავს: „მთავარია ხალხი, კოლმეურნეები, ისინი აუცილებლად უნდა ჩანდნენ სურათზე!“

ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, „ყაბახში“ უამრავი პერსონაჟია (ჩემი ანგარიშით, ას ოცზე მეტი!); — აუცილებელია, დავსძინო, რომ მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს, პერსონაჟთა სიმრავლე, საერთოდ, ხელს უშლიდეს მოქმედების განვითარებას. გამიგონია, ყველა პერსონაჟი არ გვამახსოვრდებაო. მაგრამ, რა საჭიროა არა თუ ყველა, არამედ, თუნდაც, ნახევარი დაგვამახსოვრდეს?! ბევრი პერსონაჟი სწორედ იმიტომაა საჭირო, რომ ხელს უწყობს მთავარ პერსონაჟებზე ყურადღების გამახვილებას, რამდენიმე მთავარი პერსონაჟის გამოკვეთას, მათ დამახსოვრებას, ამბების განვითარებას. მოძრაობას, ფონის შექმნას; გამოხატავენ ცხოვრების სირთულეს, ადამიანთა ურთიერთობის მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფენ სამი-ოთხი სახის სრულყოფილ (იქნებ მხოლოდ ერთისაც) დახატვას, ძირითადი პრობლემების რელიეფურად, მკაფიოდ წარმოსახვას. ყველას მოეხსენება, რა ძნელია, რა რთულ სიტუაციებს მოითხოვს ამდენი პერსონაჟის გაძღოლა, ურთიერთდაკავშირება, შეთანხმებულად ამოქმედება. „ყაბახში“ ეს რთული ამოცანა კარგადაა გადაწყვეტილი მოქმედ პირებს ვეცნობით ცხოვრებისა და პერსონაჟის ბუნების ლოგიკურად გამომდინარე ვითარებაში, ნაწარმოების მოქმედების განვითარების მოთხოვნათა შესაბამისად. შავლეგო, რევაზი, კუპრაჭა, რუსუდანი, ფლორა, ლუარსაბ სოლომონიჩი. აზროვნების, გრძნობის, მოქმედების ინდივიდუალური მანერით, მეტყველების კოლორიტით, შინაგანი და გარეგანი ნიუანსებით განასახიერებენ თავიანთი წრის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, აღზრდის, მისწრაფებების ინდივიდუალურ თვისებებს; საკმარისად გასიღრმისეულებულია პერსონაჟთა ვნებები და იმპულსები; იგრძნობა საბჭოთა ადამიანის სულის თავისებურება, რომელიც ჩვენი სოციალური სინამდვილის ნაყოფია. სიმტკიცის გამოსარკვევად, ტექნიკურ მასალას აფეთქებამდე ცდიან. მწერალიც ცდილობს, თავისი პერსონაჟები გამუდმებულ ცეცხლის ქურაში, უკიდურესად დაძაბულ ემოციურ სიტუაციებსა და თავსატეხ კონფლიქტებში გამოატაროს.

რომანში გვხვდება ხასიათის გამოსაკვეთად პერსონაჟის ჩვევის გაშარჟების შემთხვევები, ყურს ეხამუშება, მაგალითად, ლეოს აკვიატებული გამოთქმა „შექსპირმა თქვა“. პერსონაჟთა უმრავლესობას ნაწარმოებში მეტსახელითაც ვეცნობით („ჩასაბერი“, „ხატილეწია“ და ა. შ.), რაც ართულებს ორიენტირებას.

„ყაბახის“ სიუჟეტს კონკრეტული სინამდვილე ასაზრდოებს, მაგრამ ლიტერატურაში ყველაზე დიდი და აუცილებელი სითამამე გამოგონების სითამამეა. რომანში გაშლილ მოვლენათა სისტემით ლ. მრელაშვილი ხორცს ასხამს რთულ, აქტუალურ საზოგადოებრივ კონფლიქტებს, ხსნის გმირთა ხასიათებს მათს მოქმედებასა და საქციელში, ურთიერთდამოკიდებულებებში, წინააღმდეგობებში, სიმპათია-ანტიპათიებში, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ ლტოლვილებათა დაპირისპი-

რებაში, წარმოგვისახავს ცალკეულ ხასიათთა ზრდისა და ორგანიზების ისტორიას. აღტაცებას იწვევს ყოველი მინიატურული შედევრი, მაგრამ მომჯადოებელია რთული ანსამბლები, რომლებიც აურაცხელ ასეთ დეტალთა შერწყმა-გაერთიანებას, გამოუთვლელ კავშირურთიერთობებს შეიცავს, მაშასადამე, წარმოსახვის, ფანტაზიის უშრეტ ენერგიას მოითხოვს. ვერ გავიზიარებთ კომპარტივისტებისა და პრასიუჟეტისტების მოსაზრებას, თითქოს, ორიგინალური სიუჟეტი აუცილებელი არ იყოს, და, საერთოდ, აღარც კი არსებობდეს, რადგან სიუჟეტი, როგორც მხატვრული ქმნილების უნივერსალური კომპონენტი, როგორც სტილის მოვლენა, როგორც თხზულებაში გაშლილ მოქმედებათა მთლიანი სისტემა, განსაზღვრავს და განაპირობებს მთელი ნაწარმოების სულისკვეთებას, შინაარსს, ხასიათებს, ტონს, განწყობილებას, კილოს, კოლორიტს, თვით იდეას, ერთი სიტყვით, ყველაფერს. სიუჟეტს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე უკარნახებს მწერალს და სიუჟეტი თითოეული ნაწარმოების კონკრეტული სახეა, რომელშიც უშუალოდ გადადის იდეურ-ცხოვრებისეული შინაარსი.

„ყაბახის“ დიდი ღირსება მისი რთული სიუჟეტური აღნაგობაა, მაგრამ რომანს მრავალი განშტოება, ხაზი, ასპექტი, შესაბამისი კილო, ტონი გააჩნია და ჰარმონიულობის მიღწევა, რაც ყველა ამ მხარის, ყველა განშტოების, თვითეული ნიუანსის ერთ მხატვრულ-ზნეობრივ-მუსიკალურ წერტილში თავმოყრას გულისხმობს, ძნელი ამოცანაა. რამდენიმე სიუჟეტური ხაზი, მრავალი პლანი, კვანძები მხოლოდ მაშინაა სასიკეთო, როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ, აძლიერებენ, აღრმავებენ, — თუ ერთი მეორის კატალიზატორია, ხოლო თუ არც ერთი ჩაღრმავებული და შედუღაბებული არაა, მაშინ სჯობს, ერთი-ორი იყოს, სამაგიეროდ, ყოველმხრივ ჩაღრმავებული და განვითარებული. ამით უნდა აიხსნას, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ასობით, ათასობით რომანი გამოდის, კარგი რომანი კი თითებზე ჩამოსათვლელია. ძირითადი მიზეზი ნაწილებს, სიუჟეტურ-მუსიკალურ წერტილებს შორის ბუნებრივად შეხმიანებული კავშირურთიერთობის დარღვევა ან სისუსტეა. რომანში ჰარმონიულობის მიღწევა ამ უთვალავი ელემენტის გაცნობიერებულ, უმთავრესად კი, გაუცნობიერებელ, შინაგან მუსიკალურ ალღოზე დამყარებულ კონსტრუქციებს ემყარება. ეს ის სფეროა, რომელშიც ცნობიერ ჩარევასა და ლიტერატურულ შრომას სრულყოფის მიღწევა არ ძალუძს. „ყაბახში“ შეინიშნება გარეგნულ, სიუჟეტური დრამატიზაციისაკენ მიდრეკილება, ფსიქოლოგიური ჩაღრმავების ხარჯზე; სიუჟეტური პლანის მოქმედებათა მეტისმეტი დაყოვნების შემთხვევები (ვანკამ ღვინო სთხოვა გოდერძის, ვანკა ღვინისთვის მიდის მასთან, — ერთი ეპიზოდის ამ ორ ნაწილს ასორმოცდაათი გვერდი აშორებს ერთმანეთისაგან). თუმცა, ამ რომანს, საერთოდ, მკაფიოდ ეტყობა ავტორის გაფაციცებული თვალი, მოვლენებისადმი აქტიური კონტროლი, ამბების მტკიცე თანმიმდევრობისადმი მუდმივი ყურადღება, სიტუაციების შექმნისა და შესაბამის სიტუაციაში მთავარ პერსონაჟთა ხასიათის გამოვლინების ალღო.

პროზა ქსოვილიაო, ამბობენ, — ქსოვილის ღირსება კი სიმკვრივე და სინატიფეა. აღწერის სიზუსტე თავისთავად საგნის უნივერსალურ ცოდნას მოითხოვს. „ყაბახში“ ამ თვალსაზრისითაც არა ერთ და ორ ოსტატურად შეძერწილ ადგილს ვიპოვით; ავტორს უნარი შესწევს მკაფიოდ წარმოგვიდგინოს სურათი, ბუნებრივად გამოავლინოს პერსონაჟებისა და მოვლენებისადმი ყოველ შეცვლილ ვითარებაში თავისი იუმორისტული, ირონიული, სარკასტული, ზეიმური, სევდიანი და ა. შ. დამოკიდებულების კილო (რა დასამალია, ზოგიერთი ქართული რომანის მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ ავტორი ვერ გრძნობს საკუთარი ნაწარმოების ტონს).

თანამედროვეობის სულისკვეთება, დღევანდელი ადამიანის საქმიანი, რაციონალისტური, ცოტა სკეპტიკური ბუნება, მოვლენებისადმი სწრაფი და კრიტიკული რეაქცია მოითხოვს საქმიან, შემეცნებითს, ყოველგვარ ზედმეტობისაგან განტვირთულ, ეკონომიურ, ბუნებრივად აღსაქმელ სტილს. ანგარიში უნდა გავუწიოთ, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არასოდეს დოკუმენტურ ჟანრს ასეთი მოწონება არ ჰქონია. ცრუ პათეტიკამ, სტილის ღვლარჭნილობამ ჩვენს მწერლობაში აღმოსავლეთიდან შემოაღწია, ამას კლასიციზმის დანალექიც დაემატა, თორემ პომპეზურობა, ხელოვნური აღმაღლებულობა, ავადმყოფური აფექტაცია, მაკვირია სიტყვამაძიებლობა მუდამ შეუთავსებელი იყო ჩვენი მწერლობის ეროვნული ხასიათისა და ქართველი კაცის ბუნებისათვის, ამასთანავე, არსებობს მარტივი სასაუბრო ენა, ყოველდღიური ამბების გადმოსაცემად საკმარისი, და ლიტერატურაშიც პარალელურად გვხვდება როგორც პათეტიკური, მოჭარბებულ გრძნობიანი, ღვლარჭნილი ნაწარმოებები, ისე მარტივი, გამოფიტული ენით, ყოველგვარ არტისტიზმს, ცხოველმყოფლობას, გამომსახველობას მოკლებული ენით დაწერილი ნაწარმოებები. ეს ის ბეწვის ხიდია, რომელიც ჭეშმარიტ ლიტერატურას სუროგატისაგან ჰყოფს.

„ყაბახში“ შესამჩნევია საგაზეთო, ნარკვევულ-დოკუმენტური სტილის ნაკადი. ეს, ჩემი აზრით, ღირსებაა. „საგაზეთო სტილის“ სიზუსტე და სინათლე მწერალს იცავს სიტყვამრავლობისაგან; საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საგაზეთო, კანცელა-

რულ ენას ფლობერი. საგაზეთო-ნარკვევული სტილი თავიდან გვაშორებს მანერულობას, გაპრანჭულობას, მკაფიოდ ავლენს ნაწარმოების ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირსებებს. ლ. მრელაშვილმა უთუოდ იცის ყველაფერი ეს, მისი დიალოგები და მსჯელობები გვიჩვენებს, რომ სათქმელი საფუძველშივე ლიტერატურულადაა შენივთებული და გაპრიალება კი აღარ ესაჭიროება, არამედ საქმიანად, ზუსტად გადმოცემა. ამიტომ სტილი შინაარსს ხელოვნურად მორგებული კი არაა, არამედ საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს. ეს თავდაჯერებული, საქმიანი თხრობა ავტორს საშუალებას აძლევს, ფხიზლად შეიგრძნოს, გააანალიზოს მოქმედების განვითარება და ამისდაკვალად, ყოველ სიტუაციაში მიმოხაროს თხრობის კილო, ფრაზის სტრუქტურა. მწერალი ცხოვრების ნათელი მიმომხილველის როლში გვევლინება. მაგრამ ყველგან ასე როდი არის; ალაგ-ალაგ, კერძოდ, დასაწყისში, „ყაბახის“ აღმაღლებული სტილი ყალბ პათეტიკაში გადადის, ავტორს ხელიდან ეცლება ვითარების კონტროლი, თხზავს, შეუცნობლად რემინისცენციებს ნებდება. სესხულობს, „ძალიან სერიოზული“ ხდება, რაც ზიანს აყენებს „ყაბახს“. გაადევნეთ აღმაღლებულ ამბებს ჩუმი ირონიული ღიმილი, ოდნავ დამცინავი რეპლიკა! უზომოდ აღტაცებული განწყობილება ყველაზე შეუფერებელი მდგომარეობაა შემოქმედისათვის.

„ყაბახში“ ძალიან მომწონს სინამდვილის ცოცხალი შეგრძნება, ლოკალური, ნიუანსური გადახვევები — ფიქრის გაელვებით, რისამე ყურმოკვრით, მოულოდნელი შეხებით. ლ. მრელაშვილი ოსტატურად იყენებს სხვისი სიტყვით დახასიათება-გადმოცემის ხერხს, განსაკუთრებით „წამოძახებას“. შთამბეჭდავია, მაგალითად, კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ნიკო და თედო ერთმანეთს რომ ქარაგმულად წამოსძახებენ თავთავიანთ ცოდვებს (თითქმის მთელ ბიოგრაფიას). კონტრაპუნქტის საინტერესო გამოვლინებაა საჩოთირო ვითარებებში სიტყვის ხელოვნურად ბანზე აგდება, ფსიქოლოგიური დისონანსები და ექსტრამოულოდნელი შედარებები. დაჩაგრულის გამოქომაგებისთვის შავლეგოს ფერდები დაულეწეს, რასაც მოსდევს რეპლიკა: „სად არის ახლა „დონ-კიხოტის“ ბალზამი!“ რაიკომის მდივანს ვარდენმა დიდი კაცის, სოფრომიჩის საპროტექციო წერილი გადასცა; ახლა მას სხვა გზა აღარ აქვს, უნდა დააწინაუროს, — თავი ასწია და ვარდენს შეხედა, „ახლა შეამჩნია, რომ უზარმაზარი ყურები და გადმოკარკლული თვალები ჰქონდა“; ცხენების თათბიზე ნიკოს უსიამოვნო საუბარი აქვს შავლეგოსთან, ბოლთას სცემს, „უცებ შედგა და გაკვირვებით დააცქერდა რუკაზე ცხენის ყურივით აცქვეტილ სომალის ნახევარკუნძულს“ და სხვ.

დასამახსოვრებლად ხატავს ლ. მრელაშვილი შრომის სურათებს; მგონი, არსად წამიკითხავს ისე ძარღვიანად, ქართველი ქალის გამრჯელობის პათოსით, შრომის პროცესის ამსახველი ქართული მეტყველების ისეთი სიზუსტით დაწერილი სურათი, როგორიცაა მკის ეპიზოდი „ყაბახში“. ჩემი დაკვირვებით, ყოველ ნაწარმოებს გააჩნია საკუთარი შინაგანი პრეტენზია, რომელიც მჟღავნდება არა მარტო წერის მანერასა, ტონსა და ჟანრის არჩევაში, არამედ მხატვრული განსახიერების ყველა ასპექტში; ეს გარემოება გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის ხარისხზე, დამაჯერებლობაზე, მკითხველის განწყობაზე. ძნელი გამოსაცნობი როდია, ავტორი მართლა თავისი ხმით ლაპარაკობს თუ განზრახ იბოხებს ხმას. ნაწარმოები სასიამოვნოა, როცა ეს შინაგანი პრეტენზია ფაქტიურ ღირსებებს შეესატყვისება და საზიზღარია, როცა პრეტენზია დიდად გადაჭარბებულია. ეს არის, მე ვიტყოდი, ლიტერატურული თავმდაბლობა, თავისებური ლიტერატურული მოკრძალება, ხოლო მოკრძალება ყველას და ყველაფერს უხდება. მათ შორის, ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც. თავმდაბლისა და მოკრძალებულის ნაკლიც შეუმჩნეველია, ასეთია ადამიანის (მკითხველის) ბუნება. ყველაზე დიდი კონფუზი პრეტენციოზულად, ორიგინალობის პოზით, ჰიფხვით, საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენით შექმნილ ნაწარმოებებს განუცდიათ. „ყაბახის“ შინაგანი პრეტენზია სავსებით შეესატყვისება მის იდეურ-მხატვრულ ავკარგს, რაც. უწინარეს ყოვლისა, გამოვლინებულია უბრალო, მშვიდ, ეპიურ თხრობაში; ლ. მრელაშვილს მკითხველთან, საზოგადოებასთან გულითადი ურთიერთობის, საქმიანი გასაუბრების მეტად მომგებიანი კილო აქვს გამოძებნილი. ეს ნიშნავს, რომ სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულება, ხედვისა და განცდის ხასიათი ორგანულად ვერ იგუებს მაღალფარდოვნებას, როგორც უკვე ვთქვით, ამიტომაც გასაკვირი და სამწუხაროა, რომ „ყაბახში“ ზოგიერთი სცენა გადაჭარბებულ პათეტიკურობამდეა მისული, რაც, ერთგვარ სტილურ ეკლექტიზმს იწვევს, სტილურ ჰარმონიაში დისონანსი შეაქვს.

ლ. მრელაშვილის რომანში დამაინტერესა გამთლიანებული თხრობის ტენდენციამ, რადგან ქართული რომანის ერთ პრინციპულ ნაკლად მიმაჩნია ნოველა-ეპიზოდების კონსტრუქცია („ეპიზოდობანა“), როცა ერთ რომელიმე პერსონაჟს ან ამბავს მთელი ეპიზოდი ეძღვნება, მიუხედავად იმისა, შეძერწილია თუ არა ის ძირითად სიუჟეტთან. ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია, რომ ეპიზოდები ახშობენ მოქმედების განვითარებას. ამ კომპოზიციურ ხერხს, უმთავრესად, სიადვილისათვის მიმართავენ და კონსტრუქციის ეს იოლი გზა რომ არ არსებულიყო, დარწმუნებული ვარ,

ბევრი ავტორი საერთოდ ხელს აიღებდა რომანების წერაზე; მაგრამ სიადვილე ამ შემთხვევაში უვარგისობის მაჩვენებელია; ასეთი კომპოზიციური წყობა ვერასოდეს ვერ ასახავს ცხოვრების შემჭიდროებულ, კონცენტრირებულ, მრავალფეროვან შინაარსს თავის ორგანულ მთლიანობაში, მაშასადამე, ვერ უზრუნველყოფს ჰარმონიულობას, ვერ გამოიწვევს ყოვლისმომცველ, ღრმა ემოციებს.

ქართულ პროზაში არც ერთი მხატვრული კომპონენტი ისე იგნორირებული არაა, როგორც თხრობის სიმჭიდროვე; ზოგჯერ, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ავტორები სიხშირის ლოგიკას, საერთოდ, ვერ გრძნობენ და მექანიკურად, ავტომატურად მოქმედებენ, — იმის მიხედვით, თუ სად შემოაკლდებათ ქსოვილის საფენელი და სად უხვად მოჰყვებათ ხელში, რა იციან და რა არ იციან, ან რა მეტნაკლებად იციან. ასეთი შემთხვევითობა იწვევს დაწვრილებითს აღწერებს, წვრილმანების გამოდევნებას ან, პირიქით, — „დეპეშის სტილს“, დაკონსპექტებულ, აქსესუარებისაგან განძარცულ ქსოვილს. ასეთი „საჰაერო ორომები“ არღვევს ჰარმონიულობას, აქუცმაცებს შთაბეჭდილებას. ანკი რა სასიამოვნოა, მოსაუბრე რომ ხან ნერვების ამშლელი გაჭიანურებით ჰყვებოდეს დაჩქარებული მოქმედების რომელიმე დეტალს, ხანაც, უცებ, იქ, სადაც სწორედ დაწვრილებითს აღწერას მოველით, სხაპასხუპზე, კონსპექტურ სიმეჩხერეზე გადადიოდეს!?

ამ უაღრესად პრინციპულ საკითხზე „ყაბახის“ მიმართ საყვედური არ გვეთქმის, მაგრამ სიხშირის ლოგიკის დარღვევის შემთხვევებისაგან არც ის არის დაზღვეული. თუ წიგნის ზოგიერთი თავი, ეპიზოდი, პასაჟი უკიდურესი სიხშირით. უწვრილესადაა ნაქსოვი და გამოხშირვა ესაჭიროება, ზოგან აშკარად იგრძნობა ხელის აჩქარება, „თვლების ჩავარდნა“, აქა-იქ — „საჰაერო ორმოებიც“ და აუცილებელია „შეთესვა“. „ნიკომ ყვითელ კანზე შავწინწკლებიანი ჭერამი აიღო ბადიიდან, შუა გახლიჩა, კურკა ცარიელ თეფშზე ისროლა, ნაპობები — პირში“ და ა.შ. ამ დინამურ წერტილზე არაფრით არ არის გამართლებული ასეთი „წვრილი ქსოვა“. ეს მრავალსიტყვაობაა, მაშინ როცა ზუსტი და სხარტი გამოთქმებია საჭირო. იმის მაგალითებიც გვაქვს, რომ, როცა უფრო დაწვრილებითი აღწერაა საჭირო, მწერალი დეპეშის სტილზე გადადის. კინემატოგრაფიული ტიტრების სიხშირე პრინციპულად უარსაყოფი კი არ არის, არამედ ნაწარმოების საერთო სიხშირეს უნდა ეხმიანებოდეს.

მხატვრული ლიტერატურის ყველა ჟანრის გამაერთიანებელი თვისება მათი პოეტურობაა. ხელოვნების ჭეშმარიტი ძეგლი მსუბუქ სიხარულს, ნაღვლიან აღმაფრენას იწვევს. ეს განწყობილება ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზე თან მიგვყვება. ამ გრძნობას ილიამ „ქროლა პოეზიისა“ უწოდა და „პოეზიის მადლს“ დაუკავშირა, რომელიც ხელოვანის აქ, ტალანტის ფაქტიური სინონიმია. რა ჰქვია ამ გრძნობას? საიდან მოდის ეს საოცარი „ციური ნიჭი“? შეიძლება თუ არა მისი ახსნა? ეს, ალბათ, სამყაროს ერთ-ერთი საიდუმლოებაა. პოეზია ფრთამსუბუქი უნდა იყოსო, ამბობდა პუშკინი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნაწარმოებში ყველაფერი უნდა იყოს და ყველაფერი არ უნდა იყოს; უნდა რჩებოდეს რაღაც ამოუცნობი, უსაცნაურო, ძლივს მისაწვდომი, რომელსაც ყველა თავისებურად წარმოისახავს და აღიქვამს, საკუთარი ბუნების მიხედვით, — რომელიც სამყაროზე ნაღვლიან სიხარულს, ჩაფიქრებას იწვევს. მასალის მოჭარბება, გაჭიანურებული აღწერები და აბსოლუტური სინათლე ამ გრძნობას აჩლუნგებს. სინათლე მხოლოდ ერთი ასპექტია ხელოვნებისა, ხოლო მეორე, არა დაპირისპირებული, არამედ მასთან დაკავშირებული ასპექტი, პოეტური უსაცნაურობა, „ქროლა პოეზიისა,“ ჩვეულებრივი არაჩვეულებრიობაა. ხელოვანი, რომელიც მხოლოდ მომხმარებლისთვის ჰქმნის და ჰგონია, რომ მომხმარებელი გონებაჩლუნგია და, რათა გააგებინოს მას, ყველაფერი დაწვრილებით უნდა განუმარტოს, დაუღეჭოს, ხელოვანი არ არის, რადგან სხვა, აზრშეუვლები კონტაქტების არსებობას ინტუიტურად ვერ გრძნობს. უმგრძნობიარესი ალღო კარნახობს შემოქმედს იმ „ციურ მინიშნებებს“, რომლებიც სინამდვილისა და წარმოსახვის ზღვარზე კრთიან და რომლებიც ერთდროულად ნათელნიც არიან და ბუნდოვანნიც და რომელთა ჩუმი წვდომა და ჩუმი შეხება გვანიჭებს ხელოვნების ჭეშმარიტ სიხარულს.

„ყაბახის“ ავტორს გააჩნია ხელოვანის ეს უპირველესი მადლი. ამ რომანის კითხვისას მკითხველს თან მიჰყვება უსაცნაურობის გრძნობა, ინდივიდუალური აღმოჩენების მსუბუქი სიხარული, „წუთის გრძნობანი“, რაც, უმთავრესად, სხვადასხვა ხილვადობისა და განათების სიუჟეტური პლასტების სიმდიდრითაა მიღწეული, მაგრამ, საერთოდ, ეს ნაწარმოები მაინც ძალიან გამჭვირვალეა. აღწერების კაშკაშა შუქზე ყველა დეტალი ისე მკაფიოდ მოჩანს, რომ მკითხველს მაინც ცოტა რამ რჩება მისაგნები, საგულისხმო, შემაკრთობელი. მაგრამ „ყაბახს“ რას ვერჩით. ეს ჩვენი პროზის საერთო ნაკლია; უფრო თამამად მივენდოთ მკითხველის გულსა და ფიქრს: მკითხველი თანაშემოქმედია. ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ კ. ბატიუშკოვის ცნობილი სიტყვები:

«О память сердца! Ты сильней рассудка памяти печальной».

ახლა ხშირად იხსენებენ ჰერაკლიტეს ცნო-

ბილ მაქსიმს: „ფარული ჰარმონია უმჯობესია, ვიდრე ნათელი“. ამას წინათ ერთ-ერთი, რუსი კრიტიკოსი სამართლიანად მიუთითებდა, რომ აბსოლუტური გარკვეულობა ხელოვნებაში იგივეა, რაც შპარგალკა გამოცდაზე, რომელიც თვითდაცვის ინსტინქტით, გულის გასამაგრებლად შეაქვთ.

ლ. მრელაშვილის რომანი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს ქართული სიტყვის ბუნებრივი, ლაღი მიმოხრით, ჩვენი დედაენის იმ დალოცვილი სურნელებით, საუკუნეთა მანძილზე აღმოცენებული კოლორიტით, რომელსაც ვერც ისწავლი, ვერც გამოიგონებ, ვერც ინათხოვრებ, თუ დაბადებითვე სისხლ-ხორცსა და სულში არ გაქვს გაზავებული, რაც ზოგიერთ მწერალს დიდი ჯახირით ეძლევა და რასაც ამ ნაჯახირევის კვალი ზედ ამჩნევია (პლუს ათასი საეჭვო სტილისტისა და რედაქტორის შენაწევარი!), „ყაბახის“ ავტორს სიცოცხლესთან ერთად აქვს მომადლებული. ეს არის ბარაქიანძარღვიანი, თვთნაბადი ქართული ფრაზა. აბა, ერთი დავფიქრდეთ, რომელი გრამატიკის სახელმძღვანელო, ლექსიკონი ან რედაქტორი დაგვეხმარება, მაგალითად, ასეთი ფრაზის შექმნაში: „ო, რა გოგოა, ეგრე კარგი საიდან რას გამოვა ადამიანის შვილი!“ ასეთი ემოციური, მღელვარე, ტკივილიან-სიხარულიანი, ნახევარტონებით, ნაირფერი ნიუანსებით დაყურსული ენითაა მთელი ეს რომანი დაწერილი და სხვა რომ არა იყოს რა, ამის გამოც უნდა გახდეს და უსათუოდ გახდება ქართველი მკითხველის სამაგიდო წიგნი. ბევრი მწერალი არ მეგულება, რომ ასე კარგად გრძნობდეს ქართული სიტყვის ადგილს, ასე ზუსტად გამოხატავდეს აზრსა და გრძნობას. დაუშრეტელი ჩანს მწერლის ლექსიკური ფონდი. „ყაბახი“ იმასაც გვიჩვენებს, რომ ქართული ენა განუწყვეტლად ვითარდება, მდიდრდება ახალი სიტყვა-გამოთქმებით, მიმოხრით და მისი ჭეშმარიტი შემოქმედი ხალხია. ბევრ მადლიან სიტყვა-გამოთქმას ვხვდებით ამ რომანში, ძირითა და ფესვით თავის ადგილზე დარგულს, რის წყალობითაც, ნათხოვარივით თვალში კი არ გვეჩხირებიან, არამედ მოკრძალებით ციმციმებენ. ბევრ მივიწყებულ სიტყვას აუხელია თვალი, სიბნელიდან სინათლეზე გამოსულა. ხშირად, ლ. მრელაშვილი ერთი მოულოდნელი რეპლიკით, ცინცხალი გამოთქმით გვიხასიათებს ვითარებას ან პერსონაჟს („იგრე ირჩევა დანარჩენ გოგოებისგან, როგორც კრიკინასაგან რქაწითელი“; „ჩემი ხელობა გაუჭრელი საზამთროა“ (კუპრაჭა); „მიდით, ვინა თქვა, არსენა მოკვდაო!“ „ძარღვებისაგან მოქსოვილი გამხმარი მარჯვენა გაიწოდა“; „ბუხჰალტერს ორი ქამარი გადაება ერთმანეთზე და ისე ერტყა წელზე“; „ნიკო უკან დაიწია და ისეთი გადაიხარხარა, გეგონებოდათ, ქვით დატვირთული თვითმცლელიააყირავესო“; „ნამგლის ფხაზე შეუჭრია მკათათვის ბულიანი დღე“; მეველის თოფზე: „ის დალოცვილი იმსიგრძე იყო, ერთი ინდაური თავისი [illegible] არხეინად მოთავსდებოდა“; „[illegible]ში გადმოვედი და თითქოს ნაწლავი ნაწლავს აბიაო, აქაც გადმომყვა“ (კუპრაჭა რედაქტორის შესახებ); „გაგიდვია ქოჩორი მხარზე და დადიხარ ყალაღინად!“ „კაცი იმ სიმაღლე ხარ, დილით რომ ხელი გკრან, საღამოთი ძლივს წაიქცევი!“ „სულს სტაფილოსავით ამოგაძრობ!“ „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის“. „ჭყანტობში ხომ არ იდექი, სად გაიზარდე ეგეთი!“ „მამას ისე ჰგავს, გეგონება, პირიდან წამოჭვარდნიაო!“ და ა.შ.).

მახვილი, ფრთიანი, ტექსტთან ორგანულად დაკავშირებული აფორისტული გამონათქვამები, ანდაზები, მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობის ელემენტები კი არაა, არამედ ფრიად მაღალი ღირსების, აუცილებელზე აუცილებელი სამშენებლო მასალაც, უნიკალური კონსტრუქციული თვისებების მქონე ელემენტი. ისინი ისეთი მყარი ბოძებია, რომლებზედაც შენობის დიდი მონაკვეთი შეიძლება ამოვიყვანოთ. უამსაყრდენებოდ, უამოაზისებოდ ვრცელი პასაჟები გადატრუსულ უდაბნოს დაემსგავსებოდა („ჭრილობას ქათმის ნისკარტი კი არა, ძაღლის ენა უნდა“: „ბაყაყი წყლის პირას იმიტომ ცხოვრობს, რომ უნდა შიგ ჩავა, უნდა მშრალზე გამოვა“; „შორიდან ცულის ქნევით ხე არ წაიქცევა“ და ა.შ.). მაგრამ ენობრივ-სტილურ ხინჯს „ყაბახიც“ ვერ ასცდენია. არის აქ ხელოვნური ფორმები, უტაქტო გამოთქმები, სიტყვიერი ეგზოტიკა, ნაძალადევად გადაკეთებული აფორიზმები („ვარლამმა მჭექარე ხმით მუხრანბატონს მიაკითხა“, „ქვიშისფერჯაჭვიანი ხევსურები“; „შავლეგო დაიხარა, კოხტა ცხვირის წვერზე აკოცა რუსუდანს“; „სიცილისაგან წამოსულ ცრემლებში ცხვირსახოცებს ალბობდნენ ქალები“ და ა.შ.). ზოგჯერ ავტორი არ ენდობა უბრალო, უპრეტენზიო სიტყვა-გამოთქმებს („თვალში ღიმილჩამდგარმა გაიცინა“; „არა დრკებოდნენ მაინც ქათმები“; „მოედანმა კისერი დაძგიბა“: „ხალხმა თანაგრძნობის გმინვა ამოუშვა“; „შვიდი ათასმა ყელმა (!) აღტაცებით დაიხუვლა“). შეიმჩნევა ენამახვილობის საშიშროებაც („სუფრის დასაწყისში ღვინოს მიძალებული, ხოლო სუფრის დასასრულს ღვინო მოძალებული შეყვარებულს“).

სრულყოფილი ნაწარმოები საერთოდ არ არსებობს. ჰორაციუსს უთქვამს, ხანდახან ღვთაებრივ ჰომეროსსაც წაეძინებაო, „ყაბახის“ ნაკლოვანებები, უმთავრესად, ლიტერატურული ტექნიკის სფეროშია საძიებელი. ტექნიკური დაუხვეწაობა საერთოდ ვნებს ბევრ ჩვენს კარგ ნაწარმოებს. მხედველობაში მაქვს არა მარტო ფრაზის დახვეწა („მანამდე ეფერე ფრაზას, სანამ არ გაიცინებს“), სიტყვა-გამოთქმების

ოპტიმალური შერჩევა (ყველაფერი არის, რაც აუცილებელია, და არაფერი არ არის, რაც აუცილებელი არ არის), არამედ, განსაკუთრებით, ზედმეტი ეპიზოდების, პასაჟების, დიალოგების და ა.შ. ჩამოცილება. პირადად იმ პრინციპს ვიზიარებ, რომ მწერალი რაც შეიძლება მეტს უნდა შეელიოს სწორებისას. ფრთხილად უნდა ვშლიდეთ, მაგრამ წაშლა არ უნდა გვეზარებოდეს. მწერალი ის კი არ არის, ვისაც წერა შეუძლია (წერა ძალიან ბევრს შეუძლია), არამედ, ვისაც საკუთარი ნაწერის გაუმჯობესების უნარი შესწევს. აქ ვგულისხმობთ არა მარტო ენობრივ-სტილისტურ სწორებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კომპოზიციაში სინათლის შეტანას, მოქმედების დაჩქარებას, დეტალების შეძერწვას, ხარვეზების შევსებას და ა.შ.

მე გულისტკივილს მგვრის „ყაბახის" რამდენადმე ტექნიკური დაუხვეწაობა. გულისტკივილს იმიტომ, რომ ეს რომანი ძალიან მომეწონა, თანამედროვე ქართული პროზის ღირსშესანიშნავ მოვლენად მიმაჩნია; თითქმის ყველაფერი, რაც შემოქმედებითი ხასიათისაა, შესანიშნავადაა განხორციელებული და მხოლოდ იმ მიზეზით, რომლის გამოსწორება ძნელი აღარაა, ნაწარმოები რაღაცას კარგავს. ყოველივე ძვირფასი გაცხრილვის შედეგად მოიპოვება. „ყაბახს" იმდენი ღირსება აქვს, რომ ის თვითონ მიგვითითებს, რა არის ზედმეტი. ზოგიერთი ეპიზოდი თავისთავად შეიძლება დიდებულიც იყოს, ყველასაც კი სჯობდეს, მაგრამ საერთო კონსტრუქციიდან გამოთიშულობის გამო, რომანის საშენ მასალად არ გამოდგეს. ზედმეტად გვეჩვენება სხვადასხვა აზრის საილუსტრაციოდ მოტანილი არაკები და ანეგდოტები. ისინი შორდებიან რომანის მთავარ არხებს: დიდი ადგილი უკავია რომანში ეთნოგრაფიულ აღწერებს (თუშ-ფშავ-ხევსურების ჩაცმა-დახურვა და სხვ.). ჩემი აზრით, ზედმეტია ქეიფების, ქორწილების აღწერა, თუ ამას სიუჟეტის განვითარება კატეგორიულად არ მოითხოვს; ასევე სავალდებულო არაა ყოველი თავი პეიზაჟით ან რაღაც ზოგადი სურათით იწყებოდეს. შეიძლება შეველიოთ საბედასთან ქეიფის სცენას, შავლეგოსა და ლექსოს მოგზაურობას, გოდერძისა და ვანკას დიალოგებს, ალევანელი მეცხვარის ინტერვიუს, თამაზის დაჭრევას, თევზაობასთან დაკავშირებულ თავგადასავლებს, „ფრაუს" ეპიზოდებს, მიხას შეშინებას, ექიმ სანდროს თავგადასავალს და ზოგიერთ სხვა ადგილს.

როცა ასეთი ვრცელი, დამაჯერებელი, ცოცხალი მხატვრული ტილო არსებობს, მისი გაუმჯობესება ძნელი აღარაა, მაგრამ ამოდენა რომანის ტექნიკურ სრულყოფას მაინც დიდი დრო ესაჭიროება.

დასანანია, რომ ზოგიერთი ავტორი, რაც ერთხელ დაუწერია, სამუდამოდ ხელუხლებლად ტოვებს. „ყაბახის" ახალი გამოცემის წინა გამოცემასთან შედარებამ დამარწმუნა, რომ ლ. მრელაშვილს სერიოზული ცვლილებები შეუტანია თავის რომანში და ამის შედეგად მეტად თვალსაჩინო წარმატებისათვის მიუღწევია. აქაც ნათლად ჩანს დაკვირვებული ოსტატის ხელი, მაღალ დონეზე სწორების უნარი. ჩემი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოების ახალ-ახალ გამოცემათა ძირითადი მიზანი. ახალ ნაწარმოებებზე მუშაობასთან ერთად, მწერალი მუდამ უნდა პოულობდეს გარკვეულ დროს ადრინდელი თხზულებების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. თუ მწერალი ლიტერატურის ტექნიკოსიც არ არის, და „მხატვრული შრომის" მნიშვნელობა არ ესმის, სრულფასოვანს ვერაფერს შექმნის.

მკითხველთა ახალ-ახალ ნაკადს „ყაბახი" წარმოუსახავს თანამედროვე სოფლის წარმატებებსა და სიძნელეებს, დღევანდელობის საჭირბოროტო მოვლენებს, მწვავე მორალურ პრობლემებს; განუმტკიცებს სოციალისტური საზოგადოების მშენებელთადმი პატივისცემას, გამარჯვების რწმენას. როგორც მხატვრული მატიანე, „ყაბახი" დროის საკმაოდ ცოცხალ და მართალ ინფორმაციას შემოუნახავს მომავალ თაობებს.

ასეთ ნაწარმოებებს არ ეშინიათ La. Conspiration du Silauce, — ლიტერატურის ისტორიაში მათ საკუთარი ადგილი განალდებული აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მაჭავარიანი

# იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში, რუსული წიგნების დამუშავების დროს, წავაწყდი ერთ წიგნს: «Осипов В. Домашняя библиотека», წიგნი გამოცემულია მოსკოვში 1959 წელს. ავტორი მოგვითხრობს წიგნის დიდ მნიშვნელობაზე, მოგვითხრობს თუ როგორ უნდა შეგროვდეს ოჯახში ბიბლიოთეკა, ვინ როგორ აგროვებს წიგნებს და ვინ რა თქვა წიგნის შესახებ. ჩვეულებრივად ის წიგნი შეუმჩნევლად ჩაივლიდა, მაგრამ თავფურცელზე ი. გრიშაშვილის ხელით წერია: „ჩემზე — გვ. 59". მითითებულ გვერდზე გადმობეჭდილია გაზ. «Комсомольская правда»-დან წერილის ნაწილი, რომლის ავტორი, ი. გრიშაშვილი, ეხება თავის ბიბლიოთეკას. გაზეთს წერილი დაუბეჭდია 1958 წლის 21 მარტს, იმ დღეებში, როდესაც მოსკოვში ქართული ხელოვნების და საერთოდ ქართული კულტურის დეკადა მიმდინარეობდა. წერილის ქართული დედანი ჯერ-ჯერობით არ ჩანს, ამიტომ გავბედე, ჩემ თავს ნება მივეცი, და ეს საყურადღებო წერილი გადმოვთარგმნე. მაპატიოს ი. გრიშაშვილმა ეს მკრეხელობა. წერილის ტექსტი ასეთია:

„მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი  მ ე გ ო ბ რ ე ბ ი".

როდესაც მე, თბილისის მკვიდრი მცხოვრები, გავყვები მშობლიური ქალაქის ქუჩებს, იცით რა ათბობს ჩემს გულს? კაშკაშა მზე კი არა! მათბობს გულითადი ღიმილი, რომლის საპასუხოდ ქუდს ვიხდი, მრავალ ნაცნობსა და მეგობარს ვესალმები.

დიდი რამ არის მეგობრობა ადამიანისა ადამიანთან! ამ გრძნობას დიდად ვაფასებ, ნუგეშსა და სიხარულს მასში ვპოულობ. მე კიდევ მყავს მეგობრები, მათ ვერ შევხვდები გზაში, მათ არ იციან გაღიმება, ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრულნი მდუმარედ დგანან ისინი გრძელ თაროებზე და ნათურების მკრთალი შუქი ლიცლიცებს მათ ღია და მუქ ყუებზე. ესენი არიან წიგნები, ჩემი მეგობრები!

პირველად მათ გავეცანი მაშინ, როდესაც ფეხშიშველა ბიჭი დავრბოდი თბილისის გარეუბან — ხარფუხში. მას შემდეგ, ყოველ თავისუფალ მანეთს ვხარჯავ ჩემი ბიბლიოთეკის შესავსებად.

ბევრი რამით ვარ დავალებული ჩემი მეგობრებისაგან, ძნელია ამის ჩამოთვლა. მეცნიერებას ვეცნობოდი თვითსწავლებით, წიგნების საშუალებით. წიგნების საშუალებით გავიცანი ჩემი ხალხის წარსული. წიგნები არიან საუკეთესო თანაშემწენი ჩემს მუშაობაში. ოდესღაც პირველი ხელფასი წიგნებმა მიმაღებინა. დავდიოდი ძველი თბილისის დუქნებსა და ბაზრებში და ვუკითხავდი წიგნებს მშრომელ ხალხს. მათ მოსწონდათ ზღაპრები დევებსა და მხიარულ ნაცარქექიაზე, ჩერჩეტა ვაჭრებზე და ჭკვიან გლეხებზე. მსმენელებისაგან კი საჩუქრად სპილენძის შაურიანებს ვღებულობდი. იმ წიგნებს რომლებითაც დავეხეტებოდი ქალაქში, მოემატა მრავალი ახალიც. დღეს, ჩემს ბიბლიოთეკაში 40. 000 ტომია. მათ შორის არის იშვიათი, უნიკალური. არის ძალზე ძველიც, არის ახალი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია სტამბის საღებავის სუნი.

შემობრძანდით ჩემს ბიბლიოთეკაში, შეხედეთ წიგნებს, თვითეულ მათგანზე გიამბობთ მთელ ისტორიას. აი, ისა და ის წიგნი მე ვიყიდე დიდიხნის წინ, ძველი თბილისის შაითანბაზარში, ესენი — კი, მე და ჩემმა მეუღლემ ლენინგრადში ვიყიდეთ, ქურქისათვის შეგროვილი ფულით. თაროს ბოლოში, აი, ის პატარა წიგნი, თვით ავტორმა მომიტანა, გულთბილი ნაჩუქრობის წარწერით. ძველი ალმანა-

ხი, 1908 წლის „ნიავი", მეფის მთავრობის კონფისკაციას გადავარჩინე, მაშინ კორექტორმა, მოვახერხე მისი გადანახვა.

დიახ, ბევრი რამის თქმა შეიძლება ჩემს წიგნებზე, მაგრამ ისინი თვითონაც მშვენიერი მთხრობელნი არიან, გადაშლი რომელიმე მათგანს და მისი გვერდები, ლექსის ზუსტი ენით, პროზის რბილი პერიოდებით დაგელაპარაკებიან. წიგნები ლაპარაკობენ, შენ კი უსმენ, შენს გონებას ახალი აზრებით ავსებ, იმ ხალხის სულსა და გულს შეიგრძნობ, რომლის სახელითაც გესაუბრება ავტორი.

ჩემს ბიბლიოთეკაში, წიგნების უმეტესი ნაწილი საქართველოზე გვიამბობს, აქ თავმოყრილია თითქმის ყველა ქართული წიგნი 1709 წლიდან. ძველი ლიტერატურის ავტოგრაფული გამოცემები, XII საუკუნის საკარო პოეზიის ნიმუშები, მათ შორის უძვირფასესი მარგალიტი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ყველა გამოცემა, ყველა ენაზე. მეჩვიდმეტე საუკუნის ავტორები, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატორთა ბრწყინვალე წყება ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის მეთაურობით. თანამედროვე ავტორები ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. საბჭოთა ლიტერატურის უფროსი თაობის წარმომადგენლები: გალ. ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, ირ. აბაშიძე, გ. ლეონიძე, გრ. აბაშიძე, კ. გამსახურდია, შ. დადიანი, კ. ლორთქიფანიძე; უკვე სახელმოხვეჭილი პოეტები: ი. ნონეშვილი, ხუტა ბერულავა, ანა კალანდაძე.

დიდი სიამოვნებით ვსინჯავ ჯერ პატარას, მაგრამ ღრმა აზრებით და მხურვალე გრძნობებით სავსეს — არჩილ სულაკაურის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ოთარ ჭელიძის და მუხრან მაჭავარიანის ლექსების წიგნაკებს. დაე გამრავლდეს მათი წიგნები ჩემს ბიბლიოთეკაში!

ისევ ჩავუვლი წიგნების თაროებს და ზედმეტად ვრწმუნდები, რა დიდი გზა გაიარა ჩვენმა წიგნთბეჭდვამ. ჩემს მიერ შეგროვილ ქართულ გამოცემებში, დიდი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდისაა. არც არაფერია აქ გასაკვირი! 1913 წელს საქართველოში, ქართული წიგნი დაიბეჭდა 965.000 ცალი — 247 სახელწოდების, 1957 წელს კი 11.179.500 ცალი წიგნი 2070 სახელწოდების, ციფრები ლაპარაკობენ! და როდესაც ამას ვიგონებ, მინდა მოვახსენო უღრმესი მადლობა პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს, რადგანაც ისინი სათუთად ეპოპიავებიან ჩემი ხალხის უძველეს კულტურას და ხელს უწყობენ ახალის არნახულ აღმავლობას.

პოეტი-აკადემიკოსი
იოსებ გრიშაშვილი".

„წიგნები მეტყველებენ", ნათქვამია ამ წერილში, მართლაც, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის წიგნები ბევრ რამეს გვეუბნებიან, გვახარებენ არა მარტო იმით, რომ თაროებზე ვხედავთ მათ, არამედ გვესაუბრებიან თავისი პატრონის საყურადღებო მინაწერებით, ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით და ნაჩუქრობის წარწერებით. თაროდან გადმოვიღეთ რამდენიმე წიგნი და ვცადოთ მათი ალაპარაკება.

აქ მოხსენებული კრებული „ნიავი" იშვიათობას წარმოადგენს, მისი შინაარსი ასეთია: ია ეკალაძის — „ახალი ბატონები" მოთხრობა „ერთობის" დროიდან, შ. არაგვისპირელის — „მიჯაჭვული ამირანი", ივ. გომართელის — პიესა „განკითხვის დღე", ვაჟა-ფშაველას — „ღილა და კვირისა", თ. რაზიკაშვილის — ორი ლექსი „ავადმყოფი" და „ახალ თაობას", ცახელის — „საბრალო ბაბუა", თ. რაზიკაშვილის — „ქორის ბახალა", დუტუ-მეგრელის — „მალხაზბარელი" პოემა, კ. მაყაშვილის ლექსი — „სულის სალარო", დ. თომაშვილის ორი ლექსი— „სული ობოლი" და „ცის კიდურ..." ბოლოს ს. ყიფიანის პიესა „სოფელში".

კრებულისათვის თავფურცელი და კანი გაუკეთებია ი. გრიშაშვილს და თავფურცელზე დაუწერია:

„ერთად-ერთი ეგზემპლარი, ი. გრიშაშვილის საკუთრება — „ნიავი" (სალიტერატურო კრებული). კ. თუმანიშვილის გამოცემა, 1908 წელი. ეს წიგნი აკრძალულ იქმნა და სულ არ გამოსულა გასასყიდად. მე შევიძინე ცალ-ცალკე ფურცლებად ასოთამწყობ დ. კილაძის შემწეობით".

თავფურცელს, შიგნიდან ქინძისთავით მიმაგრებული აქვს ოთხი პატარა ქაღალდის ნაჭერი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით. ერთის ცნობით — ალმანახ „ძალა"-ში 1909 წლის № 6 დაბეჭდილი ყოფილა შემდეგი იუმორული შენიშვნა: „სიტყვა-კაზმულ მწერლობის კრებულ „ნიავი"-ს გამომცემელნი ბ. ბ. ივ. გომართელი, კ. თუმანიშვილი და სხვ. იუწყებიან, რომ ქართველმა საზოგადოებამ იმედი არ დაჰკარგოს — გამოზაფხულდება თუ არა, ჩვენი „ნიავიც" გამოვაო". მეორე შენიშვნით, ი. გრიშაშვილი მიგვითითებს თ. რაზიკაშვილისადმი მიწერილ თავის წერილზე (ამჟამად წერილი ინახება კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში), დაწერილი უნდა იყოს 1916 ან 1917 წ. ი. გრიშაშვილი ადრესატს თხოვს: „მინდა დავბეჭდო თქვენი ერთი ლექსი „ახალ თაობას", ეს ლექსი გადაცემული იყო დასაბეჭდად 1908 წელს ჟურნალ „ნიავში", დაიბეჭდა, მაგრამ ცენზორმა აკრძალა, ასე რომ გასაყიდად არ გამოსულა. თუ ნებას მომცემ გადავბეჭდავ. კარგი? მომწერეთ დასტური".

თ. რაზიკაშვილმა უპასუხა „დასტურით" (პასუხი დაცულია ი. გრიშაშვილის არქივში), მაგრამ შემდეგ სად დაიბეჭდა ეს ლექსი, ვერ მივაგენით.

ყველაზე საყურადღებო ბიბლიოგრაფიულმა ცნობამ, ი. გრიშაშვილის მიერ მითითებულმა, მიგვაგნებია ამ კრებულის შესახებ, გაზეთ „ამირანში“ 1908 წ. 3 ოქტომბერს დაბეჭდილ ახალ ამბავს, რომ „დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა კრებული „ნიავი“-ო. აქვე შინაარსის სარჩევია. შევადარეთ და გამოირკვა, რომ ი. გრიშაშვილის მიერ შემონახულ ცალს აკლია დ. კლდიაშვილის ორი მოთხრობა: „კნიაზი პეტრე“ და „მშობლის ნუგეში“ გვ. გვ. 43 — 52. აღსანიშნავია, რომ 1952 წ. გამოცემულ დავით კლდიაშვილის მოთხრობათა პირველ ტომს დართული აქვს შენიშვნები, სადაც აღნიშნულია ამ მოთხრობების დაწერის თარიღად 1910 — 1911 წ. წ.

როგორც ეტყობა, მეფის ცენზურას აუკრძალავს კრებული „ნიავი“, სხვათა შორის, ია ეკალაძის მოთხრობის შესავალის გამო, სადაც გარკვეულად, მთავრობის საწინააღმდეგო აზრებია გატარებული. საერთოდ, ამ კრებულში ხშირად ლაპარაკია „ერთობაზე“, „ახალ თაობაზე“ და ა. შ. დასაშვებია აგრეთვე ისიც, რომ ცენზურამ ყურადღება მიაქცია დ. კლდიაშვილის მოთხრობას „მშობლის ნუგეში“. ამ მოთხრობაში გამოყვანილია ცნობილი საზოგადო, მოღვაწე ეფრო კლდიაშვილი, რომელიც დატირის თავის შვილს დოცენტ ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილს, ოდესაში მოკლულს, შავრაზმელების მიერ 1905 წელს. ამ შემთხვევის გამო დაწერილ მოთხრობას, სადაც არსებული წესწყობილების ძაგებაა და უკეთესი დროის მოლოდინი, რასაკვირველია მეფის ცენზურა არ გაუშვებდა.

მაშასადამე, ი. გრიშაშვილის მიერ შემონახული კრებული „ნიავი“ შესაძლებლობას გვაძლევს დავით კლდიაშვილის ორი მოთხრობის დაწერის თარიღათ მივიჩნიოთ 1908 წელი და არა 1910—11 წ. წ., როგორც აქამდე ფიქრობდნენ.

კრებული „ნიავი“ მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას.

ზემოთ დასახელებულ წერილში, როგორც მოგახსენეთ, ი. გრიშაშვილი ამბობს, რომ „ჩემი ბიბლიოთეკის წიგნები თვითონაც მშვენიერი მთხრობელნი არიანო“. ავალაპარაკოთ კიდევ ერთი ქართული წიგნი ყველასაგან დავიწყებული — „კურანი მუჰამედისა“, თბილისში დაბეჭდილი 1906 წელს. ცენზურის ნებართვა წიგნს მიუღია 2 ნოემბერს 1905 წელს. წიგნზე სხვა ცნობები არ არის. ი. გრიშაშვილს თავისი ცალი ჩაუსვამს საგანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია — „ყურანი“, ქვემოთ წიგნის პატრონის გვარი — „ი. გრიშაშვილი“. თავფურცელზე ნაჩუქრობის წარწერა, — „ბ. იოსებ გრიგოლისძე მამულაშვილს მთარგმნელ პეტრე მირიანაშვილისაგან. 30, VI, 1909, ქ. ტფილისს“. ამ წარწერით ირკვევა, რომ ეს წიგნი უთარგმნია პ. მირიანაშვილს. შეიძლება ვინმემ თქვას, ეს ხომ „ქართული წიგნის“ პირველ ტომშიაც არის აღნიშნულიო“, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ „ქართული წიგნის“ შემდგენლებს, თავის დროზე „ი. გრიშაშვილმა მიაწოდა ეს ცნობა“

ნაჩუქრობის წარწერის ქვემოთ, ი. გრიშაშვილს მიუწერია: „ბ-ნმა პეტრემ ეს ყურანი სთარგმნა ფრანგულიდან“. წიგნის მიღების შემდეგ, გ. გრიშაშვილი გაბაასებია მთარგმნელს და საუბარი ჩაუწერია ქაღალდის ნაგლეჯზე, შემდეგ გადაუტანია წიგნზე:

„მე. — თქვენ სთარგმნეთ მთელი ყურანი?

პ. — მე

მე. — კურანი უნდა თუ ყურანი?

პ. — ჩემს წიგნში შეცდომაა — უნდა ყურანი.

მე. — რატომ არ აწერია, რომ თქვენი თარგმნილია?

პ. — ყურანი ღვთის სიტყვაა და როგორ შეიძლება მომაკვდავმა მოაწეროს ხელი?

მე. — რა დაჯდა ამის დაბეჭდვა?

პ. — ათას ხუთასი მანეთი ბანკმა გადასდო.

მე. — რომელ ენიდან სთარგმნეთ?

ა. — ფრანგულიდან.

ამ მინაწერებიდან[1] ჩვენ ვგეპულობთ, რომ წიგნის დაბეჭდვის ხარჯი გაუღია ბანკს, ე. ი. თბილისის სათავად-აზნაურო ბანკს და რადგანაც ბანკის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო, რასაკვირველია მისი თანხმობით გაკეთდა ეს საქმე.

რათ დაჭირდათ ამ წიგნის ქართულად გადათარგმნა და ამოღენა ხარჯის გაღება?

1877 — 78 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა: ძველი მესხეთი, ლაზიკა, აჭარა, ერუშეთი და შავშეთი. დიდი სიხარული იყო ამის გამო ქართველ საზოგადოებაში, ყოველნაირად ცდილობდნენ დახმარებოდნენ ახლად დაბრუნებულ ძმებს, მაგრამ დაახლოებას ხელს უშლიდა ბევრი რამ: რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა, უცხო ელემენტების პროვოკაციული მოქმედება და დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო სარწმუნოება. მაჰმადიანობის ბურჯი, მოლები, სამლოცველოებთან გამართულ სკოლებში ასწავლიდნენ ლოცვებს და აკითხებდნენ ყურანს არაბულ ენაზე, რაც სრულიად გაუგებარი იყო ქართველი მაჰმადიანობისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ მშობლიური, ქართული ენა.

ქართული წიგნის პირველი შემტანი სამაჰმადიანო საქართველოში, ზაქარია ჭიჭინაძე იყო.

---

1 ამ წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის, აგრეთვე საყურადღებოა პ. მირიანაშვილის წერილი — „ქართულის კურანის გამოცემისათვის“. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 22 სექტ. გვ. 3.

მან ბევრი რამ გააკეთა ამ მხრივ და ერთ თავის წერილში ამბობს, რომ „ქართველმა მაჰმადიანებმა ათასჯერ განაცხადეს ნატვრა მასზედ, რომ ნეტამც „ყურანი“ ჩვენს დედა-ენაზედ გვექმნესო, თორემ არაბულს ენაზედ ხალხს კი არა და თვით მოლებსა და ხოჯებსაც არ ესმისთო“.

ზ. ჭიჭინაძე ამას უეჭველად იტყოდა ილია ჭავჭავაძესთან, პ. მირიანაშვილთან და სხვებთან. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ პ. მირიანაშვილმა დაიწყო „ყურანის“ თარგმნა, ი. ჭავჭავაძემ ბანკიდან ფული გაიღო წიგნის დასაბეჭდად, რათა მაჰმადიან ქართველებისათვის მიეწოდებიათ ქართული სიტყვა, არაბულისა და თურქულის ნაცვლად. რამდენიმე წლის შემდეგ, ისევ ზ. ჭიჭინაძე წერს: „ნატვრა შესრულებულ იქმნა მოძმე ქრისტიან ქართველთაგან, პ. მირიანაშვილმა ქართულ ენაზე „ყურანი“ სთარგმნა და დღეს იგი დაბეჭდილიც არის. ეხლა ამ წიგნს ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ენაზედ კითხულებენო“ (ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. იხ. გვ. 315). ეს უეჭველად დიდი ეროვნული კარგი საქმე იყო.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის წიგნებზე გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ აქ შევჩერდეთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა, ამ ხანად ქართული წიგნების კატალოგი, მალე დაიბეჭდება და თითოეული წიგნის აღწერილობა ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი საზოგადოებისათვის. ამასთან ერთად, შესაძლებელი იქნება ი. გრიშაშვილი შესწავლილი იყოს, როგორც ბიბლიოფილი და როგორც ბიბლიოგრაფი.

დასასრულს, გავიხსენოთ აკადემიკოს პ. ნ. ბერკოვის შრომა: „Личные библиотеки трех русских писателей (Ломоносова, Пушкина, М. Горького). — «Книга», 1963 г. сборник 8.“ ავტორი დასაწყისში გვეკითხება: „მკითხველო! თქვენ იცით რა არის „ციმელი“ ანუ „კიმელი“? თუ არ იცით, ნუ მოძებნით ძველსა და ახალ რუსულ ენციკლოპედიებში ან და უცხო სიტყვათა ლექსიკონში — ვერ ნახავთ... კიმელი ანუ ციმელი არის ტერმინი დასავლეთ ბიბლიოფილების...“

ავტორმა, პ. ბერკოვმა, ეს სიტყვა ნახა გერმანულ წიგნთმცოდნეობის ლექსიკონში, რომელიც გამოცემულია ქ. შტუტჰარტში 1953 წელს, „ციმელი“ ნიშნავს „ბერძნულად კიმელიონს — ძვირფასს ნივთს“, განმარტებაში ნათქვამია, რომ ეს არის ბიბლიოთეკური ერთეული, რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამუზეუმო მნიშვნელობა.

წინასიტყვაობაში, პ. ბერკოვი, განმარტავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მწერალთა ბიბლიოთეკების შესწავლას და მთლიანად დასახელებული ბიბლიოთეკები, ლომონოსოვის, პუშკინის და გორკის ბიბლიოთეკები, მიაჩნია „იშვიათობად“.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში უეჭველად არის „ციმელი“ ანუ „კიმელი“, მთლიანად კი ეს ბიბლიოთეკა — მუზეუმი ქართული კულტურის უძვირფასეს იშვიათობას წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტის კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება

მწერლის ყოველი ახალი წიგნი თუ თავისებური შემოქმედებითი ანგარიშია მკითხველის წინაშე, სწორედ ასეთ შემოქმედებით ანგარიშად უნდა მივიჩნიოთ ხუტა ბერულავას რჩეულ თხზულებათა ახალი კრებული — „ლექსები, პოემები", რომელიც გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა. ეს კრებული ერთგვარად საიუბილეოც არის, რადგან იგი ავტორის სამწერლო მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავზე გამოვიდა და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს პოეტის მთელს შემოქმედებით გზაზე.

არიან მწერლები, რომელთა პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები თავიდან შეუმჩნეველი რჩება და უფრო გვიან იპყრობენ მკითხველის ყურადღებას. ასეთი მწერლები თავიანთ პირველ ნაწარმოებებს ხშირად თვითონვე ივიწყებენ და თხზულებათა კრებულებშიც აღარასოდეს შეაქვთ. ხუტა ბერულავა კი იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პირველივე ნაწარმოები (ცხადია, პირველ პუბლიკაციას ვგულისხმობთ) „ქუდბედიანი" აღმოჩნდება ხოლმე და თავიდანვე აღიარებას ჰპოვებს.

ხ. ბერულავას პირველი ნაწარმოები ქართველმა მკითხველმა სამამულო ომის მრისხანე დღეებში გაიცნო. გაზეთ „კომუნისტში" (24. 8. 1941 წ.) გამოქვეყნდა სრულიად ახალგაზრდა ავტორის, 17 წლის ჭაბუკის, ლექსი „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!". ამ ლექსზე თქმა იმისა, რომ მან მოწონება დაიმსახურაო, ვფიქრობთ, ძალზე ცოტაა: მკითხველმა იგი დიდი ინტერესით მიიღო, შეიყვარა, შეისისხლხორცა და მაშინვე სიმღერად აქცია, ამ ლექსს ჩვენი ხალხი სხვადასხვა მუსიკალური ვარიაციებით მღეროდა ომის წლებში და დღემდე შემორჩა მუსიკალურ რეპერტუარს. ასეთივე ბედი ხვდა წილად ხ. ბერულავას მეორე ლექსსაც — „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი", რომელიც ფოლკლორში გადავიდა და ამჟამად ხალხში მრავალ ვარიანტად გვხვდება. ამგვარი წარმატება და ხალხში ასეთი პოპულარობა ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძის" შემდეგ ძალზე იშვიათად თუ ერგო წილად რომელიმე ნაწარმოებს.

ამრიგად, ხ. ბერულავას პირველმავე ნაწარმოებმა თვალსაჩინო გამარჯვება მოუტანა, მაგრამ პირველი გამარჯვება ყოველთვის როდია მომავალი წარმატებების გარანტია. ერთი რამ კი უდავოა: ასეთ შემთხვევაში იზრდება მკითხველის მომთხოვნელობა. მკითხველი ასეთი პოეტებისაგან კიდევ უფრო მეტს მოითხოვს და მათ მიმართ მოთხოვნილებათა კრიტერიუმსაც ზრდის. ჭეშმარიტი პოეტი ის არის, ვინც ამ გაზრდილი კრიტერიუმის დონეზე აღმოჩნდება და შემოქმედების რთულ გზაზე არ წამოიჩოქებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხ. ბერულავას თავისი შემოქმედების გზაზე არასოდეს წამოუჩოქია.

გავიდა წლები... ხ. ბერულავა დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის. მან ბევრი შემოქმედებითი სიხარული განიცადა, იგი მუდამ ცხოველი ინტერესის სფეროშია მოქცეული და მის ყოველ ახალ ნაწარმოებს თუ ახალ კრებულს მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით ხვდება. და აი, ამჯერადაც კიდევ ერთხელ წარსდგა. ხ. ბერუ-

---

**ხუტა ბერულავა, „ლექსები, პოემები", მერანი, 1971.**

ლავა მკითხველის სამსჯავროს წინაშე, წარსდგა და საკმაოდ „ხელდამშვენებულიც“.

კრებულის გადათვალიერებაც დაგვარწმუნებს, თუ რა ფართოა პოეტის შემოქმედებითი ინტერესები და რა მრავალფეროვანია მისი მხატვრული პალიტრა. ხ. ბერულავას, როგორც თავისი ეპოქის ღვიძლ შვილს, ყურადღების გარეშე არ რჩება ჩვენი ცხოვრების თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, იგი ყველაფერს ჭეშმარიტი შთაგონებით ეხმაურება, და რაც მთავარია, მუდამ რჩება თავისი დროის მხატვარ-მემატიანედ.

როგორც აღვნიშნეთ, ხ. ბერულავა სამწერლო ასპარეზზე სამამულო ომის დროს გამოვიდა და მის ადრინდელ ლექსებში მკვეთრად იგრძნობა იმ ქარიშხლიან დღეთა სულისკვეთება. ეს ლექსები სარეცენზიო კრებულის პირველ განყოფილებაშია წარმოდგენილი, საერთო სათაურით — „ომის დღეები და სიყმაწვილე“. რაც მთავარია, ეს პირველივე პოეტური ცდები მაღალ პროფესიულ მხატვრულ დონეზეა და დღესაც იმსახურებს ყურადღებას, როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ასევე ესთეტიკური ზემოქმედების ძალით.

პოეტს „ომის დღეები და სიყმაწვილის“ ციკლში მოუქცევია, ჩვენის აზრით, ერთი ძალზე საყურადღებო ლექსი, რომელიც სიჭაბუკის თავისებურ გახსენებას წარმოადგენს და გვიჩვენებს, როგორ მოკრძალებით მიიკვლევდა დამწყები პოეტი გზას მწერლობისაკენ, როგორ ეძებდა დარცხვენილი მწერალთა სასახლეს მაჩაბლის ქუჩაზე. და თურმე მაჩაბლის ქუჩაზე ყოველი გამვლელი პოეტად მიაჩნდა, ყველას ბედნიერი ღიმილით შესცქეროდა.

თვითეულ გამვლელს პოეტად ვთვლიდი
და ცამეტ ნომერს ვეძებდი რიდით,
მე ცამეტ ნომერს ვეძებდი რიდით,
თვალთ ვაცეცებდი აივნებს შორის,
თვითეულ გამვლელს პოეტად ვთვლიდი,
და შევყურებდი ცახცახით, თრთოლვით.

მაჩაბლის ქუჩა, მწერალთა სახლი...

მაჩაბლის ქუჩა და მწერალთა სახლი აქ პოეზიის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი და საერთოდ, ლექსი მიგვანიშნებს იდეალის ძიებაზე, როდესაც მეოცნებე ჭაბუკს თავისი ცხოვრების მიზნად მხოლოდ პოეზიის სამსახური დაუსახავს.

ამ ლექსის გვერდით მკითხველი ეცნობა ცოტა უფრო მოგვიანებით შექმნილ ლექსს, რომლიდანაც ჩანს, რომ პოეტს სიჭაბუკის ოცნება სამუდამოდ თან სდევს და მის სულს აქოლებს სურვილი, „რომ სამშობლოში ესმოდეს ყველას მისი ლექსის და იმედის ფეთქვაც“. მან იცის, რომ მგოსნის მარჯვენას მხოლოდ მშობელი ხალხი აკურთხებს.

გულივით დამაქვს ოცნება-ფიცი:
რუსთველის მიწამ მიწამოს მგოსნად,
ხალხმა მიკურთხოს მარჯვენა მტკიცე
და ახდეს დედის მხურვალე ლოცვა.

ვფიქრობ, ნათელია, რომ ხ. ბერულავას თავიდანვე ცხადად ჰქონდა გამორკვეული თავისი მხატვრული იდეალი, რაც ორგანულად ერწყმის მამულის სიყვარულს. მის შთაგონებას საფუძვლად დასდებია ყველაფერი მშობლიური: ცაზე ნისლი თუ მიწაზე ნაკადული, გმირი წინაპარი თუ ძველი ლექსი და ზღაპარი, მხიარული ვარდობისთვე თუ კალთასავსე შემოდგომა. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ფონია, რომელზეც მთელი სისრულით ჩანს თანამედროვე ადამიანის ამაღლებული სული და გმირული შემართება.

მე მამღერებს, მე მაღელვებს
ჩემი მიწა და მამული,
ჩემი ტკბილი საქართველო
ვაჟას ცრემლით დანამული.

ხ. ბერულავას ამ მაღალი შემოქმედებითი იდეალისათვის არასოდეს უღალატნია. მისი შთაგონების წყაროც უცვლელია, მხოლოდ იგი უფრო ფართოვდება და სრულყოფილიც ხდება.

ყოველი ჭეშმარიტი პოეტი წინაპართა ტრადიციებს ეყრდნობა და წინაპართა შორისაც ჰყავს თავისი რჩეული, „გულის მურაზი“ (როგორც ამბობდა ი. გრიშაშვილი). ხ. ბერულავას ასეთ იდეალად გაუხდია ილია ჭავჭავაძე, რომელიც, საერთოდაც, რჩება მამულიშვილის ხატებად. დიდი ილია ყველა მამულიშვილს შთააგონებს, თუ როგორ უნდა ემსახუროს იგი ერს, ქვეყანას. ასე წარმოუდგენია ილია ხუტა ბერულავასაც ლექსში „შენ შთამაგონე“ და მკითხველს ამცნობს, რომ იგი თავის ნამოქმედარსაც დიდი წინაპრის მაგალითის მიხედვით ამოწმებს, მის მიხედვით ადგენს თავის სამოქმედო გეგმას:

ჟამიჟამ, როცა შინ მივიჩქარი
ქვეყნის რიგითი მაშვრალთაგანი,
იღება გული, როგორც ბჭისკარი
და მეუფლება შიშისმაგვარი:
მეცოტავება ჯავრი განცდილი,
გარჯა,
დაქანცვა,
დრტვინვა,
დაობა,
და ვალმოუხდელ ჯარისკაცივით
კვლავ დაბრუნება მინდა საომრად.
თითქოს შინ მისვლა მრცხვენია ისე,
რომ ვერ მოვასწარ დილითვე თქმული,
და შვილებისკენ და ლექსებისკენ,
და ალერსისკენ მიმიწევს გული...

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს, ვგრძნობთ დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას სამ-

შობლოს წინაშე და თითქოს ჩვენს წინაშე წამოიმართება ილიას ლანდი, რომელსაც მოკრძალებით მიმართავს პოეტი—ყველაფერი შენ შთამაგონეო, მაგრამ თვითონაც გრძნობს, რომ სულ სხვა ძალა და ენერგია იყო ილიაში. მასთან გატოლება არავის ძალუძს — ილიას ღვაწლი მომავალ თაობებს მხოლოდ იდეალად დარჩება.

შენ შთამაგონე შიში ამგვარი,
თუმცა არა ვარ კაცი ჯაბანი,
ვისა აქვს მხრები შენებრ მაგარი,
რომ ზიდოს ხალხის მძიმე ჭაპანი.

და შემდეგ პოეტი ხატავს ილიას ძალზე კოლორიტულ პორტრეტს:

ფიცხელ ბრძოლაში მტერს ამარცხებდი,
ფიცხელ შრომაში დაღლას არ სცნობდი,
დიდების შენი დიდი კვარცხლბეკი
იყო სიმღერა მაშვრალკაცობის.
სამშობლოს ხათრით ბანკსაც მართავდი
და „ივერიას“ ღამეს უთევდი,
მერე, ზვიადი და გულმართალი,
პოეზიის ღმერთს სანთელს უნთებდი.

ჩვენის ფიქრით, ასეთი ლექსის ავტორი მართლაც უნდა იყოს „ქვეყნის რიგითი მაშვრალთაგანი“ მაინც, თორემ მკითხველი მალევე იგრძნობს არამც თუ ყალბ ტონებს, არამედ დიდ კადნიერებასაც. ამგვარი რამ კი ლექსში არ იგრძნობა. არ იგრძნობა, რადგან ხ. ბერულავას, როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, სრული უფლება აქვს, მკითხველის წინაშე ასეთი განცხადებით წარსდგეს.

„შენ შთამაგონეს“ საერთო პათოსით რამდენადმე ენათესავება ლექსები: „მემატიანე“ და „სიჩქარე“. ერთ-ერთი ძალზე დამაფიქრებელი ლექსია „მემატიანე“. ეს არის თავისებური მონოლოგი უხილავი მემატიანისა, რომელიც მკითხველს წინასწარვე აფრთხილებს, რომ ყოველ ეპოქას ჰყავს თავისი პირუთვნელი მემატიანე, ვინც ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აღნუსხავს საზოგადოების ყოველი წევრის ნამოქმედარს და ყოველ ადამიანს სრული სახით გააცნობს შთამომავლობას. მას ვერავინ მოისყიდის, ვერავინ შეაცვლევინებს აზრს:

თუნდ მოგეშველოს ცათა მფლობელი,
ამ განსჯას ვერვინ შეატრიალებს.
... შენს გვერდით ვცხოვრობ, ვით
მეზობელი,
მე, ამ დღეებში მემატიანე.

ასეთი მაღალი შეგნება ავალებს პოეტს, თავიდანვე თავად განსაჯოს თავისი საქმიანობა, რათა შთამომავლობის წინაშე ვალმოხდილი და პირნათელი წარსდგეს. ამიტომაც ყველაფერში უნდა იჩქაროს. ისიც ჩქარობს: „და ენატრება, რომ დადგეს ღამე, და ენატრება, გათენდეს მალე“. ეს ურევს თმებში ნაადრევ ჭაღარას, მისი დევიზია: რადგან სიცოცხლე არ იცდის, ადამიანმაც უნდა იჩქაროს.

განსჯაც, გალობაც, ალერსიც ქალთა,
უნდა მოასწრო ერთად ყოველი,
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს
გარდა,
შენი პატარა სვეტიცხოველი!
(„სიჩქარე“).

მართლაც, მარტო ნეკროლოგებით ხომ არ ვმსჯელობთ წინაპართა ღვაწლზე! ამ ფრიად სერიოზულ საკითხზე აფიქრებს მკითხველს ხ. ბერულავას აღნიშნული ლექსები.

ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია პოეტის ნატვრა, რომ განგებამ მისცეს კეთილი სურვილები, არ დაუშრიტოს შთაგონება, რომ შეძლოს შემოქმედის მძიმე ულლის ტარება.

მხოლოდ ასეთი ღვაწლი ფასდება, მხოლოდ ასეთ ნამუშაკევს ინახავს მატიანის ფოლიანტებიც და რაც მთავარია, ხალხის მეხსიერება. ამაშია ადამიანის ბედნიერებაც. ხ. ბერულავასაც სწორედ ასე წარმოუდგენია ბედნიერება.

იცი: რა არის ბედნიერება? —
ხალხის ლამაზი მეხსიერება,
გარეშე ხათრის სხვათა და სხვათა,
შემწეობის და ომის გარეშე,
რომ დაგაფარებს მშობლიურ კალთას
და უნებურად მოგიალერსებს!
(„მცირე მონოლოგი“).

მაგრამ შემოქმედის ბედი მხოლოდ მომავალს არ უნდა დაეთმოს. ერის რჩეულები გვირგვინს მხოლოდ მომავლისათვის არ იმსახურებენ. ისინი თანამედროვეობაში არიან, თანამედროვეობისათვის იღწვიან ,და თანამედროვეთა ალერსიც არ უნდა მოაკლდეთ მათ. ისტორია იცნობს თავიანთ თანამედროვეთაგან განწირულ გენიოსებს, ვისთვისაც შემდეგ უკვდავების ძეგლი დაუდგამს შთამომავლობას. ასეთი რამ რომ აღარ განმეორდეს, საამისო გაფრთხილებად ისმის ხ. ბერულავას ლექსი „ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა“, რომელშიც თავისებურ ასპექტშია გააზრებული ძველი ლეგენდა სვეტიცხოვლის აღმშენებლის შესახებ. თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან გვესმის ამაყი ღაღადისი და გაფრთხილება დიდი ხელოვანისა, რომელიც „ღვთის სახელით ხალხს ემსახურებოდა“ და მსხვერპლი გახდა თავისი თანამედროვეების უსულგულო განსჯისა:

ხალხო მშობელო, ბრძენო, მაშვრალო,
თუ გსურს ამაყად ფრთები გაშალო,
შვილებს ოცნება უნდა აცალო!

უნდა აცალო ფიქრიც და დარდიც!
მადლი ამ ქვეყნად შუქივით დადის,
არ დაუკარგავს ნამცეცა მადლი.

არა კაცს ნულარ მისცემ არჩევანს,
მაღლა ასწიე ჩემი მარჯვენა
ბევრი მარჯვენის გადასარჩენად!

იკმარე ჩემი მოჭრილი ხელი,
იყავი შვილთა ერთგული მცველი,
თორემ ბასრია სიკვდილის ცელი,

და სინანული იქნება გვიან,
და გმინვა გულის იქნება გვიან,
და სიყვარულიც იქნება გვიან!

ხ. ბერულავას შთაგონებას სამშობლო ასაზრდოებს.

ვფიქრობთ, პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია „ჩემო მამულო“, რომელშიც პოეტი მკითხველს თვალწინ გადაუშლის ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს.

მაგრამ სულ სხვაა პოეტის ის განწყობილებები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ბავშვობის ოცნებებთან და იმ გარემოსთან, სადაც პოეტს სიყრმე და სიჭაბუკე გაუტარებია... ამ ციკლის ლექსებში გვხვდება სევდიანი ლირიზმიცა და მედგარი შემართებაც. მაგრამ პოეტი ყველგან ძალზე უშუალოა და ნაწარმოებიც ღრმა ფსიქოლოგიზმითაა დამუხტული. თუმცა ეს ლექსები სხვადასხვა თემაზეა შექმნილი და სხვადასხვა მოტივს უკავშირდება, მათ მაინც აერთიანებს ავტორის ბავშვობის შთაბეჭდილებათა ახლებური გააზრება. პოეტს, მაგალითად, ბევრ რამეს ეუბნება და შთააგონებს მამისეული ეზოს ხილვა და სურს, ეს გრძნობები მკითხველსაც გააცნოს, თავის განცდათა თანამოზიარედ გახადოს იგი.

ვარ გათანგული ნაცნობ მოტივით
როგორც გარშემო ბუნება მთელი,
და ენგურს მისი მცირე ტოტივით
ჩემს თვალწინ ერთვის სიმღერა ძველი.

აი, ეს ხმაა, ყველაზე ადრე
რომ დამაფიცა რუსთველის ენა,
უკვდავი სიტყვის მასწავლა ყადრი
და მომანიჭა სიცოცხლის რწმენა.

ცხოვრების ვრცელ ასპარეზზე გამოსულ პოეტს არ შეუძლია, მოსწყდეს ამ გარემოს და შთაგონებად მუდამ თან დასდევს ეს პირველი შთაბეჭდილებები:

ახლა ღუმილიც სიმღერას უდრის,
საამაყოს და ოდნავ დარდიანს,
სითბო მახარებს მშობელი ბუდის
და ქვეყანაზე ცოტა მწადია —

არ მომეშალოს ოცნების ფუძე,
მუდმივი თრთოლვა, ღელვა, ძიება
და რაც ოდესღაც დამაჭდეს გულზე
ჩემი კოლხეთის მელოდიებმა.

ასეთივე განწყობილებებია გადმოცემული ლექსებში: „ქარიატა“, „წერილი ზუგდიდში“, „ორი მდინარე“, „წერილი“, „ასი წლის შემდეგ“. ლექსში „ქარიატა“ ხ. ბერულავა წერს:

ქარიატა, ქარიატა,
მე მივდივარ ფრენით,
რომ გადავცე საქართველოს
სიყვარული შენი!

ამ სტრიქონებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხ. ბერულავას შემოქმედებითი ასპარეზი ფართოა, ვრცელია მისი თემატური სფერო. მას მშობლიური საქართველოს ყოველი კუთხე აღაფრთოვანებს და სასიმღეროდ განაწყობს. ასეთსავე განწყობილებებს აღუძრავს მას მოძმე რესპუბლიკების ხილვა და მისი შემოქმედებითი ინტერესი მსოფლიო მერიდიანებსაც სწვდება.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შთაგონებული მამულიშვილური განწყობილებებია გადმოცემული ლექსებში: „სიჩუმეა ანანურის ციხესთან“, „ხერთვისი“, „ლენტეხელ ამხანაგებს“, „ღამე ალაზნის ველზე“, „საინგილოსკენ“, „დუშეთისკენ რომ აივლი“ და სხვ. მართლაც, მძაფრი ემოციების აღმძვრელია საინგილოსადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები:

რომ დაიარო ქვეყანა მთელი —
უფრო ლამაზი მიწა ვერ ნახო!
როგორი მთები, როგორი ველი,
რა ვენახები და სავენახო!

მეგონა იყო ერთი მტკაველი
და მერე როგორ ვცდებოდი თურმე.
როცა ვიხილე მისი მთა-ველი,
თვალწინ დამიდგა წარსული მრუმე.

კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ ბევრ რამეს ეუბნება და ბევრს აგრძნობინებს მკითხველს ხ. ბერულავას ლექსები: „სევანის პირას ნათქვამი“, „ქალაქი ბაქო, ნიზამის ძეგლი“, „აული ჭოხი“ და სხვ. ამათგან მაინც გვინდა, გამოვყოთ „აული ჭოხი“, რომელიც მართალც დიდის ხელოვნებით გადმოგვცემს ქართველი და დაღესტნელი ხალხების წარსულსა და აწმყოს, გვიჩვენებს ამ ხალხების მეგობრობას, რაც შედეგია ახალი დროისა, ხალხთა ახალი, სოციალისტური ურთიერთობისა. პოეტი ცალკეული შტრიხებით გვაგრძნობინებს, რომ სისხლით იწერებოდა ქართველებისა და ლეკების წარსული ისტორია. დღეს მტრობა გულითადმა მეგობრობამ შეცვალა და იქ, სადაც მე-19 საუკუნეში გრ. ორბელიანი დამპყრობელ რუსეთის ჯარს სარდლობდა, ახალი ცხოვრებით

ბედნიერი ლექის ქალი გრძნობით მღერის გრ. ორბელიანის ლექსს.

ორბელიანო, ვდგავარ აქ და ვარ ბედნიერი,

რომ შილდელივით ლეკის ქალი ლეკურად
მღერის:
— გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ...

ხ. ბერულავა ლირიკოსი პოეტია. მაგრამ მან საყურადღებო წარმატებები მოიპოვა ეპოსის სფეროშიც, რაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებს პოეტის პოემა „რუსული გულის“ საყოველთაო მოწონება.

სარეცენზიო კრებულში პოეტს შეუტანია სამი პოემა: „ამბავი თბილისის დაბადებისა“, „ჯარისკაცის შვილი“ და „სიმღერა ვარსკვლავებზე“. ამ პოემებს, მართალია, ავტორი ლირიკულ პოემებს უწოდებს, მაგრამ მათში ძალზე ჭარბად არის ეპიური ნაკადი და სამივე ნაწარმოებში ამბავი მკვრივ სიუჟეტშია მოქცეული.

ხ. ბერულავას შესწევს უნარი, ძალზე გავრცელებულ და მწერლობაშიც მრავალმხრივ დამუშავებულ თემას ახალი ასპექტი მოუნახოს და ახლებურად წარუდგინოს იგი მკითხველს. მართლაც, თითქოს და რა უნდა თქვას ახალი მწერალმა, რომელსაც მიზნად დაუსახავს, კიდევ ერთხელ დაამუშაოს მხატვრულად თბილისის დაარსების ლეგენდა? ხ. ბერულავამ ახალი კუთხით შეხედა ძველ ლეგენდას და მკითხველს აგრძნობინა, რომ თბილისი თავიდანვე შენდებოდა, როგორც მთლიანი საქართველოს დედაქალაქი და მის მშენებლობაში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

და ოსტატებმა, როდესაც
ქალაქის ფუძე გათხარეს,
მიწა ყოველი კუთხისა
შიგ თითო მუჭა ჩაყარეს.

ასევე ორიგინალური ასპექტით არის წარმოდგენილი სამამულო ომის თემა პოემაში „ჯარისკაცის შვილი“. შინმოუსვლელთა შესახებ ბევრი რამ დაწერილა, სამშობლოსათვის თავდადებულთა სახეები მრავალგვარად არის დახატული ჩვენს მწერლობაში, მაგრამ, ვფიქრობთ, ხ. ბერულავამ კიდევ ახალ კუთხეს მიაგნო და ძალზე ორიგინალურად განაცდევინა მკითხველს ომის გმირის აუხდენელი ოცნება სამშობლოზე და საკუთარ ოჯახზე.

არ შეიძლება გულის სიღრმემდე არ შესძრას ადამიანი თუნდაც უბრალო გახსენებამ იმისა, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სამი საბჭოთა კოსმონავტი, რომელთაც კოსმოსში გაატარეს 24 დღე და როდესაც დედამიწაზე დაშვებამდე მხოლოდ 30 წუთიღა დარჩა, „[illegible] ხომალდში ქარიშხალივით შეიჭრა უმალ სიკვდილის ელდა“.

ამ სამი გმირის მოულოდნელი დაღუპვით გამოწვეული მძიმე განცდა უდევს საფუძვლად ხ. ბერულავას ბალადას „ოცდაოთხი დღე და ოცდაათი წუთი“. ეს არის მოსკოვში მწერალთა ყრილობის დელეგატის შთაბეჭდილება, შთაბეჭდილება პოეტისა, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში, როგორც ყრილობის დელეგატი, 29 ივნისს უსმენდა მოლოცვას კოსმოსიდან და მეორე დღეს უკვე იგებს, რომ კოსმოსის გმირები ცოცხლები აღარ არიან. ხ. ბერულავას მიაჩნია, რომ მათი გმირობის უკვდავყოფა მომავალი თაობების ვალია არა იმიტომ, რომ „დღეის მეხოტბეს აღარ ჰყოფნის ძალა მგოსნური“, არამედ იმიტომ, რომ ძნელია დატირება იმისი, ვინც გუშინ ზეციდან გესაუბრა. მაგრამ ხ. ბერულავამ შექმნა ბრწყინვალე ნაწარმოები, რომელიც შთამომავლობას გააცნობს იმ ღრმა მწუხარებას, რაც ჩვენმა ხალხმა განიცადა კოსმოსის გმირთა დაღუპვით, გააცნობს მკითხველს და ჩააფიქრებს იმაზე თუ „რამდენი მსხვერპლი სჭირდება მეცნიერებას და პოეზიას“. მაგრამ ეს მსხვერპლი ახალი გმირული საქმეებისკენ მოუწოდებს მომავალ თაობებს.

ვიდრე იდინებს ველებზე ვოლგა,
ვიდრე იგრგვინებს მთებში ენგური,
ემახსოვრება კაცობრიობას
ოცდაოთხი დღე ლეგენდარული...
ეს ოცდაათი წუთიც დარჩება
ადამიანთა მეხსიერებას,
როგორც ჭრილობა განუკურნელი,
ვით სინანული დაუფარავი.
და მაინც იფრენს ადამიანი,
უფრო ჯიუტად, მეტი სურვილით,
ახდება ფიცი შატალოვისა
და ფანტაზია ყველა წინაპრის.
უფანტაზიოდ და უოცნებოდ
ნულარ გვაცოცხლოს ერთი წამითაც!

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას ხ. ბერულავას პოეზიის გამო. სარეცენზიო წიგნიც, როგორც პოეტის მორიგი შემოქმედებითი გამარჯვება, გაცილებით ბევრ რამეზე ჩააფიქრებს, როგორც რიგით მკითხველს ასევე კრიტიკოსსაც, მაგრამ ამჯერად ჩვენ ხ. ბერულავას შემოქმედების ფართოდ განხილვა არ დაგვისახავს მიზნად. ასეთი რამ კვლავ მომავლის საქმედ რჩება.

**ანდრო მირიანაშვილი**

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ